

472

1946



უზაკო

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარიატის ბრძა-
ნებითა და განკარგულებათა

კრებული

წილიწადი მეცხრო

№ 1	Сборник приказов и Распоряжений НКПроса Груз. ССР	1946 წ.
-----	--	---------

შინაარსი

	88-
1. დადგენილება № 975—საქ. სსრ სახკომსაბჭოსი, საქ. სსრ განსახკომის სკოლების ინსპექტორთა შესახებ	2
2. დებულება—საქ. სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორის შესახებ	4
3. დებულება—რაიონისა და ქალაქების განათლების განყოფილების სას- კოლო ინსპექტორის შესახებ	9
4. დებულება—დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგი- ური საბჭოსი	13
5. ბრძანება № 253—სამოქალაქო ისტორიის სწავლების შედეგების შე- სახებ	18
6. დებულება—პედაგოგიური სასწავლებლის დამხმარე მეურნეობისა	29



დარგენილება № 975

საქართველოს სსრ სახალხო კომისარტა საბჭოსი

საქართველოს სსრ განსახლების სკოლების ინსპექტორტა
შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1945 წლის 29 აპრილის
„სკოლების ინსპექტორტა შესახებ“ მიღებული № 923 დადგენილე
ბის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისარტა საბჭო
ადგენს:

1. გადიდდეს სკოლების ინსპექტორტა საშტატო ერთეულები
და დაწესდეს შემდეგი შტატები:

ა) სახალხო განათლების ყველა რაიონულ და საქალაქო განყოფილებაში, გარდა თბილისის სახალხო განათლების განყოფილებისა, სკოლების ორ-ორი ინსპექტორი, სულ 174 ინსპექტორი;

ბ) აფხაზეთის ასსრ განსახკომში—3. აჭარის ასსრ განსახკომში
—2 და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების
განყოფილებაში სკოლების 2 ინსპექტორი, სულ—7 ინსპექტორი;

გ) თბილისის სახალხო განათლების განყოფილებაში—სკოლების
4 ინსპექტორი.

2. გადიდდეს სკოლების ინსპექტორტა რაოდენობა საქართველოს სსრ განსახკომის ცენტრალურ აპარატში 17 ერთეულით.

3. დაწესდეს, რომ სკოლების ინსპექტორებად დანიშნულ უნდა იქნან საუკეთესო მასწავლებლები, სკოლების გამგეები და დირექტორები, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური ან საუნივერსიტეტო განათლება და ხელმძღვანელი და პედაგოგიური მუშაობი სტაჟი: არანაკლებ 5 წლისა—სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებათა ინსპექტორებისათვის, არანაკლებ 7 წლისა—საოლქო საქალაქო განყოფილებისა და ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომების ინსპექტორებისათვის და არანაკლებ 10 წლისა—საქართველოს სსრ განსახკომის ინსპექტორებისათვის.

სკოლების ინსპექტორებს დანიშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

განაკვეთები:

ა) სახალხო განათლების რაიონულ და საქალაქო განყოფილებათა სკოლების ინსპექტორებს — 700 მან. თვეში, იმათ, ვისაც საინსპექტორო მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟი აქვს, — 800 მანეთი;

ბ) ქ. თბილისის (თბილისის სახალხო განათლების განყოფილების), სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო განათლების განყოფილების, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების სკოლების ინსპექტორებს — 900 მან. თვეში, ხოლო იმათ, ვისაც საინსპექტორო მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟი აქვს — 1.000 მანეთი;

გ) საქართველოს სსრ განსახკომის სკოლების ინსპექტორებს — 1.100 მან. თვეში, ხოლო იმათ, ვისაც საინსპექტორო მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟი აქვს, — 1.200 მან;

დ) სკოლების ინსპექტორებს, რომელთაც სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ან სამეცნიერო ხარისხი აქვს, ხელფასის განაკვეთი გაუდიდდებათ თვეში 100 მანეთით;

5. გათანაბრებულ იქნან სკოლების ინსპექტორები მორიგი შვებულების ხანგრძლივობის მხრივ მასწავლებლებთან.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უზრუნველყოფა:

ა) სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების სკოლების ინსპექტორები სადილებით, თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 17 სექტემბრის დადგენილებისა;

ბ) საქართველოს სსრ განსახკომის სკოლების ინსპექტორები — სადილებით ლიტერ „ბ“-ს ნორმის მიხედვით და მშრალი ულუფის აბონემენტებით;

გ) სკოლების ყველა ინსპექტორი — საზამთრო ტანსაცმელის კომპლექტით.

7. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოებიც აღმასკომებს უზრუნველყოფონ სკოლების ინსპექტორები ტრანსპორტით სკოლებში მიმოსვლისათვის.

8. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ წარმოღ-
გენილი დებულებანი სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ
განყოფილებათა სკოლების ინსპექტორების შესახებ და საქართველო-
ლოს სსრ განსახკომის ინსპექტორის შესახებ (იხ. დანართი).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე **3. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1945 წლის 9 აგვისტოს.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წ.
9/VIII № 975 დადგენილებით

დებულება

**საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის
სასკოლო ინსპექტორის შესახებ**

1. ზოგადი ნაწილი

I. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი ან-
ხორციელებს სახელმწიფო კონტროლს:

ა) დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლებისა და პედა-
გოგიური სასწავლებლების მთელს სასწავლო-აღმზრდევლობით მუშა-
ობაზე და თავის სპეციალობის მიხედვით ცალკე საგნის სწავლებაზე;

ბ) ავტონომიური სსრ განსახკომების სასკოლო განყოფილებე-
ბისა და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების სასკოლო
ინსპექტორების მუშაობაზე;

გ) რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებების გამგეე-
ბისა და ინსპექტორების მიერ სკოლებზე ხელმძღვანელობის ხაზით
წარმოებულ მუშაობაზე;

დ) რაიონულ და საქალაქო პედაგოგიურ კაბინეტების მუშაო-
ბაზე.

მარაგი, არა აქვთ მარტივი წინადადებების დამოუკიდებლად შედგენისა და აზრის მარტივად და დალაგებით გადმოცემის უნარი.

მერისის საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლეთა ნაწილში პირად ყველა პატარა მოთხრობის „ღარიბი იყო“-ს ტექსტს, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ შესძლო ამ მოთხრობის მოკლე შინაარსის გადმოცემა. ამ კლასის მასწავლებელი დოლიძე ყურადღებას არ აქცევს ენის სიწმინდეს და თვით უშვებს შეცდომებს („რა გვაქვინ გაკვეთილად“, „არ შეუძლიოდა“, „თურმის“ თურმეს ნაცვლად, „მაკლიოდეს“ და სხვ.)

ხულოს ვაჟთა პედსასწავლებელთან არსებული შვიდწლიან სკოლის II კლასის მასწავლებელი გაჩეჩილაძე სრულიად მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს, ბავშვებს მექანიკურად აქვთ გაზეპირებული მასალა და არ ესმით სიტყვების მნიშვნელობა; მოსწავლეებმა არ იციან, რას ნიშნავს „ჯეჯილმა ამოიწია“. „გადგა ბორჯი და ძირი“, „ყოჩივარდა“, „ენძელა“, „ყამირი“ და სხვ.

მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი, ქობულეთის საშუალო სკოლის III კლასში (მასწავ. ბეჟანიძე). ამ კლასის მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი ძალზე ღარიბია, შესწავლილი მასალიდან მათ არ იციან სიტყვები: „მეტყველი“, „შავი რიდე“, „განთიადი“ და სხვ.

V—X კლასების მოსწავლეებს გრამატიკას უმეტეს წილად ასწავლიან ზერელედ, ცოცხალი სამეტყველო ენისა და ლიტერატურული მასალიდან მოწყვეტით. მახუნცეთის საშუალო სკოლის V კლასში მასწავლებელმა გოგუაძემ მოსწავლეები ავარჯიშა მთელი გაკვეთილის განმავლობაში ერთ წინადადებაზე „ის იერ მიმხვდარიყო, რომ ონისეს ბრალი არ ჰქონდა“, მაგრამ ვერცერთმა მოსწავლემ ვერ გაიგო, თუ რა სახისაა ეს წინადადება. სუსტად მუშაობენ ხულოს რაიონის რიყეთისა და შუახევის შვიდწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები—სიხარულიძე და ჩხაიძე. სიხარულიძე უშვებს გაკვეთილებზე ენომრივ შეცდომებს:— „უცტვათე“, „დაგამიწყდა“, „მაი“ და სხვ.

ქობულეთის საშუალო სკოლის V კლასში მასწავლებელმა იმნაიშვილმა სრულიად მოუმზადებლად ჩაატარა გრამატიკის გაკვეთილი. „დისიმილიაციის“ შესახებ, ლისიმილიაციის ფაქტის დასადასტურებლად ვერც ერთი მაგალითი ვერ მოიტანა და საკითხი ბავშვებისათვის სრულიად გაუგებარი დარჩა.

მახინჯაურის საშუალო სკოლის V კლასის ქართული ენის მასწავლებელი გოგიჩაიშვილი შესაფერ ყურადღებას ვერ უთმობს ვარ-

6) სკოლის დირექტორისა (გამგისა) და სასწავლო ნაწილის გამგის მუშაობას.

5. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სასკოლო ინსპექტორი საჭიროების შემთხვევაში ვალდებულია პირადად აწარმოოს მოსწავლეთა გამოკითხვა და ჩაატაროს საკონტროლო წერითი მუშაობა.

6. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი ანხორციელებს სათანადო ხელმძღვანელობას და უწევს კონტროლს განათლების იდგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს—ავტონომიურ სსრ განსახკომების სასკოლო განყოფილებებს და ოლქის, რაიონებისა და ქალაქის განათლების განყოფილებებსა და პედაგოგიურ კაბინეტებს.

მათი მუშაობის გამოკვლევისას ინსპექტორი ამოწმებს:

- ა) წლიურ და კვარტალურ სამუშაო გეგმებს;
- ბ) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებას და სასკოლო ქსელის სწორად დაგეგმვას;

გ) სადირექტივო ორგანოებისა და საქართველოს სსრ განსახკომის დადგენილებების, ინსტრუქციების, ცირკულარებისა და განკარგულებათა გატარებას, სკოლებზე ხელმძღვანელობას და სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგად მიღებულ ღონისძიებებს;

დ) მასწავლებელთა შორის მეთოდურ მუშაობას (საუბნო-ჯგუფური თათბირები, კონსულტაციები, მოხსენებები, ლექციები, ღია გაკვეთილები და სხვ.).

7. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი ხელმძღვანელობს სასწავლო დისციპლინებში პროგრამების და მეთოდური წერილების შედგენასა და გადაკეთებას. ლებულობს მონაწილეობას სახელმძღვანელო წიგნების, განათლების სახალხო კომისარიატის დასამტკიცებლად წარსადგენ სასწავლო-აღმზრდელობითი და სასკოლო-საორგანიზაციო ხასიათის დებულებების, ინსტრუქციების, ცირკულარული წერილებისა და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების შედგენისა და განხილვის საქმეში.

8. სასწავლო საგნების სწავლების მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით განსახკომის სასკოლო ინსპექტორი ესწრება მასწავლებლების გაკვეთილებს, ეცნობა მოსწავლეთა წერითსა და სხვა ნამუშევრებს, ამოწმებს პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისების ხარისხს, სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის მუშაობას და სკოლების მიმართ ავტონომიური სსრ განსახკომებისა და ოლქის, ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებისა



და პედაგოგიური კაბინეტის ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმეს.

9. სკოლის გამოკვლევის შედეგების განხილვას საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი აწარმოებს შემდეგი სახით:

ა) გამოკვლევის შედეგები, როგორც წესი, განიხილება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე. ოქმში აღინიშნება სკოლაში არსებული ნაკლი და მიღწევები. ოქმს თან დაერთვის ინსპექტორის მიერ შემუშავებული წერილობითი ღონისძიებანი სკოლაში არსებული ნაკლის გამოსწორების შესახებ:

ბ) ისეთ შემთხვევაში, როდესაც სკოლის მუშაობის სპეციალური მხარის გამოკვლევა სწარმოებს და პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვა აუცილებელი არ არის, ინსპექტორი ატარებს საუბარს სკოლის დირექტორთან, სასწავლო ნაწილის გამგესთან და იმ პირებთან, რომელთაც შეეხებათ გამოკვლევა, მიუთითებს მათ არსებული ნაკლის შესახებ, ადგენს მითითებებს და სტოვებს სკოლაში წერილობითი სახით;

გ) საჭირო შემთხვევაში ინსპექტორი ერთი ან რამდენიმე სკოლის გამოკვლევის შედეგების განზოგადების მიზნით იწვევს მთელ რაიონის, რაიონის გარკვეული უბნის, ან ქალაქის სკოლების დირექტორების (გამგებების) და სასწავლო ნაწილის გამგეების ან მოცემული სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა საინსტრუქციო თათბირს;

დ) გამოკვლევის შედეგებს ინსპექტორი აცნობს ავტონომიური სსრ განსახკომებს, ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების გამგეებს.

10. ავტონომიური სსრ სასკოლო განყოფილებათა, ოლქის, რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილებათა და პედაგოგიური კაბინეტების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ ინსპექტორი ადგენს ღონისძიებებს და წერილობითი სახით ტოვებს მათ ადგილზე.

11. დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების, პედაგოგიური სასწავლებლების, პედაგოგიური კაბინეტების, რაიონის, ქალაქის, ოლქის განათლების განყოფილებისა და ავტონომიური სსრ განსახკომების გამოკვლევათა საფუძველზე სასკოლო ინსპექტორი ადგენს შესაფერ მობხენებას და საჭირო შემთხვევაში საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსის მეშვეობით აყენებს საკითხს საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიაზე განსახილველად.

12. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი დაწესდება აწარმოებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისიის მიერ დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველო სამმართველო დამტკიცებული კვარტალური გეგმის საფუძველზე.

13. ყოველი კვარტალისა და წლის ბოლოს ინსპექტორი ადგენს მოხსენებას მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

III. ინსპექტორის უფლებები

14. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორს უფლება აქვს სწავლა-აღზრდის დაყენების საქმეში მითითებები მისცეს ავტონომიური სსრ განსახკომების სასკოლო განყოფილებების უფროსებს, ავტონომიური ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების გამგეებს, ინსპექტორებს, პედაგოგიური კაბინეტის გამგეებს და მეთოდისტებს, სკოლების დირექტორებს (გამგეებს), სასწავლო ნაწილის გამგეებსა და მასწავლებლებს.

ინსპექტორის მიერ მიცემული მითითებების შესრულება სავალდებულოა.

ასეთ შემთხვევაში, როცა ავტონომიური სსრ განსახკომები, ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეები, პედაგოგიური კაბინეტების გამგეები, სკოლის დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები, მასწავლებლები არ ეთანხმებიან საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორის დასკვნებს, ინსპექტორის მითითება მიანც ძალაში რჩება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისიის მიერ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე.

15. საქართველოს განსახკომის სასკოლო ინსპექტორს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ავტონომიური სსრ განსახკომები, ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებანი, პედაგოგიური კაბინეტები და სკოლის დირექტორები ვალდებული არიან წარუდგინონ მას ყველა საჭირო მასალა.

16. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორის დასკვნის საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი მოხსნის დაწყებითი, შვიდწლიანი, საშუალო სკოლის დირექტორს (გამგეს), სასწავლო ნაწილის გამგეს და მასწავლებელს.

17. ინსპექტორს უფლება აქვს დაესწროს საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის სხდომებს და მიიღოს სათათბირო ხმით მონაწილეობა მის მუშაობაში.

18. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი
რიგი შევებულების უფლებით გათანაბრებულია მასწავლებლებთან

19. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი
უზრუნველყოფილი უნდა იქნას საზამთრო ტანსაცმელითა და ტრან-
სპორტით მივლინების დროს.

20. საქართველოს სსრ განსახკომის აპარატში ყოველი სამი
წლის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ სასკოლო ინსპექტორს ეძ-
ლევა ერთი თვის სამეცნიერო მივლინება სსრ კავშირის ცენტრა-
ლურ ქალაქებში.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის
9|VIII № 975 დადგენილებით.

რ ე ბ უ ლ ე ბ ა

რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის უნახეზა

I. უ რ ბ ა დ ი ნ ა ვ ი ლ ი

1. რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების სასკოლო
ინსპექტორი ანხორციელებს ხელმძღვანელობასა და სახელმწიფო
კონტროლს რაიონში (ქალაქში) არსებული დაწყებითი, შვიდწლია-
ნი და საშუალო სკოლების მუშაობაზე.

2. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო
ინსპექტორებად ინიშნებიან საუკეთესო მასწავლებლები, სკოლის
გამგეები და დირექტორები, რომელთაც აქვთ დასრულებული უმა-
ღლესი პედაგოგიური ან საუნივერსიტეტო განათლება და ხელმძღ-
ვანელს თანამდებობაზე და მასწავლებლად მუშაობის სტაჟი არა
ნაკლებ ხუთი წლისა.

3. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო
ინსპექტორს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისარი.

II. რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის მოვალეობანი

4. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო
ინსპექტორის მოვალეობას შეადგენს სკოლის შესახებ პარტიისა
და მთავრობის და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომი-

დარგენილება № 975

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოსი

საქართველოს სსრ განათლების კომისიის ინსპექტორთა
შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1945 წლის 29 აპრილის „სკოლების ინსპექტორთა შესახებ“ მიღებული № 923 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო აღგენს:

1. გადიდდეს სკოლების ინსპექტორთა საშტატო ერთეულები და დაწესდეს შემდეგი ზტატები:

ა) სახალხო განათლების ყველა რაიონულ და საქალაქო განყოფილებაში, გარდა თბილისის სახალხო განათლების განყოფილებისა, სკოლების ორ-ორი ინსპექტორი, სულ 174 ინსპექტორი;

ბ) აფხაზეთის ასსრ განსახკომში—3. აჭარის ასსრ განსახკომში—2 და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებაში სკოლების 2 ინსპექტორი, სულ—7 ინსპექტორი;

გ) თბილისის სახალხო განათლების განყოფილებაში—სკოლების 4 ინსპექტორი.

2. გადიდდეს სკოლების ინსპექტორთა რაოდენობა საქართველოს სსრ განსახკომის ცენტრალურ აპარატში 17 ერთეულით.

3. დაწესდეს, რომ სკოლების ინსპექტორებად დანიშნულ უნდა იქნან საუკეთესო მასწავლებლები, სკოლების გამგეები და დირექტორები, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური ან საუნივერსიტეტო განათლება და ხელმძღვანელი და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი: არანაკლებ 5 წლისა—სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებათა ინსპექტორებისათვის, არანაკლებ 7 წლისა—საოლქო, საქალაქო განყოფილებისა და ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომების ინსპექტორებისათვის და არანაკლებ 10 წლისა—საქართველოს სსრ განსახკომის ინსპექტორებისათვის.

სკოლების ინსპექტორებს დანიშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

განაკვეთები:

ა) სახალხო განათლების რაიონულ და საქალაქო განყოფილებათა სკოლების ინსპექტორებს — 700 მან. თვეში, იმათ, ვისაც საინსპექტორო მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟი აქვს, — 800 მანეთი;

ბ) ქ. თბილისის (თბილისის სახალხო განათლების განყოფილებების), სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო განათლების განყოფილების, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების სკოლების ინსპექტორებს — 900 მან. თვეში, ხოლო იმათ, ვისაც საინსპექტორო მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟი აქვს — 1.000 მანეთი;

გ) საქართველოს სსრ განსახკომის სკოლების ინსპექტორებს — 1.100 მან. თვეში, ხოლო იმათ, ვისაც საინსპექტორო მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟი აქვს, — 1.200 მან;

დ) სკოლების ინსპექტორებს, რომელთაც სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ან სამეცნიერო ხარისხი აქვს, ხელფასის განაკვეთი გაუდიდდებათ თვეში 100 მანეთით;

5. გათანაბრებულ იქნან სკოლების ინსპექტორები მორიგი შვებულების ხანგრძლივობის მხრივ მასწავლებლებთან.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჭყოს:

ა) სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების სკოლების ინსპექტორები სადილებით, თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 17 სექტემბრის დადგენილებისა;

ბ) საქართველოს სსრ განსახკომის სკოლების ინსპექტორები — სადილებით ლიტერ „ბ“-ს ნორმის მიხედვით და მშრალი ულუფის აბონემენტებით;

გ) სკოლების ყველა ინსპექტორი — საზამთრო ტანსაცმელის კომპლექტით.

7. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველჭყონ სკოლების ინსპექტორები ტრანსპორტით სკოლებში მიმოსვლისათვის.

8. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ წარმოადგენილი დებულებანი სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა სკოლების ინსპექტორების შესახებ და საქართველოს სსრ განსახკომის ინსპექტორის შესახებ (იხ. დანართი).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ბაძრაძე**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი**.

1945 წლის 9 აგვისტოს.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წ.
9/VIII № 975 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის
სახალხო ინსპექტორის შესახებ

1. ზოგადი ნაწილი

I. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი ან-ხორციელებს სახელმწიფო კონტროლს:

ა) დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლებისა და პედაგოგიური სასწავლებლების მთელს სასწავლო-აღმზრდევლობით მუშაობაზე და თავის სპეციალობის მიხედვით ცალკე საგნის სწავლებაზე;

ბ) ავტონომიური სსრ განსახკომების სასკოლო განყოფილებებისა და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორების მუშაობაზე;

გ) რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებების გამგეებისა და ინსპექტორების მიერ სკოლებზე ხელმძღვანელობის ხაზით წარმოებულ მუშაობაზე;

დ) რაიონულ და საქალაქო პედაგოგიურ კაბინეტების მუშაობაზე.

2. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორებთან ინიშნებიან საუკეთესო მასწავლებლები, სკოლის გამგეები და დირექტორები, რომელთაც აქვთ დასრულებული უმაღლესი პედაგოგიური ან საუნივერსიტეტო განათლება და ხელმძღვანელ თანამდებობაზე და მასწავლებლად მუშაობის სტაჟი არანაკლებ 10 წლისა.

3. სასკოლო ინსპექტორს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი.

II. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორის მოვალეობანი

4. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორის მოვალეობას შეადგენს სკოლის შესახებ პარტიისა და შთავრობის და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე რესპუბლიკის დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში გაუწიოს ხელმძღვანელობა და კონტროლი:

ა) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას;

ბ) სასწავლო დისციპლინების სწავლებას დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით და პედაგოგიური პროცესის სწორად წარმართვას;

გ) სკოლის შინაგანაწესსა და გაკვეთილების ცხრილს;

დ) მოსწავლეთა შორის აღზრდელობით მუშაობას. კლასის ხელმძღვანელების მუშაობას და მოსწავლეთა წესების გატარებას;

ე) პედაგოგიური საბჭოს მუშაობას;

ვ) მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დადგენილი წესის დაცვა-გატარებას;

ზ) მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს;

თ) სკოლის სააღრიცხვო დოკუმენტების—საკლასო ჟურნალის, სკოლის დღიურის (მატიანის), მოსწავლეთა წარმატების აღრიცხვის, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და ბილეთების (მოწმობების) და სხვ. წარმატების საქმეს;

ი) სკოლის გარეშე და კლასგარეშე მუშაობას;

კ) სასკოლო კაბინეტების მოწყობასა და მათ გამოყენებას;

ლ) სასკოლო ქონებისა და ნივთების დაცვას;

მ) სკოლის კეთილმოწყობას და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას;



6) სკოლის დირექტორისა (გამგისა) და სასწავლო გამგის მუშაობას.

5. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სასკოლო ინსპექტორი საქიროების შემთხვევაში ვალდებულია პირადად აწარმოოს მოსწავლეთა გამოკითხვა და ჩაატაროს საკონტროლო წერიტი მუშაობა.

6. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი ანხორციელებს სათანადო ხელმძღვანელობას და უწყევს კონტროლს განათლების ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს—ავტონომიურ სსრ განსახკომების სასკოლო განყოფილებებს და ოლქის, რაიონებისა და ქალაქის განათლების განყოფილებებსა და პედაგოგიურ კაბინეტებს. მათი მუშაობის გამოკვლევისას ინსპექტორი ამოწმებს:

- ა) წლიურ და კვარტალურ სამუშაო გეგმებს;
- ბ) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებას და სასკოლო ქსელის სწორად დაგეგმვას;
- გ) სადირექტივო ორგანოებისა და საქართველოს სსრ განსახკომის დადგენილებების, ინსტრუქციების, ცირკულარებისა და განკარგულებათა გატარებას, სკოლებზე ხელმძღვანელობას და სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგად მიღებულ ღონისძიებებს;
- დ) მასწავლებელთა შორის მეთოდურ მუშაობას (საუბნო-ჯგუფური თათბირები, კონსულტაციები, მოხსენებები, ლექციები, ღია გაკვეთილები და სხვ.).

7. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი ხელმძღვანელობს სასწავლო დისციპლინებში პროგრამების და მეთოდური წერილების შედგენასა და გადაკეთებას. ლებულობს მონაწილეობას სახელმძღვანელო წიგნების, განათლების სახალხო კომისარიატის დასამტკიცებლად წარსადგენ სასწავლო-აღმზრდელობითი და სასკოლო-საორგანიზაციო ხასიათის დებულებების, ინსტრუქციების, ცირკულარული წერილებისა და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების შედგენისა და განხილვის საქმეში.

8. სასწავლო საგნების სწავლების მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით განსახკომის სასკოლო ინსპექტორი ესწრება მასწავლებლების გაკვეთილებს, ეცნობა მოსწავლეთა წერიტისა და სხვა ნამუშევრებს, ამოწმებს პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისების ხარისხს, სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის მუშაობას და სკოლების მიმართ ავტონომიური სსრ განსახკომებისა და ოლქის, ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებისა

და პედაგოგიური კაბინეტის ხელმძღვანელობისა და დახმარების
საქმეს.

9. სკოლის გამოკვლევის შედეგების განხილვას საქართველოს
სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი აწარმოებს შემდეგი სახით:

ა) გამოკვლევის შედეგები, როგორც წესი, განიხილება პედა-
გოგიურ საბჭოს სხდომაზე. ოქმში აღინიშნება სკოლაში არსებუ-
ლი ნაკლი და მიღწევები. ოქმს თან დაერთვის ინსპექტორის მიერ
შემუშავებული წერილობითი ღონისძიებანი სკოლაში არსებული ნაკ-
ლის გამოსწორების შესახებ:

ბ) ისეთ შემთხვევაში, როდესაც სკოლის მუშაობის სპეციალუ-
რი მხარის გამოკვლევა სწარმოებს და პედაგოგიურ საბჭოს სხდო-
მაზე საკითხის განხილვა აუცილებელი არ არის, ინსპექტორი ატა-
რებს საუბარს სკოლის დირექტორთან, სასწავლო ნაწილის გამგე-
სთან და იმ პირებთან, რომელთაც შეეხებათ გამოკვლევა, მიუთითებს
მათ არსებული ნაკლის შესახებ, ადგენს მითითებებს და სტოვებს
სკოლაში წერილობითი სახით;

გ) საჭირო შემთხვევაში ინსპექტორი ერთი ან რამდენიმე სკო-
ლის გამოკვლევის შედეგების განზოგადების მიზნით იწვევს მთელი
რაიონის, რაიონის გარკვეული უბნის, ან ქალაქის სკოლების დირექტო-
რების (გამგებების) და სასწავლო ნაწილის გამგეების ან მოცემული სას-
წავლო დისციპლინების მასწავლებელთა საინსტრუქციო თათბირს;

დ) გამოკვლევის შედეგებს ინსპექტორი აცნობს ავტონომიური
სსრ განსახკომებს, ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების გან-
ყოფილების გამგეებს.

10. ავტონომიური სსრ სასკოლო განყოფილებათა, ოლქის,
რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილებათა და პედაგოგი-
ური კაბინეტების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ ინსპექ-
ტორი ადგენს ღონისძიებებს და წერილობითი სახით ტოვებს მათ
ადგილზე.

11. დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების, პედა-
გოგიური სასწავლებლების, პედაგოგიური კაბინეტების, რაიონის,
ქალაქის, ოლქის განათლების განყოფილებისა და ავტონომიური სსრ
განსახკომების გამოკვლევათა საფუძველზე სასკოლო ინსპექტორი
ადგენს შესაფერ მობხენებას და საჭირო შემთხვევაში საქართველოს
სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს
უფროსის მეშვეობით აყენებს საკითხს საქართველოს სსრ განსახ-
კომის კოლეგიაზე განსახილველად.

საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორის
შაობას აწარმოებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისი-
სრის მიერ დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველო სამსახურის
დამტკიცებული კვარტალური გეგმის საფუძველზე.

13. ყოველი კვარტალისა და წლის ბოლოს ინსპექტორი ად-
გენს მოხსენებას მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

III. ინსპექტორის უფლებები

14. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორს უფ-
ლება აქვს სწავლა-აღზრდის დაყენების საქმეში მითითებები მისცეს
ავტონომიური სსრ განსახკომების სასკოლო განყოფილებების უფ-
როსებს, ავტონომიური ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების
განყოფილების გამგეებს, ინსპექტორებს, პედაგოგიური კაბინეტის
გამგეებს და მეთოდისტებს, სკოლების დირექტორებს (გამგეებს),
სასწავლო ნაწილის გამგეებსა და მასწავლებლებს.

ინსპექტორის მიერ მიცემული მითითებების შესრულება სავალ-
დებულაა.

ასეთ შემთხვევაში, როცა ავტონომიური სსრ განსახკომები,
ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეე-
ბი, პედაგოგიური კაბინეტების გამგეები, სკოლის დირექტორები,
სასწავლო ნაწილის გამგეები, მასწავლებლები არ ეთანხმებიან სა-
ქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორის დასკვნებს,
ინსპექტორის მითითება მაინც ძალაში რჩება საქართველოს სსრ გა-
ნათლების სახალხო კომისიის მიერ საკითხის საბოლოოდ გადაწყვე-
ტამდე.

15. საქართველოს განსახკომის სასკოლო ინსპექტორს უფლება
აქვს მოითხოვოს, ხოლო ავტონომიური სსრ განსახკომები, ოლქის,
რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებანი, პედაგოგიური
კაბინეტები და სკოლის დირექტორები ვალდებულნი არიან წარუდ-
გინონ მას ყველა საჭირო მასალა.

16. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორის
დასკვნის საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისარი მოხსნის დაწყებითი, შვიდწლიანი, საშუალო სკოლის
დირექტორს (გამგეს), სასწავლო ნაწილის გამგეს და მასწავლებელს.

17. ინსპექტორს უფლება აქვს დაესწროს საქართველოს სსრ
განსახკომის კოლეგიის სხდომებს და მიიღოს სათათბირო ხმით
მონაწილეობა მის მუშაობაში.

18. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი მო-
რიგი შევებულების უფლებით გათანაბრებულია მასწავლებლებთან

19. საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ინსპექტორი
უზრუნველყოფილი უნდა იქნას საზამთრო ტანსაცმელითა და ტრან-
სპორტით მივლინების დროს.

20. საქართველოს სსრ განსახკომის აპარატში ყოველი სამი
წლის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ სასკოლო ინსპექტორს ეძ-
ლევა ერთი თვის სამეცნიერო მივლინება სსრ კავშირის ცენტრა-
ლურ ქალაქებში.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის
9|VIII № 975 დადგენილებით.

რ ე ბ უ რ ე ბ ა

რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების
სასკოლო ინსპექტორის შესახებ

I. ზ ო გ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი

1. რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების სასკოლო
ინსპექტორი ანხორციელებს ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო
კონტროლს რაიონში (ქალაქში) არსებული დაწყებითი, შვიდწლია-
ნი და საშუალო სკოლების მუშაობაზე.

2. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო
ინსპექტორებად ინიშნებიან საუკეთესო მასწავლებლები, სკოლის
გამგეები და დირექტორები, რომელთაც აქვთ დასრულებული უმა-
ღლესი პედაგოგიური ან საუნივერსიტეტო განათლება და ხელმძღ-
ვანულს თანამდებობაზე და მასწავლებლად მუშაობის სტაჟი არა
ნაკლებ ხუთი წლისა.

3. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო
ინსპექტორს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისარი.

II. რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების
სასკოლო ინსპექტორის მოვალეობანი

4. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო
ინსპექტორის მოვალეობას შეადგენს სკოლის შესახებ პარტიისა
და მთავრობის და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომი-

სარიატის მიერ მიღებულ დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე რაიონის (ქალაქის) დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში გაუწიოს ხელმძღვანელობა და კონტროლი:

ა) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებას;
ბ) საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებას და პედაგოგიური პროცესის სწორად წარმართვას;

გ) მოსწავლეთა შორის აღმზრდელობით მუშაობას, კლასის ხელმძღვანელების მუშაობას და მოსწავლეთა წესების გატარებას;

დ) მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დადგენილი წესების დაცვა-გატარებას;

ე) სკოლის პედაგოგიური საბჭოს მუშაობას;

ვ) მასწავლებელთა დახელოვნების საქმეს;

ზ) სკოლის გარეშე და კლასგარეშე მუშაობას;

თ) მშრომელთა შორის მუშაობას;

ი) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის აღრიცხვისა და ზემდგომ ორგანოების წინაშე ანგარიშგების წარმოების საქმეს;

კ) სასკოლო კაბინეტების მოწყობას და მათ გამოყენებას;

ლ) სასკოლო ქონებისა და ნივთების დაცვას;

მ) სკოლის კეთილმოწყობასა და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას;

ნ) სკოლის დირექტორისა (გამგისა) და სასწავლო ნაწილის გამგის მუშაობას.

5. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი საქიროების შემთხვევაში ვალდებულია პირადად აწარმოოს მოსწავლეთა გამოკითხვა და ჩაატაროს წერიტი საკონტროლო მუშაობა.

6. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი ხელმძღვანელობას უწევს პედაგოგიური კაბინეტის მუშაობას და მონაწილეობას ღებულობს მასწავლებელთა კატარების შერჩევისა, გადაჯგუფებისა, დანიშვნისა და სასკოლო ქსელის დაგეგმვის საქმეში.

7. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი უშუალოდ ექვემდებარება განათლების განყოფილების გამგეს და მუშაობს გამგის მიერ დამტკიცებული გეგმის საფუძველზე.

8. სასკოლო ინსპექტორი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის გაცნობას აწარმოებს გაკვეთილებ წრებისა, მოს-

წავლეთა დღიურების, ნაწერების, ნახაზებისა და სხვა ნამუშევრებისა და ყველა სათანადო დოკუმენტების—სასწავლო ცხრილების, ნაგანაწესის, პედაგოგიური საბჭოს და მეთოდური სათათბირო განყოფილების ოქმების, წარმატების მაჩვენებლების, საკლასო ჟურნალების, სკოლის დღიურის, მოსწავლეთა პირადი საქმეების, სკოლის დირექტორისა (გამგისა) და სასწავლო ნაწილის გამგის მუშაობის ამსახველი მასალების და სკოლის ანგარიშების შესწავლის საფუძველზე,

9. გამოკვლევის შედეგების შესახებ, როგორც წესი, სასკოლო ინსპექტორი მოხსენებას აკეთებს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ამასთან ერთად სასკოლო ინსპექტორი ადგენს წერილობითი მითითებებს და სტოვებს მას სკოლაში.

საჭირო შემთხვევაში სასკოლო ინსპექტორი განათლების განყოფილების გამგესთან შეთანხმებით სკოლის გამოსაკვლევად იყენებს მოწინავე მასწავლებლებს.

10. თითოეული სკოლის გამოკვლევის საფუძველზე სასკოლო ინსპექტორი განათლების განყოფილების გამგეს უდგენს:

ა) მოხსენებასა და დასკვნებს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ;

ბ) სკოლების საუკეთესო მუშაკების დახასიათებას;

გ) დასაბუთებულ წინადადებებს თავისი თანამდებობისათვის შეუფერებელი ამათუიმ მუშაკის თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ.

11. სკოლის მუშაობის კარგი ნიმუშების განზოგადებისა და ნაკლის აღმოფხვრის მიზნით, განათლების განყოფილების გამგის დასტურით, განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი, საჭიროების მიხედვით:

ა) სკოლების გამოკვლევის შედეგებს აცნობს მთლიანად რაიონის (ქალაქის), ან რაიონის ცალკე უბნის მასწავლებელთა თათბირს;

ბ) აწყობს ღია ვაკეითილებს, სემინარებს, ლექციებს, კონსულტაციებს, მოხსენებებს და უზრუნველყოფს მათზე მასწავლებელთა დასწრებას;

გ) სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობას აშუქებს ადგილობრივი გაზეთისა და ცენტრალური პედაგოგიური პრესის ფურცლებზე.

12. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი სკოლების მუშაობის შესახებ ყოველი კვარტალისა და წლის ბოლოს ადგენს ანგარიშებს.

III. სასკოლო ინსპექტორის უფლებანი



საგანმანათლებლო
სისტემის მართვა

13. სასკოლო ინსპექტორის მიერ სკოლის მუშაკებისათვის ცემულ მითითებათა შესრულება სავალდებოლოა. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასკოლო ინსპექტორის დასკვნებს სკოლის ადმინისტრაცია არ ეთანხმება, ინსპექტორის განკარგულება მაინც ძალაში რჩება, მისი შეცვლა შეიძლება მხოლოდ განათლების განყოფილების გამგის განკარგულებით.

14. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ინსპექტორი მორიგი შევებულების მხრით გათანაბრებულია მასწავლებლებთან.

15. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის სკოლების გამოკვლევისას ეძლევა ტრანსპორტი ან სათანადო სახსრები ტრანსპორტისათვის და საზამთრო ტანსაცმელი.

16. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორისათვის განათლების განყოფილების აპარატის ტექნიკური საქმიანობის დაკისრება (სტატისტიკური ცნობების შეკრება-შეჯამება, სხდომის ოქმების წერა და სხვა) აკრძალულია.

ვამტკიცებ, საქ. სსრ განათლების
სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე

1946 წ. „ 15 „ იანვარი

რ ე ბ უ რ ე ბ ა

დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის
პედაგოგიური საბჭოსი

I. პედაგოგიური საბჭოს მიზანი და ამოცანები

§ 1.

პედაგოგიური საბჭო იქმნება სკოლაში სასწავლო-სააღმწოდ-
ლო საკითხების განსახილველად და სათანადო ღონისძიებათა და-
სახაზავად.

II. პედაგოგიური საბჭოს სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია

§ 2.

პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს სკოლის მუდმივ მომქმედ
ორგანოს.

შენიშვნა: დაწყებით სკოლებში, სადაც ოთხზე ნაკლები მასწავლ-
ბელია, ეწყობა პედაგოგიური თათბირები.

§ 3.

პედაგოგიური საბჭოს მუდმივ წევრებად ითვლებიან: სკოლის
დირექტორი (გამგე). მისი მოადგილე სასწავლო ნაწილში, სამხედრო
ხელმძღვანელი, ამ სკოლის ყველა მასწავლებელი, უფროსი პიონერ-
ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკის გამგე, სასკოლო ექიმი და მშობელთა
კომიტეტის თავმჯდომარე.

§ 4.

პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, საჭიროების შემთხვევაში,
შეიძლება მოწვეულ იქნან ადგილობრივ საზოგადოებრივი, საბჭოთა
და მოსწავლეთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მშობლები და
სხვა პირები.

მათი მოწვევის აუცილებლობას განსაზღვრავს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე.

§ 5.

პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარედ ითვლება სკოლის დირექტორი (გამგე).

§ 6.

პედაგოგიური საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს მუდმივ მდივანს ერთი წლის ვადით.

§ 7.

პედაგოგიური საბჭო მუშაობს გეგმით, რომელსაც ყოველი მეოთხედისათვის ადგენს სკოლის დირექტორი (გამგე) და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

შენიშვნა: პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმა წარედგინება საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებას.

§ 8.

პედაგოგიური საბჭოს სხდომას იწვევს სკოლის დირექტორი (გამგე) არანაკლებ ორისა თვეში.

განსაკუთრებულ შემთხვევაში სკოლის დირექტორს (გამგეს) შეუძლია მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომა.

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხები წინასწარ კარგად უნდა იქნას მომზადებული.

§ 9.

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ყოველ საკითხზე გამოაქვთ დადგენილება, რომელიც ეხმარება სკოლის ხელმძღვანელობასა და მასწავლებლებს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში.

§ 10.

ყველა საკითხზე პედაგოგიურ საბჭოს დადგენილება გამოაქვს ხმის უბრალო უმრავლესობით.

ხმის თანაბრად გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმას ეძლევა უპირატესობა.

პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია გამოიტანოს დადგინებული, თუ სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ ორი მესამედი.

III. პედაგოგიური საბჭოს მუშაობის შინაარსი

§ 12.

პედაგოგიური საბჭო:

ა) იხილავს მთავრობისა და პარტიის დირექტივების განსახორციელებლად სკოლის მიერ დასახულ ღონისძიებებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების, სკოლისა და მასწავლებლის შესახებ საქართველოს სსრ განსახკომისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების ბრძანებებს, მითითებებსა და განკარგულებებს;

ბ) იხილავს სკოლის მუშაობის გეგმებს;

გ) ისმენს მასწავლებელთა, სამხედრო ხელმძღვანელის, საგნობრივი კომისიების ხელმძღვანელთა ანგარიშებს სასწავლო პროგრამის შესრულების, სწავლების მეთოდების, მოსწავლეთა ცოდნისა და დისციპლინის შესახებ და გამოაქვს დადგენილებანი სწავლებისა და აღზრდის გასაუმჯობესებლად;

დ) ისმენს კლასის ხელმძღვანელთა ანგარიშებს მოსწავლეთა წარმატების მდგომარეობის, დისციპლინის, მოსწავლეთათვის საჭირო დახმარების აღმოჩენის შესახებ და სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის სხვა საკითხებზე ცალკეული კლასის მიხედვით, ისმენს დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის მოხსენებებს მასწავლებელთა ვაკეეთილებზე დასწრების შედეგების, წერით ნამუშევრების რაოდენობისა, გასწორებისა, შეფასებისა და სხვა სასწავლო-სა-აღმზრდელო საკითხებზე;

ე) იხილავს მოსწავლეთა ყოფაქცევას, ლებულობს დასაბუთებულ დადგენილებას დაჯილდოებისა და წახალისების, ყოფაქცევაში ნიშნების დაკლების, აგრეთვე სკოლიდან მოსწავლეთა გარიცხვის შესახებ;

ვ) ისმენს პიონერხელმძღვანელის მოხსენებას პიონერებთან მუშაობის მდგომარეობის შესახებ;

ზ) იხილავს კლასგარეშე კითხვისა და საწრეო მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის საკითხებს;

თ) იხილავს სასკოლო ბიბლიოთეკის გამგის მუშაობის გეგმასა და ანგარიშებს;

ი) ყოველი მეოთხედისა და წლის ბოლოს იხილავს სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობის შედეგებს; გადასაცემი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადების საკითხებსა და გამოცდების შედეგებს; სწვევტს საკითხს მოსწავლეთა შემდეგ კლასში გადაყვანის, ოქროსა და ვერცხლის მედლების მინიჭების, მოწმობა-ატესტატის გაცემისა და მოსწავლეთა დაჯილდოების შესახებ;

კ) იხილავს სწავლა-აღზრდის აქტუალურ საკითხებს: საუკეთესო მოსწავლეებელთა და კლასის ხელმძღვანელთა გამოცდილებას, მშობლებთან მუშაობის პედაგოგიურ პროპაგანდის და მოსწავლეთა ორგანიზაციის მუშაობის საკითხებს.

ლ) მოსწავლეებელთა თეორიული დონის ამოღების მიზნით იმდენს მოხსენებებს პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და მეთოდის საკითხებზე;

მ) იხილავს სკოლის მიერ ხარჯთაღრიცხვის შესრულებას გასული სასწავლო წლის განმავლობაში;

ნ) იხილავს სკოლის დირექტორის (გამგის) ანგარიშს, რომელიც უნდა წარედგინოს განათლების განყოფილებას;

ო) იხილავს ახალ სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებს: (საყოველთაო სწავლების გატარება, სკოლის კადრებით უზრუნველყოფა, სკოლის მატერიალური ბაზის გაძლიერება და სხვა).

IV. პედაგოგიური საბჭოს წევრთა უფლება-მოვალეობანი § 13.

პედაგოგიური საბჭოს ყველა წევრი სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე დამსწრე სხვა პირები სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით.

§ 14.

პედაგოგიური საბჭოს ყოველ წევრს უფლება აქვს პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე თავისი ინიციატივით დასვას სკოლის სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

§ 15.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოა საბჭოს ყველა წევრისათვის, სკოლის ადმინისტრაციასა და ყველა სასკოლო ორგანიზაციისათვის.

თუ პედსაბჭოს დადგენილებას არ ეთანხმება სკოლის დირექტორი (გამგე) თავის დასაბუთებულ მოსაზრებებს უკანასკნელს უგზავნის საქალაქო (სარაიონო) განათლების განყოფილებას, რომელიც ვალდებულია ერთი კვირის განმავლობაში მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება და ამის შესახებ აცნობოს დირექტორსა (გამგეს) და პედსაბჭოს.

§ 16.

პედაგოგიური საბჭოს ყველა წევრი ვალდებულია დროულად და ზუსტად შეასრულოს პედაგოგიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებანი.

V. პედაგოგიური საბჭოს საქმისწარმოება

§ 17.

პედაგოგიური საბჭოს ოქმები იწერება სპეციალურად შემოღებულ, ზონარგაყრილ, დანომრილ და განათლების განყოფილების მიერ შემოწმებულ წიგნში.

§ 18.

პედაგოგიური საბჭოს ოქმები იწერება მელნით, სუფთად, ყოველ ოქმში უნდა იქნას აღნიშნული თარიღი და ნომერი, დამსწრეთა გვარი და სახელი, სხდომის წესრიგი. გარჩეული საკითხები უნდა იქნას მოცემული მოკლედ, მაგრამ სრულიად ამომწურავად, მოკამათის სიტყვის შინაარსის აღნიშვნით, ოქმში მოცემულ უნდა იყოს ამათუიმ საკითხზე მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება.


პედაგოგიური საბჭოს ოქმს ხელს აწერენ: პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი და საბჭოს ყველა წევრი.

პედაგოგიური საბჭოს ოქმები ინახება სკოლის საქმეებში და სკოლის ჩაბარება-გადაბარების დროს უნდა გადაეცეს აქტით.

VI. კონტროლი პედაგოგიური საბჭოს მუშაობაზე

§ 19.

პედაგოგიური საბჭო ყოველ თავის სხდომაზე ვალდებულია შეამოწმოს წინა სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება.



ბრძანება № 253

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1945 წ. „5“ თებერვალი

1. დაწყებით და საშუალო სკოლის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი სამოქალაქო ისტორიის სწავლების შედეგების შესახებ 1945-46 სასწავლო წლის პირველ ნახევარში, დამტკიცდეს.

2. დაევალოს განათლების განყოფილების გამგეებს და სკოლის დირექტორებს, მოხსენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით ზიილონ გადამჭრელი ზომები სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელთა მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად; უზრუნველჰყონ სკოლები რუკებით და სხვა დიდაქტიკური მასალებით, შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკები ისტორიის სახელმძღვანელოებით და დამხმარე ლიტერატურით, არ დაუშვან პროგრამით გათვალისწინებული თემების შეცვლა, შეკვეცა ან გამოტოვება, ან კურსის თანამიმდევრობის შეცვლა.

3. დაევალოს დაწყებით, შეიღწლიან და საშუალო სკოლების სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლებს გულდასმით შეისწავლონ მოხსენებით ბარათში აღნიშნული ნაკლოვანებანი, გააძლიერონ თავის თავზე მუშაობა, საფუძვლიანად ემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის, მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება გაკვეთილების მეთოდურად სწორად აგების საქმეს, მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინოება, მიაჩვიონ მოსწავლეები დამოუკიდებელ მუშაობას და ძირიანად გარდაქმნან მუშაობა განმეორების დარგში.

საქართველოს სსრ განათლების

სახალხო კომისარი ვ. კუპჩაძე

მოხსენებითი ბარათი

სამოქალაქო ისტორიის სწავლების შედეგების შესახებ

1945-46 სასწავლო წლის პირველ ნახევარში.

მიმდინარე სასწავლო წელს, მშვიდობიან პირობებში ჩვენი სკოლების მუშაობის პირველი წლის პირველ ნახევარში, საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს საინსპექტორო შემოწმებამ დაადისტურა, რომ მრავალ

სკოლაში ისტორიის სწავლება კარგად არის დაყენებული. მასწავლებლები მოხერხებულად იყენებენ მოსწავლეთა პატრიოტულ-ზრდისათვის ჩვენი თანადროულობის შესანიშნავ მოვლენებს: საბჭოთა ხალხის ძლევა მოსილ გამარჯვებას პროგრესიული კაცობრიობის საზიზღარ მტერზე—ფაშისტურ გერმანიაზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის დიდი საბჭოთა ხალხის ერთსულოვან სამზადისს.

მშვიდობიანი შრომის პირობებში ისტორიის მასწავლებლები, ჩვენი სამშობლოს სიდიადით გამოწვეულ სამართლიანი სიამაყის გრძნობით აღფრთოვნებულნი, კიდევ უფრო მონდომებით მუშაობენ საბჭოთა მოზარდი თაობის ღირსეულად აღზრდისა და ისტორიის ცოდნით შეიარაღებისათვის. მოსწავლეებმა—კარგად იციან ისტორიული ფაქტები და თარიღები, გააზრებული აქვთ ისტორიული მასალა და მოვლენები, შესწევთ უნარი დასკვნების გამოყენისა, ისტორიულ პირთა შეფასებისა და სხვა.

თბილისის ვაჟთა მე-7 სკოლის (მასწ. გ. მგალობლიშვილი) მე-10 კლასის მოსწავლეები სავსებით სწორად აშუქებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ შექმნილ მდგომარეობას, დალაგებულად, ზუსტი თანმიმდევრობით მოგვითხრობენ რევოლუციური კრიზისის ზრდისა და მასების ბოლშევიზაციის შესახებ, დამაჯერებლად ასაბუთებენ შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას, მოხდენილ ანალიზს უკეთებენ იმ დროს შექმნილ საერთაშორისო ვითარებას. მოსწავლეებმა კარგად იციან ადრე გავლილი მასალაც. მთელი კლასი სავსებით დამაკმაყოფილებლად ახასიათებს რუსეთის იმპერიალიზმის თავისებურებას, მოსწავლეები იცნობენ ამ მოვლენის დასახასიათებლად ლენინის და სტალინის გამოთქმებს. იციან რუსეთ-იაპონიის ომის ფაქტური მასალა და სხვა.

ასევე კარგად სწავლობენ საქართველოს ისტორიას. დიდი ინტერესით გადმოსცემენ დავით აღმაშენებლის კულტურულ საქმიანობას, დაწვრილებით აღწევენ იმ დროის ჭამოჩენილ მეცნიერთა და ფილოსოფოსთა მოღვაწეობას, დავითის სარწმუნოებრივ და ეროვნულ პოლიტიკას. თავიანთ გამართულ თხრობაში ხშირად იყენებენ ისეთ მასალასაც, რომელიც საკლასო სახელმძღვანელოში არ მოიპოვება. სიანს დამხმარე ლიტერატურითაც სარგებლობენ.

კარგი წარმატება აქვს თავის მუშაობაში კახის საშუალო სკოლის მასწავლებელს ს. მეგენიშვილს. მოსწავლეები მე-9 კლასში დამაჯერებლად აშუქებენ 1870—1871 წ. გერმანიის იმპერიის შექმნის პროცესს, კარგად ხსნიან ბისმარკის საშინაო და საგარეო

პოლიტიკის მოტივებს, იმპერიის აგრესიულ ზრახვებს. ამავე სასწავლებლის მე-6 კლასის მოსწავლეებს შეგნებულად აქვთ წარმოადგინებული მონათმფლობელური რომის საზოგადოების სტრუქტურა მე-3 და მე-2 საუკუნეებში; დალაგებით მოგვითხრობენ პუნიკური ომების მსვლელობას, კარგად აღწერენ ჰანიბალის ლაშქრობას.

ასეთი წარმატებით მუშაობენ ისტორიის მასწავლებლები: ცაგარეიშვილი (საკარეჯოს საშუალო-სკოლა), ა. ცხაკაია (ზუგდიდის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლა), გიორგობიანი (ამბროლაურის საშუალო სკოლა) და მრავალი სხვა.

ეს მიღწევა მოპოებულია ისტორიის მასწავლებელთა პატიოსანი და დაუღალავი შრომის შედეგად. მათ უყვართ თავიანთი საქმე. ისინი თავისი შრომის ენტუზიასტები არიან: განუწყვეტლივ აღრმავებენ თავის ცოდნას ისტორიულ მეცნიერებათა დარგში, მუშაობენ სწავლების მეთოდის საკითხებზე, გულდასმით ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას და გაკვეთილს მიმზიდველად გადასცემენ. ისინი გაურბიან ტრაფარეტს, ერთხელ დადგენილ შაბლონს ბრმად არ მისდევენ, ამრავალფეროვანებენ სწავლებას და მოსწავლეთა შეუნიღებელ ინტერესს იწვევენ საგნისადმი.

უდავოა, რომ ისტორიის სწავლება წელს გაცილებით უკეთეს მაჩვენებლებს იძლევა, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალ ნაკლს აქვს ადგილი. ბევრგან ჯერ კიდევ ისტორიის მასწავლებლებმა ვერ დასძლიეს სწავლების ძირითადი ნაკლი. ამიტომ აქ უფრო მეტად სწორედ ამ ნაკლოვანებაზე გვინდა შევაჩეროთ ჩვენი მასწავლებლების ყურადღება, რომ სასწავლო წლის მეორე ნახევარში უფრო მოფიქრებულად, გეგმიანად და მეტი მონდომებით და შეუპოვრობით ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ.

რა ნაკლი ახლავს მოსწავლეთა ცოდნას ისტორიაში?

1. მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ისტორიული მასალის გამართულ თხრობას. მოსწავლეთა თხრობა უფერულია, ხშირად რამდენჯერმე მონოტონურად იმეორებენ უაზროდ გახეხილებულ სიტყვებს და წინადადებებს. სრულებით არ იცავენ მასალის თანმიმდევრობას, ჰყვებიან ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უშვებენ მრავალ ლოგიკურ, ენობრივ და სტილისტურ შეცდომებს: „ბრძოლობდნენ“, „მითომდა“, „რიგ შემთხვევაში“ (კასპის საშუალო სკოლა, — მასწავლებელი შალუტაშვილი); „მრავალი საფრანგეთის ჯარი დაიღუპა“, „500 ათასი არმია იყო“ (მუხრანის საშუალო სკოლა, — მასწ. ზეიკიძე); „სვიატოსლავი ზდაროვი მოყვანილობის

კაცი იყო“ (საგარეჯოს საშუალო სკოლა—მასწ. დოლონჯაშვილი)
ამაზინჯებენ ისტორიულ პირთა და ადგილების სახელებს, ისტორიულ ფაქტებსაც; მაგალ., ლენტეხის საშუალო სკოლის (მასწ. ლებელი ტვილდიანი) მეოთხე კლასში მოსწავლეები ამბობენ: — „პეტრე თურქეთთან ომს აწარმოებდა კასპიის ზღვის ნაპირებისათვის“, „გლახთა და ყაზახთა აჯანყებას პეტრე 1-ლის დროს პუგაჩოვი ხელმძღვანელობდა“, „ბაშკირთა აჯანყებას კი—ბატირშა“—მასწავლებელი ყველაფერ ამას, შესწორების ნაცვლად, ადასტურებს.

ტიბაანის საშუალო სკოლის (სიღნაღის რაიონი) მასწ. თ. ჭაბაშვილს შეეკითხვაზე, თუ სად მდებარეობს ეგვიპტე, უპასუხებენ — ეგვიპტე მდებარეობს — ატლანტიის ოკეანედან მეწამულ ზღვამდე, რადგან კლასში გაკვეთილი არაფერ არ იცოდა, მასწავლებელმა განმეორებით „აუხსნა“ იგივე თემა, რომელშიაც თვითონ გაიმეორა — „ეგვიპტე გადაჭიმულია ატლანდიის ოკეანედან მეწამულ ზღვამდე“.

ფარცხანაყანევის საშ. სკოლის (ქუთაისის რაიონი—მასწ. თევდორაძე) მე-3 კლასში მასწავლებელი ასე ამთავრებს თავის თხრობას — „ივანე III დროს შეიქმნა ერთი მთლიანი ეროვნული სახელმწიფო, რომელიც შესდგებოდა მრავალი სხვადასხვა ერებისაგან.. რა გასაკვირია, მასწავლებელთა ერთი ჯგუფის ასეთი მუშაობის შემდეგ მოსწავლეებს ისტორიული ფაქტების ცოდნა, რომ არ ჰქონდეთ.

ზოგჯერ მოსწავლე თავის თხრობაში სრულიად უმნიშვნელოსა და მეორეხარისხოვანზე ჩერდება. დაწვრილებით გადმოგვცემს ასეთ დეტალს, როდესაც უმთავრესსა და არსებითს სრულებით უყურადღებოდ სტოვებს. ორბელის საშუალო სკოლის (ცაგერის რაიონი, მასწ. ნეფარიძე) მე-9 კლასის მოსწავლეები სუვოროვის ლაშქრობის შესახებ თხრობაში ხშირად იმეორებდნენ „ჯარის-კაცები ალპებზე გადასვლისას ჯდებოდნენ გაყინულ კლდეებზე და სრალით მიეკანებოდნენ ქვევით“. მაგრამ სრულებით ვერ აღწერდნენ იმ ღირსშესანიშნავ სამხედრო ოპერაციას, და ვერაფერს ამბობდნენ მის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

2. ხშირად მოსწავლეები კმაყოფილდებიან ზოგადი სქემებით და ფაქტიური მასალის სრულ უცოდინარობას იჩენენ. მაგალითად, მოგვითხრობენ რომის ისტორიიდან პლებეებისა და პატრიციების ბრძოლაზე, როგორც ზოგად რამეს, როგორც საერთოდ ბრძოლას, მაგრამ ვერც ერთ ფაქტს ამ ბრძოლისას ვერ დაასახელებენ და მით უმეტეს, ვერ აღწერენ მათ. თბილისის ქალთა მე-17 რუსული საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ნასყიდა-

შვილი), რომის ადრეული პერიოდის ისტორიიდან კითხვებზე ვერ დაასახელებს ტრიბუნატის შექმნის თარიღი. ვერ გაარკვიებ ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა, დეცემვიროთა კომისიის შექმნა, 12 ტაბულის კანონი. ამგვარ მოვლენების წინააღმდეგ მასწავლებელმა განსაკუთრებულად უნდა გაამახვილოს ყურადღება. მასალის შესწავლისადმი ასეთი მიდგომა, ერთი მხრით აჩვენებს მოსწავლეებს ზერელობას და მეორე მხრით, ინტერესს უკარგავს მათ ისტორიული მოვლენების შესწავლისადმი, ვინაიდან მათ ეს მოვლენები უფერულად და შაბლონურად წარმოუდგებათ. მათ ვამოუშუშავდებათ ისეთი წარმოდგენა, თითქოს საკმარისია ზოგადი ფორმულების გაზეპირება და ამ ფორმულებით შეიძლება შეიცვალოს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ცოდნა.

3. აქედან გამომდინარეობს ქრონოლოგიის უგულვებელყოფაც. მოსწავლეებს არ ესმით ქრონოლოგიის ცოდნის მნიშვნელობა. ისინი ისტორიულ ამბებს ვერ ათავსებენ სათანადო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, არღვევენ ისტორიულ-ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. არა მარტო დაბალ, არამედ ზოგჯერ მე-6-7 კლასებშიაც ერევათ წელთაღრიცხვა, ძნელად ერკვევიან ძველ და ახალ ერაში, უძნელდებათ წლების მიხედვით საუკუნეების დასახელება, საუკუნის ნაწილის აღნიშვნა (პირველი თუ მეორე ნახევარი, საუკუნის დასაწყისი და დასასრული). ჩანს, თარიღები ხანდახან მექანიკურად აქვთ დასწავლილი და ამიტომ მათ შემეცნებაში ეს თარიღები რეალურ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული, ამ მოვლენებში ჩაქსოვილი და მათი გაგებისათვის აუცილებელი რამ კი არ არის, არამედ რაღაც განყენებული, დამოუკიდებლად არსებულ და თავისთავად კატეგორიად იქცევა. ამიტომ, როდესაც მათ დაუსვამთ კითხვას— „რამდენი ხნით არის ჩვენგან ესა თუ ის მოვლენა დაცილებული, რამდენი ხანი გავიდა ერთი რომელიმე მოვლენიდან მეორე მოვლენამდის“— ხშირად უმართებულო პასუხებს ვღებულობთ, მით უმეტეს მაშინ, თუ ეს კითხვა ეხება ძველი წელთაღრიცხვის ამბებს. ამასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ცოდნის ერთერთ ძირითად ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სინქრონისტულ მოვლენებზე. ეს განსაკუთრებული სიმწვავეით იჩენს თავს შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლისას. აქ მოსწავლეებს მრავალი პარალელური და ზოგჯერ მეტად მსგავსი ისტორიული პროცესის შესწავლა უხდებათ და ხშირად ავიწყდებათ, რომ ეს ერთდროული მოვლენებია და არა ერთი მეორის მომდევნო.

მოსწავლეების მექანიკური, გაუაზრებელი ცოდნა განსაკუთრებით მკაფიოდ ისტორიული განმარტების, ტერმინების და ცნებების დამახინჯებით აოვისებაში შედგენილია. აქ ტიპური შეცდომებია: ზოგადობა, ყველაფრის გამარტივება, ზერელობა, შაბლონი. მოსწავლის წარმოდგენით ყველა ტიპის კლასობრივი საზოგადოება თითქმის ერთგვარად იხატება. კლასებიც თავის კონკრეტულ სახეობას ჰკარგავენ და აბსტრაქტულ ცნებად იქცევიან. მოწინააღმდეგე კლასებს მოსწავლე ახასიათებს ზოგადად, ერთის მხრით, როგორც მყვლეფელს, მჩაგვრელს, გაბატონებულს და მეორეს მხრივ გაყვლეფილს, დაჩაგრულს, უფულებოს, მაგრამ თუ რა კონკრეტული თავისებურებები ახლავს მათ სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმაციაში, — ამას ის ვერ განმარტავს, ვერ აღწერს. ამიტომ ის მონას უწოდებს ყველა ექსპლოატირებულს, დაწყებული ძველი აღმოსავლეთის პატრიარქალურ - საოჯახო მონობიდან იმპერიალიზმის ეპოქამდე, ან კიდევ ყმად ნათლავს მონას, ყმას და კაპიტალიზმის დროს დაქირავებულ მუშაკსაც კი. სწორედ ამის გამო მას უჭირს სხვადასხვა ეპოქის კლასობრივი ბრძოლის თავისებურებათა აღწერა და გაგება, ეკარგება ისტორიული პერსპექტივა.

4. ზემოდდასახელებულის მსგავს შეცდომებს უშვებს მოსწავლე პოლიტიკური წყობის ფორმათა შესწავლისას. ვერ ამჩნევს განსხვავებას დესპოტიასა და მონარქიას შორის, მით უმეტეს — მონარქიის სხვადასხვა სახეებს შორის. ვერ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან საბერძნეთის და რომის აღრინდელ მეფის ხელისუფლებას და შუა საუკუნეებისა და ახალი დროის მეფეთა ხელისუფლებას შორის.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს მე-ნ კლასში. აქ განსაკუთრებით უჭირთ მოსწავლეებს რომის იმპერიის თანდათან განვითარების და ამასთან დაკავშირებით მმართველობის ფორმის სახეცვლილების (პრინციპატი, დომინატი) დასაბუთება და სწორად წარმოდგენა. ხშირად დესპოტიისა და მონარქიის მრავალ სახეს განმარტავენ, როგორც ერთმმართველობას და ამრიგად მათთვის არავითარი განსხვავება არ არის ფარაონების ხელისუფლებასა, რომის აღრინდელ მეფობასა და წოდებრივ აბსოლუტურ ან წარმომადგენლობით მონარქიას შორის. ასეთივე მდგომარეობა გვხვდება მმართველობის რესპუბლიკური ფორმების შესწავლაშიც. ვერ ერთი, საკმაო სიცხადით ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან რესპუბლიკურ და მონარქიულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს. მაგრამ უფრო მეტ ბუნდოვანობას აქვს ადგილი თვით რესპუბლიკური წყობილების მრავალსახეობის გარჩევის დროს. ათენის დემოკრატიული

რესპუბლიკა, ხალხის უშუალო და არა წარმომადგენლობითი მმართველობა, სპარტის არისტოკრატიული რესპუბლიკა, შუა საუკუნეების იტალიის ქალაქი—რესპუბლიკები და თანამედროვე ბურჟუაზიული რესპუბლიკები მოსწავლის შემეცნებაში საერთოდ რესპუბლიკის ცნებაში ითქვიფება. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ძალზე აძნელებს ისტორიული განვითარების საფეხურების სწორ შესწავლას.

5. საკმაოდ გავრცელებულია ასეთი ხასიათის შეცდომაც. მოსწავლეები ერთმანეთში ურევნენ სხვადასხვა კატეგორიის მოვლენებს და ცნებებს. როდესაც ჩვენ ვსთხოვთ მას ადრეული ფეოდალური მონარქიის დახასიათებას, ისინი ამ სახელმწიფოებრივი ფორმის, ე. ი. პოლიტიკური მომენტის აღწერისა და დახასიათების ნაცვლად, ლაპარაკობენ მეურნეობაზე, კლასობრივ შემადგენლობაზე, ან კიდევ სხვა მხარეებზე, ან პირიქით, კითხვას უსვამთ სამეურნეო ურთიერთობის შესახებ და პასუხად კი პოლიტიკური ან სოციალური ვითარების აღწერას ვღებულობთ. აქ საქმე გვაქვს სხვადასხვა ცნებების არევისთან.

დაახლოებით ამგვარ მოვლენებთან—ისტორიული ტერმინების და ცნებების დაუზუსტებლობასთან გვაქვს საქმე, როდესაც მოსწავლეები ვერ არკვევენ სხვადასხვა თანამდებობის პირთა ფუნქციებს და ტიტულებს (დიქტატორი, კონსული, ტრიბუნი, პროკონსული, იმპერატორი, მეფე და სხვა). ყველა ესენი მათთვის მხოლოდ მმართველები არიან თბილისის ვაჟთა მე-29 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეთა წარმოდგენით დიქტატორი ხან კონსულია, ხან სარდალი და ხან კი სენატორი (მასწავლებელი მ. კიკალიშვილი).

მასალის ამგვარად შესწავლის გამო მოსწავლეები ახერხებენ ფაქტიური მხარის ასე თუ ისე გადმოცემას, მაგრამ როდესაც საქმე გარკვეული დებულებიდან დასკვნის გამოყვანაზე მიდგება, ისინი იზნევიან და სრულებით შეუფერებელ პასუხს იძლევიან. უჭირთ ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირება, მიზეზშედევობრივი ურთიერთობის აღმოჩენა, ანალოგიების დადგენა, პარალელის გაყვანა შედარებისათვის და სხვა. ვერ უპასუხებენ თუ რა იწვევს ამათუიმ მოვლენას, რატომ ხდება ის, რა მნიშვნელობა აქვს მას. თბილისის მე-17 ქალთა სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები აღწერენ კოლონატს, თუმცა ცალმხრივად, ხოლო რამ გამოიწვია ეს მოვლენა—ამაზე პასუხს ვერ იძლევიან.

ზევით ჩვენ შევჩერდით მოსწავლეთა ცოდნის ძირითად და არსებით დეფექტებზე. ისინი დამახასიათებელია, ტიპიურია, ასეთი ნაკლოვანებანი, სამწუხაროდ ჯერ კიდევ ბევრგან გვხვდება. მათი

აღნიშნა, გაშუქება მათი აღმოფხვრის მიზნით აუცილებლად საჭიროა, უფრო მეტი, საჭიროა თითოეული მათგანის დაწვრილებით შესწავლა, რომ გაადვილდეს მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა ამ ნაკლთა ფესვების, წყაროების გათვალისწინება. სად უნდა ვეძიოთ მათი მიზეზი?

მიმდინარე სასწავლო წლის I და II მეოთხედში სკოლების შესწავლამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მთავარი მიზეზი მაინც მასწავლებელში უნდა ვეძიოთ. ჯერ კიდევ წავაწყდებით აქა იქ მასწავლებელს, რომელიც სათანადოდ არ დაუფლებია საგანს და მისი სწავლების მეთოდიკას.

1. ასეთი მასწავლებელი გაკვეთილისათვის მზადებას მხოლოდ მოსწავლის სახელმძღვანელო წიგნით ფარგლავს და ცხადია, ის მოსწავლეებს ვერ დააინტერესებს, ვერ აღუძრავს მათ საგნისადმი სიყვარულს, ვერ დაიმსახურებს, სათანადო პატივისცემას და ავტორიტეტს. ისტორიის მასწავლებელთა მეორე ნაწილმა, რომელთა მოსწავლეები ცუდ წარმატებას იჩენენ, საგანი უკეთესად იცის, მაგრამ მისი მუშაობის ხარისხი მაინც დაბალია. რატომ? იმიტომ, რომ ის გაკვეთილისათვის არ ემზადება, არ ადგენს მოთქმებულად გაკვეთილის გეგმას და ამის გამო მისი გაკვეთილი არასრულფასოვანია. ერთი მხრით, ასეთი მასწავლებლის გაკვეთილი მუდამ შაბლონურია, გარკვეულ ტრაფარეტს მიჰყვება, ერთფეროვანია; გამოკითხვა რამდენიმე მოსწავლის გამოძახებით და ერთი ორი კითხვით, ახალის ახსნა მასწავლებლის თხრობით და რამდენიმე კითხვა კლასის მიმართ გაკვეთილის ბოლოს. ასეთი დაყოფა კანონად გადაიქცა და მასწავლებელს ვერც კი წარმოუდგენია, თუ რაიმე ცვლილების შეტანა შეიძლება ამ საქმეში.

მეორეს მხრივ, ის უმართებულოდ ანაწილებს დროს გაკვეთილის სხვადასხვა მომენტებს შორის, ძალიან ხშირად მეტად ამოკლებს გაკვეთილის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და ძირითად მომენტს—ახალის ახსნას.

2. ახალი გაკვეთილის თემის ყოველმხრივი გაშუქების და მასწავლებლის ცოცხალი მეტყველებით მისი მასალის მეცნიერული თანმიმდევრობით, მიმზიდველად და დამაჯერებლად თხრობის ნაცვლად, მასწავლებელი კმაყოფილდება სახელმძღვანელოს ტექსტის შეკუმშულად და ძალზე უფერულად გადმოცემით, თანაც განუმარტავად სტოვებს მასალაში მოცემულ ცნობებს, ტერმინებს. ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ მასწავლებელი გაკვეთილისათვის მომზადებული არ არის, ცდილობს დრო გაიყვანოს და თავისი თხრობისათვის მეტად მცირე დრო მოიტოვოს, აბა რა ფასი უნდა ჰქონდეს ასეთ

გაკვეთილს, როდესაც მასწავლებელმა მე-9 კლასში (ბოდბისხევის საშუალო სკოლა, მასწ. ილია ზურაბიშვილი) ახალი თემის მასწავლებელმა შემდეგი სიტყვებით განსაზღვრა: „საფრანგეთის სოფლის გლეხობა განიცდიდნენ გაპირვებულ მდგომარეობას, მევახშეებიდან იღებდნენ სესხს და დიდ პროცენტს უხდიდნენ. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია გამოყენებული არ იყო მდგომარეობის გაუარესების გამო“. ამის შემდეგ წიგნიდან კარნახით ჩააწერია კონსპექტი, რომელიც წინასწარ კი არ ჰქონდა შედგენილი, არამედ წიგნიდან კარნახობდა. ცხადია, მართებულად ვერ კუმშავდა მასალას და ამიტომ ასეთი უაზრო წინადადებებიც ჩააწერია: „ძალიან დაბლა იდგა ფრანგი მოსახლეობის სასიცოცხლო დონე და ამავე მიზეზით იყო გამოწვეული მოსახლეობის ზრდაც“.

ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის მე-4 კლასში (მასწავლებელი—რიჩინაშვილი) მასწავლებელმა სამ წუთში „მოუთხრო“ ახალი გაკვეთილი. რომელიც ასეთი წინადადებით დაამშვენა „ექატერინე მე-2 ნაპოლეონთან კავშირი შეკრა და მან გამოიყენა ყანდარმები საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ჩასახშობად“.

ვიზორებთ, ისტორიის გაკვეთილის მთავარი მომენტი მასწავლებლის თხრობაა, ახალი მასალის თანმიმდევრობით გადაცემა და სწორად თხრობას ატარებენ ძალზე ცუდად ის მასწავლებლები, რომელთა მოსწავლეების ცოდნა გამორკვევით მეტად დაბალი აღმოჩნდა. ისინი არ იყენებენ დამხმარე ლიტერატურას, არ მუშაობენ თავისი მეტყველების განვითარებაზე, არ ამდიდრებენ გაკვეთილის მასალას ცოცხალი, მკვერმეტყველური მაგალითებით და ხანდახან სახელმძღვანელოს ტექსტის სუსტად ცოდნის გამო—გაკვეთილზე წინ უდევთ მოწაფეთა სახელმძღვანელო წიგნი და ამ წიგნის მიხედვით ადვენებენ თვალყურს მოსწავლის პასუხს და თავის თხრობასაც მისი დახმარებით ატარებენ (თბილისის ქალთა მე-17 საშუალო სკოლა, მასწ. ლეინი, კასპის საშუალო სკოლა, მასწ. შალუტაშვილი, ძეგვის საშუალო სკოლა, მასწ. გორდელაძე). გასაგებია, რომ მოსწავლეებიც სავსებით მისაღებად და ჩვეულებრივ მოვლენად სთვლიან გაკვეთილის თხრობის ან მასწავლებლის კითხვაზე პასუხის გაცემის დროს წინ გადაშლილი წიგნი ედოთ და იმით სარგებლობდნენ.

3. ცოდნის განმტკიცებისა და მოსწავლეთა აზროვნების განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მეთოდურად გამართულ და მართებული კითხვების დასმას კლასის მიმართ. კითხვა არა მარტო გავლილი მასალის ცოდნის შემოწმების საშუალება უნდა

იყოს, არამედ უნდა იწვევდეს მოსწავლეების დაფიქრებას და ხელს უწყობდეს მისი ცოდნის გაღრმავებასა და დასისტემებას. ცხადია, არავითარი ღირებულება არა აქვს ასეთ კითხვებს—„მებატონეები ბატონობდნენ თუ არა“, „იაკობინელები რევოლუციონერები იყვნენ თუ არა“. „ლუდოვიკო მე-16 გზაში დაიჭირეს თუ არა“ (მუხრანის საშუალო სკოლა მასწ. ნ. ზეიქიძე). ან „გალიაში ვისი აჯანყება ხდებოდა“. „რა სახელწოდებით ხდება“—(მასწ. ჭეიშვილი, თბილისის მე—7 სკოლა). ეს მხოლოდ მასწავლებლის ზერელობისა და გაკვეთილისათვის მოუმზადებლობის მაჩვენებელია. ასეთი მასწავლებლის გაკვეთილის გეგმა, მხოლოდ ფორმისათვისაა შედგენილი, თორემ მას რაიმე დახმარების გაწევა მასწავლებლისათვის რა შეუძლია.

4. ზოგან ისტორიის ყოველგვარი თვალსაზრისისა და დიდაქტიკური მასალის გამოყენების გარეშე ასწავლიან. უმრავლეს შემთხვევაში ისტორიის ურთუოდ სწავლება შეუძლებელია. ისტორიული მოვლენები სივრცის გარეშე ხომ არ ვითარდებიან? ცხადია, კასპის საშუალო სკოლის მოსწავლეებს—(მასწ. შალუტაშვილი) მუდამ ბუნდოვანი წარმოდგენა ექნებათ აღმოსავლეთ სლავების განსახლებაზე დნებრის აუზში, ვინაიდან სლავთა ტომის ათამდე სახელწოდება დაუსახელა მასწავლებელმა კლასს ისე, რომ არც დაფაზე დაუწერია ის და, რაც მთავარია, რუკაზე არ უჩვენებია, რუკა არ ჰქონდა და თანაც მოსწავლეებს ეუბნებოდა, რომ ბულგართა სახელმწიფო დონზე წარმოიშვაო.

არაფერს ვლაპარაკობთ აქ იმაზე, რომ რუკის შემოტანის იშვიათ შემთხვევაშიაც ასეთი მასწავლებლები მას სათანადოდ ვერ იყენებენ. მართალია, სამწუხაროდ ბევრ სკოლას კედლის ისტორიული რუკა ცოტა მოეპოება, მაგრამ ისტორიის სახელმძღვანელოში ბლომად არის რუკები და სურათები. მეთოდურად მათი სწორად გამოყენება დიდ დახმარებას გაუწევდა ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას.

5. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამეორების სწორ ორგანიზაციას. ამ მხრივაც ბევრი მასწავლებელი და ხშირად ისეთიც, რომელთაც საერთოდ მუშაობაში კარგი წარმატება აქვს, სათანადოდ ვერ ატარებს მას. სიმძიმის ცენტრი ან მოსწავლეზე გადააქვს და ემყარება მხოლოდ მოსწავლის საშინაო მუშაობას და არ ამოწმებს, თუ რას აკეთებს მოსწავლე, ან პირიქით, კმაყოფილდება მხოლოდ საკლასო მუშაობით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გაკვეთილი ძალზე იტვირთება და ახალი მასალაც იკვეცება. მეტად მძიმე მდგომარეობაა მე-10 კლასში, სადაც გასავლელი მასალის დიდი მოცულობის გამო განმეორებისა-

თვის მეტად მცირე დრო რჩება. სწორედ ამიტომ უმართებულოა განმეორების ისეთი წესი, როგორითაც ზოგიერთი მასწავლებელი ატარებს მას, მაგალითად ქალთა მე-17 საშუალო სკოლის მასწავლებელი ლევინი სთხოვს მოსწავლეებს ახალი მასალის თხრობასთან ერთად მოჰყვეს მთლიანად მთელი გასამეორებელი მასალა, რასაც მეტად დიდი დრო უნდება.

კლასში უმთავრესად საკვანძო საკითხებზე სჯობს შეჩერება, ფართოდ უნდა მივმართოთ მიმოხილვით ლექციებს.

6. ზოგიერთი მასწავლებელი არ ადევნებს თვალყურს სახელმძღვანელო მითითებებს და განკარგულებებს და ამის გამო უმართებულოდ ადგენს მის საგანში ძირითად სასკოლო დოკუმენტს წლიურ სამუშაო კალენდარულსა და თემატიკურ გეგმებს. ზოგან თანმიმდევრობა უხეშად ირღვევა, მაგ. მე-9 კლასში წლის პირველ ნახევარში, ნაცვლად სსრკ ისტორიის მე-II ნაწილისა, ახალ ისტორიის მეორე ნაწალს სწავლობენ (ზუგდიდის, სოხუმის, კასპის რაიონის სკოლებში).

7. არსებობს სხვა ხელისშემშლელი პირობებიც. მცირე რაოდენობით აქვთ მოსწავლეებს სახელმძღვანელოები, სრულებით არა აქვთ მე-9 კლასში ახალი ისტორიისა და მე-10 კლასში სსრკავშირის ისტორიის სახელმძღვანელო, გადასინჯვას მოითხოვს პროგრამებიც, სუსტია განათლების ორგანოების დახმარება.

მაგრამ ისტორიის სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა უმთავრესად ისტორიის მასწავლებლის მუშაობის გარდაქმნაზეა დამოკიდებული; მისი მაღალი იდეურ-პოლიტიკური მომზადება, ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიით შეიარაღება, საქმით დაინტერესება და ბეჯითი მუშაობა ისტორიის სწავლების გადაჭრით გაუმჯობესების ძირითადი პირობაა.

საქართველოს სსრ განსახკომის დაწესებულებით და საშუალო სკოლის სამმართველო

1946 წლის 10 იანვარი.

„ვამტკიცებ“,
საქ. სსრ განათლების
სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე
1945 წ. 15 დეკემბერი.

ღებულება

პედაგოგიური სასწავლებლების დამხმარე მეთრნეობისა

დამხმარე მეთრნეობის მიზანი და ამოცანები

I. პედაგოგიურ სასწავლებელთან დამხმარე მეთრნეობა ეწყობა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 18 ივლისის დადგენილების საფუძველზე პედაგოგიურ სასწავლებლების მოსწავლეთა კვების გაუმჯობესების მიზნით. მის ამოცანას შეადგენს: მოსწავლეთა სასაბილოს უზრუნველყოფა დამხმარე მეთრნეობის მიწის ნაკვეთიდან მიღებული დამატებითი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით— ბოსტნეულით, კარტოფილით, ლობიოთი და ამასთანავე დამხმარე მეთრნეობის ფერმებიდან, — ხორციითა და რძის ნაწარმით.

II. დამხმარე მეთრნეობის სამეთრნეო-საფინანსო მდგომარეობა

ა) პედსასწავლებელთან არსებული დამხმარე მეთრნეობა წარმოადგენს სამეთრნეო ანგარიშზე მყოფ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და ბანკში ანგარიშსწორების ჩეკი;

ბ) დამხმარე მეთრნეობა ამარაგებს პედსასწავლებლის მოსწავლეთა სასაბილოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით კანონით დაწესებულ ფასებში;

გ) დამხმარე მეთრნეობის მუშაობა განისაზღვრება სამეთრნეო ორგანიზაციულ და საწარმოო-ფინანსური გეგმებით, რომელსაც იხილავს პედსასწავლებლის დირექტორი და ამტკიცებს საქართველოს სსრ განსახკომი;

დ) დადგენილ წესის მიხედვით დამხმარე მეთრნეობას ეძლევა გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები;

ე) დამხმარე მეურნეობა არსდება ამ დებულების საფუძველზე და მისი რეგისტრირება ხდება არსებული წესის მიხედვით ადგილობრივ საფინანსო ორგანოებში;

რეგისტრირების შემდეგ დამხმარე მეურნეობა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით;

ვ) დამხმარე მეურნეობას აქვს საკუთარი ბეჭედი.

III — დამხმარე მეურნეობის მიწით სარგებლობა

ა) დამხმარე მეურნეობას მიწა ეძლევა შესაბამისი (საოლქო და სარაიონო) აღმასკომების სპეციალური აქტით ან სხვა დოკუმენტით.

ბ) დამხმარე მეურნეობის მიწის ნაკვეთის ჩამოჭრა, ან საზღვრების შეცვლა დაიშვება მხოლოდ შესაბამისი (საოლქო, სარაიონო) აღმასკომების დადგენილებით მიმდინარე წლის თესლბრუნვისა და დამხმარე მეურნეობის სხვა სამეურნეო ინტერესების ხელის შეუშლელად.

გ) დამხმარე მეურნეობის თესვის გეგმა დგება დამხმარე მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის საფუძველზე საოლქო (სარაიონო) გეგმასთან შეთანხმებით და მტკიცდება დირექტორის მიერ.

IV. დამხმარე მეურნეობის მმართველობა

1. დამხმარე მეურნეობას ხელმძღვანელობს გამგე, რომელსაც ნიშნავს და ცვლის პედსასწავლებლის დირექტორი.

2. დამხმარე მეურნეობის გამგე თავის მუშაობაში უშუალოდ ექვემდებარება პედსასწავლებლის დირექტორს.

3. დამხმარე მეურნეობის გამგე პედსასწავლებლის დირექტორის მიერ მიცემულ მინდობილობის საფუძველზე (მინდობილობის სხვა პირზე გადაცემის უფლების უქონლად) მართავს, დამხმარე მეურნეობას, განაგებს დამხმარე მეურნეობის საშუალებებს დამტკიცებულ საწარმოო საფინანსო გეგმის ფარგლებში, აწარმოებს აუცილებელ ოპერაციებს და პასუხისმგებელია სამეურნეო საქმიანობისა, დამტკიცებული გეგმის შესრულებისა, ფინანსური და ხელშეკრულებითი დისციპლინისა, სოციალისტური საკუთრების დაცვისა და ყველა კანონისა და წესების შესრულებისათვის, რომელიც აწესრიგებს დამხმარე მეურნეობას.

V. დამხმარე მეურნეობის გამგის უფლება-მოვალეობანი

ა) დამხმარე მეურნეობის საქმიანობის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ყველა სახელმწიფოებრივ, კოოპერატიული და სა-

ზოგადოებრივ ორგანიზაციებში და აგრეთვე სასამართლო ორგანიზაციებში და არბიტრაჟში;



ბ) გამგებლობა დამხმარე მეურნეობის საშუალებების, ფასეულებისა და ფულადი სახსრების ხელშეკრულების დადება და ვალდებულების აღება;

გ) დამხმარე მეურნეობის ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის საწარმოო-საფინანსო გეგმების, შტატების, წლიური ანგარიშგების და ბალანსის შედგენა და პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორის მეშვეობით დასამტკიცებლად საქართველოს სსრ განსახკომში წარდგენა;

დ) დამხმარე მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა მიღება და განთავისუფლება გარდა უფროსი ბუხვალტერისა, აგრონომისა, ზოოტექნიკისა და ვეტექიმისა, რომელიც ინიშნება და იცვლება პედსასწავლებლის დირექტორის მიერ;

ე) სახელმწიფო ვალდებულების შესრულება პროდუქტების ჩაბარებისა და გადასახადების შეკრება-გადახდა არსებული კანონის შესაბამისად;

ვ) ბანკში საანგარიშსწორებო ხარჯთაღრიცხვის გახსნა და არსებული თანხების განმგებლობა ოპერაციების საბანკო წესების უფლებით და საბანკო კრედიტების გამოყენება;

ზ) ხარჯებისა და პროდუქტების თვითღირებულების შემცირებისათვის ღონისძიებების გატარება, მომჭირნეობა და დამხმარე მეურნეობის შინაგანი საწარმოო-ტექნიკური და მატერიალური რესურსების მობილიზაცია;

თ) ანგარიშისა და ანგარიშსწორების სწორად დაყენება;

ი) სათანადო ღონისძიების გატარება საწარმოო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის სოციალისტური ფორმისა და სტახანოური მეთოდით მუშაობის დანერგვისა და დამხმარე მეურნეობაში აგროკულტურისა და ტექნიკაში წარმატებების მიღწევისათვის.

VI. დამხმარე მეურნეობის საშუალებები

ა) დამხმარე მეურნეობას აქვს საწესდებო ფონდი, რომელიც პედსასწავლებლის დირექტორის წარდგენით მტკიცდება საქართველოს სსრ განსახკომის მიერ;

ბ) დამხმარე მეურნეობის შემოსავალი განიკუთვნება საწარმოო მატერიალური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, თანხმად საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებულ დამხმარე მეურნეობის საწარმოო-ფინანსური გეგმისა;

გ) დამხმარე მეურნეობის ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და შეიძლება სხვაზე გადაცემა ცხოლოდ დადგენილი წესით;

დ) დამხმარე მეურნეობა პასუხისმგებელია მის განკარგულებაში მყოფ ქონებაზე. პედაგოგიური სასწავლებელი დამხმარე მეურნეობის ვალეზე არ არის პასუხისმგებელი.

VII. დამხმარე მეურნეობის მომარაგება

1. დამხმარე მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, წარმოების იარაღებით, საწვავი მასალით, საშენი მასალით და რესურსების სხვა ფონდით მომარაგება სწარმოებს საქ. განათლების სახ. კომისარიატის საერთო გეგმით.

2. თესლეულობითა და მეცხოველეობის მეურნეობის მომზადებით, მუშახელითა და ადგილობრივი მნიშვნელობის საშენი მასალით მომარაგება სწარმოებს პედსასწავლებლის მეურნეობის ძალებითა და სარეზერვო ფონდით და აგრეთვე იმ ფონდით, რომელსაც გამოყოფს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და სარაიონო საბჭოები.

VIII. პასუხისმგებლობა, კონტროლი და რევიზია

1. დამხმარე მეურნეობა, გარდა მიმდინარე ანგარიშებისა, ვალდებულია პედსასწავლებლის დირექტორის საშუალებით საოპერაციო წლის დამთავრებისას დადგენილ ვადებში წარადგინოს საქართველოს სსრ განსახკომში წლიური ანგარიში, ბალანსი და დაგროვებათა განაწილების პროექტი და დანაკარგი ჩამოსაწერად.

2. დამხმარე მეურნეობის კონტროლი, საქმიანობა და რევიზია ხორციელდება საქართველოს სსრ განსახკომისა და აგრეთვე სხვა ორგანოების მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

IX. დამხმარე მეურნეობის მოქმედების უწყვეტა

1. პედაგოგიური სასწავლებლის დამხმარე მეურნეობა სწყვეტს თავის მუშაობას საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრიის ბრძანებით.

2. ლიკვიდირებული დამხმარე მეურნეობის ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი გადაეცემიან დადგენილი წესის მიხედვით ბალანსურ ფასებში პედსასწავლებლებს ან სხვა დამხმარე მეურნეობებს ან საბჭოთა მეურნეობებს, — სასოფლო მეურნეობაში გამოსაყენებლად პირდაპირი დანიშნულებით.

პ/მგ. რედაქტორი მ. ბურჭულაძე

412
1946

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარიატის ბრძა-
ნებათა და განკარგულებათა

პრებსული

წელიწადი მეცხრა

№ 2	Сборник приказов и распоряжений НКПроса Грузинской ССР	1946 წ.
-----	---	---------

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 342—საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით, სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივ და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაჯილდოების შესახებ ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ 2
2. ბრძანება № 320—სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში არსებულ ნაკლოვანებათა და ზოგიერთ დამახინჯებათა შესახებ 21
3. ბრძანება № 299—სამზრეთ-ოსეთის ა. ო. სტალინირისა და ზნაურის რაიონების ზოგიერთ სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ 26



ბრძანება № 342

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატიდან.
1946 წ. 20 თებერვალი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით, სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაჯილდოვდნენ ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“

1. აბაშიძე ლევან ტრიფონის-ძე—ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.

2. აბაშმაძე ერემია მათეს-ძე—ქ. მახარაძის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელი.

3. ალექსიძე ვახტანგი მიხეილის-ძე—კასპის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

4. ამიროვი გიორგი იავორის-ძე—სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

5. ანდრიახიანი ზარუი ილიას-ასული—ბოლნისის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

6. ანჯაფარიძე პლატონ ალექსანდრეს-ძე—აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის წითელი შუქურას 7-წლიანი სკოლის მასწავლებელი.

7. ასათიანი პლატონიდა ნიკოლოზის-ასული—აჭარის ასსრ ბათუმის სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგე.

8. არველაძე ნიკანდრო ზაქარიას-ძე—სამტრედიის რაიონის ქაენის 7 წლიანი სკოლის დირექტორი.

9. ახრახაძე შალვა კონსტანტინეს-ძე—ჭიათურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

10. აპრესოვი ლევან სერგოს-ძე—თბილისის მე-4 ვაჟთა საშუალო სკოლის სამხედრო ხელმძღვანელი.

11. აღბულაშვილი ნიკოლოზ მათეს-ძე—თელავის I ქალთა საშუალო სკოლის სამხედრო ხელმძღვანელი.



12. **ბაბლიძე** ეკატერინე სიმონის-ასული—ზესტაფონის I ქალთა საშუალო სკოლის დირექტორი.
13. **ბაგაევი** სიმონ ანდრეას-ძე—სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სოფ. კემულტის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
14. **ბაიაშვილი** ელენე გრიგოლის-ასული—თიანეთის რაიონის სიმონიანთხევის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
15. **ბალანჩივაძე** ისაქი იავორის-ძე—ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.
16. **ბარამია** ბაბუცი დიმიტრის-ასული—წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯვარის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.
17. **ბარამიძე** გრიგოლ რეჯდბის-ძე—საქ. სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს მეთოდური განყოფილების უფროსი.
18. **ბასარია** შალვა ბაჯიას-ძე—აფხაზეთის ასსრ გალის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
19. **ბასილაია** ალექსანდრე რომანოზის-ძე—აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.
20. **ბასილაშვილი** ეკატერინე ილიას-ასული—დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის სიღნაღის რაიკომის თავმჯდომარე.
21. **ბახტაძე** ეკატერინე თედორეს-ასული—საქ. სსრ განსახკომის არქივის გამგე.
22. **ბებურია** ნადია პავლეს-ასული—ხობის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
23. **ბეჟანიძე** მამედ არიფის-ძე—აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.
24. **ბერულავა** იასონ კონსტანტინეს ძე—გეგეპკორის რაიონის კურზუს საშუალო სკოლის დირექტორი.
25. **ბიგვავა** ნატალია მიხეილის-ასული—აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის ხოფის 7-წლიანი სკოლის დირექტორი.
26. **ბიწაძე** ვარლამ ნესტორის ძე—საქ. სსრ განსახკომის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი.
27. **ბოკუჩავა** ნიკოლოზ აქესენტის-ძე - ცხაკაიას პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელი.
28. **ბოჭორიშვილი** ვალაქტონ მარკოზის-ძე—ამბროლაურის რაიონის შრომის 7 წლიანი სკოლის მასწავლებელი.
29. **ბოჭორიშვილი** შალვა ვლადიმერის-ძე—ადიგენის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

30. ბუვა მიხეილ ცაგუს-დე—აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის I ბედიის 7 წლიანი სკოლის დირექტორი.
31. ბუბაშვილი ერმის პეტრეს-დე—ტყიბულის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.
32. ბუკია ნიკოლოზ საბას-დე—ქ. ზუგდიდის პირველი რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
33. ბურდული ოლია გაბრიელის-ასული—დუშეთის რაიონის მადაროსკარის საშუალო სკოლის დირექტორი.
34. ბეჟანიშვილი ზაქარია იოსების-დე—სოხუმის ქართული პედაგოგიური სასწავლებლის სამხედრო ხელმძღვანელი.
35. გაბისონია არისტრახ მიხეილის-დე—საქ. სსრ განსახკომის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლების სამმართველოს უფროსი.
36. გავრილოვი ანა გაბრიელის-ასული—წალკის რაიონის ბეშტაშენის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
37. გამცემლიძე ნინო ალექსის-ასული—თბილისის 24-ე ქალთა საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.
38. გალიანი გრიგოლ აშბარცუმის-დე—ბოგდანოვკის საშუალო სკოლის დირექტორი.
39. გაჩეჩილაძე მარიამ ქსენოფონტეს-ასული—თელავის მე-2 ეკთა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
40. გაჯიევი ელენე პავლეს-ასული—აჭარის ასსრ ბათუმის მე-7 ქალთა საშუალო სკოლის დირექტორი.
41. გველესიანი რაისა პიმენის-ასული—ხარაგაულის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი.
42. გეგელიძე დავით გიორგის-დე—შუამთის საბავშვო სახლის დირექტორი.
43. გლურჯიძე გრიგოლ ლევანის-დე—გორის რაიონის ბერშეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
44. გოგავა სალომე არქიპოს-ასული—მაიაკოვსკის რაიონის ობჩის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.
45. გობეჩია ნიკოლოზ კონსტანტინეს-დე—ჩხოროწყუს რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.
46. გოგიაშვილი კონსტანტინე კონდრატის-დე—სავარჯოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.
47. გოგიბერიძე ლოლა ივანეს-ასული—თეთრი წყაროს რაიონის ბოგვის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

48. გოგილაშვილი მიხეილ ნიკოლოზის-ძე—აჭარეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

49. გოგიჩაიშვილი ოლღა ტარიელის-ასული—აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის ჩაქვის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

50. გონჯილაშვილი მარიამ იოსების-ასული—თიანეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

51. გოცაძე იოსებ პეტრეს-ძე—მაიაკოვსკის რაიონის წითელი ხევის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

52. გრიგოლია ტატიანა თადას ასული—საქ. ალკა ზუგდიდის რაიკომის მდივანი.

53. გუბელაძე ლიდა თეოფილეს-ასული—ქუთაისის მე-2 ქალთა საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

54. გულიაშვილი სოლომონ თევდორეს-ძე—საგარეჯოს საშუალო სკოლის მასწავლებელი.

55. გუგუნავა ოლღა პლატონის-ასული—აფხაზეთის ასსრ სოხუმის ა წერეთლის სახელობის მე-2 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელი.

56. გუნცაძე პეტრე ქაიხოსროს-ძე—აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

57. გუსეინოვი ყურბან ესმაილოლი—ბოლნისის რაიონის ფაბრიკოს საშუალო სკოლის დირექტორი.

58. გურამიშვილი ნინო ივანეს-ასული—ბორჯომის ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელი.

59. დარსალია ქეთევან მიხეილის-ასული—საქ. სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს სკოლისგარეშე მუშაობის სექტორის უფროსი.

60. დავითაძე ალი ახმედის-ძე—აჭარის ასსრ ხულოს რაიონის შუახევის 7 წლიანი სკოლის დირექტორი.

61. დავლიანიძე მიხეილ ივანეს-ძე—ონის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.

62. დანკევიჩი ვლადიმერ პავლეს-ძე—აფხაზეთის ასსრ სოხუმის ილ. ჭავჭავაძის სახელობის მე-3 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელი.

63. დახუნდარიძე თამარ ივანეს-ასული—ქუთაისის პირველი ქალთა საშუალო სკოლის დირექტორი.

64. დევიძე მარიამ ბესარიონის-ასული—სამტრედიის რაიონის ჯიხაიშის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.

64. კვირკელიას პლატონ მელქისედეკის-ძეს — საქართველოს სსრ განსახკომის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკის კაბინეტის გამგეს.

65. კვიციანიშვილს გიორგი ქრისტეფორეს-ძეს—სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.

66. კეზელს ბარბარე პეტრეს-ასულს—დუშეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

67. კეკელიას გიორგი ივანეს-ძეს—თბილისის რაიონის კოჯრის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

68. კელენჯერიძეს ბესარიონ ანტონის-ძეს—ზესტაფონის მოზრდილთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.

69. ყენიას მარიამ ნესტორის-ასულს—ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.

70. კენკაძეს გიორგი ეგნატეს-ძეს—თბილისის რკინიგზის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

71. კეჭაყმაძეს ანასტასია ტერენტის-ასულს—ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

72. კლდიაშვილს ოლღა ვიქტორის-ასულს—თბილისის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

73. ქობულიას ვასილ მაქსიმეს-ძეს—საქართველოს სსრ განსახკომის მოზრდილთა სკოლების პედაგოგიური კაბინეტის გამგეს.

74. კორძაიას ვერა ბესარიონის-ასულს—ქუთაისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

75. ყუბანეიშვილს გიორგი პავლეს-ძეს—ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

76. კუკავას პარმენ ზოსიმეს-ძეს—თბილისის ვაჟთა მე-14 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

77. ყურაშვილს ტერენტი ეგნატეს-ძეს—ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორს.

78. კუჭავას ეკატერინე ერმილეს-ასულს—სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის მონასტრის საშუალო სკოლის დირექტორს.

79. ლევიცკის გიორგი პეტრეს-ძეს—თბილისის საავიაციო ტექნიკუმის მასწავლებელს.

80. ლეჟავას სეფე პაატას-ძეს—ხაშურის რკინიგზის მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

81. ლოლუას აგრაფინა დავითის-ასულს—ფოთის დაწყებითი სკოლის გამგეს.

82. ლორთქიფანიშეს გრიგოლ კონსტანტინეს-ძეს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტს.

83. ლორთქიფანიძეს სოლომონ მიხეილის-ძეს — თბილისის სააღმშენებლო ტექნიკუმის მასწავლებელს.

84. მაისურაძეს ევსევი არტემის-ძეს — ამბროლაურის რაიონის გოდის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

85. მამულაიშვილს ოლღა ივლიანეს-ასულს — საქართველოს სსრ განსახკომის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კაბინეტის გამგეს.

86. მაზარაშვილს დანიელ გიორგის-ძეს — ქუთაისის ქალთა მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

87. მგალობლიშვილს ალექსანდრე ფილიპეს-ძეს — თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგეს.

88. მგელაძეს ნიკოლოზ დიმიტრის-ძეს — თბილისის საავიაციო ტექნიკუმის მასწავლებელს.

89. მებურიშვილს ამბროსი ბესარიონის-ძეს — თბილისის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

90. მეზვრიშვილს მარიამ ალექსანდრეს-ასულს — თელავის რაიონის კისისხევის შვიდწლედის დირექტორს.

91. მელიქაძეს დავით ისიდორეს-ძეს — საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო მშენებლობის სამმართველოს უფროსს.

92. მესხს გრიგოლ პარტენის-ძეს — ლ. ჰ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა სასახლის ფერწერის კაბინეტის ხელმძღვანელს.

93. მიხაილოვას მარიამ ალექსანდრეს-ასულს — თბილისის რკინიგზის ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

94. მუჯირს ანტონ სილოვანის-ძეს — საქართველოს სსრ განსახკომის ინსპექტორს.

95. მხეიძეს შალვა სიმონის-ძეს — თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

96. ნადარეიშვილს ანა (ფლორენცია) მიხეილის-ასულს — ცხაკაიას რკინიგზის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

97. ნადირაძეს პავლე დიმიტრის-ძეს — ქიათურის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

98. ნანეიშვილს კონსტანტინე ყარამანი-ძეს — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.

99. ნაცვლიშვილს ანა გიორგის-ასულს — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.

100. ნაცვლიშვილს სერაპიონ იროდის-ძეს—ბათუმის ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორს.

101. ნაჭყეზიას დავით ფარნაოზის-ძეს—აფხაზეთის ასსრ გულ-რიფშის რაიონის ბაბუშერის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

102. ოგიანს პოლოს გაბრიელის-ძეს—პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებელს.

103. ოდიშარიას ევგენი ნიკოლოზის-ძეს—საქართველოს სსრ განსახკომის ინსპექტორს.

104. პაპიტაშვილს ვასილ ერმილეს-ძეს—თბილისის ვაჟთა 21-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

105. პარკაიას ნინო მარკოზის-ასულს—საქართველოს სსრ განსახკომის თბილისის უსინათლოთა სკოლის მასწავლებელს.

106. ფერაძეს ირაკლი ილიას-ძეს—ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

107. ფერაძეს თომა ვასილის-ძეს—თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

108. პეტრიაშვილს ელენე ვასილის-ასულს—ქუთაისის ქალთა მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

109. ფირცხალავას დოროთე ალექსის-ძეს—ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა სასახლის პედაგოგიური ნაწილის დირექტორის მოადგილეს.

110. ფირცხალავას სევერიანე ალექსის-ძეს—ცხაკაიას ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.

111. პოპოვას ევგენია ალექსანდრეს-ასულს—თბილისის რკინიგზის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

112. პროცენკოვს ოლღა იურის-ასულს—თბილისის ქალთა 25-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

113. რაზმაძეს ელენე მიხეილის-ასულს—თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის მასწავლებელს.

114. რიადნოვას ნინო ალექსანდრეს-ასულს—თბილისის 1-ლი მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.

115. რუდენკოს ივანე გრიგოლის-ძეს—თბილისის მუსიკალური სტუდიის მასწავლებელს.

116. საყვარელიძეს ეკატერინე ვლადიმერის-ასულს—თბილისის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

117. სამსონიას ანა იაკობის-ასულს—თბილისის ქალთა მე-16 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

118. სამსონიას სალომე გიტოს-ასულს—ბათუმის რკინიგზის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

119. სანაკოვეს ნიკოლოზ დავითის-ძეს—სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს.

120. სანიკიძეს ალექსანდრა ვასილის-ასულს—თბილისის ვაჟთა მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

121. საჩჩიმელიას ალექსანდრე გიორგის-ძეს—ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

122. სოხაძეს მარიამ კონდრატეს-ასულს—თბილისის ვაჟთა მე-20 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

123. სოხაძეს ნინო კონდრატეს-ასულს—თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილეს.

124. სულავას არჩილ პეტრეს-ძეს—ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს.

125. სუმაროკოვს ფეოდოსი ალექსანდრეს-ძეს—საქართველოს სსრ განსახკომის სამხედრო საჭაერო ძალთა თბილისის სპეციალური სკოლის უფროსს.

126. სხულუხიას სამსონ გიორგის-ძეს—გეგეჭკორის რაიონის სოფ. სალხინოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

127. თალაკვაძეს ქსენია ივანეს-ასულს—ბათუმის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

128. ტერ-გეგვონდიანს ანა გრიგოლის-ასულს—თბილისის ვაჟთა 31-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

129. თოთიბაძეს კონსტანტინე ანტონის-ძეს—თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

130. ფოტინოვს ლაერენტი დემიანეს-ძეს—თბილისის ვაჟთა 28-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

131. ხარაზაშვილს ელენე კონსტანტინეს-ასულს—ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მასწავლებელს.

132. ხარებოვას მარიამ ივანეს-ასულს—სტალინირის ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.

133. ხიზანიშვილს ვლადიმერ ონისიმეს-ძეს—ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მასწავლებელს.

134. ხირხელს თამარ ზაალის-ასულს—სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

135. ცივილიზაცია ზინაიდა ივანეს-ასულს — თბილისის ქალთა 21-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
136. ცისკარიშვილს გიორგი ივანეს-ძეს — ახმეტის რაიონის მო ალვანის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
137. წულეისკირს ბარბარე გიორგის-ასულს — მუშა ახალგაზრდობის თბილისის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
138. წულუკიძეს ნინო დიმიტრის-ასულს — ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
139. ცხაკაიას კალისტრატე ნესტორის-ძეს — ზუგდიდის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს.
140. ჩერნიავსკაიას ევგენია ვასილიხ-ასულს — თბილისის მუსიკალური ათწლეულის მასწავლებელს.
141. ჩიჯავაძეს ანა გიორგის-ასულს — თბილისის მუსიკალური ათწლეულის სასწავლო ნაწილის გამგეს.
142. ჩიკვაძეს ზინაიდა კალისტრატეს-ასულს — ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს.
143. ჩიქობავას ბენედიქტე ექვთიმეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სკოლების განყოფილების მეთოდისტს.
144. ჭიჭინაძეს ვერა კონსტანტინეს-ასულს — თბილისის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს.
145. ჩიხლაძეს ევსევი ივანეს-ძეს — თბილისის საავიაციო ტექნიკუმის მასწავლებელს.
146. ჭყონია-სტურუას ალათი ლომინის-ასულს — თბილისის რკინიგზის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
147. ჩხენკელს ვლადიმერ პავლეს-ძეს — პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებელს.
148. შაფაქიძეს ლუბა სიმონის-ასულს — თბილისის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
149. შარაძენიძეს სიმონ ბესარიონის-ძეს — პუშკინის სახ. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგეს.
150. შანტაბინსკაიას ნაზლი ისა სულთან ყზის — თბილისის ქალთა 37-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
151. შუშანიას ონოფრე ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ განსახკომის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
გ. ეზნატაშვილი

1946 წ. 5 მარტი, ქ. თბილისი.

ბრძანება № 342

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი
1946 წ. „20“ თებერვალი

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის მეოთხე კურსზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და არითმეტიკაში ჩატარებული საკონტროლო წერითი შემოწმების შედეგების შესახებ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი დამტკიცდეს.

2. აღინიშნოს, რომ არადამაკმაყოფილებელი ცოდნა-ჩვევა გამოამჟღავნეს:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში: ახალქალაქის (დირექტორი ლ. აბაშიძე), ქ. თბილისის (დირექტორი მ. ფირცხალაიშვილი), ზესტაფონის (დირექტორი თ. მანჯავიძე) პედსასწავლებლების მოსწავლეებმა;

ბ) რუსულ ენაში: ახალქალაქის, ქ. თბილისისა და გორის (დირექტორი ი. კაპანაძე) პედსასწავლებლის მოსწავლეებმა;

გ) არითმეტიკაში ახალქალაქის, გორის, ხაშურის (დირექტორი ე. ნოზაძე), სიღნაღის (დირექტორი მ. თანდაშვილი), ბათუმის (დირექტორი ო. ჩხიკვიშვილი) პედსასწავლებლის მოსწავლეებმა.

3. პირველ სემესტრში საკლასო წერითი მუშაობის ჩაუტარებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური გაფრთხილებით ბათუმის პედსასწავლებლის მათემატიკის მასწავ. ელენე თალაკვაძეს.

4. წერითი მუშაობის სუსტად დაყენების გამო გაფრთხილებულ იქნან ახალქალაქის პედსასწავლებლის დირექტორი ამხ. ლ. აბაშიძე, ქ. თბილისის პედსასწავლებლის დირექტორი ამხ. მ. ფირცხალაიშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე ამხ. კ. ცაგარეიშვილი, ზესტაფონის პედსასწავლებლის დირექტორი ამხ. თ. მანჯავიძე და გორის პედსასწავლებლის დირექტორი ი. კაპანაძე.

5. ბათუმის პედსასწავლებლის დირექტორს ამხ. ოლ. ჩხიკვიშვილს მიეთითოს იმის გამო, რომ მან ვერ უზრუნველჰყო ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების საქართველოს სსრ განსახკომში წარდგენა.

6. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო პედაგოგიური სასწავლებლების სექტორს:

ა) განსაკუთრებულ აღრიცხვაზე აიყვანოს პედსასწავლებლის მოსწავლენი, რომელთა საკონტროლო წერიტი ნამუშევრები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და არითმეტიკაში შეფასებულ იქნა „2“-ზე;

ბ) არაუგვიანეს 10 აპრილისა შეისწავლოს ახალქალაქის პედაგოგიური სასწავლებლის სასწავლო - აღმზრდელი მუშაობა და დასახოს საკურო ღონისძიებანი მუშაობის გარდასაქმნელად;

გ) პერიოდულად ჩატაროს საკონტროლო წერიტი სამუშაოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და არითმეტიკაში პედაგოგიური სასწავლებლის ყველა კურსზე და დასახოს სათანადო ღონისძიებანი.

7. წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი და ეს ბრძანება განხილულ იქნას საქართველოს სსრ ყველა პედაგოგიური სასწავლებლის პედსაბჭოს სხდომაზე.

საქართველოს სსრ განათლების

სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე.

მოხსენებითი ბარათი

საქართველოს სსრ სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლების მიმართ კურო ღონისძიების მიზნით, 1945 წლის 10 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე, ახალქალაქის, ბათუმის, გორის, ზესტაფონის, თბილისის, მახარაძის, სიღნაღის, ქუთაისის, ცხაკაიას, ხაშურის და წულუკიძის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებლებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და არითმეტიკაში, ჩატარებული იქნა საკონტროლო წერიტი მუშაობა.

პედაგოგიური სასწავლებლების წერიტი მუშაობის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით მიეცათ მითითება: ა) წერა ზუსტად ჩატარებინათ დაწესებულ დღეებში, ბ) წერიტი სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეთათვის მიცემული იყო ორი საათი თანმიყოლებით, გ) სა-

კონტროლო წერითი სამუშაოები მოსწავლეთა მიერ შესრულებული ყოფილიყო საკლასო წერითი მუშაობისათვის განკუთვნილ რვეულებში. ამასთან, არ იყო ნებადართული წერითი სამუშაო მოსწავლეებს მიერ თავდაპირველად შავად ყოფილიყო შესრულებული და მერე კი რვეულში გადაწერილი, ყველა წერითი ნამუშევარი საგნის მასწავლებლებს უნდა გაესწორებიათ გულდასმით და შეეფასებიათ.

საკონტროლო წერითი თემები მოთავსებული იყო დალუქულ პაკეტში. დალუქული პაკეტი განათლების განყოფილების გამგეს პირადად უნდა ჩაებარებინა პედსასწავლებლის დირექტორისათვის საკონტროლო წერისათვის დაწესებულ დღეს და პაკეტის გახსნისას შეედგინათ სათანადო აქტი.

საკონტროლო წერითი მუშაობის ჩასატარებლად შერჩეული იქნა საწერი თემები: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში:— ალ. ყაზბეგის რომანის „ელგუჯას“ მოკლე შინაარსი, 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში:— საკარნახო ტექსტი 106 სიტყვისაგან შემდგარი, რომელიც აღებული იყო გავლილ ლიტერატურულ მასალიდან. 3. არითმეტიკაში: კომბინირებული ამოცანა ნაწილის მიხედვით მთელის პოვნაზე და პროცენტზე, ხოლო მაგალითები პროპორციის უცნობი წევრის მოძებნაზე და ყველა მოქმედება ათწილადებზე. განსახკომის დაწესებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს მიერ რეცენზირებულ იქნა არამართო საკონტროლო წერითი ნამუშევრები, არამედ პედსასწავლებლებში 1945 წლის 17 სექტემბრიდან 20 დეკემბრამდე ჩატარებული ყველა წერითი ნამუშევარი.

პედაგოგიურ სასწავლებლიდან ქართულ ენასა და ლიტერატურაში წარმოდგენილი 194 რვეული 776 წერითი ნამუშევართ; რუსულ ენასა და ლიტერატურაში წარმოდგენილი იყო 184 რვეული 552 წერითი ნამუშევართ; ხოლო არითმეტიკაში 194 რვეული 504 ნამუშევართ—საკონტროლო წერითი ნამუშევრების ჩათვლით.

ამრიგად საკონტროლო წერითი ნამუშევართან ერთად პედსასწავლებლის მეოთხე კურსის ერთ მოსწავლეზე, საშუალოდ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოდის 4 წერითი ნამუშევარი, რუსულ ენაში—3 და არითმეტიკაში კი 3-ზე ნაკლები, რაც არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს.

წერითი ნამუშევრების ანალიზშია ცხადჰყო, რომ ზოგიერთი პედსასწავლებლის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში სჩანს განვლილი პროგრამული მასალების შეგნებული ცოდნა. ასე, მაგალითად, ქ. ქუთაისის, სიღნაღისა და ცხაკაიას პედსასწავლებლის მოსწავლენი ქართულ ენასა და ლიტერატურაში ამელავენებენ ნაწარმოების ტექს-

ტის საფუძვლიან ცოდნას, გააჩნიათ წერილობითი აზრის თანამიმდევრულად და ცხადად გადმოცემის უნარი, გამომუშავებული მართლწერის ჩვევები. რუსულ ენასა და ლიტერატურაში როლო წერითი სამუშაოები დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული ბათუმის, ქუთაისის, სიღნაღის და წულუკიძის პედსასწავლებლების მოსწავლეთა მიერ; არითმეტიკაში მაგალითები და ამოცანა დამაკმაყოფილებლად არის ამოხსნილი ქუთაისისა და მახარაძის პედსასწავლებლების მოსწავლეთა მიერ.

ზესტაფონის პედსასწავლებლის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ანალიზმა გამოამჟღავნა სერიოზული ნაკლოვანებანი.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ა) მოსწავლეთა საგრძნობ ნაწილს საფუძვლიანად არა აქვს შესწავლილი ლიტერატურული ტექსტი, არ შესწევს უნარი აზრის დასასაბუთებლად ნაწარმოებიდან სათანადო ადგილები მოიტანოს, აზრი თანამიმდევრულად ჩამოაყალიბოს, შესაბამისად გამოიყენოს კრიტიკული სტატიები, დამოუკიდებლად გამოიტანოს საჭირო დასკვნები; ზოგი მოსწავლე უშვებს უხეშ ფაქტიურ შეცდომებს. მაგალითად, ახალქალაქის მე-4 კურსის მოსწავლე ზ. ა. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ განხილვისას წერს: „რა აინტერესებდათ საქართველოს მტრებს?—მათ ძალიან მოსწონდათ საქართველო კიდევ ქართველი ხალხი, როგორც მებრძოლი ხალხი, აგრეთვე მტრების გულისყურს იპყრობდა საქართველოს ლაღი და მიმზიდველი ბუნება:

ჰე, მძიმე მამულო სასურველო!

ვინ გახსენოს, რომ მის გული

არ ათრთოლდეს, სიხარულის აღტაცებითა აღვსილი“.

მასწავლებლის მიერ ეს უაზრო ადგილი არ არის გასწორებული და ამავე დროს ნამუშევარი შეფასებულია 4-ზე. ამავე სასწავლებლის მოსწავლე ვ. თ. ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების გარჩევისას წერს: „საქართველოს ახსოვს მრავალი აოხრება სპარსეთის. შაჰ-აბაზის შემოსვლის დროს დიდი გაჭირვება განიცადეს, მაგრამ მაინც მოიხვეჭა გმირული სული“. მასწავლებლის მიერ აქაც მრავალი შეცდომა არ არის გასწორებული და ნამუშევარი კი შეფასებულია 3-ზე. ასეთივე მდგომარეობაა თბილისის პედაგოგიურ სასწავლებელშიც.

ბ) მოსწავლეთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს აზრის ნათლად გამოხატვას, უშვებს უხეშ სტილისტიკურსა და ორთოგრაფიულ შეცდომებს. მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ შესწევს წინადადებებში

ქვემდებარისა და შემასმენელის დროსა და რიცხვში შეთანხმების უნარი; ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება კუთხური გამოთქმები და სხვა მგალითად, მახარაძის პედსასწავლებლის მოსწავლეები წერენ: „შვალამე“, „მიხთა“, „მისი ენა არავინმა არ იცის“, „გახთა“, „პიესაში არსებული ისტორია“, „მთაში ხევის ყარაულობის დროს მოდის ერთი მოხევე“; ხაშურის პედსასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშევრებში ასეთი ადგილი გვხვდება, — „ონისიმეს შვილი მათია და ელგუჯა ძმად შეიფიცებია, რომლის საშუალებითაც კავშირს გააბამს მზალესთან“, „მათ მტერი ვერ მიუდგებოდათ“, „როდესაც ელგუჯამ გაიგონა სროლის ხმა, ია შევარდება სახლში“; ხოლო წულუკიძის პედსასწავლებელში: „გოგიამ დაედევნა“, „ელგუჯამ გაჰყვა მახამეთას“, „გოგიადან ვარი მიიღო“. მსგავსი მდგომარეობაა თბილისის, გორის, ზესტაფონის პედსასწავლებლებშიაც;

გ) ზოგიერთი პედსასწავლებლის მოსწავლეები არ არიან დაუფლებულნი პუნქტუაციის კანონებს, არა აქვთ სიტყვების გადატანისა და სწორად დამარცვლის მტკიცე ჩვევა. მგალითად, ხაშურის პედსასწავლებლის მოსწავლეები წერენ: „გამჯამთ-ელდა“, „ჩოფიკა-შვილი“ და სხვ. მსგავსი მდგომარეობაა თბილისის, ზესტაფონის, წულუკიძის, გორისა და ახალქალაქის პედსასწავლებლებში;

დ) მოსწავლეებს არა აქვთ გამოუმუშავებული კალიგრაფიული ხელი და ბევრ სასწავლებელში არ ტარდება მასწავლებლის მიერ მითითებული შეცდომების გამოსწორებაზე ვარჯიში (თბილისის, ახალქალაქის, ხაშურის, გორის პედაგოგიური სასწავლებლები);

ე) ზოგიერთი პედსასწავლებლის მასწავლებლები დაუშვებელ უპასუხისმგებლად ეკიდებიან მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების შეფასების საქმეს. ახალქალაქის პედსასწავლებლის 15 წერითი ნამუშევრიდან მასწავლებლის მიერ 10 შეფასებულია „3“-სა და „4“-ზე, ხოლო განსახკომის მიერ 15-ვე „2“-ზეა შეფასებული; მახარაძის, პედსასწავლებლის მიერ წარმოდგენილი 15 წერითი ნამუშევრიდან „4“-ზე შეფასებულია 1, „3“-ზე—13, „2“-ზე კი 2 წერითი ნამუშევარი, ხოლო განსახკომის მიერ „3“-ზე შეფასებულია მხოლოდ „4“ წერითი ნამუშევარი და დანარჩენი 11 კი—„2“-ზე. მსგავსი მდგომარეობაა ზესტაფონისა და გორის პედსასწავლებლებში.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში

ა) თბილისის პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეებმა არ იციან არსებითი სახელების დაბოლოების მართლწერა („лошадь“, „пашадей“ და სხვა), უშვებენ შეცდომებს უმახვილო ხმოვანების

მართლწერაში — „0“-ს ნაცვლად წერენ „a“-ს („паднасила“ და სხვა), სწორად ვერ წერენ ზმნებს, რომელთა წინ იწერება „не“ („нехотела“). არა აქვთ ჩვევა ისეთი სიტყვების მართლწერისა და მელწიაც იხმარება რბილი ნიშანი, წერენ „сильно“, „смотря“ და სხვ. საკუთარ სახელს ვერ წერენ სწორად („дуня“ და სხვ.) არის სიტყვების დამახინჯებულად წერის შემთხვევებიც — „обл-учок“-ის ნაცვლად წერენ — „обручок“-ს, „мучительном“-ის ნაცვლად წერენ „мусчителном“ და სხვ. თითოეული მოსწავლის თითო ნამუშევარში დაშვებულია 7—10-მდე ორთოგრაფიული შეცდომა;

კუდად წერენ გორის პედსასწავლებლის მე-4 კურსის მოსწავლეები; თითოეული მოსწავლის თითო წერით ნამუშევარში დაშვებულია 7-40-მდე ორთოგრაფიული შეცდომა;

გ) ზოგიერთ პედსასწავლებლის მასწავლებელი დაუშვებელ ლიბერალობას იჩენს ნამუშევრების შეფასების საქმეში. ასე მაგალითად, გორის პედსასწავლებლის 4 მოსწავლის წერითი ნამუშევარი შეფასებულია „3“-ზე, თვით მასწავლებლის მიერ თითოეულ ნამუშევარში შემჩნეულია და გასწორებული 17-მდე სხვადასხვა სახის შეცდომა; სამი მოსწავლის წერითი ნამუშევარი შეფასებულია „4“-ზე, მაშინ როდესაც თითოეული მოსწავლის წერით ნამუშევარში 8-ზე მეტი შეცდომაა დაშვებული, ხოლო ერთი ნამუშევარი შეფასებულია „5“-ზე, მაშინ როდესაც ამ ნაშრომში 12 შეცდომაა; ცხაკაიას პედსასწავლებლის 5 მოსწავლის წერით ნამუშევარი მასწავლებლის მიერ შეფასებულია „3“-ზე, მაშინ, როდესაც თითოეული წერითი ნამუშევარი შეიცავს შვიდზე მეტ შეცდომას;

დ) ზოგიერთი პედსასწავლებლის მოეთხე კურსის მოსწავლეებმა საქართველოს სსრ განსახკომიდან გაგზავნილი საკარნახო ტექსტი დამაკმაყოფილებლად ვერ დასწერეს. ასე მაგალითად, ქ. თბილისის პედსასწავლებელში 16 მოსწავლიდან ნიშანი „3“ მიღო მხოლოდ ერთმა მოსწავლემ, გორის პედსასწავლებლის მიერ წარმოდგენილი 10-ვე წერითი ნამუშევარი შეფასებულია „2“-ზე;

ე) ახალქალაქის, თბილისის, მახარაძის, ხაშურის და სხვ. პედაგოგიურ სასწავლებლებში არ ექცევა ყურადღება მოსწავლეთა მიერ შეცდომების გასწორებას, მოსწავლეთა საკრძნობ ნაწილს არა აქვს გამომუშავებული კალერგრაფიული ხელი.



ა) საქართველოს სსრ განსახკომის მიერ გაგზავნილი ამოცანა-სრულებით ვერ ამოხსნეს გორისა, სიღნაღისა და ხაშურის პედსასწავლებლის მეოთხე კურსის მოსწავლეებმა;

ბ) ზოგიერთ პედსასწავლებელში პირველი სემესტრის განმავლობაში საკლასო წერისათვის მაგალითები და ამოცანები არ არის სწორად შერჩეული. ხშირად მოსწავლეებს ეძლევათ პედსასწავლებლის მე-4 კურსის მოსწავლისათვის მეტად მარტივი ამოცანა. მაგალითად, ახალქალაქის პედსასწავლებელში 13 დეკემბერს მიუციათ ასეთი ამოცანა: „ორ ქალაქს შორის მანძილი მატარებელმა ორ დღეში გაიარა. პირველ დღეს გაიარა მთელი მანძილის $\frac{8}{15}$ ნაწილი; რა მანძილია ამ ქალაქებს შორის, თუ პირველ დღეს 80 კმ-ით მეტია გავლილი, ვიდრე მეორე დღეს?“ ცხაკაიას პედსასწავლებელში 28/IX მიუციათ შემდეგი ამოცანა: „ორ საწყობში 17048 ცენტნერი და 63 კგ. ხორბალია, ერთში 566 ც-ით მეტია, ვიდრე მეორეში, რა რაოდენობის ხორბალია თითოეულ მათგანში“ და სხვ. მსგავსი მდგომარეობაა გორის პედსასწავლებელში;

გ) ზოგიერთ პედსასწავლებელში არ ექცევა სათანადო ყურადღება ჩანაწერების სიზუსტეს; მოსწავლეთა საგრძნობ ნაწილს არ აქვს გამომუშავებული წილადის ხაზის, ტოლობის ნიშნის თავის ადგილზე წერის მტკიცე ცოდნა-ჩვევა. ცხაკაიას პედსასწავლებლის მოსწავლეები წერენ: $184\frac{5}{6}$, $31\frac{1}{4}$ და სხვ.

დ) არ ექცევა ყურადღება გამოანგარიშების რაციონალურ ხერხების გამოყენებასა და უმარტივეს სახეზე დაყვანას (ახალქალაქის, გორის, ხაშურის პედსასწავლებლები);

ე) ზოგიერთ პედსასწავლებელში წერითი ნამუშევრები არ სწორდება კეთილსინდისიერად. ახალქალაქის პედსასწავლებელში § ა—ში დასახელებული ამოცანა მოსწავლის მიერ ასეა ამოხსნილი: მატარებელმა პირველ დღეს გაიარა $\frac{8}{15}$ ნაწილი მთელი მანძილისა, ხოლო მეორე დღეს $\frac{7}{15}$ ნაწილი, ე. ი. პირველ დღეს მატარებელს გაუვლია $\frac{1}{8}$ ნაწილით მეტი, ვიდრე მეორე დღეს, რაც შეადგენს 80 კმ.

1. გავიგოთ რამდენი კმ. გაუვლია პირველ დღეს?

$$80 : \frac{1}{8} = 80 \cdot 8 = 640 \text{ კმ.}$$





2. გავიკოთ რამდენი კმ. გაუვლია მეორე დღეს?

$$640 - 560 = 1200 \text{ კმ.}$$

3. გავიკოთ რამდენი კმ-ია ორ ქალაქს შორის?

$$640 + 560 = 1200 \text{ კმ.}^{\ast}$$

მასწავლებლის მიერ, ამოცანის ამოხსნაში დაშვებული შეცდომები გასწორებული არ არის;

ვ) აღგილი აქვს ნამუშევრების ერთიმეორისაგან გადაწერის შემთხვევებს, რასაც ზოგიერთი მასწავლებელი არაფითარ ყურადღებას არ აქცევს. ბათუმის პედსასწავლებლის შვიდი მოსწავლის ნამუშევარი ერთნაირად არის შესრულებული, ყველას მიერ კითხვები ერთნაირად არასწორად არის ფორმულირებული; ასევე, ახალქალაქის პედსასწავლებლის მოსწავლეებს ამოცანები და მაგალითები ერთიმეორისაგან აქვთ გადაწერილი; ცხაკაიას, წულუკიძის, ხაშურის პედსასწავლებლის ყველა მოსწავლე ერთნაირ შეცდომას უშვებს;

ზ) ზოგიერთი პედსასწავლებლის მასწავლებელი წერითი ნამუშევრის შეფასების საქმეში იჩენს ლიბერალობას; გორის პედსასწავლებლის მოსწავლე კ-ს მასწავლებელი უწერს „3“-ს ისეთ ნამუშევარში, რომელიც არაფითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეფასდეს 2-ზე მაღალი ნიშნით; არითმეტიკაში თბილისის პედსასწავლებლის მიერ წარმოდგენილი 16 ნამუშევრიდან, რომელიც მასწავლებლის მიერ შეფასებულია „4“-ზე, არც ერთ მოსწავლეს საკონტროლო ნაწერში „4“ არ ეკუთვნის; ახალქალაქის პედსასწავლებლის მოსწავლე ზ. საკონტროლო სამუშაოს შესრულების დროს ამჟღავნებს წილადებზე მოქმედების უცოდინარობას. მიუხედავად ამისა, ნამუშევარს მასწავლებელი აფასებს „3“-ზე; ამავე პედსასწავლებლის მოსწავლე კ. 16|X მიცემულ ამოცანას ვერ ხსნის, მასწავლებელი ნამუშევარს აფასებს „4“-ზე; მოსწავლე ს. ამოცანის ამოხსნის დროს არ სვამს არც ერთ კითხვას, ნამუშევარი გადაწერილია, მასწავლებელი აფასებს „4“-ზე; ზესტაფონის პედსასწავლებლის მოსწავლე მ. ზ. 6|10 არ კვეცავს, ნიშანი აქვს დასმული გაყოფის ნიშნის ნაცვლად და მასწავლებელი ნაშრომს აფასებს „5“-ზე. მსგავსი მდგომარეობაა ბათუმისა და ცხაკაიას პედსასწავლებლებში;

თ) ზოგიერთ პედსასწავლებელში არასაკმაო რაოდენობით ტარდება საკლასო წერითი სამუშაოები; მაგალითად, გორისა და თბილისის პედსასწავლებლებში პირველ სემესტრში წერითი სამუშაო არითმეტიკაში ჩატარებულია 2-ჯერ, ამასთან თბილისის პედსასწავლებელში 30|XI-ს 34 მოსწავლიდან 25 მოსწავლე წერას არ ესწრებოდა, ხოლო ბათუმის პედსასწავლებელში არითმეტიკის მასწავლებ-

ლის დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის შედეგად არითმეტიკაში
არც ერთხელ არ ჩატარებულა წერიითი სამუშაო.



დასახელებულ პედაგოგიურ სასწავლებელში არსებული ეს ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ ქართული ენის, რუსული ენისა და არითმეტიკის მასწავლებლები სუსტად მუშაობენ და მოსწავლეებს ამ საგნებში ცოდნაჩვევებს ვერ აძლევენ.

ამასთან ერთად ზემოთაღნიშნული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არ უწევენ სათანადო დახმარებას და კონტროლს მასწავლებლებს და არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას:

ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ა) მოსწავლეთა მიერ მხატვრული ნაწარმოების ტექსტის საფუძვლიანად შესწავლას, შეგნებულ თხრობას, წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას, ნაწარმოების მხატვრული და იდეური მხარის გამომხატველი ადგილების ამოწერას, გმირის დახასიათებას;

ბ) ლიტერატურული თემის სათანადოდ დამუშავებისათვის სხვადასხვა წყაროების (კრიტიკული ლიტერატურის, ბიოგრაფიული ცნობების, მემუარების) გამოყენებას;

გ) გრამატიკული კანონებისა და წესების გამოყენების უნარის გამომუშავების მიზნით გრამატიკულ ვარჯიშს, წერიითი ნამუშევრების გასწორებას და სხვ.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში

ა) ლიტერატურული ტექტის შიგნებულად წაკითხვას, მოსწავლეთა ლექსიკონის გამდიდრებას;

ბ) რუსული ენის გაკვეთილზე სისტემატურ ვარჯიშს. ამასთან, გრამატიკულ კანონებზე ვარჯიშობისათვის შინ დავალების მიცემას, მის კონტროლს, შეცდომების გასწორებას;

გ) წერიითი თემატიკის მრავალფეროვნებას და სხვ.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად აუცილებელია გატარდეს შემდეგი:

1. წერიითი მუშაობა კლასებისა და საგნების მიხედვით განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ქართული ენის ყოველ გაკვეთილზე საკლასო წერას დაეთმოს 15-20 წუთი. ამასთან, შინ შესასრულებლად მოსწავლეებს სისტემატურად მიეცეთ შესაფერი წერიითი დავალებები;

ქართულ ლიტერატურაში სემესტრის განმავლობაში ჩატარდეს საკლასო წერა—I და II კურსებზე არანაკლებ 8-სა, მესამე კურსზე არა ნაკლებ 7-სა და მეოთხე კურსზე არანაკლებ 6-სა; ამასთან, მოსწავლეებს სისტემატურად მიეცეთ საშინაო წერითი დავალებანი;

ბ) რუსულ ენაში სემესტრის განმავლობაში ჩატარდეს საკლასო წერა პირველ და მეორე კურსზე არანაკლებ 10-სა, მესამე და მეოთხე კურსზე არანაკლებ 8-ისა, ამასთან, ყოველ გაკვეთილზე ტარდებოდეს წერითი მუშაობა გარკვეულ ენობრივი სავარჯიშოსთან დაკავშირებით და შინ შესასრულებლად სისტემატურად ეძლეოდეთ მოსწავლეებს წერითი დავალებები;

გ) არითმეტიკაში სემესტრის განმავლობაში ჩატარდეს საკონტლო წერა მესამე კურსზე არანაკლებ 5-სა და მეოთხე კურსზე არა ნაკლებ 10-სა. ამასთან, არითმეტიკის ყოველ გაკვეთილზე ტარდებოდეს საკლასო წერითი ვარჯიში მაგალითებისა და ამოცანების ამოსხნაში და მოსწავლეებს სისტემატურად ეძლეოდეს სათანადო დავალებები შინ შესასრულებლად;

დ) საკლასო და საშინაო წერითი ნამუშევრების მომზადებულად ჩატარების მიზნით დგებოდეს სემესტრული საბუშაო გეგმები წერითი სამუშაოთა თემატიკისა და სახეების გათვალისწინებით;

ე) მასწავლებლის მიერ გულდასმით გასწორდეს, როგორც საკლასო, ისე საშინაო წერითი ნამუშევრები; შესწავლილ იქნას ტიპური შეცდომები მოსწავლეთა ნამუშევრებში და ეწყობოდეს ვარჯიში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად;

ვ) დადგინდეს პედსასწავლებლის ყველა კურსის მოსწავლეთათვის, როგორც სავალდებულო წესი, წერით ნამუშევრებში დაშვებული ყოველი სახის შეცდომის (ორთოგრაფიული, სტილისტიკური, ფაქტიური, პუნქტუაციური) მოფიქრებულად და ფაქიზად გამოწერა და მისი სწორი ფორმით დაწერა, ხოლო მასწავლებლების მიერ „შეცდომების გასწორების“ გულდასმით შემოწმება.

თ) ყოველი წერითი ნამუშევარი (საკლასო, საშინაო) შეფასდეს სწორად, ხელმოწერილ იქნას მასწავლებლის მიერ და დაიწეროს თარიღი;

ი) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სუფთა წერას, კალიგრაფიული ხელის გამომუშავებას;

დადგენილი იქნას, რომ მოსწავლე, რომელიც ვერ წერს ასოებს სწორად, არ იცის ასოების გადაბმულად წერა აბზაცის დაცვით, არ არის დაუფლებული სიტყვების გადატანის წესებს, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, წერის დედნის საფუძველზე, სისტემა-

ტურად ეწევა წერით ვარჯიშობას, სანამ მტკიცედ არ გამოიმუშავებს სათანადო ჩვევას.
გარდა ამისა:

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროსთვის

1. ქართულ ენაზე და ლიტერატურაში

ა) ქართული ენის გაკვეთილებზე სისტემატურად წარმოებდეს ვარჯიში გრამატიკის კანონებისა და წესების დასაუფლებლად. სავარჯიშო ტექსტები შერჩეულ იქნას გავლილი პროგრამულ მასალებიდან. გაძლიერდეს დეფორმირებულ ტექსტზე მუშაობა;

ბ) ხდებოდეს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის სისტემატური შეესება ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა მიერ ნაწარმოების ტექსტის საფუძვლიანად შესწავლას, შეგნებულ თხრობას, წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას, ნაწარმოების იდეურ და მხატვრულ ანალიზს;

ხ) საკითხები ლიტერატურის თეორიიდან შესწავლილ იქნას მხატვრულ ნაწარმოებთან დაკავშირებით და ამასთან ფართოდ იქნას დანერგილი ნაწარმოებიდან ისეთი ადგილების ამოწერის პრაქტიკა, რომელიც საჭიროა ნაწარმოების გვირის დახასიათებისათვის, ნაწარმოების იდეური და მხატვრული ღირებულების შეფასებისათვის;

დ) სისტემატურად სწარმოებდეს სხვადასხვა წყაროებზე (ბროშურის, ჟურნალ-გაზეთების, კრიტიკული სტატიების) დამოუკიდებელი მუშაობა, სათანადო ადგილების გამოყენება აზრის ნათელსაყოფად და დასასაბუთებლად, როგორც წერასა, ისე ზეპირმეტყველებაში. უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეებისათვის ციტატების, თეზისების, კონსპექტების შედგენისა და გამოყენების ცოდნა-ჩვევის გამომუშავება;

2. რუსულ ენაში

ა) გრამატიკის სწავლება ორგანიულად დაუკავშირდეს მხატვრული ტექსტის შესწავლასა და ცოცხალ მეტყველებას;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბგერა-ასოების გამოთქმასა და სწორ წერას;

გ) სისტემატურად წარმოებდეს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრება ახალი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა-განმარტებით და მიღწეულ იქნას წერასა და ზეპირმეტყველებაში შეგნებულად გამოყენების უნარის გამომუშავება; ამ მიზნით ყოველგაკვეთილზე ტარდებოდეს მუშაობა ცალკე რვეულში;

დ) ზეპირმეტყველების განვითარების მიზნით, განსაკუთრებით ფართოდ იქნას დანერგილი მოსწავლეთა მიერ სურათების აღწერისა და მისი მიხედვით მოთხრობის შედგენის პრაქტიკა და საუბარი წაკითხულის გარშემო (კითხვაზე პასუხის გაცემა, თავისუფალი თხრობა და სხვ.), წაკითხული წიგნების შესახებ თავისი აზრის გამოთქმა, ზეპირად დასწავლილის გამომეტყველებით წარმოთქმა, დასწავლილი მოთხრობის გეგმის შედგენა და შინაარსის გადმოცემა, კითხვებზე შესაფერისი ადგილების მონახვა ტექსტში და წაკითხვა, მოცემული სიტყვებისაგან მოთხრობის შედგენა და სხვ.;

ე) სისტემატურად ეძლეოდეს მოსწავლეებს, როგორც გრამატიკული ზასიათის სავარჯიშოები, ისე ნაწარმოებიდან აფორიზმების, სინონიმების, ეპიტეტების, პოეტური აღწერების ამოწერის მიზნით სათანადო დავალებები.

3. არითმეტიკაში

ა) გაძლიერდეს არითმეტიკულ ამოცანების ამოხსნაზე მუშაობა იმგვარად, რომ არითმეტიკის კურსის დამთავრებისას პედსასწავლებლის მოსწავლე დაუფლებული იყოს ყველა ტიპის მაგალითებისა და ამოცანის ამოხსნის და ჩაწერის ყველა ფორმას (გეგმით, მსჯელობით, პირობის მიხედვით ფორმულების შედგენა და სხვ.);

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არითმეტიკული ჩანაწერის სისწორით დაუფლებას (აღნიშვნები, მოქმედების ჩაწერა ლოგიკური თანამიმდევრობით და ტექნიკურად უფრო მოხერხებული ფორმით);

გ) გაძლიერდეს მუშაობა გამოთვლების რაციონალური სახეების და ზეპირი ანგარიშის ხერხების დაუფლებაზე.

4. დაევალოს ღირეკტორებსა და ხასწავლო ნაწილის გამგეებს:

ა) სისტემატურად დაესწრნენ ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და არითმეტიკის გაკვეთილებს;

ბ) ყოველმხრივ აღმოუჩინონ მასწავლებლებს საჭირო დახმარება პროგრამის მაღალხარისხოვნად გავლის საქმეში;

დ) მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევის გამოვლინების მიზნით პირადად ჩაატარონ ყველა კურსზე სათანადო საკონტროლო წერიითი სამუშაოები, შედეგები განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასაზონ სათანადო ღონისძიებანი.

5. დადგენილ იქნას, როგორც სავალდებულო წესი, რომ საქართველოს სსრ განსახკომში პედსასწავლებლის მიერ წარმოდგენილ

სემესტრულ ანგარიშში ღირეკტორების პირადი პასუხისმგებლობით დეტალურად შექდებოდეს ქართული ენისა და ლიტერატურის რუსული ენისა და არითმეტიკის სწავლების მდგომარეობა (მოსწავლეთა ცოდნის დონე, ჩატარებული წერიითი მუშაობის სახეები და რაოდენობა, პედსაბკოზე დასახული ღონისძიებანი და სხვ.) და მასთან ანგარიშში მოცემულ იქნას ამ საგნების მასწავლებელთა მუშაობის სრული დახასიათება.

საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი

და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უ. ოზოლაძე.

სახელმწიფო პედსასწავლებლის სექტორის უფროსი ა. ჩაჩიბაია.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე № 506

საქართველოს სსრ მანათლემის სახალხო კომისარიატისადმი

1946 წ. „13“ მარტი.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების შემოწმების შედეგების შედეგების შესახებ

გავეცანი, რა საქართველოს სსრ სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შემოწმების შედეგებს, აღენიშნავ, რომ ზოგიერთმა განათლების განყოფილებათა გამგემ, სკოლის ღირეკტორმა და მასწავლებლებმა სათანადო პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი სკოლის ასაკის ბავშვთა სკოლაში მთლიანად ჩაბმის საქმეს. ქალ. თბილისისა და ქალ. ქუთაისის, აბაშის, ვანის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, სიღნაღის, ჩოხატაურის, სამტრედიის, წულუკიძისა და სხვა რაიონებში, ზუსტად აღრიცხეს სკოლის ასაკის ყველა ბავშვი და მოზარდი. ჩააბეს ისინი სათანადო კლასებში და შეინარჩუნეს მოსწავლეთა მთელი კონტინგენტი; მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს ლანჩხუთის რაიონის სკოლებში დაბრუნებული იქნა 450 მოსწავლე, აბაშის რაიონის სკოლებში - 129, ზესტაფონის რაიონში - 195, ზუგდიდის რაიონში - 200, ჩოხატაურის რაიონში - 150-მდე მოსწავლე და ა. შ.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მრავალ რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელება არადაამკმაყოფილებლად მიმდინარეობს:

ა) ბევრ რაიონში მოსწავლეთა თვალსაჩინო ნაწილი ჯერ კიდევ სკოლის გარეთ არის დარჩენილი. მაგალითად, ადიგენის რაიონში სკოლის გარეთ დარჩენილია 1-4 კლასების ასაკის 662 ბავშვი (15,0%),

მე-5-7 კლასების ასაკის—597 ბავშვის (41₀⁰); მცხეთის რაიონში—
მე-5-7 კლასების—296 (17₀⁰), თბილისის რაიონში—1-4 კლასების ასაკის
კის 642 (11₀⁰), მე-5-7 კლასების—580 (31₀⁰), ბაშკირეთის რაიონში
მე-5-7 კლასების ასაკის—590 (29₀⁰), გეგეჭკორის რაიონში—მე-5-7
კლასების ასაკის—642 (16₀⁰), აფხაზეთის ასსრ-ში მე-5-2 კლასების
ასაკის—3136 (21₀⁰), სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—მე-5-7
კლასების—1575 ბავშვი (24₀⁰). მსგავსი მდგომარეობას აქვს ადგილი
ბოგდანოვკის, ბოლნისის, თეთრწყაროს, კლუხორის, მიაკოვსკის,
ცაგერის, დუშეთის, ბორჯომის, საგარეჯოს, ახალციხის, ცხაკაიასა
და სხვა რაიონებშიაც;

ბ) 1945 წლის სექტემბრიდან 1946 წლის იანვრამდე ბევრი
მოსწავლე ჩამოშორდა სკოლას. მაგალითად აჭარის ასსრ ხულოს რა-
იონის სკოლებს ჩამოშორდა—650 მოსწავლე, ახალციხის რაიონში
—520, საგარეჯოს რაიონში—200, ტყიბულის რაიონში—260, ცხა-
კაიას რაიონში—276, ქ. კიათურის სკოლებს—160-მდე მოსწავლე
და ა. შ.

გ) ზოგ სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ ვაკეეთი-
ლების გაცდენის ხშირ შემთხვევებს. ბოლნისის რაიონის დარბა-
ზის საშუალო სკოლის 270 მოსწავლიდან მეცადინეობას მოსწავლე-
თა მხოლოდ 50-60₀⁰ ესწრება. ამავე რაიონის ფახრალის საშუალო
სკოლაში 15 თებერვალს მე-6 კლასში 31 მოსწავლიდან მეცადინეო-
ბაზე მხოლოდ 10 მოსწავლე გამოცხადდა. ამავე რაიონის კაზრეთის
შვიდწლიან სკოლაში ნოემბრის შემდეგ ყველა კლასში მეცადინეო-
ბას მოსწავლეთა ერთი მესამედი აკლდება. თბილისის რაიონის ავ-
ქალის საშუალო სკოლაში 23 იანვარს 465 მოსწავლიდან მეცადინე-
ობაზე 233 მოსწავლე გამოცხადდა; ამავე რაიონის ბაგების შვიდ-
წლიან სკოლაში 31 იანვარს მე-2,-4 და მე 6 კლასების 54 მოსწავ-
ლიდან მეცადინეობას მხოლოდ 21 მოსწავლე დაესწრო. ასეთივე
მდგომარეობას აქვს ადგილი მცხეთის, სტალინირის და ზოგიერთ
სხვა რაიონის მთელ რიგ სკოლებშიაც.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქ-
მეში ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები შედეგია იმისა, რომ დასახე-
ლებულ რაიონებში სკოლის დირექტორები და სახალხო განათლების
განყოფილებების გამგეები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდე-
ბიან—„7-დან 17 წლის ასაკამდე ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის
ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის
შესრულების კონტროლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალ-
ხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებულ

ინსტრუქციის განხორციელების საქმეს; არ აწარმოებენ საკირო აბსნა-განმარტებას მოსახლეობაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის მნიშვნელობაზე და არ სვამენ საკითხს ზემდგომი ორგანოების წინაშე იმ სახლმმართველებისა და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობის შესახებ, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გასატარებლად. ვბრძანებ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ყველა სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფილებებს:

ა) 1946 წლის 28 მარტამდე ცალკე სკოლების მიხედვით დაახუსტონ სკოლიდან ჩამოშორებულ და სკოლისგარეთ დარჩენილ ბავშვთა რაოდენობა, საფუძვლიანად შეისწავლონ მათი სათანადო კლასებში დაბრუნების საკითხი და ის მოსწავლეები, რომლებსაც გაცდენილი აქვთ 45 სასწავლო დღეზე ნაკლები, ეხლავე ჩააბან სწავლებაში, ხილო იმ ბავშვების ჩაბმა სკოლებში, რომელთაც 45 სასწავლო დღეზე მეტი აქვთ გაცდენილი—გაითვალისწინონ 1946-47 სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან;

ბ) საფუძვლიანად შეისწავლონ მოსწავლეთა სკოლიდან ჩამოშორების მიზეზები და იმ მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, რომლებიც ტანსაცმელისა და ფეხსაცმლის უქონლობის გამო სკოლაში ვერ ცხადდებიან, საკითხი დასვან ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე;

გ) უარყო აბსნა-განმარტებითი მუშაობა ჩატარონ მოსახლეობაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მნიშვნელობის შესახებ და იმ მშობლებისა და მეურვეების წინააღმდეგ, რომლებიც ბავშვებს არ გზავნიან სკოლაში, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები;

დ) სისტემატური კონტროლი დააწესონ სახლმმართველებისა და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეების მიერ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილების განხორციელებაზე და იმ სახლმმართველისა და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მიმართ, რომლებიც არ ზრუნავენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებაზე, ზომების მისაღებად დასვან საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე;

ე) არ დაუშვან მოსწავლეთა მოწყვეტა მეცადინეობიდან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში გამოყენების მიზნით და ამ საქმეში

დამნაშავე პირთა შესახებ საკითხი აღძრან სათანადო ორგანოების
წინაშე, ორგანიზაციული ზომების მისაღებად.



**2 დაევალოს დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის
დირექტორებს (გამგეებს):**

ა) სასკოლო უბნის მიხედვით ერთი დეკადის ვადაში დააზუსტონ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში დაწყებითი შვიდწლიანი და საშუალო სკოლების სხვადასხვა კლასებიდან ჩამოშორებულ მოსწავლეთა სიები, შეისწავლონ მათი სკოლიდან ჩამოშორების მიზეზები, ადგილობრივ ორგანოებთან და მშობელთა კომიტეტებთან ერთად დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათი სკოლებში დასაბრუნებლად;

ბ) ქალაქად სახლმმართველებთან და სოფლად სასოფლო-სამეურნეობთან ერთად, დაწესებულ ვადებში, აღრიცხონ წინაწლებში სკოლებიდან ჩამოშორებული მოსწავლეები და ის ბავშვები, რომლებსაც 1946 წლის 1 სექტემბერს შეუსრულდებათ 7 წელი და ამ თავითვე დასახონ საპირო ღონისძიებანი 1946-47 სასწავლო წლის დასაწყისიდან მათი სკოლაში მთლიანად ჩაბმის უზრუნველსაყოფად;

გ) გადაჭრით აღკვეთონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები: ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეამოწმონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის მიზეზები, ჩააბან ამ მუშაობაში მოსწავლეთა მშობლები, დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა და უზრუნველყოფონ ამ დარგში მოსწავლეთა წესების ზუსტად გატარება სკოლაში;

დ) დაევალოს განათლების განყოფილების გამგეებს ა/წ—23 მარტამდე ეს ბრძანება განიხილონ დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების (გამგეების) თათბირზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელიც უზრუნველყოფს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა სრულ ლიკვიდაციას.

საქართველოს სსრ განათლების

სახალხო კომისარი: მ. კუპრაძე

ვაშტკიცებ
საქ. სსრ განათლების
სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე.
1945 წ. 15 დეკემბერი.

შინაგანაწესი

პედაგოგიური სასწავლებლის საერთო საცხოვრებლისა

1. პედაგოგიური სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უწყობა აქვთ მხოლოდ პედსასწავლებლის მოსწავლეებს.

2. პედსასწავლებლის საერთო საცხოვრებელში კატეგორიულად აკრძალულია მოსწავლეთა ოჯახის წევრებისა და ამასთანავე პედსასწავლებლის თანამშრომელთა ცხოვრება.

3. პედსასწავლებლის საერთო საცხოვრებელში მოსწავლეთა ჩასახლება ხდება დირექტორის წერილობითი განკარგულებით, რომელსაც ხელს აწერს პედსასწავლებლის დირექტორი, ან მისი თანაშემწე, ადმინისტრაციულ-სამწეო ნაწილში.

4. მოსწავლეებს საერთო საცხოვრებელში ეძლევათ საცხოვრებელი ადგილი სასწავლო წლის დასრულებამდე. საერთო საცხოვრებელიდან საერთო საცხოვრებელში, ან საერთო საცხოვრებლის ერთი ოთახიდან მეორე ოთახში გადაყვანა წლის განმავლობაში შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასწავლებლის დირექტორის განკარგულებით.

5. საერთო საცხოვრებელში ჩასახლებისას მოსწავლე ვალდებულია გაიაროს სამედიცინო და სანიტარული შემოწმება.

6. საერთო საცხოვრებელში შესვლა დასაშვებია ღამის 11 საათამდე.

7. საერთო საცხოვრებელში გარეშე პირთა ყოფნა დასაშვებია საღამოს 10 საათამდე საერთო საცხოვრებლის კომენდანტის მიერ გაცემული საშვით.

8. საერთო საცხოვრებელში მცხოვრებთ პედსასწავლებლის დირექტორს უზრუნველჰყოფს: საწოლით (თითოეულ მოსწავლეზე თი-

თო) სკამებით, ინდივიდუალური, დახურული ან ღია კარადებით (ორ მოსწავლეზე ერთი), მაგიდით, გადასაფარებლითა და მაგიდის ლამპებით (ოთხ მოსწავლეზე ერთი), ტანისამოსის ჩამოსაკიდებლით, ჩაიდნით ან გრაფინით, რადიორეპროდუქტორით (თითო ოთახზე თითო). ლოგინის თეთრეული მიეცემათ ყველა მოსწავლეს.

9. საერთო საცხოვრებლის ადმინისტრაცია საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთ უზრუნველყოფს ცხელი წყლით დილითა და საღამოს.

10. ოთახების დაგვა-დასუფთავება სწარმოებს ტექნიკური მუშაკების მიერ დღეში ერთხელ. იატაკის შორეცხვა, ფანჯრებისა და დგამავეჯეულობის დაწმენდა სწარმოებს შეიდდლიურში არა ნაკლებ ერთისა.

11. საწოლებისა და პირადა ნივთების დასუფთავება სწარმოებს მოსწავლეთა მიერ.

საერთო საცხოვრებელში შემოღებულია მოსწავლეთა ყოველდღიური შორიგეობა. შორიგე პასუხისმგებელია საერთო საცხოვრებლის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე.

12. მოსწავლეს ავადმყოფობის შემთხვევაში, ექიმის დასკვნის საფუძველზე, ადმინისტრაცია აგზავნის განსაკუთრებულ შენობაში (იზოლიატორში) ან საავადმყოფოში.

13. მოსწავლენი, რომლებიც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ, ვალდებული არიან დაიცვან წესრიგი და გაუფრთხილდნენ საერთო საცხოვრებლის ინვენტარს.

14. მოსწავლენი, რომლებიც არადადეგებთან დაკავშირებით დროებით სტოვებენ საერთო საცხოვრებელს, ვალდებულნი არიან თავიანთი ნივთები შესანახავად ჩააბარონ საერთო საცხოვრებლის საწყობს. ჩაუბარებელი ნივთების დაკარგვის შემთხვევაში ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს.

15. საერთო საცხოვრებლის ოთახიდან რომელიმე ნივთის გამოტანა, საერთო საცხოვრებლის კომენდანტის ნებართვის გარეშე, აკრძალულია.

16. ოთახში წესრიგის დაცვის მიზნით, ოთახში მცხოვრებთაგან გამოიყოფა მამასახლისი. ოთახის მამასახლისის ამტკიცებს პედსასწავლებლის დირექტორი.

17. თეთრეულის რეცხვა ოთახებსა და დერეფნებში კატეგორიულად აკრძალულია. თეთრეულის სარეცხად გამოყოფილ უნდა იქნას სპეციალური ოთახი, ან შენობა სამრეცხაოსათვის, თუ საერთო საცხოვრებელთან ამის შესაძლებლობა არის. ნაგავის ჩასაყრე-

ლად საერთო საცხოვრებლის ეზოში იდგმება სპეციალური ყუთები.

18. საცხოვრებელ ოთახებსა და დერეფნებში აკრძალულია უთოს და ნავთქურების ანთება, აგრეთვე ელექტრონისა და რადიოსათვის სათანადო ნებართვის გარეშე ცალკე წერტილების შექმნა.

19. საერთო საცხოვრებელში ბრძანებები და განცხადებანი გამოკრული უნდა იქნას სპეციალურ ვიტრინებში, რომელიც იდგმება საცხოვრებლის კომენდანტის მიერ მიჩნეულ ადგილზე.

20. საერთო საცხოვრებელში საღამოს 11 საათის შემდეგ აკრძალულია ხმამაღალი ლაპარაკი, სიმღერა, ცეკვა, მუსიკალური საკრავების დაკვრა და სხვა სახის მეცადინეობა, რომელიც დაარღვევს სიჩუმეს, როგორც ოთახებში, ისე საერთო სარგებლიანობაში მყოფ ადგილებში.

მოსწავლეთა დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის განკუთვნილ დროს დაცული უნდა იქნას სრული სიჩუმე.

21. კატეგორიულად აკრძალულია საერთო საცხოვრებელში მაგარი სასმელების შემოტანა და სმა, ოთახებში თამბაქოს მოწევა და აგრეთვე აზარტული თამაში.

22. მოსწავლეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ საზოგადოებრივ ქონებას; ავეჯის გაფუჭების შემთხვევაში მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ მოსწავლეს, რომელმაც დააზიანა იგი. პედსასწავლებლის დირექტორის შეხედულების მიხედვით, მასვე შეიძლება დაედოს დისციპლინარული სასჯელი.

23. პასუხისმგებლობა საერთო საცხოვრებლის მდგომარეობაზე, შენობის რემონტზე, მოწყობილობაზე ეკისრება პირადად სასწავლებლის დირექტორსა და მის თანაშემწეს ადმინისტრაციულ-სამნიეო ნაწილში

24. საერთო საცხოვრებლის სრული დეზინფექცია უნდა ჩატარდეს არა ნაკლებ ერთისა წელიწადში (სასწავლო წლის დასაწყისში).

25. მოსწავლე სტიპენდიანტი საერთო საცხოვრებელში ცხოვრებისათვის იხდის ქირას თვეში 5 მანეთს, ხოლო ლოგინის თეთრყულით სარგებლობისათვის თვეში 2 მანეთს.

26. მოსწავლენი, რომლებიც სტიპენდიას არ ღებულობენ, მაგრამ ცხოვრობენ საერთო საცხოვრებელში, ქირას იხდიან დირექტორის გადაწყვეტილებით, მოსწავლის მატერიალური პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს იმ გადასაწადისა, რომელსაც იხდის იმავე კურსის მოსწავლე სტიპენდიანტი.

საერთო საცხოვრებლის სარგებლობისათვის მოსწავლეს ქირა

გადახდება საერთო საცხოვრებელში ფაქტიურად ცხოვრების დროის მიხედვით.

27. მოსწავლენი, რომელთაც დაამთავრეს სასწავლებელი სასწავლებლის დამთავრებამდე გამოვიდნენ, აგრეთვე სასწავლებლიდან იქნენ გარიცხულნი, ვალდებული არიან გაანთავისუფლონ მათ მიერ საერთო საცხოვრებელში დაკავებული ადგილი.

28. შინაგანაწესის დარღვევისათვის დამნაშავეთ დაედებათ აღმინისტრაციულ-დისციპლინარული სასჯელი.

29. მოსწავლე, რომელიც საერთო საცხოვრებლის შინაგანაწესს არღვევს სისტემატურად, გასახლებული იქნება საერთო საცხოვრებლიდან.

30. დებულება ზუსტად უნდა ეცნობოს საერთო საცხოვრებლის მოსწავლეებს და გამოკრული უნდა იქნას საერთო საცხოვრებელში არსებულ სპეციალურ ვიტრინაში.

დაწყებითი და საშუალო სკოლის
სამმართველოს უფროსი უშ. ოგოლაძე
სახელმწიფო პედსასწავლებლის სექტორის
უფროსი არჩ. ჩაჩიბანიძე

ბრძანება № 450

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი
1946 წლის 7 მარტი

ოქროს მედალზე საშუალო სკოლის კურსდამდავობულთა აკადემიური წარმატების შესახებ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში

ქ. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა, სამედიცინო ინსტიტუტსა და კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში ჩატარებულმა სასესიო გამოცდებზე დაადასტურეს, რომ საშუალო სკოლის ოქროს მედალოსან კურსდამთავრებულთაგან ბევრმა გაამართლა წარჩინებული მოსწავლის სახელწოდება. კერძოდ, სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ 25 მედალოსნიდან—18-მა ყველა მიმდინარე და სასესიო გამოცდა ჩააბარა ფრიადზე, ხოლო 7-მა—ფრიადზე და კარგებზე. მაგრამ, სესიებზე გამოაშკარავდა აგრეთვე, რომ ოქროსმედალოსანთა საკმაო ნაწილი არ არის დაუფლებული მეცნიერებათა საფუძვლებს, სუსტად იციან საშუალო სკოლაში გავლილი საგნების კურსი და ზოგჯერ ცალკე სასწავლო დისციპლინაში ელემენტარული საკითხების სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ:

ა) ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე 250 ოქროსმედალოსანთაგან ყველა სასესიო საგანი ჩააბარა და ნიშანი „ფრიადი“ მიიღო 38 სტუდენტმა, „გვირი“ — 49, „დამაკმაყოფილებელი“ — 85, ხოლო დანარჩენი 78, მოუმზადებლობისა გამო, ან ჩაიჭრა, ან სრულიად არ გავიდა გამოცდებზე.

განსაკუთრებული დაბალი მომზადება გამოიჩინა ზოგიერთმა ოქროს მედალოსანმა ფიზიკასა და მათემატიკაში. მაგალითად, ცხაკაიას რაიონის ლეძაძამეს საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანი გ. ძ. სასესიო გამოცდებზე ჩაიჭრა ფიზიკაში. მან არ იცის რა არის სიჩქარე, აჩქარება, წარმოდგენა არა აქვს სიგრძის, დროისა და წონის საზომ ერთეულებზე, არ იცის ბოილ-მარიოტის კანონი და სხვ.

გეგეჭკორის საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანმა გ. კ. სრული უცოდინარობა გამოიჩინა ფიზიკაში, არ იცის პასკალის და არქიმედის კანონები, დამოკიდებულება მანძილსა, დროსა და სიჩქარეს შორის; ფორმულაში $S=VT$, — V მოცულობად მიაჩნია და სხვ.

ასევე სუსტი ცოდნა გამოიჩინეს და ჩაიჭრნენ ფიზიკაში სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანი ა. ღ. და ქ. მახარაძის ლესელიძის სახელობის საშუალო სკოლის მედალოსანი მ. ქ., მათ წარმოდგენა არ აქვთ ფიზიკის ძირითად ცნებებზე, არ იციან რა არის მუშაობა, წონაკუთრი, სიმკვრივე, კალორიმეტრი, არქიმედისა და პასკალის კანონები და სხვ.

ზესტაფონის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის მედალოსანი ქ. მ. ორჯერ გავიდა სასესიო გამოცდაზე ფიზიკაში და ორივეჯერ ჩაიჭრა.

ბ) კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში წულუკიძის ვაჟთა საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანი ა. თ. მათემატიკაში სრულიად არ გავიდა გამოცდებზე, ხოლო ფიზიკაში ჩაიჭრა.

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის ვაჟთა მე-6 სკოლის მედალოსანმა ი. გ. ფიზიკაში მიიღო შეფასება „3“, მათემატიკასა და ქიმიაში გამოცდებზე სრულიად არ გასულა, ხოლო ბათუმის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის მედალოსანმა ი. ც. მათემატიკასა და ფიზიკაში სასესიო გამოცდებზე მიიღო ნიშანი „3“.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ცოდნის შეფასების საქმისადმი, ამ დიდი მნიშვნელობის პედაგოგიური ღონისძიებისადმი, — არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის, გამოეცხადოს საყვედური გაფრთხილებით:

ა) ცხაკაიას რაიონის ლეძაძამეს საშუალო სკოლის დირექტორს ლევან შარუს-ძე ჯოჯუას;

ბ) გვეგვიკორის საშუალო სკოლის ყოფილ დირექტორს—კირი-
ლე ამბაოს-ძე ბერიას;

გ) ქ. მახარაძის ლესელიძის სახელობის საშუალო სკოლის—დი-
რექტორს—ტუშა გრიგოლის ასულ დოლიძეს;

დ) ზესტაფონის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს—
სოფიო პანტელეიმონის ასულ გოგოლაძეს;

ე) წულუკიძის ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორს—ილია
ივანეს-ძე ჩხენკელს და

ვ) სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის დირექტორს—
ალექსანდრე სიმონის-ძე მკედლიშვილს.

2. დაევალოს სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფი-
ლებათა გამგეებს გააძლიერონ კონტროლი ცოდნის შეფასების საქ-
მეზე, პირადად უხელმძღვანელონ ოქროსა და ვერცხლის მედლით
დასაჯილდოებელ კანდიდატთა წამოყენების საქმეს და ოქროსა და
ვერცხლის მედლით დასაჯილდოებლად წამოაყენონ ნამდვილად ღირ-
სეული მოსწავლენი.

3. დაევალოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო, მუშა
და სოფლის ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების სამმართვე-
ლოებს დააწესონ მტკიცე კონტროლი ოქროსა და ვერცხლის მედ-
ლით დასაჯილდოებლად წარმოდგენილ კანდიდატთა შესწავლა-შერ-
ჩევაზე.

4. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს ა. წ. 25
მარტამდე ეს ბრძანება განიხილონ საშუალო სკოლის დირექტორე-
ბის და სასწავლო ნაწილის გამგეების თათბირებზე, ხოლო სკოლის
დირექტორებმა პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების

სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე.

პ. მ. გ. რედაქტორი მ. ბურბულაძე

ტირაჟი 2000. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/III 1946 წ. უე 01605
სტამბის შეკვ. № 558. ანაწყ. ზომა 6×10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“,
ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 28.

1946

უზანო



საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებითა და
განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეცხრე

№ 4—6	Сборник приказов и Распоряжений Министер- ства Просвещения Грузинской ССР	1946 წ.
-------	--	---------

1945—46 სასწავლო წლის მეორე
ნახევარში საქართველოს სსრ
სკოლების გამოკვდევის
შედეგების შესახებ

7856

თბილისი
1946



პ/მგ. რედაქტორი მ. ბურჭულაძე

ბრძანება № 277

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისაღმშ

1946 წ. 8 თებერვალი

მცხეთის რაიონის—ნიჩბინის საშუალო სკოლის მუშაკ-
ბის შესახებ

გამოკვლევით დადასტურებულია, რომ მცხეთის რაიონის ნიჩ-
ბინის საშუალო სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის
გამგის სუსტი ხელმძღვანელობისა და მასწავლებელთა მუშაობაზე
სათანადო კონტროლის დაუწესებლობის შედეგად, აღნიშნული
სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში ადგილი აქვს სერიო-
ზულ ნაკლოვანებებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

ა) სუსტად არის დაყენებული ცალკეული საგნების სწავლე-
ბის საქმე, რის გამოც მოსწავლეთა მომზადების დონე ქართულ
ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში,
ქიმიაში, ბუნებისმეტყველებაში და სხვა საგნებში ძალზე დაბალია.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ნაკლები ყუ-
რადღება ექცევა კლასიკოსების ნაწარმოებთა ტექსტზე მუშაობას,
რის გამოც მოსწავლეები ვერ ახერხებენ ნ. ბარათაშვილისა, ილია
ქავჭავაძისა, აკაკი წერეთლის და სხვა კლასიკოსთა შემოქმედების
ანალიზს. ფრიად დაბალია მოსწავლეთა მეტყველებისა და წერის
კულტურის დონე. მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში ბლომად
მოიპოვება სტილისტური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური
ხასიათის შეცდომები. წერის თემები შერჩეულია უხეიროდ, ადგი-
ლი აქვს ლექსებისა და იგავ-არაკების კარნახით წერას. არ ხდება
წერითი ნამუშევრების დროულად და გულდასმით გასწორება, ად-
გილი აქვს შეფასების ნიშნების აწვევის შემთხვევებს. მაგალითად,
მე-7 კლასის ერთერთი მოსწავლის წერითი ნამუშევარი, რომელიც
მხოლოდ 12 სტრიქონს შეიცავდა და რომელშიც უხვად იყო ყველა
სახის შეცდომა,— შეფასებული იყო ნიშან „4“-ზე.

ისტორიიდან არ იცნობენ ღირსშესანიშნავ ფაქტებსა და მოვლენებს, ვერ ერკვევიან ისტორიულ მოვლენათა მიზეზებსა და შედეგებს; არ იცნობენ, მაგალითად, პუგაჩევის აჯანყების ამბავს და მის მიზეზებს, 1812 წლის სამამულო ომის ისტორიას და სხვა ძირითადი მნიშვნელობის მასალას. ქიმიის სწავლებაში არ იყენებენ თვალსაჩინოებას, გავრცელებულია ქიმიური ფორმულების უაზროდ, მექანიკურად გაზებობა, ქიმიური ცნებების აღრევა, მოსწავლეები ვერ ერკვევიან საგნის ძირითად საკითხებში, ვერ არჩევენ ქიმიურ ნაერთთა კლასებს, ჟანგულებს, ფუძეებს, მჟავებს და მარილებს, გოგირდის სიმყავის ნაცვლად სწერენ გოგირდწყალბადს და სხვ.

ელემენტარული საკითხების უცოდინარობას ამჟღავნებენ მოსწავლეები აგრეთვე გეოგრაფიაში; არ იცნობენ მასშტაბს, არა გაეგებათ კომპასის დანიშნულება, არ იციან რას ეწოდება სრუტე, ტბა, ოკეანე, ხშირად მდინარის ნაცვლად ასახელებენ ზღვებსა და ოკეანებს;

ბ) სამუშაო გეგმების შედგენის საქმეში ადგილი აქვს მასწავლებელთა უბასუხისმგებლობას. ზოგ საგანში სამუშაო გეგმა არ იყო შედგენილი დეკემბრამდე. აგრეთვე მასწავლებლებს არ აქვთ თემატიკური გეგმები, კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები ზოგადი ხასიათისა.

გ) სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლის მუშაობაზე ძალზე სუსტია. მათ მიერ მოსმენილ გაკვეთილების რაოდენობა მეტად მცირეა. მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი არ არის სათანადოდ გაფორმებული, მითითებები ერთფეროვანი, უხეირო და ზოგადი ხასიათისა.

დ) სუსტია განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორების დახმარება სკოლაზე. ინსპექტორი აბგარ კალოვი ასეთ მითითებებს აძლევს სკოლას: „სისტემატურად აწარმოოს სასწავლო ნაწილის გამგემ ყოველ-კვირეული გაშლილი გეგმის შედგენა“, „მიიღოს სათანადო ზომები რათა კლასის ხელმძღვანელებმა იქონიონ მშობელთა ოჯახების დათვალეირების სპეციალური რვეული და სხვ.“;

ე) 1945 წლის 4 ოქტომბერს სკოლაში ჩაიშალა გამოცდები ქიმიაში იმის გამო, რომ სასკოლო ინსპექტორები ჩიხლაძე და კალოვი გამოცდების ჩასატარებლად მთვრალეები გამოცხადდნ სკოლაში.

1. ნიჩბისის საშუალო სკოლის დირექტორი კონსტანტინე გიორგაძის-ძე ლილუაშვილი განთავისუფლდეს თანამდებობიდან იმის გამო, რომ მან ვერ უზრუნველყო სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება და 1945 წლის 4 ოქტომბერს ხელი შეუწყო მე-10 კლასში გამოცდების ჩაშლას ქიმიკში.

2. ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ქეთევან სილიბისტროს ასული კობეშავიძე განთავისუფლდეს თანამდებობიდან მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და ქიმიკ-ბუნების-მეტყველების სწავლების ცუდად დაყენებისათვის.

3. მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორები აბგარ იოსების-ძე კალოვი და ალექსანდრე ზაქარიას-ძე ჩიხლაძე მოიხსნან თანამდებობიდან უმსგავსი საქციელისა და სკოლაში გამოცდების ჩაშლისათვის.

4. დაევალოს მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს შეისწავლოს ნიჩბისის საშუალო სკოლის მასწავლებელთა მუშაობა და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი აღნიშნულ სკოლაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომის კადრების სამმართველოს ა. შ. 15 თებერვლამდე შეარჩიოს სათანადო კანდიტატები სასკოლო ინსპექტორებისა და ნიჩბისის საშუალო სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1946 წლის 18 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე.

ბრძანება № 393

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1946 წლის 27 თებერვალი

თბილისის რაიონის ზოგიერთი სკოლისა მუშაობის შესახებ

შემოწმებით დადასტურებულია, რომ თბილისის რაიონის წყალსადენისა და შამპანკომბინატის დაწყებით, ბაგებისა და ტაბახმელის შვიდწლიან, ავჭალის, დიღმისა და კოჯრის საშუალო სკოლებში რამდენიმედ გაუმჯობესებულია სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამოღლების საქმეში მიღწეულია ზოგიერთი წარმატება.

ავჭალის საშუალო სკოლის მასწავლებლები: ს. ბერძნიშვილი (ქართული ენა და ლიტერატურა), ნ. ლევადა (ბუნებისმეტყველება), ნ. კვერცხე (ისტორია და გეოგრაფია), კოჯრის საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელი გ. კეკელია, წყალსადენისა და შამპანკომბინატის დაწყებითი სკოლების მასწავლებლები ა. ქობინელიძე, ა. აკოფოვი და სხვები გაკვეთილებისათვის კარგად ემზადებიან, სწავლებაში იყენებენ თვალსაჩინოებას და მოსწავლეთა ცოდნის დონეს ამოწმებენ სისტემატურად და ობიექტურად.

მაგრამ, აღნიშნული სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს:

ა) ზოგ სკოლაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლება ცუდად ხორციელდება. მაგალითად, ავჭალის საშუალო სკოლიდან მიმდინარე სასწავლო წელს განთესილია 7 მოსწავლე, ტაბახმელისა და ბაგების შვიდწლიანი სკოლიდან—10 მოსწავლე. ამასთან ერთად, ადგილი აქვს გაკვეთილების გაცდენების და გაკვეთილებზე დაგვიანების შემთხვევებს; ა. წ. 23 იანვარს ავჭალის საშუალო სკოლაში 465 მოსწავლიდან მეცადინეობაზე 233 მოსწავლე გამოცხადდა, ხოლო ბაგების შვიდწლიან სკოლაში 31 იანვარს მე-2, მე-4 და მე-6 კლასების 54 მოსწავლიდან მეცადინეობას მხოლოდ 21 მოსწავლე დაესწრო და სხვ.;

ბ) ზოგან გაკვეთილების ცხრილი არ შეესაბამება საქართველოს სსრ განხატკომის მიერ დამტკიცებულ სასწავლო გეგმას. მაგალითად, კოჯორის საშუალო სკოლის მე-2 კლასში რუსულ ენას კვირაში 6 საათის ნაცვლად დათმობილი აქვს 3 საათი, ტაბახმელის შვიდწლიანი სკოლის მე-5 კლასში ისტორიას 2 საათის ნაცვლად — 3 საათი, ხოლო ამ სკოლის მე-6 კლასში ალგებრას 5 საათის ნაცვლად — 4 და მე-5 კლასში არითმეტიკა 7 საათის ნაცვლად კვირაში 6 საათი ისწავლება;

გ) ზოგჯერ მეოთხედური ნიშნების დადგენა არ ხდება მიმდინარე შეფასების ნიშნების საფუძველზე. ავჭალის საშუალო სკოლის მე-6 კლასის ერთ-ერთ მოსწავლეს ისტორიაში სასწავლო წლის მეორე მეოთხედის მეოთხედურ ნიშნად „3“ უწერია, მაშინ როცა ეს მოსწავლე სასწავლო წლის მეორე მეოთხედში ცოდნის მაშინდარე შეფასებისას ისტორიაში ოთხჯერაა გამოკითხული და მას სამჯერ მიღებული აქვს ნიშანი „2“, ხოლო ერთჯერ „1“, მსგავს შემთხვევას ადგილი აქვს აგრეთვე ტაბახმელის შვიდწლიან სკოლაშიც;

დ) ზოგიერთი მასწავლებელი არ ითვალისწინებს, რომ სწავლებას უნდა ჰქონდეს აღმზრდელიობითი ხასიათი, კმაყოფილდება მოსწავლეთათვის მხოლოდ ცოდნის მიწოდებით და სწავლების პროცესში უგულებელჰყოფს მოსწავლეებში ხასიათის, მეგობრობის, ამხანაგობის გრძნობისა და სხვა თვისებათა აღზრდას. მაგალითად, ავჭალის საშუალო სკოლის მე-4 კლასის ქართული ენის მასწავლებელი გაკვეთილზე დაკმაყოფილდა „სათაგური“-ს მხოლოდ მშრალი შინაარსის გადმოცემით და კარგი მასალა მოცემული ამ მოთხრობაში არ გამოიყენა მოსწავლეებში ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობის აღსაზრდელად.

ტაბახმელის შვიდწლიან და ავჭალის საშუალო სკოლებში ხშირ შემთხვევაში არ სრულდება მოსწავლეთა წესები. ტაბახმელის შვიდწლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები მერხებზე ნახევრად წამოწოლილნი სხედან, მოსწავლე ვაყები ჯიბეში ხელეჩაწყობილი პასუხობენ მასწავლებლებს, ხოლო ავჭალის საშუალო სკოლის მასწავლებელთა ერთ ნაწილს მოსწავლეების მიერ შერქმეული აქვს ზედმეტი სახელები და სხვ.;

ე) ზოგ სკოლაში ცუდად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. დიღმის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ანა მხევაშვილი არ არის დაუფლებული საგანს, ლიტერატურულ მასალას ამუშავებს ზერე-

ლედ, არ ავარჯიშებს მოსწავლეებს ნაწარმოების ტექსტზე, არ აწარმოებს ნაწარმოების ტექსტუალურ ანალიზს, სათანადო ყურადღებას არ აქცევს საწერ თემების შერჩევას, წერიითი ნამუშევრების დროულად და გულდასმით გასწორებას და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასებას, რის გამოც მე-6 და მე-7 კლასების მოსწავლეთა ცოდნის დონე მეტად დაბალია, მათში არ არის გამოიშვავებული დალაგებული თხრობისა და ზეპირი და წერიითი მეტყველების სწორი ცოდნა-ჩვევანი. არ იციან გავლილი მთელი რიგი ნაწარმოებების, — „თორნიკე ერისთავის“, „პალიასტომის ტბის“, „კაცია ადამიანის“ და სხვათა შინაარსი და დაწერის თარიღი; წერიითი ნამუშევრებში მრავლად უშვებენ ორთოგრაფიულ, სტილისტურ და პუნქტუაციურ შეცდომებს, ცუდია დაწერილობა და სხვ.

სუსტადაა დაყენებული ქართული ენის სწავლება კოჯრის, ავჭალის საშუალო და ბაგების შვიდწლიან სკოლების დაწყებით კლასებში, ამ სკოლების 1 და მე-2 კლასებში სუფთა წერის გაკვეთილები ფაქტიურად არ ტარდება;

გ) რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები საფუძვლიანად არ ახდენენ ტექსტის ლოლიკურ და ლექსიკურ ანალიზს, არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს წინადადებათა შედგენაზე, გრამატიკის სწავლებას არ უკავშირებენ ტექსტს და სასაუბრო ენას, იშვიათად აძლევენ მოსწავლეებს საშინაო დავალებას ენაში და არ აჩვენებენ მოსწავლეებს მოძებნონ ტექსტში საჭირო მაგალითები, რის გამოც ღარიბია მოსწავლეთა ლექსიკონი, მათ უძნელდებათ შინაარსის გადმოცემა, სწორად ვერ აგებენ წინადადებებს და შეცდომებს უშვებენ მართვასა და შეთანხმებაში; კოჯრის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები ამბობენ: „Приложение“, „Этот барышня сказал отцу“, „Попал комиссий“, „Новые долги“, მათ არ იციან რამდენგვარია ზედსართავი სახელი და სხვ. ასევე სუსტადაა დაყენებული რუსული ენის სწავლება ტაბახმელის შვიდწლიანი სკოლის მე-3 და მე-7 კლასებშიაც;

ზ) არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს ქიმიკა-ბუნებისმეტყველების სწავლება. დიღმის საშუალო სკოლის ქიმიკა-ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ე. ქურიძე თვითონ ვერ არის დაუფლებული საგანს, რის გამოც ამ სკოლის მოსწავლეები ქიმიკა-ბუნებისმეტყველების კურსის სრულ უცოდინარობას იჩენენ; მე-8 კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან ქიმიური სიმბოლოები და ფორმულები, არ იციან მარილთა მიღების ხერხები. ჰალოგენების მიღება, მათი თვი-

სებათა ცვლა ატომური წონის ზრდასთან დაკავშირებით, ვერ გან-
მარტეს რას ეწოდება მარილი, მჟავა და ანჰიდრიდი. მე-10 კლასის
მოსწავლეებმა ვერ დასწერეს ელემენტარული განტოლება, ვერ განსაზღ-
ვრეს ორგანულ მჟავათა ფუნქციონობა, არ იციან ჟანგვა, აღდგენა,
ეთერფიკაციისა და გასაპნების რეაქცია, ვერ ერკვევიან სტრუქტუ-
რულ ფორმულებში და სხვ.

ამ სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებს წარმოადგენა არა აქვთ ვინ
იყო ლინეი, ლამარკი, არ იციან ჩ. დარვინის ბიოგრაფია, მისი მოძღვ-
რების ძირითადი საფუძვლები, — ბრძოლა არსებობისათვის, ცვალებ-
ადობა, ხელოვნური და ბუნებრივი შერჩევა და სხვ. კოჯრის სა-
შუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებს წარმოადგენა არა აქვთ
სისხლის შემადგენლობაზე, გულის აღნაგობაზე, ძვალკუნთოვან
სისტემაზე და სუნთქვის პროცესზე.

ტაბახმელის შეიდწლიან სკოლაში ქიმიის სწავლება ყოველკვა-
რი თვალსაჩინოების გარეშე სწარმოებს, რის გამოც მე-7 კლასის
მოსწავლეები ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან ფიზიკურ და ქიმიურ
მოვლენებს, არ იციან რას შეისწავლის ქიმია, რა არის წვა, ხენჯი
და რეაქციის ტიპები.

მ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოს სკოლის დირექტორებს (გამგებებს) და სასწავ-
ლო ნაწილის გამგებებს:

ა) 1946 წლის 10 მარტამდე ჩაატარონ სკოლისგარეთ დარჩე-
ნილი ბავშვებისა და მოზარდების ზუსტი აღრიცხვა, შეისწავლონ
მათი შესაბამ კლასებში დაბრუნების საკითხი, 1946-47 სასწავლო
წლიდან დააბრუნონ ისინი სკოლებში და არ დაუშვან მოსწავლეთა
სკოლიდან ჩამოშორების ფაქტები; განუმარტონ მშობლებს საყო-
ველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საქმეში მათი მოვა-
ლეობა და იმ მშობლების წინააღმდეგ, რომლებიც შეგნებულად
არიდებენ ბავშვებსა და მოზარდებს სკოლებს, მიიღონ კანონით
გათვალისწინებული ზომები;

ბ) გადაქრით აღკვეთონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაც-
დენისა და გაკვეთილებზე დაგვიანების შემთხვევები: ყოველ ცალ-
კეულ შემთხვევაში შეამოწმონ მოსწავლეთა დაგვიანების და გაც-
დენის მიზეზები, ჩააბან ამ მუშაობაში მოსწავლეთა მშობლები, დაა-
კისრონ მათ პასუხისმგებლობა და უზრუნველყონ ამ დარგში მოს-
წავლეთა წესების ზუსტად გატარება სკოლაში;

გ) პირადად უხელმძღვანელონ მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაოდან წასვლის აღრიცხვას და სკოლის შინაგანაწესის დამრღვევ მასწავლებელთა მიმართ მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები;

დ) 1946 წლის 28 თებერვლამდე უზრუნველჰქონ მასწავლებელთა მიერ საგნის წლიური კალენდარული გეგმების საქართველოს სსრ განსახკომის პროგრამების შესაბამისად გადამუშავება და საგნის კალენდარულ გეგმებში გასამეორებელი მასალის შეტანა;

ე) გადაჭრით გააუმჯობესონ მეთოდური მუშაობა, დაწყებითი კლასის მასწავლებელთათვის ჩამოაყალიბონ საკლასო კომისიები, ხოლო მე-5-10 კლასების მასწავლებელთათვის საგნობრივი კომისიები, გამოცდილებათა გაზიარების მიზნით მოაწიონ ცალკე საგნების მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება; პერიოდულად ჩაატარონ მასწავლებლებთან მეთოდური ხასიათის მოხსენებები, კონსულტაციები და თათბირები, როგორც ზოგად პედაგოგიურ, ისე ცალკე საგნების სწავლების მეთოდის საკითხებზე;

ვ) სისტემატურად დაესწრონ მასწავლებლებს გაკვეთილებზე, შეამოწმონ ცალკე სასწავლო დისციპლინებში საპროგრამო მასალის გავლა, მოსწავლეთა ცოდნა, მათი წერითი ნამუშევრები, გასწორება და შეფასება, კლასის ხელმძღვანელების მუშაობა, შედეგები განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის და ცალკე სასწავლო დისციპლინებში არსებულ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის;

ზ) არსებითად გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოს მუშაობა, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მეტი ადგილი დაუთმონ სასწავლო-სააღმზრდელო ხასიათის საკითხების განხილვას; დაწვრილებით ჩაწერონ ოქმში როგორც მოსმენილი საკითხების შინაარსი, ისე ამა თუ იმ საკითხზე კამათში გამოსულ მასწავლებელთა აზრი, სათანადოდ გააფორმონ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები და სისტემატურად შეამოწმონ მიღებულ დადგენილებათა შესრულება;

თ) გადაჭრით გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა, სისტემატურად შეამოწმონ კლასის ხელმძღვანელებისა და ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა მიერ აღმზრდელობითი მუშაობა გაკვეთილებზე, ფართოდ ჩააბან ამ საქმეში კომკავშირისა და პიონერ-ორგანიზაციები, მოსწავლეთა მშობლები და ზუსტად

გაატარონ ცხოვრებაში საქართველოს სსრ განსახკომის მითითებებზე მოსწავლეთა დასჯისა და წახალისების ღონისძიებათა შესახებ

2. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ ნაწარმოების შინაარსის მხატვრულად გადმოცემას, ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობას, მოსწავლეთა წერიითი და ზეპირი შეტყვევების კულტურის დონის ამაღლებას, შეგნებული, გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის გამომუშავებას, გრამატიკის სწავლების მტკიცედ დაკავშირებას ლიტერატურულ მასალასთან, წერიითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, საწერი თემების შერჩევას პროგრამების მოთხოვნილებათა შესაბამისად, წერიითი ნამუშევრების გულდასმით გასწორებასა და ობიექტურ შეფასებას.

3. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა უფრო მეტი დრო დაუთმონ ტექსტზე მუშაობას, ტექსტის ლოგიკურ და ლექსიკურ ანალიზს, წინადადებების სწორად აგებას და ცალკეულ სიტყვათა შეგნებულად, დაუმახინჯებლად გამოთქმას, ენაზე პრაქტიკულ ვარჯის; ენაზე მუშაობა მკიდროდ დაუკავშირონ ლიტერატურულ მასალას, სასაუბრო ენას და არ დაუშვან გრამატიკული წესებისა და კატეგორიების შეუგნებლად გაზეპირება.

4. ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასწავლო მასალის თანამიმდევრობით გადაცემას, სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებას, ბუნების მოვლენებზე დაკვირვების წარმოებას; ექსკურსიების ჩატარებას, განვლილი მასალის სისტემატურ განმეორებას და მიაღწიონ მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის შეგნებულად შეთვისებას, მათში პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებისა და ბუნების მოვლენებზე სწორი შეხედულების გამომუშავებას.

5. ქიმიის მასწავლებლებმა მოსწავლეთა მიერ მასალის მტკიცედ და შეგნებულად შეთვისების მიზნით სისტემატური ხასიათი მისცენ გაკვეთილებზე ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებას; შემოიღონ ქიმიის მასალის ჩასაწერი და ჩასახატი რეცეული და სისტემატურად ავარჯიშონ მოსწავლეები ქიმიური ამოცანების ამოხსნაზე.

6. ისტორიის სწავლებისას ფართოდ იქნეს გამოყენებული თვალსაჩინოება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა მიერ მასალის მწყობრ და თანამიმდევრულ თხრობას, ისტორიულ ამბებისა და მოვლენების, თარიღებისა და სახელების დაუ-

მახინჯებლად გადმოცემას და ისტორიულ მოვლენათა შორის არ
სებულის მიზეზობრივი კავშირის შეგნებას.

7. ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებმა
ბისა და საგნების მიხედვით შეადგინონ კლასგარეშე საკითხავი წიგ-
ნების სარეკომენდაციო სიები, დააწესონ მოსწავლეთათვის წასა-
კითხი წიგნების სავალდებულო მინიმუმი და წაკითხული წიგნების
გარშემო აზრთა გაზიარების მიზნით პერიოდულად მოაწყონ მკითხ-
ველთა შეკრებები.

8. ტაბახმელის შეიდწლიანი და კოჯრის საშუალო სკოლების
სამეცადინო ცხრილი, როგორც შეუსაბამო საქართველოს სსრ გან-
სახკომის მიერ დამტკიცებულ სასწავლო გეგმასთან გაუქმდეს, 1946
წლის 28 თებერვლიდან აღნიშნულ სკოლებში იმუშაონ ახალი, სა-
ქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგ-
მის შესაბამისად შედგენილი ცხრილით.

9. დაველოს აღნიშნული სკოლების დირექტორებს, სასწავლო
ნაწილის გამგეებსა და მასწავლებლებს განსაკუთრებული ყურადღე-
ბა მიაქციონ საკლასო ჟურნალების წესიერად წარმოების საქმეს;
სისტემატურად შეიტანონ საკლასო ჟურნალებში საშინაო დავალე-
ბები, მოსწავლეთა, ცოდნის შეფასების ნიშნები და არ დაუშვან
დამახინჯებები მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში, რისთვის
საც მტკიცედ იხელმძღვანელონ განსახკომის 1945 წლის 3 მარტის
მითითებებით.

10. ა/წ 28 თებერვლიდან განთავისუფლდეს თანამდებობიდან
კოჯრის საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ვასილ
გრიგოლის-ძე სიხარულიძე იმის გამო, რომ მან, როგორც შეთავსე-
ბით მომუშავემ, ვერ უზრუნველყო საგნის სწავლების სათანადო
სიმაღლეზე დაყენება; ბუნებისმეტყველების გაკვეთილები გადაეცეს
ამავე სკოლის მასწავლებელ რაისა მამედოვას მისი გეოგრაფიის
მასწავლებლობიდან განთავისუფლებით, ხოლო გეოგრაფიის სწავლე-
ბა დაეკისროს მასწავლებელ გენერა ექვთიმეს-ასულ გიორგაძეს.

11. ა/წ 28 თებერვლიდან განთავისუფლდნენ თანამდებობიდან
დიღმის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მას-
წავლებელი ანა მზევაშვილი და ქიმიკ-ბუნებისმეტყველების მასწავ-
ლებელი ეკატერინე ქურიძე ამ საგნების სწავლების ცუდად დაყენე-
ბისათვის.

ანა მზევაშვილი გამოყენებული იქნას დიღმის სკოლაში სსვა
შესაფერ, სამუშაოზე.

12. გამოეცხადოს საყვედური ტაბახმელის შვიდწლიანი სკოლის დირექტორს მარიამ ჭელიძეს იმის გამო, რომ მან ვერ უზრუნველყო სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე სათანადო ძღვენელობა და კონტროლის განხორციელება და გაფრთხილებულ იქნას, რომ უახლოეს დროში, თუ ის ვერ გარდაქმნის მუშაობას, 1946-47 სასწავლო წლიდან მოხსნილი იქნება სამუშაოდან.

13. გამოეცხადოს საყვედური ტაბახმელის შვიდწლიანი სკოლის ჭიმი-ბუნებისმეტყველების მასწავლებელ სოფიო ჟღენტს ამ საგნების სწავლების ცუდად დაყენებისათვის.

14. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომის მომარაგების სამმართველოს უფროსს ამხ. დავით მელიქაძეს კოჯრის საშუალო სკოლისათვის—საბავშვო სახლების აღსაზრდელებისათვის, დამატებით გამოჰყოს 5.000 ცალი რვეული.

15. წინადადება მიეცეს თბილისის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მ. კვაჭაძეს გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი რაიონის სკოლების მუშაობაზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ხსენებული სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

16. ეს ბრძანება განილულ იქნას თბილისის რაიონის ყველა დაწესებულებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ა/წ 10 მარტამდე და დასახული იქნას სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისრის მოადგილე მ. ბურჭულაძე.

ბრძანება № 506

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1946 წ. 13 მარტი

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა საქართველოს სსრ სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შემოწმების შედეგებს აღვნიშნავ, რომ ზოგიერთმა განათლების განყოფილებამთა გამგემ, სკოლის დირექტორმა და მასწავლებელმა სათანადო პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი სკოლის ასაკის ბავშვთა სკოლაში მთლიანად ჩაბმის საქმეს. ქალ. თბილისისა და ქუთაისის, აბაშის, ვანის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, სიღნაღის, ჩოხატაურის, სამტრედიის, წულუკიძისა და სხვა რაიონებში ზუსტად აღრიცხეს სკოლის ასაკის ყველა ბავშვი და მოზარდი, ჩააბეს ისინი სათანადო კლასებში და შეინარჩუნეს მოსწავლეთა მთელი კონტინენტი. მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს ლანჩხუთის რაიონის სკოლებში დაბრუნებული იქნა 450 მოსწავლე, აბაშის რაიონის სკოლებში—129, ზესტაფონის რაიონში—195, ზუგდიდის რაიონში—200, ჩოხატაურის რაიონში—150-დე მოსწავლე და ა. შ.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მრავალ რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელება არაა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს:

ა) ბევრ რაიონში მოსწავლეთა თვალსაჩინო ნაწილი ჯერ კიდევ სკოლის გარედ არის დარჩენილი. მაგალითად, აღიგენის რაიონში სკოლის გარეთ დარჩენილია 1—4 კლასების ასაკის 662 ბავშვი (15%), 5—7 კლასების ასაკის—597 ბავშვი (41%); მცხეთის რაიონში—5—7 კლასების—296 (17%), თბილისის რაიონში—1-4 კლასების ასაკის—642 (11%), 5—7 კლასების—580 (31%), ბაშკირეთის რაიონში—5—7 კლასების ასაკის—590 (29%), გეგეჭკორის რაიონში—5—7 კლასების ასაკის—642 (16%) აფხაზეთის ასსრ-ში 5—7

კლასების ასაკის—3136, (21⁰/₆), სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქში—5-7 კლასების—1575 ბავშვი (24⁰/₆). მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ბაგდანოვკის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ქლუბორის^{საქმის} მიაიკოვსკის, ცაგერის, ღუშეთის, ბორჯომის, სავარეჯოს, ახალციხის, ცხაკაიასა და სხვა რაიონებშიაც.

ბ) 1945 წლის სექტემბრიდან 1946 წლის იანვრამდე ბევრი მოსწავლე ჩამოშორდა სკოლას. მაგალითად, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სკოლებს ჩამოშორდა—650 მოსწავლე, ახალციხის რაიონში—520, სავარეჯოს რაიონში—200, ტყიბულის რაიონში—260, ცხაკაიას რაიონში—270, ქ. კიათურის სკოლებს—160-დე მოსწავლე და ა. შ.

გ) ზოგ სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის ხშირ შემთხვევებს. ბოლნისის რაიონის დარბაზის საშუალო სკოლის 270 მოსწავლიდან მეცადინეობას ნოსწავლეთა მხოლოდ 50-60% ესწრება. ამავე რაიონის ფახრალის საშუალო სკოლაში 15 თებერვალს მე-6 კლასის 31 მოსწავლიდან მეცადინეობაზე მხოლოდ 10 მოსწავლე გამოცხადდა. ამავე რაიონის კაზრეთის შვიდწლიან სკოლაში ნოემბრის შემდეგ ყოველ კლასში მეცადინეობას მოსწავლეთა ერთი მესამედი აკლდება. თბილისის რაიონის აეკალის საშუალო სკოლაში 23 იანვარს 465 მოსწავლიდან მეცადინეობაზე 233 მოსწავლე გამოცხადდა; ამავე რაიონის ბაგების შვიდწლიან სკოლაში 31 იანვარს მე-2, მე-4 და მე-6 კლასების 54 მოსწავლიდან მეცადინეობას მხოლოდ 21 მოსწავლე დაესწრო. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი მცხეთის, სტალინირისა და ზოგიერთ სხვა რაიონის მთელ რიგ სკოლებშიაც.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები შედეგია იმისა, რომ დასახელებულ რაიონებში სკოლის დირექტორები და სახალხო განათლების განყოფილებების გამგეები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან—„7-დან 17 წლის ასაკამდე ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებულ ინსტრუქციის განხორციელების საქმეს; არ აწარმოებენ საჭირო ახსნა-განმარტებას მოსახლეობაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის მნიშვნელობაზე და არ სვამენ საკითხს შემდგომი ორგანოების წინაშე იმ სახლმართველებისა და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეების შესახებ, რომლებიც არადამაკაყოფილებ-

ლად მუშაობენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გასატარებლად.



მ ბ რ ძ ა ნ ე მ ბ :

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ახსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოხეთის ავტონომიური ოლქის, ყველა სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფილებებს:

ა) 1946 წლის 28 მარტამდე ცალკე სკოლების მიხედვით დააზუსტონ სკოლიდან ჩამოშორებულ და სკოლისგარეთ დარჩენილ ბავშვთა რაოდენობა, საფუძვლიანად შეისწავლონ მათი სათანადო კლასებში დაბრუნების საკითხი და ის მოსწავლეები, რომლებსაც გაცდენილი აქვთ 45 სასწავლო დღეზე ნაკლები, ეხლავე ჩააბან სწავლებაში, ხოლო იმ ბავშვების ჩაბმა სკოლებში, რომელთაც 45 სასწავლო დღეზე მეტი აქვთ გაცდენილი გაითვალისწინონ 1946—47 სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან;

ბ) საფუძვლიანად შეისწავლონ მოსწავლეთა სკოლიდან ჩამოშორების მიზეზები იმ მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, რომლებიც ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის უქონლობის გამო სკოლაში ვერ ცხადდებიან, საკითხი დასვან ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე;

გ) ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარონ მოსახლეობაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მნიშვნელობის შესახებ და იმ მშობლებისა და მეურვეების წინააღმდეგ, რომლებიც ბავშვებს არ გზავნიან სკოლაში, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები;

დ) სისტემატური კონტროლი დააწესონ სახლთმმართველებისა და სასოფლო-სამეურნეო თემმმართველების მიერ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილების განხორციელებაზე და იმ სახლთმმართველისა და სასოფლო-სამეურნეო თემმმართველის მიმართ, რომლებიც არ ზრუნავენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებაზე, ზომების მისაღებად დასვან საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე;

ე) არ დაუშვან მოსწავლეთა მოწყვეტა მეცადინეობიდან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში გამოყენების მიზნით და ამ საქმეში დამნაშავე პირთა შესახებ საკითხი აღძრან სათანადო ორგანოების წინაშე, ორგანიზაციული ზომების მისაღებად.

2. დაევალოს დაწყებითი, შვიდწლიანი და ხაშუალო სკოლის დირექტორებს (გამგეებს):

ა) სასკოლო უბნის მიხედვით ერთი დეკადის ვადაში დაახლოებით მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების სხვადასხვა კლასებიდან ჩამოშორებულ მოსწავლეთა სიები, შეისწავლონ მათი სკოლიდან ჩამოშორების მიზეზები, ადგილობრივ ორგანოებთან და მშობელთა კომიტეტებთან ერთად დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათი სკოლებში დასაბრუნებლად;

ბ) ქალაქად სახლთმშობრთველებთან და სოფლად სასოფლო-სამეურნეოებთან ერთად დაწესებულ ვადებში აღრიცხონ წინაწლებში სკოლებიდან ჩამოშორებული მოსწავლეები და ის ბავშვები, რომლებსაც 1946 წლის 1 სექტემბერს შეუსრულდებათ 7 წელი და ამ თავითვე დასახონ საჭირო ღონისძიებანი 1946 - 47 სასწავლო წლის დასაწყისიდან მათი სკოლაში მთლიანად ჩაბმის უზრუნველსაყოფად.

გ) გადაჭრით აღკვეთონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები; ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეამოწმონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის მიზეზები, ჩააბან ამ მუშაობაში მოსწავლეთა მშობლები, დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა და უზრუნველჰყონ ამ დარგში მოსწავლეთა წესების ზუსტად გატარება სკოლაში.

3. დაევალოს განათლების განყოფილების გამგეებს ა/წ 23 მარტამდე ეს ბრძანება განიხილონ დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების (გამგეების) თათბირზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელიც უზრუნველჰყოფს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა სრულ ლიკვიდაციას.

საქართველოს სსრ განათლების

სახალხო კომისარი ზ. კუპრაძე

958-1

საქართველოს სსრ
საგარეო
კომისარიატის
სამსახური

ბრძანება № 552

საქართველოს სსრ მანათლებლის სახალხო კომისარიატისადმი
1946 წლის 21 მარტი

ბოლნისის რაიონის სკოლების გამოკვლევის შედეგების
შესახებ

გავეცანი რა ბოლნისის რაიონის ბოლნისის, ფახრალის, დარბაზის, კაპანახჩის საშუალო, აშლაგულავერის, კაზრეთის, ბალიჭის შეიღწილიანი და ქვევისა, დამირლოსა და მუშევანის დაწყებითი სკოლების მუშაობის გამოკვლევის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ბოლნისის რაიონში სკოლების მატერიალური ბაზა მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული: სკოლების დიდი ნაწილი შეკეთებულია, საკმაო რაოდენობით არის მოზიდული სათბობი, სასკოლო შენობებს მიწები უმნიშვნელო რაოდენობით აკლია; გასულ წელთან შედარებით სკოლები უკეთ არიან უზრუნველყოფილი მასწავლებელთა კადრებით, სახელმძღვანელო წიგნებით, რეფულებით და სხვა სასწავლო ნივთებით. განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა ამ მხრივ ჩატარებული ბოლნისის ქართული (დირექტორი გ. ბაკურაძე) და კაპანახჩის აზერბაიჯანული (დირექტორი მ. სადიკოვი) სკოლების მიერ, რის შედეგად ამ სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის სათანადო პირობებია შექმნილი.

ამის მიუხედავად, რაიონის სკოლების მუშაობას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებს, ამათგან მთავარია შემდეგი:

ა) ბევრი ბავშვი სკოლისგარეთ არის დარჩენილი, ხოლო იმ ბავშვების საკმაოდ დიდი ნაწილი, რომლებიც ჩარიცხული არიან სკოლებში ხშირად აცდენს გაკვეთილებს. მაგალითად, დარბაზის საშუალო სკოლაში უნდა სწავლობდეს 393 ბავშვი, სიით სკოლაში ირიცხება მხოლოდ 270 ბავშვი, ამათგანაც კი მეცადინეობას ნორმალურად 50-60% ესწრება. ფახრალის საშუალო და კაზრეთის შეიღწილიანი სკოლებში არ არის ზუსტად დადგენილი სკოლის ასაკის მოსწავლეთა რიცხვი, და ჟურნალების მიხედვით აღრიცხულ მოსწავლეთაგან მეცადინეობას ბავშვთა საკმაოდ დიდი ნაწილი არ ესწრება. მაგალითად, ფახრალის საშუალო სკოლაში 15 თებერვალს მე-

კლასში 31 მოსწავლიდან მეცადინეობას ესწრებოდა მხოლოდ 10 მოსწავლე; კაზრეთის შვიდწლიან სკოლაში ნოემბრის შემდეგ კოველ კლასში მეცადინეობას აკლდება მოსწავლეთა თითქმის ერთმესამედი;

ბ) მრავალი ნაკლი ახასიათებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას, — I—VII კლასების მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს მათთვის ცნობილი მოთხოვნების მინაარსის გააზრებულად გადმოცემას, ბავშვები ზეპირად, სიტყვა-სიტყვით, იმეორებენ ტექსტს.

გრამატიკა სავსებით მოწყვეტილად ისწავლება ლიტერატურის კურსისაგან, — ბოლნისისა და კაზრეთის სკოლების მეექვსე კლასების მოსწავლენი თითქოს ერკვევიან ზმნათა კატეგორიებში, მაგრამ საკმარისია დააკვირდეთ მათ მეტყველებას, რომ დარწმუნდეთ, თუ რამდენად ზერელე და უსაგნოა ეს ცოდნა.

მოსწავლენი კლასგარეშე წიგნებს არ კითხულობენ; კითხვაზე — რა გაქვთ წაკითხული სახელმძღვანელოს გარდა შინ? — კაზრეთის შვიდწლიანი სკოლის მე-5 კლასში ერთმა მოსწავლემ მიუთითა მეორე კლასის დედაენაში მოთავსებულ ლექსზე — „მიპატიებთა სასწავლებელში“, ხოლო მეორემ — „კაკანათი“, დანარჩენებმა განაცხადეს, რომ არაფერი წაუკითხავთ. ბოლნისის საშუალო სკოლის მე-5 კლასში ერთმა მოსწავლემ განაცხადა: წავიკითხე ი. ჭავჭავაძის ლექსი „ხმა სამარინდამ“, მეორემ, — ი. მოსაშვილის ლექსებით, დანარჩენებს ამ კლასშიაც სახელმძღვანელო წიგნს გარდა არაფერი წაუკითხავთ.

სავსებით არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული წერიითი მუშაობა მე-5—7 კლასებში. საშინაო წერიითი დავალებანი მოსწავლეებს იშვიათად ეძლევათ, იშვიათად ტარდება აგრეთვე საკლასო წერები, წერიითი ნამუშევრების გასწორება გულდასმით არ სწარმოებს და მოსწავლენი შეცდომების ამოწერას არ ახდენენ. ამის შედეგად, მოსწავლეთა ხელი ცუდია, ისინი უშვებენ მრავალ სტილისტიკურ და ორთოგრაფიულ შეცდომებს და არ შესწევთ უნარი აზრი სწორად გადმოსცენ წერილობით.

რაც შეეხება ქართულ ენას არაქართულ სკოლებში, იგი — რაიონის აზერბაიჯანული სკოლების უმეტეს ნაწილში (დარბაზის საშუალო, აშლაგულავერის შვიდწლიან, დამირლოსა და მუშევანის დაწყებით და სხვ. სკოლებში) რიგი წლების მანძილზე არ ისწავლება;

გ) დიდ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეშიაც. დამირლოს დაწყებითი და ფახრალის საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლენი სამი თვით არიან ჩამორჩენილი, ამ კლასებში ჯერ კიდევ არ არის დამ-

თავრებულნი ყველა ასობგერის შესწავლა, ბავშვები ფანქრით წერენ ასოებს და არა აქვთ ასოების სწორად დაწერის ჩვევა, ისინი კითხვისა და წერის დროს მრავალ შეცდომას უშვებენ. მაგალითად, ღმირლოს დაწყებითი სკოლის I კლასის ერთერთმა მოსწავლემ დათაზე „ისტერიკ“-ს ნაცვლად დასწერა „ისაირიკ“, ამ შეცდომის გასწორება მასწავლებელმაც ვერ შესძლო.

ფახრალოს საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეებს სწორად კითხვის ჩვევა არ გაჩნიათ, ვერ ახერხებენ სიტყვების დამარცვლას, არ იციან რა არის არსებითი სახელი, წინადადება და სხვ.

კაპანახჩის საშუალო სკოლის VIII—X კლ. მოსწავლენი სუსტად არიან დაუფლებულნი ლიტერატურის კურსს, არ შესწევთ შესწავლილი ნაწარმოებების ანალიზის უნარი. მათ იციან, მაგალითად, სულეიმან რუსტამის „კოსის კახრამონ“-ის შინაარსი, მაგრამ ვერ ერკვევიან ამ ნაწარმოების დედააზრში.

სავსებით არადაამაკმაყოფილებლად ტარდება წერითი მუშაობა აზერბაიჯანულ ენასა და ლიტერატურაში, როგორც რაოდენობისა, ასევე თემატიკის მხრივ. მაგალითად, კაპანახჩის საშუალო სკოლის მე-5 კლასში დღემდე ხუთი საკლასო წერაა ჩატარებული, 3 მათგანი კარნახის სახით. ამავე სკოლის მე-4 კლასში მხოლოდ ორჯერ არის ჩატარებული საკლასო წერა. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ნაწერების გასწორებას და მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე ვარჯიშს;

დ) ისტორიაში გავლილი მასალა მოსწავლეებმა არადაამაკმაყოფილებლად იციან,—ვერ ახერხებენ ისტორიული ამბის თხრობას, სუსტად იციან თარიღები, ვერ ერკვევიან რუკაში, დამახინჯებულად წარმოთქვამენ ისტორიულ პირთა სახელებს, არა აქვთ სათანადო წარმოდგენა უმნიშვნელო ისტორიული მოვლენების შესახებ. მაგალითად, ბოლნისის საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეებმა არ იციან როდის მოხდა ციმბირის სამეფოს დაპყრობა, პოლონელთა განდევნა მოსკოვიდან მიწინისა და პოჟარსკის ხელმძღვანელობით; ამ კლასის მოსწავლეებს ალექსანდრე ნეველი მოსკოვის მთავრად ჰყავთ წარმოდგენილი, ხოლო მეხუთე კლასის მოსწავლეებს კონკრეტული წარმოდგენა არააქვთ ძველი საბერძნეთის ტერიტორიის, ეგვიპტის სახელმწიფოებრივი წყობილების, ჰაზურაბის კანონებისა და სხვ. შესახებ.

ფახრალოს, კაპანახჩის და დარბაზის საშუალო სკოლებში ისტორიას არა სპეციალისტები ასწავლიან. დარბაზის საშუალო სკო-



ე) ზოგიერთ სკოლაში მათემატიკაში დიდ ჩამორჩენას აქვს ადგილი. ბალიჭის შვიდწლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებმა არ იციან განტოლებათა თვისებანი, მოქმედებანი ალგებრული წილადების შეკრება-გამოკლებაზე; ამავე სკოლის მეექვსე კლასის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ განმარტა რადიუსი, მედიანა, ბისექტორისა; კითხვაზე, რას უწოდებთ სამკუთხედის სიმალლეს? მოსწავლე პასუხობს: —სამკუთხედის წვეროს. დარბაზის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეთა მომზადება ალგებრაში იმდენად დაბალია, რომ მათ ვერ შესძლეს კვადრატული და კუბური ფესვიდან რაციონალური თანამამრავლის ფესვის გარედ გამოტანა და ფესვების შეკრება-გამოკლება.

წერთი მუშაობა იშვიათად ტარდება. საშინაო და ვალებათა გასწორება მხოლოდ ზოგჯერ წარმოებს. ბოლნისის საშუალო სკოლის ქართულ მე-10 კლასში საკონტროლო წერა მათემატიკაში მხოლოდ ერთჯერ არის წელს ჩატარებული.

ვ) ზევით დასახელებულ სკოლებში, ვარდა ბოლნისის საშუალო სკოლისა, ბიოლოგია და ქიმია თვალსაჩინოების გარეშე ისწავლება, არ ეწყობა ქიმიური და ბიოლოგიური ექსპერიმენტები. არ იყენებენ მიკროსკოპს. მეტიც, ზოგიერთ სკოლაში თვალსაჩინოების მიზნით იმ თვალსაჩინო ნივთებსაც კი არ იყენებენ, რაც მზამზარეული სახით გააჩნია სკოლას. კაპანახის საშუალო სკოლის IX, ფახრალის საშუალო სკოლის VI და დარბაზის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლენი ახერხებენ სხვადასხვა ორგანიზმების ზეპირად აღწერას, მაგრამ მათ ამ ორგანიზმების შესახებ კონკრეტული წარმოდგენა არ გააჩნიათ. მაგალითად, დარბაზის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებს ბაყაყის შინაგან აგებულებაზე თვალსაჩინო წარმოდგენა არ აქვთ, სკოლას აქვს ბაყაყის შინაგანი აგებულების მოდელი, მაგრამ იგი მოსწავლეებს არ უნახავთ.

ქიმიური ამოცანების ამოხსნას არცერთ სკოლაში არ აწარმოებენ.

ზ) კაზრეთის შვიდწლიანი სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლენი ვერ ახერხებენ ამ კლასების პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის დაძლევას. მიუხედავად იმისა, რომ კლასში სიით სულ 9 მოსწავლეა და მათთან ინდივიდუალური მუშაობის წარმოება სავსებით მოსახერხებელია, მათ ვერ შესძლეს დაესახელებინათ ნ. ბარათაშვილის თუნდაც ერთი ლექსიც კი. კიბეებზე როგორი

სახელმწიფო იყო ბიზანტია, რა არის რეფორმაცია, რა იცით დღის
გეოგრაფიული აღმოჩენების შესახებ, ვინ იყო კოლუმბი, სად მდებ-
რარობს პორტუგალია? ერთი მოსწავლის ვარდა, ვერც ერთი სწორი
ლექსით ვერაფერს პასუხობს.

დასახელებული კლასის მოსწავლენი ერთმანეთისაგან ვერ ანსხვა-
ვებენ ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებს, ნაერთსა და ნარევეს და ვერ
სწერენ უმარტივეს ფორმულებს.

დაფასთან გამოძახებულმა მოსწავლეებმა შემდეგი სახით ამოხს-
ნეს მაგალითები, — $(6+7)^2 = 12+84+14$; $(3+4)^3 = 9+27+12$;

$8: \frac{1}{3} = \frac{25}{3}$; ზოგიერთი მათგანი გამართულად და თავისუფლად

ვერ კითხულობს წიგნსაც კი.

თ) ბოლნისის საშუალო სკოლის ქართულ მეათე კლასში 5—6
მოსწავლეს წინაკლასებში გავლილი ელემენტარული საკითხების ცოდ-
ნაც კი არ გააჩნია. ამ კლასის მოსწავლე გ. ე. 45 წუთის განმავლო-
ბაში წერდა ავტობიოგრაფიას, დაწერა 12 სტრიქონი, სასვენი ნი-
შანი მხოლოდ ორ ადგილას დასვა. ერთერთი მოსწავლე ავტობიო-
გრაფიაში წერს „დავიბადე... ლუქსემბურგის რაიონი სოფ. ბალიჭი“;
მოსწავლენი არ არიან დაუფლებულნი ცალკე სიტყვების მართლწე-
რას— „ავტობიოგრაფია“, „ვიწოდებ“, „იქალარ“, „7-ილ წლელი“,
„ჩასახდენ“, „საშუალო“ და სხვ. მოსწავლეთა ეს ნაწილი ვერ პასუ-
ხობს შემდეგ კითხვებზე მათემატიკიდან: რას უდრის წრე ხაზის
სიგრძე, წრის ფართობი? ვერ ამტკიცებს ვერცერთ თეორემას სტე-
რეომეტრიიდან, ისინი უცოდინარობას იჩენენ, როგორც ორგანიუ-
ლი, ასევე არაორგანული ქიმიის კურსისას, — ვერ წერენ მეთანის
ფორმულასაც კი.

ი) სასწავლო-სააღმზრდელო გეგმები ფორმალურად დგება, ხოლო
ზოგიერთ სკოლაში გეგმებს სრულებით არ ადგენენ. ბალიჭის
შვიდწლიან სკოლაში არცერთ მასწავლებელს არ ჰქონდა სააღმზრ-
დელო მუშაობის მეოთხედური გეგმა, ასეთსავე მდგომარეობას ჰქონ-
და ადგილი ქვეშის დაწყებით სკოლაშიაც.

კ) რაიონის სკოლების დიდნაწილში სასკოლო კაბინეტებს არ
უვლიან. ფაბრალოს საშუალო სკოლაში ფიზიკის კაბინეტი მთლიანად
განადგურებულია, სკოლას ოთხი საპროექციო ფანარი ჰქონია — არც
ერთი არ მუშაობს, სამი მიკროსკოპიდან ერთს სარკე აკლია, მეორეს
მხოლოდ ჩონჩხი შერჩენია, მესამეს ძირა საყრდენილა გააჩნია. კაზრეთის
შვიდწლიან სკოლაში მიკროსკოპები ქანგისანია, დარბაზის საშუალო
სკოლაში ფიზიკის ხელსაწყოთა უძრავი ნაწილებია მხოლოდ დარ-

ჩენილი. არცერთ სკოლაში არ მუშაობს ხელის დინამო-მანქანები და ელექტროფორები, არ ხდება რეაქტივების გამოყენება, — კაზრეთის შვიდწლიან სკოლაში ჯერ კიდევ ომამდე შექმნილი ხსნარები ბოთლებში ასხია, იგი არავის გაუხსნია და გამოუყენებელია.

ლ) მოსწავლეთა წესების დანერგვის საქმეს ზოგიერთ სკოლაში სრულებით არ ექცევა ყურადღება, ხოლო ზოგან ამ მიმართულებით თანამიმდევრული მუშაობა არ სწარმოებს, დარბაზის საშუალო სკოლაში არამართო მოსწავლე ქალები, არამედ ზოგიერთი ვაჟიც ატარებს ბეჭდებს, დიდი ვერცხლის ქამრებს, კლასებში სხედან ქუდებით, ხოლო მოსწავლე ქალები დიდი თავშლებით. მუშევანის დაწყებით სკოლაში მეორე-მესამე კლასებში მოსწავლე ქალებს ორორ-სამსამი ბეჭედი აქვს ხელზე. დარბაზისა და ფახრალის საშუალო სკოლებში მოსწავლეთა დიდი ნაწილი თმა გაუკრეჭელია, ხოლო თმის გაკრეჭისას, როგორც წესი, შუბლისთავზე იტოვებენ ქოჩორს.

მ) ზოგიერთ სკოლაში სრულებით არ ექცევა ყურადღება მოსწავლეთა შორის სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების გამომუშავებას, — დარბაზის, კაზრეთის, დამირლოს, აშალაგულავერის სკოლებში მოსწავლენი იშვიათად იბანენ ხელპირს და ბევრი მათგანი კანის ავადმყოფობით არის დაავადებული და სხვ.

მ ბ რ ძ ბ ნ ე ბ :

1. გადაქრით იქნეს გაუწეობებებული სკოლების მუშაობა საყოველთაო-სავადლებული სწავლების კანონის გატარების დარგში, რისთვისაც:

ა) რაიონის ყველა სკოლის მიერ დაუყოვნებლივ იქნას აღრიცხული სკოლის გარედ დარჩენილი მოსწავლეები და ყველა საჭირო პირობა იქნას შექმნილი, რათა მომავალი სასწავლო წლიდან 7—15 წლამდე ასაკის მოზარდები მთლიანად იქნეს ჩაბმული მასობრივი სკოლების სათანადო კლასებში, ხოლო ასაკგადაცილებული მოზარდები — სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში;

ბ) საფუძვლიანად იქნეს გამორკვეული ცალკე კლასების მიხედვით მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრების მდგომარეობა, ზუსტად იქნეს შესწავლილი იმ ბავშვების ოჯახური პირობები, რომლებიც ხშირად აცდენენ მეცადინეობას, მტკიცე კავშირი იქნეს დამყარებული მოსწავლეთა მშობლებთან, სასოფლო საბჭოებთან და კოლმეურნეობებთან და უზრუნველყოფილი იქნეს მეცადინეობის უმიზეზოდ გამოტოვების აღმოფხვრა;

მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწორების საკითხი სპეციალურად იქნეს განხილული 23 მარტამდე ყველა შვიდწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განმეორების საქმეს, ცალკე კლასების და საგნების მასწავლებლებმა წინასწარ აღრიცხონ ის საკითხები, რომელთა განმეორება არ ჩატარებულა და გაითვალისწინონ სასწავლო წლის ბოლომდე, ახლად შესწავლილ თემებთან დაკავშირებით, მათი საფუძვლიანად განმეორება.

სკოლის დირექტორებმა (გამგებმა) და სასწავლო ნაწილის გამგეებმა სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ მასწავლებელთა მუშაობაზე და კონკრეტული დახმარება გაუწიონ მათ განმეორების საქმის სწორად ორგანიზებაში.

3. ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ:

ა) შესწავლილი ლიტერატურული მასალის შეგნებულად, დამოუკიდებლად გადმოცემის უნარის აღზრდას—პირველი კლასიდანვე იმუშაონ ამ მიმართულებით, კარგად გააგებინონ მოსწავლეებს მოთხრობის, იგავარაკის, პოემის შინაარსი, შეაჩვიონ ისინი გულდასმით კითხვას და აღმოფხვრან ის დუშმებელი ზეპირობა, რასაც მხატვრული ნაწარმოების შინაარსის გადმოცემისას აქვს ადგილი;

ბ) წერითი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენების საქმეს; სისტემატურად მისცენ მოსწავლეებს წერითი დავალებანი (წიგნიდან გადაწერა, კითხვებზე პასუხი, მეტყველების ნაწილების, სხვადასხვა სახის წინადადებების, შედარებების, ეპიტეტების და სხვ. ამოწერა, მოკლე შინაარსი, დახასიათება და სხვ.) შინ, ხშირად ჩაატარონ წერითი მუშაობა კლასში, გულდასმით გაასწორონ მოსწავლეთა როგორც საკლასო, ასევე საშინაო წერითი ნამუშევრები და ავარჯიშონ მოსწავლენი დაშვებული შეცდომების გასწორებაზე;

გ) გრამატიკის კურსის დაკავშირებას ლიტერატურულ მასალასთან და ცოცხალ მეტყველებასთან და მოსწავლეებში სწორ მეტყველებისა და სწორწერის პრაქტიკული ჩვევების გამოიმუშავების საქმეს,—მე-5-7 კლასებში გრამატიკული კატეგორიების სწავლებისას გამოიყენონ ლიტერატურის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მოთხრობების, ლექსების, პოემების ტექსტები, გააგებინონ ბავშვებს გრამატიკული კანონების მნიშვნელობა და აწარმოონ მათთან ისეთი სახის მუშაობა, რომ გრამატიკის ცოდნა მოსწავლეებმა ნამდვილად გამოიყენონ პრაქტიკაში;

დ) კლასგარეშე კითხვას, — შეაჩიონ მოსწავლეთა მომზადებისა და ასაკისათვის შესაფერი წიგნები, მისცენ განმარტებანი ამ წიგნების შესახებ მოსწავლეებს, მოაწყონ წაკითხული წიგნების გარსაუბრები და ყველა საჭირო ღონისძიება გაატარონ, რომ ბავშვებში დამოუკიდებლად კითხვის ინტერესი და უნარი იქნეს აღზრდილი.

4. აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა:

ა) დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწორი, სწრაფი და გამომეტყველი კითხვის, შეგნებული თხრობის უნარისა და სწორი წერითი ხელის გამოუმუშავების საქმეს, — აკითხონ მოსწავლეებს ლიტერატურული ტექსტები, გაუსწორონ მათ დაშვებული შეცდომები, შეაჩიონ ისინი წაკითხულის შეგნებულად, აზრიანად გადმოცემას; სისტემატურად ჩაატარონ წერითი მუშაობა კლასში, მისცენ მოსწავლეებს წერითი დავალებანი შინ, განიხილონ წერითი ნამუშევრები და ავარჯიშონ მოსწავლენი დაშვებული შეცდომების გასწორებაზე;

ბ) აღკვეთონ ანბანის წერისა, საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოების ფანქრით შესრულების პრაქტიკა;

გ) მე-5—7 კლასებში გრამატიკის საკითხების განხილვა მტკიცედ დაუკავშირონ ლიტერატურული ტექსტების შესწავლას, სისტემატურად ხდებოდეს წინადადებების მორფოლოგიური და სინტაქსური განხილვა, მოსწავლეებს ეძლეოდეს დავალებანი ლიტერატურის ტექსტიდან სათანადო გრამატიკული კატეგორიების შერჩევა-ამოწერაზე; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მხატვრული ნაწარმოების შინაარსის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას და შესწავლილი ნაწარმოების შინაარსის დამოუკიდებლად გადმოცემის უნარის აღზრდას მოსწავლეებში;

დ) ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლონ მოსწავლეებს პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურული მასალა, აღზარდონ მათში ნაწარმოების გმირების დახასიათების უნარი; გასაგებად დაუხასიათონ მოსწავლეებს ყოველი მწერლის შემოქმედება, გაარკვიონ ისინი ნაწარმოების იდეაში და იმ პოეტურ ხერხებსა და მეთოდებში, რასაც მწერალი იყენებს ნაწარმოებში;

ე) გააუმჯობესონ წერითი მუშაობა, ხშირად ჩაატარონ საკონტროლო წერა; მე-5-10 კლასებში სისტემატურად მისცენ მოსწავლეებს შინ წერითი დავალებანი, გაასწორონ წერითი ნამუშევრები და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად;

ვ) გადაჭრით გააუმჯობესონ კლასგარეშე კითხვა, — შეადგინონ სკოლაში არსებული კლასგარეშე საკითხავი წიგნების სია კლასებისათვის, პირადად უხელმძღვანელონ კლასგარეშე კითხვის საქმეს და ჩაატარონ საუბრები წაკითხული წიგნების გარშემო.

ნ. ისტორიის მასწავლებლებმა:

ა) შეადგინონ განმეორების კონკრეტული გეგმა და სათანადო თვალსაჩინო მასალის გამოყენებით აწარმოონ გავლილი მასალის სისტემატური განმეორება, განმეორებისას ძირითად მიზნად დასახონ მიღებული ცოდნის განმტკიცება, გაღრმავება, განზოგადოება და სისტემაში მოქვანა;

ბ) პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ღრმად გააშუქონ და მოსწავლეები შეაჩვიონ ისტორიულ მოვლენებისა და ფაქტების ანალიზს, თანამიმდევრულ მსჯელობას და მათ შესახებ სწორი დასკვნების გამოტანას. სისტემატურად გაასწორონ მოსწავლეთა მცდარი პასუხები;

გ) ბოლნისის საშუალო სკოლის მასწ. შარაშენიძე — საფუძვლიანად ემზადოს თითოეული გაკვეთილისათვის; ყურადღება მიაქციოს გაკვეთილის მეთოდურად სწორად აგების საქმეს, სისტემატურად გამოიყენოს სათანადო ლიტერატურა და საჭირო თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალა;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბოლნისის საშუალო სკოლის მე-5 და მე-9, კაზრეთის შვიდწლიანი სკოლის მე-7 კლასებში ისტორიაში არსებული ჩამორჩენის აღმოფხვრას, ამ მიზნით ფართოდ იქნეს გამოყენებული კლასგარეშე მუშაობა.

ნ. მათემატიკის მასწავლებლებმა:

ა) ყოველი გაკვეთილისათვის წინასწარ ამოხსნან და შეამოწმონ მაგალითები და ამოცანები;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათემატიკური დებულების, წესების, ფორმულების, გეომეტრიული თეორემების ზუსტი მათემატიკური თერმინებით გადაცემას;

გ) გააძლიერონ კონტროლი საშინაო დავალების შესრულებაზე, სისტემატურად აწარმოონ საშინაო რვეულების შემოწმება-გასწორება;

დ) საკონტროლო წერა ჩაატარონ ყოველი თემის ან მისი განსაზღვრული ნაწილის დამთავრებისას, ისე რომ 3-4 და 5 კლასებში

საკონტროლო წერა ჩატარდეს არანაკლებ 5-6-ისა, ხოლო მე-6-7-8-9 და 10 კლასებში არანაკლები 4-5-ისა მეოთხედში.



დროულად მოაწყონ ვარჯიში დაშვებული შეცდომების გასწორებაზე;

ე) გადაჭრით იქნას გაუმჯობესებული მუშაობა ზეპირ ანგარიშში, არითმეტიკის თითოეულ გაკვეთილზე ზეპირ ანგარიშს დაეთმოს 5-8 წუთი, გაძლიერებულ იქნას ვარჯიში ამოცანების ამოხსნაზე, სისტემატურად სწარმოებდეს ამოცანათა შემოწმება მათი ამოხსნის შემდეგ;

ვ) სისტემატურად ჩაატარონ მუშაობა განტოლებათა შედგენაზე, ხანგრძლივად ავარჯიშონ მოსწავლენი სხვადასხვა სახის ამოცანების ამოხსნაზე;

გეომეტრიულ თეორემათა შესწავლის დროს გამოყენებულ იქნას ანალიზური მეთოდი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მსჯელობის უნარის გამომუშავებას;

გაუმჯობესდეს ტრიგონომეტრიულ იგივეობაზე ვარჯიში; ფართოდ დაეთმოს ადგილი ტრიგონომეტრიულ გამოსახულებათა სალოგარითმო სახეზე დაყვანას და ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნას.

7. ქიმიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა:

ა) გულდასმით მოამზადონ ყოველი გაკვეთილი, არ დაუშვან გაკვეთილების თვალსაჩინოების გარეშე ჩატარება, წინასწარ შეამოწმონ გაკვეთილზე გასატანი ყოველი ცდა;

ბ) ახალი მასალის გავლასთან დაკავშირებით ყოველ გაკვეთილზე აწარმოონ მუშაობა განვლილი მასალის განმეორება-განმტკიცებაზე;

გ) სრულ წესრიგში მოიყვანონ ქიმიის და ბუნებისმეტყველების კაბინეტები; შეადგინონ ხელსაწყო-იარაღებისა და რეაქტივების ზუსტი სია. დაიცვან მათი მოვლა-შენახვის წესები და სათანადოდ გამოიყენონ ისინი სწავლების საქმეში;

დ) ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ მნიშვნელოვანი მომენტების სპეციალურ რვეულებში ჩახატვა-ჩაწერის წესიერად წარმოების საქმეს და აწარმოონ ჩანაწერების პერიოდულად შემოწმება;

ე) ქიმიისა და ბუნებისმეტყველების პროგრამების შესაბამისად სოფლის მეურნეობისა და საწარმოო პროცესების ძირითადი საფუძვლების გაცნობის მიზნით მოაწყონ მოსწავლეთა ექსკურსიები წარმოებაში, კოლმეურნეობაში და ბუნებაში და აწარმოონ ამოცანების ამოხსნა ქიმიისაში.

8. ბოლნისის საშუალო სკოლის მეათე და კაზრეთის შვიდწლიანი სკოლის მეშვიდე კლასებში არსებული ჩამორჩენის გამოწვევების მიზნით:



ა) ახლად ახსნილი მასალის განმტკიცებაზე ვარჯიშში ყოველ გაკვეთილზე ჩაბმული იქნეს ამ კლასების თითოეული მოსწავლე;

ბ) ახალ გაკვეთილთან ერთად, საშინაო დავალების სახით, ყოველ გაკვეთილზე მიეცეს მოსწავლეებს გასამეორებლად სათანადო მასალა შესწავლილი კურსიდან;

გ) საშინაო დავალება ყოველ გაკვეთილზე გამოეკითხოს თითოეულ მოსწავლეს, ასევე, სისტემატურად იქნეს შემოწმებული თითოეული მოსწავლის საშინაო წერიტი დავალებანი;

დ) გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეებთან სისტემატურად მოეწყოს კონსულტაციები;

ე) ნება დაერთოს ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილებას ა/წ 20 თებერვლიდან სასწავლო წლის ბოლომდე ოთხი საათით გაადიდოს ბოლნისის საშუალო სკოლის ქართული მე-10 კლასის კვირეული დატვირთვა, 2 საათი დაეთმოს ქართულ ენასა და ლიტერატურას და 2 საათი მათემატიკას;

ვ) დაევალოს ბოლნისის საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. გ. ბაკურაძეს და კაზრეთის შვიდწლიანი სკოლის დირექტორს ამხ. ქ. ხარაბაძეს უშუალოდ გაეცნონ ამ კლასების თითოეული მოსწავლის მომზადებას და სათანადო პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს ყოველდღიურ მუშაობაში.

9. გადაჭრით იქნეს გაუმჯობესებული სააღმზრდელო მუშაობა:

ა) ყოველი გაკვეთილი წინასწარ იმგვარად იქნეს მომზადებული, რომ გაკვეთილის პროცესში ცოდნის გადაცემასთან ერთად საჭირო ყურადღება ეთმობოდეს აღზრდის საქმეს;

ბ) სააღმზრდელო გეგმები ყოველი მეოთხედისათვის შედგეს ცალკე კლასებში არსებული მდგომარეობის კონკრეტულად გათვალისწინების საფუძველზე, კლასის ხელმძღვანელთა მეოთხედური სამუშაო გეგმები გულდასმით იქნეს ვანხილული სკოლის დირექტორის მიერ, სისტემატურად წარმოებდეს გეგმების შესრულების შემოწმება და საბოლოოდ იქნეს აღმოფხვრილი ამ დარგში არსებული ზერელობა;

გ) აღიკვეთოს ბოლნისის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა წესების დანერგვის მიმართულებით გავრცელებული დაუსვებელი ფორ-

მალჩში, „წესების“ ყოველი მუხლი ზუსტად და თვალსაჩინოდ გაეცნოს მოსწავლეებს და თითოეული მასწავლებელი ყოველდღიურად სათანადო ყურადღებას აქცევდეს „წესების“ შესრულების მოწვევითა ჩვევად გადაქცევის საქმეს;

დ) გაიშალოს სათანადო აღმზრდელი მუშაობა მოსწავლე ქალებთან ბექდების, ყელსაკიდების, სამაჯურებისა და მოსწავლეებისათვის შეუფერებელი სხვა სახის სამკაულების ტარების აღმოფხვრის მიზნით.

10. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეებში ჰიგიენური ჩვევების აღზრდას:

ა) მიღწეული იქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ თითოეული მოსწავლე ყოველდღიურად იბანდეს ხელპირს, კვირაში ერთჯერ მაინც იბანდეს ტანსა და იცვლიდეს საცვლებს;

ბ) ყოველი მოსწავლე ვაჟი დროულად იკრეკდეს თმას, იქნოდეს ფრჩხილებს ხელებსა და ფეხებზე და სკოლაში სუფთად ცხადდებოდეს;

გ) დაწესდეს სათანადო მეთვალყურეობა, რათა საკლასო ოთახებში, დერეფნებში სისუფთავე იყოს და მოსწავლენი სკოლასა და მის გარეთ მკაცრად იცავდნენ სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს.

11. სკოლის დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ მასწავლებელთა მუშაობაზე. დაწესებული რაოდენობით მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები და განსაკუთრებული ყურადღება მიექციონ მოსმენილ გაკვეთილების შედეგების გაშუქებას, — ნაკლის აღმოფხვრის მიზნით სათანადო ღონისძიებათა გატარებას.

12. ა/წ 1-მარტამდე ყველა საშუალო სკოლაში ჩამოყალიბდეს საგნობრივი კომისიები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, აზერბაიჯანულ ენასა და ლიტერატურაში, ფიზიკა-მათემატიკაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში და სხვა. მეთოდურ თათბირებზე განხილულ იქნეს სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე კონკრეტული მეთოდური საკითხები.

13. არ იქნეს დაშვებული სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვა დადგენილი წესის გარეშე და დაუყოვნებლივ იქნას მოყვანილი წესრიგში მოსწავლეთა პირადი საქმეები. აიკრძალოს ერთი და იგივე მოსწავლის სხვადასხვა გვარით ჩაწერა ჟურნალებში და სხვა სასკოლო დოკუმენტებში, რასაც რაიონის ზოგიერთ აზერბაიჯანულ სკოლაში აქვს ადგილი, ჟურნალსა და სხვა სასკოლო დოკუმენტებში

მოსწავლის გვარი იმ სახით ჩაიწეროს, როგორც იგი მეტრიკულ
საბუთშია მოცემული.



* * *

14. დაიხვას საკითხი მშრომელთა დებუტატების ბოლნისის რაისაბ-
ჭოს წინაშე, რათა:

ა) დარბაზისა, კაზრეთისა, ფახრალის და რაიონის სხვა სკო-
ლებში მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის გაცდენების აღმოფხვრის
მიზნით მიღებული იქნეს საჭირო ზომები;

ბ) დროულად გაშალოს მუშაობა და მომავალი სასწავლო წლი-
სათვის სკოლის ასაკის ყველა ბავშვი სრულიად იქნეს ჩაბმული სა-
თანადო კლასებში;

გ) ბიოლოგიის სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების მიზნით,
ბოლნისის საშუალო სკოლა უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო მი-
წის ნაკვეთით;

დ) 1946 წლის 1 სექტემბრისათვის მოწყობილ იქნეს დარბაზის
საშუალო სკოლის სამი ოთახი, რომელთაც მხოლოდ იატაკი და
ჭერი აკლია და ორად გადაიტვიხროს აშალაგულავერის შვიდწლიანი
სკოლის შენობის დიდი ოთახი;

ე) ამავდროისავე უზრუნველყოფილ იქნეს დარბაზისა, აშა-
ლაგულავერისა და კაზრეთის სკოლების ეზოების შემორაგვა და კაზ-
რეთის სკოლის ეზოში არსებული წყლის აუზის აღდგენა.

15. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნეს ბოლნისის რაიონ-
ის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე. რაიონის განათ-
ლების განყოფილებამ გააძლიეროს კონკრეტული ხელმძღვანელობა
სკოლებზე და უზრუნველჰყოს ამ ბრძანების შესრულება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისარი ვ. კუპრაძე.

ბრძანება № 582

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1946 წლის 25 მარტი

გურჯაანის რაიონის სკოლებში სასწავლო-სააღმწერდლო მუშაობის შესახებ

აღნიშნავ, რომ „გურჯაანის რაიონის სკოლებში სასწავლო-სააღმწერდლო მუშაობის შესახებ“—განათლების სახალხო კომისარიატის 1945 წლის 26 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე, გურჯაანის რაიონის სკოლებში გარკვეული მიღწევებია მოპოებული.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ამ რაიონის სკოლების მუშაობაში აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად რაიონის განათლების განყოფილებას მნიშვნელოვანი ღონისძიებანი აქვს გატარებული. მოსწავლეები ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმძღვანელო წიგნებითა და სასწავლო ნივთებით, რაიონის განათლების განყოფილების მიერ შესწავლილია რაიონის ყველა სკოლის მუშაობა, მიცემული მითითებები კონკრეტული და საქმიანია. მასწავლებელთა დიდი ნაწილი:—ე. მანიჭაშვილი, მ. მამისიმედაშვილი (ქანდრისუბნის შვიდწლიანი სკოლა), ქ. ნაცვლიშვილი (ბაკურციხის საშუალო სკოლა), თ. პაპოშვილი (კალაურის შვიდწლიანი სკოლა), ბ. გულმაგრიშვილი, გ. ჩეკურიშვილი (შაშიანის საშუალო სკოლა) და რაიონის სხვა სკოლების ბევრი მასწავლებელი საფუძვლიანად ემზადება გაკვეთილისათვის, ნაოლად და გასაგებად აწვდის მოსწავლეებს მასალას. იყენებენ თვალსაჩინოებას, არ აქვთ ჩამორჩენა საპროგრამო მასალის გავლაში, რის შედეგადაც მოსწავლეთა უმრავლესობას მტკიცე და საფუძვლიანი ცოდნა გააჩნია.

სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები (ქ. გურჯაანის, ბაკურციხის, მუკუზნისა და ქანდრისუბნის სკოლები) სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევენ მასწავლებლების მუშაობას: ამოწმებენ სამუშაო გეგმებს, ესწრებიან გაკვეთილებს, დასწრების შედეგებს იხილავენ პედაგოგიურ საბჭოებისა და საგნობრივ კომისიების სხდომებზე და კონკრეტულ დახმარებას უწევენ მასწავლებლებს არსებული ჩამორჩენის გამოსწორების საქმეში.

მაგრამ შემოწმებით დადასტურდა აგრეთვე, რომ რაიონის ზოგერთ სკოლაში მიმდინარე სასწავლო წლის პირველნახევარში მოსწავლეთა ერთი ნაწილის მიერ გავლილი მასალა არ არის დაძლეული და მათი ცოდნის დონე დაბალია. მაგალითად, კარდანახის საშუალო სკოლაში 939 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 430 მოსწავლე; შაშიანის საშუალო სკოლის მე-6 კლასში 34 მოსწავლიდან, ვერ ასწრებს 26 მოსწავლე, მე-8 კლასში 31 მოსწავლიდან, ვერ ასწრებს 21 მოსწავლე; თუ მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში კალაურის შვიდწლიანი სკოლის მე-7 კლასში 32 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 17 მოსწავლე, მეორე მეოთხედის ბოლოსათვის ვერ ასწრებს 20 მოსწავლე და ა. შ.

ზოგიერთი მასწავლებელი ჯერ კიდევ არადაბაკმაყოფილებლად მუშაობს. სათანადოდ არ იცნობს პროგრამას, არ ემზადება გაკვეთილისათვის. კალაურის შვიდწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა (მ. მაზანაშვილი) მე-5 კლასში მოსწავლეებს დაავალა ირ. ევდოშვილის ლექსების „მუშის სიზმარი“, „მუზა და მუშა“-ს შესწავლა, მაშინ როცა პროგრამით ეს ლექსები გათვალისწინებული არ არის, ხოლო ლექსი „გაზაფხული“, რაც ამ კლასში შესწავლილი უნდა ყოფილიყო გამოტოვებული იქნა.

მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს ამავე სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი ც. პაპოშვილი და ბაკურციხის საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელი ლ. რუაძე. მოსწავლეთა ერთ ნაწილს უძნელდება აზრის თანმიმდევრულად გადმოცემა და წერითი სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულება. ზოგჯერ წერითი ნამუშევრები თავის დროზე და გულდასმით არ სწორდება, დაშვებული შეცდომების ამოწერა არ ხდება, წერითი ხელის სისწორის დაცვას ყურადღება არ ექცევა და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოს კარდანახის, შაშიანის საშუალო და კალაურის შვიდწლიანი სკოლის დირექტორებს და სასწავლო ნაწილის გამგეებს:

ა) სისტემატურად შეამოწმონ ცალკე სასწავლო დისციპლინებში საპროგრამო მასალის გავლის მდგომარეობა, მოსწავლეთა მომზადების დონე, მათი წერითი ნამუშევრები, შედეგები განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის გაატარონ სათანადო ღონისძიებანი;

ბ) საფუძვლიანად შეისწავლონ ჩამორჩენილ მოსწავლეთა მდგომარეობა და ჩამორჩენის მიზეზები და აღმოუჩინონ ასეთ მოსწავლეებს საკურო დახმარება სწავლებაში.

2. ბაკურციხის და შაშიანის საშუალო და კალაურის შვიდწლიანი სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ლ. რუაძემ, ც. პაპოშვილმა და მ. აბელაშვილმა განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციონ:

ა) ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობას, გრამატიკული წესების ლიტერატურულ მასალისა და ცოცხალ სამეტყველო ენასთან დაკავშირებით შესწავლას და ვარჯიშს;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ მოსწავლეების მიერ საშინაო დავალებათა შესრულება და ყოველ გაკვეთილზე აწარმოონ მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასება;

გ) არ დაუშვან პროგრამიდან გადახვევა და ლიტერატურული მასალის დამუშავება აწარმოონ პროგრამით მოცემული თანმიმდევრობით;

დ) ხშირად მოაწყონ საკლასო წერიტი მუშაობა, წერიტი ვარჯიში, გულდასმით გაასწორონ წერიტი ნამუშევრები და ავარჯიშონ მოსწავლეები დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე.

3. გურჯაანის განათლების განყოფილებამ უმოკლეს ხანში შეისწავლოს კარდანახის, შაშიანის საშუალო და კალაურის შვიდწლიანი სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა და მდგომარეობის გამოსასწორებლად გაატაროს სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისრის მოადგილე მ. ბუჩუქაძე.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე № 620

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატიდან

1946 წლის „28“ მარტი

აჭარის ასსრ ზოგიერთი სკოლის მუშაობის შესახებ

გაეცანი რა აჭარის ასსრ რესპუბლიკის ხულოს რაიონის ვაჟთა და ქალთა პედსასწავლებლების, მათთან არსებული შვიდწლიანი, რიყეთისა და შუახევის შვიდწლიანი სკოლების, ქედას რაიონის მერისის, მახუნცეთის საშუალო სკოლებისა და ქედას პედსასწავლებლებთან არსებული შვიდწლიანი სკოლის, ქ. ბათუმის ვაჟთა V, ქალთა II და ვაჟთა II საშუალო სკოლების, ბათუმის რაიონის მახინ-



ჯაურის საშუალო და ქობულეთის რაიონის ქობულეთისა და ხუცუბნის საშუალო სკოლების გამოკვლევის შედეგებს, აღვნიშნავ, აქარის ასრ სკოლებს სასწავლო-აღმზრდელი მეთოდების საქმეში თვალსაჩინო წარმატებები გააჩნიათ.

1945-46 სასწავლო წელს კაპიტალურად არის შეკეთებული 70 სასკოლო შენობა. ქედსა და ხულოს რაიონებში აგებულია 8 დაწყებითი სკოლის ახალი შენობა, საკმაო რაოდენობითაა შეძენილი მერხი, დაფა და სხვა ავეჯი.

ვასულ წელთან შედარებით გაუმჯობესებულია სკოლებში სათანადო ასაკის ბავშვთა მიზიდვის საქმე, გვემა შესრულებულია 96% მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარებული სასკოლო შენობების კეთილმოწყობისა და სკოლების დგამ-ავეჯით უზრუნველყოფის დარგში.

ქ. ბათუმის ქალთა მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. მაჭუტაძე), ქობულეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი ყაჭიშვილი), ქედს II პედსასწავლებელში (დირ. ჩხაიძე), ხულოს ვაჟთა პედსასწავლებელში (დირ. მეგრელიძე) და ზოგიერთ სხვა სკოლაში საკლასო ოთახები, დერეფნები, სამასწავლებლოები, სასწავლო კაბინეტები და სკოლის მთელი გარემო სრულ წესრიგშია მოყვანილი. „სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 ივნისის დადგენილების საფუძველზე ბევრ სკოლაში სწავლების ხარისხი ამაღლებულია. კარგად ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას ქ. ბათუმის ქალთა მე-2 საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ნ. მაჭუტაძე), ქედის პედსასწავლებელთან არსებული შეიღწილიან სკოლაში (მასწავლებელი—მ. ამბროლაძე), ბათუმის ვაჟთა II და V საშუალო სკოლებში (მას. ნიჟარაძე და ძიმისტარაშვილი), მახინჯაურის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი მენაბდე, III კლასის მასწავლებელი ლეჟავა, IV კლასის მასწავლებელი გოხიძე) და სხვები. ამ სკოლების მოსწავლეებს გააზრებულად აქვთ შესწავლილი გავლილი მასალა, მსჯელობენ გამართული ენით და ლოლიკური თანმიმდევრობით.

რუსული ენის სწავლება კარგადაა დაყენებული ვაჟთა რუსულ V, ბათუმის II, მახინჯაურის, ქობულეთის საშუალო და ქედის შეიღწილიანი სკოლებსა და ხულოს ქალთა პედსასწავლებლებში. მასწავლებლები: ე. ერქომიანიშვილი, ცქვიტინიძე, ლუბიანიკოვა, ა. მგალობლიშვილი, თოფურია, ჩერნიაცკაია; ტუზოვა, კირთაძე, ქუთათელაძე ბეჯითად მუშაობენ და მოსწავლეები ინტერესით ეკიდებიან რუსული ენის შესწავლას. მოსწავლეებს საკმაო ლექსიკური მარაგი გააჩნიათ. შეუძლიათ დამოუკიდებლად გადმოსცენ წაკითხულის

შინაარსი, შეგნებულად იციან გრამატიკული წესები და სწორად იყენებენ მას წერითსა და ზეპირ მეტყველებაში.

ბევრ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე დგას მათემატიკისა და ფიზიკის სწავლების საქმე. ამ მხრივ კარგი შედეგებია ქ. ბათუმის ვაჟთა II და V, ხუცუბნის და ქობულეთის საშუალო სკოლებში (მასწავლ. მელიქაძე, დათიაშვილი, ძაგნიძე).

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოებული ისტორიის სწავლებაშიც ქ. ბათუმის ვაჟთა II და V, ქობულეთის და მახუნციეთის საშუალო სკოლებში (მასწავლებლები—ლორთქიფანიძე, გავრილიდი, ჩხეიძე, გობრონიძე); ამ სკოლების მოსწავლეებმა კარგად იციან ისტორიული ფაქტები, მოვლენები და შესწევთ ამ მოვლენათა ანალიზის სათანადო დასკვნების გამოტანისა და განზოგადოების უნარი.

კარგად არის დაყენებული აგრეთვე ქიმიის, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის სწავლება ქ. ბათუმის ქალთა II საშუალო სკოლაში (მასწავ. ე. რუხაძე, დ. ლომთათიძე).

მიუხედავად ამისა, აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლების მუშაობას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებს, რაც უმთავრესად შემდეგში მდგომარეობს:

ა) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების დარგში მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში აჭარის ასს რესპუბლიკაში სკოლის გარედ არის დარჩენილი 1200-მდე სასკოლო ასაკის ბავშვი.

ზოგ სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის ხშირ შემთხვევებს. მაგალითად, ქედის რაიონის სოფ. მერისის სკოლის (დირექტორი კალანდარიშვილი) 80 მოსწავლიდან სკოლაში სისტემატურად არ ცხადდება 30-40 მოსწავლე; ხუცუბნის საშუალო სკოლაში სასწავლო წლის პირველ ნახევარში 170 მოსწავლიდან გაკვეთილებზე სისტემატურად ცხადდება მხოლოდ 90-95 მოსწავლე, მახინჯაურის საშუალო სკოლის V კლასში 49 მოსწავლიდან 11 მარტს გაკვეთილებს ესწრებოდა 27 მოსწავლე, იმავე დღეს VII კლასის 33 მოსწავლიდან გაკვეთილებს ესწრებოდა 20 მოსწავლე. ამ სკოლის მასწავლებლები მოსწავლეთა მიერ დაგვიანებით გამოცხადებას, გაკვეთილების გაცდენას საკლასო ჟურნალში არ აღნიშნავენ;

ბ) დაწყებით კლასებში არ ექცევა სათანადო ყურადღება დედაენის სწავლების საქმეს. ხშირ შემთხვევაში დედაენის სწავლება გამოიხატება, წიგნიდან ლექსებისა და მოთხრობების მექანიკურად გაზეპირებაში; მოსწავლეებს არ გააჩნიათ სათანადო ლექსიკური

მარაგი, არა აქვთ მარტივი წინადადებების დამოუკიდებლად შედგენისა და აზრის მარტივად და დალაგებით გადმოცემის უნარი.

მერიის საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლეთა ნაწილში პირად ყველა პატარა მოთხრობის „ღარიბი იყო“-ს ტექსტს, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ შესძლო ამ მოთხრობის მოკლე შინაარსის გადმოცემა. ამ კლასის მასწავლებელი დოლიძე ყურადღებას არ აქცევს ენის სიწმინდეს და თვით უშვებს შეცდომებს („რა გვაქვინ გაკვეთილად“, „არ შეუძლიოდა“, „თურმის“ თურმეს ნაცვლად, „მაკლიოდეს“ და სხვ.)

ხულოს ვაჟთა პედსასწავლებელთან არსებული შვიდწლიან სკოლის II კლასის მასწავლებელი გაჩეჩილაძე სრულიად მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს, ბავშვებს მექანიკურად აქვთ გაზეპირებული მასალა და არ ესმით სიტყვების მნიშვნელობა; მოსწავლეებმა არ იციან, რას ნიშნავს „ჯეჯილმა ამოიწია“. „გადგა ბორჯი და ძირი“, „ყოჩივარდა“, „ენძელა“, „ყამირი“ და სხვ.

მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი, ქობულეთის საშუალო სკოლის III კლასში (მასწავ. ბეჟანიძე). ამ კლასის მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი ძალზე ღარიბია, შესწავლილი მასალიდან მათ არ იციან სიტყვები: „მეტყველი“, „შავი რიდე“, „განთიადი“ და სხვ.

V—X კლასების მოსწავლეებს გრამატიკას უმეტეს წილად ასწავლიან ზერელედ, ცოცხალი სამეტყველო ენისა და ლიტერატურული მასალიდან მოწყვეტით. მახუნცეთის საშუალო სკოლის V კლასში მასწავლებელმა გოგუაძემ მოსწავლეები ავარჯიშა მთელი გაკვეთილის განმავლობაში ერთ წინადადებაზე „ის იერ მიმხვდარიყო, რომ ონისეს ბრალი არ ჰქონდა“, მაგრამ ვერცერთმა მოსწავლემ ვერ გაიგო, თუ რა სახისაა ეს წინადადება. სუსტად მუშაობენ ხულოს რაიონის რიყეთისა და შუახევის შვიდწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები—სიხარულიძე და ჩხაიძე. სიხარულიძე უშვებს გაკვეთილებზე ენომრივ შეცდომებს:— „უცტვათე“, „დაგამიწყდა“, „მაი“ და სხვ.

ქობულეთის საშუალო სკოლის V კლასში მასწავლებელმა იმნაიშვილმა სრულიად მოუმზადებლად ჩაატარა გრამატიკის გაკვეთილი. „დისიმილიაციის“ შესახებ, ლისიმილიაციის ფაქტის დასადასტურებლად ვერც ერთი მაგალითი ვერ მოიტანა და საკითხი ბავშვებისათვის სრულიად გაუგებარი დარჩა.

მახინჯაურის საშუალო სკოლის V კლასის ქართული ენის მასწავლებელი გოგიჩაიშვილი შესაფერ ყურადღებას ვერ უთმობს ვარ-



ჯიშს ლიტერატურულ ტექსტზე, მოსწავლეებმა ზეპირად იციან გრამატიკის წესები, მაგრამ სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ თუნდაც მარტივ წინადადების გარჩევისას. ასევე განყენებულად და სალიტერატურო მასალიდან მოწყვეტით ასწავლის ქართულ გრამატიკას ხულოს ქალთა პედაგოგების მასწავლებელი შავგულიძე.

სუსტად მუშაობენ აგრეთვე ბათუმის ვაჟთა V სკოლის III და VI კლასების ქართული ენის მასწავლებლები ევგენიძე და კაკაბაძე.

მერისის და მახინჯაურის X კლასის მოსწავლეებმა არ იციან გავლილი ლიტერატურული მასალა, არა აქვთ გამოიმუშავებული ნაწარმოების მხატვრული და შინაარსობრივი ანალიზის უნარი. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო „მუშა და მუზა“-ს შინაარსის გადმოცემა, მისი გარჩევა, მათ სუსტად იციან „სტუმარ-მასპინძლისა“ და „აღუდა ქეთელაურის“ შინაარსი, არა აქვთ ნათელი წარმოდგენა ლიტერატურულ მიმართულებებზე; რომანტიზმსა, რეალიზმსა და სიმბოლიზმზე. მოსწავლეთა უმრავლესობას არა აქვს წაკითხული „ელგუჯა“, „მამისძველი“, „პირველი ნაბაჯი“, X კლასის არცერთმა მოსწავლემ წესიერად არ იცის ზეპირად „მე და ლამე“, „მთაწმინდის მთვარე“ და ამ კლასისათვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა საზეპირო მასალა.

მრავალ სკოლაში მასწავლებლები საჭირო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან წერიითი სამუშაოების ჩატარების საქმეს. მერისისა და მახუნცეთის საშუალო სკოლების არც ერთ კლასში წერიითი ნამუშევრები არ არის ჩატარებული საკმაო რაოდენობით. ამასთან, წერიითი ნამუშევრები არ არის გაწვორებული გულდასმით, — გაუსწორებლად არის დატოვებული მრავალი შეცდომა. არ სწარმოებს ვარჯიში წერაში დაშვებული შეცდომების გასწორებაზე. მოსწავლეები სწერენ მეტად ცუდი ხელით და უსუფთაოდ.

ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთი ნაწილი მტკიცე მოთხოვნილებას არ უყენებს მოსწავლეებს საშინაო დავალებათა შესრულების საქმეში და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში იჩენს ლიბერალურ დამოკიდებულებას. მახუნცეთის საშუალო სკოლის V კლასის ზოგიერთ მოსწავლეს „5“ უწერიან მოთხრობის „ჩემი ბრალი არ არის“ შინაარსის გამოკითხვისას, ფაქტიურად არ იციან ამ მოთხრობის შინაარსი.

ქობულეთის საშუალო სკოლის V კლასში 18—20 თებერვალს 5 მოსწავლემ გრამატიკის წესების ცოდნაში მიიღო შეფასება „5“, იგივე მასალა 10 მარტს არცერთმა მოსწავლემ არ იცოდა. ასევე არაობიექტურად და ზერეოდ ფასდება მთელ რიგ მასწავლებლის

მიერ წერითი ნამუშევრებიც. არ არის მოთქმობულად შერჩეული საწერი თემები, წერა არ ტარდება საკმაო რაოდენობით, გულდასმით არ სწორდება წერითი ნამუშევრები, მრავალი სტილისტური და ორთოგრაფიული შეცდომები გაუსწორებელია, არ ხდება აგრეთვე შეცდომების გასწორება მოსწავლეების მიერ.

ზოგიერთ სკოლაში რუსული ენის სწავლება არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

მთელ რიგ სკოლებში რუსულ ენაში სამუშაო გეგმები შედგენილია ძველი პროგრამის საფუძველზე. გავლილი მასალის თანამიმდევრობით გამეორებას ყურადღება არ ექცევა. წინა საანბანო პერიოდში მასწავლებლები სათანადო მუშაობას არ ატარებენ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად. ხუცუბნის საშუალო სკოლის (მასწავლებელი თხილაიშვილი) მეორე კლასში ლექსიკური ნაწილი პროგრამით გათვალისწინებული 30 საათის ნაცვლად 15 საათშია „გავლილი“.

სუსტად არის დაუფლებული რუსულ ენას და არადაამაკმაყოფილებლად მუშაობს თავის თავზე ხუცუბნის საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელი ფირცხალაიშვილი, რომელიც ვერ ახერხებს მარტივ წინადადებათა სწორად აგებას. მასწავლებელი ასე ამბობს: „*сколько час имеет день и ночью*“, „*сколько месяца имеет году*“.

ხულოს რაიონის პედსასწავლებელთან არსებული შვიდწლიანი სკოლის VII კლასის მასწავლებელი აბულაძე მრავალ უხეშ შეცდომას უშვებს რუსულ ენაში. მაგ., ის ამბობს: „*одышевленный и неодышевленный*“, „*грушы*“ უხსნის ბავშვებს, რომ იწერება ი მაგარი, ხოლო ამავე სკოლის II კლასის მასწავლებელი გაჩეჩილაძე ასე მიმართავს ბავშვებს: „*Прочти меня*“, „*иди здесь*“, „*что здесь рисует*“ და სხვ.

მრავალ სკოლაში ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა ზეპირმეტყველების კულტურის დონე და ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობა სათანადო სიღრმით არ სწარმოებს. მოსწავლენი მასწავლებლის მიერ მიწოდებული ჩანაწერების მიხედვით სიტყვა-სიტყვით ერთნაირად ჰყვებიან ლიტერატურულ ტექსტის შინაარსს. მაგალითად, მერისის საშუალო სკოლაში (მასწავ. ნ. ა. მაჭონდაროვა) V, VI, VII და X კლასებში ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო ცოტა თუ ბევრად რიგიანად მოეთხრო გავლილი ტექსტის შინაარსი.

მახუნცეთის საშუალო სკოლის (მასწავ. ჩვერტკო) VIII კლასის მოსწავლეებს არ ესმით რას ნიშნავს, *знамя*, *голенище*, *локоть* და სხვ.

ხუცუბნის საშუალო სკოლის VIII—IX (მასწავ. უშვერიძე) კლასის მოსწავლეებს არ გააჩნიათ ელემენტარული ცოდნა რუსულ ენაში. VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან რას ნიშნავს „Отселе“ განმარტავენ, რომ „Отселе“ ნიშნავს სოფლიდან.

ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეებს სრულებით არ ეძლევათ საშინაო დავალებები, მოსწავლეები ვერ ახერხებენ წინადადებათა შედგენას და მარტივი საუბრის გამართვას.

მერიის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა არ იციან ნაცვალსახელთა რიგი; არ შეუძლიათ პირის ნაცვალსახელების ბრუნება. ამავე სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მარტივ წინადადებაზე, მახუნციეთის საშუალო სკოლის VIII კლასში მოსწავლეებმა ვერ აბრუნეს ფრაზა, „Добрый друг“, ხუცუბნის საშუალო სკოლის მოსწავლეებს არ შეუძლიათ წინადადებათა გარჩევა. ვერ ანსხვავებენ წინადადების მთავარსა და მეორე ხარისხოვან წევრებს. ამავე სკოლებში დაბალია წერითი მეტყველების კულტურის დონე. მცირეა წერითი ნამუშევრების რაოდენობა, ღარიბია თემატიკა, მოსწავლეები გულდასმით არ ასწორებენ ნამუშევრებს, შეცდომები არც მოსწავლეების მიერ სწორდება. ნამუშევრები კი არაობიექტურად ფასდება.

ხუცუბნის საშუალო სკოლის (მასწ. უშვერიძე) VIII კლასის მოსწავლეები პატარა მოცულობის ტექსტში 20—30 შეცდომას უშვებენ. ამ კლასის ერთერთი მოსწავლის 21 იანვრის ნამუშევარში 15 შეცდომაა გაუსწორებელი, ხოლო ნამუშევარი „3“-ზეა შეყვანებული;

გ) მათემატიკის სწავლებას ბევრ სკოლაში მრავალი ნაკლი ახასიათებს. ბათუმის ვაჟთა II საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები ვერ ახერხებენ წრის ფართობის გამოანგარიშებას, VI კლასის მოსწავლეები ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ სამკუთხედების ტოლობის ცნებას და ტოლობის პირობას (მასწ. მიქაძე), ხულოს ვაჟთა პედაგოგიურ სასწავლებელში (მასწ. ჩიბაკაძე), არითმეტიკული გამოანგარიშების დროს არ იყენებენ ჩაწერის მოხერხებულ ფორმებს, არ იციან ნახაზის შედგენის წესები. რიყეთის სკოლის (მასწავ. დონაძე) მოსწავლეები ასე წერენ:

$$\begin{array}{r} \times 0,3 \\ 0,5 \\ \hline 15 \\ 00 \\ \hline 0,15 \end{array}$$

ამ სკოლაში ხშირად გაკვეთილი მოუმზადებლად ტარდება. მუ-
ახევის შეიღწლიანი სკოლის მასწავლებელი ნ. თურმანიძე ფიზიკის
გაკვეთილზე სვამს კითხვებს: რა გეჭონდა გაკვეთილად, ვინ იცის
გაკვეთილი?.. ვერ ღებულობს რა სათანადო პასუხს, მასწავლებელი
ხელმოკრედ უბრუნდება ძველი გაკვეთილის ახსნას, ხოლო მისი
ახსნაც მშრალი და მოსწავლეთათვის გაუგებარი დარჩა.

ხულოს ვაჟთა პედსასწავლებელთან არსებული შეიღწლიანი
სკოლის მასწავლებელი ჩხაიძე სრულიად ვერ იყენებს ევრისტიკულ
მეთოდს; მოსწავლენი მასალას იზეპირებენ წიგნიდან, შეუკნებლად.

მახინჯაურის საშუალო სკოლის VI, VII კლასის მასწავლებელი
ნ. კვიციანი სუსტად არის დაუფლებული ფიზიკასა და მისი სწავ-
ლების მეთოდის და არადაამკმაყოფილებლად მუშაობს თავის
თავზე;

დ) მრავალი ნაკლი ახასიათებს ისტორიის ხწავლებას. მასწავ-
ლებელთა ერთი ნაწილი არ ზრუნავს საკუთარ კვალიფიკაციის ამა-
ღლებაზე, არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ სარგებლობს დამხმა-
რე ლიტერატურით და არ იყენებს თვალსაჩინოებას; ამის შედეგად
გაკვეთილი უფერული და უხალისოა და მოსწავლეთა ცოდნის დონე
დაბალია. მოსწავლეებს არ შესწევთ ისტორიულ მოვლენათა ანა-
ლიზის უნარი, არ შეუძლიათ დალაგებით გადმოსცენ შესწავლილი
მასალა. ქ. ბათუმის ვაჟთა II საშუალო სკოლის V კლასის მოსწავ-
ლეებს (მასწავ. ხემერი) არ შეუძლიათ მასწავლებლის დაუხმარებლად
მასალის თხრობა, არ იციან პელოპონესის ომის მიზეზები, არ ესმით
პერიკლეს რეფორმების მნიშვნელობა, სუსტი წარმოდგენა აქვთ
ათენის კულტურის მნიშვნელობაზე, არ იციან სპარტის საზოგადო-
ებრივი წყობილება, სუსტად იციან ბერძენ-სპართა ომები, არ
ესმით ისტორიული ტერმინების: დემოკრატია, დემოსი, ტირანია
და სხვ. შინაარსი.

მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. ბათუმის ვაჟთა V
(მასწავ. მანკუშევა), მახინჯაურის საშუალო (მასწავ. შენგელია) და
ხულოს რაიონის რიყეთის (მასწავ. ქოჩალიძე) შეიღწლიან სკოლებში.
ამ სკოლების VI კლასის მოსწავლეებმა ვერ შესძლეს რომის იმპე-
რიის დაცემის მიზეზების განმარტება, ვერ დაახასიათეს იუსტინიანე
დიდის ეპოქა, არ იცოდნენ არაბთა, ფრანკთა სამეფოს ადგილსამ-
ყოფელი, ვინ იყო კარლოს დიდი და სხვ.;

ე) ზოგიერთ სკოლაში არადაამკმაყოფილებლად ისწავლება
ქიმი და ბუნებისმეტყველება. სოფელ მერისის საშუალო სკოლის
V—IX კლასებში ქიმია - ბუნებისმეტყველებას ასწავლის გეოგრა-

ფიის მასწავლებელი, ხოლო X კლასში—მათემატიკის მასწავლებელი საგანს არ არის დაუფლებული აგრეთვე სოფელ მახუნცეთის სკოლაში სკოლის ქიმიის მასწავლებელი ნაქეზია, რომელსაც დამატებითი აქვს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მერისის საშუალო სკოლაში ქიმია არ ისწავლებოდა. ამ სკოლის X კლასის ქიმიის შესწავლა მასწავლებელმა დაიწყო ორგანიული ქიმიის კურსიდან, იმ დროს, როცა მოსწავლეებს არა აქვს წარმოდგენა არაორგანიულ ქიმიაზე. ამის გამო X კლასის მოსწავლეები ქიმიაში სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ამავე სკოლის VII კლასში, ამ კლასის მოსწავლენი ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებენ ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებს. გაზეპირებული აქვთ ცნებანი: „სინთეზი“, „ანალიზი“, „მოლეკული“, „ატომი“ და სხვ. მაგრამ არ შესწევთ უნარი კონკრეტულ მაგალითებზე გაარკვიონ მათი მნიშვნელობა.

მახინჯაურის, ქედის, მერისის, ხუცუბნის, მახუნცეთის და კობულეთის საშუალო სკოლებში პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების დემონსტრაციების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შესრულებული, ხშირ შემთხვევაში ქიმიის და ფიზიკის კაბინეტების ხელსაწყოები და რეაქტივები ერთ ოთახშია მოთავსებული, რის გამოც ფიზიკური ხელსაწყოების მეტი ნაწილი ქიმიური რეაქტივების ზემოქმედებით იქანგება და უვარგისდება;

ვ) მრავალ სკოლაში არ დგას სათანადო სიმაღლეზე გეოგრაფიის სწავლება. ხუცუბნის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს ს. მერკვილაძეს სამუშაო გეგმაში გამოტოვებული აქვს VII კლასში სსრ კავშირის ადმინისტრაციული რუკის მიმოხილვა, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, ვოლგისპირეთი, ურალი, დასავლეთი ციმბირი, აღმოსავლეთი ციმბირი, ყაზახეთის სსრ; ასევე გამოტოვებულია მთელი რიგი თავები VIII და IX კლასების პროგრამიდან. ქედის რაიონის მერისის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელ ფურცხვანიძეს გამოტოვებული აქვს VII კლასში ბალტიის პირეთის მოკავშირე რესპუბლიკები, ქვემო დონი და ჩრდილოეთ კავკასია, საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ და სხვ.

მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი მახინჯაურისა და ბათუმის ვაჟთა V საშუალო სკოლებში (მასწავ. შენგელია და კოვალიოვა); ამ სკოლებში მასალის გავლა არ სწარმოებს იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს პროგრამით არის გათვალისწინებული. ხუცუბნის საშუალო სკო-

ლაში სსრ კავშირის ტერიტორიის შესწავლა ძველი დარაიონების მიხედვით სწარმოებს—ვოლგის მხარე, კიროვის მხარე, კუბიშევის მხარე, სტალინგრადის მხარე, ნაცვლად ოლქებისა და ა. შ.

ბევრ სკოლაში (ხუცუბნის, მახუნცეთის, ბათუმის ვაჟთა V და მახინჯაურის საშუალო სკოლები) გეოგრაფიას ასწავლიან რუკის გარეშე ან შეუფერებელი რუკით. მაგალითად, მახინჯაურის საშუალო სკოლაში (მასწავ. შენგელია) აფრიკის მკენარეთა და ცხოველთა სამყაროს ახსნისას ნახევარსფეროების ფიზიკურ რუკას იყენებენ მაშინ, როდესაც სკოლას აქვს ნახევარსფეროების ბუნებრივი ზონების რუკა.

აღნიშნული სკოლების მოსწავლეები დამახინჯებულად წარმოსთქვამენ და წერენ გეოგრაფიულ სახელწოდებებს. „მოზამბუკის სრუტე“, ნაცვლად მოზამბიკის სრუტისა. „ბაბულმანდების სრუტე“, ნაცვლად ბაბელმანდების სრუტისა. „გაბლატარის სრუტე“, ნაცვლად გიბრალტარის სრუტისა. „ბიობაბეს ხე“ ნაცვლად „ბაობაბის ხისა“ და ა. შ., მასწავლებლები წინასწარ არ იმარაგებენ გაკვეთილებისათვის საჭირო რუკებს და თვალსაჩინო იარაღებს, არ უვლიან რუკებს და სხვა საჭირო დიდაქტიკურ მასალებს. დასახელებულ სკოლებში რუკები მაგიდაზე ჰყრია და ცუდად მოვლის გამო ბევრი მათგანი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული;

ზ) ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა მომზადების დონე ძალზე დაბალია. ბათუმის რუსულ საშუალო სკოლაში (დირექტორი გავრილიდი) საშემოდგომო გამოცდამიცემულ 166 მოსწავლიდან გამოცდები ჩააბარა 74 მოსწავლემ. იმავე სკოლაში 1 მეოთხედში 489 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 238 მოსწავლე, მეორე მეოთხედში 482 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 209 მოსწავლე; VIII კლასის 17 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 13 მოსწავლე. VII კლასის 141 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 101 მოსწავლე. ქედის რაიონის მერისის საშუალო სკოლის (დირექტორი არ. კალანდარიშვილი) 89 მოსწავლიდან პირველ მეოთხედში ვერ ასწრებს 50 მოსწავლე, მეორე მეოთხედში 82 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 48 მოსწავლე; IV—VI კლასის 21 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 18 მოსწავლე. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილია ხუცუბნის და მახინჯაურის საშუალო სკოლებში;

თ) მრავალ სკოლაში მასწავლებელთა მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. სკოლის დირექტორები და მასწავლო ნაწილის გამგეები კონკრეტულად არ ამოწმებენ ცალკე მასწავლებლის მუშაობას, მოსწავლეთა ცოდნის დონეს,

არ სწავლობენ მოსწავლეთა ჩამორჩენის მიზეზებს და თავის დროზე არ ლებულობენ საჭირო ზომებს შემჩნეული დეფექტების აღწერას ხერხად. პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ცალკე საკითხთა შესახებ მიღებული დადგენილებანი იმდენად ზერელე და ფორმალურია, რომ მას შედეგად არ ჰყვება მდგომარეობის გაუმჯობესება. ამის გამო პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებებს არა აქვს არავითარი ავტორიტეტი.

ასე, მაგალითად, ქედას რაიონის მერისის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ მიმდინარე სასწავლო წლის პირველი მეოთხედის ბოლოს მოისმინა საკითხი „ცალკე საგნებში პროგრამების შესრულებისა და აკადემიური წარმატების მდგომარეობის შესახებ“. პედაგოგიურ საბჭოს ოქმში აღნიშნულია, რომ აკადემიურად ძალზე ჩამორჩენილია V, VIII, IX და X კლასები. მდგომარეობის გამოსასწორებლად პედაგოგიურმა საბჭომ ასეთი დადგენილება მიიღო:

„დაევალოს კლასის ხელმძღვანელებს სწრაფად გარდაქმნან მუშაობა თავიანთ სადამრიგებლო კლასებში“. ასეთივე ზერელე ხასიათის დადგენილება არის მიღებული აღმზრდელობითი მუშაობის შესახებაც. „დაევალოს კლასის ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვებს“.

მახინჯაურის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ განიხილა პირველი მეოთხედის შედეგებთან დაკავშირებით მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის საკითხი და მიიღო ასეთი დადგენილება: „მოწესრიგდეს მოსწავლეთა ნორმალური სწრებადობის საკითხი გაკვეთილებზე, გაძლიერდეს აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მეცადინეობა. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების შესახებ ამავე სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ გამოიტანა დადგენილება— „ებრძოლონ კლასის ხელმძღვანელებმა მოსწავლეთა განთესვას“. ფორმალურ ხასიათს ატარებს პედაგოგიურ საბჭოს მუშაობა ბათუმის ვაჟთა V, ხუცუბნის და ზოგ სხვა საშუალო სკოლებშიაც.

ხშირ შემთხვევაში დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის დასწრება გაკვეთილებზე ფორმალურია და არაფერს აძლევს მასწავლებლებს. მახინჯაურის საშუალო სკოლის დირექტორის მიერ 9/X IX კლასის ქიმიის გაკვეთილზე დასწრების შედეგი, შემდეგი სახით არის გაფორმებული: „მასწავლებელმა სთქვა: „ყური დამიგდეთ“ უნდა ეთქვა: „მომისმინეთ“, ახალი მასალა ახსნილი იქნა დამაჯერებლად, მოსწავლეები იდაყვდაყრდნობით ისხდნენ, ახალი მასალის განმტკიცების მაგივრად მასწავლებელმა ჩააწერინა. საჭიროა აღნიშნულს მიაქციოს მასწავლებლებმა ყურადღება“

ქობულეთის რაიონის ხუცუბნის საშუალო სკოლის დირექტორმა 14/I-46 წ. IV კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებელს დასწრების შედეგად მიუთითა: „საჭიროა მასწავლებელმა ენზაღონს კვეთილისათვის და მოსწავლეებს მისცეს მეტი ცოდნის მარაგი“.

ამავე სკოლაში ცუდად არის დაყენებული მეთოდური მუშაობა, მეთოდთათბირებზე უმთავრესად იხილება არაკონკრეტული საკითხები.

ბევრი მასწავლებელი სათანადოდ არ მუშაობს თავის თავზე. მასწავლებლები მოკლებულნი არიან პერიოდულ გამოცემებს — ჟურნალ-გაზეთებს. ბევრ მათგანს არა აქვს გამოწერილი გაზეთი „კომუნისტი“, „სახალხო განათლება“. სასკოლო ბიბლიოთეკები ძალზე ღარიბია მხატვრული და მეთოდური ლიტერატურით. მერისის, მახუნციეთისა და ხუცუბნის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკებში ახალი ლიტერატურა სრულებით არ მოიპოვება, არც მასწავლებლებს გააჩნიათ სათანადო ლიტერატურა და ამის გამო შეზღუდულია მასწავლებელთა, როგორც სპეციალური, ისე საერთო განათლების ჰორიზონტი.

აღმზრდელითი მუშაობა მთელ რიგ სკოლებში არ დგას სათანადო სიმაღლეზე. მოსწავლეთა წესების დანერგვის საკითხი ბევრჯერ ისმის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე, მაგრამ პრაქტიკულად მისი განხორციელებისათვის ყოველდღიური და სისტემატური ბრძოლა არ სწარმოებს. შემოწმებულ სკოლებში (გარდა ბათუმის II საშუალო და ქედას შვიდწლიან სკოლისა) კლასის ხელმძღვანელობის სამუშაო გეგმები ზერელეა და პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული.

მახინჯაურის საშუალო სკოლაში გაკვეთილებზე გაბატონებულია კარნახი იმ მასშტაბით, რომ მასწავლებელს მოსწავლის გამოკითხვა უძნელდება. ხუცუბნის სკოლაში ადგილი აქვს წამოძახებებს, წამოხტომას, გაკვეთილის პროცესში მოსწავლეების მიერ ადგილების გადანაცვლებას, დერეფნებში ჭიდაობას, მოსწავლეები უდიერად ეპყრობიან სასწავლო ნივთებს, ტანსაცმელს. ხუცუბნის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს კარნახის გამო გაუძნელდა მისწავლეების გამოკითხვა და მერხიდან მაგიდასთან გამოჰყავდა ისინი. დისციპლინის დარღვევას ხშირად აქვს ადგილი ქალაქ ბათუმის ზოგიერთ ვაჟთა საშუალო სკოლებშიაც.



1. საყოველთაო-სავალდებულო კანონის განუზრეგლად რეზერვების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) აჭარის ასსრ ყველა რაიონის სკოლებმა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით დატკიცებულ ინსტრუქციის საფუძველზე დააზუსტონ სკოლიდან ჩამოშორებულ და სკოლის გარედ დარჩენილ ბავშვთა რაოდენობა და ყველა საჭირო პირობა შექმნან, რათა 1946-47 სასწავლო წლიდან I-VII კლასების ასაკის ბავშვები მთლიანად იქნან ჩაბმული სათანადო კლასებში;

ბ) დაუყოვნებლივ შეისწავლონ ცალკე კლასების მიხედვით მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრების მდგომარეობა, დეტალურად გამოარკვიონ იმ მოსწავლეების საცხოვრებელი პირობები, რომლებიც სისტემატურად არ ცხადდებიან გაკვეთილებზე, მშობლებთან ახსნაგანმარტებითი საუბრების ჩატარებისა და სასოფლო საბჭოსთან და კოლმეურნეობებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებით აღმოფხვრან მოსწავლეების მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გამოტოვება;

გ) გადაჭრით აღკვეთონ მოსწავლეთა მოწყვეტა მეცადინეობიდან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში გამოყენების მიზნით, რისთვისაც აჭარის ასსრ ქალაქისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებმა მტკიცე მეთვალყურეობა და კონტროლი დააწესონ სკოლებზე და ამ საქმეში დამნაშავე პირთა შესახებ საკითხი აღძრან სათანადო ორგანოების წინაშე.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა:

ა) დაწყებით კლასებში ყოველ გაკვეთილზე გააზრებულად შეასწავლონ ბავშვებს ახალი მასალა—მისი წინააღსაზრისი, ზუსტად განუმარტონ ტექსტის ყოველი წინადადება და სიტყვის მნიშვნელობა—ავარჯიშონ მოსწავლეები რთული და უცნობი სიტყვების სწორად გამოთქმაზე და აღკვეთონ მოთხრობისა, ლექსისა და სიტყვების უაზროდ გაზეპირების პრაქტიკა;

ბ) V-X კლასების მასწავლებლები საფუძვლიანად ემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის, ნათლად და გასაგებად გადასცენ მოსწავლეებს მასალა, აღზარდონ მათში მხატვრული ლიტერატურის შესწავლის ინტერესი, შეაჩვიონ ისინი გულდასმით კითხვას, წაკითხულის წინააღსაზრისობისა და მხატვრულ ანალიზს; მტკიცედ მოსთხოვონ საშინაო დავალებათა ხარისხოვნად შესრულება, პროგრამით გათვალისწინებულ ლექსებისა და პოემის ადგილების ზეპირად და

შეგნებულად ცოდნა; განუსაზღვრონ მოსწავლეებს ყოველთვიურად კლასგარეშე წასაკითხად მხატვრული ლიტერატურის სია და სის. ტემატურად აწარმოონ ამ დავალების შესრულების შემოწმება;

გ) გრამატიკის კურსის შესწავლა აწარმოონ ლიტერატურულ ტექსტებზე ვარჯიშის საფუძველზე და უზრუნველყონ მოსწავლეებში სწორმეტყველების და მართლწერის პრაქტიკული ჩვევების გამო-მუშავება;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წერით მუშაობას; საჭირო რაოდენობით აწარმოონ წერითი მუშაობა კლასში; დაკვირვებით შეარჩიონ წერითი თემები; გულდასმით გაასწორონ როგორც საკლასო, ისე საშინაო წერითი ნამუშევრები და ავარჯიშონ მოსწავლეები დაშვებული შეცდომების გასწორებაზე და არ დაუშვან წერითი ნამუშევრების ზერელე და არაობიექტური შეფასება;

ე) ქედის რაიონის მერისის, ბათუმის რაიონის მახინჯაურის, ქობულეთისა და ხუცუბნის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა—რუხაძემ, ნ. კირტაევამ, ნიკურაძემ და შყაენაძემ დაახუსტონ X კლასებში ქართულ ლიტერატურაში გავლილი მასალის განმეორების გეგმა, მტკიცედ მოთხოვონ მოსწავლეებს გავლილი მასალის საფუძვლიანი ცოდნა. ამ მიზნით გამოიყენონ წრეობრივი მუშაობა, მოსწავლეებს წინასწარ მისცენ თემები წრეებში მოხსენების მოსაზრადებლად, დაეხმარონ მათ ამ მოხსენებების ხარისხიანად, დამუშავებაში და მთელი მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ წლის ბოლომდე გამოასწორონ ამ კლასებში ქართულ ლიტერატურაში არსებული ჩამორჩენა;

ვ) მერისის საშუალო სკოლის II კლასის მასწავლებელს დოლიძეს, ხულოს ქალთა პედაგოგიური სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს შაგვულიძეს, ხულოს რაიონის რიყეთისა და შუახევის შვიდწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს სიხარულიძესა და ჩხაიძეს, ქობულეთის სკოლის V კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს იმნაიშვილს, ქ. ბათუმის ვაჟთა V საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებლებს ევგენიძეს და კაკაბაძეს მიეთითოს იმის გამო, რომ ისინი საფუძვლიანად არ ემზადებიან გაკვეთილისათვის და არ აძლევენ მოსწავლეებს საკმაო ცოდნას; დაევალოთ გააძლიერონ თავის თავზე მუშაობა და უახლოეს დროში გამოასწორონ ქართულ ენისა და ლიტერატურის სწავლებაში არსებული ნაკლი.

3. რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების მიზნით:

ა) რუსული ენის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ლექსიკურ ვარჯიშს, გაკვეთილზე გამოიყენონ საჭიროებისამებრ პლაკატები, სურათები და სხვა თვალსაჩინო მასალები, შეაჩვიონ მოსწავლეები რუსული წინადადებებისა და სიტყვების გააზრებულად და სწორად გამოთქმას, პატარა მოთხრობებისა და ლექსების შეგნებულად დასწავლას; ავარჯიშონ მოსწავლეები სასაუბრო ენაზე, შეაჩვიონ ისინი პატარა ამბის, მოთხრობის, ნახულისა და გაგონილის დამოუკიდებულად, თავისი სიტყვებით თხრობას; ყოველ გაკვეთილზე შეამოწმონ საშინაო დავალება და მისცენ მოსწავლეებს სათანადო შეფასება;

ბ) მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდონ ხელი წერითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს; სისტემატურად მისცენ მოსწავლეებს წერითი დავალებანი, პატარა წინადადების შედგენის, კითხვებზე პასუხის გაცემისა, წიგნიდან გადაწერისა, ტექსტიდან მარტივი წინადადების ამოწერისა და სხვა სახის მასალაზე, საფუძვლიანად გაასწორონ წერითი ნამუშევრები და ავარჯიშონ მოსწავლეები დაშვებული შეცდომების გასწორებაზე;

გ) ხუცუბნის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს უშვერიძეს გამოეცხადოს საყვედური რუსული ენის სწავლების ცუდად დაყენებისათვის; დაევალოს მას სისტემატურად იმუშაოს თავისთავზე და უზრუნველჰყოს რუსული ენის სწავლებაში არსებული ნაკლის უახლოეს დროში გამოსწორება;

დ) დაევალოს აქარის ასსრ განათლების სახალხო კომისარს ამბ. ნ. ნიჟარაძეს გაგზავნოს ზაფხულის პერიოდში გადასამზადებელ კურსებზე რუსული ენის მასწავლებლები: ფირცხალაიშვილი (ხუცუბნის საშუალო სკოლა), ბონდარევა (რიყეთის შვიდწლიანი სკოლა), ჩხაიძე (შუახევის შვიდწლიანი სკოლა), აბულაძე და გაჩეჩილაძე (ხულოს პედაგოგიური სასწავლებელთან არსებული შვიდწლიანი სკოლა). კურსების დამთავრების შემდეგ შეამოწმოს მათი ვარგისიანობა და გადასწყვიტოს საკითხი მომავალ წელში მათი რუსული ენის მასწავლებლად დატოვების შესახებ.

4. მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებლებმა:

ა) აღმოფხვრან წიგნიდან გაზეპირებისა და მათემატიკურ დებულებათა შეუგნებლად დასწავლის პრაქტიკა;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში სწორი მათემატიკური ენის დანერგვას (ტერმინების სისწორე, განსაზღვრების ზუსტად გადმოცემა, თეორემების და დებულებების სწორად ფორმულირება; დამტკიცების ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა და სხვ.);

გ) მეტი ყურადღება და ადგილი დაუთმონ მოსწავლეებში დამოუკიდებელ მუშაობის ჩვევების აღზრდას და სისტემატურად დააწესონ ზედამხედველობა საშინაო დავალებათა შესრულებაზე;

დ) ჩაატარონ საკონტროლო წერა ყოველი თემის ან თემის განსაზღვრული ნაწილის დამთავრების შემდეგ; V კლასში საკონტროლო წერა მოაწყონ ორ კვირაში ერთხელ, ხოლო VII, VIII, IX და X კლასებში არანაკლებ 5-6-სა მეოთხედში; აწარმოონ ნაწერების დროულად გასწორება და შეცდომების გასწორებაზე მოსწავლეთა მუშაობა;

ე) გააუმჯობესონ მუშაობა ზეპირი გამოანგარიშებისა და მოქმედებათა რაციონალურად შესრულების ჩვევების დანერგვაზე;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნაზე ვარჯიშს;

ზ) სრულ წესრიგში მოიყვანონ ფიზიკის კაბინეტები, შეავსონ ისინი საჭირო ხელსაწყო-იარაღებით და უზრუნველჰყონ მათი გამოყენება მოვლა და დაცვა; ფიზიკის სწავლებისას ზუსტად იხელმძღვანელონ განათლების სახალხო კომისარიატის 1944 წლის 7 თებერვლის ბრძანებით „ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (იხ. ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული 1944 წ. № 1-2);

თ) ხულოს პედაგოგიური სასწავლებლის მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებელს—ჩხაიძეს, ქობულეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს—ნინიძეს, ბათუმის ვაჟთა II სკოლის მასწავლებელს—მიქაძეს და ამავე სკოლის ფიზიკის მასწავლებელს—მევენაძეს მიეცეს წინადადება—გააძლიერონ თავის თავზე მუშაობა და უზრუნველჰყონ მათემატიკისა და ფიზიკის სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება;

ი) დაევალოს აჭარის სსრ განათლების სახალხო კომისარს ამხ. ნ. ნიჭარაძეს, ვანიხილოს საკითხი შუახევის შვიდწლიანი სკოლის მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებელ თურმანიძის ამ საგნების მასწავლებლად გამოყენების შესახებ.

ნ. ისტორიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, ისტორიის მასწავლებლებმა:

ა) ახალი მასალის გავლასთან ერთად სისტემატურად აწარმოონ გავლილი მასალის საფუძვლიანი განმეორება;

ბ) არ დაუშვან ისტორიის გაკვეთილების ჩატარება თვალსაჩინოების გარეშე, თითოეული გაკვეთილისათვის ემზადონ საფუძვლიანად, ღრმად გააშუქონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხები, შეაჩვიონ მოსწავლეები ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ანალიზს, თანმიმდევრობით მსჯელობას და მათ შესახებ სწორი დასკვნების გაკეთებას, აღმოფხვრან წიგნიდან ტექსტის გაუაზრებლად გახეპირების პრაქტიკა;

გ) ქ. ბათუმის ვაჟთა II საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს ხემერს, ქ. ბათუმის V სკოლის ისტორიის მასწავლებელს მაგუშევას და მახინჯაურის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს შენგელიას მიეთითოთ იმის გამო, რომ ისინი სწავლებაში არ იყენებენ თვალსაჩინოებას და საკმაოდ არ იბრძვიან მტკიცე და საფუძვლიანი ცოდნის მოღწევისათვის.

წ. ქიმიისა და ბუნებისმეტყველების სწავლების გაუმჯობესების მიზნით, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტები, წინასწარ მოამზადონ ყველა საჭირო ხელსაწყო და ყოველი გაკვეთილი ჩაატარონ ცდებისა და ექსპერიმენტების გამოყენებით, არ დაუშვან ქიმიური ფორმულების გაუაზრებლად და პრაქტიკულ ვარჯიშის გარეშე გახეპირება; შეაჩვიონ მოსწავლეები ცდების დამოუკიდებლად ჩატარებას და გამოიმუშაონ მათში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების ჩვევა-უნარი; შეაჩვიონ მოსწავლეები ჰერბარიუმებისა და სხვა თვითნაკეთი მასალების დამზადებას;

ბ) შემოიღონ ქიმიისა და ბუნებისმეტყველებაში სათანადო მასალების ჩახატვა-ჩახაზვა და მტკიცედ მოსთხოვონ მოსწავლეებს ამ რეჟულების წარმოება;

გ) ქიმიისა და ბუნებისმეტყველების სწავლებისას იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განსახკომის 1944 წლის 5 მარტის ბრძანებით „ქიმიისა და ზოოლოგიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (იხილეთ განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული 1944 წ. № 1-2);

დ) მახუნცეთის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელ ნაჭყებიამ მახინჯაურის და ხუცუბნის საშუალო სკოლების ქიმიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა ნ. მერკვილაძემ, და ნ. კვიციანიძემ აღკვეთონ ქიმიისა და ბუნებისმეტყველების სწავლებაში ქიმიური



ფორმულებისა და დებულებების გაუზარებლად ზეპირობით და საფუძვლიანად ემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის და უზრუნველყონ ამ საგნებში მოსწავლეთა ცოდნის ამაღლება.

7. გეოგრაფიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, გეოგრაფიის მასწავლებლებმა:

ა) დაუყოვნებლივ გადასინჯონ გეოგრაფიაში ყვილა კლასის წლიური კალენდარული გეგმები და შეასწორონ ისინი სახელმწიფო პროგრამების მიხედვით;

ბ) აღკვეთონ სსრ კავშირის ტერიტორიის ძველი დარაიონებით სწავლება;

დ) არ დაუშვან გაკვეთილების ჩატარება რუკებისა და სხვა საპირო თვალსაჩინო საშუალებების გამოყენების გარეშე;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გეოგრაფიული თერმინების ზუსტად დასწავლას;

ვ) განმეორება აწარმოონ წინასწარ შედგენილი დეტალური გეგმის საფუძველზე;

ზ) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში დასწავლილი მასალის შეგნებულად, დამოუკიდებლად თხრობის უნარის გამომუშავებას, რუკაზე ორიენტირებას, რისთვისაც ავარჯიშონ მოსწავლეები სხვადასხვა დანიშნულების რუკებზე, გეოგრაფიულ ამოცანებზე; მოაწყონ ექსკურსიები საინტერესო ობიექტების დასათვალიერებლად;

თ) გეოგრაფიის მასწავლებლებს: ს. მერკვილაძეს (ხუტუბნის საშუალო სკოლა), მარიამ ფურცხვანიძეს (მერიის საშუალო სკოლა), შენგელიას (მახინჯაურის საშუალო სკოლა), ნინო ნაჭყებიას (მახინჯაურის საშუალო სკოლა) გეოგრაფიაში უგემო მუშაობისა, პროგრამული მასალის გამოტოვებისა და საერთოდ გეოგრაფიის სწავლების ცუდად დაყენებისათვის მიეცეთ მითითება, დაევალოთ მათ სისტემატურად იმუშაონ თავის-თავზე, დაეუფლონ გეოგრაფიის სწავლების მეთოდებს, გულდასმით და მოფიქრებით შეადგინონ სამუშაო გეგმები, გაკვეთილებზე გამოიყენონ თვალსაჩინოება და უზრუნველყონ აღნიშნული დეფექტების გამოსწორება და სასწავლო წლის ბოლომდე პროგრამით გათვალისწინებული მასალების ხარისხიანად დამუშავება.

8. დაწყებითი, შვიდწლიან და საშუალო სკოლის დირექტორებმა (გამგებმა) და სასწავლო ნაწილის გამგებმა:

ა) სისტემატურად შეამოწმონ ცალკე კლასის მიხედვით სასწავლო საგნების პროგრამით გათვალისწინებული მასალების გავლის

მდგომარეობა, მოსწავლეთა მომზადების დონე, გამოარკვიონ მოსწავლეთა ჩამორჩენის მიზეზები, შემოწმების შედეგები მოისმინონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი პროგრამული მასალის ხარისხონად გავლისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

ბ) დააზუსტონ პედაგოგიური საბჭოს მუშაობის გეგმა, პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სისტემატურად განიხილონ სასწავლო აღმზრდელობითი ხასიათის საკითხები; საბჭოს სხდომაზე მოსმენილ ინფორმაციასა ან მოხსენებაში ზუსტად ასახონ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ფაქტიურად არსებული მდგომარეობა, მიიღონ ისეთი ღონისძიებანი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს ამ დარგში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას;

გ) შემოიღონ, როგორც წესი, პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის სისტემატური შემოწმება, შედეგების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მოსმენა და დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სათანადო სასჯელის დადება პედაგოგიური კოლექტივის იმ წევრებზე, რომლებიც დავალებას არ ასრულებენ;

დ) მოაწესრიგონ საკლასო ჟურნალებში მოსწავლეთა გამოცხადებისა, გაკვეთილებზე დაგვიანებისა და გაკვეთილების გამოტოვების აღრიცხვა, მიაღწიონ იმას, რომ ნიშნები და გადაცემული გაკვეთილის შინაარსის აღნიშვნა სუფთად და გარკვეულად იწერებოდეს ჟურნალებში;

ე) ზუსტად გააცნონ თითოეულ მასწავლებელს სახელმძღვანელო დოკუმენტები—პროგრამები, ინსტრუქციები, ბრძანებები, ცირკულარები;

ვ) სისტემატურად აწარმოონ კლასის ხელმძღვანელთა მეოთხედური სააღმზრდელო გეგმების გადასინჯვა და მათი დაზუსტება კლასებში არსებული მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე და დააწესონ მტკიცე კონტროლი გეგმების შესრულებაზე;

ზ) აღკვეთონ ფორმალური დამოკიდებულება მოსწავლეთა წესების დანერგვის საქმეში, საფუძვლიანად გააცნონ მოსწავლეებს ყოველი მუხლი და მოსთხოვონ ამ მუხლების შესრულება, ყოველთვიურად შეამოწმონ თუ როგორ სრულდება ცალკეულ კლასში მოსწავლეების მიერ „წესები“ და კლასის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების, მშობლებისა და სკოლის მასწავლებელთა ერთობლივი მუშაობით, უზრუნველყონ მოსწავლეთა მიერ წესების ჩვევად გადაქცევა.

9. ხუცუბნის საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ტაბიძეს მიეთითოს იმის გამო, რომ ის არ აქცევს სათანადო ყურადღებას სკოლაში აღმზრდელიობითი მუშაობის დაყენებას, რის შედეგად მოსწავლეები გაკვეთილებზე და ღერფენებში არღვევენ წესრიგს.

10. დაევალოს განსახკომის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიაველინოს აქარაში ინსტიტუტის მუშაკთა ბრიგადა ადგილზე ცალკე საგნებში სემინარების ჩასატარებლად.

11. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს 1946 წლის სატიტულო სიაში შეიტანოს მერისისა და მახუნცეთის სასკოლო შენობების მშენებლობის დამთავრება.

12. დაევალოს განსახკომის მომარაგების სამმართველოს ახალი სასწავლო წლისათვის გაითვალისწინოს აქარის სკოლების მაქსიმალური მომარაგება სახელმძღვანელო წიგნებით, პლაკატებით და თვალსაჩინო ხელსაწყოებით; სახელმძღვანელოები გაეგზავნოს აქარის ასსრ ცალკე რაიონებს.

13. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს, გამოუყოს სასკოლო კაბინეტების შესავსებად აქარის სკოლებს 50.000 მან. ღირებულების ხელსაწყო იარაღები; გაეგზავნოს მოძრავი ლაბორატორია—სახელოსნო აქარის სკოლებში.

14. ეს ბრძანება განხილულ იქნეს აქარის ასსრ ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და სკოლაში არსებული ნაკლის გამოსწორების მიზნით გატარდეს სათანადო ღონისძიებანი.

15. აქარის ასსრ ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა სისტემატურად შეამოწმონ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და ადგილზე აღმოუჩინოს სკოლებს დახმარება არსებული ნაკლის გამოსწორების საქმეში.

16. დაევალოს აქარის ასსრ განათლების სახალხო კომისარს ამხ. ნ. ნიჟარაძეს შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის და შედეგების შესახებ აცნობოს განსახკომს წერილობით.

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე № 155

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადგი

1946 წ. „15“ აპრილი

ქ. ქუთაისის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქალაქ ქუთაისის ქალთა I, ვაჟთა II, ქალთა IV, V და X საშუალო სკოლების გამოკვლევის შედეგებს, აღვნიშნავ;

ა) მიმდინარე სასწავლო წელს დასახლებულ სკოლებში შედარებით ნორმალური პირობებია შექმნილი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობისათვის, — სკოლების შენობათა უმრავლესობა კარგად არის შეკეთებული, სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილია საჭირო დგამ-ავეჯით, მოსწავლეები უკეთ არიან მომარაგებული სახელმძღვანელოებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით.

განსაკუთრებით კარგი პირობებია მუშაობისათვის შექმნილი ქალთა I საშუალო სკოლაში, — დერეფნებში, საკლასო ოთახებში, დამყარებულია სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე, გაზრდილია სკოლის მუშაკთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობა სასკოლო ქონების მოვლასა და სისუფთავის დაცვაზე;

ბ) განათლების განყოფილება და პედაგოგიური კაბინეტი სკოლებს სათანადო დახმარებას უწევს. ა/წ 15 მარტისათვის განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მიერ შესწავლილია ქალაქის ყველა სკოლა, შედეგები განხილულია პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე;

გ) სკოლებში მუშაობა გეგმიანად მიმდინარეობს, ყველა სკოლას მოეპოვება წლიური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა, დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის სამუშაო გეგმები შედგენილია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებების საფუძველზე. სკოლების უმრავლესობაში გეგმები კარგად არის შედგენილი, მათში გათვალისწინებულია, როგორც საორგანიზაციო, ისე მეთოდური და სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის საკითხები.

მაგალითად, ქალთა I და X სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის მეოთხედურ სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია მეოთხედის მანძილზე სკოლის წინაშე მდგარი ყველა ძი-

რითადი საკითხი, დაწესებულია სამუშაოს შესრულების ვადა, მოცუ-
მულია აღნიშვნები შესრულების შესახებ, წესრიგშია სამუშაოს
ფაქტიურად შესრულების დამადასტურებელი მასალები.

მაგრამ ზოგიერთ სკოლაში დირექტორისა და სასწავლო ნაწი-
ლის გამგის მეოთხედურ სამუშაო გეგმები ფორმალურია, ვერ ასა-
ხავს სკოლის წინაშე მდგარ ამოცანებს, რაციონალურად არ არის
განაწილებული საკითხები და შეუსაბამოდ არის დაწესებული შესრუ-
ლების ვადა.

ასე, მაგ., ვაჟთა II საშუალო სკოლის დირექტორისა და სას-
წავლო ნაწილის გამგის III მეოთხედის გეგმაში გათვალისწინებული
ყველა სამუშაოს შესრულების ვადად დაწესებულია 11-20 მარტი,
თებერვალში შესასრულებლად არც ერთი საკითხი არ არის ნავა-
რაუდები, ხოლო იანვრისათვის გეგმით მხოლოდ ერთი საკითხია
მოსავარებელი (მშობელთა წრის გადარჩევა).

მასწავლებლებს აქვთ სამუშაო გეგმები. გეგმები შედგენილია
ქუთაისის პედაგოგიური კაბინეტის მითითების საფუძველზე, განათლე-
ბის სამინისტროს მიერ დაშვებულ ინსტრუქციის შესაბამისად. ქალთა
I და X საშუალო სკოლებში მასწავლებელთა სამუშაო გეგმები დამტკი-
ცებულია დირექციის მიერ. ვაჟთა II საშუალო სკოლაში კი გეგმები
განხილული და დამტკიცებული არ არის. ამავე სკოლაში ყველა
მასწავლებელი არ აღგენს თემატიკურ გეგმებს;

დ) ჩამოყალიბებულია საგნობრივი მეთოდური კომისიები, რომ-
ლებსაც გააჩნიათ სამუშაო გეგმები. მეთოდკომისიების მუშაობა
კარგად არის დაყენებული ქალთა I საშუალო სკოლაში, სადაც
ცალკე საგნებში კომისიების მეოთხედურ გეგმებში სრულად არის
გათვალისწინებული სწავლების აქტუალური საკითხები.

მეთოდკომისიები სუსტად მუშაობენ ვაჟთა II საშუალო სკო-
ლაში. ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდკომისიას ამ სკო-
ლაში არცერთი სხდომა არ ჩაუტარებია, დაახლოებით ასეთივეა
ფიზიკა-მათემატიკის საგნობრივი კომისიის მუშაობაც.

საგნობრივი კომისიების მუშაობა ვერ დგას სათანადო სიმაღ-
ლეზე ქალთა რუსულ X საშუალო სკოლაშიც. გეგმები არ არის შედ-
გენილი მეოთხედების მიხედვით, ქართული ენისა და ლიტერატურის
მეთოდკომისიის სამუშაო გეგმაში შეტანილია საკითხი: „ლიტერა-
ტურის სწავლება VII კლასში“, მაშინ როცა სასწავლო გეგმით რუ-
სული სკოლის VII კლასში ისწავლება ქართული ენა და არა ქართული
ლიტერატურა. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე ამავე
სკოლის ფიზიკა-მათემატიკისა და ისტორიის მეთოდკომისიები.

ე) სკოლების უმრავლესობაში პედაგოგიურ საბჭოს სხდომები იმართება სისტემატურად, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით სხდომებზე ირჩევა უმთავრესად სასწავლო-აღმზრდელი ხასიათის საკითხები. ქალთა 1 საშუალო სკოლაში 15 მარტამდე პედაგოგიურ საბჭოს 12 სხდომაა ჩატარებული და განხილულია აქტუალური საკითხები (არითმეტიკის სწავლების მდგომარეობა დაწყებით კლასებში, ფორმალიზმის დაძლევის გზები, საგნობრივი მეთოდკომისიების მუშაობის შემოწმების შედეგები, წერიითი მუშაობა, მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობა სკოლაში და სხვ.). ასევე შინაარსიანია ქალთა X საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. ვაჟთა II სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომების წიგნი კარგად არის გაფორმებული. სხდომებზე განხილულია მრავალი აქტუალური საკითხი (ცალკე საგნების სწავლების მდგომარეობა და სხვ.). მაგრამ პედაგოგიურ საბჭოს მუშაობაში სათანადო გამოხატულებას ვერ პოულობს ამ სკოლისათვის მეტად მტკივნეული საკითხები, მოსწავლეთა მეტყველების კულტურის დაბალი დონე, გავლილი მასალის განმეორების საკითხი და სხვ. ზოგიერთ საკითხზე მიღებული ღონისძიება ზოგადია. მაგალითად, მოსწავლელთა კონფერენციის შედეგების განხილვისას მიღებულია დადგენილება: „მიღებული იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ“;

ვ) დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების მიერ მოსწავლელთა გაკვეთილებზე დასწრებას სისტემატური ხასიათი აქვს; წარმოებს გაკვეთილების განხილვა პედაგოგიურ საბჭოზე და მოსწავლელებს ეძლევა კონკრეტული მითითებანი. ქალთა I საშუალო სკოლაში დირექტორის და სასწავლო ნაწილის გამგის მიერ მოსმენილია 131 გაკვეთილი. მიცემული მითითებანი პედაგოგიურად სწორი და გამართულია, ვაჟთა II საშუალო სკოლაში დირექტორის მიერ მოსმენილი გაკვეთილები განხილულია პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე; ცალკე წიგნი—რვეული მოსმენილი გაკვეთილების აღსარიცხავად ვაჟთა II სკოლაში არ არსებობს, სასწავლო ნაწილის გამგე სანდუხაძე გაკვეთილებზე დასწრების შედეგებს ცალკე ფურცლებზე წერს, ჩანაწერებში ზოგჯერ არ არის მიკვლეული გაკვეთილის მთავარი თემაც. მაგ., 14/XI—IV კლასში ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე დასწრებას შედეგად სასწავლო ნაწილის გამგეს გაკვეთილის თემად ჩაწერილი აქვს: „სასარგებლო მწერები, ზღვის ცხოველები, მარჯნის პოლიპები“, ხოლო იმავე გაკვეთილის თემად მოსწავლელის მიერ საკლასო ჟურნალში ჩაწერილია: „სარეწაო მეთევზეობა“, ასევე, 18 ნოემბერს სასწავლო ნაწილის გამგის

ჩანაწერთ VI კლასში გეოგრაფიის გაკვეთილის თემა „საფრანგეთის ზოგადი მიმოხილვა“—მასწავლებლის მიერ საკლასო ჟურნალში ჩანაწერის მიხედვით კი—„საფრანგეთის მოსახლეობა“;

ზ) კარგად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ქალთა I და X სკოლაში და ვაჟთა II სკოლის უფროს კლასებში.

ქალთა I სკოლის X კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი ვ. ვარლამიშვილი) ამჟღავნებენ ქართული ლიტერატურის ღრმა და საფუძვლიანად ცოდნას, ზედმიწევნით იციან ტექსტი, თავისუფლად არკვევენ მწერლის შემოქმედების მოტივებსა და მხატვრულ ხერხებს, მსჯელობენ აზრიანად, დასაბუთებულად და თანამიმდევრულად, იჩენენ ნაკითხობას. ჩეხოვის შემოქმედების განხილვისას მოსწავლეებმა გამოიჩინეს რუსეთის მწერლობის საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნა; თავისუფლად მსჯელობდნენ გოგოლის, შჩედრინის, ტოლსტოის შემოქმედების შესახებ, იციან სად და როგორ იქნა გამოყენებული შჩედრინისა და ჩეხოვის მიერ შექმნილი სახეები ლენინისა და სტალინის მიერ; მოსწავლეები ამჟღავნებენ განვითარებულ ლიტერატურულ გემოვნებას და სიყვარულს ლიტერატურისადმი; ახალი მასალის შესწავლასთან ერთად, საფუძვლიანად არის განმეორებული წინა კლასებში გავლილი მასალაც; მოსწავლეები კარგად იცნობენ რუსთაველის, ბესიკის, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებას. ამავე კლასის მოსწავლეების მეტყველება სწორი და გამართულია. მაღალია მხატვრული კითხვების კულტურა, მოსწავლეები ლექსსა და მხატვრული პროზის ნიმუშებს წარმოსთქვამენ საუკეთესოდ. კარგ მომზადებას იჩენენ ენასა და ლიტერატურაში ამავე სკოლის IX კლასის მოსწავლენი (მასწავლებელი ვ. ჩოგვაძე), მათ გავლილი მასალა ღრმად იციან, რეალიზმის განმარტებას იძლევიან ენგელსის ფორმულის მიხედვით (ტიპიური სახეების ჩვენება ტიპიურ გარემოში) და კონკრეტული მაგალითზე, გ. ერისთავის შემოქმედების მიხედვით—არკვევენ, თუ რას ნიშნავს ტიპიური სახე და ტიპიური გარემო.

VII კლასის (მასწავლებელი ქ. გიორგაძე) მოსწავლეებმა ზედმიწევნით კარგად იციან პროგრამული მასალა, მთელი კლასი ლექსებს („ჰიმნი სამშობლოს“, „მყინვარი“) კითხულობს მხატვრულად, განცდით, გამომეტყველებით.

მასწავლებელი ლიტერატურის ნიმუშების სწავლებასთან ერთად უდიდეს ყურადღებას აქცევს აღმზრდელობითი მომენტებს — ჰიმნი

სამშობლოს“ და „მყინვარი“ კარგად იქნა გამოყენებული სამშობლოს სიყვარულის, გმირობისა და მტრისადმი სიძულვილის გრძნობის აღზრდისათვის.

ასევე კარგად არის დაყენებული ქართული ენის სწავლება IV კლასში (მასწავლებელი ბ. რამიშვილი). მოსწავლეებმა კარგად იციან პროგრამული მასალა, თავისუფლად გადმოგვცემენ მოთხრობათა შინაარსს, დიდი ოსტატობით კითხულობენ ლექსებს. მასწავლებელი საჭირო ყურადღებას აქცევს სწორ დიქციას, გამომეტყველებას.

საერთოდ, ქალთა I-საშუალო სკოლაში მოსწავლეებთ კარგად მსჯელობენ, მეტყველებენ, ნაწარმოების შინაარსს გადმოგვცემენ სწორი ქართული ენით და სათანადო გამომეტყველებით.

ასევე დიდი ყურადღება ექცევა ამავე სკოლაში წერის კულტურას. წერითი ვარჯიში ყველა კლასში საკმაო რაოდენობით ეწყობა. მეათე კლასში საკონტროლო წერითი სამუშაო 15 მარტისათვის 10 ჯერ არის ჩატარებული. ნაწერებში ჩანს ფაქტიური მასალის კარგი ცოდნა, მოსწავლეები წერენ 6-8 გვერდს, მიმართავენ ზუსტ და სწორ ციტირებას, მსჯელობენ თანმიმდევრულად, ნაწერებში ჩანს მოსწავლეთა ინდივიდუალობა. ხელი კარგია. ნაწერები გულდასმით სწორდება როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეთა მიერ. ამავე სკოლის VII კლასში (მასწ. ქ. გიორგაძე) 19 წერითი სამუშაოა ჩატარებული. დაცულია, თემატური მრავალფეროვნება, მოსწავლეები თავისუფლად მსჯელობენ. თემა „როგორ გავატარე ზაფხული“ მოსწავლეს ასეთი სურათოვანი ენით აქვს დაწერილი: „მშვენიერია კურზალი თავისი ბუნებით; ჩემი ბინის მარჯვნივ ცა კამკამებდა ლურჯად და ამ ლურჯ სივრცეში დილის მზის სხივებზე ხტოდნენ ვერცხლისფერი თევზები, მარჯვნივ კი ბიბინებდა აქოჩრილი ტყე. ამ წარმტაც ბუნებაში გავატარე ერთი თვე“ და სხვ. ასეთი თავისუფალი სტილი არ არის იშვიათი ამ კლასის მოსწავლეებისათვის.

IV კლასში (მასწავ. რამიშვილი) ყურადღებას იპყრობს წერითი სავარჯიშოების მრავალფეროვნება: მოსწავლეები წერენ მოთხრობის შინაარსს, გმირთა თავგადასავლის დიალოგებს, გრამატიკულ სინტაქსურ სავარჯიშოებს და სხვ. მოსწავლეებს კარგი ხელი აქვთ. ასოები მრგვალია და გადაბმა სწორი.

ვაჟთა II საშუალო სკოლის უფროსს კლასებშიც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება შედარებით კარგად არის დაყენებული; X კლასის (მასწავლებელი მ. კუჭუბიძე) მოსწავლეებმა იციან გავლილი მასალა, შემოქმედების ანალიზის დროს იყენებენ

არა პროგრამულ მასალებსაც, მაგრამ ვერ იჩინენ ინდუვიდუალურ ბას და ხშირად ერთნაირი გეგმით ერთგვარი თანამიმდევრობით ერთი და იგივე მასალის გამოყენებით იძლევიან მწერლის შემოქმედების ანალიზს, რაც გაზვიანების შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამავე სკოლის VII კლასის (მასწ. თ. ჯ. ნელიძე) მოსწავლეებმა კარგად იციან ქართული ენის გრამატიკა — მასწავლებელი მე-7 კლასის პროგრამული მასალის — სინტაქსის შესწავლასთან ერთად მორფოლოგიასაც ამეორებინებს. მასწავლებელი საანალიზო მაგალითებს იღებს ლიტერატურულ ტექსტიდან და გრამატიკის სწავლებას მჭიდროდ უკავშირებს ცოცხალ მეტყველებას.

ქართული ენა და ლიტერატურა არაღამაკმაყოფილებლად ისწავლება ამავე სკოლის VI კლასში, მოსწავლეებს თხრობის უნარი არ შესწევთ. ზოგიერთი მათგანი ახალ ტექსტს გამართულად ვერ კითხულობს. მასწავლებელი ახვლედინი სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის. გაკვეთილზე უშვებს ფაქტიურ შეცდომებს და მოსწავლეებს საჭირო ცოდნა-ჩვევებს ვერ აძლევს. მას „ელისოს“ შინაარსის გამოკითხვისას ტექსტზე მუშაობა არ ჩაუტარებია, ნაწარმოების ანალიზი, გმირთა ხასიათის გახსნა არ უწარმებია და ზოგადი კითხვების დასმით დაკმაყოფილდა, მოსწავლეთა მიერ დაშვებულ უხეშ ენობრივ შეცდომებს („დაწინაურებულმა ყაზახებმა ცხენზე გაწვა“, — „ვაჟიამ და ელისომ შესხდნენ“, „მათმა გაიპარნენ იმ ადგილიდან“, „იოსებმა ვერ შეეჩვია“ და სხვ.) მასწავლებელი უყურადღებოდ ტოვებს. მეტიც, თვით მასწავლებელიც ხმარობს გაუმართავ ფრაზებს („დავითაშვილი მხოლოდ 27 წლის განმავლობაში ცოცხლობდა“) და უშვებს ფაქტიურ შეცდომებს (წინადადებებში — „ელისომ ასადგომად წამოიწია“, „ასადგომად“ მასწავლებლის აზრით არის მიზეზის გარემოება და უნდა დაისვას კითხვა „რატომო?“).

VI კლასის ბევრი მოსწავლე ახალ ტექსტს გამართულად ვერ კითხულობს. ასევე უფერულად ატარებს მუშაობას ამავე სკოლის IV კლასში მასწავლებელი ქორიძე. მოსწავლეებმა მოთხრობა „შავარდენის“ შინაარსი გადმოსცეს მოდუნებულად, ამღერებული ტონით, რასაც მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევს. მოთხრობა ვერ იქნა გამოყენებული აღმზრდელობითი მიზნით, აღუნიშნავი დარჩა ის ფაქტი, რომ მოთხრობის მთავარი გმირი — ჩეჩელაშვილი ვაჟთა II სკოლის მიერ არის აღზრდილი. მოსწავლეები უშვებენ ენობრივი ხასიათის შეცდომებს, რასაც მასწავლებელი არ ასწორებს. მოსწავლეებს არ აქვთ სწრაფი, სწორი, გამომეტყველი



კითხვის ჩვევა. დიდი ნაწილი მოსწავლეებისა ჩათვლით კითხულობს ახალი მასალის ახსნის დროს მოსწავლეებელი არ მიმართავს ლექსიკურ მუშაობას. მას აუხსნელი და განუმარტავი დარჩა—ასეთი გამოთქმები — „კრემლს დავედგეთ დარაჯებად“ „სადაც კი ვართ მზეში, ქარში, ხმალს არ ვაგებთ ჩვენ ქარქაშში“.

ვაჟთა II სკოლის მთელ რიგ კლასებში არ ექცევა სათანადო ყურადღება წერით მუშაობას. VI კლასში (მასწ. ახვლედიანი) თუმცა 15 წერითი მუშაობაა ჩატარებული, მაგრამ ხარისხობრივად ნამუშევრები დამაკმაყოფილებელი არ არის. ხელი ცუდია. ასოების გადაბმას მოსწავლეები ვერ ახერხებენ, ასოების მოხაზულობა უვარგისია. მასწავლებელი გულდასმით არ ასწორებს ნაწერებს, რის შედეგად შემჩნეული და გაუსწორებელია უხეში შეცდომები; დათიკო და გაბრო ერთად იზრდებოდა, „გაბრომ და პეპიამ გაიქცნენ“ „შორისძიება“, „შინარსი“, „შეეწხებია“ „(შეუწუხებიას ნაცვლად) „ბატონმა შეაბა ორივე კვერშ“ და სხვ. IV კლასში (მასწ. ქორიძე) 14 იანვრიდან 6 მარტამდე მხოლოდ 5 წერაა ჩატარებული—აქედან ორხელ დაწერილია ლექსი ზვირადად. მოსწავლეთა ხელი გაუმართავია, ასოების გადაბმას მოსწავლეები ვერ ახერხებენ, მასწავლებელი ნაწერებს გულდასმით არ ასწორებს. მოსწავლე მ-ს ნაწერში—თემაში „როგორ გადაარჩინეს პაპანიელები“, შეუშინეველია 22 შეცდომა („არაფელი“, „გადარჩინეს“, „პოლუზე“, „დაკვირების“, „პაპინმა“, „გაღვიძა“, „საშვალებას“, „მიუხედვად“, „კეთილდებოდა“, „მათმა ცხრა იმუშავენ“, და სხვ.). მოსწავლეების მიერ შეცდომების გასწორება არ ხდება და ზოგჯერ მასწავლებლის ჩანაწერებაც შეცდომებს შეიცავს.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სუფთა წერას, I-კლასში (მასწავლებელი ლ. ძაგნიძე) სუფთა წერის გაკვეთილები თუმცა საკმაო რაოდენობით ტარდება, მაგრამ ცალკე გაკვეთილს გარკვეული მიზანი არ აქვს და სუფთა წერის გაკვეთილი არსებითად მხოლოდ დაფიდან გადმოწერას წარმოადგენს, მიზნად, საერთოდ, სისუფთავის დაცვას ისახავს და არა სუფთა წერის პროგრამით გათვალისწინებულ ამათუიმ ცოდნა-ჩვევის შეთვისებას: ყურადღება არ ექცევა ხაზზევითა და ხაზქვევითა ასოების წერას, ასოების თანაბრად დაშორებას, ერთგვარი სიმაღლის დაცვას. მასწავლებელი ხშირად თითონაც არასწორად წერს ასოებს: იგი ხან ხაზზევით წერს, ხან ხაზქვევით, ამის შედეგია, რომ I-კლასის მოსწავლეებს უკვე შემუშავებული აქვთ ქართული დაწერილობის წესებისაგან საკმაოდ დაშორებული ინდივიდუალური ხელი.



VIII-IX კლასებში წერითი სამუშაოს თემა ზოგჯერ არ არის ევროპულად ფორმულირებული—მაგ., VIII-კლასში მიცემულია თემა „მზისა და მთვარის ღვთაების წარმოშობის საკითხი“. ზოგჯერ მოსწავლეები ყალბ რიტორიკას მიმართავენ და უადგილო შესავლით იწყებენ თემის გახსნას. VIII კლასში—თემა „ავთანდილის და ტარიელის შეხვედრა“ ასეთი შესავლით იწყება: „მ. რუსთაველის გენიალურ, ორიგინალურ, პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ნათლად არის მოცემული საკითხი ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრის შესახებ“.

ქართული ენის სწავლება კარგად არის დაყენებული ქალთა X რუსულ საშუალო სკოლის VII-კლასში (მასწ. თ. ყიფიანი). გაკვეთილები მომზადებულად და ნაყოფიერად ტარდება; VII კლასის მოსწავლეებს გააჩნიათ ქართულ სიტყვათა საკმაო მარაგი, თავისუფლად გადმოსცეს მოთხრობა „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“-ს შინაარსი, კითხვის ტექნიკა კარგი აქვთ, მასწავლებელი ზრუნავს სწორმეტყველებისათვის და შეუმჩნეველსა და გაუსწორებელს არ ტოვებს სიტყვისა, თუ გამოთქმის ოდნავი დამახინჯების შემთხვევებს.

კარგად მუშაობს ამავე სკოლაში ქართული ენის მასწავლებელი კ. კუხიანიძე, მიუხედავად იმისა, რომ X კლასში ქართული ენის ცოდნის მხრივ მოსწავლეთა შემადგენლობა არათანაბარია და მასწავლებელს სამ ჯგუფთან უხდება მუშაობა, იგი მაინც ახერხებს ყველა მოსწავლეს მისცეს ინდივიდუალური დავალება, მოსწავლეთა ზეპირი მეტყველება და წერითი ნამუშევრები ამქდავენებენ ქართულ სიტყვათა საკმაოდ მდიდარ მარაგსა და თხრობის მაღალ კულტურას.

რუსული ენის სწავლება ქალთა X-საშუალო სკოლაში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. I კლასის (მასწავლებელი შ. რახილი) მოსწავლეები ხშირ შემთხვევაში უშვებენ შეცდომებს გამოთქმასა და მახვილის დასმაში. ახალი გაკვეთილი, ლექსი, მასწავლებელმა თვითონ წაიკითხა სამჯერ, მოსწავლეებს კი არც ერთხელ არ წააკითხა. მოსწავლეები ასოებს II, III, O, არასწორად წერენ.

IV კლასში (მასწ. ი. თურხელაძე) მოსწავლეები საუბრის დროს ხშირად უშვებენ გრამატიკულ შეცდომებს, მასწავლებელი ახალი სიტყვების ახსნას აწარმოებს ტექსტის გარეშე.

V კლასში—(მასწ. ნ. დგებუაძე) მოსწავლეებს არა აქვთ შეთვისებული ნაცვალსახელები და სუსტად არიან დაუფლებულნი მათ ბრუნებას, მასწავლებელი რვეულებს უყურადღებოდ ასწორებს, რვეულებში ბევრი შეცდომა გაუსწორებულია.



VI და VII კლასებში (მასწავ. ა. მანიახინა) განმეორებას სათა-
ნადო ადგილი არ ეთმობა. მოსწავლეებს გრამატიკაში გავლილი მასა-
ლა დაეწეებული აქვთ; მეტი ნაწილი მოსწავლეებისა ვერ ერკვევა წინა-
დადების წევრებში. წარსული დრო ერევათ ზედსართავ სახელებთან
და ზმნისართთან. უჭირთ შედგენილ ქვემდებარების გარკვევა და სხვ.

X კლასებში (მასწავლებელი ს. ვერულაშვილი) მოსწავლეები
ენას დაუფლებული არიან, გარდა ზოგიერთი მოსწავლისა, რომელ-
თათვის რუსული ენა არ არის მშობლიური (მოსწავლეები დათუა-
შვილი, რიჟინაშვილი, ლევიშვილი); ენობრივი შეცდომები იშვიათად
გვხვდება. კარგად იციან ლიტერატურაში გავლილი მასალა. ატარებენ
ზეპირ მოხსენებებს ლიტერატურულ თემებზე, შეგნებულად არჩევენ
ყველა შესწავლილ მწერლის ნაწარმოებს.

ბ) ისტორიის სწავლება კარგად არის დაყენებული ქალთა I
საშუალო სკოლაში (მასწავ. ჟორჟოლიანი, ლლონტი). მასწავლებლებ-
მა კარგად იციან საგანი, ემზადებიან გაკვეთილებისათვის, აქვთ სა-
ჭირო გეგმები და კარგად იყენებენ გაკვეთილის მასალას აღმზრდე-
ლობითი მუშაობისათვის. მასწ. ე. ჟორჟოლიანმა IV კლასში
ლენინის ანდერძის შესახებ თხრობის დროს მოხერხებულად, ბუნებ-
რივად დაუკავშირა ანდერძის მომენტები თანადროულობას: „ლენინის
ანდერძი წითელ არმიასზე ზრუნვის შესახებ ჩვენმა ქვეყანამ ბრწყინ-
ვალედ შეასრულა—ხელისუფლების და პარტიის მზრუნველობით
განმტკიცებულმა წითელმა არმიამ გაანადგურა საშინელი მტერი და
იხსნა თავისი დიდი სამშობლო“, მოხერხებულად ატარებს აღმზრდე-
ლობით მუშაობას მასწავლებელი ლლონტიც. იგი მოფიქრებულად
იყენებს ისტორიულ რუკებს. მოსწავლეებმა კარგად იციან გავლილი
მასალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია X კლასის მოსწავლეთა კარგი
მომზადება საქართველოსა და სსრკ ისტორიაში.

მაგრამ მუშაობაში ადგილი აქვს ზოგიერთ ხარვეზებს: მასწავ-
ლებელი ჟორჟოლიანი IV კლასში მოსწავლეთათვის გაუგებარი სიტ-
ყვების და ცნებების განუპარტავეად ხმარობს „ბუფერული“, „რეჟი-
მი“, „ბაზისი“, „ინიციატივა“ და სხვა, ან სვამს ასეთ კითხვას: „რა
პირობებმა განსაზღვრა საბჭოთა კავშირის შექმნა“ და სხვა. ზოგჯერ
მოსწავლეთა უმართებულო გამოთქმა მას გაუსწორებელი რჩება,
მაგ., VIII კლასის მოსწავლე ამბობს: „მონპამერი“ მონტპომერის
ნაცვლად, „მაგისტრი“—მაგისტრალის ნაცვლად, „ხიდისიოს“—ხი-
დეიოსის ნაცვლად და სხვა.

ასევე VII კლ. მასწ. ლლონტი, ზოგჯერ არ უსწორებს მოსწავ-
ლეებს შეცდომებს „ფროდრიხ II ეკონომიური (ხელმომჭირნე) ადა-
მიანი იყო“—„ჯოხისებური დისციპლინა“. არ სწორდება ენობრივი

შეცდომებიც („მას დაეხმარა ერთმა გარემოებამ“, „მან დაეხმარა ფრიდრიხს“, მან შეუთანხმდა „და სხვ.).

II საშუალო სკოლაში ისტორიის სწავლებაში არ არის დატოვებული გეგმიანობა. მასწავლებლებს არა აქვთ მე-5-6-7 კლასების წლიური სამუშაო გეგმები; მე-8-9 კლასების (მასწ. სანდუხაძე) წლიურ სამუშაო გეგმას აწერია: „წლიური სააღმზრდელო გეგმა ისტორიაში“. განხეორების გეგმა VII—X კლასების შედგენილი არ არის. მასწავლებლები გაკვეთილის გეგმებს არ ადგენენ. ამავე კლასებში გამოკითხვით დადასტურდა, რომ განმეორება არ ჩატარებულა.

მასწ. ო. აბუთიძემ კარგად იცის თავისი საგანი, გაკვეთილი ჩატარა საკმაოდ მაღალხარისხოვნად. მიუხედავად ამისა მოსწავლეთა ცოდნა VI და VIII კლასებში ჯერ კიდევ დაბალია. VI კლასის მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან ფეოდალური საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური წყობა, მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღები და ფაქტები. VII კლასის მოსწავლეები ბუნდოვნად ერკვევიან ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობის საკითხებში, არ იციან გლეხთა და მონათა აჯანყებების თარიღები და სხვა.

X კლასის მოსწავლეებმა მტკიცედ არ იციან გასამეორებელი მასალა: იმპერიალიზმის დახასიათება, იმპერიალისტურ ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობანი, ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში და სხვა.

IX კლასის მოსწავლენი სუსტად არიან დაუფლებული სასწავლო მასალას (მასწ. სანდუხაძე), გაკვეთილს (ალექსანდრე I აღზრდა და საშინაო პოლიტიკა) მოსწავლეები ჰყვებოდნენ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უშვებდნენ ენობრივ და ფაქტიურ შეცდომებს, მაგრამ მასწავლებელი მათ არ ასწორებდა. მაგ., ლაგარპის (ალექსანდრეს აღმზრდელი შვეიცარელი რისპუბლიკანელი, ლიბერალი) დაახასიათეს, როგორც პრუსიული ჯოხური დისციპლინის და რეაქციულობის დამნერგავი, არაფერი სთქვეს თავისუფალ მიწათმომქმედ გლეხთა შესახებ, მოსწავლეები იმეორებდნენ ასეთ უაზრო გამოთქმებს: „გლეხები გაანთავისუფლეს მონობიდან, მაგრამ ყველა გლეხი ვერ ახერხებდა ამას“. სრულებით ვერ გაარკვიეს ნაპოლეონთან ომი 1805—1807 წ. წ. არაფერი იციან ტილზიტის ზავის შესახებ, მცდარი წარმოდგენა აქვთ რუსეთ - შვედეთის ომის შესახებ.

ახალი გაკვეთილის მასალის „1812 წლის სამამულო ომი“ (პირველი ნაწილი), გადაცემისას მასწავლებელმა ვერ გაარკვია რუსეთის არმიების განლაგება, სახელებს დამახინჯებით აწვდიდა (ბარკალაის

-ბარკლაის ნაცვლად, ჟერიმი — ჟერომის ნაცვლად და სხვ.) სუსტად იყო დახასიათებული სახალხო ომი.

ქალთა მე-VI სკოლის ისტორიის მასწავლებელი ე. ჯინჯველი-შვილი არ არის დაუფლებული საგანს. IX კლასში ახალი გაკვეთილის (თემა „ამიერკავკასია XIX ს. პირველ მეოთხედში“ (შინაარსი მასწავლებელმა სრულებით ვერ გადასცა. ერეკლე II ამიერკავკასიის მეფეს უწოდებდა, ხშირად ლაპარაკობდა საქართველოში აზერბაიჯანელების შემოსევაზე (?!), მეტყველება ბუნდოვანი და გაუმართავი ჰქონდა — „ბურჟუაზიის დენების საწყისებს ვეძებთ ებრაელებში და ამიტომ დევნიდნენ მათ“. რუსეთთან საქართველოს შეერთების ნაცვლად ლაპარაკობს ამიერ-კავკასიის შეერთების შესახებ. მოსწავლეების მეტყველება სრულებით გაუმართავია.

უარესი მდგომარეობაა X კლასში. სსრკ ისტორიის ნაცვლად ისწავლება პარტიის ისტორია. მოსწავლეებს გაკვეთილად ჰქონდათ პარტიის მე-15 ყრილობა, „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ტექსტის მიხედვით, ასახელებდნენ, თუ რამდენი დელეგატი ესწრებოდა ყრილობას გადამწყვეტი, თუ სათათბირო ხმით.

თვითონ მასწავლებელმაც ახალი გაკვეთილი პარტიის ისტორიის მოკლე კურსის მიხედვით გადასცა. შეეხო ისეთ საკითხებს, რომელიც პროგრამით სრულებით არ არის სავალდებულო. ლაპარაკობდა მემარჯვენე გადახრის მეთაურების გამოსვლის შესახებ, გარიცხულთათვის გამოსაცდელი დროს დანიშვნის შესახებ, დაასახელა უგლანოვი (დაფაზეც კი დასწერა მისი გვარი). შეუძლებელი გახდა იმის გამოკვევა, თუ პროგრამის რომელ თემაზე და საკითხზე იყო ლაპარაკი. ახსნა „აგრარული მეურნეობიდან ინდუსტრიალურ მეურნეობაზე გადასვლა, სოფლად მსხვილი მეურნეობის განვითარება, მაგრამ არ განუმარტავს სოფლად მსხვილი მეურნეობის უპირატესობა და არც ინდუსტრიის მნიშვნელობა, მხოლოდ დაასახელა, როცა ლაპარაკობდა ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ახსენა ორწლიანი გეგმაც, მაგრამ ისე განმარტა, თითქოს მემარჯვენეები მოითხოვდნენ ხუთწლიანი გეგმა ორ წელიწადში შევასრულოთო, სრულებით, ვერ განმარტა სოფლად კლასთა ბრძოლა. გამეორებაც ძალზე სუსტად ტარდება. მოსწავლეებმა არ იციან ძირითადი ფაქტები და მოვლენები.

ისტორიის სწავლება კარგად არის დაყენებული ქალთა X კლასში. მასწ. ი. ტყეშელაშვილი საგნის კარგი მცოდნეა და მეთოდურად დახელოვნებულია, გაკვეთილებს მომზადებულად და მაღალხარისხოვნად ატარებს. VI და X კლასების მოსწავლეებმა მასალა კარგად იციან.

იმავე სკოლის ისტორიის მასწავლებელი ეგს. გაბრივადემ სავა
კეთესრდ იცის თავისი სავანი. მას მეტად დიდი პედაგოგიური
მოცდილება აქვს; მისი ხელმძღვანელობით კარგად მუშაობს ისტორიის
რიის წრე. წაკითხულია რამდენიმე მოხსენება.

მიუხედავად ამისა, ქალთა X სკოლაში ისტორიის სწავლების საქ-
მეში არის ზოგიერთი ნაკლოვანება: სკოლა არ არის უზრუნველყო-
ფილი ისტორიის რუკებით, მოსწავლეებმა სუსტად იციან ქრონოლო-
გია (VII, X კლ.), ზოგჯერ მოსწავლეთა მეტყველება საკმაოდ გა-
მართული არ არის (X კლ.); საგნობრივი კომისიის მუშაობა არ
არის სათანადოდ გაშლილი, თემატიკური გეგმები არ სდგება.

თ) დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკური
სავნების სწავლება ქალთა I და X და ნაწილობრივ ვაჟთა II სა-
შუალო სკოლაში.

ქალთა I სკოლის X კლასის (მასწ. ნიკოლაიშვილი) მოსწავლეებ-
მა გამოიჩინეს გავლილი მასალის საფუძვლიანი ცოდნა; გააჩნიათ
უნარი მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებისა, ამოცანებისა და
მაგალითების ამოხსნის დროს.

VII კლასის (მასწ. ფარიკაშვილი) მოსწავლეები არითმეტიკაში
კარგად არის მომზადებული; ისინი იძლევიან ზუსტ, მათემატიკურ
განმარტებებს. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოსწავლეებს
დიდი დრო დაუხარჯავს მთელ რიცხვებზე მოქმედების შესრულების
განხეორებაზე და ნაკლები ადგილი დაუთმია წილადებისათვის, პრო-
ცენტებისათვის და პროპორციებისათვის.

V კლასში (მასწ. დვალი) მოსწავლეები ვერ ერკვევიან, თუ რა
არის პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებუ-
ლება; იძლევიან არა ზუსტ მათემატიკურ განმარტებებს. მოსწავლე-
ებელმა დამოუკიდებელ სამუშაოდ მისცა მაგალითი, რომელიც მოს-
წავლეებმა ვერ დასძლიეს; მათემატიკურ ჩანაწერებსაც არ ექცევა
სათანადო ყურადღება. კლასმა გავლილი მასალა ცუდად იცის. მოს-
წავლებელი არა საკმაოდ ემზადება გაკვეთილისათვის.

IV კლასის (მასწ. ხაზარაძე) მოსწავლეებმა გამოიჩინეს სავნის
დამაკმაყოფილებელი ცოდნა; მოსწავლებელი დიდ ყურადღებას აქ-
ცევს ზეპირ ანგარიშს; ამოცანის ამოხსნაც კარგად იყო ჩატარებული;
ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ მოსწავლებელი ამოცანის ამოხსნის
დროს რა იყენებს ანალიზურ მეთოდს.

ქალთა X სკოლის X კლასში (მასწ. ი. კუჭუხიძე) გეომეტრია--
ტრიგონომეტრიის სწავლება კარგად არის დაყენებული. თეორემების
დამტკიცების დროს მოსწავლეებმა გამოიჩინეს გავლილი მასალის კარგი

ცოდნა, ლოდიკური მსჯელობის უნარი; იძლევიან ზუსტ, მათემატიკურ განმარტებებს. კლასის დიდმა უმრავლესობამ საგანი კარგად შეიტყო, მაგრამ ამ კლასში ირიცხება ქართველი მოსწავლეები (რიჟინაშვილი, ლევიშვილი, დავითაშვილი და სხვ.) რომლებმაც სუსტად იციან რუსული ენა და ამის გამო ვერც მათემატიკურ საგნებს არიან დაუფლებულნი.

IV კლასში (მასწ. რ. შეიბელი) მოსწავლეებმა გამოიჩინეს საგნის კარგი, საფუძვლიანი ცოდნა. მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს ზეპირ ანგარიშს.

ვაჟთა მე-II საშუალო სკოლის X კლასის (მასწ. ალ. მოსეშვილი) მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს გავლილი მასალის განმეორებას. გონიომეტრის ფორმულები მოსწავლეებს კარგათ აქვთ შეთვისებული. ტრიგონომეტრიული განტოლებების ამოხსნასაც კლასი დაუფლებულია.

ამავე სკოლის მეექვსე კლასში (მასწავ. ხვედელიძე) დამუშავდა ორი წვერის ჯამის და სხვაობის კვადრატის ფორმულები; გაკეთებულ იქნას მარტივი მაგალითები, ხოლო დამოუკიდებელ სამუშაოდ მიეცა უფრო ძნელი მაგალითი. მაგალითის ამოხსნის დროს მოსწავლეებმა გამოიჩინეს არითმეტიკის სუსტი ცოდნა. საშინაო დავალებად მიცემული მაგალითები უფრო ძნელი იყო, ვიდრე კლასში გაკეთებული მაგალითები.

მასწავლებელმა აბესაძემ მეოთხე კლასში ამოხსნა ამოცანა; ამოცანის კატეხიზაცია დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული, ხოლო ამოცანის ამოხსნის დროს არ იქნა გამოყენებული ანალიზი, რაც ნაკლად უნდა ჩაეთვალოს;

მასწ. ვ. ჯახუამ, მიუხედავად იმისა, რომ კლასმა მიცემული გაკვეთილი არ იცოდა, მაინც ახსნა გაკვეთილი; ახალი მასალის ახსნის დროს არ გაამხვილა ყურადღება, რთ რას ეწოდება წესიერი და ერთსახელა მრავალკუთხედები. მასწავლებელს აკლია მეთოდური მომზადება. საერთოდ მეორე სკოლის მოსწავლეებმა, გარდა მეათე კლასისა, გამოიჩინეს მათემატიკის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა.

ყველა დასახელებულ სკოლაში საკონტროლო სამუშაო ტარდება სისტემატურად; მაგალითები და ამოცანები შერჩეულია კარგად; რვეულების გასწორება საერთოდ დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ადგილი აქვს ზოგიერთ დეფექტებს: გასწორების დროს მასწავლებლების მიერ გამოტოვებულია შეცდომები; ზოგიერთ შემთხვევაში შეფასების დროს ადგილი აქვს ლიბერალიზმს; ენობრივი შეც-

დომები ხშირად არ სწორდება მასწავლებლის მიერ; არის იეთნოგრაფები, როდესაც მოსწავლის მიერ სამუშაო არის გადაწერილი, მასწავლებელი კი ამას არ აქცევს ყურადღებას; ადგილი აქვს არა მათემატიკურ ჩანაწერებს.

ი) ფიზიკის სწავლების საქმე დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქალთა I და X და ვაჟთა II სკოლებში. ფიზიკაში მუშაობის ჩასატარებლად ქალთა I და ვაჟთა II სკოლებში გამოყოფილია ორ-ორი ოთახი: ერთი კლას-ლაბორატორიად და მეორე ხელსაწყოთა შესანახად. ხელსაწყოები დალაგებულია კარადებში დარგების მიხედვით. ხელსაწყო იარაღები კარგად არის მოვლილი, მაგრამ მათი რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს ფიზიკაში ყველა ცდის ჩატარებას.

ქალთა I სკოლის ფიზიკის მასწავლებელი დვალი ატარებს ლაბორატორიულ სამუშაოებს, ფართოდ იყენებს ექსპერიმენტს ფიზიკის სწავლებაში, მაგრამ ვერ იჩენს ფიზიკის კურსის საფუძვლიან ცოდნას, ვერ ერკვევა ზოგიერთ მარტივ საკითხებში. მაგალითად, იგი ამბობს: „პარალელური ძალების ცენტრს ეწოდება სიმძიმის ცენტრი“, „ამ სხეულს სიმძიმის ცენტრის მაგივრად აქვს სიმძიმის ღერძი“ „ინერციით მოძრავი სხეული არ ასრულებს მუშაობას“ და სხვა.

ქალთა I სკოლის მოსწავლეებს დამაკმაყოფილებლად აქვთ შეთვისებული ფიზიკის კურსი, ესმით ფიზიკის კანონების შინაარსი, შეგნებულად იყენებენ ფიზიკის ფორმულებს ამოცანების ამოხსნის დროს.

ვაჟთა II საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ნარჩემაშვილი დაუფლებულია საგანს, მაგრამ არა აქვს დახელოვნება ფიზიკის ექსპერიმენტის დაყენებაში, ვერ ახერხებს რაციონალურად გამოიყენოს გაკვეთილის დრო-გვეგმით გათვალისწინებული მასალის დამუშავება მან ვერ მოასწრო, როგორც იმ კლასებში, რომლებშიაც ცდები ჩატარა, ისე იმ კლასშიაც, სადაც ცდები არ ჩატარებია.

ვაჟთა II საშუალო სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ იჩენს ფიზიკის კურსის საკმაო ცოდნას. მოსწავლეები ვერ იყენებენ ფიზიკის ძირითად კანონებს პრაქტიკული ხასიათის საკითხების გადასაწყვეტად. მაგალითად, VIII კლასის მოსწავლეებმა ვერ შესძლეს ჟნერგის მუდმივობის კანონის გამოყენება იმის ასახსნელად, რომ შეუძლებელია მუშაობაში მოვიგოთ რომელიმე მექანიზმის შემოწმებით.

ქალთა X სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ნ. სვანიძე კარგად არის დაუფლებული როგორც ფიზიკას, ისე ფიზიკის მეთოდოლოგიას.

X სკოლის მოსწავლეები დამაკმაყოფილებელ ცოდნას იჩენენ

ფიზიკაში. მასწავლებლის შეკითხვებზე მოსწავლეები იძლევიან შეგნებულ და ზუსტ პასუხს. ამოცანების ამოხსნის დროს მოხერხებულად იყენებენ ფიზიკის კანონებს და ფორმულებს.

კ) ქ. ქუთაისის მთელ რიგ სკოლებში კარგად არის დაყენებული ქიმიის სწავლება, ვაჟთა II ქალთა I და IV სკოლებში ქიმიის მასწავლებლებს კარგად აქვთ შედგენილი წლიური გეგმები, ნათლად აქვთ წარმოდგენილი ქიმიის სწავლების სიძნელეები და სათანადოდ იყენებენ თვალსაჩინოებას სწავლების პროცესში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვაჟთა II საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლის კიკნაძის მუშაობა; მისი ინიციატივით სკოლაში მოწყობილია ქიმიის კლას-ლაბორატორია, დამზადებულია მთელი რიგი მოდელები, სქემები და ტაბულები. მოსწავლეთა ცოდნა ვაჟთა II საშუალო სკოლაში სავსებით დამაკმაყოფილებელია. შესაფერი მუშაობა წარმოებს პრაქტიკული ჩვენებების გამომუშავებისათვის. ქიმიის სწავლების მხრივ კარგი მდგომარეობაა ქალთა I სკოლაში (მასწ. ევ. ჩარკვიანი).

ქალთა რუსულ X სკოლაში ქიმიის მასწავლებელი ხელაძე მეთოდური მომზადებით ვერ დგას თავის სიმაღლეზე. წლიური გეგმა შედგენილი აქვს სტაბილური პროგრამების მიხედვით, მაგრამ ფაქტიურად გეგმის გარეშე მუშაობს, მიჰყვება სახელმძღვანელოს გვერდებს და ასწავლის ისეთ საკითხებსაც კი, რაც რამდენიმე წლის წინად ამოღებული იქნა პროგრამიდან (მაგ., სპილენძი და ქრომი—IX კლ.). ამ სკოლაში თვალსაჩინოებას ნაკლები ყურადღება ექცევა. VIII და X კლასებში მასწავლებელი შეეცადა ჩაეტარებია ისეთი ცდები, რომლებიც წინა გაკვეთილებზე უნდა ყოფილიყო ჩატარებული. ჩასატარებელი ცდების ტექნიკა და მეთოდიკა ვერ აკმაყოფილებდა ელემენტარულ მოთხოვნილებებს. მთელი გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელი კათედრას არ მოსცილებია და მოსწავლეების მიერ დაფაზე დაწერილი ტოლობების სისწორეს ამოწმებდა კათედრაზე გადაშლილი ნაწერებთან შედარების საშუალებით. ამ სკოლაში მოსწავლეთა ცოდნა დაბალია. მოსწავლეებს არასწორად აქვთ ათვისებული მთელი რიგი ცნებები (ალუმინის აქვს მეტოლის და მქავის თვისებები, ამონიაკე ვალენტიანი რთული მეტოლია და სხვ.).

ქალთა IV საშუალო სკოლაში (მასწ. ე. ბერუჩაშვილი) მოსწავლეთა ცოდნის სიმტკიცეზე გავლენას ახდენს ქიმიის ლაბორატორიის უქონლობა. გაკვეთილზე ვერ მოხერხდა მეტად მარტივი ცდის ჩატარება.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში არ ექცევა სათანადო ყურადღება ქიმიურ ნივთიერებათა სახელწოდებების მართებულად გამოთქმას. ნაკლებად ტარდება ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიში. ადგილობრივი მასალა არ არის გამოყენებული ელემენტთა პერიოდული სისტემის შესწავლისას მეცხრე და მეთე კლასებში არაორგანიული ქიმიის კურსის განმეორების პროცესში.

მ ბ რ ძ ბ ნ ე ბ :

I. გადაჭრით იქნას გაუმჯობესებული ქუთაისის სკოლებში გეგმიანი მუშაობა. ამ მიზნით:

ა) დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა მუშაობა იმგვარად დაგეგმონ, რომ უზრუნველყოფილი იქნას გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაწესება;

ზუსტად განიხილონ წლიურ-კალენდარული, თემატიკური და გაკვეთილის გეგმები და დააწესონ მტკიცე კონტროლი მათ შესრულებაზე; სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებზე მასწავლებლებს, ფართოდ გაანალიზონ მოსმენილი გაკვეთილები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) ვაქთა II, ქალთა VI და X სკოლების მასწავლებლებს დაევალოთ სისტემატურად შეადგინონ ყველა თემისათვის თემატიკური გეგმები—აგრეთვე იქონიონ გაკვეთილის გეგმები და საფუძვლიანად ემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის;

გ) გაცხოველდეს მეთოდკომისიების მუშაობა; გადაინიშნოს მეთოდკომისიების ხელმძღვანელთა შემადგენლობა, ხელმძღვანელებად შეირჩეს უფრო გამოცდილი და მომზადებული მუშაკები. მეთოდკომისიის სამუშაო გეგმებში გათვალისწინებული იქნეს ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც ნამდვილად დაეხმარება მასწავლებლებს სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაჭრაში;

დ) აღკვეთილ იქნეს ერთი საგნის სასწავლო საათების რამდენიმე მასწავლებელზე გადანაწილების პრაქტიკა, როცა ეს საათები განაკვეთს არ აღემატება;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფიზიკაში დახელოვნებული მასწავლებლების კადრის შექმნას, რისთვისაც მომავალ სასწავლო წლიდან იმ მასწავლებელთა ერთი ნაწილი, რომლებიც ფიზიკისა და მათემატიკას ასწავლიან, განთავისუფლდნენ მათემატიკის გაკვეთილებიდან და დაიტვირთონ მხოლოდ ფიზიკის გაკვეთილებით.

ვ) დაევალოს განათლების განყოფილებას საშუალო სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობაზე დიდატთა შერჩევის დროს მხედველობაში მიიღოს, რომ ერთი იმავე სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე იყვნენ სხვადასხვა საგნის სპეციალისტები—ერთი ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტი, ხოლო მეორე—სხვა სპეციალობისა, რათა დირექციას მეტი საშუალება მიეცეს ყველა სასწავლო დისციპლინის სწავლებაზე საჭირო კონტროლი დააწესოს.

II. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების მიზნით:

ა) ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა კითხვის ტექნიკის გაუმჯობესებას. მიღწეულ იქნას ისეთი მდგომარეობა, რომ მეოთხე კლასის დამთავრებისას მოსწავლე კითხულობდეს სწრაფად, გამომეტყველად და აზრიანად;

ბ) I-VII კლასებში ყურადღება მიექცეს თავისუფალი, თანამიმდევრული თხრობის ჩვევების გამომუშავებას. მასწავლებელთა მთელი კოლექტივის მიერ სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს მონოტონურ, ამღერებულ, არაბუნებრივი ტონით თხრობას;

გ) I-VII კლასებში ფართოდ დაეთმოს ადგილი ლექსიკურ მუშაობას. ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდლოგიისა და საკლასო გაერთიანებებმა განიხილონ საკითხი ლექსიკური მუშაობის ფორმებისა და შინაარსის შესახებ თითოეულ კლასში;

დ) სათანადო ადგილი დაეთმოს პოეტიკის საკითხების სწავლებას და მასთან დაკავშირებით სტილისტიკურ ვარჯიშს;

ე) გრამატიკის სწავლება მჭიდროდ დაუკავშირდეს ცოცხალ მეტყველებას და ლიტერატურული ტექსტის შესწავლას. გრამატიკის სწავლებისას გამახვილდეს ყურადღება პრაქტიკული ხასიათის საკითხებზე და ჩატარდეს სათანადო ვარჯიში მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევების გამოსამუშავებლად;

ვ) დაწყებით კლასებში ყურადღება მიექცეს სუფთა წერას, სწორი ხელის გამომუშავებას, ასოების გადაბმულობას.

ზ) უზრუნველყოფილი იქნას წერითი მუშაობის სახეების მრავალფეროვნება და კლასების მიხედვით მარტივი სახიდან უფრო რთულზე თანდათანობით გადასვლა—წიგნიდან და დაფიდან გადაწერა, ზეპირად ნასწავლის დაწერა, წაკითხულის შინაარსის გადმოცემა, სურათის აღწერა, კითხვებზე პასუხების გაცემა, ციტატებისა და მხატვ-

რული ადგილების ამოწერა—მარტივი და რთული გეგმის შედგენა გმირთა თავგადასავალი, გმირთა დახასიათება, ნაწარმოების გარჩევა, მწერლის შემოქმედების მოტივის და შემოქმედების ახალი განმაზოგადოებელ—თავისუფალი თემები, კარნახი მართლწერის ამათუიმ წესის მტკიცედ შესათვისებლად და სხვ.

მიღებულ იქნას ზომები, რომ ყველა კლასში წერითი ვარჯიში ტარდებოდეს ისეთი რაოდენობით, რომელიც ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლეთა წერის კულტურის გაზრდას და პროგრამით გათვალისწინებული მტკიცე ცოდნა-ჩვევების შემუშავებას, სისტემატურად ეძლეოდეს მოსწავლეებს საშინაო წერითი სამუშაოები.

კ) ყველა კლასში გულდასმით სწორდებოდეს მოსწავლეთა საკლასო და საშინაო წერითი ნამუშევრები; ხდებოდეს ტიპიურ შეცდომათა ახალიზი, ყურადღება მიექცეს ცალკე მოსწავლეს და მიეცეს მას ახსნა-განმარტება მის მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ;

მიღებული იქნას, რომ ყველა მოსწავლე ატარებდეს სათანადო ვარჯიშს მის მიერ დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებლად;

ი) სისტემატურად იქნას პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე მომენილი საკითხი წერითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ;

კ) დაევალოს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტს შეისწავლოს ქ. ქუთაისის ქალთა I-საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მოსწავლეებელთა მუშაობა, მისი განზოგადოების მიზნით გამოსცეს სათანადო მონოგრაფია.

III. რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით:

ა) ქალთა X რუსული სკოლის I კლასში არ იქნან მიღებული ისეთი მოსწავლეები, რომლებიც რუსულ სკოლაში სწავლებას ვერ შესძლებენ რუსული ენის უცოდინარობისა გამო;

ბ) ამავე სკოლის I კლასის მოსწავლეებელმა მეტი ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა მეტყველების სისწორეს, წარმოთქმის გასწორებას, სუფთა წერის გაკვეთილებზე სისტემატური ვარჯიშით უზრუნველყოს თითოეული ასოს სწორი წერის ჩვევათა გამომუშავება.

გ) IV კლასში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ლექსიკურ მუშაობას—მოსწავლეთა სიტყვათა მარაგით გამდიდრებას, ვარჯიშს ახლად შესწავლილი სიტყვების სწორად წარმოთქმისა და ფრაზაში გამოყენებაზე, სიტყვების ახსნა-განმარტება დაუკავშირდეს ტექსტზე მუშაობას.

V-VI-VII კლასებში სისტემატურად წარმოებდეს გრამატიკაში გაფლილი მასალის განმეორება. VII კლასში მეტი ადგილი დაუთმოს

წინადადების მორფოლოგიურ-სინტაქსურ გარჩევას; მოსწავლეებს/ სისტემატურად ეძლეოდეთ საშინაო დავალებანი გრამატიკაში

IV. მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების მიზნით:

ა) ვაჟთა II სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა მოსწავლეთა ცუდი მომზადების გამოსწორების მიზნით IV მეოთხედში ყურადღება მიაქციოს გავლილი მასალის განმეორებას. მათემატიკაში გავლილი მასალის განმეორება სწარმოებდეს სისტემატურად, ახალი მასალის გავლასთან კავშირში და მის პარალელურად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არითმეტიკის განმეორებას, რაც უნდა დაუკავშირდეს ალგებრის და ტრიგონომეტრიის მასალის დამუშავებას, არითმეტიკის განმეორება ხდებოდეს ყველა კლასში, მეათე კლასის ჩათვლით;

ბ) მიექცეს ყურადღება ამოცანების ამოხსნას ანალიზური ხერხით. მეოთხე კლასებში უკანასკნელ მეოთხედში უმეტესი დრო ამოცანების ამოხსნას მოხმარდეს;

გ) წერიითი საკონტროლო სამუშაოების შესრულების დროს მოსწავლეებს მიეცეთ საშუალო სიძნელის ამოცანები და მაგალითები იმ ვარაუდით, რომ მათი ამოხსნა მოსწავლეებმა შესძლონ 30—35 წუთის განმავლობაში.

მოეთხოვოს მოსწავლეებს, რომ ამოცანები და მაგალითები გადაიწერონ რვეულებში და შემდეგ შეუდგნენ მათ ამოხსნას. ყოველგვარი გამოანგარიშებანი მოსწავლეებმა შეასრულონ რვეულებში, სათანადო გამოყოფილ ადგილას;

დ) ყურადღება მიექცეს ნაწერების გულდასმით გასწორებას, ტიპიურ შეცდომათა ანალიზს და შეცდომათა გასწორებას მოსწავლეების მიერ.

V. ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების მიზნით:

ა) ქალთა I საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა დვალმა გააძლიეროს მუშაობა ფიზიკის კურსის და ფიზიკის სწავლების მეტოდიკის უკეთ დაუფლებისათვის. ყოველ გაკვეთილზე აწარმოოს გავლილი მასალის განმეორება განსაკუთრებით მე-10 კლასში; გულდასმით გაასწოროს მოსწავლეთა წერიითი სამუშაოები—ფიზიკაში.

სკოლის დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ ხშირად შეამოწმონ მასწავლებელ დვალის მუშაობა და გაუწიონ მას დახმარება;



ბ) ვაჟთა II სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა გ. ნარჩიმაშვილმა გააძლიეროს მუშაობა სასკოლო ექსპერიმენტის დაუფლებისათვის გაკვეთილის სწორი ორგანიზაციით მიაღწიოს იმას, რომ მთლიანად დამუშავებულ იქნეს გეგმით გათვალისწინებული მასალა.

მეტი ყურადღება მიაქციოს ამოცანების ამოხსნას ფიზიკაში, განსაკუთრებით X კლასში.

სკოლის დირექციამ გამოყოს თანხა, როგორც ახალი ხელსაწყოების შესაძენად, ისე დაზიანებული ხელსაწყოების შესაკეთებლად;

გ) ქალთა X სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ნ. სვანიძემ მეტი ყურადღება მიაქციოს ექსპერიმენტის გამოყენებას ფიზიკის სწავლებაში.

მიიღოს ზომები დაზიანებული ხელსაწყოების შეკეთებისათვის. იზრუნოს ფიზიკის კაბინეტისათვის ისეთი ხელსაწყო—იარაღების შეძენაზე, რომლებიც საშუალებას მისცემენ მას ჩაატაროს, როგორც საკლასო ექსპერიმენტი, ისე გეგმით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები.

VI. ისტორიის ხწავლების გაუმჯობესების მიზნით:

ა) ისტორიის მასწავლებლებმა დაუყოვნებლივ შეადგინონ განმეორების დეტალური გეგმა VII და X კლასებისათვის და ამ გეგმის მიხედვით აწარმოონ განმეორება. სკოლის ადმინისტრაციამ მიაქციოს ყურადღება განმეორების საქმეს;

ბ) ისტორიის მასწავლებლებმა გაამახვილონ ყურადღება ისტორიის გაკვეთილებზე აღმზრდელიობითი მუშაობის ჩატარებაზე, ისტორიული ფაქტები გამოიყენონ მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდისათვის, ორგანიულად დაუკავშირონ ისტორიული მასალა თანადროულობის შესანიშნავ მოვლენებს;

გ) ვაჟთა II საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლებმა დაუყოვნებლივ გადასინჯონ VIII—IX კლასებისათვის კალენდარული გეგმები და შეასწორონ ის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით. შეადგინონ ასეთივე გეგმები V—VI—VII კლასებისათვის;

დ) გაამახვილდეს ყურადღება ქრონოლოგიის სწავლაზე;

ე) სკოლის ადმინისტრაციამ მიიღოს ზომები ისტორიულ რუკებით მოსამარაგებლად;

ვ) შესდგეს ექსკურსიების ჩატარების გეგმა ქუთაისისა და მისი მიდამოების ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად.

VII. ქიმიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით:



ა) დაევალოს ქალთა I, IV და X საშუალო სკოლების დირექტორებს ქიმიის ლაბორატორიისათვის გამოყონ სათანადო ბინა და შეავსონ ლაბორატორიები საჭირო ხელსაწყოებითა და რეაქტივებით;

ბ) ამავე სკოლების და ვაჟთა II საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლებმა გაამახვილონ ყურადღება ამოცანების ამოხსნაზე ქიმიაში IX და X კლასებში. არაორგანიული ქიმიის სწავლებისა და განმეორების დროს სისტემატურად გამოიყენონ ელემენტთა პერიოდული სისტემა, შეძლებისდამხედვით ქიმიაში შესასწავლი საკითხები შეავსონ ადგილობრივი მასალით;

გ) ქალთა X საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა—ხელაშემ—გადასინჯოს წლიური კალენდარული გეგმა და შეასწოროს ის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით.

8. ვაჟთა II საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებლებს მ. ახვლედიანს, ქორიძეს და გოდუაძეს, რომლებიც ვაკეეთილისათვის სათანადოდ არ ემზადებიან, მოსწავლეთა მეტყველების კულტურის აღზრდისათვის საჭირო მუშაობას არ აწარმოებენ, წერით ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებენ, რის გამოც მათ მოსწავლეებს ქართული ენისა და ლიტერატურაში სათანადო ცოდნა-ჩვევა არ გააჩნიათ,—გამოეცხადოს საყვედური და მიეცეს გაფრთხილება.

9. ამავე სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო ნაწილში მ. სანდუხაძეს იმის გამო, რომ მან ვერ უზრუნველყო სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე საჭირო ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაწესება—გამოეცხადოს საყვედური და მიეცეს გაფრთხილება.

10. ქალთა მე-6 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ჯინჭველიშვილი როგორც სუსტად მომზადებული, ჩამოყენებულ იქნას მასწავლებლად 7-წლიან სკოლაში.

11. ვაჟთა X საშუალო სკოლის მასწავლებელი ნინო ხელაძე, მომავალი სასწავლო წლიდან განათვისუფლებული იქნას ქიმიის მასწავლებლის თანამდებობიდან, და გადაყვანილ იქნას სხვა საშუაოზე.

12. დაისვას საკითხი ზემდგომ ორგანოებში, რომ ქუთაისის პედაგოგიურ კაბინეტში აღდგენილ იქნას დაწყებითი სკოლის, რუსული ენის და უცხო ენების მეთოდისტებისა და ბიბლიოთეკების შტატი.

13. დაისვას საკითხი პედაგოგიური კაბინეტის ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიისათვის ლაბორანტის ორი საშტატო ერთეულის შექმნის შესახებ.



14. აღინიშნოს, რომ ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებამ ვერ უზრუნველყო ვაჟთა II საშუალო სკოლის შენობის სათანადოდ შეკეთება.

15. დაისვას საკითხი მშრომელთა დებუტატების ქუთაისის საბჭოს წინაშე, რათა ადგილობრივად გამონახულ იქნას საშუალებანი ვაჟთა II საშუალო სკოლის შენობის კაპიტალური შეკეთებისათვის.

16. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მობარაგების სამმართველოს, მიიღოს ზომები ქუთაისის ვაჟთა II საშუალო სკოლის შენობის შეკეთებისათვის ფონდირებული მასალის (მინა, თუნუქი, საღებავი) საჭირო რაოდენობით გამოყოფისათვის.

17. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქუთაისის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

18. განათლების განყოფილებამ უზრუნველყოს ამ ბრძანების შესრულება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი მ. კუპრაძე.

ბრძანება № 172

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1946 წლის 15 აპრილი

სიღნაღის რაიონის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ

გავეცანი რა სიღნაღის რაიონის სიღნაღის ქალთა, ბოდბისხევისა და ვაჭირის საშუალო სკოლების მუშაობას, აღვნიშნავ, რომ განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მიერ მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ხელმძღვანელობა სკოლების სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობაზე. რაიონის 27 სკოლიდან განყოფილების მიერ 21 მარტამდე საფუძვლიანად არის შესწავლილი 20 სკოლის მუშაობა; პედაგოგიური კაბინეტის ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და სხვა სექციები გეგმიან მუშაობას ატარებენ, სათანადო ხელმძღვანელობას უწყვეტ საგნობრივ კომისიებს; სკოლების გამოკვლევის შე-

დეგად შემოღებულა პრაქტიკაში სათანადო საგნების მასწავლებელთა თათბირების ჩატარება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნაკლის აღმოფხვრას და მიღწევების ფართოდ გავრცელებას.

სკოლები შეკეთებულია, საკმაო რაოდენობით არის მიზიდული სათბობი მასალა. სასკოლო შენობები ბინებით ძირითადად უზრუნველყოფილია. სახელმძღვანელო წიგნებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით სკოლები გასულ წელთან შედარებით უკეთ არიან მომარაგებულნი. სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცების მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობაა ჩატარებული ვაქირის საშუალო სკოლაში (დირექტორი ეკ. მირიანაშვილი). ამ სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ნორმალურ წარმართვისათვის სათანადო პირობებია შექმნილი.

კლასის ხელმძღვანელები პასუხისმგებლობით ეკიდებიან აღმზრდელობით მუშაობას, თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა ქცევას, ატარებენ მათთან საუბრებს, მოსწავლეთა ოჯახებში წისვლით ეცნობიან მათ პირობებს. დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები კლასის ხელმძღვანელებს უწევენ სათანადო დახმარებასა და კონტროლს. ასეთი მუშაობით მოსწავლეთა შორის დანერგილია ხელპირის დაბანვის, ტანისა და თმის მოვლის, სუფთად ჩაცმის, სასწავლო ნივთების მოვლის, სკოლაში დროულად გამოცხადებისა და სხვა ჩვევანი, დასვენების დროს მორიგე მოსწავლელები ჯეროვანი ყურადღებით ეკიდებიან მოსწავლეთა დასვენება-გართობის საქმის მოწესრიგებას, რის შედეგად სკოლაში დამყარებულია წესრიგი.

სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები სისტემატურად ესწრებიან გაკვეთილებს და მოსწავლელებს შესაფერ მითითებებს აძლევენ. გაკვეთილებზე დასწრების შედეგები სათანადოდ არის გაფორმებული.

გამოკვლეულ სკოლებში მოწესრიგებულია სკოლისგარეშე მუშაობა, დირექტორები სათანადო ხელმძღვანელობას უწევენ პედაგოგიურ კოლექტივებს ამ დარგში, კარგად მუშაობენ აკადემიური წრეები, ჩამოყალიბებულია გუნდები (მომღერალთა, მოცეკვავეთა, დრამატიული და ფიზკულტურული).

საკმაო მიღწევებია მოპოებული ცალკე საგნების სწავლების საქმეში. ქართულ ენასა და ლიტერატურაში სიღნაღის ქალთა საშუალო სკოლის მე-8, 9, 10 კლასის მოსწავლეებს (მასწ. ნარიშანიოვი) კარგათ აქვთ შეთვისებული ლიტერატურული მასალა. ნაწარმოების განხილვის დროს მოსწავლენი მოხერხებულად იყენებენ

შესაფერის ადგილებს, ტექსტს სწორად განმარტავენ, დამაკმაყოფილებლად სწერენ, — ლოგიკური თანმიმდევრობით შლიან თეზისს კარგი ხელი აქვთ და ორთოგრაფიულ შეცდომებს მცირე რაოდენობით უშვებენ. მასწავლებელი გულდასმით ასწორებს წერითი ნამუშევრებს და სწორად აფასებს მათ.

კარგი შედეგებია მოპოებული ქართული ენის სწავლებაში სილნალის ქალთა სკოლის მე-4 კლასში (მასწ. თ. ქურციკიძე), განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამ კლასის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები, მათი თემატიკური მრავალფეროვნება, სისუფთავე. მოსწავლეები წერენ კარგი ხელით და განმარტულად მეტყველებენ. ბოდბისხევის საშუალო სკოლის მე-4 კლასის (მასწ. ჯანგულაშვილი) მოსწავლეებს შესწევთ აგრეთვე დამოუკიდებელი თხრობის უნარი; ამ კლასში მასწავლებელი კარგად იყენებს ლიტერატურულ მასალას აღმზრდელობითი მიზნით.

რუსულ ენაში დამაკმაყოფილებელ ცოდნას იჩენენ ბოდბისხევის საშუალო სკოლის (მასწ. ნაცვლიშვილი) მოსწავლენი. ამ სკოლაში რუსული ენის სწავლებას თავიდანვე შესაფერი ყურადღება ექცევა. მაგალითად, მეორე კლასის მოსწავლენი ახერხებენ საკლასო ოთახის აღწერას, ასახელებენ საგნებს, მასწავლებლის დავალებით ასრულებენ სხვადასხვა მოქმედებას (მოდი ჩემთან, მიდი კართან და სხვ.), სწორად გამოთქვამენ *Мое имя, моя фамилия, сегодня плохая погода, сегодня дождь. Вчера был снег. и. т. д.* წერენ სუფთად, მასწავლებელი კითხვასა და ზეპირმეტყველებაში ვარჯიშობის შემდეგ ყოველი გაკვეთილის ნაწილს უთმობს წერას.

რუსული ენის სწავლების საქმეში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე სილნალის ქალთა სკოლაში, სადაც რუსულ ენას ასწავლიან საგანს კარგად დაუფლებული და გამოცდილი მასწავლებლები.

ქიმიის სწავლების საქმეში კარგი მდგომარეობაა სილნალის ქალთა და ვაჭირის საშუალო სკოლებში (მასწ. ნადირაძე და ბაზარაშვილი), რასაც დიდად უწყობს ხელს ის გარემოება, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში სისტემატურად იყენებენ ქიმიის კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებსა და რეაქტივებს.

სილნალის ქალთა სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა კარგად განმარტეს ამინები, დაუკავშირეს ისინი ნიტრონაერთებს, დამაკმაყოფილებლად იციან სპირტები, ნავთობის მარტივი და რთული ფორმები; კლასში გვემიანად სწარმოებს ვავლილი მასალის განმეორება არაორგანიულ ქიმიიდან.



დამაკმაყოფილებელი შედეგებია მოპოებული აგრეთვე მათემატიკის ტიკის სწავლების საქმეშიც სიღნაღისა და ბოდბისხევის სკოლების ზოგიერთ კლასებში (მასწ. ნ. ასლამაზოვი, ჯანგულაშვილი და სხვ.).

მიუხედავად, ამისა რაიონის სკოლების მუშაობას ახასიათებს ნაკლოვანებანი, ამათგან მთავარია შემდეგი:

ა) ბოდბისხევის საშუალო სკოლაში უნდა სწავლობდეს 532 ბავშვი სიით, სკოლაში ირიცხება 518 ბავშვი, 14 მოსწავლე განთესილია და მათი დაბრუნებისათვის სკოლას არ მიუღია გადაამქრელი ზომები;

ბ) რუსული ენის სწავლების საქმეში ვაქირის, ბოდბისხევისა და სიღნაღის ვაჟთა საშუალო სკოლებში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, განსაკუთრებით უფროს კლასებში.

ბოდბისხევის საშუალო სკოლის მე-8—10 კლასებში და ვაქირის საშუალო სკოლის მე-5—7 კლასებში (მასწ. მელიქიძე, ხატიაშვილი) მოსწავლეთა მომზადება რუსულ ენაში დაბალია, მაგალითად, მეათე კლასების მოსწავლეებს არა აქვთ სიტყვათა საკმაო მარაგი, მათ არ იციან არცერთი საზეპირო მასალა, უძნელდებათ გავლილი მასალის შინაარსის გადმოცემა, ვერ ერკვევიან, წინადადებების სახეებში, ვერ ახერხებენ წინადადებების სინტაქსურ და მორფოლოგიურ გარჩევას. წერიითი ნამუშევრები მასწავლებლების მიერ არ არის გულდასმით გასწორებული და მრავალი შეცდომა გამოტოვებული.

ვაქირის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მოთხრობები, ლექსები და აგრეთვე გრამატიკული მასალაც—ბრუნვა, წინადადებების გარჩევა;

გ) ზოგიერთ სკოლაში მათემატიკის საპროგრამო მასალის დაძლევის საქმეში ჩამორჩენას აქვს ადგილი. ბოდბისხევის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებს უძნელდებათ გეომეტრიაში თეორემების მტკიცების დროს მსჯელობა, ვერ იძლევიან გამართულ და დახვეწილ პასუხს. დასტურდება, გავლილი მასალის განმეორებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება; მოსწავლეები ცილინდრულ-პირეულსა და წრიულ ცილინდრს ზუსტად ვერ მარტავენ, არ იციან პრიზმის, წესიერი პირამიდის, წაკვეთილი პირამიდის, ცილინდრის, კონუსის, წაკვეთილი კონუსის გვერდითი და სრული პირფულის ფორმულები, ალგებრაში მოსწავლეებმა არ იციან წყობის, განააცვლების, ჯუფთების განმარტება და მათი რიცხვის მისაღები ფორმულები. არ იციან ბინომის განმწკრივის თვისებანი და სხვ.

ვაჭირის საშუალო სკოლის (მასწ. დ. ყორდაშვილი) მე-8 კლასში გამეორებას არ ექცევა ყურადღება, რის შედეგად მოსწავლეებს სუსტად იციან ფესვებზე მოქმედებანი, არ იციან რაციონალური თანამართლის ფესვ-გარედ გატანა და სხვ.

სიღნაღის ქალთა საშუალო სკოლის (მასწ. ნ. ნონიევი) მე-6 კლასის მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცის ხარისხის, კოეფიციენტის და შეფარდებითი რიცხვის განმარტება. არ იციან მოქმედებები შეფარდებით რიცხვებზე, რას ეწოდება ერთწევრი და მრავალწევრი;

დ) სკოლებში არსებულ კაბინეტებში არ არის პრეპარატებისა და ხელსაწყოების სიები, ხელსაწყოები წესრიგში არ არის მოყვანილი, არ არის დამზადებული საჭირო რეაქტივთა ხსნარები, სუსტი მასწავლებელთა შორის კავშირი ურთიერთ-დანხარების მიზნით, არ ხდება კაბინეტების დანაკლისის შევსება, კაბინეტებში არ არის ადგილობრივი მნიშვნელობის ქიმიური ნაერთების კოლექციები და ნიმუშები. მაგალითად: ნავთობისა, მისი ფრაქციებისა, კირქვებისა, თიხებისა და სხვ. ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული ნორჩ-ქიმიკოსთა შორის მუშაობას;

ე) ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელის სააღმზრდელო გეგმები არაკონკრეტულია, შესაფერი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა წესების დანერგვის საქმეს და ზოგჯერ ადგილი აქვს წესების დარღვევას. მაგალითად, ბოდბისხევის საშუალო სკოლის მე-7 კლასიდან 8 მარტს რამდენიმე მოსწავლე გაიპარა. მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა ვაჭირის საშუალო სკოლის მე-7 კლასშიაც 4 თებერვალს;

ვ) ზოგიერთი მასწავლებელი კვლავ იჩენს ლიბერალობას ცოდნის შეფასების საქმეში, სიღნაღის ქალთა საშუალო სკოლის მე-4 კლასის მასწავლებელი მ. ლეკიაშვილი „5“-ზე აფასებს მოსწავლე მ.-ს ნამუშევარს („შევარდენი“-ს მოკლე შინაარსის გადმოცემა“), მაშინ, როდესაც ნაწერში დაშვებულია 11 შეცდომა; მოსწავლე ა—ს ნამუშევარში („ბეთჰოვენი“) დაშვებულია 3 სტილისტური, 2 ორთოგრაფიული და 16 პუნქტუაციური შეცდომა, მასწავლებელს შეუნიშნავს მხოლოდ 6 პუნქტუაციური ხასიათის შეცდომა და ნამუშევარი შეუფასებია „5“-ზე.

ბოდბისხევის მე-7—10 კლასის ქართული ენის მასწავლებელი უთუთაშვილი ვერ აჩვენებს მოსწავლეთა ნამუშევრებში შეცდომებს, განსაკუთრებით პუნქტუაციაში.

მე-10 კლასის მოსწავლეთა ერთერთი ნამუშევარი (ჯორ-ზაქარას დახასიათება) მასწავლებლის მიერ გასწორების შემდეგ შეფასებულია ასე: 12 მოსწავლეს „2“ უწერია, 10—„3“ და ერთს—„4“.

ბაძღვილად კი „4“-ზე შეფასებულ ნამუშევრებში იმდენი შეცდომაა რომ „3“-ზედაც არ შეიძლება მათი შეფასება.

ბ) ყველა სკოლაში სათანადო წესით არ სწარმოებს აგრეთვე საკლასო ჟურნალების შევსება. ვაქირის, სიღნაღისა და ბოდბისხევის საშუალო სკოლის ზოკიერთი კლასის ჟურნალში არ არის შეტანილი აღნიშვნები გადაცემული გაკვეთილების შესახებ, არ იწერება აგრეთვე მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნიშნები.

მ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრე-ლად გატარების მიზნით რაიონის ყველა სკოლის მიერ ზუსტად იქნას აღრიცხული სკოლის გარედ დარჩენილი მოსწავლეები და მომავალ სასწავლო წლიდან 7—15 წლამდე ასაკის მოზარდები მთლიანად იქნან ჩაბმული სათანადო კლასებში.

2. მეტი ყურადღება მიექცეს განმეორების საქმეს, მასწავლებ-ლებმა წინასწარ გათვალისწინებული გეგმის მიხედვით ახალი მასა-ლის გავლასთან ერთად გარკვეული ადგილი დაუთმონ განმეორებას.

3. მომზადებულად, შინაარსიანად და თვალსაჩინოდ იქნას ჩა-ტარებული თითოეული გაკვეთილი, სისტემატურად ხდებოდეს ვარ-ჯიში ახლადგადაცემული გაკვეთილის განმტკიცებისათვის და განსა-კუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეებში დამოუკიდებელი ბასუხის ჩვევების დანერგვას.

4. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა:

ა) დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწორმეტყველებას, მოთხრობებისა, არაკებისა და ლექსების მტკი-ცედ ცოდნას; გააგებინონ მოსწავლეებს შინაარსი და აღზარდონ მათში წაკითხული მასალის დამოუკიდებლად, გააზრებულად გადმო-ცემის ჩვევები და უნარი;

ბ) მე-5—7 კლასებში გრამატიკული კატეგორიების შესწავლა მტკიცედ დაუკავშირონ გავლილ ლიტერატურული მასალის ტექსტე-ბის ანალიზს, ამ მიზნით გამოიყენონ აგრეთვე შესაფერი ზეპირმეტ-ყველები;

გ) წერის კულტურის ამოღების მიზნით I—VII კლასებში სის-ტემატურად მისცენ მოსწავლეებს საშინაო დავალებები, ყველა კლას-ში დაწესებული რაოდენობით ჩაატარონ საკონტროლო და საკლა-სო წერა; გულდასმით გაასწორონ მოსწავლეთა წერითი ნამუშევ-რები, როგორც საშინაო, ასევე საკლასო. სწორად შეათვასონ ისინი

და ატარჯიშონ მოსწავლეები წერით ნამუშევრებში დაშვებულ
შეცდომების გასწორებაზე;

დ) რაიონის პედაგოგიურმა კაბინეტმა უახლოეს ხანში გაეზღვი
ლოს ქართული ენის მასწავლებლებთან შემდეგი საკითხები: 1) წიგნ-
ზე მუშაობის მეთოდები, 2) წერითი მუშაობის თემატიკა I—IV,
V—VII და VIII—X კლასებში, 3) ნაწარმოების შინაარსის შესწავ-
ლის მეთოდები I—IV, V—VII კლასებში, 4) ახსნითი კითხვა დაწ-
ყებით სკოლაში, 5) პოეტიკის საკითხების სწავლება V—VII და
VIII—X კლასებში.

5. რუსული ენის მასწავლებლებმა გააუმჯობესონ მუშაობა მო-
სწავლეთა სიტყვის მარაგის გამდიდრების მიმართულებით, სისტემა-
ტურად აწარმოონ მოსწავლეთა ვარჯიში ზეპირმეტყველებაში, გრა-
მატიკის შესწავლა დაუკავშირონ ლიტერატურული მასალების გან-
ხილვას, მტკიცედ მოსთხოვონ მოსწავლეებს პროგრამით გათვალის-
წინებული საზეპირო მასალის დასწავლა.

ზუსტად იქნას დაცული წერითი სამუშაოების ჩატარება დად-
გენილი ნორმის მიხედვით, გულდასმით გასწორდეს ნამუშევრები და
განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაშვებული შეცდომების გა-
სწორებაზე ვარჯიშსა და ნამუშევრების სწორად შეფასების საქმეს.

6. მათემატიკის მასწავლებლებმა: ა) ყოველი ვაკვეთილისათვის
წინასწარ ამოხსნან და შეამოწმონ მაგალითები და ამოცანები;

ა) სისტემატურად იმუშაონ მოსწავლეებში მათემატიკური დე-
ბულებების, წესების, ფორმულების, გეომეტრიული თეორემების
ზუსტი მათემატიკური ენით გადმოცემის ჩვევისა და უნარის
აღზრდაზე;

ბ) გააძლიერონ კონტროლი საშინაო დავალების შესრულებაზე,
პერიოდულად აწარმოონ საშინაო რვეულების შემოწმება-გასწორე-
ბა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკონტროლო წერისა-
თვის ამოცანებისა და მაგალითების შერჩევას, ნაწერების გულდას-
მით გასწორებასა და ობიექტურად შეფასებას;

გ) გადაჭრით იქნას გაუმჯობესებული მუშაობა ზეპირ ანგარიშ-
ში, თითოეულ ვაკვეთილზე ზეპირ ანგარიშს დაეთმოს 5—8 წუთი,
გაძლიერებულ იქნას ვარჯიში ამოცანების ამოხსნაზე, სისტემატურად
სწარმოებდეს ამოცანათა შემოწმება მათი ამოხსნის შემდეგ, მაგალი-
თებზე ვარჯიშის დროს შესაფერისი ყურადღება მიექცეს მოქმედე-
ბათა სწორად დალაგებას და ფრჩხილებზე მოქმედებას;

დ) გეომეტრიულ თეორემათა შესწავლის დროს გამოყენებულ
იქნას ანალიზური მეთოდი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ
მსჯელობის უნარის გამომუშავებას; გაუმჯობესდეს ტრიგონომეტ-
რიულ იგივეობაზე ვარჯიში; ფართოდ დაეთმოს ადგილი ტრიგონო-

მეტრიულ-გამოსახულებათა სალოგარითმო სახეზე დაყვანას და ტრი-
გონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნას.



7. ქიმიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით: სკოლებმა იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განსახკომის 1944 წლის 9 მარტის ბრძანებით არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ქიმიის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტის მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარების შესახებ, რის საფუძველზეც:

ა) სისტემატურად შეივსოს ქიმიის კაბინეტი სათანადო ხელსაწყოებით და პრეპარატებით, წესრიგში იქნას მოყვანილი სკოლებში ქიმიის ხელსაწყოები და რეაქტივები, რეაქტივები დალაგდეს სათანადო წესით, გაუკეთდეს მათ სათანადო წარწერები;

ბ) ქიმიის გაკვეთილებზე ფართოდ იქნას გამოყენებული თვალსაჩინოება; გაკვეთილზე ჩასატარებელი ცდები წინასწარ იქნეს მომზადებული და შემოწმებული მასწავლებელთა მიერ;

გ) ხშირად მიეცეს მოსწავლეებს საშინაო დავალებანი ამოცანებისა და დასახაზი სქემების სახით და სისტემატურად სწარმოებდეს დავალების შესრულების შემოწმება;

დ) განმტკიცდეს კავშირი რაიონის ქიმიის მასწავლებელთა შორის ურთიერთ-გამოცდილების გაზიარებისა და საჭირო ხელსაწყოების და რეაქტივების გაცვლა გამოცვლის მიზნით;

ე) დაინტერესებულ მოსწავლეებისა და ნორჩ-ქიმიკოსთა წრის წევრების მეშვეობით შეგროვილ იქნას ადგილობრივი მნიშვნელოვანი ქიმიური ნაერთების ნიმუშები (ნავთობი, ქვანახშირი, სილიკატები, თიხები და სხვ.).

8. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგებმა:

ა) შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი, უზრუნველჰყონ არსებული ფონდის მიხედვით კლასგარეშე საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სიების შედგენა, კლასების მიხედვით დააწესონ ზედამხედველობა კლასგარეშე კითხვის საქმეზე და პრაქტიკული ღონისძიებანი გაატარონ ამ დარგში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად;

ბ) გააძლიერონ მასწავლებლებზე დახმარება. სისტემატური ხასიათი მისცენ გაკვეთილებზე დასწრებას და დასწრების შედეგების განხილვა-გარჩევას;

გ) ვაჭირის და ბოდბისხევის საშუალო სკოლის დირექტორებმა მეტი დახმარება გაუწიონ რუსული ენის მასწავლებლებს, კერძოდ

უზრუნველყონ რუსულ ენაში წერიითი ნამუშევრების საქმეში არსებული ნაკლის გამოსწორება.

9. ბოდბისხევის, ვაჭირის და სიღნაღის ქალთა საშუალო სკოლებში საკლასო ჟურნალები შეივსოს დადგენილი წესის მიხედვით და მათში სისტემატურად იწერებოდეს შეფასების ნიშნები.

10. განათლების განყოფილებამ სკოლაზე ინსპექტორის მიმავრებით და სხვა გადამკრელი ზომების მიღებით უზრუნველყოს იმ ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრა, რომელსაც ადგილი აქვს ბოდბისხევის საშუალო სკოლის მუშაობაში.

11, აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას სიღნაღის რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე. განათლების განყოფილებამ გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა სკოლებზე და უზრუნველყოს ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე.

ბრძანება № 173

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1946 წ. „19“ აპრილი

წითელწყაროს რაიონის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ

გავეცანი რა წითელწყაროს რაიონის, წითელწყაროს ქართულ, რუსულ, არბოშიკისა და ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლების მუშაობის გამოკვლევის შედეგებს აღვნიშნავ, რომ შესწავლილ სკოლებს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის საქმეში თვალსაჩინო წარმატებები გააჩნიათ.

სასწავლო-მატერიალური ბაზა მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული: სკოლები უზრუნველყოფილია კარგი შენობებით და საკმარაოდენობის დგამ-ავეჯით, სასკოლო შენობებს ფანჯრის მინები იშვიათად აკლია; სკოლის ეზოები შემოკავებული და მოვლილია. გასულ წელთან შედარებით სკოლები უკეთ არის უზრუნველყოფილი სახელმძღვანელო წიგნებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით. გაუმჯობესებულია სკოლებში სასკოლო ასაკის ბავშვთა მიზიდვის საქმე, გეგმა შესრულებულია 99%-ით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დებულების მიხედვით ყველა სკოლაში შედგენილია სკოლის წლიური სასწავლო სააღმზრდელო, კლასის ხელმძღვანელების აღმზრდელობითი და საგნების წლიური კალენდარული გეგმები.

ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული სკოლის მუშაკთა სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაოდან წასვლის აღრიცხვის საქმეს.

„სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 21 ივნისის დადგენილების საფუძველზე ზოგ საგანში სწავლების ხარისხი ამაღლებულია.

კარგად ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას არბოშიკის საშუალო სკოლაში (მასწავლ. ვ. ტუხაშვილი, ზ. ტუხაშვილი) ამ სკოლის VII და X კლასების მოსწავლეებმა კარგად იციან გავლილი მასალა; გრამატიკის წესებს მართებულად იყენებენ ზეპირი მეტყველების დროს. საფუძვლიანად ერკვევიან პოეტიკის საკითხებში და ლიტერატურულ მიმართულებებში. X კლასის მოსწავლეები სათანადოდ არიან დაუფლებული გავლილ ლიტერატურულ მასალას. იციან მწერალთა შემოქმედებითი მოტივები, გავლილ ნაწარმოებთა შინაარსი, სწორად გადმოსცემენ გმირთა დახასიათებას. ასევე საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში ზემომამჩხანის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები (მასწავლ. პ. რობიტაშვილი), მათ კარგად იციან ქართული კლასიკური და თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოებები; მართებულად გაარჩიეს დიდი რუსი მწერლის სალტიკოვ-შჩედრინის მოღვაწეობის ეპოქა, შემოქმედებითი მოტივები და ზღაპარი „ბრძენთა-ბრძენი კლდის თევზას“ შინაარსი. იცნობენ რა ქართული კლასიკური ლიტერატურის ძეგლებს, მართებულად არჩევენ თითოეული მათგანის ჟანრს, სტილს, მოტივსა და შინაარსს და ახდენენ ერთი ნაწარმოების მეორესთან შედარებას.

კარგადაა დაყენებული არითმეტიკის სწავლება არბოშიკის საშუალო სკოლის II კლასში (მასწ. ვ. ალადაშვილი) მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა მიერ არითმეტიკის მასალის შეგნებულად შეთვისებას; ამ კლასის მოსწავლეები კარგად არიან დაუფლებული პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მტკიცედ და საფუძვლიანად იციან ტაბულური გამრავლება და გაყოფა, სწრაფად და სწორად აწარმოებენ ზეპირ გამოანგარიშებას, არითმეტიკულ მოქმედებებს ახდენენ სწორად, მსჯელობენ გამართული ენით, ციფრებს წერენ ლამაზად.

ამ სკოლის V კლასის მოსწავლეები (მასწ. თ. ჯანაშვილი) შეგნებულად, სწრაფად და რაციონალურად აწარმოებენ მთელსწავლას. წილად რიცხვებზე მოქმედებებს, გააჩნიათ მიღებული ცოდნის გამოყენების ჩვევები ამოცანათა ამოსახსნელად და პრაქტიკული ხასიათის უმარტივეს გამოანგარიშებათა შესასრულებლად.

ასევე კარგადაა დაყენებული ისტორიის სწავლება ზემომაჩხაანის საშუალო სკოლის უფროს კლასებში (მასწავ. ა. მენთეშაშვილი) და გეოგრაფიის სწავლება არბოშიკის საშუალო სკოლის მე-5 კლასებში. მიუხედავად ამისა, რაიონის სკოლების მუშაობას ახასიათებს ნაკლოვანებანი:

ა) **ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე ზეპირი და წერიითი მეტყველები. კულტურის დონე.** მოსწავლეთა დიდ ნაწილის მეტყველება საგრძნობლად არის დატვირთული კუთხური გამოთქმებით, ისინი წერითი მეტყველების დროს უშვებენ ორთოგრაფიულ, პუნქტუაციური და სტილისტური ხასიათის შეცდომებს. წითელწყაროს ქართული და არბოშიკის საშუალო სკოლების უფროსი კლასის მოსწავლეთა ერთი ნაწილი შეცდომებს უშვებს შეთანხმებებში,— „ხალხი მოვიდნენ“ „ისინი წავიდა“, წერითი ნამუშევრებში ვხვდებით უმართებულო გამოთქმებსა და წინადადების არასწორი დალაგების ფაქტებს:— „თავადაზნაურობის ბატონობა გლეხებისადმი“, „ყოველივე ეს შეეხო გაბატონებულ ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელსაც იმყოფებოდა— გ. ტაბიძე“, „გ. ტაბიძე პესიმისტის წარმომადგენელი იყო“, „ჯერ ურიგდებოდა ამგვარ უშინაარსო მეფისრუსეთის პოლიტიკას“, „როდესაც გლეხებს სულს უხუთავდა უუფლებობა თავადაზნაურობის მიერ“, „ხალხი პატარა მეფეს ეძახოდნენ“, „გ. ტაბიძის გონებრივი აყვავება 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მოხდა“ და სხვ.

არბოშიკის საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში ხშირად ვხვდებით მასწავლებლის მიერ შეუმჩნეველად დატოვებულ შეცდომებს, არ სწარმოებს მოსწავლეთა მუშაობა დაშვებულ შეცდომების გასწორებაზე და სხვ.;

ბ) **შემოწმებულ სკოლებში სუსტად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება.** ზემომაჩხაანის საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლეები (მასწ. ე. მაძლარაშვილი) ზეპირად ვერ ახერხებენ 160×3 ; $750 : 250$; $350 + 35$ და სხვ.; სუსტად არიან გარკვეული ზეპირსა და წერით ნუმერაციაში, არ იციან რიცხვების ზეპირი გამრავლება 10-ზე, 100-ზე და 50-ზე; არ არიან გარკვეული საზომ ერთეულებში, ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო დაახლოებით

ეჩვენება სანტიმეტრის სიგრძე; მათი წარმოდგენით სანტიმეტრი დეციმეტრის სიგრძისაა.

ამ სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. წ. თარაშვილი) არ იციან რას ეწოდება ხარისხი, ხარისხის ფუძე, ხარისხის მაჩვენებელი, ვერ ანსხვავებენ ერთმანეთის აგან ხარისხს და ხარისხის მაჩვენებელს. იციან გამრავლების შემოკლებული ფორმულები, მაგრამ არ იციან ამ ფორმულების გამოყენება; მაგალითი $(\frac{3}{4}a^2x - \frac{4}{3}a)^2$ ვერცერთმა მოსწავლემ ვერ აახარისხა.

ძლიერ დაბალია VII კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე ალგებრაში (მასწავლებელი ი. ჯანაშვილი), მათ არ იციან რას ეწოდება ტოლობა, იგივეობა, განტოლება, არ იციან პირველი ხარისხის ერთ-უცნობიანი განტოლებისა და პირველი ხარისხის ორუცნობიანი განტოლებათა სისტემის ამოხსნა. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა სისტემა):

$$\begin{cases} \frac{1}{x} + \frac{1}{y} = \frac{1}{30} \\ \frac{1}{x} - \frac{1}{y} = \frac{1}{6}. \end{cases}$$

ამ კლასის მოსწავლეებმა არც გამრავლებისა და გაყოფის შემოკლებული ფორმულები იციან, მათ ვერ შესძლეს $(x^3 - 27)$ -ს გაყოფა $(x - 3)$ -ზე.

ამ სკოლის IX-და X კლასების მათემატიკის მასწავლებელი ნ. გოცირიძე ცალკე დებულებებისა და თეორემების შესწავლასთან დაკავშირებით არ აწარმოებს ვარჯიშს მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნაზე, რის გამოც მოსწავლეებმა ძალზე სუსტად იციან გავლილი მასალა. IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან: ტრიგონომეტრიული ფუნქციის განსაზღვრა, ტრიგონომეტრიული ფუნქციების ცვლადობა კუთხის ცვლასთან დაკავშირებით, 30° , 45° და 60° -ანი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციების მნიშვნელობათა გამოანგარიშება, დამოკიდებულება ერთსა და იმავე კუთხის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს შორის, ორი კუთხის ჯამისა და სხვაობის სინუსი, კოსინუსი და ტანგენსი. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ დამტკიცა

იგივეობა; $\frac{1}{1+\operatorname{tg}^2\alpha} + \frac{1}{1+\operatorname{tg}^2\alpha} = 1$. არ იციან ათობითი ლოგარით-

მების თვისებები, მოქმედებების წარმოება უარყოფითი და წილად მაჩვენებლიან ხარისხებზე.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა X კლასში. ამ კლასის მოსწავლეებმა არ იციან დამოკიდებულება მართკუთხა სამკუთხედის გვერდებსა და კუთხეებს შორის, სინუსების, კოსინუსების და ტანგენტების თეორემები, არ ეხერხებათ სინუსების და კოსინუსების ჯამისა და სხვაობის სალოგარითმო სახეზე დაყვანა. მასწავლებლის დახმარების გარეშე ვერცერთმა მოსწავლემ ვერ მიიყვინა სალოგარითმო სახეზე $1 + \sin x$; არ იციან დამოკიდებულება ურთიერთ დამატებითი კუთხეების ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს შორის და სხვ.

მათემატიკური დისციპლინების სწავლება სუსტად არის დაყენებული წითელწყაროს ქართულ საშუალო სკოლაშიაც (მასწავ. გ. ბერძულიშვილი). გავლილ მასალიდან: შეერთებათა თეორია, ნიუტონის ბინომი, კომპლექსური რიცხვები, უტოლობანი, ბეზუს თეორემა; წინაწლებში გავლილ მასალიდან: კვადრატული განტოლება, პროგრესიები და სხვ. 11 მოსწავლიდან მხოლოდ 2 მოსწავლემ იცის ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად. წარჩინებულმა მოსწავლეებმაც ვერ დაასაბუთეს თუ a -ს რა მნიშვნელობებისათვის იქნება დადებითი წილადი $\frac{2a-5}{4-3a}$; მოსწავლეებმა სუსტად იციან პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლების გამოკვლევა, არ იციან $ax = b$ განტოლებას როდის ექნება დადებითი ფესვი, როდის უარყოფითი, როდის ნულოვანი და სხვ. ვერ განმარტეს, თუ რას ეწოდება კვადრატული განტოლება, დამოუკიდებლად ვერ ამოხსნეს განტოლება $x^2 = x$;

გ) არბოშიკის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა სუსტი ცოდნა გამოიჩინეს არაორგანიზულ ქიმიაში. მოსწავლეებმა ვერ განმარტეს ჟანგულის მჟავას და მარილის ცნება, ვერ ახსნეს, თუ რა განსხვავებაა მარტივ ნივთიერებასა და ელემენტს შორის, ვერ დაასახელეს რეაქციათა ტიპები; მათ არ აქვთ ნათელი წარმოდგენა ნივთიერების წონის მარადისობაზე, ვალენტობაზე, მჟავათა ფუძიანობაზე; არ იციან საფუძვლიანად მენდელეევის პერიოდული სისტემა; ბევრმა მოსწავლემ ვერ დაასახელა მე-4 და მე-6 ჯგუფის ელემენტები და მათი თვისებები;

დ) წითელწყაროს რუსულ, არბოშიკის და ზემომარჩხანის საშუალო სკოლებში არადაამაკმაყოფილებლად არის დაყენებული აგრეთვე ბიოლოგიურ დისციპლინების სწავლება: ზემო-მარჩხანის საშუალო-სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებმა ბოტანიკის კურსის

სრული უცოდინარობა გამოამყდავენს. მათ არ იციან მცენარის მთავარი ორგანოები და მათი ფუნქციები, ფესვთა ტიპები, მიწისქვეშა ღეროს სახეები—ტუბერი, ბოლქვი, ფესურა. ღეროსა და ფესვის დამახასიათებელი ნიშნები, არ აქვთ წარმოდგენა მცენარის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე, ვერ განმარტეს თუ როგორ მიმდინარეობს მცენარის სუნთქვა, ნახშირორჟანგის დაშლა მცენარის ფოთოლში და სახამებლის წარმოქმნა; არ იციან, თუ როგორ შედის ფესვებში ნიადაგიდან საზრდო ნივთიერებანი, ვერ დაასახელეს ვარდოსანთა და ჯვაროსან ყვავილიანთა ოჯახის წარმოდგენლები; არ იციან ყვავილის აგებულება და სხვ.

ამავე სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა დარვინიზმის საფუძვლებში აბსოლუტური უცოდინარობა გამოიჩინეს, მათ არ იციან ჩ. დარვინის დაბადების წელი, ვერ ერკვევიან დარვინის მოძღვრების ძირითად საფუძვლებში, ორგანიულ სამყაროს შესწავლის მეთოდებში, აკადემიკოს ლისენკოს მცენარეთა განვითარებისა და იაროვიზაციის თეორიაში, არ იციან თუ რა თეორიულ საფუძველზე იყო აგებული ი. მიჩურინის პრაქტიკული მოღვაწეობა და სხვ. არ აქვთ ნათელი წარმოდგენა ანალოგიურსა და ჰომოლოგიურ ორგანოებზე, არ იციან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ატავიზმის მოვლენებს ორგანიულ სამყაროს განვითარების ახსნის საქმეში. ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ კ. ა. ტიმირიაზევის მიერ წარმოებულ მეცნიერულ მოღვაწეობაზე და იმ როლის შესახებ, რაც კ. ტიმირიაზევმა შეასრულა ჩ. დარვინის მოძღვრების დაცვისა და დასაბუთების საქმეში;

ე) **წითელწყაროს ქართულ, არბოშიკის და ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლებში სუსტად არის დაყენებული ფიზიკის სწავლება.** არბოშიკის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ი. იასაშვილი არ ემზადება გაკვეთილისათვის, VIII კლასში გაკვეთილის მასალა „პოლისპასტი“ და „ოწინარი“ მან ყოველგარი თვალსაჩინოების გარეშე ახსნა, არ გააცნო მოსწავლეებს ოწინარის გამოყენების მნიშვნელობა, ოწინარის სქემა დაფაზე ბუნდოვნად დახაზა, რის გამოც ფორმულის გამოყენების დროს მოსწავლეთათვის გაუგებარი დარჩა I და R სიდიდეების მდებარეობა და თვით ფორმულაც.

არბოშიკის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ბალაშვილი სათანადო ყურადღებით არ ეკიდება ფიზიკის კურსის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებას; არ ავარჯიშებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე, სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას, რის გამოც მოსწავლეთა ცოდნის დონე ფიზიკაში დაბალია; VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან რას ეწოდება „წნევა“, ვერ განმარტეს

პილრაველიკური წნეხის მოქმედება, მექანიკურად აქვთ შეთვისებულნი ძალებისა და ძრავის შეკრება, არ ეხერხებათ ძალთა და მოძრაობათა შეკრების კანონების დაკავშირება ბუნების მოვლენებსა და ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის საკითხებთან, ასევე მექანიკურად აქვთ შეთვისებულნი ძრავათა შეკრების პარალელოგრაში.

ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლის VI კლასში მასწავლებელმა ზ. თარაშვილმა „ბარომეტრის ახსნისას არ გამოიყენა და არ აჩვენა მოსწავლეებს ბარომეტრი, რომელიც სკოლის ფიზიკის კაბინეტში იმყოფებოდა; რის გამოც მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა დარჩათ ბარომეტრის აგებულებასა, მოქმედებასა და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ასევე ზერეულედ იქნა ახსნილი VII კლასში ვოლტმეტრი და რეოსტატი.

იმავე მასწავლებლის მიერ VIII კლასში მისალა „ხახუნი და დახრილი სიბრტყე“ არასწორად იქნა ახსნილი; ხახუნის ძალის შესახებ მოსწავლეებს არ მიეცა სრული და ნათელი წარმოდგენა, ხახუნის ძალის საკითხი მასწავლებელმა არ დაუკავშირა ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას, არ განუმარტა მოსწავლეებს, თუ როგორ და რა ხელსაწყოებით იზომება ხახუნის ძალის სიდიდე, არასწორი გზით იქნა გამოყვანილი დახრილი სიბრტყის ფორმულა. დაბალია ამ სკოლის X კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე ფიზიკაში, მათ ვერ მოახერხეს V_t -ს განსაზღვრა ფორმულიდან $\beta = \frac{V_t - V_0}{V_0 t}$. ფიზიკის ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს არა აქვს დათმობილი საჭირო დრო;

გ) არბოზიკის საშუალო სკოლის V—VII კლასებში ცუდად ისწავლება ისტორია. მასწავლებელი ბ. ჯავაშვილი არ არის დაუფლებული საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე, VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან პირველი პუნქტური ომის გამომწვევი მიზეზები, არ იციან თუ რომელ ქვეყნებს შორის წარმოებდა ეს ომი, სად მდებარეობს კართაგენი, ვერ ერკვევიან სპარტაკის აჯანყების მიზეზებში, მონათა ზრდის წყაროებში, კარლოს დიდის იმპერიის დაშლის მიზეზებში, პაპი გრიგოლ VII და იმპერატორს ჰენრიხ IV ბრძოლის მიმდინარეობაში და სხვა ძირითად საკითხებში. მოსწავლეების მიერ ისტორიულ სახელებისა და თარიღების მართებულად დასწავლას არ ექცევა სათანადო ყურადღება;

ზ) არბოზიკისა და ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლებში უხეშად არის დარღვეული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ტროს ინსტრუქცია შვიდწლიანი და საშუალო სკოლის გადასაცემის გამოცდებისა და დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების IV და VII კლასების დასამთავრებელი გამოცდების ჩატარების შესახებ. არბოშიკის საშუალო სკოლის დირექტორმა ალ. მოსაშვილმა ამ სკოლის VII კლასის ერთერთ მოსწავლეს, რომელსაც საშემოდგომო გამოცდა ჰქონდა ქართულ ენისა და ლიტერატურაში და ალგებრაში, გამოცდების ჩაბარების გარეშე მისცა შვიდი კლასის დამთავრების მოწმობა, ხოლო ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლაში საშემოდგომო გამოცდების ჩაბარების გარეშე შემდგომ კლასში გადაიყვანა მე-5 და მე-8 კლასების 3 მოსწავლე.

გარდა ამისა შესწავლილ სკოლებში მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობისა, მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობისა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომქმედი დირექტივების მოვლადაცვისა და სკოლის მუშაობის სხვა დარგებში.

შ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დაევალოს სკოლის დირექტორებსა და სახწავლო ნაწილის გამგეებს:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გავლილი მასალის განმეორებას; IV, VII და X კლასებში გავლილი მასალის განმეორებისას ზუსტად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებით და უზრუნველჰყონ მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის მთლიანად და სატუძღვლიანად შეთვისება;

ბ) ამთავითვე მიიღონ სათანადო ზომები წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში რუსული ლიტერატურის კურსის შესწავლის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ხოლო წითელწყაროს ქართულ, არბოშიკისა და ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლებში მათემატიკურ დისციპლინებში მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის, რისთვისაც ხსენებული სკოლების პედაგოგიური საბჭოს უახლოეს სხდომებზე განიხილონ X კლასებში რუსული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის სწავლების მდგომარეობა და დასახონ ამ საგნების სწავლების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებანი;

გ) არბოშიკის საშუალო სკოლის X კლასში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოს-

წავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, სკოლის დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ სისტემატურად მოისმინონ რუსულ ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები X კლასში, პირადად შეამოწმონ მოსწავლეთა ცოდნის დონე და მისცენ მასწავლებელს სათანადო მითითებანი;

დ) სისტემატური კონტროლი დააწესონ წერიითი სამუშაოების ჩატარებაზე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში, შეამოწმონ მოსწავლეთა წერიითი ნამუშევრები და დასახონ ღონისძიებანი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა წერიითი მეტყველების კულტურის დონის ამაღლებას;

ე) საგნობრივი მეთოდური კომისიების მუშაობა გარდაქმნან იმგვარად, რომ ის ნამდვილად უწყობდეს ხელს მასწავლებელთა მეთოდურ დახელოვნებას, მე-4 მეოთხედის მანძილზე საგნობრივი კომისიების მუშაობის ძირითად საგნად გახადონ პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის მთლიანად გავლა და გავლილი მასალის საფუძვლიანი განმეორება;

ვ) სრულ წესრიგში მოიყვანონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები, ამ საგნების სწავლებისას უზრუნველყონ თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენება და არ დაუშვან გაკვეთილების ჩატარება კაბინეტებში არსებული ხელსაწყო-იარაღებისა და ცდებისათვის საჭირო რეაქტივების გამოყენების გარეშე;

ზ) ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლის დირექტორმა ალ. მენტე-შაშვილმა ყოველდღიური კონტროლი დააწესოს ბიოლოგიის მასწავლებელ ბ. გონაშვილის მუშაობაზე, პირადად შეამოწმოს მოსწავლეთა ცოდნის დონე ბოტანიკასა, ბიოლოგიასა, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიასა და დარვინიზმის საფუძვლებში და დასახოს საგნების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებანი;

თ) მტკიცე კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაზე; არ დაუშვან მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმი და სხვა სახის დამახინჯებანი; მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისას ნიშნების გამოყვანის საქმეში განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებით დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასების ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემის გამოყენების შესახებ.

2. დავვალის ცალკე სახწავლო დისციპლინების მასწავლებლებს:

ა) განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდონ პროგრამებით გათვალისწინებული მასალის მთლიანად გავლისა და მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების შეგნებულად შეთვისების საქმეს; მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ზეპირი და წერიითი მეტყველების კულტურის დონის ამაღლებას, სისტემატურად ავარჯიშონ მოსწავლეები ლიტერატურული ნაწარმოების ტექსტზე და გრამატიკულ წესებისა და კანონების შეგნებულად დასწავლას;

ბ) წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ნ. ლუპერსოლსკიმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა მიერ ლიტერატურული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობას და მოსთხოვოს მათ სათანადო საზეპირო ადგილების ზეპირად ცოდნა;

გ) არბოშიკის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ვ. ტუხაშვილმა მეტი ყურადღება მიაქციოს X კლასის მოსწავლეთა მიერ ლიტერატურული მიმართულებების, ჟანრისა და პოეტიკის ელემენტების სწორად და შეგნებულად შეთვისებას; გააძლიეროს მუშაობა გრამატიკის კურსის მთლიანად გავლისა და მოსწავლეთა მიერ ამ მასალის შეგნებულად ათვისების უზრუნველსაყოფად;

დ) არბოშიკის, წითელწყაროსა და ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მიიღონ სათანადო ზომები მოსწავლეთა ლექსიკონის გამდიდრებისა, სიტყვების სწორად გამოთქმისა, რბილი ნიშნისა და მახვილის მართებულად ხმარების ჩვევების დანერგვისათვის; სისტემატური ხასიათი მისცენ ლექსიკურ მასალაზე მუშაობას. ყოველდღიურად ავარჯიშონ მოსწავლეები ლიტერატურულ ტექსტზე, მტკიცედ მოსთხოვონ მოსწავლეებს საზეპირო მასალის შეგნებულად დასწავლა, მისცენ მოსწავლეებს რუსული სიტყვებისა და ფრაზების მართებულად გამოთქმისა და მხატვრული კითხვის ნიმუშები. რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე სიტყვების ახსნისას ფართოდ გამოიყენონ სინონიმები;

ე) მათემატიკის მასწავლებლებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსწავლეთა მიერ მათემატიკური წესებისა და კანონების შეგნებულად შეთვისებისათვის; სისტემატური ხასიათი მისცენ ვარჯიშს ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნაზე; ახალი თემის შესწავლაზე არ გადავიდნენ მანამ, სანამ არ იქნება ჩატარებული სათანადო



ვარჯიში მიღებული ცოდნის ჩვევად გადაქცევისა ჯგის; დაწყებითი კლასების არითმეტიკის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში არითმეტიკული მოქმედებების შეგნებულად და სწრაფად წარმოების ჩვევების გამომუშავებას, მეტი დრო დაუთმონ ვარჯიშს ზეპირ გამოანგარიშებაზე, სათანადო ყურადღება მიაქციონ კომპონენტების ცნებისა და კომპონენტების ურთიერთ დამოკიდებულების მოსწავლეთა მიერ მართებულად გაგებას;

ვ) ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ნ. გოცირიძემ გადაჭრით გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი, სისტემატურად და საფუძვლიანად ემზადოს ყოველი გაკვეთილისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა მიერ მათემატიკური წესებისა და დებულებების შეგნებულად შეთვისებას და X კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას, ამ მიზნით სკოლის დირექტორთან შეთანხმებით X კლასში ჩაატაროს დამატებითი გაკვეთილები;

ზ) ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ი. ჯანაშვილმა სისტემატურად იმუშაოს საკუთარი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ყოველი გაკვეთილისათვის საფუძვლიანი მომზადებით უზრუნველჰყოს გაკვეთილის სწორად ჩატარება და მათემატიკური ხასიათის შეცდომების თავიდან აცილება;

თ) არბოშიკის საშუალო სკოლის V, VI და VII კლასების ისტორიის მასწავლებელმა ბ. ჯავაშვილმა იზრუნოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, დაეუფლოს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს; ისტორიის გაკვეთილზე გამოიყენოს რუკა და თვალსაჩინო მასალა და მიაღწიოს მოსწავლეთა მიერ ისტორიული მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შეგნებულად გაგებას, ისტორიული სახელებისა და თარიღების სწორად და მტკიცედ შეთვისებას;

ი) ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებმა სწავლებაში მაქსიმალურად გამოიყენონ ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები, სისტემატური ხასიათი მისცენ გავლილი მასალის განმეორებას ყველა კლასში და განსაკუთრებით VII და X კლასებში; ხშირად ავარჯიშონ მოსწავლეები ფიზიკური და ქიმიური ამოცანების ამოხსნაზე და მიაღწიონ მოსწავლეთა მიერ მასალის შეგნებულად შეთვისებას;

კ) ბიოლოგიურ დისციპლინების მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ ბუნების მოვლენათა კანონზომიერების, ორგანიული ბუნების ნაირსახეობისა და ერთიანო-

ბის, ცალკე სისტემატიკურ ერთეულების წარმოშობით ნათესაობის გარდამავალ საფეხურზე მდგომ ფორმების და ფიზიოლოგიურ ცესების მატერიალობის სწორად და შეგნებულად შეთვისებას და მოსწავლეებში საჭირო პრაქტიკული ცოდნა-ჩვევების გამომუშავებას.

ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა ბ. გონაშვილმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს IX კლასის მოსწავლეთა მიერ დარვინიზმის საფუძვლების კურსის მთლიანად და შეგნებულად შეთვისებას, დარვინიზმის საფუძვლების სათანადო თემები მჭიდროდ დაუკავშიროს ბოტანიკის, ზოოლოგიისა და ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიის შესაბამის თემებს; მაქსიმალურად გამოიყენოს სწავლებაში თვალსაჩინოება და ექსკურსიები;

ლ) გეოგრაფიის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში რუკის სწორი კითხვის ჩვევების გამომუშავების, გეოგრაფიული ცნებებისა და ტერმინების სწორად დასწავლასა და გეოგრაფიული კრიტერიუმის მართებულად გაგებას.

3. არბოშიკის საშუალო სკოლის დირექტორი ალექსანდრე მოსაშვილი განთავისუფლდეს თანამდებობიდან საშემოდგომო გამოცდამიციმულ მოსწავლისათვის გამოცდების ჩაბარების გარეშე შვიდი კლასის მოწმობის უკანონოდ გაცემისათვის.

4. ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლის დირექტორს ალექსანდრე მენთეშაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური საშემოდგომო გამოცდების ჩაბარების გარეშე მოსწავლის შემდგომ კლასში გადაყვანისათვის.

5. მოიხსნას თანამდებობიდან წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი გერონტი ბერძულიშვილი მასწავლებლისათვის შეუფერებელი საქციელისათვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ ის დახმარების ნაცვლად თავისივე მოსწავლეებს კერძოდ ამაჯადინებდა და მათგან ამისათვის ლებულობდა საფასურს.

6. ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლებს ნ. გოცირიძესა და ი. ჯანაშვილს და ბიოლოგიის მასწავლებელ ბ. გონაშვილს საგნის სწავლების ცუდად დაყენებისათვის გამოეცხადოს საყვედური და გაფრთხილებული იქნან, რომ თუ არ გარდაქმნიან მუშაობას 1946—47 სასწავლო წლიდან ისინი მოხსნილნი იქნებიან თანამდებობიდან.

7. საგნის სწავლების სუსტად წარმართვისათვის მიეთითოს არბოშიკის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს ბ. ჯავაშვილს.

8. მიეთითოს წითელწყაროს საშუალო სკოლის დირექტორს ვერა პოპიაშვილს იმის გამო, რომ მან ვერ უზრუნველყო სასწავლო კაბინეტების, კერძოდ ფიზიკის კაბინეტის მოვლა და მისი სწავლებაში გამოყენება.

9. დაევალოს წითელწყაროს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ბ. კობალაძეს სერიოზული ყურადღება მიაქციოს სასწავლო კაბინეტების გამოყენების საქმეს, გააძლიეროს ხელმძღვანელობა სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე და არ დაუშვას მასწავლებელთა შორის საგნების არარაციონალურად განაწილება.

10. ეს ბრძანება განხილულ იქნას წითელწყაროს რაიონის ყველა დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ა/წ 30 აპრილამდე და დასახულ იქნას სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი მ. კუპრაძე.

მხრომელთა დავუბატების თეთრიწყაროს რაიხაზოს აღმა-
ხრულშედილი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების

გ ა მ გ ე ს .

1946 წლის 18/IV—28/IV საქართველოს სსრ განათლების სა-
მინისტრო დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექ-
ტორების ე. ინგოროყვას, მ. ბებურიშვილის, ნ. გელაშვილისა და
ვ. გოცირიძის მიერ თეთრიწყაროს რაიონის სკოლების მუშაობის
გამოკვლევის შედეგად წარმოდგენილი მასალებით დადასტურებულია,
რომ ირაგის, თეთრიწყაროს ქართული და რუსული, ასურეთის და
ბოგვის საშუალო სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა ძირი-
თადად სწორად წარმართავს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას,
რის შედეგადაც მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში მიღწეულია
გარკვეული წარმატება.

ირაგის საშუალო სკოლის მასწავლებლები: ნ. ტახციდი (რუ-
სული ენა და ლიტერატურა), ლ. ლაზარიდი (ისტორია), თეთრიწყა-
როს ქართული საშუალო სკოლის მასწავლებლები: თ. ბუაძე (ქარ-
თული ენა და ლიტერატურა), ი. გოგორიშვილი (ისტორია), ლ.
ადიკაშვილი (ბიოლოგია); თეთრიწყაროს რუსული საშუალო სკო-
ლის მასწავლებლები: ი. აპოსტოლოვი (ისტორია), პ. კლევეტოვი,
ა. მალაშევიჩი და ა. ალიხანიდი (მათემატიკა), პ. იონიდი (გეოგრა-
ფია); ასურეთის საშუალო სკოლის მასწავლებლები: ა. ჯაფარიძე
(ქართული ენა და ლიტერატურა), გ. ინასარიძე (გეოგრაფია); ბოგ-
ვის საშუალო სკოლის მასწავლებლები: კ. თუშურაშვილი (მათემა-
ტიკა), დაწყებითი კლასების—ლ. ანთიძე და თ. ბეგიაშვილი და
და სხვები კარგად არიან დაუფლებული საგანსა და მისი სწავლე-
ვის მეთოდებს. გაკვეთილებს ატარებენ მეთოდურ-ორგანიზაციული
თვალსაზრისით სწორად, სასწავლო მასალას მოხდენილად იყენებენ
აღმზრდელობითი მიზნებისათვის და მოსწავლეებს აიარაღებენ სა-
თანადო ცოდნა-ჩვევებით.

მიუხედავად ამისა, შესწავლილი სკოლების მუშაობაში ადგილი
აქვს ნაკლოვანებებს, ამათგან მთავარია შემდეგი:

ა) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი სრულად
არ არის ვატარებული. თეთრიწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში

1945-46 საწავლო წლის დასაწყისში მიღებული უნდა ყოფილიყო 614 მოსწავლე, ფაქტიურად მიღებულია 603 მოსწავლე, ამიტომ სასწავლო წლის მანძილზე სკოლას ჩამოშორდა 51 მოსწავლე.

თეთრიწყაროს ქართულ საშუალო სკოლიდან მიმდინარე სასწავლო წილს განთესილია 21 მოსწავლე, ბოგვის საშუალო სკოლიდან—5, ხოლო ირაგის საშუალო სკოლიდან—10 მოსწავლე;

ბ) აღნიშნულ სკოლებში, გარდა თეთრიწყაროს რუსული საშუალო სკოლისა, საქართველოს სსრ განსახკომის 1944 წლის 7 თებერვლისა და 9 მარტის ბრძანებები შეიღწილიან და საშუალო სკოლებში ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორიული მუშაობის შესახებ არ სრულდება; ცუდად არის მოვლილი ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები. ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები ერთ ოთახშია მოთავსებული, რის გამოც ფიზიკის ხელსაწყო იარაღები საგრძნობლად დაზიანებულია.

ასურეთის საშუალო სკოლაში ჰიდრაულიკურ სასწორს აკლია შუშის კურკლები, ჯამები, საყრდენი პრიზმები, ელექტროფორულ მანქანას არა აქვს სახელური, ავლეჯილი აქვს ამალგამის ფირფიტები; ასევე მოუვლელობის გამო დაზიანებულია ფიზიკის კაბინეტის ძვირფასი ხელსაწყო იარაღები ირაგის საშუალო სკოლაშიაც.

ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები გაკვეთილებს ატარებენ თვალსაჩინოების გარეშე. ასურეთის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა არც კი იცის, თუ რა რეაქტივები მოეპოვება სკოლას ქიმიის კაბინეტში;

გ) სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი სათანადოდ არ არის გამოყენებული მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვისათვის. ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები კლასგარეშე კითხვას არ აქცევენ ყურადღებას. სათანადო ყურადღება არ ექცევა აგრეთვე მოსწავლეთა საგნობრივი წრეების მუშაობას;

დ) შესწავლილ სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასწავლო სააღმწრდელო მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საქმე. ირაგის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს ბოტანიკისა, ზოოლოგიისა, ადამიანის ანატომიისა, ფიზიოლოგიისა და დარვინიზმის საფუძვლების წლიური კალენდარული გეგმები 1935 და 1939 წლების პროგრამების მიხედვით აქვს შედგენილი. ირაგის, ბოგვის, ასურეთისა და თეთრიწყაროს რუსულ საშუა-

ლო სკოლებში კლასის ხელმძღვანელთა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმები არ არის შედგენილი საქართველოს სსრ განსაკუთრებული ხომის დებულების მიხედვით, ხოლო თეთრიწყაროს ქართულ სკოლაში კლასის ხელმძღვანელებს სრულიად არ შეუდგენიათ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმები.

ე) ირაგის რუსულ საშუალო სკოლაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება (მასწ. შ. ერემაძე). VIII კლასის მოსწავლეებს არა აქვთ გამოუმუშავებული სწორი კითხვის ჩვენები, გრამატიკის მასალა სუსტად იციან, მათ ვერ დაასახელებს წინადადების სახეები, წინადადების მთავარი წევრები, სიტყვის შემადგენელი ნაწილები და შეტყველების ნაწილები. არ იციან გავლილი ლიტერატურული მასალა, მოსწავლეებმა ვერ გადმოსცეს ვერცერთი მოთხრობის და ლექსის შინაარსი; მეტად დაბალია მოსწავლეთა წერიითი შეტყველების კულტურის დონე.

ვ) ასურეთის საშუალო სკოლაში ცუდად ისწავლება მათემატიკა (მასწავ. ვ. ჩაჩუა). ამ სკოლის X კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე მეტად დაბალია, მათ არ იციან წყობის, გადანაცვლების და ჯუფთებათა რიცხვის მისაღები ფორმულები, ბინომის ძირითადი თვისებები; ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა განტოლება $x^2 - 1 = 0$; ვერ მიიყვანეს სალოგარიტმო სახეზე $1 - \sin a$ და სხვ.

ზ) ამავე სკოლაში ცუდად არის დაყენებული ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის სწავლება (მასწავ. ვ. ჩიტალაძე) IX და X კლასების მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მასალა ქიმიისა.

VIII კლასის მოსწავლეებმა ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის კურსის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს; მათ არ იციან უჯრედის ნაწილები და მათი ფუნქციები, უჯრედის გამრავლების სახეები, ცალკე ქსოვილები და მათი დანიშნულება, საკუთარ სხეულზე ვერ აჩვენეს მფარავი ქსოვილი, ვერ დაასახელებს ზემო და ქვემო კიდურების, თავის ქალასა და გულმკერდის ძვლები, ვერ განმარტეს ერთროციტებისა და ლეიკოციტების დანიშნულება, არ იციან სისხლის პლაზმის შედგენილობა, გულის აგებულება, როგორ წარმოიშობა სისხლში ნახშირორჟანგი, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ნერვიული სისტემის აგებულებასა და მოქმედებაზე, ვერ დაასახელებს ადამიანის თავის ტვინის ნაწილები და მათი ფუნქციები, გამოყოფის ორგანოები, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები, ვერ განმარტეს საზრდოს

მონელების მნიშვნელობა, ვერ და დასახელეს საზრდოს გადამუშავების ხელისშემწყობი ფერმენტები და სხვა.

ასევე ცუდად არის დაყენებული ქიმიისა და ბიოლოგიურ დისციპლინების სწავლება ბოგვის საშუალო სკოლაში (მასწავ. ეკ. ალიბეგაშვილი); X კლასში ქიმიის კურსის გავლა 31 საათით არის ჩამორჩენილი; ა/წ 27 აპრილს არ იყო დაწყებული არაორგანიული ქიმიის კურსის განმეორება.

გავლილი მასალა მოსწავლეებმა არ იციან მტკიცედ; მათ ვერ განმარტეს ორგანიული ქიმიის საგანი, არ აქვთ ნათელი წარმოდგენა უნაჯერო და ნაჯერი რიგის ნახშირწყალბადებზე, ვერ შესძლეს ჰალოგენწარმოებულის მიღების ხერხის გადმოცემა, არ იციან რა არის ვალენტობა და სხვ.

ამავე სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა დარვინიზმის საფუძვლების კურსის სრული უცოდინარობა გამოამქლავნეს. მოსწავლეებმაც არ იციან: ჩ. დარვინის ბიოგრაფია და მისი მოძღვრების ძირითადი საფუძვლები—ცვალებადობა და მემკვიდროება, ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევა, არსებობისათვის ბრძოლის სახეები, არ იცნობენ დარვინიზმისათვის მებრძოლ დიდ მეცნიერებს—კ. ტიმირიაზეფს, ი. მიჩურინს, ლისენკოს და სხვებს, წარმოდგენა არა აქვთ ი. მიჩურინის პრაქტიკულ და თეორიულ შრომა-მოღვაწეობაზე, არ იცნობენ აკადემიკოს ლისენკოს თეორიებს, ვერ დაასახელეს ორგანულ სამყაროს შესწავლის მეთოდები, ვერ განმარტეს, თუ რას შეისწავლის პალეონთოლოგია, ვერ დაასახელეს სიცოცხლის წარმოშობის შესახებ არსებული ჰიპოთეზები და თეორიები.

თეთრიწყაროს ქართულ საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი მასალა ქიმიაში. მოსწავლეებს სუფრის მარილი პერიოდული სისტემის მე-7 ჯგუფის ელემენტი ჰგონიათ, ხოლო ზოგიერთ მოსწავლეს ქლორი მყარ კრისტალურ ნივთიერებად აქვს წარმოდგენილი; არა აქვთ სწორი წარმოდგენა ქლორის, გოგირდის, აზოტის და ფოსფორის ფიზიკურსა და ქიმიურ თვისებებზე და მათ ნაერთებზე;

• თ) ბოგვის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა არა-დამაკმაყოფილებლად იციან ისტორია (მასწავ. თ. ვაბრიჩიძე). მათ ვერ განმარტეს პირველი იმპერიალისტური ომის გამომწვევი მიზეზები. როგორ ომს ეწოდება სამოქალაქო ომი, არ იციან 1812 წლის სამამულო ომი და სხვ.

ი) ასურეთის და ბოგვის საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეები ვ. ჩაჩუა და ეკ. ალიბეგაშვილი მასწავლებელთა მუ-

შაობაზე ვერ ანხორციელებენ სათანადო კონტროლს, დამწყებ მასწავლებლებს ვერ უწევინ მეთოდურ დახმარებას, სასწავლო წლის განმავლობაში ბოგვის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გაშვება ეკ. ალიბეგაშვილს მოსმენილი აქვს მხოლოდ 13 გაკვეთილი, ხოლო ასურეთის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ვ. ჩაჩუას 17 გაკვეთილი; მათ არ იციან, თუ როგორაა დაყენებული სკოლაში ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლება.

ა) სასწავლო ნაწილის გამგეები ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ამოწმებენ მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ობიექტურობასა და მეოთხედური ნიშნების შესაბამისობას ცოდნის მიმდინარე შეფასების ნიშნებთან. ირაგის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეს, რომელსაც საკლასო ჟურნალში არ აქვს შეფასების ნიშანი რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ალგებრაში, გეომეტრიაში, ტრიგონომეტრიაში, ფიზიკაში, ისტორიაში მე-3 მეოთხედის მეოთხედურ ნიშნად უწერია: რუსულ ლიტერატურაში „4“, ალგებრაში—„5“ გეომეტრიაში—„5“ ტრიგონომეტრიაში—„4“, ისტორიაში—„5“ და ფიზიკაში „5“, აღნიშნული მოსწავლე დასახელებულ საგნებში ვერ ამქლავნებს საფუძვლიანსა და მტკიცე ცოდნას.

ბოგვის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეს, რომელსაც მესამე მეოთხედის მანძილზე ცოდნის მიმდინარე შეფასებისას მიღებული აქვს ნიშნები: ქართულ ლიტერატურაში—„4“, „2“ რუსულ ენასა და ლიტერატურაში—5, 4, 3, 2, ალგებრაში—4, 2, ქიმიაში—2, მეოთხედურ ნიშნად გამოყვანილი აქვს: ქართულ ლიტერატურაში „4. რუსულ ენასა და ლიტერატურაში—„4“, ალგებრაში—„4“, ქიმიაში—„4“.

ანალოგიურ შემთხვევებს აქვს ადგილი ასურეთისა და თეთრიწყაროს საშუალო სკოლებშიაც.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო საჭიროდ ცნობს თეთრიწყაროს რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ და დასახელებულ სკოლების დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა და მასწავლებლებმა გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

- 1) სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:
 - ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის მთლიანად გავლას, გავლილი მასალის განმეორებასა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას;
 - ბ) ირაგის საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. ლაზარდომ ქარ-

თული ენის სწავლების საკითხი განიხილოს პედაგოგიურ საბჭოს უახლოეს სხდომაზე და დასახოს ამ საგნის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებანი. 1946/47 სასწავლო წელს უზრუნველ-
ჭყოს სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურაში წინაწლებში არსებულ ჩამორჩენის აღმოფხვრა, პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო მასალის მთლიანად გავლა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება;

გ) თეთრიწყაროსა და ასურეთის საშუალო სკოლების დირექტორებმა ი. გოგორიშვილმა და გ. ინასარიძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათემატიკურ დისციპლინების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების დაწყებამდე დაწვრილებით შეისწავლონ მოსწავლეთა მიერ მათემატიკის პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო მასალის შეთვისების მდგომარეობა და დასახონ ისეთი ღონისძიებანი, რაც 1946/47 სასწავლო წლის დასაწყისიდანვე უზრუნველჭყოფს საგნების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და პროგრამით გათვალისწინებულ მასალის მთლიანად გავლას;

დ) ბოგვისა და ასურეთის საშუალო სკოლების დირექტორებმა ვ. თუშურაშვილმა და გ. ინასარიძემ ქიმიისა და ბიოლოგიურ დისციპლინების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე ყოველდღიური კონტროლი დააწყესონ მასწავლებელ ეკ. ალიბეგაშვილისა და ვ. ჩიტალაძის მუშაობაზე, პირადად შეამოწმონ მოსწავლეთა ცოდნის დონე ქიმიისა და ბიოლოგიურ დისციპლინებში, მომავალ სასწავლო წლიდან ამ საგნების სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახონ საჭირო ღონისძიებანი;

ე) ირაგის, ბოგვისა და ასურეთის საშუალო სკოლების დირექტორებმა 10 დღის ვადაში მოიყვანონ სრულ წესრიგში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები, ჩაატარონ სასწავლო კაბინეტების ქონების ინვენტარიზაცია, სათანადო დოკუმენტებით ჩააბარონ კაბინეტის ქონება კაბინეტის გამგებებს და დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა ხელსაწყო-იარაღების მოვლა პატრონობაზე.

სისტემატური კონტროლი დააწყესონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიურ დისციპლინების სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებაზე, სასკოლო ექსპერიმენტის ჩატარებაზე და ცალკე საკითხების ლაბორატორიულ წესით დამუშავებაზე;

ვ) პედაგოგიურ საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილონ საქარ-

თველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი, ინსტრუქციები და დამატებითი განმარტება კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების შესახებ და დასახონ ისეთი ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ნორმალულურად ჩატარებას.

2. ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებმა:

ა) თეორიწყაროს და ასურეთის საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებლებმა ნ. ჩიტაიამ და ვ. ჩაჩუამ სასწავლო წლის დამთავრებამდე დამატებით ავარჯიშონ მოსწავლეები მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნაზე, ზეპირ გამოანგარიშებაზე; მოსწავლეთა საკონტროლო და საშინაო წერიითი ნამუშევრები შეამოწმონ გულდასმით და შეაფასონ ობიექტურად;

ბ) ბოვეისა და ასურეთის საშუალო სკოლების ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა ეკ. ალიბეგაშვილმა და ვ. ჩიტალაძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ ქიმიისა და ბიოლოგიის კურსის საფუძვლიან შეთვისებას, ავარჯიშონ მოსწავლეები ქიმიური ამოცანების ამოხსნაზე, ქიმიისა და ბიოლოგიურ დისციპლინების სწავლებაში ფართო ადგილი დაუთმონ თვალსაჩინოებას, ცდებს, ლაბორატორიულ მუშაობას და ექსკურსიებს; სწავლებაში გამოიყენონ სკოლის სასწავლო მიწის ნაკვეთი და აწარმოონ იქ დაკვირვებები თესლის აღმოცენებაზე, მცენარის ზრდა-განვითარებაზე, დაყვავილებაზე და ნაყოფის განვითარება-დამწიფებაზე.

ქიმიისა და ბიოლოგიურ დისციპლინების სწავლებაში მიმდინარე სასწავლო წელს არსებული ნაკლოვანებანი გაითვალისწინონ 1946/47 სასწავლო წლის დასაწყისიდანვე და იმგვარად წარმართონ მუშაობა, რომ უზრუნველყოფილი იქნას პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის მთლიანად გავლა, გავლილი მასალის საფუძვლიანი განმეორება და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება.

ბიოლოგიურ დისციპლინების მასწავლებლებმა სასწავლო წლის დამთავრებისას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბიოლოგიის პროგრამების შესაბამისად მისცენ მოსწავლეებს საზაფხულო დავალებები და 1946/47 სასწავლო წლის დასაწყისში საფუძვლიანად შეამოწმონ მოსწავლეთა მიერ დავალებების შესრულება;

გ) ირაგის რუსული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ერემიძემ სისტემატურად იმუშაოს საკუთარ პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ყოველდღიურად

საფუძვლიანად მოემზადოს ყოველი გაკვეთილისათვის და გაკვეთილის ორგანიზაციულ-მეთოდური თვალსაზრისით სწორად ჩატარებით, სასწავლო მასალის შინაარსობრივად სწორად, მიმზიდველ ფორმაში გადაცემით უზრუნველჰყოს მოსწავლეებში ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლისადმი პასუხისმგებლობის შეგნების გამომუშავება და მათი ცოდნის დონის ამაღლება.

3. თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებაში:

ა/წ 20 იენისამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წარმოადგინოს დასკვნა ასურეთის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ვ. ჩაჩუას მასწავლებლად დატოვების შესაძლებლობის შესახებ;

ბ) 1946/47 სასწავლო წლის დასაწყისამდე უზრუნველჰყოს რაიონის სკოლების მომარაგება ცალკე სასწავლო დისციპლინების პროგრამებითა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტებით და დააწესოს მტკიცე კონტროლი მათ განუხრელად შესრულებაზე;

გ) კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების დაწყებამდე შეამოწმოს სკოლების მზადყოფნა გამოცდებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურ შეფასებას და წლიური ნიშნების მართებულად გამოყვანას;

დ) ეს წერილი განიხილოს თეთრიწყაროს რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დასახოს სათანადო ღონისძიებანი.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
დაწესებითი და საშუალო სკოლის
სამმართველოს უფროსი უ.შ. ოზოლაძე**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
დაწესებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს
ენსპექციის უფროსი უ. იაშვილი**

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 277—მცხეთის რაიონის ნინბისის საშუალო სკოლის მუშაობის შესახებ	86
2. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 393—თბილისის რაიონის ზოგიერთი სკოლის მუშაობის შესახებ	3
3. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 506—საყოველთაო - სავალდებულო სწავლების განხორციელების შემოწმების შედეგების შესახებ	6
4. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 552 - ბოლნისის რაიონის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ	14
5. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 582—გურჯაანის რაიონის სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შესახებ	18
6. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 620—აჭარის ასსრ რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლის მუშაობის შესახებ	31
7. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 155—ქ. ქუთაისის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ	33
8. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 172—სიღნაღის რაიონის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ	53
9. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 173 — წითელწყაროს რაიონის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ	79
10. თ ე თ რ ი წ ყ ა რ ო ს სახალხო განათლების განყოფილების გამგეს	82
	95



საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებითა და
განკარგვლებათა


პრეზული

წელიწადი მეცხრე

№ 7—8	Сборник приказов и Распоряжений Министер- ства Просвещения Грузинской ССР	1946 წ.
-------	--	---------

შ ი ნ ა რ ს ი

1. ბრძანება № 607—1946 წ. ზაფხულის განმავლობაში ბავშვთა ჯან- მრთელობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ	83- 2
2. ბრძანება № 540—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლე- ბისა და საბავშვო დაწესებულებების 1946—47 სასწავლო წლისათ- ვის მომზადების შესახებ	14
3. დებულება—განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტისა	18
4. სასწავლო გეგმა—დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისა	32
5. სასწავლო გეგმა—რუსული დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკო- ლებისა	33
6. სასწავლო გეგმა—ახერბაიჯანული და სომხური დაწყებითი, რვაწლი- ანი და საშუალო სკოლებისა	34
7. დებულება—დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებთან არსებულ მშობელთა კომიტეტისა	35



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 607

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1946 წლის „ნ“ ივნისი

1946 წლის ზაფხულის განმავლობაში გავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 29 მაისის დადგენილების შესაბამისად, 1946 წლის ზაფხულის განმავლობაში ბავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში საზაფხულო გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში განათლების ორგანოების ხაზით გატარებული იქნას 45,556 ბავშვი, მათ შორის:

ა) საზაფხულო აგარაკებზე გაყვანილ იქნას 2800 სკოლამდელი ასაკის ბავშვი, ხოლო ადგილობრივ გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანილ იქნას 2820 ბავშვი (დანართი № 1).

ბ) პიონერთა საზაფხულო ბანაკებში გატარებული იქნას 670 ბავშვი, ხოლო

გ) პიონერთა საზაფხულო გამაჯანსაღებელ მოედნებზე ქალაქებისა და რაიონების ცენტრებში 20.000 მოსწავლე (დანართი № 2-3).

დ) გაყვანილ იქნეს სააგარაკოდ ნავთლულის, მახარაძის, ბათუმის, ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საბავშვო სახლები 350 აღსაზრდელის რაოდენობით (დანართი № 4).

ე) გადაყვანილ იქნას ადგილზე სანატორიული ტიპის გაძლიერებულ კვებაზე შემდეგი საბავშვო სახლები; კოჯრის ყველა საბავშვო სახლი, ქუთაისის, მახინჯაურის, სიღნაღის, ბორჯომის, ზუგდიდის, გორის, ქუთაის (სამხრ. ოსეთი) და თელავის—1670 აღსაზრდელის შემადგენლობით (დანართი № 5).

ვ) დანარჩენი საბავშვო სახლების 2180 აღსაზრდელს ზაფხულის პერიოდში მიეცეს გაძლიერებული კვება თანახმად თანდართული ნორმებისა (დანართი № 6).



ზ) გაყვანილ იქნას 15 დღიან სასკოლო სამხედრო ზანაკებში მე 8, მე-9 კლასის 14.657 მოსწავლე (დანართი № 7).

თ) მოეწყოს სანატორიული ტიპის ნორჩტურისტთა მოძრავი და სასპორტო საწრეთნო ბანაკი 409 ბავშვის კონტინგენტით (დანართი № 8—9).

2. განათლების სამინისტროს მუდმივ მომქმედ სატყეო სკოლა ინტერნატში გატარებულ იქნას 250 ბავშვი.

3. საბავშვო გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში ბავშვთა ყოფნის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ა) საერთო ტიპის ბანაკის ცვლის ხანგრძლივობა 21 დღე,
- ბ) სანატორიული ტიპის პიონერთა ბანაკის . . . 40 დღე,
- გ) პიონერთა საზაფხულო მოედნის 30 დღე,
- დ) საბავშვო სახლებში 90 დღე,
- ე) საბავშვო ბაღებში 75 დღე.

4. საერთო ტიპის პიონერთა ბანაკში გაიგზავნოს ბავშვები 7-წლიდან 13 წლამდე ჩათვლით. სანატორიული ტიპის ბანაკებში ბავშვები—7—14 წლის ასაკამდე ჩათვლით, სასკოლო ტიპის საბავშვო მოედნებზე გაიგზავნოს ბავშვები 7—13 წლის ასაკის ჩათვლით, ხოლო სკოლამდელთა მოედნებზე 4—7 წლის ასაკის ჩათვლით.

5. საბავშვო გამაჯანსაღებელ მოედნებსა და ბანაკებში პედაგოგიური, მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით, სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ საქაალკკ ცეკასთან ერთად უზრუნველჭყოს:

ა) საზაფხულო გამაჯანსაღებელი დაწესებულებები ბავშვთა შორის მუშაობის მცოდნე პედაგოგებითა და პიონერაზმის ხელმძღვანელებით;

ბ) პიონერთა ბანაკების პედაგოგები—პედაგოგიური მუშაობის შესახებ არსებული მეთოდური მითითებებით;

გ) პიონერთა რესპუბლიკური და რაიონული ბანაკების უფროსების 5-დღიანი სემინარის ჩატარება;

დ) შეამოწმოს პატარა ცემის გამაჯანსაღებელი ბანაკის მზადყოფნა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

6. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის განათლების სამინისტროებს, ქ. თბილისის, ქუთაისის, ფოთის, საქალაქო და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) მტკიცედ განახორციელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 29—მაისის დადგენილება იმის შესახებ, რომ გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში პირველ რიგში გაგზავნილ იქნან

სამამულო ომში დაღუპულთა, სამხედრო მოსამსახურეთა, სამამულო ომის ინვალიდთა და მუშა-მოსამსახურეთა ფიზიკურად სუსტების დაზარალებულები, რომელთაც აქვთ სამკურნალო დაწესებულებების სათანადო დასვენა;

ბ) პიონერთა გამაჯანსაღებელი ბანაკებისა და პიონერთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მოედნების შტატების დაკომპლექტებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს 1844 წლის 8 მაისის დადგენილებით დაწესებული საშტატო განრიგით;

გ) ბანაკებისა და მოედნების მუშაობაში ჩააბან გამოცდილი მასწავლებლები, პიონერთაზმის ხელმძღვანელები, გაუწიონ მათ დახმარება მუშაობაში, დააწესონ სისტემატური კონტროლი მოედნებისა და ბანაკების მუშაობაზე და უზრუნველყონ ამ დარგში დასახული ღონისძიებების მთლიანად განხორციელება.

8. დაევალოს მომარაგების სამმართველოს უფროსს ამხ. დ. მელიქაძეს დააწესოს კონტროლი ბავშვთა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებისათვის განკუთვნილი პროდუქტების ათვისებისა და ბავშვებამდე დაყვანის საქმეზე;

9. დაევალოს განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსს ამხ. ვ. ბიწაძეს: ა) გაითვალისწინოს ბიუჯეტის პროექტში საჭირო თანხები გამაჯანსაღებელ ღონისძიებაზე 1946 წლის განათლების დარგის ასიგნობათა ფარგლებში, ბ) დაუყოვნებლივ გახსნას კრედიტი პატარა ცემის სატყეო სკოლა-ინტერნატის გამაჯანსაღებელ ბანაკისათვის.

10. დაევალოს ჩემს მოადგილეს სამხედრო მომზადების დარგში ამხ. ირ. კვანჭახაძეს, დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსს ამხ. უშ. ობოლაძეს, ფიზინსპექციის უფროსს ამხ. მერკვილაძეს, საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების სამმართველოს უფროსს ამხ. ჭყონიას და სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს უფროსს ამხ. რატიანს პირადად უხელმძღვანელონ გამაჯანსაღებელ დაწესებულებებს და მუშაობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენონ კოლეგიას.

11. დაევალებ ჩემს მოადგილეს ამხ. მ. ბურჭულაძეს დააწესოს სისტემატური კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. ქუპრაძე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო ბაღების კონტინგენტის განაწილება აგარაკებზე 1945 წლის ზაფხულის პერიოდში

ქალაქებისა და რაიონების დასახელება საიდნაც იქნება გაყვანილი საბ. ბაღების ბავშვები	სად იქნებიან გაყვანილი	კონტინ-გენტი	ადგილზე დარჩენილ ბავშვთა კონტინ-გენტი, რომელთა-ნაც ჩატარდება გამაჯანსაღებელი ღონისძიება
1. ქ. თბილისი	ცემი ბაკურიანი წაღვერი ახალდაბა მანგლისი	350 250 300 300 200	2.000
	ს უ ლ	1.400	2.000
2. აფხაზეთის ასსრ		200	170
3. აჭარის ასსრ	ქვიშხეთი სურამი ქობულეთი	75 75 50	150
	სულ აჭარა	200	150
4. ქუთაისი	წაღვერი ცემი	150 200	200
	სულ ქუთაისი	350	200
5. ქ. ფოთი	სურამი	150	50
6. ქ. ჭიათურა	ქობულეთი ცემი	50 50	50
	სულ ჭიათურა	100	50
7. გ ო რ ი	ქვიშხეთი	100	
8. ზესტაფონი	ქვიშხეთი	75	
9. მახარაძე	ვაკისჯვარი	100	
10. სამტრედია	სურამი	50	50
11. სამხრეთ-ოსეთი	—	—	50
12. ზუგდიდი	—	—	50
13. ხაშური	—	—	50
14. წულუკიძე	მახინჯაური	75	—
	ს უ ლ . . .	2.800	2.800

ს ი ა

პიონერთა ბანაკებისა, რომელიც 1946 წლის ზაფხულის სეზონზე უნდა გაიხსნას განათლების სამინისტროს სისტემის მიერ

პიონერთა ბანაკების დასახელება	ვინ ხსნის	დასახელები	სულ 1946 წ. სეზონზე პიონერბანაკი გაატარებს	საერთო ტიპის		პიონერბანაკის ადგილი	1946 წ. 10/6
				საერთო ტიპის	სანატორიული ტიპის		
პიონერთა ბანაკების დასახელება	ვინ ხსნის	დასახელები	სულ 1946 წ. სეზონზე პიონერბანაკი გაატარებს	საერთო ტიპის	სანატორიული ტიპის	პიონერბანაკის ადგილი	1946 წ. 10/6
1. აჭარის ასრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პიონერბანაკი	აჭარის ასრ განათლების სამინისტრო	დასახელები	2	—	300	ბეშუმი	1946 წ. 10/6
2. აფხაზეთის ასრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პიონერბანაკი	აფხაზეთის ასრ განათლების სამინისტრო	დასახელები	2	—	240	ათონი	1946 წ. 10/6
3. ქუთაისის განათლების სამინისტროს პიონერთა ბანაკი	ქუთაისის განათლების სამინისტრო	დასახელები	2	—	150	ქობულეთი	1946 წ. 10/6



საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკების, ოლქების და ქალაქების და რაიონების მიხედვით 1946 წ. ბავშვთა გაშავანსა და ზრუნვისათვის მთავრობის მიერ დახარჯული საშუალო წლიური თანხის განაწილება

ოლქი, ქალაქი, რაიონი	მოედნებზე ბავშვთა გაგზავნის გეგმა
აკარის ასსრ	1400
აფხაზეთის ასსრ	1500
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	600
ქ. თბილისი	8000
ქ. ქუთაისი	1500
ქ. კიათურა	100
ქ. ფოთი	600
გურჯაანის რაიონი	50
ახალციხის "	100
ბორჯომის "	100
გემგეჭორის "	50
გორის "	500
ხესტაფონის "	300
კასპის "	100
ხუგდიდის "	100
ლანჩხუთის "	100
ქუთაისის "	50
მანარაძის "	400
სამტრედიის "	300
სიღნაღის "	150
თელავის "	200
ტყიბულის "	100
ორჯონიკიძის "	50
მცხეთის "	50
ხაშურის "	200
ცხაკაიას "	100
წულუკიძის "	100
ონის "	100
წითელწყაროს "	100
ჩოხატაურის "	30
ჭარელის "	30

ს უ ლ : 17.360

ბ ი ა

განათლების სამინისტროს უწყებაში უწყებაში შემავალი საბავშვო სახლებისა, რომლებიც გადიან აგარაკად 1946 წლის ზაფხულში

№ რიგ.	საბავშვო სახლების დასახელება	კონტინენტი	სად გადიან
1	ნავთლუღის საბავშვო სახლი	80	
2	მხარაძის " "	100	გომის მთა
3	ბათუმის " "	130	მბინჯაური
4	ყრუბუნჯთა " "	20	ვაშლოვანი
5	უსინათლოთა " "	20	კოჯორი
ს უ ლ		350	



ს ი ა

კანათლების სამინისტროს იმ საბავშვო სახლებსა, რომელნიც გა-
დაყვანილი უნდა იქნენ ადგილზე სანატორიული ტიპის კვებაზე
1946 წლის ზაფხულის პერიოდში.

№. № რიგ	საბავშვო სახლების დასახელება	კონტინგენტი	ადგილმდებარეობა
1	კოჯორის № 1	80	
2	" № 2	80	
3	" № 3	140	
4	" № 4	150	
5	" № 5	150	კოჯორი
6	" № 6	115	
7	" № 7	140	
8	" № 8	80	
9	" № 9	50	
10	" № 10	80	
11	ქუთაისის	160	ქუთაისი
12	მახინჯაურის	100	მახინჯაური
13	სიღნაღის	75	სიღნაღი
14	ბორჯომის	60	ბორჯომი
15	ზუგდიდის	85	ზუგდიდი
16	გო რ ი ს	50	გო რ ი
17	ქუთაისის	55	ქუთაისი
18	თელავის	80	თელავი
ს უ ლ		1.670	

განათლების სამინისტროს უწყებაში შემავალ საბავშვო სახლების პროექტების მდებარეობენ სოფლის რაიონებში და დებულებებს და-
მატებით კვებას 1946 წლის ზაფხულში

№ რიგზე	საბავშვო სახლების დასახელება	კონტინგენტი
1	ბეთანიის საბავშვო სახლი	165
2	შუამთის " "	130
3	ლენინგორი " "	80
4	ქლუბორის № 1 "	250
5	" № 2 "	150
6	" № 3 "	150
7	მზისის "	225
8	ვაშლოვანის "	100
9	სურამის "	130
10	ახალციხის "	75
11	კარდენახის "	90
12	საჩხერის "	90
13	ონის "	50
14	განთიადის "	210
15	გუგუქორის "	100
16	ეწერის "	120
17	თამარაშენის "	65
ს უ ლ . . .		2.180

აღნიშნული საბავშვო სახლები მარაგდებიან ზაფხულის პერიოდში ერთ ბავშვზე შემდეგი ნორმით: შაქარი 25 გრ. ცხიმი—25 გრ. და დანარჩენ ნორმებზე დამატებით მიცემა დღეში 18 გრ. საკონდიტრო ნაწარმი.

მე-8-9 კლასის მოსწავლე ვაჟთა, საჭაერო ძალთა სპეცსკოლის
ქ. თბილისის მე-35 საშ. სკოლის და სპორტულ-საწვრთნელ ბა-
ნაკების კონტინგენტი

ბანაკის დასახელება	რაოდენობა	ზანგრაძლი- ვობა	ბანაკის ადგილსამ- ყოფილობა
1. მოსწავლე ვაჟთა საბანაკო შეკ- რებები	14.107	15 დღე	
2. ქ. თბილისის 35 საშუალო სკო- ლის შეკრებები	100	45 დღე	ბაკურიანი
3. საჭაერო ძალთა სპეცსკოლის შეკ- რებები	270	45 დღე	სურამი
4. სპორტულ საწვრთნელი შეკრე- ბები	190	45 დღე	ქ. თბილისი
ს უ ლ	14.657	—	—

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1946 წლის
საზაფხულო ტურისტული ბანაკები

სალაშქრო ბანაკის სახელწოდება		კონტინ- გენტი	დღეების რაოდენ.	დასაწყისი
1. თბილისის პიონერთა სასაბ- ლის სალაშქრო ბანაკი	უფროს ასა- კის ბაგზე.	40	40	10/6-46 წ.
	უმცროს ასა- კის ბაგზე.	40	30	10/6-46 წ.
	მთაზე ასვლა	15	20	1/7-46 წ.
2. თბილისის განათლების გან- ყოფილების და ალკკ თბი- ლისის კომიტეტის სალაშ- ქრო ბანაკი	კაბუკები- სათვის	40	40	5/7-46 წ.
	გოგონებისა- თვის	40	40	5/7-46 წ.
3. ქუთაისის განათლების გან- ყოფილების და ალკკ ქუ- თაისის ქალაქის სალაშ- ქრო ბანაკი	შერეული	40	60	5/7-46 წ.
ს უ ლ :		215	210	

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1946 წლის სასკოლო საწვრთნო ბანაკი

სკოლის სახეთა დასახელება	კონტინენტი	დღეთა რაოდენობა	დასაწესი	დაბოლოება
1. ტანვარჯიში	36	58	15/6-46 წ.	13/8-46 წ.
2. ფეხბურთში	30	55	15/6-46 წ.	10/8-46 წ.
3. ნიღოსნობაში	30	60	15/6-46 წ.	15/8-46 წ.
4. ცურვაში	20	69	15/6-46 წ.	24/8-46 წ.
5. კალათბურთში	36	65	15/ -46 წ.	20/8-46 წ.
6. კრიკში	15	35	15/6-46 წ.	20/7-46 წ.
7. ჩოგბურთში	15	50	15/6-46 წ.	5/8-46 წ.
8. ფრანგულ კიდაობაში	12	45	15/6-46 წ.	30/7-46 წ.
ს უ ლ	194	437		



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო ბაღების ბავშვთა კვების ნორმები (ერთ ბავშვზე დღეში)

პროდუქტების დასახელება	აგარაკზე გაყვანილ სა- ბავშვო ბაღებისა და ადგილზე დარჩენილ სა- ბავშვო მოედნებისათვის	ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა საბავშვო ბაღებისა- თვის
1. ხორცი—თევზი	60 გრამი	100 გრამი
2. ცხიმი	20 "	40 "
3. ყველი	10 "	10 "
4. კვერცხი	1 ცალი	1 ცალი
5. კრუპეული	70 გრამი	80 გრამი
6. ფქვილი პურის	10 "	10 "
7. " კარტოფილის	3 "	3 "
8. შაქარი	20 "	30 "
9. საკონდიტრო ნაწარმი	10 "	10 "
10. შოკოლადი	10 "	10 "
11. კაკაო	3 "	3 "
12. რძის ნაწარმი	300 "	300 "
13. კარტოფილი და ბოსტ- ნეული	400 "	400 "
14. პ უ რ ი	400 "	400 "

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე № 540

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1946 წლის „30“ მაისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების 1946-47 სასწავლო წლისათვის მომზადების შესახებ

„1946-47 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 11 მაისის დადგენილების (№ 186) შესრულების უზრუნველსაყოფად ვ ბ რ ძ ე ნ ე ბ ე:

1. აფხაზეთისა და აჭარის განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის საოლქო, ყველა საქალაქო და რაიონულ განათლების განყოფილებათა გამგეებმა, დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) „სასკოლო ასაკის 7-დან 17 წლამდე ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე, 5 ივლისამდე დააზუსტონ თითოეული კლასისათვის სასკოლო ასაკის იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც უნდა იქნან ჩაბმულნი სკოლებში 1946 წლის 1 სექტემბერს.

ბ) 1946 წლის 15 ივლისამდე დააზუსტონ სკოლებში კლასების (I—XI) რაოდენობა იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ყველა სასკოლო ასაკის ბავშვთა 1946 წლის 1 სექტემბრისათვის სკოლებში ჩაბმა;

გ) 1946 წლის 25 აგვისტომდე დაამთავრონ სკოლის ასაკის ბავშვთა სათანადო კლასებში ჩარიცხვა;

დ) საფუძვლიანად შეისწავლონ იმ საშუალო სკოლების მდგომარეობა, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო მატერიალური ბაზა,



არა აქვთ სათანადო პირობები ნორმალური მუშაობისათვის, არა აქვთ საკმაო საკლასო ოთახები მეცადინეობისათვის, არ ოთახები კაბინეტებისა და ბიბლიოთეკებისათვის, VIII, XI, X და XI კლასებში არ არის მოსწავლეები საკმაო რაოდენობით; ასეთი სკოლების საკითხი დასვან მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოებში აღმასკომების სხდომაზე. მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის მხრივ სათანადოდ უზრუნველყოფილ მახლობელ სკოლებთან გაერთიანების შესახებ და მასალები წარმოადგინონ განათლების სამინისტროში განსახილველად.

2. პედაგოგიური კადრებით სკოლების დაკომპლექტების დარგში:

ა) განათლების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში გადმოგზავნონ სამინისტროს კადრების სამმართველოში მასალები მასწავლებელთა გადაჯგუფებისა და ახლად დასანიშნავთა შესახებ;

ბ) განათლების სამინისტროს განაწილების საფუძველზე შეადგინონ სია იმ მასწავლებლებისა (მათ შორის სამხედრო დისციპლინის მასწავლებლების), რომლებიც გაგზავნილი უნდა იქნენ საზაფხულო ვადასამზადებელ კურსებზე და მიიღონ ყველა საჭირო ზომა მათი დანიშნულ ადგილზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად;

გ) მჭიდრო კავშირი დაამყარონ ახლადდანიშნულ მასწავლებლებთან, გააცნონ იმ სკოლის პირობები, სადაც მუშაობა მოუხდებათ მათ და შეუქმნან სათანადო პირობები ნაყოფიერი მუშაობისათვის (ვათბობა, განათება, სურსათი და სხვ.).

დ) კატეგორიულად აღკვეთონ მასწავლებელთა განთავისუფლება, გადაჯგუფება და დანიშვნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე.

3. სასკოლო შენობისა და სასკოლო დგამ-ავეჯის მოწესრიგების დარგში:

ა) მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად შეადგინონ სასკოლო შენობების, საბავშვო ბაღის და საბ. სახლის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის გეგმა, ამ საქმეში ჩააბან ფართო საზოგადოებრიობა და მიიღონ საჭირო ზომები შეკეთების გეგმის 25 აგვისტოსათვის დასამთავრებლად;



ბ) ამავე ვადისათვის უზრუნველჰყონ სკოლის დგამ-ავეჯის შეკეთება, სასკოლო კარმიდამოს შემოღობვა, სასკოლო ეზოს გამწვანება და სრულ წესრიგში მოყვანა;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში სასწავლო კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებით და სასკოლო ბიბლიოთეკების ლიტერატურით შევსების საქმეს, მაქსიმალურად გამოიყენონ სკოლის განკარგულებაში ამ დანიშნულებისათვის არსებული თანხები, ჩაატარონ დაზიანებული ხელსაწყო-იარაღების შეკეთება, — სრულ წესრიგში მოიყვანონ და უზრუნველჰყონ მათი მოვლა-დაცვა;

დ) 15 ივნისიდან 25 ივნისამდე ჩაატარონ ყველა სკოლაში საბავშვო სახლებსა და საბავშვო ბაღებში ქონების (სასკოლო დგამ-ავეჯი, სასწავლო კაბინეტების ხელსაწყო-იარაღები, თვალსაჩინო დიდაქტიკური მოწყობილობა და მასალები, სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნები და სხვ.) ინვენტარიზაცია და შეადგინონ სათანადოდ გაფორმებული აქტები;

ე) უზრუნველჰყონ არსებულ გეგმის მიხედვით ნახმარ-სტაბილურ სახელმძღვანელოების შესყიდვა;

არ დაუშვან წიგნებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით ვაჭრობა აქვ 25 აგვისტომდე;

ვ) აქვ 25 აგვისტოდან სახელმძღვანელოები, რვეულები და სხვა სასკოლო-საკანცელარიო ნივთები იცემოდეს სავაჭრო წერტილებიდან მხოლოდ განათლების ორგანოების სათანადო განაწილებით;

ზ) მოხსენებითი ბარათი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ წარმოადგინონ განათლების სამინისტროში ყოველი თვის ბოლოს.

4. მომარაგებისა და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოებმა:

ა) უზრუნველჰყონ გამოყოფილი საშენი მასალის ფონდების ათვისება და მათი ადგილებამდე დაყვანა, გაუწიონ სათანადო კონტროლი ამ მასალების დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

ბ) სისტემატურად შეამოწმონ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 11 მაისის დადგენილებით დავალებულ სასწავლო-ნივთებისა და სასკოლო დგამ-ავეჯის დამზადების მიმდინარეობა და შედეგები მომახსენონ პირადად მე.

5. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ:




ა) უზრუნველჭყოს გეგმით გათვალისწინებული გამოსაცეპი სახელმძღვანელო წიგნების (96 სახელწოდების) მთლიანად დამზადება და სახელგამზე გადაცემა 1-ლ ივლისისათვის;

ბ) მომარაგების სამმართველოსთან ერთად სისტემატური მეთაულყურეობა და კონტროლი გაუწიოს სახელმძღვანელოების ბეჭდვას, რვეულების დამზადებას, ახალი სასწავლო წლისათვის სახელმძღვანელოებისა, რვეულებისა და სხვა სასწავლო ნივთების მარაგის შექმნას და მიიღოს გადამჭრელი ზომები სასწავლო ნივთების განიავების თავიდან ასაკილებლად.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ დროულად დაიყვანოს აღგილებზე 1946-47 სასწავლო წლის სასკოლო ქსელისა და მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა.

7. დაწყებითი და საშუალო სკოლების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი აღზრდის სამმართველოებმა მომარაგების სამმართველოსთან ერთად 25 აგვისტოსათვის შეაჯამოს ახალ სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე.



ღ ე ბ უ ლ ე ბ ე *

განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტისა

1. პედაგოგიური კაბინეტის ამოცანები

1. პედაგოგიური კაბინეტი არსდება განათლების განყოფილებასთან, როგორც რაიონებში ისე ქალაქებში, და წარმოადგენს პედაგოგიურ დაწესებულებას, რომელიც მუშაობს განათლების განყოფილების გამგის უშუალო ხელმძღვანელობით და ეხმარება განათლების განყოფილებას მასწავლებელთა შორის მეთოდური ხელმძღვანელობის ამოცანის განხორციელებაში.

2. პედაგოგიური კაბინეტის ამოცანებია:

ა) საუკეთესო პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და გავრცელება რაიონის სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად;

ბ) ხელმძღვანელობის გაწევა მასწავლებელთა საუბნო-ჯგუფური და სარაიონო მეთოდური თათბირებისათვის;

გ) სისტემატური მუშაობის ჩატარება მასწავლებლების პედაგოგიური და იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

3. პედაგოგიური კაბინეტი ხელს უწყობს თითოეული მასწავლებლის შემოქმედებით ინიციატივას და აგვარებს საუბნო-ჯგუფურ გაერთიანებების და რაიონული საგნობრივი სექციების ხელმძღვანელობისათვის სემინარებისა და წრეების მოწყობის საქმეს.

4. პედაგოგიური კაბინეტი წარმოადგენს განათლების განყოფილების მეთოდური მუშაობის ძირითად ბაზას.

5. თავის მუშაობაში პედაგოგიური კაბინეტი ემყარება საუკეთესო მასწავლებელთა აქტივს, რომლის დახმარებით აწარმოებს მეთოდურ მუშაობას მასწავლებელთა შორის.

* დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1946 წლის „29“ აპრილს.



6. აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად პედაგოგიური კაბინეტი ადგენს კაბინეტის მუშაობის წლიურ გეგმას მეოთხედების მიხედვით და უდგენს დასამტკიცებლად განათლების განყოფილების გამგეს.

7. საუკეთესო პედაგოგიური მუშაობის განსაზოგადოებისათვის შეისწავლის და გამოავლენს დახელოვნებულ მასწავლებელთა გამოცდილებას. მასწავლებელთა მუშაობის შესწავლის ამოცანას კაბინეტი ანხორციელებს:

ა) სკოლაში გაკვეთილებზე მეთოდისტთა დასწრებით;

ბ) საუბნო-მეთოდურ გაერთიანების ხელმძღვანელების და საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეთა და პედაგოგიური სასწავლებლების საუკეთესო მასწავლებელთა შემოკრებით;

გ) სასწავლო ნაწილის გამგეების, დირექტორების, ინსპექტორების მიერ მოსმენილი გაკვეთილების საანგარიშო მასალების შესწავლა-გამოყენებით.

8. პედაგოგიური კაბინეტი საუკეთესო პედაგოგიური გამოცდილების განზოგადოების მიზნით:

ა) აწყობს გამოცდილი მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრებას;

ბ) მასწავლებელთა თათბირებზე აკეთებს მოხსენებებს, რომლებიც საუკეთესო პედაგოგიურ გამოცდილებას ანზოგადოებენ;

გ) საუბნო-ჯგუფურ მეთოდურ თათბირებს და ცალკეულ სკოლებს უგზავნის მასალებს, რომლებსაც თან დაურთავს საუკეთესო მასწავლებელთა გამოცდილების აღწერას თავისი შენიშვნებითა და მითითებებით;

დ) კაბინეტის მუდმივ პედაგოგიურ გამოფენაზე ადგენს მასალებს, რომლებიც გვიჩვენებენ სკოლისა და მასწავლებლის საუკეთესო პედაგოგიურ გამოცდილებას;

ე) აწყობს თემატურ მოძრავ გამოფენებს.

9. პედაგოგიური ხელმძღვანელობს საუბნო-ჯგუფურ გაერთიანებებს და კაბინეტთან არსებულ საგნობრივ სექციებს, რისთვისაც:

ა) აწყობს საუბნო-ჯგუფური გაერთიანებებისა და საგნობრივი სექციების მონაწილეთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებას;

ბ) აწყობს კონსულტაციებს მუშაობის ძირითადი რგოლების



(სკოლის საგნობრივი კომისიები, საკლასო მეთოდური კომისიები) ხელმძღვანელთათვის;

გ) საუბნო-ჯგუფური გაერთიანებების და სკოლის საგნობრივი კომისიების მოთხოვნილების მიხედვით შეარჩევს ლიტერატურასა და საუკეთესო გამოცდილების ნიმუშებს. გამოჰყოფს ლექტორებს მასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებათა საუკეთესო მუშაკების რიცხვიდან სხვადასხვა მეთოდურ-პედაგოგიურ საკითხებზე ლექციების, საუბრების, მოხსენებების ჩასატარებლად;

დ) განსახილველად წამოაყენებს საკითხებს სკოლების ცალკეული ნაკლის შესახებ და სხვა საკითხების მასწავლებელთა მოთხოვნილების მიხედვით;

ე) იხილავს და ამტკიცებს საუბნო-ჯგუფურ მეთოდური გაერთიანებების სამუშაო გეგმებს;

ვ) ატარებს საუბნო-ჯგუფურ მეთოდ-გაერთიანებათა ხელმძღვანელების თათბირებს;

ზ) აწყობს აგრეთვე სემინარებს პოლიტიკურ, საერთო პედაგოგიურ და მეთოდური საკითხების შესასწავლად სკოლების საგნობრივი კომისიების, საუბნო-ჯგუფურ მეთოდურ - გაერთიანების ხელმძღვანელებისათვის.

10. ატარებს ღონისძიებებს სკოლების გამგეთა, დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად; აწყობს მათ შორის გამოცდილების გაზიარებას სემინარების, ინდივიდუალურ კონსულტაციების, ერთმანეთთან სკოლებში დასწრებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით.

11. კაბინეტი გეგმიანად ატარებს ინდივიდუალურ და ჯგუფობრივ კონსულტაციებს მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა და პიონერ ხელმძღვანელთათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და დახმარებას უწევს ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე და ახლად დამწყებ მასწავლებლებს.

12. მასწავლებელთათვის აწყობს ლექციებს, სემინარებსა და წრეებს პოლიტიკური განათლების, პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის, დიდაქტიკისა და კერძო მეთოდის საკითხებზე.

13. პრესაში გამოსაქვეყნებლად აფორმებს საუკეთესო სკოლების, ცალკეულ მასწავლებელთა და საუბნო-ჯგუფურ თათბირების პედაგოგიურ გამოცდილებას.

14. ხელს უწყობს ქალაქის მასწავლებლებს, რათა ისინი დაეხმარონ სოფლად მომუშავე მასწავლებლებს.

15. მომსახურეობას უწევს (გამოფენების მოწყობა, მომხსენებლების შერჩევა) განათლების განყოფილების მიერ მოწვეულ იონო თათბირებს. სარაიონო
განათლების

16. მასწავლებლის დასახმარებლად აგროვებს, ინახავს და იყენებს ყველა მეთოდურ მასალას და აფორმებს მას თვალსაჩინოდ ჩვენებისადავის.

17. წახალისებს ინიციატივას სასწავლო ნივთების დამზადებაში, აგროვებს მასწავლებელთა მიერ დამზადებულ სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების ნიმუშებს, ადგენს თვალსაჩინო ხელსაწყოების სანიმუშო კოლექციებსა და სხვა მასალებს და აწყობს სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების მოძრავ ფონდს.

18. ატარებს ღონისძიებებს პედაგოგიურ პროპაგანდისათვის მოსახლეობას შორის და ეხმარება სკოლებს ამ მუშაობაში (რადიო-ლექციები, წერილები რაიონულ პრესაში, მოხსენებები და კონსულტაციები მშობელთა თათბირებზე და სხვ.).

19. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი სისტემატურად ადევნებს თვალყურს, რამდენად მოახდინა გავლენა მისმა მუშაობამ, კერძოდ გამოუცდელი მასწავლებლების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

20. მეთოდური მუშაობის დარგში პედაგოგიური კაბინეტი დახმარებას ღებულობს მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკური ინსტიტუტისაგან.

21. პედაგოგიური კაბინეტი კავშირს ამყარებს ბავშვთა ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო სადგურებთან, მუზეუმებსა და სხვა დაწესებულებებთან.

22. პედაგოგიური კაბინეტი ხელმძღვანელობას უწევს საუბნო-ჯგუფურ მეთოდ-გაერთიანებებს, რომლებიც ყალიბდება ერთმანეთისაგან ტერიტორიალურად ახლოს მყოფ რამდენიმე სკოლის მასწავლებლისათვის. საუბნო-ჯგუფური მეთოდური გაერთიანება წარმოადგენს მასწავლებელთა კოლექტიური მუშაობის მუდმივ ფორმას.

მასწავლებელთა საუბნო მეთოდური გაერთიანება თავის უბანში მიზნად ისახავს:

ა) მასწავლებელთა შორის სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობის საუკეთესო ნიმუშების გაზიარების ორგანიზაციას;

ბ) დამწყებ, გამოუცდელ მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარების გაწევას;

გ) მასწავლებელთათვის ხელის შეწყობას ზოგად პედაგოგიური და პოლიტიკური ცოდნის ღონის ამალგებაში.



23. საუბნო ჯგუფურ-მეთოდური გაერთიანების მუშაობა
ციელდება:

- ა) მასწავლებელთა მიერ მუშაობის ურთიერთგაცნობის, გაკვეთილებზე დასწრებისა და გაკვეთილების ჩატარების, გამოფენებისა და ექსკურსიების მოწყობის საშუალებით;
- ბ) იმ სკოლებისა და ცალკეულ მასწავლებლების მოხსენებათა ჩატარებით, რომლებსაც საუკეთესო მიღწევები აქვთ თავის მუშაობაში;
- გ) საუბნო-ჯგუფურ გაერთიანებებში გაერთიანებულ პირთათვის ლექციების, სემინარების, საუბრებისა და სხვათა მოწყობის საშუალებით.

24. საუბნო - ჯგუფური მეთოდური გაერთიანების მუშაობის შინაარსში შედის:

- ა) მოხსენებებისა და რეფერატების ჩატარება მიმდინარე პოლიტიკისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, აგრეთვე პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე;
- ბ) პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განხილვა;
- გ) მფორეწლიანობასთან ბრძოლის ღონისძიებათა განხილვა და დამუშავება;
- დ) ცალკეული გაკვეთილების საუკეთესო გეგმების განხილვა და გაკვეთილების გარჩევა;
- ე) ორ კლასთან მუშაობის ორგანიზაციისა და მეთოდური ღონისძიებების დამუშავება;
- ვ) ღონისძიებათა განხილვა და დამუშავება მოსწავლეთა შორის აღმზრდელიობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად;
- ზ) საუკეთესო დირექტორების, სკოლების გამგეთა, მასწავლებელთა და ინსპექტორების მოხსენებათა განხილვა ცალკეულ პედაგოგიურ საკითხებზე და კერძოდ მეთოდის საკითხებზე;
- თ) საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობის გაცნობა და ღონისძიებათა დამუშავება მასწავლებელთა გამოცდილების გასავრცელებლად.

25. საუბნო ჯგუფურ მეთოდურ თათბირებში ერთიანდებიან:

- ა) ტერიტორიალურად ერთმანეთთან ახლოს მყოფი (საუბნო-ჯგუფური გაერთიანების ცენტრიდან—ადგილობრივი პირობების მიხედვით 3—10 კილომეტრამდე რადიუსში არსებული) დაწყებით

სკოლებისა, რვაწლიანი და საშუალო სკოლების პირველი კლასის მასწავლებლები, კლასების მიხედვით;

ბ) რვაწლიანი სკოლების V—VIII კლასების მასწავლებლები ძირითადი სასწავლო დისციპლინების მიხედვით, იმ შემთხვევაში, როცა რვაწლიანი სკოლების რიცხვი მოცემულ უბანში საამისოდ საკმარისია.

შენიშვნა: თუ რაიონში რვაწლიანი სკოლები ტერიტორიალურად იმგვარად არის განაწილებული, რომ დაწყებითი კლასებისათვის გამოყოფილ უბნებს არ ეფარდება, შესაძლოა მე-5—9 კლასების მასწავლებლებისათვის სხვა ტერიტორიალური უბნები გამოიყოს.

26. ქალაქებში შეიქმნება საქალაქო გაერთიანებები ცალკე კლასებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით.

შენიშვნა: თბილისში გაერთიანება მოეწყობა ცალკე რაიონების მიხედვით I—IV კლასის მასწავლებელთათვის.

27. რაიონებში გაერთიანება იქმნება საშუალო სკოლების უფროსი კლასების (მე-8, 9, 10, 11) მასწავლებელთათვის ძირითად დისციპლინების მიხედვით.

28. საუბნო-ჯგუფური, საქალაქო და რაიონული მეთოდური გაერთიანება მოეწყობა რაიონის საუკეთესო სკოლებში, რომლებიც ტერიტორიალურად იმყოფებიან ცენტრში.

მასწავლებელთა საუბნო-ჯგუფური საქალაქო და რაიონული მეთოდური გაერთიანება იკრიბება თვეში ერთხელ.

29. საუბნო-ჯგუფური, საქალაქო და რაიონული მეთოდური გაერთიანების ხელმძღვანელები პედაგოგების გამგის წარდგენით ინიშნებიან რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგის მიერ. მათ შემდეგი სამუშაოთა შესრულება ევალებათ:

- ა) გაერთიანების სამუშაო გეგმის შედგენა;
- ბ) მასწავლებელთა მომზადება გაერთიანების მორიგი შეკრებისათვის;
- გ) მასწავლებელთა შორის ერთმანეთის გამოცდილებით სარგებლობის ორგანიზაცია;
- დ) ინდივიდუალური დახმარების ორგანიზაცია დამწყები მასწავლებლებისათვის;
- ე) თათბირებზე საკითხების განხილვის ხელმძღვანელობა;
- ვ) გაერთიანების მუშაობის აღრიცხვის ჩატარება და ანგარიშის წარდგენა პედაგოგიურ კაბინეტში;
- ზ) სარაიონო პედაგოგიურ კაბინეტთან და სხვა საუბნო-ჯგუ-



ფურ, საქალაქო და სარაიონო გაერთიანებებთან კავშირის დამყარება, მუშაობის გამოცდილების გადატანის მიზნით.

30. საუბნო-ჯგუფურ, საქალაქო და სარაიონო მეთოდური გაერთიანებების ხელმძღვანელებს რაიონის განათლების განყოფილება და პედაგოგიური კაბინეტი პირველ რიგში ამარაგებენ მეთოდური მასალით, პედაგოგიური ლიტერატურითა და გაზეთებით, მიაღწევენ მათ კვალიფიკაციის ასამაღლებლად რესპუბლიკის ცენტრში.

31. მასწავლებელთა საუბნო-ჯგუფურ, რაიონულ და საქალაქო მეთოდურ გაერთიანებას აყალიბებს რაიპედკაბინეტი და ამტკიცებს რაიგანათლების განყოფილება.

32. საუბნო-ჯგუფური გაერთიანებისა და საგნობრივი სექციების გამგეები ადგენენ მთელი წლის სამუშაო გეგმას სასწავლო მეოთხედების მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს რაიონის პედკაბინეტის გამგე.

33. პედაგოგიური კაბინეტი აყალიბებს და ხელმძღვანელობს უწევს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიებს, რომელთა ამოცანაა სისტემატური და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს:

- ა) სამეცნიერო დისციპლინის და მისი სწავლების მეთოდის ღრმად დაუფლების საქმეში;
- ბ) კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობაში, ხელსაწყო-იარაღების მოვლა-დაცვასა და შეკეთებაში;
- გ) ვაკუეთილებზე სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისა და ლაბორატორიულ სამუშაოების მოწყობაში და სხვა სახის თვალსაჩინოების გამოყენებაში.

34. დასახული ამოცანების განხორციელების მიზნით, ფიზიკური ლაბორატორია:

- ა) რვაწლიან და საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელთათვის წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით აწყობს სემინარებს, კონსულტაციებს, ლექციებს ფიზიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ცალკე დარგებისა და მისი სწავლების მეთოდის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- ბ) ლაბორატორიის ბინაზე და აკრთევ სკოლებში ატარებს მასწავლებელთათვის იმ სადემონსტრაციო ცდებს, რაც ფიზიკის კურსის პროგრამით არის გათვალისწინებული; ცდების ჩატარების

დროს მასწავლებლებს აცნობს ხელსაწყოების აგებულებისა და ცდების სქემატურად ნახაზებს;

გ) აცნობს მასწავლებლებს პროგრამით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ სამუშაოთა ინსტრუქციას და ამასთან ერთად, პრაქტიკული ჩვენებების გამომუშაების მიზნით, ავარჯიშებს მათ ლაბორატორიულ სამუშაოთა დამოუკიდებლად შესრულებაში;

დ) დაწვრილებით აცნობს მასწავლებლებს, როგორც ლაბორატორიაში, ასევე სკოლებში მისვლისას, ფიზიკური კაბინეტის რთულ ხელსაწყოთა აგებულებას, ხელსაწყო-იარაღების დაშლასა და აწყობას, მოვლისა და შენახვის წესებს და ასწავლის მათ მარტივი დაზიანების ხელსაწყოთა შეკეთებას;

ე) უწევს პრაქტიკულ დახმარებას სამხედრო დისციპლინის მასწავლებლებს სამხედრო კავშირგაბმულობის საკითხების (რადიო, ტელეფონი, ტელეგრაფი) თვალსაჩინო სწავლების საქმეში;

ვ) პრაქტიკულად ავარჯიშებს მასწავლებლებს პროექციული თვალსაჩინოების გამოყენებაზე და აძლევს მათ საპროექციო ფანრისა, ეპიდიასკობისა და ალოსკობის ხმარების ჩვევებს;

ზ) ასწავლის მასწავლებლებს სასკოლო კინოაპარატის მმართველსა და გამოყენებას;

თ) დახმარებას უწევს მასწავლებლობას ტელეფონის, ტელეგრაფისა, რადიოტექნიკის და ფოტოტექნიკის დაუფლების საქმეში;

ი) ეხმარება მასწავლებლებს, ფაბრიკებში, ქარხნებსა და ელექტრო სადგურებში ექსკურსიების მოწყობაში;

კ) აჩვენებს ფიზიკის მასწავლებლებს მინაზე, ლითონზე და ხეზე მუშაობას, რაც მათთვის საჭიროა ხელსაწყოების შეკეთებისა და თვითკეთებისათვის;

ლ) გამოავლენს სასკოლო ცდების დარგში გამოგონებისა და გაუმჯობესების შემთხვევებს და ახდენს მათ გავრცელებას რაიონში;

მ) აწყობს მნიშვნელოვანი ცდების, სქემატური ნახაზებისა და სკოლებში დამზადებული თვითნაკეთი ხელსაწყოების საუკეთესო ნიმუშების მუდმივ გამოფენას;

ნ) ფიზიკური ლაბორატორია მთელს ამ მუშაობაში, ფიზიკის სწავლების საქმეში არსებული მიღწევების განზოგადების მიზნით, ფართოდ იყენებს ფიზიკის მოწინავე მასწავლებლებს;

ო) მუშაობის შინაარსის და ორგანიზაციის დარგში ფიზიკური ლაბორატორია დახმარებას ღებულობს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისაგან.



35. ფიზიკის ლაბორატორიის ნაყოფიერი მუშაობის უზრუნველ- საყოფად:

ა) ფიზიკის ლაბორატორიას უნდა გააჩნდეს მშრალი ოროთა-
ხიანი ბინა, რომელთაგანაც ერთი გამოყენებული უნდა იქნეს ხელ-
საწყობ-იარაღების შესანახად, ხოლო მეორე-სამუშაო ლაბორატო-
რიად;

ბ) ლაბორატორიაში უნდა იყოს საჭირო ინვენტარი, იარაღები
და ყველა ის ხელსაწყო, რაც უზრუნველყოფს არასრულ საშუალო
და საშუალო სკოლისათვის ფიზიკის პროგრამით გათვალისწინებული
სავალდებულო ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარებას;

გ) ლაბორატორიასთან უნდა არსებობდეს შემეცნებელი სახე-
ლოსნო, რომელიც უზრუნველყოფს დაზიანებული ფიზიკური იარაღ-
ხელსაწყოების შეკეთებას;

დ) ფიზიკის ლაბორატორიაში უნდა იყოს გაყვანილი წყალი,
ელექტრო-დენი, ხოლო ცდების ჩასატარებელ ოთახში მოწყობილი
უნდა იქნას დაბნელება, ეკრანი პროექციული თვალსაჩინოებისათვის
და უმფორმერი—აკუმულიატორების დასამუხტავად;

ე) ლაბორატორიის სამუშაო მაგიდაზე მუდმივად უნდა იყოს
გამართული ცდებისა და უმთავრესი ლაბორატორული სამუშაოების
დადგმულობები;

ვ) ფიზიკის ლაბორატორიას უნდა ჰქონდეს ფიზიკის სწავლების
დარგში არსებული ყველა სახელმძღვანელო წიგნი, მეთოდური და
მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა;

ზ) ფიზიკის ლაბორატორიაში უნდა იყოს ერთი ლაბორანტი.

36. ბიოლოგიური ლაბორატორია ატარებს შემდეგ მუშაობას:

ა) დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბიოლოგიის
მასწავლებელთათვის წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით აწ-
ყობს სემინარებს, კონსულტაციებს, ლექციებს, ბიოლოგიის, რო-
გორც სამეცნიერო დისციპლინის და მისი სწავლების მეთოდიკის
მნიშვნელოვან საკითხებზე;

ბ) ლაბორატორიის ბინაზე და აგრეთვე სკოლებში მასწავლე-
ბელთათვის ატარებს სადემონსტრაციო ცდებს, რაც ბიოლოგიის
კურსის პროგრამითაა გათვალისწინებული; მასწავლებლებს აცნობს
მიკროსკოპზე მუშაობას, მიკროსკოპიული პრეპარატების დამზადებას,
ცხოველების განკვეთას; აცნობს და ასწავლის მათ მცენარეების
ჰერბარიუმების და სხვადასხვა კოლექციების შეკრების წესებს;



გ) ეხმარება მასწავლებლებს საცდელი მიწის ნაკვეთისა და ცოცხალი კუთხის მოწყობაში (ნაკვეთის დაგეგმვა, განოყიერება, სათესლე მასალების შერჩევა, შენახვა, თესვა, იარაღიზირება, აღმოცენების მოვლა, მათი ზრდა-განვითარებაზე დაკვირვება, მოსავლის აღება, განაწილება, აღრიცხვა და სხვ.) სასწავლო-სააღმზრდელო მიზნებისათვის მათი გამოყენების საქმეში;

დ) პრაქტიკული ჩვევების გამომუშავების მიზნით მასწავლებლებს ავარჯიშებს ლაბორატორიულ სამუშაოთა დამოუკიდებლად შესრულებაში (მიკროსკოპიული პრეპარატისათვის ანათალის გაკეთება, უჯრედებისა და ქსოვილების შეღებვა, წყლის კულტურის დამზადება, ნიადაგის მექანიკური ანალიზი და ა. შ.);

ე) პრაქტიკულად ავარჯიშებს მასწავლებლებს პროექციული თვალსაჩინოების გამოყენებაზე და აცნობს მათ საპროექციო ფანრისა, ეპიდიასკოპისა და ალოსკოპის ხმარების წესებს; ასწავლის მასწავლებლებს კინოპარატის მმართველსა და გამოყენებას;

ვ) უწევს დახმარებას მასწავლებლებს, მოაწყონ ექსკურსიები ბუნებაში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საცდელ სადგურებში;

ზ) ეხმარება მასწავლებლებს თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადების ორგანიზაციისა და თვითნაკეთი ხელსაწყოების, პრეპარატებისა და მოსწავლეთა საუკეთესო ნიმუშების გამოფენის საქმეში;

თ) გამოავლენს სასკოლო ცდების დარგში გამოგონებისა და გაუმჯობესების შემთხვევებს და ახდენს მათ გავრცელებას რაიონში;

ი) აწყობს მნიშვნელოვანი ცდების და სკოლებში დამზადებული თვითნაკეთი ხელსაწყოების საუკეთესო ნიმუშების მუდმივ გამოფენას;

კ) თავის მუშაობაში ფართოდ იყენებს რაიონის ბიოლოგიის მოწინავე მასწავლებლებს;

ლ) მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციის დარგში ბიოლოგიური ლაბორატორია დახმარებას ლებულობს მასწავლებელთა და ხელოვნების ინსტიტუტისაგან;

მ) ბიოლოგიის ლაბორატორიას ყავს ერთი ლაბორანტი.

37. ბიოლოგიური ლაბორატორიის ნაყოფიერი მუშაობის უზრუნველსაყოფად:

ა) ლაბორატორიას უნდა გააჩნდეს ორი ოთახი, რომელთაგან ერთი უნდა იქნეს გამოყენებული ხელსაწყო იარაღებისა და პრეპარატების შესანახად, ხოლო მეორე სამუშაო ლაბორატორიად;



ბ) ლაბორატორიაში უნდა იყოს საჭირო ინვენტარი, იარაღები, პრეპარატები და ყველა ის ხელსაწყო, რაც უზრუნველყოფს დაწყებითს, რეაწლიან და საშუალო სკოლებისათვის ბიოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას;

გ) ლაბორატორიისთან უნდა არსებობდეს სასკოლო მიწის ნაკვეთი, არანაკლები 0,5 ჰექტარისა, და ცოცხალი კუთხე;

დ) ბიოლოგიურ ლაბორატორიაში უნდა იყოს გაყვანილი წყალი, ელექტროდენი, ცდების ჩასატარებელ ოთახში მოწყობილ უნდა იქნეს დაბნელება, ეკრანი—პროექციული თვალსაჩინოებისათვის;

ე) ბიოლოგიურ ლაბორატორიაში უნდა იყოს ბიოლოგიის ყველა სახელმძღვანელო წიგნი, მეთოდური და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა.

38. ქიმიური ლაბორატორია ატარებს შემდეგ მუშაობას:

ა) რეაწლიანი და საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელთათვის წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით აწყოფს სემინარებს, კონსულტაციებს ქიმიისა და მისი სწავლების მეთოდის მნიშვნელოვან საკითხებზე;

ბ) ატარებს მასწავლებლებისათვის იმ სადემონსტრაციო ცდებს, რაც ქიმიის კურსის პროგრამით არის გათვალისწინებული; აცნობს მასწავლებლებს იმ ხელსაწყოებისა და რეაქტივების მოხმარა-გამოყენებას, რომლებიც განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვენ ცდების დაყენებისას, აცნობს მათ მომწამლავ ნივთიერებათა შენახვის წესებს, თანახმად განათლების სამინისტროს სათანადო მითითებებისა ამის შესახებ;

გ) პრაქტიკული ჩვევების გამომუშავების მიზნით ავარჯიშებს მასწავლებლებს ლაბორატორიულ სამუშაოთა დამოუკიდებლად შესრულებაში;

დ) აჩვენებს მასწავლებლებს ამწოვი კარადის გამოყენებას ფეთქებადი და მომწამლავი გაზების მიღებაზე ცდების დაყენების დროს;

ე) დახმარებას უწევს მასწავლებლებს ქიმიური მრეწველობის ქარხნებში ექსკურსიების მოწყობაში;

ვ) სხვადასხვა მარტივი ქიმიური თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებაში ლაბელოვების მიზნით აჩვენებს ქიმიის მასწავლებლებს მინის მიღებისა და წკირების ღლობა-წელვას.

ზ) გამოავლენს სასკოლო ცდების დარგში გამოგონებისა და გაუმჯობესების შემთხვევებს და ახდენს მათ გავრცელებას რაიონში;



- თ) აწყობს მნიშვნელოვანი ცდების და სკოლებში დამზადებული თვითნაკეთი ხელსაწყოების საუკეთესო ნიმუშების გამოტენას;
- ი) განათლების განყოფილების ქიმიური ლაბორატორია მთელს ამ მუშაობაში ფართოდ იყენებს ქიმიის მოწინავე მასწავლებლებს;
- კ) მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციის დარგში ქიმიური ლაბორატორია დახმარებას ლებულობს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისაგან.

39. ქიმიის ლაბორატორიის ნაყოფიერი მუშაობის უზრუნველსაყოფად:

ა) ლაბორატორიის უნდა გააჩნდეს ორი ოთახი, რომელთაგანც ერთი გამოყენებული უნდა იქნეს ხელსაწყოებისა და რეაქტივების შესანახად, ხოლო მეორე — სამუშაო ლაბორატორიად. სამუშაო ლაბორატორიაში უნდა იყოს დადგმული კარგი ამწოვი კარადა და სადემონსტრაციო მაგიდა ბაკანით;

ბ) ლაბორატორიაში უნდა იყოს საჭირო ინვენტარი, ხელსაწყო იარაღები და რეაქტივები, რაც უზრუნველყოფს რეაქლიანი და საშუალო სკოლისათვის ქიმიის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას;

გ) ლაბორატორიაში უნდა იყოს გაყვანილი წყალი და გლდენი;

დ) ლაბორატორიის უნდა ჰქონდეს ქიმიის ყველა სახელმძღვანელო, მეთოდური და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა;

ე) ქიმიის ლაბორატორიის ყავს ერთი ლაბორანტი.

40. ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის ლაბორატორიები მუშაობენ მეოთხედების მიხედვით შედგენილი წლიური გეგმით, რომლებსაც ადგენს ლაბორატორიის გამგე და უდგენს დასამტკიცებლად პედაგოგიური კაბინეტის გამგეს.

III. კაბინეტის სტრუქტურა და მისი მოწყობილობა

41. პედაგინეტი აყალიბებს:

ა) რაიონის (ქალაქის) რეაქლიანი და საშუალო სკოლების V-XI კლასების მასწავლებელთათვის საგნობრივ მეთოდურ სექციებს ძირითადი საგნების მიხედვით;

ბ) ტერიტორიალურად ერთმანეთთან ახლოყოფ დაწყებითი სკოლების და რეაქლიანი და საშუალო სკოლების პირველი ოთხი



კლასის მასწავლებელთათვის—საუბნო-ჯგუფურ მეთოდურ
გაერთიანებას;

გ) ფიზიკის, ქიმიის, და ბიოლოგიის ლაბორატორიებს.

42. პედაგოგიური კაბინეტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბინით, რომელიც საკმაოდ მოხერხებული იქნება არა მარტო მთელი მისი მასალების შესანახად და თანამშრომელთა სამუშაოდ, არამედ მასწავლებელთა სამუშაოდაც.

43. პედაგოგიურ კაბინეტთან არის ბიბლიოთეკა (საზოგადო პოლიტიკური, პედაგოგიური და მხატვრული განყოფილებებით) და წიგნების მოძრავი ფონდი.

44. სარაიონო პედაგოგიურ კაბინეტში არის თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოების კომპლექტები სკოლებში გამოსაყენებლად (საპროექციო ფარანი სურათებისა და დიაპოზიტივებით, რადიო, პატეფონი ფირფიტებით, მოხსენებები, საბავშვო სიმღერები, ლექსები და სხვა.).

45. კაბინეტის პედაგოგიურ გამოყენაზე თვალსაჩინო გაფორმებული სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი:

ა) სახელმძღვანელო მასალები ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე;

ბ) მასალები, რომლებიც გაამუქებენ საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილებას (კაბინეტის ანოტაციებით—აღწერა გამოცდილებისა სასწავლო-აღზრდობითი და მეთოდური მუშაობის ამათუიმ საკითხებზე, ცალკეული გაკვეთილების ჩანაწერები, მასწავლებელთა დღიურები, დაბეჭდილი ნამუშევრები, მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები, სასწავლო ნივთები);

გ) ნორმალური სასკოლო მერხისა და სასკოლო მოწყობილობის და სხვა საგნების ნიმუშები.

46. სარაიონო პედაგოგიურ კაბინეტთან შეიძლება მოეწყოს თვალსაჩინო ხელსაწყოების დამამზადებელი სახელოსნო, რომელიც იარსებებს სამეურნეო ანგარიშზე.

შენიშვნა: ნებართვა ეძლევა რაიონებისა და ქალაქებში ასეთი სახელოსნოს გახსნის შესახებ გაიცემა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

47. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტის სათავეში დგას კაბინეტის გამგე საუკეთესო მასწავლებელთა, დირექტორთა (გამგეთა) და სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა რიცხვიდან. მას ნიშნავს განათლების სამინისტრო განათლების განყოფილების გამგის წარმოდგენით.

48. კაბინეტის მეთოდისტებსა და სხვა თანამშრომლებს ნიშნავს განათლების განყოფილება.

49. ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიის გამგეებად ინიშნებიან შესაბამისი საგნის დახელოვნებული მასწავლებლები; ლაბორატორიის გამგეებს და ლაბორანტებს ნიშნავს განათლების განყოფილება.

50. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი მუშაობს რაიონმასკომის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტის ბიუჯეტის დამტკიცებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გასავალი: კაბინეტის თანამშრომელთა, ლაბორატორიების გამგეთა და ლაბორანტთა ხელფასი, სკოლებსა და საუბნო-ჯგუფურ გაერთიანების აღვილებამდე მიმოსვლა; კაბინეტის ლაბორატორიების მოწყობა და მისი შევსება, სემინარების ჩატარება, მეთოდური მასალების გამრავლება სკოლებისათვის დასავსებულ და სხვ.

51. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი თავის მუშაობის ანგარიშს აბარებს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.

52. სარაიონო პედაგოგიურ კაბინეტს აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი სათანადო წარწერებით.



საქართველოს სსრ ქართული დაწესებითი, რვაწლიანი და
 საშუალო სკოლების მომკმედი სასწავლო გეგმა 1946-47 სასწავლო
 წლისათვის

№№ რიგზე	საგნის დასახელება	კვირეული საათების რაოდენობა											
		I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	V კლ.	VI კლ.	VII კლ.	VIII კლ.	IX კლ.	X კლ.	XI კლ.	სულ
1	ქართული ენა	14	10	10	7	4	4	3	2				54
2	ქართული ლიტერატურა					3	3	3	2	3	4	4	22
3	რუსული ენა		5	6	6	6	6	5	5	3	3	5	50
4	რუსული ლიტერატურა									3	3	5	11
5	უცხო ენა					3	3	3	2	2	3	3	19
6	ისტორია				2	2	2	4	4	3	3	3	23
7	საქართველოს ისტორია									3	3		6
8	კონსტიტუცია								1				1
9	არითმეტიკა	7	6	7	6	6	2						34
10	ალგებრა-გეომეტრია- ტრიგონომეტრია						3	5	4	5	6	6	29
11	ფიზიკა							2	3	2	3	4	14
12	ასტრონომია										1		1
13	ბუნებისმეტყველება				2	2	3	2	2	2			13
14	ჭიბია								2	2	2	3	9
15	გეოგრაფია				2	3	3	2	2	2			14
16	სამხედრო მომზადება									1	1		2
17	ფიზიკური მომზადება	1	1	2	2	2	2	2	2	1	1		16
18	ხატვა	1	1	1	1	1	1						6
19	ხაზვა							1	1	1	1		4
20	სიღერა	1	1	1	1								4
ს უ ლ . .		24	24	27	29	32	32	32	32	33	33	34	332

შენიშვნა: ა) ვაჟთა საშუალო სკოლების IX—X კლასებში ისწავლება როგორც ფიზიკური მომზადება, ისე სამხედრო მომზადება.

ბ) ქალთა საშუალო სკოლებში ისწავლება მხოლოდ ფიზიკური მომზადება, სამხედრო მომზადება არ ისწავლება; ქალთა საშუალო სკოლების IX, X კლასებში კვირეული დატვირთვა იქნება 32 საათი.

გ) იმ საშუალო სკოლების IX—X კლასებში, სადაც ქალ-ვაჟნი ერთად შეცადინებენ, ქალები სწავლობენ მხოლოდ ფიზიკურ მომზადებას, ხოლო სამხედრო მომზადებას არ სწავლობენ ვაჟები კი სწავლობენ როგორც ფიზიკურ მომზადებას, ისე სამხედრო მომზადებას. ასეთ სკოლებში ფიზიკურ მომზადებაში ქალები ცალკე შეცადინებენ.

დ) იმ რვაწლიან და საშუალო სკოლების VV—III კლასებში, სადაც ქალ-ვაჟნი ერთად შეცადინებენ, —დასაშვებია ქალებმა და ვაჟებმა ფიზიკურ მომზადებაში ერთდროულად, მაგრამ ცალ-ცალკე ჯგუფებში იმეცადინონ.

*) სულთა წერილობითი განკუთვნილი 2 საათის ჩათვლით.

УЧЕБНЫЙ ПЛАН

русских начальных, восьмилетних и средних школах Грузинской ССР действующей на 1946-47 учебный год.



№ по пор.	Наименование предметов	Количество недельных часов											Всего
		I кл.	III кл.	IV кл.	V кл.	VI кл.	VII кл.	VIII кл.	IX кл.	X кл.	XI кл.		
1	Русский язык и литературное чтение	14	11	12	8	8	8	6	5	—	—	3	75
2	Русская литература	—	—	—	—	—	—	—	—	5	5	6	16
3	Грузинский язык	—	4	4	5	5	5	4	2	2	2	2	38
4	литература	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	8
5	Иностранный язык	—	—	—	3	3	3	2	2	3	3	—	19
6	История	—	—	—	2	2	2	4	4	3	3	3	23
7	История Грузии	—	—	—	—	—	—	—	3	3	—	—	6
8	Конституция	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1
9	Арифметика	7	6	7	6	6	2	—	—	—	—	—	34
10	Алгебра, геометрия, тригонометрия	—	—	—	—	—	3	5	4	5	6	6	29
11	Физика	—	—	—	—	—	—	2	3	2	3	4	14
12	Астрономия	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	1
13	Естествознание	—	—	—	2	2	3	2	2	2	—	—	13
14	Химия	—	—	—	—	—	—	—	2	2	2	3	9
15	География	—	—	—	2	3	3	2	2	2	—	—	14
16	Физическая подготовка	1	1	2	2	2	2	2	2	1	1	—	16
17	Военная подготовка	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	—	2
18	Рисование	1	1	1	1	1	—	—	—	—	—	—	6
19	Черчение	—	—	—	—	—	—	1	1	1	1	—	4
20	Пение	1	1	1	1	—	—	—	—	—	—	—	4
В с е г о		24	24	27	29	32	32	32	32	33	33	34	332

Примечание: а) в IX—X классах мужских средних школ преподается как физическая подготовка, так и военная подготовка; б) в женских средних школах преподается только физическая подготовка, военная подготовка не преподается. Недельная нагрузка в IX—X классах женских средних школ будет 32 часа; в) в IX—X классах тех средних школ, где нет отдельного обучения, девочки обучаются только физической подготовке, а военной подготовке не обучаются; мальчики обучаются как физической подготовке, так и военной подготовке. В этих школах по физической подготовке девочки занимаются отдельно; г) в V—VIII классах тех восьмилетних и средних школ, где нет отдельного обучения, допускается чтобы девочки и мальчики по физкультуре занимались одновременно, но по отдельным группам.

*) Включая два часа отведенные, на чистолисание.

УЧЕБНЫЙ ПЛАН

азербайджанских и армянских начальных, восьмилетних, и средних школ Грузинской ССР, действующий на 1946/47 уч. год.



№№ по пор.	Наименование предметов	Количество недельных часов											Всего		
		I кл.	II кл.	III кл.	IV кл.	V кл.	VI кл.	VII кл.	VIII кл.	IX кл.	X кл.	XI кл.			
1	Родной язык	14	10	9	5	3	3	3	2	—	—	—	—	—	49
2	„ литература	—	—	—	—	3	2	2	2	4	4	3	—	—	20
3	Грузинский язык	—	2	3	4	5	5	4	4	2	2	2	—	—	33
4	„ литература	—	—	—	—	—	—	—	—	2	2	2	—	—	6
5	Русский язык	—	3	5	5	6	6	5	5	2	2	2	4	4	44
6	„ литература	—	—	—	—	—	—	—	—	2	2	3	5	—	10
7	Иностранный язык	—	—	—	—	2	2	2	2	2	2	2	2	—	14
8	История	—	—	—	2	2	2	4	3	3	3	3	—	—	22
9	Конституция	—	—	—	—	—	—	—	1	—	—	—	—	—	1
10	Арифметика	7	6	6	5	5	2	—	—	—	—	—	—	—	31
11	Алгебра, геометрия, тригонометрия	—	—	—	—	—	3	5	4	5	5	6	—	—	28
12	Физика	—	—	—	—	—	—	2	2	2	3	4	—	—	13
13	Астрономия	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	—	—	1
14	Естествознание	—	—	—	2	2	3	2	2	2	—	—	—	—	13
15	Химия	—	—	—	—	—	—	—	2	3	2	3	—	—	10
16	География	—	—	—	2	3	3	2	2	2	—	—	—	—	14
17	Физическая подготовка	1	1	2	2	2	2	2	2	1	1	—	—	—	16
18	Военная подготовка	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	—	—	—	2
19	Рисование	1	1	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	4
20	Черчение	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	—	—	—	2
21	Пение	1	1	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	4
Всего		24	24	27	29	33	33	33	33	34	32	35	—	—	197

ПРИМЕЧАНИЕ: а) в XI классах военно-физическая подготовка и черчение в 1946-47 уч. году не преподаются. Эти часы даются для прохождения русского языка и литературы; русскому языку отводится 4 часа, а русской литературе—5 часов; б) в IX—X классах мужских средних школах преподается как физическая подготовка, так и военная подготовка; в) в женских средних школах преподается только физическая подготовка, военная подготовка не преподается. В женских средних школах количество недельных часов в IX кл. будет 33 часа, а в X кл.—31 ч.; г) в IX—X классах тех средних школ, где нет раздельного обучения, девушки обучаются только физической подготовке, а мальчики как физической подготовке, так и военной подготовке. По физической подготовке девочек занимают отдельно; д) в V—VIII классах тех восьмилетних и средних школ, где нет раздельного обучения,—допускается чтобы девочки и мальчики по физкультуре занимались одновременно, но по отдельным группам.

В IX—X классах азербайджанских и армянских школ в 1946-47 уч. году история Грузии не преподается.

*) Включая 2 часа, отведенные на чтение.

დებულება

დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლებთან არსებულ
მშობელთა კომიტეტისა

I. მშობელთა კომიტეტის მიზნები და ამოცანები

§-1

მშობელთა კომიტეტი წარმოადგენს მშობელთა საზოგადოებრივობის ორგანოს და ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ კოლექტივს:

- ა) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებაში;
- ბ) სამამულო ომის ინვალიდებისა, უღედმა მო და ხელმოკლე მოსწავლეებზე ყოველდღიური მზრუნველობისა და მათთვის მატერიალური დახმარების ორგანიზებაში;
- გ) ბავშვთა უმეტვალყურეობისა და უპატრონობის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- დ) ბავშვთა შორის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის მოწყობაში;
- ე) როგორც სკოლაში, ასევე სკოლისგარეთ მოსწავლეთა მიერ „მოსწავლეთა წესების“ შესრულებაზე მეთვალყურეობაში;
- ვ) სკოლის სასწავლო, სამეურნეო და სანიტარულ კეთილმოწყობის საქმეში;
- ზ) მშობელთა შორის პედაგოგიური პროპაგანდის წარმოებაში;

II. მშობელთა კომიტეტის მუშაობის ორგანიზაცია

§-2

მშობელთა კომიტეტი იქმნება ყოველ დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლასთან.

§-3

მშობელთა კომიტეტის შემადგენლობაში შედიან მშობელთა წარმომადგენელი (2—3 კაცი თითოეულ კლასიდან), რომლებიც აირჩე-

ვიან ერთი წლის ვადით, ღია კენჭისყრით, სასწავლო წლის დასაწყისის (სექტემბრის თვეში), კლასის მშობელთა კრებებზე და აგრეთვე სკოლის დირექტორი (გამგე).

§-4

მშობელთა კომიტეტის არჩევაში მონაწილეობას ღებულობენ ყველა მოსწავლის მშობლები.

მშობელთა კომიტეტში წამოყენებულ უნდა იქნან ავტორიტეტული და აქტიური მშობლები, რომლებსაც შესწევთ უნარი სათანადო დახმარება აღმოუჩინონ სკოლას და ბავშვებს.

§-5

მიმდინარე ოპერატიული მუშაობისათვის მშობელთა კომიტეტი ირჩევს პრეზიდიუმს—თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და 2-4 წევრის შემადგენლობით.

შენიშვნა: იმ სკოლაში, სადაც კლასთა რაოდენობა რვას არ აღემატება მშობელთა კომიტეტის პრეზიდუმის შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი.

§ 6

თავის მუშაობაში მშობელთა კომიტეტი ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის (გამგის) და პედაგოგიური საბჭოს მითითებებით. მშობელთა კომიტეტის სხდომები ყოველთვეში ერთჯერ მაინც იწვევა.

§-7

მშობელთა კომიტეტი მუშაობს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან სრულ კონტაქტში, კომიტეტის სხდომაზე მიღებული და სკოლის დირექტორთან (გამგესთან) შეთანხმებული გეგმით. მშობელთა კომიტეტის გეგმა დგება სასწავლო წლის პირველი ნახევრისა, სასწავლო წლის მეორე ნახევრისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდისათვის.

§-8

მშობელთა კომიტეტი უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება სხდომაზე წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრების პირობებში.

მშობელთა კომიტეტის და მშობელთა საერთო კრების გადაწყვეტილება ძალაში შედის სკოლის დირექტორთან (გამგესთან) მისი შეთანხმების შემდეგ.

§-9

თავის საქმიანობას მშობელთა კომიტეტი ანხორციელებს წევრების მეშვეობით. თავის მხრივ მშობელთა კომიტეტის წევრები პრაქტიკულ მუშაობას აწესრიგებენ კლასის მშობელთა, აქტივის დახმარებით.

§-10

მშობელთა კომიტეტის წევრები მოსწავლეთა მშობლებთან მჭიდრო კავშირს ანხორციელებენ სახლში მისვლით, მათთან ინდივიდუალური და ჯგუფური საუბრების ჩატარებით და კლასის მშობელთა კრების მოწვევით სასწავლო მეოთხედის განმავლობაში არანაკლებ ერთისა.

მშობელთა საერთო კრებას სკოლის დირექტორი (გამგე) და მშობელთა კომიტეტი ატარებენ წლის განმავლობაში არანაკლებ ორისა.

§-11

სკოლის დირექტორთან (გამგესთან) შეთანხმებით მშობელთა კომიტეტი ამყარებს მჭიდრო კავშირს საშეფო ორგანიზაციებთან, მიმართავს მათ და სხვა საბჭოთა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს სკოლის მეურნეობისა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

§-12

სკოლის კომიტეტს სკოლის დირექტორთან (გამგესთან) შეთანხმებით შეუძლია გამოაყოს მშობლებიდან დროებითი კომისიები დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად.

§-13

მშობელთა კომიტეტს ნება აქვს იქონიოს მატერიალური და ფულადი ფონდი, რომელიც იქმნება მშობლების ნებაყოფლობითი გამოსაღებიდან, ფასიან კონცერტების, სპექტაკლების, ლექციებისა და სხვათა მოწყობით.

მშობელთა კომიტეტის ფულადი ფონდი ინახება შემნახველ სალაროში მიმდინარე ანგარიშზე და იხარჯება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ იმ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია მშობელთა კრების მიერ, სამხედრო პირების შვილების, სამამულო ომის ინვალიდების, ობლებისა და სხვა ხელმოკლე ბავშვთა დასახმარებლად, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ჩასატარებლად და აგრეთვე სკოლის სასწავლო ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად.

III. მშობელთა კომიტეტის წევრების უფლებამოსილება

§-14

მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ითვლება პედაგოგიურ საბჭოს წევრად.

§-15

მშობელთა კომიტეტის ყოველ წევრს უფლება აქვს კომიტეტსა და პედაგოგიურ საბჭოში შეიტანოს განსახილველად საკითხები, რომელიც დაკავშირებულია სკოლის მუშაობის გაუმჯობესებასთან. მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე და სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებული არიან განიხილონ ეს საკითხები კომიტეტისა და პედაგოგიურ საბჭოს მახლობელ სხდომაზე.

§-16

სკოლის დირექტორთან (გამგესთან) შეთანხმების შემდეგ მშობელთა კომიტეტის გადაწყვეტილებანი სავალდებულოა კომიტეტის ყველა წევრისათვის და დროულად და ზუსტად უნდა იქნას სისრულეში მოყვანილი.

§-17

მშობელთა კომიტეტის წევრები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ სკოლის ცხოვრებაში, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარის წარდგენით შეიძლება გადარჩევის ვადამდე გაწვეულ იქნან კომიტეტის შემადგენლობიდან.

IV. გზოგელთა კომიტეტის ანგარიშგება და საქმის
წარმოება.



§-18

თავის მუშაობაში მშობელთა კომიტეტი ექვემდებარება სკოლის დირექტორს (გამგეს) და სკოლის მშობელთა საერთო კრებას.

მშობელთა კომიტეტის წევრები თავიანთ მუშაობაში ექვემდებარებიან მშობელთა კომიტეტის პრეზიდიუმს და საკლასო მშობელთა კრებას.

§-19

მშობელთა კომიტეტი მუშაობის ანგარიშს უდგენს სკოლის დირექტორს (გამგეს) მეოთხედის განმავლობაში ერთხელ, ხოლო სკოლის მშობელთა საერთო კრებას—წელიწადში ორჯერ; მშობელთა კომიტეტის წევრები ანგარიშს უდგენენ მეოთხედის განმავლობაში ერთხელ მშობელთა საკლასო კრებას, ხოლო მშობელთა კომიტეტს—საჭიროების მიხედვით.

§-20

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს და მშობელთა კომიტეტის არჩევნების წინ მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე მისი მუშაობის შესახებ ანგარიშს უდგენს სკოლის პედაგოგიურ საბჭოს.

§-21

მშობელთა კომიტეტი აწარმოებს თავის სხდომის და მშობელთა საერთო კრების ოქმებს.

ოქმები იწერება სპეციალურად შემოღებულ დანომრილ, ზონარ-გაყრილ და სკოლის დირექტორის (გამგის) ხელისმოწერითა და ბეჭდის დასმით შემოწმებულ წიგნში.

მშობელთა კომიტეტისა და მშობელთა საერთო კრების ოქმები ინახება სკოლის საქმეებში და მათი ჩაბარება-გადაბარება საერთო წესით ხდება.

V. გზოგელთა კომიტეტის ხელშეწყობა და მისი
მუშაობის კონტროლი

§-22

მშობელთა კომიტეტი თავის ყოველ სხდომაზე ამოწმებს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

1p

10/767

6115
საქართველოს
საინფორმაციო
სისტემების
სამსახური

§-23

ინსპექტორები კონტროლს უწევენ მშობელთა კომიტეტების მუშაობას და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მათ.

§-24

მშობელთა კომიტეტების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა ევალება სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს.



პ/მგ. რედაქტორი მ. ბუჩუქაძე

შეკ. № 1127;

ტირაჟი 2000.

შე 09241

ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28

1946

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებითა და
განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეცხრე

№ 9	Сборник приказов и Распоряжений Министер- ства Просвещения Грузинской ССР	1946 წ.
-----	--	---------

შ ი ნ ბ ა რ ს ი

1. დადგენილება № 197—საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსი—მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	2	83.
2. დადგენილება № 739—საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსი—წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებელთათვის ხელფასის ნორმების შესახებ	5	
3. სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილება № 710—წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის ნორმების შესახებ	6	
4. ბრძანება № 180—საქართველოს სსრ განსახკომისადმი	9	
5. ბრძანება № 440 <u>2</u> სოფლის ახალგაზრდობის დაწესებით და შეიღწლიან საღამოს სკოლებში წლიური გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარებისა და 1945-46 სასწავლო წლის დამთავრების შესახებ	10	
6. ბრძანება № 2—სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ	14	
7. ბრძანება № 23—თბილისის მუშა ახალგაზრდობის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ	20	
8. ბრძანება № 48—მოზრდილთა საშუალო სკოლების მუშაობის შესახებ	28	
9. ბრძანება № 658—წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა აღრიცხვისა და სწავლებაში ჩაბმის შესახებ	33	
10. ბრძანება № 1154 — სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში 1945-46 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ	37	
11. ბრძანება № 1135 <u>2</u> მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლების მუშაობის შესახებ	45	

785



დადგენილება № 197

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების
მუშაკობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღინიშნოს, რომ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არსებითს ნაკლოვანებებს. ზოგიერთი საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველყვეს მუშა ახალგაზრდობის სკოლები სადგომებით, ინვენტარით, გათბობითა და განათებით, ვერ ჩააბეს სწავლაში საწარმოთა მოზარდები და მთელ რიგ შემთხვევებში მუშა ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეებს იყენებენ საზევანაკვეთო სამუშაოებზე, რის შედეგადაც მოსწავლეები სწყდებიან სასწავლო მეცადინეობას (თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, ფერომარგანეცის ქარხანა და ქალაქ კიათურის მარგანეცის შახტებთან არსებული მუშა ახალგაზრდობის სკოლა). სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები ყველგან როდია უზრუნველყოფილი განათებითა და გათბობით, მოსწავლეებს იყენებენ სამუშაოზე შორეულ ადგილებში და სწყვეტენ სწავლას (სიღნაღის, გალის, გაგრის, ყარაიისა და ბოლნისის რაიონები).

საქართველოს სსრ განსახკომმა ვერ უზრუნველყო დასახელებული სკოლები სპეციალური სახელმძღვანელოებითა და საკმაო რაოდენობის სასკოლო-საწერი საგნებით.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და მოზრდილთა სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 11 თებერვლის № 342 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ განსახკომის აპარატში მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და მოზრდილთა სკოლების სამმართველო.



2. შოეწყოს აფხაზეთისა და აჭარის განსახკომებში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების საოლქო განყოფილებასა და თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების სახალხო განათლების განყოფილებებში მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სექტორები.

3. შემოღებულ იქნას სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ინსპექტორების თანამდებობა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მისცეს დამატებით 1946 წლის 1 მარტიდან მუშა ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეებს ბარათებით მომარაგების ნორმათა გარეშე 100 გრამი პური, 30 გრამი ბურღული და 20 გრამი შაქარი დღეში.

5. აეკრძალოს საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს გამოიყენონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეები ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც დაკავშირებულია სკოლებში სასწავლო მეცადინეობისაგან მოწყვეტასთან.

6. დაევალოს საწარმოებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს საჭირო დახმარება აღმოუჩინონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს შესაფერი სადგომების გამოყოფის, სადგომების რემონტისა და მათი ინვენტარით, განათებითა და გათბობით უზრუნველყოფის საქმეში და სხვ.

7. დადგენილ იქნას, რომ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ყველა კლასში სწავლება სწარმოებს უფასოდ.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განსახკომს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორთა შრომის ანაზღაურება აწარმოოს მთელი კალენდარული წლის განმავლობაში.

9. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო წიგნებით, სასწავლო სახელმძღვანელოებითა და სასკოლო-ნაწერო საგნებით უზრუნველსაყოფად, დაევალოს:

ა) საქართველოს სსრ განსახკომს—ამხ. კუპრაძეს—უზრუნველყოს 1946—47 წლებში სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოშვება საჭირო რაოდენობით.

ბ) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ გამოცემ-
ლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის საქმეთა სამმართველოს
—ამხ. გოგუას—უზრუნველყოფის 1946 წლის 1 სექტემბრამდე სას-
წავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების ბეჭდვა სოფლისა და
მუშა ახალგაზრდობის სკოლებისათვის.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ
სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინოს წინადადებანი
სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ნავთის ლამპებით უზრუნველყოფის შესახებ;

ბ) გაითვალისწინოს 1946 წლის II კვარტალის განაწილების
გეგმაში საჭირო რაოდენობის ელნათურების გამოყოფა საქართვე-
ლოს სსრ განსახკომისათვის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის
სკოლების დასაკმაყოფილებლად.

11. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ.
ნარსიას მისცეს სოფლის ახალგაზრდობის იმ სალამოს სკოლებს,
რომელთაც ელექტროგანათება არა აქვთ, თვეში ათი ლიტრი ნავ-
თი თითოეულ კლასზე, საქართველოს სსრ განსახკომის განაცხადთა
მიხედვით.

12. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს—ამხ. კუბრაძეს:

ა) ორი კვირის განმავლობაში სრულად დააკომპლექტოს მუშა
და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა შტატები.

ბ) გააუმჯობესოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლე-
ბისა და მოზრდილთა სკოლების მასწავლებელთა მეთოდური ხელ-
მძღვანელობა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი ს. როსტინაშვილი.

1946 წლის 1 მარტი.

დადგენილება № 739

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა .
სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების
მასწავლებლებისათვის ხელშასის მომატიების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის
12 ივნისის № 710 დადგენილება „წერა-კითხვის უცოდინართა და
მცირემცოდნეთა სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლე-
ბის მასწავლებლებისათვის ხელშასის მომატიების შესახებ“ სახელ-
მძღვანელოდ დაეგზავნოს საქართველოს სსრ განსახკომსა და ფინ-
სახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-
ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და მშრომელთა
დეპუტატების ყველა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომებს.

2. დაევალოს განსახკომს — ამხ. კუპრაძეს და ფინსახკომს —
ამხ. ციმაკურიძეს უზრუნველჰყონ ხელშასის დროულად მიცემა წე-
რა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისა და მო-
ზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებისათვის ახალი
განაკვეთების მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე მ. ბაძრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 29 ივნისი.



1944 წლის 12 ივნისი

მოსკოვი, კრემლი

წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა
სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების
მასწავლებელთა ხელფასის მომატების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოემატოს 1944 წლის 1 ივნისიდან ხელფასი წერა-კითხვის
უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებსა და
მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებს და დაწესდეს
მათთვის ხელფასის შემდეგი განაკვეთები ოვეში:

მუშაკთა კატეგორიები	ქალაქებისა და მუშათა დაბებში			სასოფლო ადგი- ლებში		
	პედაგოგიური მუშაობის სტაჟი					
	5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10 წელს ზევით	5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10 წელს ზევით
ა) წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლები: I თანრიგი—რომელთაც აქვთ საშუალო პედაგოგიური განათლება	350	400	450	300	350	400
II თანრიგი—რომელთაც აქვთ ზოგადი საშუალო განათლება	300	350	400	275	325	375
ბ) მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების I, II და III კლასების (რომლებიც უდრიან ბავშვთა შეიფლიანი და საშუალო სკოლების V—VII კლასებს) მასწავლებლები: I თანრიგი—უმალესი განათლებით	450	500	550	400	450	500
II თანრიგი—რომელთაც დამთავრებული აქვთ სამასწავლებლო ინსტიტუტები და მათთან გათანაბრებული სასწავლებლები	425	475	525	375	425	475
გ) მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების IV, V და VI კლასების (რომლებიც უდრიან ბავშვთა საშუალო სკოლების VI II—X კლასებს) მასწავლებლები: I თანრიგი—უმალესი განათლებით	475	525	575	425	475	525
II თანრიგი—რომელთაც არა აქვთ დამთავრებული უმალესი განათლება	450	500	550	400	450	500



2. მოემატოს 1944 წლის 1 ივნისიდან ხელფასი მოზარდთა მალალი ტიპის სკოლების დირექტორებსა და სასწავლო განმგებებს და დაწესდეს მათთვის ხელფასის შემდეგი განაკვეთები თვეში:

მუშაკთა კატეგორიები	სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი არის:			
	90 კაცამდე	90-დან 150 კაცამდე	150-დან 400 კაცამდე	400 კაცზე მეტი
ა) მოზარდთა მალალი ტიპის სკოლების დირექტორები:				
I თანრიგი—უმაღლესი განათლებით: ქალაქებსა და მუშათა დაბებში	500	525	575	650
სასოფლო ადგილებში	450	475	525	600
II თანრიგი—რომელთაც არა აქვთ დამთავრებული უმაღლესი განათლება: ქალაქებსა და მუშათა დაბებში	450	475	525	600
სასოფლო ადგილებში	400	425	475	550
ბ) მოზარდთა მალალი ტიპის სკოლების სასწავლო ნაწილის განმგებები:				
I თანრიგი—უმაღლესი განათლებით: ქალაქებსა და მუშათა დაბებში	—	—	—	450
სასოფლო ადგილებში	—	—	—	400
II თანრიგი—რომელთაც არა აქვთ დამთავრებული უმაღლესი განათლება ქალაქებსა და მუშათა დაბებში	—	—	—	400
სასოფლო ადგილებში	—	—	—	350

3. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებს, რომლებიც ამავე დროს ამ სკოლების განმგებებიც არიან, დამატებით ეძლევათ სკოლის განმგებობისათვის:

- იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 50 კაცამდეა 75 მან. თვეში
- იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 100 კაცამდეა 100 " "
- იმ სკოლებში სადაც მოსწავლეთა რიცხვი 100 კაცს აღემატება 150 " "

იმ სკოლების განმგებები, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 250 კაცს აღემატება, თავისუფლდებიან სამასწავლებლო მუშაობისაგან და მათ ეძლევათ შესაბამისი თანრიგის მასწავლებლის განაკვეთი 150 მან. წანამატი თვეში.

4. მოზარდთა იმ მაღალი ტიპის სკოლების დირექტორებისათვის, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 150 კაცამდეა, მე-2 პუნქტში წესებული ხელფასის თვიური განაკვეთები შეიცავენ ყოველდღიური სავალდებულო სამასწავლებლო მუშაობის 2 საათის საზღაურს.

5. ამ დადგენილებით დაწესებული ხელფასის განაკვეთები მიეცეს წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებს 4 საათის სამასწავლებლო მუშაობისათვის დღეში, მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებს—3 საათის სამასწავლებლო მუშაობისათვის დღეში.

სამასწავლებლო მუშაობის დამატებით საათებისათვის მიეცეს დამატებითი გასამრჯელო იმ განაკვეთის შესაბამისად, რასაც იგი იღებს.

6. გაერცვლდეს წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებსა და გამგეებზე და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებსა და დირექტორებზე 5, 6, 7, 8, 9, 10 და 15 მუხლები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 11 აგვისტოს დადგენილებისა „დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა ხელფასის მომატების შესახებ“ (სსრ კავშირის დადგ. კრ., 1943 წ. № 11, მუხ. 197).

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 10 იანვრის № 41 დადგენილება „წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის მომატების შესახებ“.

ბ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 23 ივნისის № 993 დადგენილება „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ სხვადასხვა კატეგორიის პედაგოგიურ მუშაკთა ხელფასის გადიდების თაობაზე 1937 წლის 10 იანვრის გამოტანილი დადგენილების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ვ. მოლოტოვი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ი. ჩადაშვი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 180

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისიის ბრძანებით

1946 წლის 25 იანვარი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 22 იანვრის № 51 დადგენილების შესაბამისად

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სასწავლო წლის ხანგრძლივობა მუშა ახალგაზრდობის სკოლაში დაწესდეს 44 კვირა (1 სექტემბრიდან 1 ივლისამდე), საკლასო მეცადინეობა 18 საათი კვირაში (ორი დღე 5—5 საათი და ორი დღე 4—4 საათი) და კონსულტაცია 4 საათი კვირაში.

ამასთან დაკავშირებით მე-9 მუხლი დებულებისა მუშა ახალგაზრდობის სკოლის შესახებ შეიცვალოს შემდეგნაირად:

„9. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში სასწავლო წელი იწყება 1 სექტემბერს, მთავრდება 1 ივლისს და დაიყოფა სასწავლო წლის ნახევრებად: პირველი ნახევარი წელი—1 სექტემბრიდან 15 თებერვლამდე და მეორე ნახევარი წელი—16 თებერვლიდან 1 ივლისამდე. სასწავლო წელი შეიცავს 44 სამუშაო კვირას, კვირაში 4 დღე (საკლასო მეცადინეობა ორი დღე 5—5 საათი და ორი დღე 4—4 საათი, კონსულტაცია—4 საათი)“.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო და საქალაქო განყოფილებებს, მუშა ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებს გადასინჯონ მუშა ახალგაზრდობის მოსამზადებელი კლასების, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების კალენდარული სამუშაო გეგმები იმ ვარაუდით, რომ 1945—46 წლის სასწავლო გეგმა და პროგრამები მთლიანად ამოწურულ იქნას 1946 წლის 1 ივნისამდე, ხოლო გამოცდები დამთავრდეს 1946 წლის 1 ივლისისათვის.

3. დამტკიცდეს მუშა ახალგაზრდობის შვიდწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო გეგმები, გადამუშავებული 1-ლი მუხლის შესაბამისად.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი

მ. კუპჩიძე.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ა № 440^ა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1946 წლის 3 მარტი

სოფლის ახალგაზრდობის დაწყებით და უშიშროებულ
საღამოს სკოლებში 1946 წელს წლიური გადასაყვანი
და გამოცდები გამოცდების ჩატარებისა და 1945—1946
სასწავლო წლის დამთავრების შესახებ

§ 1

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის დაწყებითი სკოლის 1-ლ, მე-2 და მე-3 კლასებში მეცადინეობა შესწყდეს 27 აპრილს, შეჯამდეს წლის განმავლობაში ამ კლასებში ჩატარებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები და წლიური ნიშნების მიხედვით გადაწყდეს 1-ლ, მე-2 და მე-3 კლასებში მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და იმავე კლასში დატოვების საკითხი.

§ 2

1-ლი, მე-2 და მე-3 კლასების მოსწავლე, რომელსაც წლიური ნიშანი ყველა სასწავლო საგანში აქვს „3“ ან მეტი, გადაყვანილ იქნას შემდეგ კლასში.

1-ლი, მე-2 და მე-3 კლასების მოსწავლე, რომელსაც ორ საგანში—მშობლიურ ენასა და არითმეტიკაში აქვს „3“-ზე ნაკლები ნიშანი, დატოვებულ იქნას იმავე კლასში, ხოლო იმ მოსწავლეს, რომელსაც დასახელებულ საგნებიდან მხოლოდ ერთერთში აქვს „3“-ზე ნაკლები ნიშანი, მიეცეს ამ საგანში საზაფხულო დავალება.

მე-2 და მე-3 კლასების მოსწავლეს, რომელსაც მშობლიურ ენაში ან არითმეტიკაში აქვს „3“-ზე ნაკლები ნიშანი და „3“-ზე ნაკლები შეფასება აქვს აგრეთვე რუსულ ენაში ან ქართულ ენაში (არაქართულ სკოლებში), მიეცეს ამ საგნებში საზაფხულო დავა-

ლება, ახალი სასწავლო წლის დაწყების დროისათვის საზაფხულო
დავალების შეუსრულებლობის ან ცუდად შესრულების შემთხვევაში
მოსწავლე დატოვებულ იქნას იმავე კლასში.

§ 3

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მე-4, მე-5, მე-6
და მე-7 კლასებში შესწყდეს მეცადინეობა 10 აპრილს. გადასაყვანი
და გამოსაშვები გამოცდები ამ კლასებში ჩატარდეს 11 აპრილი-
დან 27 აპრილამდე.

გამოცდები ჩატარდეს შემდეგ საგნებში:

მე-4 კლასში — მშობლიურ ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ
ენაში (არარუსულ სკოლებში) (წერა და ზეპირი), არითმეტიკაში
(წერა და ზეპირი), ისტორიაში და გეოგრაფიაში, სულ რვა
გამოცდა, აქედან სამი წერიითი და ხუთი ზეპირი.

მე-5 კლასში — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში
(წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) (წერა
და ზეპირი) და არითმეტიკაში (წერა და ზეპირი), სულ ექვსი გამო-
ცდა, აქედან სამი წერიითი და სამი ზეპირი.

მე-6 კლასში — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წე-
რა და ზეპირი), რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) (წერა და
ზეპირი), ალგებრაში (წერა), ბიოლოგიაში (ბოტანიკაში) და გეო-
გრაფიაში, სულ შვიდი გამოცდა, აქედან სამი წერიითი და ოთხი
ზეპირი.

მე-7 კლასში — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წე-
რა და ზეპირი), ალგებრაში (ზეპირი), გეომეტრიაში, გეოგრაფია-
ში, ისტორიაში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ფიზიკაში და
ბიოლოგიაში, სულ თერთმეტი გამოცდა, აქედან ორი წერიითი და
ცხრა ზეპირი.

§ 4

ზეპირი გამოცდები ყველა კლასში ჩატარდეს ბილეთების მი-
ხედვით. ბილეთები გამოცდებისათვის შეადგინოს სათანადო საგნის
მასწავლებელმა დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლებისათვის დამ-
ტკიცებელი პროგრამებისა და ბილეთების საფუძველზე (ბილეთები
უნდა იყოს თანაბარი სიძნელის). თითოეული ბილეთი შესდგეს სას-
წავლო პროგრამის სხვადასხვა განყოფილებიდან აღებული, მოსწავ-
ლეთათვის გასაგები და გარკვევით დაწერილი ორი-სამი საკითხი-
საგან. ბილეთები დაამტკიცოს სკოლის დირექტორმა.



ბილეთების რაოდენობა თითოეულ კლასში არ უნდა აღემატებოდეს 25—30 ს. ბილეთებში მოცემული საკითხები მთლიანად უნდა და ამოსწურავდეს სასწავლო პროგრამის მიხედვით გავლილ მასალას. მე-7 კლასის სასწავლო დისციპლინების საგამოცდო ბილეთებში შეტანილ იქნას ძირითადი საკითხები მე-5 და მე-6 კლასების პროგრამიდან.

ბილეთი აიღოს თვითონ მოსწავლემ, როდესაც მას გამოცდაზე გაიძახებენ. თუ მოსწავლემ ვერ შესძლო ბილეთში აღნიშნულ საკითხებზე პასუხის გაცემა, მას ნება მიეცეს აიღოს მეორე ბილეთი, მაგრამ ამ შემთხვევაში მოსწავლეს შეფასება დაეწეროს ერთი ნიშნით ნაკლები. გამოცდები ჩატარდეს მტკიცე ცხრილის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი.

გამოცდების ცხრილი 10 დღით ადრე ეცნობოს მოსწავლეებს. გამოცდა ჩატაროს იმ მასწავლებელმა, რომელიც საგანს ასწავლის. გამოცდაზე, როგორც ასისტენტი, სკოლის დირექტორის დანიშვნით, დაესწროს ამავე სკოლის მონათესავე საგნის ერთერთი მასწავლებელი. ჩატარებულ გამოცდაზე შედგეს ოქმი.

§ 5

წერითი სამუშაო მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მიეცეთ: მე-4 კლასში—გავლილი მასალის ფარგლებში მოკლე შინაარსის გადმოცემა.

მე-5 და მე-6 კლასებში — გავლილი ლიტერატურული მასალის შინაარსის გადმოცემა.

მე-7 კლასში გავლილ ნაწარმოებთა მიხედვით მომქმედი პირების დახასიათება (თხზულებისათვის კლასს ეძლევა ორი თემა და მოსწავლეს უფლება აქვს აირჩიოს ერთი მათგანი).

წერითი სამუშაო—რუსულ ენაში მიეცეთ: მე-4, მე-5 და მე-6 კლასებში — პასუხი კითხვებზე გავლილი მასალიდან. მე-7 კლასში — კარნახი გავლილი მასალიდან (მოკულობით არაუმეტეს 75—80 სიტყვისა).

წერითი სამუშაო მათემატიკაში: მე-4 კლასში—ერთი ამოცანა და ერთი მაგალითი არითმეტიკაში, მე-5 კლასში—ერთი ამოცანა და ერთი მაგალითი არითმეტიკაში, მე-6 კლასში—სამი მაგალითი ალგებრაში.

წერითი გამოცდებისათვის თხზულების თემები, კარნახის ტექსტი, ამოცანები და მაგალითები მათემატიკაში სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 კლასებისათვის შეადგინოს მასწავლებელმა და დაამტკიცოს სკოლის დირექტორმა.



რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ სკოლებში საგამოცდო საგნებს დაემატოს გამოცდა ქართულ ენაზე მე-4 და მე-7 კლასებში წერიით, დანარჩენ კლასებში ზეპირი; მე-4 კლასში კითხვებზე პასუხის გაცემა, ხოლო მე-7 კლასში გავლილი პატარა მოთხრობის შინაარსის გადმოცემა, მოთხრობის წინასწარ წაკითხვით კლასში.

§ 6

მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 კლასების მოსწავლეთა გადაყვანა შემდგომ კლასებში ან მათი სკოლიდან გამოშვება მოხდეს იმ პირობით, თუ მოსწავლის საერთო წლიური შეფასება (ნიშანი) ყველა საგანში იქნება არანაკლებ „3“-სა. მოსწავლე, რომელიც ორზე მეტ საგანში „2“ ან „1“ შეფასებას მიიღებს, დატოვებულ იქნას იმავე კლასში, ხოლო მოსწავლეს, რომელსაც ერთ ან ორ საგანში „2“ ან „1“ ნიშანი აქვს, მიეცეს საშემოდგომო გამოცდა.

30 აპრილს მოსწავლეებს მიეცეთ სათანადო ცნობები და მოწმობები და დათხოვნილ იქნან საზაფხულო არდადეგებზე.

§ 7

საშემოდგომო შემოწმებითი გამოცდები სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში ჩატარდეს 29 და 30 ოქტომბერს.

§ 8

მიმდინარე წლის 3—10 მაისს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მფურნეობებსა და მტს-ებში სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებმა (გამგებმა) გააკეთონ საანგარიშო მოხსენება ჩატარებული მუშაობის შესახებ, სადაც დასახულ იქნას ღონისძიებანი 1946—1947 სასწავლო წელში სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

§ 9

სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებათა გამგებმა სასწავლო წლის შედეგები შეაჯამონ და საანგარიშო მოხსენება წერილობით წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სახ. კომისარიატში 20 მაისამდე.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისიის მოადგილე მ. ბურბულაძე.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ა № 2

საქართველოს სსრ განათლების საზინისტროსადმი
1946 წლის 30 მარტი

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების
მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ

გავეცანი რა გორის, დუშეთის, ზემო-სვანეთის, ზესტაფონის, ქარელის, კასპის, ქვემო-სვანეთის, ახმეტის, სიღნაღის, ყვარლის, გურჯაანის, ქუთაისის, მახარაძის, მცხეთის, ახალციხის, ადიგენის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, თელავის, ტყიბულის, ხაშურის, ხობის, წითელწყაროს, ცხაკაიას, წულუკიძის, ქიათურის, ჩოხატაურის, კაჭრეთისა და ბაშკიჩეთის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობის გამოკვლევის შედეგებს, აღნიშნავ, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა რიგ რაიონებში სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობა. სკოლები დაკომპლექტებულია მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით, მოსწავლეთა აკადემიური დონე დამაკმაყოფილებელია, განმტკიცებულია მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინა, წესრიგშია სასკოლო დოკუმენტაცია, შედგენილია გაკვეთილების სტაბილური ცხრილი სასწავლო გეგმის საფუძველზე და სხვ.

ასეთ მოწინავე სკოლებს მიეკუთვნება, მაგალითად, ყვარლის რაიონის სოფ. ყვარლის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლა (დირექტორი დამსახურებული პედაგოგი ა. ზახაშვილი). აღნიშნულ სკოლაში ყველა მოსწავლეზე შედგენილია პირადი საქმე, სკოლას აქვს სასწავლო გეგმა, გაკვეთილების მტკიცე ცხრილი, ბრძანებებისა და პედსაბუკოს ოქმების წიგნი, მასწავლებელთა მიერ შედგენილი სამუშაო გეგმები, რომლებიც განხილული და დამტკიცებულია დირექტორის მიერ. საკლასო ჟურნალებში სისტემატურადაა აღნიშნული მოსწავლეთა დაგვიანება და გაკვეთილების გაცდენა, მოსწავლეთა აკადემიური წარმატება და გავლილი მასალა. ყველა სასკოლო დოკუმენტი გაფორმებულია სუფთად და ლამაზად. სკოლაში

სათანადო სიმალეზე დგას სასწავლო-აღმზრდელილობითი მუშაობა, მოსწავლეთა ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია. მოსწავლე მეთვისებული აქვთ მოსწავლეთა ყოფაქცევის წესები და ამ წესებს შეგნებულად ანხორციელებენ. მოსწავლეთა შორის აღმოფხვრილია დაგვიანებისა და გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები.

სასწავლო-აღმზრდელიობით მუშაობაში ასევე თვალსაჩინო მიღწევები აქვთ გორის რაიონის სოფ. ტყვიავის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლას (დირექტორი ამბ. ჩიხლაძე), გურჯაანის რაიონის სოფ. ზემო-გურჯაანის (დირექტ. მ. მახოშვილი), სოფ. ველისციხის (დირექტ. ი. კერესელიძე), ქობულეთის რაიონის სოფ. ალამბრის (დირექტ. დ. ცეცხლაძე), ხაშურის რაიონის სოფ. ტყვიბრიონის (დირ. გ. პავლაძე), ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ზვარეს (დირ. გ. ფანქველაშვილი), საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხას (დირ. ზ. იაკობაშვილი), ონის რაიონის სოფ. შქმერის (დირ. გრძელიშვილი), ცხაკაიას რაიონის სოფ. ძველი-სენაკის (დირ. ქავთარაძე), წულუკიძის რაიონის სოფ. კონტუათის (დირ. რუხაძე) და სხვა სკოლებს.

კარგ მაჩვენებლებს იძლევიან ცალკეული საგნების სწავლების დაყენების საქმეში ყვარლის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ა. ზახაშვილი, ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი შ. რუსიშვილი, გურჯაანის რაიონის სოფ. ზემო-გურჯაანის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი მ. მახოშვილი, ველისციხის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ა. ტაბაზაშვილი და გვარამაძე, ამავე სკოლის ქიმიის მასწავლებელი კერესელიძე, ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ზვარეს სკოლის მათემატიკის მასწავლებელი გ. ჭინჭარაძე, ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ფანქველაშვილი, გვანკორის რაიონის სოფ. ონჩხურის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ძარია, კაჭრეთის რაიონის სოფ. ჯიმიის სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ი. ფირანიშვილი, ქობულეთის რაიონის სოფ. ალამბრის სკოლის დაწყებითი კლასის არითმეტიკის მასწავლებელი ა. იმნაიშვილი, გორის რაიონის სოფ. ატენის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ი. ჩაჩანიძე, და სხვ. აღნიშნული მასწავლებლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ საქმეს, გულდასმით ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ყოველმხრივად ცდილობენ შეათვისებინონ მოსწავლეებს პროგრამით გათვალისწინებული მასალა, რის შედეგად მოსწავლეები კარგად არიან დაუფლებული სასწავლო მასალას, დამაკმაყოფილებე-

ლია მათი წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურა და ცოცხლის დონე.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
სამსახური

ამასთან ერთად რიგ რაიონებში სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა აკადემიური დონე დაბალია, სასკოლო დოკუმენტაცია მოუწესრიგებელია, მოსწავლეთა დასწრება გაკვეთილებზე არაა დამაკმაყოფილებელია, ადგილი აქვს მოსწავლეთა მნიშვნელოვან განთესვას, ზოგიერთი მოსწავლე მათთანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის, მეთოდური ხასიათის მუშაობა სუსტად ტარდება და სხვ. მაგალითად, ყვარლის რაიონის სოფ. შილდის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში (დირ. ნ. იმერლიშვილი, საშუალო განათლებით, შეთავსებით მუშაობს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორად, ხოლო ძირითადად კლუბის გამგედ) არ სწარმოებს დამუშავებული მასალის ჟურნალებში ჩაწერა ზოგიერთი მოსწავლელის მიერ, ჩანაწერები უბრალო ფანქრითაა და გაუგებარია. ჩანაწერებში დაშვებული შეცდომები ამქვეყნებენ ზოგიერთი მოსწავლელის უვიცობასა და საგნის უცოდინარობას. მოსწავლელ აღნიაშვილის მიერ რუსული ენის შესახებ საკლასო ჟურნალში შეტანილ ჩანაწერებში დაშვებულია უხეში შეცდომები. სკოლას არა აქვს წლიური სასწავლო-აღმზრდელობითი გეგმა, მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები, მოსწავლეთა უმრავლესობას არავითარი საბუთი არ გააჩნია, მასობრივი სკოლებიდან გაცემული ცნობები სათანადოდ არაა შემოწმებული; სკოლას აქვს ჩამორჩენა მათემატიკაში (არითმეტიკაში), რუსულ ენასა და ლიტერატურაში, გეოგრაფიასა და ქიმიასა.

ადიგენის რაიონში გამორკვევის დღეებში სოფლის ახალგაზრდობის სკოლა სრულებით არ მუშაობდა, რადგან მსმენელთა უმრავლესობა კოლმეურნეობის მიერ გაგზავნილი იყო შორეულ სამუშაოზე. ახალციხის რაიონის სოფ. კლდის სკოლა 1946 წლის იანვრიდან დაიხურა მსმენელთა დაუსწრებლობის გამო. ახალციხის რაიონის სოფ. წნისის სკოლაში (დირექტ. ირემიძე) საკლასო ჟურნალებში არ ხდება დამუშავებული მასალის ჩაწერა, არ იწერება აგრეთვე მოსწავლეთა შეფასების ნიშნები, კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები არ უპასუხებენ სოფლის ახალგაზრდობის სკოლის სპეციფიკას. ანალოგიური მდგომარეობაა ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ვაშლევის სკოლაში (დირ. პაქსაშვილი).

სოფლის ახალგაზრდობის ზოგიერთ სკოლაში მოსწავლელები სუსტად არიან დაუფლებული საგანს, არ ადგენენ გაკვეთილის გეგმას, რის გამო მათ საგნებში მოსწავლეთა ცოდნა დაბალია. მაგა-




ლითად, ყვარლის რაიონის სოფ. შილდის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მე-4 კლასის (ქართული ენის მასწავლ. ასაბაშვილი) წევრები მეტყველებენ დამახინჯებული ენით, ხოლო მასწავლებელი მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებს. საერთოდ, ამ კლასის მოსწავლეთა აკადემიური დონე დაბალია. მე-5 კლასის რუსული ენის მასწავლებელ მირიანაშვილს ლაპარაკი არ ეხერხება, ტექსტის კითხვა უძნელდება, გამოთქმები არასწორი აქვს, მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებს. მეტად დაბალია ამავე სკოლის მე-7 კლასში მოსწავლეთა ცოდნა გეოგრაფიაში (მასწ. მირიანაშვილი).

ხაშურის რაიონის სოფ. ტვიბრეთის სკოლის მე-7 კლასის მასწ. აბრამიშვილი გამოუცდელია, არ იცნობს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის თავისებურებას და ამიტომ უძნელდება მუშაობა, ხოლო მოსწავლეთა ცოდნა დაბალია. ქობულეთის რაიონის სოფ. ალამბრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მე-7 კლასში ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ზოიძე არ არის სათანადოდ დაუფლებული საგანს, მოსწავლეთა ცოდნა სუსტია. ახალციხის რაიონის სოფ. წნისის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ბიძიშვილი მოზრდილებთან სწავლების მეთოდოლოგიას დაუფლებული არ არის. მოსწავლეთა მეტყველების კულტურა, როგორც ზეპირი, ისე წერიითი არაა დამაკმაყოფილებელია. გორის რაიონის სოფ. ატენის სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მახარაძემ (საშუალო განათლებით) რუსული ენა სუსტად იცის, რის შედეგადაც მოსწავლეთა ცოდნა დაბალია. სამტრედიის რაიონის სოფ. კულაშის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ვლ. ხვედელიძე არ არის დაუფლებული საგანს, მათემატიკური ამოცანების ამოხსნაში სერიოზულ შეცდომებს უშვებს.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მიმდინარე სასწავლო წლის ნორმალურად დამთავრების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სახალხო განათლების საოლქო და სარაიონო განყოფილებათა გამგებებმა:

ა) შეამოწმონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების სამუშაო გეგმები ცალკეულ დისციპლინებში, ზუსტად დაადგინონ საპროგრამო მასალის გავლის მდგომარეობა, გავლილი მასალის შეთვისების ხარისხი, წერიითი ნორმების შესრულებისა და წერიითი





ნამუშევრების გასწორების, აგრეთვე გავლილი მასალის განმეორების მდგომარეობა და სკოლებს ადგილებზე გაუწიონ დახმარების არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში. იმ შემთხვევაში, როდესაც საპროგრამო მასალის გავლაში არის ჩამორჩენა, გამოცდები გადასდონ შემოდგომისათვის (ოქტომბრისათვის), ხოლო ზაფხულის პერიოდში მოსწავლეებს გაუწიონ დახმარება კონსულტაციების სახით;

ბ) მიიღონ გადამკრელი ზომები სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა შორეულ ადგილებში სამუშაოზე გაგზავნის პრაქტიკის წინააღმდეგ და შეუქმნან ამ სკოლებს პირობები კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ნორმალურად ჩასატარებლად.

2. სკოლების განათების უზრუნველყოფის მიზნით სახალხო განათლების განყოფილებებმა შეამოწმონ ზემდგომი ორგანიზაციების დადგენილების რეალიზაცია სოფლის ახალგაზრდობის სკოლების თითოეულ კლასზე 10—10 ლიტრი ნავთის მიცემის შესახებ.

3. მომარაგების განყოფილებამ მიიღოს საჭირო ზომები სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების სასწავლო ნივთებით, ნავთითა და ლამპებით მომარაგებით უზრუნველსაყოფად.

4. ყვარლის რაიონის სოფ. შილდის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მუშაობაზე ცუდი ხელმძღვანელობისათვის, რის შედეგადაც სკოლაში ადგილი აქვს საპროგრამო მასალის გავლაში ჩამორჩენას, მოსწავლეთა პირადი საქმეების მოუწესრიგებლობას, საკლასო ეჟურნალის, როგორც სასკოლო დოკუმენტის, უგულვებელყოფას, აგრეთვე განათლების სთანადო ცენზის უქონლობისათვის 1946—47 სასწავლო წლიდან განთავისუფლდეს თანამდებობიდან სოფ. შილდის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორი ნიკოლოზ ირემაშვილი.

ყვარლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ მიამაგროს სოფ. შილდის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაზე დახმარების გასაწევად ინსპექტორი ერთი თვის ვადით.

5. სამტრედიის რაიონის სოფ. კულაშის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ალ. ხვედელიძე და ყვარლის რაიონის სოფ. შილდის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის რუსული ენის მასწავლებელი აღნიაშვილი მომავალ 1946—47 სასწავლო წლიდან განთავისუფლდნენ პირველი მათემატიკის, მეორე კი რუსული ენის მასწავლებლობიდან.

6. წინადადება მიეცეს ადიგენისა და ახალციხის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს გააძლიერონ მძღვენელობა და დახმარება სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლებზე. დასვან ადგილობრივ ორგანიზაციებში საკითხი ამ სკოლების მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის აღსაკვეთად და უზრუნველჰყონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე მ. ბურჭულაძე.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე № 23

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1946 წლის 3 აპრილი

თბილისის მუშა ახალგაზრდობის სკოლების
ბამოკვლევის შედეგების შესახებ

გავეცანი რა თბილისის მუშა ახალგაზრდობის №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10 და 11 საშუალო სკოლების მდგომარეობისა და მუშაობის გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ, მუშაობისათვის ხელისშემშლელი პირობების (საქირო ბინის, განათების, გათბობის მოუწყვრეგებლობა და სხვ.) მიუხედავად, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების სათანადო ხელმძღვანელობისა და მასწავლებელთა ენერგიული მუშაობის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშა ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა. მუშა ახალგაზრდობის სკოლებში ძირითადად დაძლეულია სასწავლო პროგრამები, დამაკმაყოფილებელია ათვისების ხარისხი. მავალითად, თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-5 და მე-3 საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ამხ. ამხ. ა. კვასხვაძე, დ. ზვიადაძე და დ. კუბლაშვილი ლიტერატურული მასალის გავლისას იმეორებენ ენის საკითხებსაც. მოსწავლეებს კარგად აქვთ შეთვისებული პოეტიკის საკითხები, მასწავლებლებს გულდასმით აქვთ შერჩეული საწერი თემები, საკმაო რაოდენობით აქვთ ჩატარებული საკლასო წერა. აღნიშნულის შედეგად დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება ამ საგანში.

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ნ. ჯავახიშვილი (მე-3 სკოლა), თ. ქუთელია (მე-11 სკოლა), ნ. კუტუბიძე (მე-2 სკოლა), დელოვა (მე-9 სკოლა) სისტემატურად ემზადებიან გაკვეთილისათვის, აქვთ გაკვეთილის გეგმები, ლიტერატურული მასალის გარჩევისას ახდენენ ტექსტის ლოგიკურ და ლექსიკურ ანა-

ლის, მოსწავლეებს ავარჯიშებენ წინადადების სწორად აგებასა, და მართვისა და შეთანხმების წესებში. გრამატიკის შესწავლას მკიდრულ უკავშირებენ ლიტერატურულ ტექსტს და სასაუბრო ენას. მოსწავლეებს შეთვისებული აქვთ პროგრამული მასალა.

ფიზიკის მასწავლებელი ლ. კვახაძე, ე. იმერლიშვილი (მე-6 სკოლა), გ. საყვარელიძე, აკ. ცინცაძე (მე-3 სკოლა), ტ. მაღლაფერიძე, აკოფიანი (მე-7 სკოლა), ფარესაშვილი (მე-11 სკოლა) დაუფლებული არიან თავიანთ საგანს, ატარებენ ცდებს, მოსწავლეები კარგად ერკვევიან პროგრამულ მასალაში და სხვ.

ასევე კარგად აქვთ დაყენებული საგნის სწავლება მათემატიკის მასწავლებლებს ქაჯაიას (მე-11 სკოლა), სოლ. ცინცაძეს (მე-3 სკოლა), ოქრუაშვილს (მე-5 სკოლა), ქიმიის მასწავლებლებს ს. ქავთარიას (მე-7 სკოლა), ავჩიანს (1-ლი სკოლა), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ბ. წიფურის (მე-5 სკოლა) და სხვ.

ამასთანავე ზოგიერთი სკოლა (№№ 8, 11) მოუშუადებელი შეხვდა 1945—46 სასწავლო წელს. დიმიტროვის სახ. ქარხნის ღირეკციამ და აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველჰყვეს მუშა ახალგაზრდობის № 8 და № 11 სკოლები სათანადო ბინით, გათბობით და განათებით, სასკოლო ინვენტარით და მოწყობილობით. აღნაშნულის შედეგად ძალზე ცუდად იყო დაყენებული ამ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. დიმიტროვის სახ. ქარხანასთან არსებული მუშა ახალგაზრდობის № 8 სკოლა ორნახევარი თვის განმავლობაში (1945 წლის სექტემბრიდან 3 დეკემბრამდე) მოთავსებული იყო მეცადინეობისათვის სრულიად უვარგის, ნახევრად დანგრეულ, გათბობას და განათებას მოკლებულ საბარაკო შენობაში; ბინის მხრივ ასევე შევიწროებულ მდგომარეობაში იყო აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკასთან არსებული მუშა ახალგაზრდობის № 11 საშუალო სკოლა, რომელსაც 1946 წლის 10 თებერვლამდე არ ჰქონდა სამუშაო ოთახების საჭირო რაოდენობა.

აღნიშნულ საწარმოთა ადმინისტრაცია ხელს არ უწყობდა მოსწავლეთა მეცადინეობაზე ნორმალურად დასწრებას, მოსწავლეები გადატვირთული იყვნენ საზეგანაკვეთო სამუშაოებით. ამ გარემოებაში ხელი შეუწყო მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების ხშირ გაცდენას და სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვას. დიმიტროვის სახ. ქარხანასთან არსებული მუშა ახალგაზრდობის № 8 სკოლიდან მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევრის განმავლობაში განთესილია 76 მოსწავლე, ხოლო არასაპატიო მიზეზით ამავე პერიოდში მოსწავლეთა მიერ გაცდენილია 1939 საათი, ანუ საშუალოდ 13 საათი

ერთ მოსწავლეზე. ამასთანავე ქარხანაში მომუშავე მუშა ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი კონტინგენტი სრულიად არ არის ჩაბმული სკოლაში.

ანალოგიური მდგომარეობაა აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან არსებულ მუშა ახალგაზრდობის № 11 სკოლაში, სადაც გეგმით გათვალისწინებულ 189 მოსწავლიდან სწავლებაში ჩაბმულია მხოლოდ 99 მოსწავლე, აქედან მეცადინეობას სისტემატურად ესწრება 62 მოსწავლე.

ადგილი აქვს აგრეთვე № 8 სკოლაში მასწავლებელთა მიერ გაკვეთილების ვაცდენის ხშირ შემთხვევებს. სასწავლო წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ამ სკოლის მასწავლებლების მიერ ვაცდენილია 209 საათი (ქართული ენის ყოფ. მასწავლებელი საგინაძე—109 საათი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ბედნაია—30 საათი, ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელი სერგაენკო—25 საათი).

სუსტია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 2 საშუალო სკოლაში, სადაც რუსული სექტორის მე-8 კლასი, მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო, არ მეცადინეობდა 2 თვის განმავლობაში. ძლიერ ცუდია მოსწავლეთა მეცადინეობაზე დასწრება ამავე სკოლის დანარჩენ კლასებშიც, რის გამო სასწავლო წლის პირველი ნახევრის განმავლობაში თითოეული მოსწავლის მიერ საშუალოდ ვაცდენილია 69 გაკვეთილი. დღემდე მოუწესრიგებელია ამავე სკოლაში მოსწავლეთა მიღება - ჩარიცხვის საქმე. აღნიშნულ სკოლაში ჩარიცხულთა ნაწილი არ შეეფერება ამ ტიპის სკოლას. მაგალითად, ზოგიერთი მოსწავლე არსად არ მუშაობს, რაც შემთხვევაში მოსწავლეთა პირად საქმეებში არ მოიპოვება საჭირო საბუთები მათი სამუშაო ადგილის, განათლების და სხვ. შესახებ. ადგილი ჰქონდა სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვას ყალბი საბუთების მიხედვით. მაგალითად, 1945 წლის სექტემბერში მუშა ახალგაზრდობის № 2 სკოლის მე-10 კლასში ჩარიცხულ იქნა ქალთა № 38 სკოლის (დირ. ამხ. თ. ქიშმარია) სამი მოსწავლე, რომელიც 1944—45 სასწავლო წლის დასასრულს, ცუდი აკადემიური წარმატების გამო, დატოვებული იქნენ მასობრივი სკოლის მე-9 კლასში, ხოლო მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლას წარუდგინეს ქალთა მე-38 სკოლიდან მიღებული ყალბი საბუთები. ამავე სკოლის მე-9 კლასში აღმოჩნდა რკინიგზის მუშა ახალგაზრდობის № 11 საშუალო სკოლის ბეჭდულის ყალბი და არასათანადო (აკადემიური წარმატების ფურცელი) დოკუმენტით მიღებული ორი



მოსწავლე. წესრიგში არაა მოყვანილი მოსწავლეთა პირადი საქმეები აგრეთვე მუშა ახალგაზრდობის № 4 სკოლაში. ამ სკოლის რექტორი ზერელედ და დაუდევრად ეკიდება მოსწავლეთა დოკუმენტების შემოწმების საქმეს, ზოგ შემთხვევაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება დოკუმენტის შემოწმების გარეშე.

მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეში უხეშ შეცდომებს ჰქონდა აგრეთვე ადგილი მუშა ახალგაზრდობის № 6 სკოლაში (დირ. ამხ. გ. ზამთარაძე), სადაც არასათანადო დოკუმენტებით ჩარიცხულია რამდენიმე მოსწავლე.

ადგილი აქვს ამასთანავე ზოგიერთ სკოლაში ჩამორჩენას სასწავლო საგნის პროგრამული მასალის გავლაში. მაგალითად, სასწავლო წლის პირველი ნახევრის სამუშაო გეგმასთან შედარებით № 8 სკოლის მე-7 კლასი რუსულ ენასა და ლიტერატურაში ჩამორჩენილია 10 საათით, მე-10 კლასი რუსულ ლიტერატურაში— 8 საათით, ხოლო მე-8, 9, 10 კლასები ქართულ ენაში— 20 საათით. ანალოგიური მდგომარეობაა მუშა ახალგაზრდობას № 2 სკოლაში, სადაც რუსული სექტორის მე-6, 7, 9 კლასებში პროგრამული მასალა ჩამორჩენილია ისტორიაში 24 საათით, ხოლო ქართული სექტორის მე-6, 7, 8 კლასები მათემატიკაში 20 საათით. სასწავლო დისციპლინაში პროგრამული მასალის გავლის მხრივ ჩამორჩენას აქვს ადგილი აგრეთვე მუშა ახალგაზრდობის № 11 სკოლაში.

რიგ სკოლებში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. მაგალითად, სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლის 122 მოსწავლიდან ყველა საგანში ასწრებს 57, ვერ ასწრებს 65, მათ შორის ერთ საგანში— 17 მოსწავლე, ორსა და სამ საგანში— 8—8 მოსწავლე, 4 საგანში— 3, ხოლო 5-სა და მეტ საგანში— 29.

მუშა ახალგაზრდობის მე-8 სკოლის 160 მოსწავლიდან ყველა საგანში ასწრებს მხოლოდ 79, არ არის შეფასებული 15, ვერ ასწრებს 66. მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე მუშა ახალგაზრდობის მე-4 და მე-11 სკოლებში.

სუსტად არის დაყენებული ზოგიერთ სკოლაში სასწავლო დისციპლინების სწავლება, რის შედეგად ზერელეა და არასაკმარისი მოსწავლეთა ცოდნა ამ საგნებში. მაგალითად, მუშა ახალგაზრდობის № 4 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებს არა აქვთ გამოიმუშავებული ზეპირი მეტყველების მტკიცე ჩვევები. ქართული ლიტერატურის მასწავლებელი ამხ. ჩიხლაძე არ უსწორებს მოსწავლეთ ლი-

ტერატურული მასალის თხრობისას მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს. დაბალია მუშა ახალგაზრდობის № 8 სკოლის მე-10 მოსწავლეთა ცოდნა რუსულ ენასა და ლიტერატურაში (მასწ. ამბ. ბედნაია). გაკვეთილზე დამსწრე 13 მოსწავლიდან სახლში დასამუშავებლად პიციმული ლიტერატურული მასალა (მ. გორკის „ნა დნი“) არ იცოდა 6 მოსწავლემ. გაკვეთილის არცოდნა რუსულ ლიტერატურაში (მასწ. კ. ვაშაკიძე) გამოამყვანებს აგრეთვე მუშა ახალგაზრდობის № 2 სკოლის რუსული სექტორის მე-9 კლასის მოსწავლეებმა, რომელთაც ვერ შესძლეს ნ. ჩერნიშევსკის რომანის „ჩტო დელატ“ შინაარსის დამაკმაყოფილებლად გადმოცემა. დაბალია ამ მოსწავლეთა საერთო განვითარების დონე, მათ ცუდად აქვთ შეთვისებული გავლილი ლიტერატურული მასალაც, სრულიად ვერ ერკვევიან ძირითად ლიტერატურულ ცნებებში, მეტად დაბალია მათი მეტყველების კულტურა.

დაბალია მოსწავლეთა ცოდნა გეოგრაფიაში მუშა ახალგაზრდობის № 4 სკოლის მე-8 კლასში, სადაც მოსწავლეებმა ვერ შესძლეს მასალის („ლენინგრადის მხარე“) ამომწურავად დალაგება. გაკვეთილი ჩატარდა თვალსაჩინოების გარეშე, კლასს არ გააჩნდა გეოგრაფიული რუკა, ახალი მასალა მასწავლებელმა ვალაბუევმა მოსწავლეთ აუხსნა მეტად მოკლედ და სქემატურად. ზერელე მომზადება აქვთ მოსწავლეებს გეოგრაფიაში მუშა ახალგაზრდობის № 2 სკოლაში (მასწ. ზერეკიძე). ამ სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეთა უმრავლესობამ გამოამყვანა მასალის („უკრაინის სსრ“) მეტად ზერელე ცოდნა. მასწავლებელი გაკვეთილზე სარგებლობდა მხოლოდ პოლიტიკური რუკით. ახალი მასალის („მოლდავეთის სსრ“) ახსნის დროს მასწავლებელმა დაუშვა შეცდომა. მოლდავეთის ჰავის სირბილე უკრაინის ჰავასთან შედარებით მასწავლებელმა ახსნა თბილი დინების „გოლფშტრომის“ შტოს შავს ზღვაში შემოქრით.

არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს ფიზიკის სწავლება ამივე № 2 სკოლის მე-7 კლასში (მასწავ. გვერდწითელი). მოსწავლეთა დიდ ნაწილს სუსტად აქვს ათვისებული პროგრამული მასალა. ისინი ვერ ერკვევიან ელექტროლიზის შინაარსსა და მის ტექნიკურ გამოყენებაში. მეცადინეობა საგანში სწარმოებს ყოველგვარი ცდების გარეშე, რადგან სკოლას სრულიად არ გააჩნია ხელსაწყოები.

ასევე ზეპირად, ყოველგვარი დემონსტრაციის გარეშე სწარმოებს სწავლება ფიზიკაში მუშა ახალგაზრდობის № 1 სკოლის მე-10 კლასში (მასწ. ალადაშვილი). მოსწავლეებს არა აქვთ რვეულები ჩანახაზების საწარმოებლად, არ შეუძლიათ ჩანახაზების აგება დაფაზე. აღნიშნუ-

ლისა გამო მოსწავლეთა ცოდნა ამ საგანში მეტად ზოგადია და არა
საკმაოდ. ამავე სკოლის მე-8 კლასში მოსწავლეებმა სუსტად ეცოდინ
ქიმიაში გავლილი მასალა, სათანადოდ ვერ ერკვევიან ქიმიურ
მუღებსა და სიმბოლოებში. მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომა,
რომ თითქოს გოგირდი ბუნებაში თავისუფლად არ მოიპოვებოდეს,
მასწავლებელმა არ გაასწორა. მუშა ახალგაზრდობის მე-2 და მე-4
სკოლებში წერიტი მუშაობის ნორმები მათემატიკაში არ სრულდებ
ბა არც რაოდენობის, არც შინაარსის მხრივ. ამ სკოლების მოს
წავლეთა ცოდნის დონე მათემატიკაში დაბალია. მე-4 სკოლის მათე
მატიკის მასწავლებელი სამსონია საკმაოდ არ არის დაუფლებუ
ლი თავის საგანს, გაკვეთილზე სვამს არასწორ და არაზუსტ კით
ხვებს.

ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელ მაჩაიძეს კლასში ცუ
დი დისციპლინა აქვს, წერიტი სამუშაოებს არ ატარებს. მე-2 სკო
ლაში მოისუსტებს მეთოდური მუშაობა მათემატიკაში. თუმცა ღია
გაკვეთილები ჩატარებულია, გაკვეთილის გეგმა და კონსპექტი არაა
დამაკმაყოფილებლად შედგენილი, ხოლო გარჩევის ოქმები სუსტია
ენობრივადაც და შინაარსითაც. მუშა ახალგაზრდობის ზოგიერთი
სკოლის მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას ხელს უშლის
ის გარემოება, რომ ეს სკოლები ვერ სარგებლობენ დილის სკოლის
სამუშაო ოთახებით, სასწავლო კაბინეტებით, მოწყობილობით.

მ ბ რ ძ ა ნ ე მ ბ:

1. წინადადება მიეცეს მუშა ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებს:

ა) უმოკლეს ვადაში სრულ წესრიგში მოიყვანონ მუშა ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლეთა პირადი საქმეები, ამ სკოლის შესახებ არსებული დებულებისა და საქართველოს სსრ განსახკომის სათანადო ინსტრუქციის შესაბამისად. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვისას პირადად გადასინჯონ წარმოდგენილი საბუთები და საჭირო შემთხვევაში დაუკავშირდნენ სკოლებსა და სათანადო დაწესებულებებს საბუთების სისწორის დასადასტურებლად;

ბ) მკიდრო კავშირი იქონიონ საწარმოთა ხელმძღვანელებთან მოსწავლე მუშა ახალგაზრდობის საზეგანაკვეთო სამუშაოდან განთავისუფლებისა და გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევათა აღსაკვეთად;

გ) სისტემატურად აღრიცხონ მოსწავლე მუშა ახალგაზრდობის მეცადინეობაზე დასწრება და აკადემიური წარმატება. პერიოდ

დღულად განიხილონ პედსაბჭოს სხდომებზე აღნიშნული საკითხები
სათანადო ღონისძიების მიღებითა და გატარებით;

დ) საწარმოთა ხელმძღვანელებთან ერთად ჩაატარონ სკოლაში
დან განთესულ მოსწავლეთა ზუსტი აღრიცხვა, გამოარკვიონ და
დაადგინონ განთესვის მიზეზები, შეისწავლონ შესაბამ კლასებში მა-
თი დაბრუნების საკითხი და პარტიულ, კომკავშირულ და პროფ-
კავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ გადამჭრელი ზომები
მოსწავლეთა სკოლიდან ჩამოშორებისა და მეცადინეობის გაცდენის
ფაქტების აღსაკვეთად;

ე) მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლაში სასწავლო-აღმზრდე-
ლობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად,
რისთვისაც გადასინჯონ სამუშაო გეგმები ცალკეულ დისციპლინებში
ახალ სასწავლო გეგმასთან შეფარდებით, გააცხოველონ მეთოდური
კომისიების მუშაობა, სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებზე,
უზრუნველყოფონ წერიითი სამუშაოების სისტემატური ჩატარება დად-
გენილი ნორმების შესაბამისად, საჭირო და ეფექტურ ღონისძიე-
ბათა გატარებით აღკვეთონ სასწავლო დისციპლინების პროგრამუ-
ლი მასალის გავლა-დამუშავებაში არსებული ჩამორჩენა.

2. მუშა ახალგაზრდობის № 2, № 4, № 8 და № 11 სკოლე-
ბის დირექტორებმა კონსულტაციების სისტემატური ჩატარებით
უზრუნველყოფნ/ მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებამდე სკოლა-
ში არსებული აკადემიური ჩამორჩენის ლიკვიდირება.

3. დაევალოს თბილისის საქალაქო პედაგოგიურ კაბინეტს
გაუწიოს საჭირო მეთოდური დახმარება მუშა ახალგაზრდობის სკო-
ლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადოდ დაყენების
საქმეში.

4. თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყო-
ფილებამ მიიღოს ზომები მასობრივი სკოლების შენობებში მოთავ-
სებული მუშა ახალგაზრდობის სკოლების მიერ სასწავლო მიზნით
მასობრივი სკოლების ფიზიკის, ქიმიის და სხვ. კაბინეტების გამო-
ყენების, აგრეთვე საჭირო ფართობით, დგამით სარგებლობის საკით-
ხის მოსაწესრიგებლად, ამასთანავე უზრუნველყოფს ამ კაბინეტების,
სასწავლო ხელსაწყოებისა და თვალსაჩინო მასალის დაცვა და
მოვლა.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ 1946 წლის ბიუჯეტში
გაითვალისწინოს მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლები-
სათვის საჭირო სახსრები ფიზიკის, ქიმიისა და სხვ. კაბინეტების
სათანადო ხელსაწყოებითა და რეაქტივებით შესავსებად და მოსაწ-
ყოზად.

6. მუშა ახალგაზრდობის, სოფლის ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების სამმართველომ თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებასთან ერთად: ა) პერიოდულად ჩაატაროს მუშა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა საქალაქო შეკრებები სასწავლო-მეთოდურ საკითხებზე სათანადო კონსულტაციების ჩასატარებლად; ბ) მოაწესრიგოს საკითხი მასობრივი სკოლების შენობებში მოთავსებული მუშა ახალგაზრდობის სკოლებისთვის სასწავლო ხელსაწყოების, თვალსაჩინო მასალისა და სხვ. შესაბამისად ცალკე ოთახის გამოყოფის შესახებ.

7. დაისვას საკითხი სათანადო სამინისტროების წინაშე საწარმოებთან არსებული მუშა ახალგაზრდობის სკოლებისათვის საჭირო მატერიალურა ბაზის მოწესრიგების შესახებ.

8. თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებამ მომავალი სასწავლო წლისათვის გადასინჯოს თბილისის მუშა ახალგაზრდობის სკოლების პედაგოგიური შემადგენლობა, ამ სკოლების მასწავლებელთა სათანადო კადრებით უზრუნველყოფის მიზნით.

9. მუშა ახალგაზრდობის, სოფლის ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების სამმართველომ თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებასთან ერთად დამატებით შეისწავლოს მუშა ახალგაზრდობის № 2, № 6 და № 8 სკოლების დირექტორების ამხ. ამხ. გ. ქელიძის, გ. ზამთარაძისა და ნ. ორლოვის აღნიშნულ თანამდებობაზე დატოვების საკითხი.

10. მოსწავლეთა მიღება-ჩარიცხვის საქმისადმი უყურადღებოდამოკიდებულებაზე მიეთითოს მუშა ახალგაზრდობის № 4 სკოლის დირექტორს ამხ. კ. ქუზაბრას.

11. სასკოლო ბეჭდისა და შტამპის მოვლა-შენახვის საქმეში გულგრილობისა და სკოლიდან გასაცემი დოკუმენტებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, რაც გამოყენებულ იქნა თბილისის ქალთა მე-38 სკოლაში ყალბი დოკუმენტების შესადგენად, გამოეცხადოს საყვედური თბილისის ქალთა № 39 სკოლის დირექტორს ამხ. თ. ქიშმარას.

12. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სათანადო ღონისძიებათა დასახვით.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
3. კუპრაძე.

ბ რ ქ ე ნ ე ბ ე № 48

საქართველოს სსრ განათლების საინინსტროსადმი

1946 წლის 5 აპრილი

მოზრდილთა საშუალო სკოლების მუშაობის შესახებ

გავეცანი რა ქუთაისის, წულუკიძის, ხაშურის, ქიათურის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მახარაძის, სიღნაღისა და ლაგოდეხის მოზრდილთა საშუალო სკოლების მუშაობის გამოკვლევის მასალებს, აღენიშნავ, რომ ნახსენებ სკოლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობა და გაიზარდა მოსწავლეთა ცოდნის დონე.

ამასთან ერთად ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა კონტინენტის შენარჩუნების, მეცადინეობაზე დასწრების, ცალკეული დისციპლინების სასწავლო პროგრამების დაძლევის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

ქუთაისის მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი ჩოგოვაძე) სასწავლო წლის დასაწყისში ირიცხებოდა 171 მოსწავლე, წლის პირველი ნახევრის განმავლობაში განთესილია 29 მოსწავლე. ამასთან ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევებს. სკოლას არ გააჩნია ფიზიკის, ქიმიის და სხვა კაბინეტები და თვალსაჩინო ხელსაწყოები, არ აქვს აგრეთვე ბიბლიოთეკა. ეს გარემოება საგრძნობლად აფერხებს მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ათვისების საქმეს. ამის შედეგია ის, რომ 121 შეფასებული მოსწავლიდან ასწრებს ყველა საგანში მხოლოდ 64 მოსწავლე. ფიზიკის მასწავლებელი მდივანი საკმაოდ არ ამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას ნახაზების სწორად შესრულებაზე, აგრეთვე იშვიათად ახდენს მოსწავლეთა შეფასების ფიქსირებას საკლასო ჟურნალში. ამავე სკოლის მე-8 კლასში მასწავლებელი მეგრელიშვილი გეომეტრიის გაკვეთილებზე სათანადო ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა პასუხის სიზუსტეს, ტრიგონომეტრიული ფუნქციების მართებულად წერას. მას მცირე რაოდენობით აქვს ჩატარებული წერილი სამუშაოები.

ქიათურის მოზრდილთა საშუალო სკოლის (დირექტორი ხაშა-
შერიძე) მატერიალური ბაზა ძალზე ღარიბია. თვითონ მასობრივი
სკოლას, რომლის შენობაშიც მოთავსებულია აღნიშნული სკოლა,
არ გააჩნია მუშაობისათვის საჭირო პირობები. სკოლას რეგულარუ-
ლად არ ეძლევა სინათლე, რის გამოც ადგილი ჰქონდა მეცადინეო-
ბის ჩაშლის შემთხვევებს. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა განთესვა:
სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში ირიცხებოდა 230 მოსწავლე,
1 მარტისათვის კი ითვლებოდა 133 მოსწავლე. სასწავლო წლის
პირველ ნახევარში სკოლიდან 197 მოსწავლის განთესვა გამოწვეუ-
ლი იყო იმ გარემოებით, რომ მარგანეცის მრეწველობამ არ გაან-
თავისუფლა მოსწავლეები საზეგანაკეთო სამუშაოდან. საკლასო უჭრ-
ნალებში დამუშავებული მასალა სისტემატურად არ იწერება. ადგი-
ლი აქვს ჩამორჩენას საპროგრამო მასალის გავლაში. მგალითად,
მე-10 კლასში ისტორიაში არის ჩამორჩენა 20 საათით, ფიზიკაში
— 15 საათით. მე-7 კლასის მოსწავლეთა წერიტი მეტყველების დონე
დაბალია. მოსწავლეთა უმრავლესობის წერით ნამუშევარში ქარ-
თულ ენაში დაშვებულია უხეში ენობრივი შეცდომები. ხშირია შეც-
დომები აგრეთვე მე-10 კლასის რუსული ენის საკონტროლო ნამუ-
შევრებში სტილის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის მხრივ.

წულუკიძის მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი
ჭანტურია) ყველა მოსწავლეზე არ არის შედგენილი პირადი საქმე.
არის შემთხვევები მოსწავლეთა ჩარიცხვისა სასწავლო წლის მეორე
ნახევარში. ცუდია მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრება. მე-9
კლასის მოსწავლეთა ცოდნა რუსულ ენაში (მასწავლებელი კინწუ-
რაშვილი) არ არის დამაკმაყოფილებელი, სუსტია კითხვის ტექნიკა,
გრამატიკულ მასალაზე ვარჯიში იშვიათად სწარმოებს. არადამაკმა-
ყოფილებელია მე-10 კლასის მოსწავლეთა ცოდნა ქართულ ენასა და
ლიტერატურაში (მასწავლებელი შველიძე), როგორც ზეპირ, ისე
წერით მეტყველებაში მოსწავლეებს ემჩნევა გრამატიკის არასაკმაო
ცოდნა. გეოგრაფიის გაკვეთილზე მე-8 კლასში (მასწავლებელი ჩხენ-
ქელი) თემა „საქართველოს მდებარეობა და ტერიტორია“ ჩატა-
რებული იყო თვალსაჩინოების გარეშე, ვინაიდან სკოლას არ გააჩ-
ნია საქართველოს რუკა. საქართველოს მეურნეობის დახასიათების
დროს მასწავლებელი არ შეხებია შედარებით მაჩვენებლებს წინად
და ახლა, არ აღუნიშნავს აგრეთვე ჩაისა და ციტრუსების როლი
საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

ლაგოდების მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი
ხელაშვილი) მეცადინეობა დაწყებულია მნიშვნელოვანი დაგვიანე-

ბით (25 ნოემბერს). სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში საუბრობენ/ ზუსტად არ არის ჩამოყალიბებული, არ ხდება დასახულ ^{ერთნაწილი} ძიებათა შესრულების შემოწმების ფიქსირება. ადგილი აქვს ჩამორჩენას ისტორიის სწავლებაში. 7 თებერვლიდან 16 აპრილამდე ისტორიის სწავლება სკოლაში არ სწარმოებდა ამ პერიოდში მასწავლებლის უყოლობის გამო. არის აგრეთვე ჩამორჩენა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში (მასწავლებელი ხაჩიძე), მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისების ხარისხი დაბალია, მათ ნაკლებად ეხერხებათ მწერლის შემოქმედების გადმოცემა, წერითი თემების გაშლა, წერითსა და ზეპირ მეტყველებაში ხშირად უშვებენ უხეშ შეცდომებს.

ხაშურის მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯიქურაშვილი) ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეში. რიგი მოსწავლეებისა ჩარიცხულია სათანადო საბუთების გარეშე. მასწავლებლები საკმაოდ არ ითვალისწინებენ ამ სკოლის მოსწავლეებთან მუშაობის თავისებურებებს. საპროგრამო მასალის გავლაში ადგილი აქვს საგრძნობ ჩამორჩენას, მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სიღნაღის მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი ჭაბაშვილი). სკოლის დაკომპლექტების თავის დროზე მოუწესრიგებლობის გამო მეცადინეობა სკოლაში დაგვიანებით დაიწყო. სასწავლო წლის პირველ ნახევარში სკოლას არ მიუღია არც ერთი სახელმძღვანელო, ხოლო რვეულები მიღებულია მეტად მცირე რაოდენობით (18 მოსწავლეზე 40 ცალი), რაც იმ გარემოებით აიხსნება, რომ სახალხო განათლების განყოფილება სახელმძღვანელოებისა და რვეულების განაწილების დროს უგულვებელჰყოფს მოზრდილთა სკოლების მოთხოვნილებას. სასწავლო წლის პირველ ნახევარში სახალხო განათლების განყოფილებას არც ერთხელ არ შეუმოწმებია აღნიშნული სკოლის მუშაობა, არ მიუღია ზომები იმისათვის, რომ დროულად ყოფილიყო გაოსწორებული სიღნაღის მოზრდილთა სკოლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

მოზრდილთა საშუალო სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი შედეგია იმისა, რომ სახალხო განათლების ზოგიერთი განყოფილება არ იჩენს მოზრდილთა სკოლებისადმი საჭირო მზრუნველობას, არ უწევს მათ ჯეროვან ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და პრაქტიკულ დახმარებას.



1. დაევალოს მოზრდილთა სკოლების დირექტორებს:

ა) უმოკლეს ვადაში გადასინჯონ სკოლის მოსწავლეთა გენლობა, გასწმინდონ სკოლები ისეთი მოსწავლეებისაგან რომლებიც სისტემატურად აცდენენ გაკვეთილებს, რეგულარულად არ მუშაობენ და თავისი ყოფაქცევით ხელს უშლიან სხვა მოსწავლეებს.

ბ) წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეები, პირადად გადასინჯონ მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, არ დაუშვან მოსწავლეთა ჩარიცხვა სათანადო საბუთების გარეშე და საჭირო შემთხვევაში პირადად დაუკავშირდნენ სათანადო დაწესებულებებსა და სკოლებს მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორის შესამოწმებლად; უზრუნველყონ სასკოლო დოკუმენტების წესიერად წარმოება, მოვლა და დაცვა;

გ) მიიღონ საჭირო ზომები მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის წინააღმდეგ, აღკვეთონ გაკვეთილებზე მოსწავლეთა დაგვიანებით გამოცხადება ან გაკვეთილიდან წასვლა;

დ) სისტემატურად შეამოწმონ სამუშაო გეგმების შესრულების მიმდინარეობა, რეგულარულად მოცსმინონ პედსაბჭოს სხდომებზე გეგმის შესრულების მიმდინარეობა და მიიღონ საჭირო ზომები გეგმით დასახულ ღონისძიებათა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის;

ე) წესრიგში მოიყვანონ თვალსაჩინო - დიდაქტიკური ხელსაწყოები, მიიღონ ზომები საჭირო ხელსაწყოების შესაძენად და უზრუნველყონ სწავლებაში თვალსაჩინოების მაქსიმალურად გამოყენება;

ვ) პედსაბჭოს სხდომებზე სისტემატურად განიხილონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები, ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მიმდინარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი სკოლის მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

ზ) გააძლიერონ მეთოდური მუშაობა სკოლებში, ყოველმხრივად დაეხმარონ მასწავლებლებს სწავლების საუკეთესო მეთოდების დაუფლების საქმეში, პედსაბჭოს სხდომებზე და მასწავლებელთა თათბირებზე განაზოგადონ საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობის მოწინავე გამოცდილება;

თ) პირადად შეამოწმონ მასწავლებელთა მიერ წერიითი ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ხარისხი, მოსწავლეთა ცოდნის დონე, მათი წერიითი და ზეპირი მეტყველების კულტურა და

მიიღონ სათანადო ზომები ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებებზე გამოსასწორებლად;

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
განცხადება

ი) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, რეგულარულად დაესწრონ გაკვეთილებს სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებში, დასახონ და გაატარონ ღონისძიებანი მასწავლებელთა მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. დაევალოს მოზრდილთა სკოლების მასწავლებლებს;

ა) გულდასმით გაასწორონ მოსწავლეთა წერიითი ნამუშევრები, გაამახვილონ ყურადღება როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებზე, ზუსტად და ობიექტურად შეაფასონ მოსწავლეთა ცოდნა და სისტემატური დახმარება გაუწიონ ჩამორჩენილ მოსწავლეებს;

ბ) ყველა გაკვეთილზე აწარმოონ გავლილი მასალის განმეორება, მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შეფასება და, საკლასო ჟურნალში შეტანა, გაკვეთილებზე ფართოდ აწარმოონ ცდების დემონსტრირება და თვალსაჩინო - დიდაქტიკური ხელსაწყოების გამოყენება.

3. დაევალოს სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) სახელმძღვანელოების, ხელსაწყოებისა და რვეულების განაწილების დროს გაითვალისწინონ მოზრდილთა სკოლების მოთხოვნილებანი და მოამარაგონ ისინი მასობრივი სკოლების თანაბრად.

ბ) გააძლიერონ ოპერატიული ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება მოზრდილთა სკოლების დირექტორებზე, დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მოზრდილთა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

4. წინადადება მიეცეს ლავოდების რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას ლავოდების მოზრდილთა სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეთა გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ისტორიაში გადასდევს შემოდგომისათვის, ხოლო საგაზაფხულო გამოცდების შემდგომ აწარმოოს მეცადინეობა ამ კლასის მოსწავლეებთან აღნიშნულ დისციპლინებში საპროგრამო მასალის მთლიანად ამოწურვამდე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბუჩუხუაძე.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ა № 658

საქართველოს სსრ განათლების საზინისტროსადმი

1946 წლის 10 ივნისი

წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა
აღრიცხვისა და სწავლებლაში ჩაბმის შესახებ

გამორკვევით დადასტურდა, რომ რიგ რაიონებში სახალხო განათლების განყოფილებები სუსტად ხელმძღვანელობენ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა აღრიცხვისა და სწავლებლაში ჩაბმის საქმეს. ზოგიერთ რაიონში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი შესაფერისი ბინებით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნიეთებით, არადამაკმაყოფილებელია მსმენელთა მეცადინეობაზე დასწრება, სწავლადამთავრებულთა გამოშვება სათანადოდ არ ფორმდება, უსისტემოდ მიმდინარეობს ინდივიდუალური სწავლება და სხვ.

მ ბ რ ძ ე ნ ე ბ ა:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების საზინისტროებს, სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებს:

ა) უახლოეს დროში აღრიცხონ 17—50 წლის ასაკის წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე მოქალაქენი, დააზუსტონ მათი კონტინგენტები და შეიმუშაონ მათი სწავლების გეგმა იმ ვარაუდით, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დამთავრდეს მიმდინარე წლის დამლევამდე, ხოლო მცირემცოდნენი მთლიანად ჩაბმულ იქნან სწავლებაში და მათი გამოშვება მოხდეს ძირითადად მიმდინარე წელს.

წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა აღრიცხვისათვის შედგეს კომისია საბჭოთა ორგანოების, პროფესიული კავშირებისა და კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან, რომელსაც ამტკიცებს რაიადმასკომი. კომისიის მიერ დაზუსტებული კონტინგენტები და მათი სწავლებაში ჩაბმის გეგმა

განხილულ და დამტკიცებულ იქნას რაიადმასკომის პრეზიდიუმის
სსდომავზე.

წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა აღრიცხვა და
კონტინგენტის დაზუსტება დამთავრდეს ა. წ. 1 აგვისტომდე, ხოლო
10 აგვისტოსათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში
წარმოდენილ იქნას აღრიცხვის შედეგები და წერა-კითხვის უცო-
დინართა და მცირემცოდნეთა სწავლებაში ჩაბმის გეგმა.

ბ) ათავითვე ჩააბან სწავლებაში ყველა აღრიცხული წერა-
კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე იმ ანგარიშით, რომ ძირი-
თადად ჩამოყალიბდეს სალიკვიდაციო სკოლები, თითოეულ ჯგუფში
5-დან 15 მდე კაცის რაოდენობით, ხოლო კონტინგენტის სიმცირის
შემთხვევაში მოაწყონ ინდივიდუალური სწავლება კულტარმიელთა
მეშვეობით.

გ) უზრუნველჰყონ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე-
მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები და ჯგუფები შესაფერი სამე-
ცადინო ბინით, განათებით, გათბობით (ზამთრის პერიოდში), სახელ-
მძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით; სპეციალური სახელმძღვანე-
ლოების უქონლობის შემთხვევაში გამოყენებულ იქნას მასობრივი
სკოლის სახელმძღვანელოები.

დ) გამოჰყონ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდ-
ნეობის სალიკვიდაციო სკოლებისა და ჯგუფებისათვის კვალიფი-
ციური მასწავლებლები და მოამარაგონ ისინი სასწავლო პროგრამე-
ბითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით; ინდივიდუალური სწავ-
ლების შემთხვევაში გამოჰყონ კულტარმიელები, ძირითადად მასწავ-
ლებელთაგან, აუცილებელ შემთხვევაში კი გამოიყენონ საშუალო
სკოლის მე-9, მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეები.

ე) გაუწიონ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდ-
ნეობის სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებლებსა და კულტარმიე-
ლებს ინსტრუქტაჟი მოზრდილთათვის მშობლიური ენის, არითმეტი-
კისა და გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის საკითხებზე, მასწავლე-
ბელთადმი დახმარების საქმეში აქტიურად ჩააბან პედაგოგიური კა-
ბინეტები.

ვ) გამოჰყონ დაწყებითი სკოლის გამოცდილ მასწავლებელთა-
გან კულტარმიელთათვის მეთოდური დახმარების გასაწევად საზო-
გადოებრივი მუშაკები—მეთოდისტები და მოამარაგონ ისინი სათა-
ნადო მეთოდური სახელმძღვანელო მასალებით.

ზ) დაავალონ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდ-
ნეობის სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებლებსა და კულტარ-

მიეღებს იქონიონ სამუშაო გეგმები, სასწავლო პროგრამები და საკლასო ჟურნალები, ზუსტად აღრიცხონ მსმენელთა დასწრება დინეობაზე და გავლილი მასალა, სისტემატურად აწარმოონ მსმენელთა ცოდნის შეფასება და აღრიცხვა.

თ) სისტემატურად შეამოწმონ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების მუშაობა, აგრეთვე უცოდინართა და მცირემცოდნეთა ინდივიდუალური სწავლების მიმდინარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშაობის ხარისხს, გაკვეთილის სათანადო ორგანიზაციას, სწავლების მეთოდურ მხარეს, შემოწმების შედეგები განიხილონ ამ სკოლების მასწავლებელთა თათბირზე.

ი) გამოავლინონ და წარმოადგინონ დასაჯილდოებლად წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში მომუშავე საუკეთესო მასწავლებლები და კულტარმიელები, აგრეთვე სოფსაბჭოებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარენი, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურად უწყობენ ხელს ამ დარგში წარმოებულ მუშაობას.

კ) წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში, აგრეთვე ინდივიდუალურ სწავლებაში ჩამუშლებთან მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მოაწყონ შემოწმებითი და გამოსაშვები გამოცდები, თანახმად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციისა.

ლ) ორ თვეში ერთხელ დასვან რაიკომსაკომების პრეზიდიუმის სხდომაზე წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში მუშაობის მიმდინარეობის საკითხები და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის; ყოველი თვის 10 რიცხვში წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წერილობითი ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და მოზრდილთა სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ახალი სასწავლო გეგმა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებისათვის, აგრეთვე ინსტრუქცია შემოწმებითი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ დამტკიცდეს.

ნება დაერთოს სახალხო განათლების განყოფილებებს შეამოკლონ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლების ხანგრძლივობა, სადაც ეს შესაძლებელია, მაკრამ იმ აუცილებელი

პირობით, რომ სასწავლო გეგმით დადგენილი საათების რაოდენობა არ იქნას შემცირებული.

3. ეთხოვოს საქ. ალკ ცენტრალურ კომიტეტს მისთვის კომპიუტერის ადგილობრივ ორგანიზაციებს მითითებული წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში უფრო აქტიური მონაწილეობის შესახებ.

4. განემარტოს სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, რომ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში დასახულ ღონისძიებათა დროულად და მაღალხარისხოვნად გატარებისათვის პირადად პასუხისმგებელი არიან განყოფილებათა გამგეები და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და მოზრდილთა სკოლების ინსპექტორები.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე მ. ბურჭულაძე.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე № 1154

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადგი

1946 წლის 25 ივლისი

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში
1945—46 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის
შედეგების შესახებ

გავეცანი რა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მდგომარეობისა და მუშაობის გამოკვლევის მასალებს 1945—46 სასწავლო წლის შედეგების შესახებ და სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების წერილობით მოხსენებებს, აღვნიშნავ, რომ 1945—46 სასწავლო წელი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში, გასულ წელთან შედარებით, უკეთესი მაჩვენებლებით დამთავრდა.

სახალხო განათლების განყოფილებებმა დროულად აღრიცხეს სწავლაში ჩასაბმელი ახალგაზრდობა და ჩააბეს ის სწავლებაში, სკოლებს შეუქმნეს მუშაობისათვის ნორმალური პირობები, სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურ ოპერატიულ ხელმძღვანელობას უწევდნენ სკოლებს, რის შედეგადაც აღნიშნულ სკოლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა (გურჯაანის, სამტრედიის, მახარაძის, ქუთაისის, ხაშურის, ბორჯომის, წულუკიძის, ონის, ამბროლაურის, გორის, ცხაკაიას, ბათუმის, ქობულეთისა და სხვა რაიონები).

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მოსწავლეთა შორეულ სამუშაოებზე გაგზავნის პრაქტიკა, მოსწავლეთა განთესვა და მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები. პირველადი პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები, სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობათა გამგეობები ისმენდნენ მოხსენებებს სკოლების მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და სახადენენ

სათანადო ღონისძიებებს, ეხმარებოდნენ სკოლებს მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში, ხელს უწყობდნენ მოსწავლეთა გაკვეთილების გაცდენისა და სკოლიდან ჩამოშორების შემთხვევების შემცირებას.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებისადმი დახმარების, შესაფერი სადგომებით, გათბობით, განათებით, მოწყობილობით შიტი უზრუნველყოფის საქმეში გამოირჩეოდნენ ქუთაისის რაიონის სოფ. ოფშკეთის, საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხის, წულუკიძის რაიონის სოფ. კონტუათის, ქობულეთის რაიონის სოფ. ხალას, ბათუმის რაიონის სოფ. აქარისწყლის სასოფლო საბჭოები, ქობულეთის რაიონის სოფ. ალამბრის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობა, ღვინის სახელობის კოლმეურნეობა, ჩხარის რაიონის რიგი კოლმეურნეობები და სხვ.

მთელი რიგი რაიონების სკოლებმა დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს სასწავლო მუშაობა და საფუძვლიანად გაიარეს პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ყველა საგანში.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მასწავლებელთა დიდი უმეტესობა ფართოდ იყენებდა თვალსაჩინოებას, ატარებდა კონსულტაციებს, სისტემატურად ადგენდა გაკვეთილების გეგმას, კარგად ემზადებოდა გაკვეთილისათვის, ახალი მასალის გადაცემას აწარმოებდა საღამოს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით და შედეგსაც კარგს აღწევდა.

მაგ., ონის რაიონის სოფ. შქმერის სკოლის მე-5—7 კლასებში მოსწავლენი ქართულ ენასა და ლიტერატურაში ამჟღავნებდნენ მაღალწიგნიერებას, წერისა და კითხვის მაღალ კულტურას, მოსწავლეთა შორის დანერგილია ლიტერატურის კლასგარეშე კითხვის ჩვევები (მასწ. გრძელიშვილი). ამავე სკოლის გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი დაუშვილი სისტემატურად იყენებს რუკებს და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებს. მოსწავლეებს მტკიცედ აქვთ შეთვისებული გავლილი საპროგრამო მასალა.

გეგეკორის რაიონის სოფ. ინჩხურის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ძარია სერიოზულ ყურადღებას აქცევს ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს, არითმეტიკისა და გეომეტრიის სწავლებას უკავშირებს სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, რაც კოლმეურნე მოსწავლეებში აცხოველებს ინტერესს და ამაღლებს ცოდნის ღონეს ამ დისციპლინებში.

კარგად არის დაყენებული ფიზიკისა და მათემატიკის, ბიოლოგია-ქიმიის სწავლება ჩოხატაურის რაიონის სოფ. ზემო-სურგის

(მასწ. კიკაბიძე და რამიშვილი), ხიდისთავის (მასწ. კუტუბიძე), ნაბეღლაის (მასწ. ელიაშვილი) სკოლებში.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ხაშურის რაიონის სოფ. წრომის სკოლის ისტორიის მასწავლებელი ასპინძელაშვილი ვაკეეთილს ატარებს მაღალხარისხოვნად, მოხერხებულად ახდენს წინა მასალის ახალ მასალასთან დაკავშირებას, ყოველ ვაკეეთილზე ყურადღების ცენტრში აყენებს აღმზრდელობითი ხასიათის საკითხებს, ხოლო მოსწავლეები სისტემატურად ასრულებენ საშინაო დავალებებს.

მთელი რივი რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორები სისტემატურად ესწრებოდნენ მასწავლებელთა ვაკეეთილებს და აძლევდნენ მათ მეთოდურ მითითებებს, რეგულარულად იზილავდნენ პესაბუკობის სხდომებზე სკოლის მუშაობის საკითხებს, წესრიგში ჰქონდათ მოსწავლეთა პირადი საქმეები და საკლასო ყურნალები, დროულად აყენებდნენ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში სკოლების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, რის შედეგადაც შესძლეს მოსწავლეთა კონტინგენტის სწავლებაში ჩაბმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი ცხაკაიას რაიონის სოფ. ოქტომბრის (დირ. ცხვიტავა), ძველი-სენაკის (დირ. ქავთარაძე), შხედის (დირ. ვასალია), ყვარლის რაიონის სოფ. ყვარლის (დირ. ზახაშვილი), ქიათურის რაიონის სოფ. ზოდის (დირ. ბუხრაშვილი), საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხის (დირ. იაკობაშვილი), ქობულეთის რაიონის სოფ. ხალას და ალამბრის (დირ. ლორთქიფანიძე და ქათამაძე), ბათუმის რაიონის სოფ. ცხმორისის და ახოს (დირ. კობახაძე და ანანიძე), წულუკიძის რაიონის სოფ. კონტუათის (დირ. რუხაძე), გურჯაანის რაიონის სოფ. ზემო-გურჯაანის (დირ. მახოშვილი), ლავოდების რაიონის სოფ. აფენის (დირ. ბრეგვაძე) სკოლებში, ორთაბათუმის და ერგეს მასობრივ სკოლებთან არსებულმა კლასებმა (დირ. ქიქავა და სარჯველაძე) და სხვ.

ამასთან ერთად რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სოფლის ახალგაზრდობის სალაშოს სკოლების კონტინგენტის აღრიცხვისა და ჩაბმის საქმეში და სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში ადგილი ჰქონდა არსებითს ნაკლოვანებებს.

მაგალითად, წალკის რაიონში სწავლებაში ჩაბმული 2261 მოსწავლიდან სკოლებს ჩამოშორდა 434 მოსწავლე, სრულებით არ დაუწყებთ მუშაობა ამავე რაიონის სოფ. კუშჩის, ოზინის და კუშბატის სკოლებს, ხოლო სოფ. აგრალოს (დირ. იორდანიოვი), ახალი-

კის (დირ. ტანასოვი), ქსანთას (დირ. ტრაპეზანოვი) და ლიგვიას (დირ. პოპონდოპულო) სკოლებმა დაგვიანებით დაიწყეს მუშაობა, რის გამოც ამ სკოლებში გამოცდები არ ჩატარებულა.

ზოგიერთი რაიონის სკოლებში აღგილი ჰქონდა მოსწავლეთა მნიშვნელოვან განთესვას. მაგ., ახმეტის რაიონში 295 მოსწავლიდან განითესა 75 მოსწავლე, ბორჩალოს რაიონში 447 მოსწავლიდან—202 მოსწავლე, ქარელის რაიონში 221 მოსწავლიდან—109 მოსწავლე და სხვ.

ახალციხის რაიონის სოფ. დიდი და პატარა ჰამაჩის, ზიკილიის, წყალთბილის, ასყუნეთისა და კლდის სკოლებს ჩამოშორდა 562 მოსწავლე შორეულ სამუშაოებზე გაგზავნის გამო და სკოლები დაიხურა სასწავლო წლის პირველ ნახევარშივე. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა აღგილი ასპინძის, აღიგენის, ქედის, სტალინირის რაიონებში და აფხაზეთის ასსრ ზოგიერთ რაიონში.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ზოგიერთ სკოლაში მეცადინეობა გვიან დაიწყო (დეკემბერში), სკოლები ლიმიტით განკუთვნილ ნავთს არ ღებულობდნენ და უსინათლობის გამო მეცადინეობა ფერხდებოდა. ასევე ლაშქებისა და ნავთის უქონლობის გამო აღგილი ჰქონდა მეცადინეობის გაცდენას ყაზბეგის, ქვემო-სვანეთის, თიანეთის, ბორჩალოს რაიონების და აფხაზეთის ასსრ ზოგიერთ სკოლაში. რიგ შემთხვევაში სკოლები არ იყვნენ უზრუნველყოფილი სათბობით (თელავის, ყარაიას, წალკის და სხვა რაიონები).

სოფლის ახალგაზრდობის ზოგიერთი სკოლის დირექტორები არ გრძნობდნენ სათანადო პასუხისმგებლობას სკოლების მუშაობაზე, არ იცავდნენ ამ სკოლების ღებულებას, საღამოს სკოლაში შეთავსებით მომუშავე დილის სკოლის დირექტორებს სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლეები, დახმარებისა და გამოსწორების ნაცვლად, გადაყავდათ მასობრივი სკოლებიდან სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში, იშვიათად ამოწმებდნენ გაკვეთილების ხარისხს, არ აწარმოებდნენ მეთოდურ მუშაობას, არ აქცევდნენ ყურადღებას საკლასო კურონალებში ყოველდღიურ აღრიცხვიანობას და სხვ. მაგ., ონის რაიონის სოფ. საკაოს სკოლის დირექტორს ბერელიძეს, თუმცა მოსმენილი აქვს გაკვეთილები, მაგრამ მიღებული შთაბეჭდილება მას ფიქსირებული აქვს ზოგადად: „მასწავლებელი უკეთ უნდა ენახადებოდეს გაკვეთილისათვის“ ან კიდევ „გაკვეთილს არა უშავდა“.

სოფლის ახალგაზრდობის ზოგიერთი სკოლის მასწავლებლები არასაკმაო პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას.

სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, სისტემატურად არ აღგენენ გაკვეთილის გეგმას, საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურას. მაგალითად, ქუთაისის რაიონის სოფ. ოფშკვითის სკოლის მე-4 კლასის რუსული ენის მასწავლებელი ვაბუნია დაუდევრობას იჩენს წერიტი ნამუშევრების გასწორების საქმეში. მოსწავლე ატოიანის საგამოცდო ნამუშევარში მას გაუსწორებლად დატოვებული აქვს რიგი უხეში შეცდომები. ცხაკაიას რაიონის სოფ. შხეფის სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეთა ნამუშევრებში რუსულ ენაში არ ექცევა ყურადღება კალიგრაფიას, შეცდომები დატოვებულია გაუსწორებლად. ამავე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეთა ნამუშევრები ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაბალი ხარისხისაა, თემები ერთფეროვანია, წერიტი მუშაობის ნორმები არ არის შესრულებული.

ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე საკმაო სერიოზულობით არ მოეკიდა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებზე ხელმძღვანელობის საქმეს, ზუსტად ვერ ჩაატარა მოსწავლეთა კონტინენტის აღრიცხვა, ვერ უზრუნველყო აღრიცხული კონტინენტის სწავლებაში ჩაბმა, არ მიიღო საკმაო ეფექტიური ზომები სკოლიდან მოსწავლეთა განთესვისა და გაკვეთილების გაცდენის აღსაკვეთად, სკოლების უზრუნველსაყოფად საჭირო მოწყობილობით, გათბობით, განათებით, სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით, არ ჰქონდა მკიდრო კავშირი პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან, პრაქტიკულად არ ეხმარებოდა ამ სკოლებს, სისტემატურად არ ამოწმებდა მათს მუშაობას, არ ატარებდა მეთოდურ თათბირებს და სხვ.

მაგ., მცხეთის რაიონში სასწავლო წლის პირველ ნახევარში სოფლის ახალგაზრდობის არც ერთი სკოლა არ იყო შემოწმებული სახალხო განათლების განყოფილების მიერ, ძალზე სუსტი იყო პედაგოგიური კაბინეტის მუშაობა და მეთოდური ხელმძღვანელობა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებზე, საგნობრივი სექციები ჩამოყალიბებული იყო ფორმალურად და სხვ.

ბორჩალოს რაიონის სკოლები არ იყვნენ მომარაგებული სასწავლო ნივთებით, საკლასო და საშინაო წერიტი მუშაობა მშობლიურ ენასა და არითმეტიკაში ერთსა და იმავე რვეულში ტარდებოდა. სოფ. ჯანდარის სკოლაში რუსული ენის მასწავლებლის უყოლობის გამო ეს საგანი არ იყო შეტანილი გაკვეთილების ცხრილში და სხვ.



1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლებასა და განყოფილებამ და სახალხო განათლების ყველა სარაიონო განყოფილების გამგეებმა 1946—47 სასწავლო წელს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) 14 წლის ასაკის ზევით სკოლის გარეშე დარჩენილი ახალგაზრდობის ზუსტი აღრიცხვის მიზნით და მათი სკოლებში ჩაბმის უზრუნველსაყოფად მკიდრო კავშირი იქონიონ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და კოლმეურნეობებთან, აღრიცხული კონტინგენტი ჩააბან სწავლებაში, დააკომპლექტონ კლასები და სასწავლო წლისათვის სამზადისი წარმართონ იმ ანგარიშით, რომ აღნიშნულ სკოლებში ნორმალური სწავლა დაიწყოს 1 ნოემბერს.

ბ) გადასინჯონ სოფლის ახალგაზრდობის დამოუკიდებელი სკოლების და მასობრივ სკოლებთან არსებული კლასების ქსელი შეადსონ მცირერიცხოვანი კლასები მოსწავლეებით, უზრუნველსაყონ დამდეგ სასწავლო წელს გეგმის მიხედვით გასახსნელი სკოლებისა და კლასების ჩამოყალიბება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი ქსელი საკმარისი არაა, დამატებითი მოთხოვნა სკოლებისა და კლასების გახსნაზე დროულად წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში.

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 26 ივლისის № 83ნ და 1946 წლის 1 მარტის № 197 დადგენილებათა შესაბამისად უზრუნველსაყონ სკოლები ბინით, ვათბობით, განათებით; დროულად შეიძინონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის ლამპები და ლამპის შუშები და სწორად გაანაწილონ ისინი სკოლებსა და კლასებს შორის.

დ) გადასინჯონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორთა (გამგეთა) და მოსწავლეებელთა შემადგენლობა და სუსტი მუშაკები შესცვალონ სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით.

ე) უზრუნველსაყონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მოსწავლეები სახელმძღვანელოებითა და რვეულებით, მასობრივი სკოლების მოსწავლეთა თანაბრად, სახალხო განათლების განყოფილების ფონდიდან.

ვ) შეუქმნან სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მოსწავლეებს ყოველგვარი პირობა ნორმალური მუშაობისათვის, შეა-

მოწმონ, როგორ ეხმარებიან სკოლებსა და მოსწავლეებს კოლმეურ-
ნობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები, საჭიროების შემთხვე-
ვაში შემოწმების შედეგები დასვან ადგილობრივ ხელმძღვანელ-
განობებში სკოლებისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენის მიზ-
ნით; მიიღონ გადაამკრელი ზომები მოსწავლეთა შორეულ ადგილებ-
ში სამუშაოდ გაგზავნის პრაქტიკის აღსაკვეთად.

ზ) სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარონ სოფლის ახალ-
გაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორთა (გამგეთა) და მას-
წავლებელთა თათბირები, რომლებზედაც განიხილონ ახალი სასწავ-
ლო გეგმები, პროგრამები და მეთოდური მითითებანი ამ სკოლებ-
ში მუშაობის შესახებ, ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა
რვაწლიანი და თერთმეტწლიანი სწავლების შემოღებასთან დაკავ-
შირებით, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სწავლების ხარის-
ხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის ღონის ამადლები-
სათვის.

თ) არ დაუშვან მასობრივი სკოლებიდან აკადემიურად ჩამორ-
ჩენილ მოსწავლეთა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში
ჩარიცხვა და ასეთი ფაქტების გამოვლინების შემთხვევაში მკაცრი
სასჯელი დაადონ დამნაშავე პირებს; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიც-
ხვა აწარმოონ სათანადო ინსტრუქციის შესაბამისად.

ი) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სოფლის
ახალგაზრდობის საღამოს სკოლებზე, სისტემატურად შეამოწმონ
მათი მუშაობა და შემოწმების შედეგების საფუძველზე მისცენ კონ-
კრეტული მითითებანი სკოლების დირექტორებს, ცალკე გამოჰყონ
საქმეები სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მდგომარეო-
ბისა და მუშაობის შემოწმების მასალებისათვის.

2. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტო-
რებმა (გამგებმა):

ა) წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეები და
სკოლის დოკუმენტაცია, ზუსტად დაიცვან სასკოლო დოკუმენტ-
ბის წარმოების, მოვლისა და დაცვის წესები.

ბ) განამტკიცონ სკოლაში გეგმიანი მუშაობა, იმგვარად შეად-
გინონ სკოლის სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის წლიური გეგ-
მა, რომ ის ასახავდეს სკოლის მუშაობის ყოველ მხარეს და ყველა
ძირითად საკითხს.

გ) გააძლიერონ მასწავლებელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობა
და კონტროლი, დაწესებული რაოდენობით მოისმინონ გაკვეთილე-
ბი, მიცემული შენიშვნები წერილობით იქნას გაფორმებული; საჭი-
როების მიხედვით მოსმენილი გაკვეთილების შედეგები განიხილონ
პედსაბჭოს სხდომებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის.

დ) გადაჭრით გააძლიერონ სკოლაში მეთოდური მუშაობის საძლებლობის შემთხვევაში ჩამოაყალიბონ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება და საგნობრივი კომისიები, რომლებზედაც სისტემატურად განიხილონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის სპეციფიკა.

ე) შეამოწმონ საკლასო ჟურნალების წარმოება და უზრუნველყონ მათში ყველა საჭირო მასალის ყოველდღიურად ჩაწერა: მოსწავლეთა დაგვიანება-გაცდენის ფაქტების, გავლილი მასალის, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მიმდინარე შეფასების და სხვ.

3. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მასწავლებლებმა შეადგინონ და იქონიონ წლიური და ნახევარწლიური სამუშაო კალენდარული გეგმები და გაკვეთილის გეგმები; ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში ჩატარონ წერიტი სამუშაო დადგენილი რაოდენობით და გულდასმით გაასწორონ მოსწავლეთა ნამუშევრები; იბრძოლონ მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის.

4. მომარაგების განყოფილებამ უზრუნველყოს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს დროულად მომარაგება ნავთით, ლამპებითა და ლამპის შუშებით.

5. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლების სამმართველოს უფროსმა ამხ. გაბისონიამ უზრუნველყოს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები პროგრამებითა და მეთოდური მითითებებით.

6. მიეთითოს წალკის, ბოგდანოვკის, ქარელის, წყალტუბოს, ბოლნისის, ბორჩალოს, ასპინძის, ახალციხის, ახმეტის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს იმაზე, რომ მათ 1945-46 სასწ. წელს ვერ უზრუნველჰყვეს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში მოსწავლეთა კონტინენტის შენარჩუნება, აღრიცხული ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

გაფრთხილებულ იქნან აღნიშნული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები, რომ, უკეთეს ისინი სკოლებზე ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებით ვერ უზრუნველყოფენ 1946—47 სასწავლო წელს ამ სკოლების მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესებას, მათ მიმართ მიღებული იქნება ორგანიზაციული ზომები.

ეს ბრძანება განხილულ იქნას სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების პედსაბჭოების სხდომებზე და დასახულ იქნას სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
3. კუპრაძე.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1135^ბ

საქართველოს სსრ მანათლავის სამინისტროსადმი

1946 წლის 25 ივლისი

მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლების
მუშაობის შესახებ

მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები გვიჩვენებენ, რომ 1945-46 სასწავლო წელი ამ სკოლებში გასულ წელთან შედარებით უკეთესი მაჩვენებლებით აღინიშნა.

მეშა ახალგაზრდობის სკოლები უზრუნველყოფილი იყვნენ მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით, სკოლების დიდ უმრავლესობაში სათანადოდ იყო დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა აკადემიური მომზადება, მოსწავლეთა შორის განმტკიცებულია შეგნებული დისციპლინა და სხვ.

ასეთ მოწინავე სკოლებს მიეკუთვნება, მაგალითად, თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 5 (დირექტ. დ. ზვიადაძე), № 1 (დირ. ოჯინქარაძე), № 3 (დირ. დ. კუბლაშვილი), № 7 (დირ. ტ. მალლაფერიძე) და № 10 (დირექტ. ნ. ხოფერია) სკოლები, გორის მუშა ახალგაზრდობის სკოლა (დირ. მ. ხიდელი). და აკარმარას მუშა ახალგაზრდობის სკოლა (დირექტ. კვარაცხელია), დამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ აგრეთვე ბორჯომისა და მახარაძის მუშა ახალგაზრდობის სკოლები. აღნიშნულ სკოლებში სრულ წესრიგში იყო მოყვანილი სასკოლო დოკუმენტაცია, სასწავლო-აღმზრდელობითი და კლასის ხელშეღწეველთა სამუშაო გეგმები შედგენილი იყო ამ სკოლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სკოლები მეცადინეობას აწარმოებდნენ სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი მტკიცე ცხრილით. სკოლებში ჩამოყალიბებული იყო და სათანადო მუშაობას აწარმოებდნენ საგნობრივი კომისიები, სადაც განხილული იყო მასწავლებელთა სამუშაო გეგმები ცალკე სასწავლო დისციპლინებში და სასწავლო მუშაობის მეთოდური საკითხები.

ცალკეული საგნების სწავლების დაყენების საქმეში კარგად
მაჩვენებლები აქვთ თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 5 სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ა. კვასხვიანი და
დ. ზვიადაძეს, ამავე სკოლის რუსული ენის მასწავლებელს ბ. წიფურ-
იასს, № 9 და № 6 სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მას-
წავლებლებს დელოვასა და ქანკიევს, მუშა ახალგაზრდობის № 3
სკოლის მათემატიკის მასწავლებლებს ა. და ს. ციბაძეებს, № 11
სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ქაჯაიას, № 10 სკოლის ფი-
ზიკის მასწავლებელს ე. რაზმაძეს, № 5 სკოლის ქიმიის მასწავლე-
ბელს ს. ტაბიძეს, № 9 და № 1 სკოლების გეოგრაფიის მასწავ-
ლებლებს რეფუნენკოვასა და დვალს და სხვ. კარგი წარმატებები
აქვთ მოპოვებული აკრეთვე ქ. ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის № 2
სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ნ. გრძე-
ლიძეს, ამავე სკოლის რუსული ენის მასწავლებელს დამსახურებულ
პედაგოგს ნ. მესხს და მათემატიკის მასწავლებელს ვ. ხოტივარს,
მხარაძის მუშა ახალგაზრდობის რუსული ენის მასწავლებელს ს.
ჯაშს და მათემატიკის მასწავლებელს გ. მუჯირს, ქ. გორის მუშა
ახალგაზრდობის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
ლაცაბიძეს და მათემატიკის მასწავლებელს დადიანიძეს და სხვ.

ამ მიღწევებთან ერთად მუშა ახალგაზრდობის სკოლების მუ-
შაობაში მიმდინარე წელს აღგილი ჰქონდა რიგ ნაკლოვანებებს,
რაც უმთავრესად გამოიხატება მოსწავლეთა განთესვაში, მოსწავ-
ლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენაში, საწარმოთა ხელმძღვანელე-
ბის მხრივ სკოლებისათვის სუსტი დახმარების გაწევაში, სასწავლო-
აღმზრდელობითი მუშაობის არასათანადოდ დაყენებაში და სხვ.

მაგალითად, ქ. ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის № 1 და № 2
სკოლების 181 მოსწავლიდან სასწავლო წლის განმავლობაში არა-
საპატიო მიზეზით განთესილია 34 მოსწავლე. ანალოგიური მდგო-
მარეობა იყო თბილისის მუშა ახალგაზრდობის ზოგიერთ სკოლაში.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო მუშა ახალგაზრ-
დობის რიგ სკოლებში გაკვეთილების გაცდენის მხრივ. სუსტი იყო
ამასთანავე რიგ საწარმოთა მიერ მუშა ახალგაზრდობის სკოლებისათ-
ვის გაწეული დახმარება (ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი,
დიმიტროვის სახ. ქარხანა, მაუდის ფაბრიკა და სხვ.) მუშა ახალ-
გაზრდობის სასკოლო კონტინენტის აღრიცხვისა და მისი სწავ-
ლებაში ჩაბმის, საზეგანაკვეთო სამუშაოებისაგან მოსწავლეთა გან-
ტვირთვის, ამ სკოლებისათვის მატერიალური ბაზის განმტკიცე-
ბის და სხვ. საქმეში.

აღნიშნულის შედეგად რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში არასათანადოდ (სიმაღლეზე იყო დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, დაბალი იყო მოსწავლეთა მომზადება რიგ სასწავლო დისციპლინებში. აღვლილი ჰქონდა ჩამორჩენას პროგრამული მასალის გავლაში და სხვ. ამასთანავე ზოგიერთი მოსწავლელი უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა თავის მოვალეობას, ყოველთვის სათანადოდ არ ემზადებოდა გაკვეთილისათვის, რის გამო დაბალი იყო მათ მიერ გადაცემული გაკვეთილების ხარისხი, სუსტი იყო მოსწავლეთა დისციპლინა და სხვ. მაგალითად, სუსტად იყო დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 4 და № 10 სკოლებში (მასწ. ჩხლაძე და ბარამიძე), არადაამკმაყოფილებელი იყო მათემატიკის სწავლება მუშა ახალგაზრდობის № 2 სკოლაში (მასწ. გვერდწითელი და ცქეიტინიძე), დაბალი იყო მოსწავლეთა ცოდნა გეოგრაფიაში თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 6 და № 8 სკოლებში (მას. ჩიკვაძე და ტენეცა). ასევე ცუდი მაჩვენებლები ჰქონდათ თავის მუშაობაში ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის № 1 სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მოსწავლელს ს. ალაიძეს, ქ. მახარაძის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლელს ვასაძეს და სხვ.

მუშა ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღკვეთისა და შემდგრძი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ზ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა და სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გაზგეებმა:

ა) სასკოლო ასაკის მუშა ახალგაზრდობის კონტინენტის აღრიცხვისა და სწავლებაში მათი ჩაბმის უზრუნველსაყოფად დაუკავშირდნენ ადგილობრივ პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა და პროფესიულ ორგანიზაციებს, ჩატარონ წარმოება-დაწესებულებებში საუბარი მუშა ახალგაზრდობის სკოლების მნიშვნელობაზე, ამ სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესების შესახებ და სხვ.

ბ) სკოლების მოსწავლეებით დაკომპლექტებისას მტკიცედ დაიცვან მუშა ახალგაზრდობის სკოლის დებულება და, როგორც წესი, ამ სკოლებში ჩარიცხონ მხოლოდ წარმოებაში მომუშავე ახალგაზრდობა. ამასთანავე განათლების ცენტრის შესახებ სათანადო ცნობის უქონლობის შემთხვევაში აწარმოონ მოსწავლეთა ჩარიცხვა გა-

მოცდების შედეგად ფაქტიურად გამომქლავნებული ცოდვის ხედვით.

საქართველოს
სამინისტროს
განკარგველობა

გ) მიიღონ ზომები მუშა ახალგაზრდობის სკოლების სათანადო ბინით, განათებით, გათბობით და კვალიფიციური მასწავლებლებით, ხოლო მოსწავლეების სახელმძღვანელოებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით უზრუნველსაყოფად.

დ) უზრუნველკონ მუშა ახალგაზრდობის სკოლების მიერ სასწავლო კაბინეტების შექმნა და მასობრივი სკოლების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ამ უკანასკნელთა კაბინეტებისა და სასწავლო მოწყობილობის გამოყენება.

ე) დააყენონ საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე იმ წარმოება-დაწესებულებათა შესახებ, რომლებიც თავისი მოქმედებით ხელს უშლიან მუშა ახალგაზრდობის სკოლების ნორმალურ მუშაობას მოსწავლეთა საზეგანაკვეთო სამუშაოთი დატვირთვით და სხვ.

2. მუშა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებმა ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე შეადგინონ საუშაო გეგმები ახალი სასწავლო გეგმების საფუძველზე. აღნიშნული სამუშაო გეგმები განხილულ იქნას სათანადო საგნობრივ კომისიებში.

3. სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებებმა სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარონ მუშა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა მეოოდური თათბირები, სადაც განხილულ იქნას ახალი სასწავლო გეგმები და მეოოდური ხასიათის საკითხები.

4. დასმულ იქნას საკითხი სათანადო სამინისტროების წინაშე, რათა წინადადება მიეცეს შესაბამისად ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებს ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მუშა ახალგაზრდობის სკოლებს თავისი მუშაობის ნორმალურად წარმართვის საქმეში.

5. განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლების სამმართველომ ახალ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით დაამუშაოს და დაამზადოს გამოსაცემად მითითებანი ცალკეულ დისციპლინებში პროგრამული მასალის გავლის შესახებ.

საქართველოს ხსრ განათლების მინისტრის
მოადგილე მ. ბურბულაძე.

პ/მგებელი რედაქტორი მ. ბურბულაძე

შეკვ. № 1473

ტირრაჟი 2000

შეკ 12265

ლ. პ. ბერიას საქალაქობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებითა და
განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მცხრა

№ 10	Сборник приказов и Распоряжений Министер- ства Просвещения Грузинской ССР	1946 წ.
------	--	---------

შ ი ნ ა ა რ ს ი

	83-
1. ბრძანება № 1135/ა—მოზრდილთა სკოლების მდგომარეობისა და მუშა- ობის შემოწმების შედეგების შესახებ	2
2. სახწავლო გეგმები—ქართულ, რუსულ სომხურ და აზერბეიჯანული მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლე- ბისა 1947 წლისათვის	12
3. დებულება—სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების შესახებ . .	30
4. დებულება—მუშა ახალგაზრდობის სკოლის შესახებ	33
5. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დაკომპლექტების შესა- ხებ—ცირკულარულად	38

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე № 1135ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1946 წლის 25 ივლისი

მოზრდილთა სკოლების მდგომარეობისა და
მუშაობის შემოწმების შესახებ

რესპუბლიკის მოზრდილთა სკოლების მდგომარეობისა და მუშაობის შემოწმების მასალებიდან და სახალხო განათლების განყოფილებათა ანგარიშებიდან ირკვევა, რომ მოზრდილთა სკოლებმა 1945-46 სასწავლო წელი, გასულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვანი წარმატებებით დაამთავრეს. საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და საქმის საერთო ორგანიზაცია 1945-46 სასწავლო წელი ძირითადად დანიშნულ დროზე დაიწყო. სწავლის დაწყების წინ სახალხო განათლების განყოფილებებმა და სკოლების დირექტორებმა ჩაატარეს მოზრდილთა სკოლებში ჩასაბმელი კონტინგენტის აღრიცხვა და დროულად დააკომპლექტეს კლასები.

სასწავლო წლის დასაწყისს სკოლები მომზადებული შეხვდნენ პირველ დღეებიდანვე სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს შედგენილი ჰქონდათ წლიური სამუშაო გეგმები, მეცადინეობის ცხრილები, შედგენილი იყო მოსწავლეთა პირადი საქმეები.

მოზრდილთა სკოლები მოთავსებული იყვნენ მასობრივი სკოლების შენობებში, სარგებლობდნენ მათი ინვენტარითა და მოწყობილობით. თითქმის ყველა სკოლა უზრუნველყოფილი იყო შეუფერხებელი გათბობა-განათებით, ისინი იყენებდნენ აგრეთვე მასობრივი სკოლების კაბინეტებსა და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებს.

სკოლები უზრუნველყოფილი იყვნენ კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით, გამოცდილი დირექტორებით, ხოლო სახალხო განათლების განყოფილებები ოპერატიულად ხელმძღვანელობდნენ სკოლებს და უწევდნენ პრაქტიკულ საორგანიზაციო-მეთოდურ დახმარებას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთესად დაყენების საქმეში.



სასწავლო-აღმზრდელიობითი მუშაობის სწორი ორგანიზაციის შედეგად მოზრდილთა სკოლებმა, მცირე გამოჩაყლის გარდა, მატებით დასძლიეს სასწავლო პროგრამები ყველა სასწავლო დისციპლინაში, ხოლო მოსწავლეთა უმრავლესობამ კარგად აითვისა გავლილი სასწავლო მასალა. სასწავლო წლის დასასრულს ჩატარებულ კლასიდან კლასში გადასაყვან გამოცდებზე მოსწავლეებმა გამოამტკიცეს გავლილი მასალის ათვისების საკმაოდ მაღალი დონე.

სასწავლო აღმზრდელიობითი მუშაობის კარგად დაყენების მხრივ გამოირჩეოდნენ თბილისის №№ 1 და 3, ბათუმის №№ 20 და 24, ქუთაისის, მახარაძის, ზესტაფონის, წულუკიძის და რიგი სხვა სკოლები.

მაგალითად, ზესტაფონის მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. გაჩეჩილაძე) კარგად იყო დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის სწავლება. მოსწავლეთა დიდი უმეტესობა მეტყველებდა სწორად, წერდა სუფთად და გარკვევით, იცავდა გრამატიკის წესებს. ისტორიაში მოსწავლეებს ახასიათებდა ისტორიული ფაქტების დალაგებულად გადმოცემა. შეგნებულად ჰქონდათ დამახსოვრებული ისტორიული თარიღები, ისტორიული ფაქტების ცოდნას უკავშირებდნენ პრაქტიკულ საკითხებს. გეოგრაფიაში მოსწავლეები დაუფლებული არიან გავლილ მასალას, კარგად ეხერხებოდნენ რუკის გამოყენება. ისტორიის, გეოგრაფიის, კონსტიტუციის, ლიტერატურის გაკვეთილებზე მასწავლებლები საგნის სწავლებას უკავშირებდნენ სააღმზრდელი საკითხებს, უნერგავდნენ მოსწავლეებს სამშობლოსადმი სიყვარულსა და თავდადებას, აცნობდნენ ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიულ წარსულს.

წულუკიძის მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ჯანტურია) მოსწავლეთა დიდი უმეტესობა ზუსტად ასრულებდა „მოსწავლეთა ყოფაქცევის წესებს“; სკოლაში არსებობდა ქართული და რუსული ენებისა და ისტორიის წრეები. ლიტერატურული წრის ინიციატივით მე-10 კლასის მოსწავლემ ნ. სიმონიძემ კულტურის სახლში წაიკითხა მე-10 კლასის მოსწავლეთათვის მოხსენება თემაზე „გერმანული ფაშიზმის იდეოლოგიური სათავეები და მისი კრახი“, ხოლო მოსწავლე ი. კიკაბიძემ თემაზე „დიდი მხედართმთავარი მიხ. ილარ. კუტუხოვი“.

ბათუმის № 20 მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი კ. ბოლქვაძე) კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები კარგად იყო ორგანიზებული. თემები და ბილეთები შედგენილი იყო მოფიქ-

რებულად. გამოცდებზე მოსწავლეებმა კარგად დაახასიათეს სსრკავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—50 წ.წ. ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები.

ბათუმის № 24 მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი ლ. მოგილევსკი) გამოცდებზე მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს ცოდნის მაღალი დონე. საგამოცდო თემები კარგად არის შესრულებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია საგამოცდო წერითი ნამუშევრები რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

მახარაძის მოზრდილთა საშუალო სკოლის (დირექტ. ა. რამიშვილი) მოსწავლეთა ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია. სკოლაში მუშაობდნენ მოსწავლეთა ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის წრეები. ქართული ენისა და ლიტერატურის წრეში წლის განმავლობაში წაკითხულია მოსწავლეთა მიერ ორი რეფერატი, ხოლო ისტორიულ წრეში — სამი რეფერატი. კლას-გარეშე კითხვისათვის მოსწავლეები ფართოდ სარგებლობდნენ ქალაქის ბიბლიოთეკით და პარტკაბინეტით. აღნიშნული სკოლის მასწავლებლები ფართოდ იყენებდნენ კლასგარეშე კითხვის პრაქტიკას მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცებისათვის, თავიანთ მუშაობაში კი იყენებდნენ განათლების სამინისტროს „კრებულში“ და ვაზ. „სახალხო განათლებაში“ მოთავსებულ მასალებსა და სათანადო პედაგოგიკურ ლიტერატურას.

რიგი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები ოპერატიულად ხელმძღვანელობდნენ მოზრდილთა სკოლებს, ეხმარებოდნენ მათ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში. მაგალითად, თბილისის საბჭოს სახალხო განათლების განყოფილება სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ატარებდა თბილისის მოზრდილთა სკოლების მუშაობის შემოწმებას. შემოწმების შედეგად სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს ეძლეოდათ კონკრეტული მითითებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რომლებიც განხილული იყო პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე. განათლების განყოფილების მიერ მოწვეულ თათბირებსა და კონსულტაციებს ყოველთვის ესწრებოდნენ მოზრდილთა სკოლების დირექტორები და მასწავლებლები. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე სექციურ მუშაობაშიც, რომელიც მასობრივი სკოლების მასწავლებელთათვის ეწყობოდა. ბათუმის მოზრდილთა სკოლების მდგომარეობა და მუშაობა რამ-

დენჯერზე იყო შემოწმებული სახალხო განათლების ბათუმის საქალაქო განყოფილების მიერ. შემოწმების შედეგები განიხილა აქტიურად ასსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და დასახა საჭირო ღონისძიებანი. ასევე კარგად ხელმძღვანელობდნენ და ეხმარებოდნენ მოზრდილთა სკოლებს მახარაძის, ქუთაისის, წულუკიძის, ზესტაფონის და რიგი სხვა რაიონის სახალხო განათლების განყოფილებები.

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად რესპუბლიკის მოზრდილთა სკოლებს გასულ 1945-46 სასწავლო წელს ახასიათებდა რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი.

ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ დროულად ვერ აღრიცხა მოზრდილთა სკოლებში ჩასაბმელი კონტინგენტები, დროულად ვერ დააკომპლექტა კლასები და დაწესებულ ვადაზე ვერ შესძლო ნორმალური მეცადინეობის დაწყება. მაგალითად, ჩხარის მოზრდილთა საშუალო სკოლაში მეცადინეობა მე-5, მე-6 და მე-7 კლასებში დაიწყო 1 ოქტომბერს, ხოლო მე-8, მე-9 და და მე-10 კლასებში—1 დეკემბერს. სიღნაღის მოზრდილთა სკოლაში სწავლა დაიწყო 15 ნოემბერს, ხოლო ლაგოდეხის მოზრდილთა სკოლაში—20 ნოემბერს.

ზოგიერთი სკოლა მოთავსებული იყო შეუქცებელ შენობაში, არ იყო უზრუნველყოფილი გათბობითა და განათებით. მაგალითად, თიანეთის მოზრდილთა სკოლა მოთავსებული იყო ადგილობრივი, მასობრივი საშუალო სკოლის შენობაში; შენობა შეუქცებელი იყო, შეშის უქონლობის გამო არ თბებოდა. ეს გარემოება საგრძნობ გავლენას ახდენდა მოსწავლეთა დასწრებაზე, მეტადრე ისეთი მოსწავლეების, რომლებიც შორი მანძილიდან მოდიოდნენ სკოლაში. ბათუმის № 20 სკოლაში საკლასო ოთახებში ფანჯრებს არ ჰქონდა მინა, გეგეჰკორის რაიონის სოფ. ბანძის მოზრდილთა სკოლაში მეცადინეობას აფერხებდა განათების უქონლობა.

ზოგიერთი სკოლა სასწავლო წლის დასაწყისიდანვე არ იყო დაკომპლექტებული მასწავლებელთა საჭირო კადრებით. მაგალითად, ჩხარის მოზრდილთა სკოლაში მე-8 კლასში ორ თვეზე მეტს არ იყო ბიოლოგიის მასწავლებელი; თიანეთის სკოლას არ ყავდა ისტორიის მასწავლებელი 15 ნოემბრიდან 11 იანვრამდე, რუსული ენისა და უცხო ენის მასწავლებლები—1 თებერვლიდან 20 აპრილამდე; ბათუმის № 24 სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებელი დაინიშნა მხოლოდ პირველი მეოთხედის ბოლოს და სხვ.

სასწავლო პროცესის ნაყოფიერად წარმართვას საგრძნობლად აფერხებდა აგრეთვე კაბინეტებისა და თვალსაჩინო ხელსაწყო-

იარაღების უქონლობა. ზესტაფონისა და თელავის მოზრდილთა სკოლის მასწავლებლებს უხდებოდათ ხელსაწყო-იარაღების მოტანა სხვა მასობრივი სკოლებიდან. ამასთან სახალხო განათლების მეთვითყობის თი განყოფილება, რაიონის სკოლებს შორის სახელმძღვანელოებისა და რეფულების განაწილების დროს, ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებდა მოზრდილთა სკოლების მოთხოვნილებებს. მაგალითად, წულუკიძის მოზრდილთა სკოლაში ქიმიის სახელმძღვანელო მოდიოდა 6-7 მოსწავლეზე, რუსული ენის სახელმძღვანელო—4-5 მოსწავლეზე. სიღნაღის მოზრდილთა სკოლას ძალზე ცოტა ჰქონდა წიგნები, რეფულები და სხვა სასწავლო ნივთები.

მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი რიგ სკოლებში გეგმიანობის, აღრიცხვისა და სასკოლო დოკუმენტაციის დარგში. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის სოფ. ლეხაინდრავოს სკოლაში მოსწავლეთა შირადი საქმეები მოუწყვსრივებელი იყო, ხოლო სოფ. მანძის მოზრდილთა სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმაში არ იყო აღნიშნული კალენდარული ვადები. სიღნაღის მოზრდილთა სკოლაში მე-8 კლასის საკლასო ჟურნალში არ სწარმოებდა დამუშავებული მასალის, აგრეთვე მოსწავლეთა ცოდნის შეფასების აღნიშვნა. წალკის მოზრდილთა სკოლაში არ სწარმოებდა მოსწავლეთა დავიანებისა და მეცადინეობის გაცდენის აღრიცხვა. 1 ოქტომბრიდან 25 დეკემბრამდე მე-9 კლასის 14 მოსწავლეზე ყველა საგანში იყო 18 შეფასების ნიშანი, ხოლო 14 იანვრიდან 22 მარტამდე იმავე კლასში 11 მოსწავლეზე ყველა საგანში იყო მხოლოდ 10 ნიშანი. ანალოგიური მდგომარეობა იყო თიანეთის, ქიათურის, ჩხოროწყუს სკოლებში.

მოზრდილთა სკოლების კონტინგენტების არადროულად აღრიცხვის, სასკოლო შენობების მოუწყობლობის, გათბობა-განათების საქმის მოუწყვსრივებლობის შედეგად რიგ სკოლებში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა თვალსაჩინო განთესვას. მაგალითად, წალკის მოზრდილთა სკოლაში 48 მოსწავლიდან წლის განმავლობაში სკოლას ჩამოშორდა 15 მოსწავლე, ქიათურის მოზრდილთა სკოლას—81 მოსწავლე, ბათუმის მე-23 სკოლას—21 მოსწავლე და სხვ. ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის გაცდენას თიანეთის, წალკის, ჩხოროწყუს მოზრდილთა სკოლებში.

სასწავლო წლის განმავლობაში ზოგიერთ სკოლაში ადგილი ჰქონდა ჩამორჩენას ცალკეული დისციპლინების სწავლებაში. ლაგოდების მოზრდილთა საშუალო სკოლაში სწავლის გვიან დაწყებისა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ისტორიაში ჩამორჩენის

გამო გამოცდები მე-10 კლასში გადადებულია შემოდგომისათვის.

საგრძნობ ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებაში. მაგალითად, თიანეთის მოზრდილთა სკოლის მოსწავლეთა ცოდნის დონე არ იყო დამაკმაყოფილებელი. მე-5-7 კლასებში სასწავლო მასალის შეთვისება ისტორიაში (მასწავლებელი ე. სისაური) დაბალი იყო, მოსწავლეებმა საკმაოდ მტკიცედ არ იცოდნენ ისტორიული ფაქტები და მოვლენები. ასეთივე მდგომარეობა იყო ქიმიასა და ბუნებისმეტყველებაში იმავე კლასებში (მასწავლებელი ქ. ცაგარეიშვილი), მოსწავლეებს უძნელდებოდათ ელემენტარული ქიმიური ცდების ჩატარება. ხაშურის მოზრდილთა სკოლაში სუსტი იყო მოსწავლეთა ცოდნა რუსულ ენასა და ლიტერატურაში მე-8 და მე-10 კლასებში, ისტორიაში—მე-9 და მე-10 კლასებში. მე-8 და მე-10 კლასებში მასწავლებელ ვ. გაფრინდაშვილს უცხო ენაში სამი თვის განმავლობაში არ ჩაუტარებია არც ერთი წერითი მუშაობა. ქიათურის მოზრდილთა სკოლაში სუსტი იყო მე-6 და მე-7 კლასების მოსწავლეთა ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი ა. გოგსაძე). ასევე სუსტი იყო მოსწავლეთა ცოდნა თიანეთის მოზრდილთა სკოლის მე-5 კლასში არითმეტიკაში და მე-6 კლასში ალგებრა-გეომეტრიაში (მასწავლებელი ა. ხელაძე).

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შედეგად 1945-46 სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებული კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების დროს საგრძნობი პროცენტი მოსწავლეებისა დატოვებულ იქნა იმავე კლასებში არასაკმაო ცოდნისა და მომზადების გამო. მაგალითად, თიანეთის მოზრდილთა სკოლის მოსამზადებელი კლასის 11 მოსწავლიდან მხოლოდ ერთი მოსწავლეა გადაყვანილი მე-5 კლასში, ხოლო მე-5 და მე-7 კლასეაში 35 მოსწავლიდან შემდეგ კლასებში გადაყვანილია მხოლოდ 8 მოსწავლე. ქიათურის მოზრდილთა სკოლაში ორი მე-8 კლასის გამოცდაზე დაშვებული 61 მოსწავლიდან დატოვებულია იმავე კლასებში 48 მოსწავლე, ხოლო ორი მე-9 კლასის 42 მოსწავლიდან დატოვებულია 28 მოსწავლე. თბილისის № 2 მოზრდილთა საშუალო სკოლის 87 მოსწავლიდან გადაყვანილია შემდეგ კლასებში 29 მოსწავლე, დატოვებულია იმავე კლასებში 28 მოსწავლე, ხოლო საშემოდგომო გამოცდა მიეცა 30 მოსწავლეს.

მოზრდილთა სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი შედეგია იმისა, რომ სახალხო განათლების განყოფილებები სათა-

ნადოდ არ ხელმძღვანელობდნენ ამ სკოლების მუშაობას. ქ. ქი-
თურის სახალხო განათლების განყოფილებამ წლის განმავლობაში
მხოლოდ ერთხელ შეამოწმა მოზრდილთა სკოლის მუშაობა. სილ-
ნალის განათლების განყოფილებამ ვერ უზრუნველყო მოზრდილთა
სკოლის მოსწავლეები სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთე-
ბით. წალკის, ჩხოროწყუს, ლაგოდეხის რაიონების სახალხო განათ-
ლების განყოფილებები არ აქცევდნენ საკმაო ყურადღებას მოზრ-
დილთა სკოლების მუშაობას, არ ეხმარებოდნენ ამ სკოლების დი-
რექტორებსა და მასწავლებლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშა-
ობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის ბრძოლაში, არ ისმენდნენ
მოზრდილთა სკოლების მდგომარეობის საკითხებს და არ ამოწმებ-
დნენ ამ სკოლების ხაზით დასახულ ღონისძიებათა შესრულებას.

მ ბ რ ძ ა ნ მ ზ:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლე-
ბის სამინისტროებს, სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო და
საქალაქო განყოფილებათა გამგეებს:

ა) დროულად ჩაატარონ მოზრდილთა სკოლების მოსწავლეთა
კონტინენტის აღრიცხვა და ჩააბან ისინი სწავლაში, სასწავლო
წლის დასაწყისისათვის დაამთავრონ კლასების დაკომპლექტება და
უზრუნველყონ დაწესებულ დროს ნორმალური მეცადინეობის დაწ-
ყება ყველა სკოლასა და კლასში.

ბ) ის სკოლები, რომლებიც დამდეგ 1946-47 სასწავლო წლი-
დან იხსნება, დროულად უზრუნველყონ სათანადო ბინებით ისეთი
მასობრივი საშუალო სკოლის შენობაში, რომელსაც საკმაო რაოდე-
ნობით მოეპოება საჭირო მოწყობილობა, კაბინეტები და ხელსაწყო-
იარაღები.

გ) დააკომპლექტონ მოზრდილთა სკოლები გამოცდილ დირექ-
ტორთა და კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით და დაეხმა-
რონ მათ მოზრდილბთან მუშაობის სპეციფიურობასთან დაკავში-
რებით სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადოდ დაყე-
ნებაში.

დ) უზრუნველყონ მოზრდილთა სკოლები გათბობით, განათე-
ბით, მოწყობილობით, თვალსაჩინო-სასწავლო ხელსაწყოებით, ხოლო
ის სკოლები, რომლებიც რვაწლიანი მასობრივი სკოლის შენობებით
სარგებლობენ, რომლებსაც მე-9, მე-10 და მე-11 კლასებისათვის
საჭირო ხელსაწყოები არ გააჩნიათ, გადაიყვანონ საშუალო მასობ-
რივი სკოლების შენობაში.

ე) დაავალონ მასობრივი სკოლების დირექტორებს მისცენ მოზრდილთა სკოლებს, სანამ ისინი საკუთარ მოწყობილობასა და ხელსაწყოებს შეიძენდნენ, მასობრივი სკოლის კაბინეტებისა და ხელსაწყო-იარაღების გამოყენების შესაძლებლობა.

ვ) რაიონის სკოლებისათვის სახელმძღვანელოების, ხელსაწყოების, რვეულებისა და სასწავლო ნივთების განაწილების დროს გაითვალისწინონ მოზრდილთა სკოლების მოთხოვნილებანი და გამოუყონ მათ სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები მასობრივი სკოლების თანაბრად.

ზ) სასწავლო წლის დაწყების წინ ჩატარონ მოზრდილთა სკოლების მასწავლებელთა თათბირები და განიხილონ მათთან მოზრდილთა სკოლის ახალი სასწავლო გეგმები, პროგრამები და მეთოდური მითითებანი მოზრდილთა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების საკითხებზე.

თ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა მოზრდილთა სკოლებზე, დროგამოშვებით შეამოწმონ მათი მდგომარეობა და მუშაობა, დასახონ საჭირო ღონისძიებანი მათი მუშაობის ყოველმხრივად გაუმჯობესებისათვის და პერიოდულად შეამოწმონ დასახულ ღონისძიებათა შესრულება.

2. დაევალოს მოზრდილთა სკოლების დირექტორებს:

ა) სკოლაში და ცალკეულ კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა აწარმოონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო ინსტრუქციის შესაბამისად, სათანადო საბუთების ან გამოცდის საფუძველზე, პირადად შეამოწმონ მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და არ დაუშვან მოსწავლეთა სკოლაში მიღება შესაფერი საბუთების ან შემოწმებითი გამოცდების გარეშე.

ბ) უზრუნველყოფონ გეგმიანობა სკოლებში, სასწავლო წლის დასაწყისშივე დააზუსტონ წლიური სამუშაო გეგმები და მეცადინეობის ცხრილები, განიხილონ ეს გეგმები და ცხრილები პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და თვალყური ადევნონ მათს მაღალხარისხიანად შესრულებას.

გ) წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომლებშიც მოაქციონ ყველა საჭირო დოკუმენტი მოსწავლის შესახებ, და უზრუნველყოფონ პირადი საქმეებისა და დოკუმენტების შენახვის წესების განუხრელად დაცვა.

დ) გაუწიონ კონტროლი საკლასო ჟურნალების სწორად წარმოებას და სისტემატურად ადევნონ თვალყური იმას, რომ საკლასო

ქურნალებში ყოველდღიურად იყოს აღნიშნული გავლილი მასალა და მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შეფასება.

ე) შეავსონ თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები, უზრუნველსაყონ მათი შეკეთება, მოვლა, დაცვა და მიზანშეწონილი გამოყენება, დაავალონ მასწავლებლებს თვალსაჩინოების ფართო გამოყენება სათანადო დისციპლინებში მასალის ახსნისა და დამუშავების დროს.

ვ) გააძლიერონ მეთოდური მუშაობა სკოლაში, მოამარაგონ მასწავლებლები მეთოდური შინაარსის ლიტერატურით, მოაწყონ საგნობრივი კომისიები, განაზოგადონ საუკეთესო მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილება და ყოველმხრივად შეუწყონ ხელი მასწავლებლებს მათი პედაგოგიური დახელოვნების საქმეში.

ზ) შეამოწმონ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ხარისხი და გაამახვილონ მასწავლებელთა ყურადღება შეცდომების მართებულად გასწორებაზე და ცოდნის ობიექტურად შეფასებაზე.

თ) არ დაუშვან სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა სასწავლო წლის დაწყების შემდეგ, გარდა სათანადო ინსტრუქციით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა, ამასთან მიიღონ გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის ან დაგვიანების შემთხვევების აღსაკვეთად.

ი) რეგულარულად მოისმინონ პედაგოგების სხდომებზე სამუშაო გეგმების შესრულების მიმდინარეობა და სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი საკითხები და სისტემატურად შეამოწმონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება.

კ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, მოისმინონ გაკვეთილები და მისცენ მასწავლებლებს საჭირო მითითებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის; თვალყური ადევნონ იმას, რომ მასწავლებლები წინასწარ ემზადებოდნენ გაკვეთილისათვის და ყოველდღიურად იქონიონ გაკვეთილის გეგმა.

3. დაევალოს მოზრდილთა საშუალო სკოლების მასწავლებლებს

ა) იქონიონ წლიური და მეოთხედური სამუშაო გეგმები და აგრეთვე ცალკეული გაკვეთილების გეგმები, ჩაატარონ წერითი სამუშაოები დადგენილი ნორმით, გულდასმით გაასწორონ და ობიექტურად შეაფასონ მოსწავლეთა ნამუშევრები და საერთოდ მოსწავლეთა ცოდნა.

ბ) მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინოება სასწავლო მასალის დამუშავების დროს, აწარმოონ სათანადო ცდების დემონსტრირ-

რება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ
გავლილი მასალის შეთვისების ხარისხს.

გ) ყოველდღიურად აწარმოონ საკლასო ჟურნალებში გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების აღნიშვნა, აგრეთვე დამუშავებული მასალისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემატური ფიქსირება.

4. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და მოზრდილთა სკოლების სამმართველომ სისტემატურად შეამოწმოს მოზრდილთა სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადება და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი სწავლის ნორმალურ პირობებში დაწყების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

8. კუპრაძე.

ს ა ს წ ა ვ ლ რ

საქართველოს სსრ სოფლის ახალგაზრ
1946-47 წწ

საგნის დასახელება	კვირადღი საათების რაოდენობა მა კლასებში							
	1	2	3	4	5	6	7	8
	კლ.	კლ.	კლ.	კლ.	კლ.	კლ.	კლ.	კლ.
1 ქართული ენა	14	11	11	7	4	3	3	2
2 ქართული ლიტერატურა	—	—	—	—	3	3	2	2
3 რუსული ენა	—	5	5	5	5	6	5	4
4 ფიზიკა	—	—	—	—	—	1	1	—
5 ისტორია	—	—	—	1	2	1	2	3
6 კომპოზიცია	—	—	—	—	—	—	—	1
7 მათემატიკა	5	6	6	6	5	2	—	—
8 ალგებრა-გეომეტრია	—	—	—	—	—	3	4	3
9 ფიზიკა	—	—	—	—	—	—	2	2
10 ბუნებისმეტყველება	—	—	—	1	1	2	2	1
11 ქიმი	—	—	—	—	—	—	—	2
12 გეოგრაფია	—	—	—	2	2	2	1	1
სულ	22	22	22	22	22	22	22	22

შეწ. და სოფლის ახალგაზრდობისა და მიზნადილია

*) იხილეთ საათი სტუდია წიგნის რაოდენობა.

ს ა ს წ ა ვ ლ რ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის ბრძანებით
1946 წ. 2 თვეში
ქართული
ინსტიტუტი

მ ა მ მ ა

დღობს ქართული აგაწლანი სკოლისათვის
ავალ რეზინათვის

მთვეები	წლიური საათების რაოდენობა კლასების მთვეები							
	1	2	3	4	5	6	7	8
სულ	კლ.	კლ.	კლ.	კლ.	კლ.	კლ.	კლ.	კლ.
55	350	275	225	161	92	69	69	46
10	—	—	—	—	69	69	46	46
35	—	125	125	115	115	138	115	92
2	—	—	—	—	—	—	23	13
9	—	—	—	23	46	23	46	69
1	—	—	—	—	—	—	—	23
33	200	150	150	138	115	46	—	—
10	—	—	—	—	—	69	92	69
4	—	—	—	—	—	—	46	46
7	—	—	—	23	23	46	46	23
2	—	—	—	—	—	—	—	46
8	—	—	—	46	46	46	23	23
176	550	550	550	506	506	506	506	4180

სკოლებს სსრკართველოს უფრობის პ. მანინონი.

У Ч Е Б Н Ы Й
русский восьмилетней школы сельской молодежи
на 1946 - 1947 учеб

Наименование предметов	Количество недельных							
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
	кл.	кл.	кл.	кл.	кл.	кл.	кл.	кл.
1 Русский язык и литература	14	11	11	7	7	6	5	4
2 Грузинский яз. и литература	—	5	5	5	5	5	5	4
3 Иностраный язык	—	—	—	—	—	—	1	1
4 История	—	—	—	2	2	2	2	3
5 Конституция	—	—	—	—	—	—	—	1
6 Арифметика	8	6	6	5	5	2	—	—
7 Алгебра, геометрия	—	8	—	—	—	3	4	3
8 Физика	—	—	—	—	—	2	2	—
9 Естествознание	—	—	—	1	1	2	2	1
10 Химия	—	—	—	—	—	—	—	2
11 География	—	—	—	2	2	2	1	1
Всего	22	32	32	22	22	22	21	22

Начальник Управления школ рабочей и сельской молодежи и школ

^{*)} Включая 2 часа на каникулы.

УТВЕРЖДАЮ
Министр просвещения Груз. ССР

2/VII-46 г.

34705520
308-30701030

П Л А Н

Министерства Просвещения Грузинской ССР
на год

часов	Количество годовых часов								Всего
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
Всего	кл.	кл.	кл.	кл.	кл.	кл.	кл.	кл.	кл.
85	350	275	275	161	161	138	115	92	1567
34	—	125	125	115	115	115	115	92	802
2	—	—	—	—	—	—	23	23	46
11	—	—	—	46	46	46	46	69	253
1	—	—	—	—	—	—	—	23	23
32	200	150	150	115	115	46	—	—	776
10	—	—	—	—	—	69	92	69	290
4	—	—	—	—	—	—	46	46	92
7	—	—	—	23	23	46	46	22	161
2	—	—	—	—	—	—	—	46	46
8	—	—	—	46	46	46	23	23	184
176	550	550	550	508	508	506	506	506	4180

взрослых Министерства Просвещения Грузинской ССР А. ГАБСИНИЯ.

У Ч Е Б Н Ы Й

армякской и азербайджанской восьмилетних школ сельской

П Л А Н

молдежи Министерства Просвещения Грузинской ССР
 на 1946—47 учебный год

Наименование предметов	Количество недельных							
	I кл.	II кл.	III кл.	IV кл.	V кл.	VI кл.	VII кл.	VIII кл.
1 Родной язык	14	9	7	5	1	1	1	1
2 Родная литература	—	—	—	—	2	2	2	1
3 Русский язык	—	3	6	4	4	4	3	3
4 Грузинский язык	—	3	4	3	2	3	2	3
5 Иностранный язык	—	—	—	—	—	—	—	1
6 История	—	—	—	2	2	2	3	2
7 Конституция	—	—	—	—	—	—	—	1
8 Арифметика	8	7	5	5	7	2	—	—
9 Алгебра, геометрия	—	—	—	—	4	5	4	—
10 Физика	—	—	—	—	—	2	2	—
11 Естествознание	—	—	—	2	2	2	2	1
12 Химия	—	—	—	—	—	—	—	2
13 География	—	—	—	1	2	2	2	1
Всего	22	22	22	22	22	22	22	22

часов	Количество годовых часов								Всего
	I кл.	II кл.	III кл.	IV кл.	V кл.	VI кл.	VII кл.	VIII кл.	
30	350	225	175	115	23	23	23	23	957
7	—	—	—	—	46	46	46	23	161
27	—	75	150	92	92	92	69	69	630
20	—	75	100	69	46	69	46	69	474
1	—	—	—	—	—	—	—	23	23
11	—	—	—	46	46	46	69	46	253
1	—	—	—	—	—	—	—	23	23
34	300	175	125	115	161	46	—	—	822
13	—	—	—	—	—	92	115	92	280
4	—	—	—	—	—	—	46	46	92
9	—	—	—	46	46	46	46	23	307
2	—	—	—	—	—	—	—	46	46
8	—	—	—	23	46	46	46	23	154
176	550	550	550	506	506	506	506	506	4190

Начальник Управления школ рабочей и сельской молодежи и ШМ

*) Включая часы на чистописанье.

заседания Министерства Просвещения Грузинской ССР А. ГАБИСИЯ



ს ა მ ს ი მ ი ა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებით
1946-47 სასწავლო წლისათვის

ს ა მ ს ი ა

ახალგაზრდობის კართული ჯეჯილიანი მუხრანში
1946-47 სასწავლო წლისათვის

საგნების დასახელება	კვარტალი საათების რაოდენობა											
	მოსამს. კლასი		მ-9 კლ.		მ-6 კლ.		მ-7 კლ.		მ-8 კლ.		მ-9 კლ.	
	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.
1 ქართული ენა	4	12	6	12	1	12	1	12	1	12	1	12
2 ქართ. ლიტერ.												
3 რუსული ენა	5	1	6	9	4	4	1	5	9	1	4	4
4 რუსული ლიტერ.												
5 უცხო ენა												
6 ისტორია	2	1	2	1	2	2	1	2	1	2	1	1
7 კონსტიტუცია												
8 არითმეტიკა	3	1	4	4	5	2	2	2	2	2	2	2
9 ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონ.						2	1	2	3	1	4	2
10 ფიზიკა												
11 ასტრონომია												
12 ბიოლოგიის/მედიცინის						1	1	2	1	2	1	2
13 მუსიკა												
14 ვიზუალური												
15 ხელოვნება												
სულ	18	4	22	18	4	22	18	4	22	18	4	22

მ-9 კლ.						მ-10 კლ.						მ-11 კლ.						მ-12 კლ.					
აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.	აღმართი	კომპლ.
1	5	1	4	12	4	1	5	1	4	12	4	1	5	1	4	12	4	1	5	1	4	12	4
2	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
3	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
4	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
5	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
6	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
7	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
8	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
9	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
10	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
11	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
12	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
13	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
14	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
15	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
სულ	18	4	22	18	4	22	18	4	22	18	4	22	18	4	22	18	4	22	18	4	22	18	4

მუშა და სიფხვის ახალგაზრდობის სკოლებში და მოზარდულ

თა სკოლებს სამხატვრო სკოლაში და მუსიკალურ

2/VII 1945 г.

347035320
308-30701033

Учебный

русской средней школы рабочей молодежи Минис
на 1946-47

план

терства Просвещения Грузинской ССР
уч. год.

Наименование предметов	Количество недель														
	Подготов. кл.			V кл.			VI кл.			VII кл.			VIII кл.		
	Урок	Консулт.	Неделя, ч.	Урок	Нед. час.	Урок	Консулт.	Нед. час.	Урок	Консулт.	Нед. час.	Урок	Консулт.	Нед. час.	
1 Русский язык	6	1	7	4	1	5	4	2	6	4	1	5	5	5	
2 Русская литература															
3 Грузинский язык	3	1	4	3	1	4	3	1	4	2	1	3	2	2	
4 Грузинская лит.															
5 Иностранный язык															
6 История	10	1	11	8	1	10	8	3	11	10	5	11	10	5	
7 Конституция															
8 Арифметика	3	1	4	4	1	5	4	1	5	4	1	5	4	1	
9 Алгебра, геометрия, тригонометрия															
10 Физика	1	1	2	1	1	2	1	1	2	1	1	2	1	1	
11 Астрономия															
12 Естествознание	12	1	13	1	1	12	1	1	13	1	1	12	1	1	
13 Химия	10	1	11	10	1	11	10	1	11	10	1	11	10	1	
14 География	10	1	11	10	1	11	10	1	11	10	1	11	10	1	
15 Черчение															
Всего	18	4	22	18	4	22	18	4	22	18	4	22	18	4	

Наименование предметов	Количество часов																	
	IX кл.			X кл.			XI кл.			Всего								
	Урок	Консулт.	Нед. час.	Урок	Консулт.	Нед. час.	Урок	Консулт.	Нед. час.	Подгот. кл.	V кл.	VI кл.	VII кл.	VIII кл.	IX кл.	X кл.	XI кл.	Всего
1 Русский язык	6	1	7	4	1	5	4	2	6	4	1	5	5	5	5	5	5	1120
2 Русская литература																		680
3 Грузинский язык	3	1	4	3	1	4	3	1	4	2	1	3	2	2	2	2	2	720
4 Грузинская лит.																		280
5 Иностранный язык																		480
6 История	10	1	11	8	1	10	8	3	11	10	5	11	10	5	11	10	5	720
7 Конституция																		40
8 Арифметика	3	1	4	4	1	5	4	1	5	4	1	5	4	1	5	4	1	440
9 Алгебра, геометрия, тригонометрия																		180
10 Физика	1	1	2	1	1	2	1	1	2	1	1	2	1	1	2	1	1	480
11 Астрономия																		40
12 Естествознание	12	1	13	1	1	12	1	1	13	1	1	12	1	1	12	1	1	320
13 Химия	10	1	11	10	1	11	10	1	11	10	1	11	10	1	11	10	1	480
14 География	10	1	11	10	1	11	10	1	11	10	1	11	10	1	11	10	1	480
15 Черчение																		80
Всего	18	4	22	18	4	22	18	4	22	18	4	22	18	4	22	18	4	7040

Начальник Управления школ рабочей и сельской молодежи и школ

взрослых Министерства Просвещения Груз. ССР А. ГАБИСОНИЯ.

ს ს ს რ ს ს

საქართველოს სსრ მიწოდების აგეზია
1946-47 წწ

ს ს ს რ ს ს

სა და საშუალო სკოლებისთვის
აგეზი წილების

მთვეები	წლიური საათების რაოდენობა კლასების მიხედვით										
	მე-11 კლ.	სოფ.	მიწოდებ. კლ.	მე-5 კლ.	მე-6 კლ.	მე-7 კლ.	მე-8 კლ.	მე-9 კლ.	მე-10 კლ.	მე-11 კლ.	ს. რ.
1	19	281	132	182	66	66	—	—	—	—	627
2	32	361	66	99	99	132	132	132	132	132	726
3	36	198	198	198	165	165	99	99	99	99	1197
4	7	—	—	—	—	—	—	66	66	66	231
5	14	—	66	66	66	66	66	66	66	66	462
6	14	99	99	99	99	132	99	99	99	99	726
7	1	—	—	—	—	33	—	—	—	—	33
8	14	198	198	99	—	—	—	—	—	—	462
9	6	29	—	—	99	165	132	165	115	198	107
10	1	13	—	—	—	66	66	—	—	—	429
11	1	13	66	66	—	66	66	—	—	—	33
12	1	13	66	66	66	66	66	66	66	66	429
13	1	14	99	99	66	66	66	66	66	66	267
14	1	2	99	99	66	66	66	66	66	66	462
15	1	—	—	—	—	—	—	—	33	33	66
სულ	27	216	891	891	891	891	891	891	891	791	7128

სკოლების სამმართველოს უფროსი პ. მანისონიძე.

მუხა და სოფლის ახლგაზრდობის სკოლებისა და მიწოდებისა

34703570
 308-1701033

Учебный

русской средней школы в 1946-1947
 Министер
 на 1946-1947

план

ства Просвещения Грузинской ССР
 учебный год.

Наименование предметов	Количество недель						
	Подготов.- VII, кл.	V кл.	VI кл.	VII кл.	VIII кл.	IX кл.	X кл.
1 Русский язык и литературное чтение	5	7	8	7	5	—	—
2 Русская литература	—	—	—	—	—	4	5
3 Грузинский язык	5	5	4	4	1	—	1
4 Грузинская литература	—	—	—	—	—	2	3
5 Иностраный язык	—	2	2	2	2	2	2
6 История	3	2	2	3	3	3	3
7 Конституция	—	—	—	—	1	—	—
8 Арифметика	6	6	2	—	—	—	—
9 Алгебра, геометрия, тригонометрия	—	—	4	5	4	6	5
10 Физика	—	—	—	2	2	3	3
11 Химия	—	—	—	—	—	—	—
12 Естествознание	—	2	2	2	2	2	—
13 Учения	—	—	—	—	—	3	2
14 География	5	3	2	2	2	1	2
15 Черчение	—	—	—	—	—	—	1
Всего	27	27	27	27	27	27	27

XI кл.	Количество годовых часов								Всего	
	Всего	Подготов. кл.	V кл.	VI кл.	VII кл.	VIII кл.	IX кл.	X кл.		XI кл.
—	35	204	231	204	231	165	—	—	—	1155
5	14	—	—	—	—	—	132	165	165	462
2	157	165	165	165	132	132	33	33	99	891
3	6	—	—	—	—	—	66	99	99	264
2	14	—	66	66	66	66	66	66	66	462
3	12	50	66	66	66	66	66	66	66	726
—	14	198	198	66	—	—	—	—	—	462
5	29	—	—	132	165	132	198	165	165	657
3	13	—	—	—	66	66	99	99	99	429
1	1	—	—	—	—	—	—	—	—	33
2	12	66	66	66	66	66	66	66	66	396
2	15	99	99	66	66	66	33	66	66	297
1	2	—	—	—	—	—	—	33	33	66
27	216	891	891	891	891	891	891	891	891	7128

Начальник Управления школ рабочей и сельской молодежи и школ

заведующий Министерством Просвещения Грузинской ССР А. ГАБИСОНИЯ.

Учебный

армянской и азербайджанской средних школ взрослых
 на 1946-47

ПЛАН

Министерства Просвещения Грузинской ССР
 учебный год

	Наименование предметов	Количество недель						
		Подготовк. класс	V кл.	VI кл.	VII кл.	VIII кл.	IX кл.	X кл.
1	Родной язык . . .	6	3	3	2	1	—	—
2	Родная литература . . .	—	3	2	2	2	3	3
3	Русский язык . . .	5	5	6	4	4	5	5
4	Русская литература . . .	—	—	—	4	4	5	5
5	Грузинский язык . . .	5	5	4	4	3	1	1
6	Грузинская литература . . .	—	—	—	—	—	—	—
7	Иностранный яз. . .	—	—	—	—	1	1	1
8	История . . .	2	2	2	3	3	—	—
9	Конституция . . .	—	—	—	—	1	—	—
10	Арифметика . . .	5	5	2	—	—	—	—
11	Алгебра, геометрия, тригонометрия . . .	—	—	3	5	4	5	5
12	Физика . . .	—	—	—	2	2	—	—
13	Астрономия . . .	—	—	—	—	—	—	—
14	Естествознание . . .	2	2	2	3	2	—	—
15	Химия . . .	—	—	—	2	2	—	—
16	География . . .	2	2	3	2	2	1	—
17	Черчение . . .	—	—	—	—	—	—	1
	Всего . . .	27	27	27	27	27	27	27

Начальник Управления школ рабочей и сельской молодежи и школ

Учебный класс	Всего	Подготовк. кл.	Количество годовых часов								Всего
			V кл.	VI кл.	VII кл.	VIII кл.	IX кл.	X кл.	XI кл.		
—	15	198	90	90	96	33	—	—	—	—	495
3	18	—	90	96	96	96	99	99	99	99	594
4	30	165	1-5	198	132	132	96	96	96	96	990
5	7	—	—	—	—	—	96	96	96	99	251
1	25	165	165	132	132	99	96	33	33	33	925
2	5	—	—	—	—	—	—	33	96	96	165
3	—	—	—	—	—	—	33	96	96	96	251
4	19	96	96	96	99	99	99	96	96	96	627
1	—	—	—	—	—	33	—	—	—	—	33
—	12	165	165	96	—	—	—	—	—	—	396
5	27	—	—	90	165	132	165	165	165	165	891
3	12	—	—	—	96	96	96	99	99	99	394
1	1	—	—	—	—	—	—	—	—	33	33
—	13	96	96	96	99	96	96	—	—	—	439
2	5	—	—	—	—	—	96	96	96	96	264
—	14	96	96	99	96	96	33	96	—	—	452
1	2	—	—	—	—	—	—	33	33	33	96
27	256	891	891	891	891	891	891	891	891	891	7128

взрослых Министерства Просвещения Грузинской ССР А. ГАБСИНИИ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 26 ივლისის
№ 836 დადგენილების დანართი № 1.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების შესახებ

I. საერთო დებულებანი

1. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები ეწყობა თანახმად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 26 ივლისის № 836 დადგენილებისა „სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ორგანიზაციის შესახებ“. სწავლება სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიდან მოუწყვეტლად.

2. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები წარმოადგენენ სახელმწიფო საერთო-საგანმანათლებლო სკოლებს, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული მისცენ ახალგაზრდობას დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების მოკვლობის მომზადება, აღზარდონ ახალგაზრდობა სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულების სულისკვეთებით.

3. სკოლები ეწყობა დიდ სოფლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში და იხსნება მშრომელთა დებუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით.

4. სკოლები იხსნება ორი ტიპისა: დაწყებითი—I, II, III და IV კლასების შემადგენლობით და რვაწლიანი—I-VIII კლასების შემადგენლობით. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეთა რაოდენობა სკოლის გახსნისათვის საკმარისი არ არის, იხსნება ცალკეული კლასები საერთო-საგანმანათლებლო მომზადების მიხედვით.

5. ვაჟებისა და ქალების სწავლა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სწარმოებს ერთად.

6. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები იმყოფებიან საქართველოს სსრ განსახკომისა და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებზე

ყოველდღიური ხელმძღვანელობა, მათი დაკომპლექტება მასწავლებლებით, დირექტორებითა და გამგებით და მომარაგება სახელმძღვანელოებით, სასწავლო წიგნებითა და სასკოლო-საწერი ნივთებით ეკისრება განსახკომისა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს.

II. მოსწავლეები

7. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში მიიღებიან ახალგაზრდობა და მოზარდები 14 წლის ასაკიდან და სწავლობენ ამ სკოლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოდან მოუწყვეტლად.

8. განცხადებათა მიღება ახალგაზრდობისაგან სწარმოებს 1 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე, ხოლო სკოლაში ჩარიცხვა—20 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.

წერა-კითხვის უცოდინარნი მიიღებიან პირველ კლასში, დანარჩენები კი ჩარიცხებიან ამა თუ იმ კლასში იმისდამხედვით, თუ რა დოკუმენტი მოეპოვება მათ განათლების შესახებ.

განათლების დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში შესაბამის კლასში მიღება სწარმოებს შესამოწმებელი გამოცდის საფუძველზე.

9. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში კურსდამთავრებულებს ეძლევათ მოწმობა საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დაწესებული ფორმით.

III. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

10. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები მუშაობენ საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებით და პროგრამებით.

11. მეცადინეობა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სწარმოებს კვირაში 5-ჯერ, სულ 22 საათს (ორ დღეს ზუთ-ზუთ საათს, სამ დღეს ოთხ-ოთხ საათს).

12. მოსწავლეთა რიცხვი ყოველ კლასში წესდება არაუმეტეს 20 კაცისა.

13. სასწავლო წელი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში იწყება 1 ნოემბრიდან და გრძელდება 1 მაისამდე. სასწავლო წლის დამლევს მოსწავლეებს ეწყებათ გამოცდები, რომელთა ჩატარების წესიც ისაზღვრება საქართველოს სსრ განსახკომის ინსტრუქციით.

14. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაკვე-



თილი, რომელიც ტარდება მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მტკიცედ განსაზღვრული ცხრილით და ამ კლასის მოსწავლეთა მადმი ვი შემადგენლობით. გაკვეთილის ხანგრძლივობა ისაზღვრება 45 წუთით.

მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე აღრიცხვის ფორმას წარმოადგენს ინდივიდუალური, სისტემატურად წარმოებული გამოკითხვა გაკვეთილებზე და დაწესებული ნიშნები.

IV. სკოლის ხელმძღვანელობა

15. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლას სათავეში უდგას სკოლის გამგე (დირექტორი), რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განსახკომი შესაბამისი პედაგოგიური განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მქონე პირთაგან.

სკოლის გამგეს (დირექტორს) შეუძლია აწარმოოს მეცადინეობა ერთერთ სკოლაში.

16. სკოლის გამგე (დირექტორი) სრული პასუხისმგებელია მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის სკოლაში და აგრეთვე სკოლის მთელი მეურნეობის მდგომარეობისათვის.

17. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მასწავლებლებს ნიშნავს სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე

V. ფინანსირება და ანგარიშგება

18. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლას აქვს მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა.

19. სკოლა ეწევა საქმისწარმოებას და ადგენს სტატისტიკურ ანგარიშს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დაწესებული ფორმებითა და მის მიერ განსაზღვრულ ვადებში და პერიოდულად უდგენს მუშაობის ანგარიშს სახალხო განათლების განყოფილებას.

20. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და მას აქვს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დაწესებული ნიმუშის საკუთარი ბეჭედი.

21. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მთელი სასწავლო მოწყობილობა შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიძლება გასხვისებულ იქნას სკოლებისაგან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილების გარეშე.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო
კომისარათა საბჭოს მიერ 1944 წლის 10 მაისს № 501..

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუშა ახალგაზრდობის სკოლის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. მუშა ახალგაზრდობის სკოლა არსდება საწარმოებში მომუშავე მოზრდილთა სწავლების შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭოს 1943 წლის 5 აგვისტოს № 1129 დადგენილების საფუძველზე.

მუშა ახალგაზრდობის სკოლაში სწავლა ტარდება წარმოებისაგან მოუწყვეტლად.

2. მუშა ახალგაზრდობის სკოლის მიზანია მისცეს ახალგაზრდობას საერთო-საგანმანათლებლო მომზადება რვაწლიანი და საშუალო სკოლის მოკულოებით, აღზარდოს ახალგაზრდობა სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

3. მუშა ახალგაზრდობის სკოლა ეწყობა ერთ ან რამდენიმე საწარმოში მომუშავე ახალგაზრდობის მოსამზადებლად და იხსნება საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭოს დადგენილებით.

4. მუშა ახალგაზრდობის სკოლა არსდება ორი ტიპისა: რვაწლიანი—მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 კლასების შემადგენლობით და საშუალო სკოლა—მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასების შემადგენლობით. მუშა ახალგაზრდობის სკოლასთან შეიძლება მოეწყოს მოსამზადებელი ჯგუფები იმ მოზარდთათვის, რომლებსაც დაწყებითი სკოლა არ დაუმთავრებიათ.

5. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში ვაჟებისა და ქალების სწავლა ერთად სწარმოებს.

6. მუშა ახალგაზრდობის სკოლა იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში. საქართველოს სსრ განსახკომს, აუხაზე-

თისა და აჭარის ასსრ განსახკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილებებს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ევალებათ მუშა ახალგაზრდობის სკოლებზე ყოველდღიური ხელმძღვანელობა, მათი დაკომპლექტება მასწავლებლებითა და დირექტორებით, მათი მომარაგება სახელმძღვანელოებით, სასწავლო ხელსაწყოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით.

სამრეწველო სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელები და საწარმოთა დირექტორები უზრუნველყოფენ მუშა ახალგაზრდობის სკოლებს ბინებით, მოწყობილობით, განათებითა და გათბობით, სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ქმნიან საჭირო პირობებს სასწავლო მეცადინეობაზე მოზარდთა დასწრებისათვის (მოსწავლეთა განთავისუფლება ზედმეტი სამუშაოებისაგან და შრომითი სამუშაოებზე მობილიზაციისაგან სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში).

II. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

7. წარმოების პირობების შესაბამისად, მუშა ახალგაზრდობის სკოლაში მეცადინეობა სწარმოებს ცვლების წესით (დღის, ღლის, საღამოს ცვლები).

8. მუშა ახალგაზრდობის სკოლის თითოეულ კლასში მოსწავლეთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 20 კაცს.

9. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში სასწავლო წელი იწყება 1 სექტემბერს, მთავრდება 1 ივლისს და დაიყოფა სასწავლო ნახევარწლებად: პირველი ნახევარი წელი—1 სექტემბრიდან 15 თებერვლამდე და მეორე—15 თებერვლიდან 1 ივლისამდე.

სასწავლო წელი შეიცავს 40 სამუშაო კვირას, კვირაში 9 სასწავლო საათით (სამი დღე, დღეში სამი საათი).

10. მუშა ახალგაზრდობის სკოლა მუშაობს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმისა და საერთო-საგანმანათლებლო რეაწლიანი და საშუალო სკოლების მე-5—მე-11 კლასების პროგრამების მიხედვით.

11. სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას მუშა ახალგაზრდობის სკოლაში წარმოადგენს გაკვეთილი, რომელსაც მასწავლებელი ატარებს განსაზღვრულ კლასთან, მოსწავლეთა მუდმივი შემადგენლობით და მტკიცე ცხრილის მიხედვით. დამატებით გაკვეთილებისა ტარდება კონსულტაცია იმ მოსწავლეთა-



თვის, რომელთაც მასწავლებელთა დამატებითი დახმარება ესაჭიროებათ. გაკვეთილის ხანგრძლივობა დადგენილია 45 წუთი.

12. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება სწარმოებს სისტემატურად გაკვეთილებზე ზეპირი გამოკითხვის, საკლასო წერიითი და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარების, საშინაო სამუშაოთა შესრულების შემოწმების მეშვეობით და შეფასდება იმ ნიშნების მიხედვით, რაც დაწესებულია რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის.

13. სასწავლო წლის ბოლოს მუშა ახალგაზრდობის სადამოსკოლის მე-5—მე-11 კლასებში ტარდება კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები, რომელთა ჩატარების წესი დადგენილია საქართველოს სსრ განსახკომის ინსტრუქციით.

III. მოსწავლეთა შესახებ

14. განცხადებათა მიღებას ფაბრიკებსა, ქარხნებსა, მაღაროებში, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის საწარმოებში და დაწესებულებებში მომუშავე ახალგაზრდობისაგან, რომელთაც სურთ ისწავლონ მუშა ახალგაზრდობის სკოლაში, აწარმოებს სკოლის დირექტორი 1-დან 20 აგვისტომდე, ხოლო ჩარიცხვას—20 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

მუშა ახალგაზრდობის სკოლაში მიღების შესახებ განცხადების შეტანისას წარდგენილი უნდა იქნას განათლების საბუთი.

15. ის პირები, რომელთაც აქვთ საბუთი რვაწლიანი და საშუალო სკოლის მე-4—მე-10 კლასების დაამთავრების შესახებ, მიიღებიან მუშა ახალგაზრდობის სკოლის სათანადო კლასში უგამოცდოდ. იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლაში შესვლის მსურველს განათლების საბუთი არ მოეპოება, სათანადო კლასში ჩარიცხვა სწარმოებს შემოწმებითი გამოცდის საფუძველზე.

16. მუშა ახალგაზრდობის სკოლის ის მოსწავლენი, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ კლასიდან კლასში გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებს და ყველა ძირითად საგანსა და ყოფაქცევაში მიიღებენ ნიშანს „5“, დაჯილდოებული იქნებიან ქების სიგელებით.

17. ის პირები, რომლებიც დაამთავრებენ მუშა ახალგაზრდობის რვაწლიან სკოლას, მიიღებენ მოწმობას, ხოლო ის პირები, რომლებიც დაამთავრებენ მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლას, მიიღებენ ატესტატს სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების ხელის მოწერით და სარგებლობენ ყველა უფლებით, რაც გათვალის-

წინებულია იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც დაამთავრეს საერთო-საგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლა.

18. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში იქმნება მოსწავლეთა ორგანიზაციები იმ დებულების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ განსახკომის მიერ საქართველოს ალკატენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით.

IV. სკოლის ხელმძღვანელობა

19. მუშა ახალგაზრდობის სკოლას სათავეში უდგას დირექტორი, რომელსაც საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ნიშნავს საუკეთესო მასწავლებელთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება (საშუალო სკოლისათვის) ან აქვთ განათლება არა ნაკლები სამასწავლებლო ინსტიტუტისა (რვაწლიანი სკოლისათვის), აქვთ აგრეთვე პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლები სამი წლისა.

მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს შეუძლია ასწავლოს თავის სკოლაში ერთერთი სასწავლო საგანი.

20. მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექტორი ხელმძღვანელობს სკოლის მთელს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, თავმჯდომარეობს პედაგოგიურ საბჭოში, ხელმძღვანელობს სკოლის სამეურნეო-ფინანსიურ საქმიანობას და პასუხისმგებელია ყველა დადგენილებისა და ინსტრუქციის ზუსტად შესრულებისათვის, რომელიც მუშა ახალგაზრდობის სკოლას შეეხება.

თავის მუშაობას სკოლის დირექტორი აწარმოებს ადგილობრივ კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებულად.

21. მუშა ახალგაზრდობის იმ სკოლაში, რომელსაც აქვს არა ნაკლები 6 კლასისა, წესდება სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობა.

სასწავლო ნაწილის გამგეს, სკოლის დირექტორის წარდგენით, ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი საუკეთესო მასწავლებელთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება (საშუალო სკოლისათვის) ან აქვთ განათლება არა ნაკლები სამასწავლებლო ინსტიტუტისა (რვაწლიანი სკოლისათვის), აქვთ აგრეთვე პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლები სამი წლისა.

სასწავლო ნაწილის გამგეს შეუძლია ასწავლოს თავის სკოლაში ერთერთი სასწავლო საგანი.



22. სასწავლო ნაწილის გამგე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის წინაშე სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისა და მასწავლებლების, ადგენს სასწავლო მეცადინეობის ცხრილს, კონტროლს უწევს სასწავლო გეგმისა და პროგრამების შესრულებას, თვალყურს ადევნებს მოსწავლეთა წარმატებასა და დისციპლინას, საჭირო დახმარებას უწევს მუშაობაში მოსწავლეთა ორგანიზაციას, ხელმძღვანელობს და წარმართავს მასწავლებელთა მეთოდურ მუშაობას, დირექტორის არაყოფნის დროს ასრულებს მის ზოვალეობას.

23. მუშა ახალგაზრდობის სკოლის მე-5—მე-8 კლასებში მასწავლებლად შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც აქვს განათლება არა ნაკლები სამასწავლებლო ინსტიტუტისა, ხოლო მე-9—მე-11 კლასებში, რომელთაც დამთავრებული აქვთ პედაგოგიური ინსტიტუტი ან უნივერსიტეტი.

მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელს ნიშნავს საქართველოს სსრ განსახკომი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ნიშნავს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარი და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილების გამგე და ამტკიცებს საქართველოს სსრ განსახკომი.

24. მუშა ახალგაზრდობის სკოლის თითოეულ კლასში არის კლასის ხელმძღვანელი, რომელსაც სკოლის დირექტორი ნიშნავს სკოლის ყველაზე უფრო გამოცდილ მასწავლებელთაგან.

კლასის ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

25. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში არსდება პედაგოგიური საბჭო სკოლის დირექტორის თავმჯდომარეობითა და სასწავლო ნაწილის გამგისა და ყველა მასწავლებლის შემადგენლობით. პედაგოგიური საბჭო მოქმედებს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

V. ზინანსირობა და ანგარიშგება

26. მუშა ახალგაზრდობის სკოლას აქვს თავისი წლიური ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სარაიონო (საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტი.

27. მუშა ახალგაზრდობის სკოლა აწარმოებს საქმისწარმოებას, სტატისტიკურ ანგარიშგებას იმ ფორმებისა და ვადების მი-



ხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ განსახლების კომის მიერ, და პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავის მუშაკთა მინისტროს ბაზე სახალხო განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას.

28. მუშა ახალგაზრდობის სკოლა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და აქვს საქართველოს სსრ განსახლების კომის მიერ დამტკიცებული ნიმუშის ბეჭედი.

29. მუშა ახალგაზრდობის სკოლის მთელი სასწავლო მოწყობილობა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიძლება გასხვისებულ იქნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილების გარეშე.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილებას, სახალხო განათლების ყველა სარაიონო და საქალაქო განყოფილებას

ადგილებზე ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ მუშა და სოფლ-ს ახალგაზრდობის სკოლების ზოგიერთი დირექტორი სკოლის დაკომპლექტების დროს არღვევს მოსწავლეთა კლასებში ჩარიცხვის წესებს და მათ მიღებას სათანადოდ არ აფორმებს.

გველებათ მოსწავლეთა მიღება და სათანადო კლასებში ჩარიცხვა შემდეგი წესით აწარმოეთ:

ა) სკოლაში შემსვლელებმა, როგორც წესი, უნდა წარუდგინოს სკოლის დირექტორს განცხადება, განათლების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი და ცნობა მუშაობის შესახებ. განათლების მოწმობის საფუძველზე დირექტორი ჩარიცხავს მოსწავლეს სათანადო კლასში.

ბ) თუ მოსწავლეს განათლების მოწმობა არა აქვს, ის ჩარიცხული უნდა იქნეს გამოცდით სათანადო კლასში.

მისაღები გამოცდები ტარდება კლასების მიხედვით შემდეგ საგნებში:

ა) მოსამზადებელ (მ-4) კლასში შემსვლელი გამოცდას აბარებს მშობლიურ ენასა და არითმეტიკაში (ზეპირი), დაწყებითი სკოლის შესაბამე კლასის პროგრამების მოცულობით;

ბ) მე 5 კლასში შემსვლელი—მშობლიურ ენაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენაში, არითმეტიკაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში (ზეპირი),—დაწყებითი სკოლის პროგრამების მოცულობით;



გ) მე-6 კლასში შემსვლელი—მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენაში, არითმეტიკასა და ისტორიაში (ზეპირი). მე-5 კლასის პროგრამების მოცულობით;

დ) მე-7 კლასში შემსვლელი—მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენაში, ალგებრაში—არითმეტიკით, ისტორიაში, ბუნებისმეტყველებასა და გეოგრაფიაში (ზეპირი), მე-6 კლასის პროგრამების მოცულობით;

ე) მე-8 კლასში შემსვლელი—მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენაში (წერითი და ზეპირი), ალგებრაში—არითმეტიკით (წერითი), გეომეტრიაში, ისტორიაში. გეოგრაფიაში, ფიზიკაში, ბუნებისმეტყველებაში (ზეპირი), მე-7 კლასის პროგრამების მოცულობით;

ვ) მე-9 კლასში შემსვლელი—მშობლიურ ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენაში (წერითი და ზეპირი), ალგებრაში, გეომეტრიაში, ისტორიაში, ბუნებისმეტყველებასა და ფიზიკაში (ზეპირი) მე-8 კლასის პროგრამების მოცულობით;

ზ) მე-10 კლასში შემსვლელი—მშობლიურ ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენაში (წერითი და ზეპირი), ალგებრაში, გეომეტრიაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბუნებისმეტყველებასა და უცხო ენაში (ზეპირი), მე-9 კლასის პროგრამების მოცულობით;

თ) მე-11 კლასში შემსვლელი—მშობლიურ ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), რუსულ ენაში (წერითი და ზეპირი), ალგებრაში (წერითი და ზეპირი), გეომეტრიაში, ისტორიაში, ფიზიკასა და უცხო ენაში (ზეპირი)

გამოცდების შედეგად მოსწავლე ჩაირიცხება იმ კლასში, რომლის ცოდნას ის ფაქტურად გამოიჩინს. გამოცდებს ატარებს დირექტორის მიერ გამოყოფილი კომისია.

იმ შემთხვევაში, როცა განათლების მოწმობით ამა თუ იმ კლასში ჩაირიცხული მოსწავლე ერთი თვის განმავლობაში ვერ გამოიჩინს ამ კლასის შესაბამის ცოდნას, სკოლის დირექტორს მოსწავლის ჩაირიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში უფლება აქვს დააბრუნოს მოსწავლე მისი ცოდნის შესაბამის კლასში.

სკოლაში მიღებულ ყველა მოსწავლეს სდგება პირადი საქმე. მოსწავლეთა მიღება სწარმოებს წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის დასაწყისში. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლის ჩაირიცხვა სასწავლო წლის განმავლობაშიც, თუ ეს გამოწვეული იქნება მოსწავლის სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის გამოცვლით.



საგამოცდო წერითი სამუშაოს სახეები: ა) ქართულ ენაში—ლიტერატურაში ქართულ სკოლებში, მშობლიურ ენაში და ლიტერატურაში არაქართულ სკოლებში—მე-5, მე-6 და მე-7 კლასებში—გავლილი ლიტერატურული მასალიდან შინაარსის გადმოცემა, მე 8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასებში—მწერლის შემოქმედების დახასიათება ან ცალკე ნაწარმოების გარჩევა.

ბ) რუსულ ენაში არარუსული სკოლის მე-5, მე-6 და მე-7 კლასებში—პასუხი კითხვებზე გავლილი მასალიდან; მე-8, მე-9, მე-10 და 11 კლასებში—გავლილი მასალიდან პატარა მოთხრობის შინაარსის გადმოცემა, მასწავლებლის მიერ მოთხრობის წინასწარ წაკითხვით.

გ) რუსულ ენაში და ლიტერატურაში—რუსული სკოლის მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 კლასებში—ქარნახი, მე-9, მე-10 და 11 კლასებში—მწერლის შემოქმედების დახასიათება ან ნაწარმოების გარჩევა.

თხზულებისათვის მოსწავლეებს ორი თემა ეძლევა, რომელთაგან მას უფლება აქვს ერთერთი აირჩიოს.

მათემატიკაში წერითი საგამოცდო სამუშაოს უნდა შეადგენდეს—მე-8 და მე-11 კლასებში—ამოცანა და ორი მაგალითი ალგებრაში.


ზეპირი გამოცდები ტარდება ბილეთებით:

არაქართულ სკოლაში შემსვლელი გამოცდას ქართულ ენაში არ აბარებს.

ჩატარებულ გამოცდებზე სდგება ოქმი. რომელიც ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

**საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი 3. კუპრაძე.**

**მუშა და სოფლის ახალგაზრდობის
სკოლებისა და მოზრდილთა სკოლების
სამმართველოს უფროსი ა. ბაბინოსნიძე**



პ/მგ. რედაქტორი მ. ბურჭულაძე.

F171
1946

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებითა და
განკარგულვაბათა

პრებული

წელიწადი მეცხრე

№ 11-12	Сборник приказов и Распоряжений Министер- ства Просвещения Грузинской ССР	1946 წ.
---------	--	---------

შ ი ნ ა რ ს ი

	88.
1. ბრძანება № 2076—საქ. სსრ სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების შემოწმების შედეგების შესახებ	2
2. ბრძანება № 2167—საქ. სსრ სკოლებში სასწავლო მასალის სისტემატური განმეორების მიმდინარეობის შემოწმების შესახებ	6
3. ბრძანება № 2522—ბაშკირეთის რაიონის სახ. განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შესახებ	9
4. მშრომელთა დეპუტატების წყალტუბოს რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს	16
5. მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს სახალხო განათლების განყოფილების გამგეს	23
6. საქ. სსრ ყველა სახალხო განათლების განყოფილების გამგეს და რვა-წლიან და საშუალო სკოლების დირექტორებს	37
7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება	39
8. ბრძანება № 2610—ნორჩქიმიკოსთა ნორჩიზიკოსთა მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ	41
9. დებულება—სკოლაში მეთოდური მუშაობის შესახებ	45
10. ისტორიის პროგრამა IV კლასისათვის	49
11. გეოგრაფიის პროგრამა რუსული დაწყებითი სკოლისათვის	55



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2076

საქართველოს სსრ განათლების საზღვარგარეთის განყოფილება

1946 წ. 3 ოქტომბერი

საქართველოს სსრ სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების შემოწმების შედეგების შესახებ.

გავეცანი რა საქართველოს სსრ ზოგ რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შემოწმების მასალებს, აღენიშნავ, რომ ზოგიერთმა განათლების განყოფილებმა გამგეობა, სკოლის დირექტორმა და მასწავლებლებმა სათანადო პასუხისმგებლობით მოკიდეს ხელი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას და სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმის საქმეში მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს, ასე მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს თბილისის რაიონის სკოლებში წინა წლებში განთესილ მოსწავლეთაგან დაბრუნებული იქნა 840, ბორჯომის რაიონის სკოლებში—416, ზესტაფონის რაიონში—397, ბოლნისის რაიონში—598, ხოლო თიანეთისა და ბორჩალოს რაიონებში გასულ სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა რიცხვი 34%ით იქნა გაზრდილი.

განთესილ მოსწავლეთა სკოლაში დაბრუნების საქმეში თვალსაჩინო მიღწევები აქვთ თბილისის რაიონის დიდმისა და ნორიოს, თელავის რაიონის რუისპირის, კასპის, გორის ქალთა პირველ საშუალო, გურჯაანის რაიონის ურიათუბნისა და ხაშურის რაიონის იტრიის რვაწლიან და ზოგიერთ სხვა სკოლას, დიდმის საშუალო სკოლაში მიმდინარე წლის დასაწყისში დაბრუნებული იქნა 257 მოსწავლე, ნორიოს სკოლაში—98, ურიათუბნის—34, რუისპირის—22, კასპის სკოლაში—27 მოსწავლე და ა. შ.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ ზოგ რაიონსა და სკოლაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს:

ა) ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილება და სკოლის დირექტორი სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ზუსტად



აღრიცხვის საქმეს არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას, რის გამოც ხშირად სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის მასალები არ შეესაბამება ფაქტიურ მდგომარეობას. მაგალითად, ხაშურის რაიონის სურამის I საშუალო სკოლის სასკოლო უბანში სკოლის მიერ აღრიცხულია I კლასის ასაკის 59 ბავშვი, ხოლო სკოლაში ფაქტიურად მიღებულია 90, სურამის მე-2 საშუალო სკოლის მიერ აღრიცხულია 45, ამ სკოლის I კლასში კი ჩარიცხულია 60 ბავშვი, ქვიშხეთის საშუალო სკოლის სასკოლო უბანში პირველი კლასის ასაკის ბავშვთა არაზუსტი აღრიცხვის გამო გეგმით გათვალისწინებულ ერთი პირველი კლასის ნაცვლად ორი პირველი კლასი იქნა გახსნილი, ხოლო გორის განათლების განყოფილებაში 1946 წლის 18 სექტემბერს სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის მასალები სრულებით არ აღმოჩნდა;

ბ) ბევრი სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე და მასწავლებელი არ ღებულობენ საჭირო ზომებს მოსწავლეთა სკოლიდან ჩამოშორების შემთხვევების აღსაკვეთად, არ არკვევენ მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის მიზეზებს, მოსახლეობაში არ ატარებენ ახსნაგანმარტებით მუშაობას საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მნიშვნელობაზე და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის საქმეს. ამის გამო, გურჯაანის რაიონის შრომისა და ქ. გურჯაანის საშუალო სკოლიდან განთესილია 76 მოსწავლე, თელავის რაიონის ვანთის, წინანდალის და თელავის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლიდან—48, ქარელის რაიონის ქვენატკოცის რვაწლიან და ქარელის საშუალო სკოლიდან— 69, ხაშურის ვაჟთა პირველი და სურამის პირველ საშუალო სკოლიდან 40, მცხეთის რაიონის საგურამოს რვაწლიან, ქსოვრისისა და მცხეთის საშუალო სკოლიდან—35 მოსწავლე და ა. შ.

მცხეთის რაიონის ძეგვისა და გურჯაანის რაიონის ველისციხის საშუალო სკოლებში მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვისა და სხვა საჭირო დოკუმენტების უქონლობისა, ხოლო ხაშურის რაიონის ლუდის რვაწლიან სკოლაში ამ დოკუმენტების შედგენისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო შეუძლებელი გახდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შემოწმება;

გ) ზოგ სკოლაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოსწავლეთათვის ეგრეთწოდებული „აკადემიური შვებულების“ მიცემის პრაქტიკას, მაგალითად: თელავის რაიონის სოფ. წინანდლის საშუალო სკოლას 1945-46 სასწავლო წელს 10 მოსწავლისათვის მიუცია „აკა-



დემიური შვებულება“. სინამდვილეში ეს მოსწავლეები არასაპატიო მიზეზით არიან გასული სკოლიდან.

ასეთივე მდგომარეობის აქვს ადგილი გურჯაანის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლაშიაც.

საყოველთაო „სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში არსებული ეს ნაკლოვანებანი შედეგია იმისა, რომ მშრომელთა დებუტატების ზოგიერთი საქალაქო, სარაიონო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები, განათლების განყოფილებები და სკოლის დირექტორები არ ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით № 1756 დამტკიცებულ ინსტრუქციას— „სასკოლო ასაკის (7—17 წლამდე) ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ“.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს აპარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) 1946 წლის 20 ოქტომბრამდე დაახუსტონ სკოლისგარედ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა (7-17 წლამდე) სიები, უზრუნველყონ მათი შესაბამის კლასებში ჩარიცხვა და მიიღონ საჭირო ზომები სკოლაში მოსწავლეთა მთელი კონტინგენტის შენარჩუნებისათვის;

ბ) 10 დღის ვადაში შეისწავლონ ქალაქად სახლთმმართველებისა, კომენდატებისა და კეოძო სახლთმმფლობელთა, ხოლო სოფლად სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილების განხორციელებისათვის ჩატარებული მუშაობა და ამ საქმეში კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები, ასევე დაუყოვნებლივ გადასცენ სასამართლო ორგანოებს იმ მშობლებისა და მეურვეების საქმე, რომელნიც შეგნებულად არიდებენ მოსწავლეს სკოლას;

გ) სისტემატურად შეამოწმონ სკოლის დირექტორების (გამგეების) მუშაობა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებისათვის და მკაცრი სასჯელი დაადგან იმ დირექტორებს (გამგეებს), რომლებიც არ აქცივენ სათანადო ყურადღებას ამ დიდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.



2. დაევალოს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებს (გამგეებს):

ა) 15 ოქტომბრამდე სასკოლო უბნების მიხედვით დაახუსტონ სკოლებიდან სხვადასხვა დროს ჩამოშორებულ მოსწავლეთა სიები, შეისწავლონ მათი სკოლიდან განთესვის მიზეზები და 20 ოქტომბრამდე უზრუნველპყონ მათი უკლებლივ ჩაბმა სათანადო კლასებში;

ბ) აღკვეთონ მოსწავლეთა მიერ უმიზეზოდ გაკვეთილების გაცდენისა და გაკვეთილებზე დაგვიანების შემთხვევები; ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩეისწავლონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის მიზეზები, ჩააბან ამ მუშაობაში მოსწავლეთა მშობლები დი უზრუნველპყონ ამ დარგში მოსწავლეთა წესების განუხრელად გატარება.

გ) 15 ოქტომბრამდე ყველა სკოლაში ჩაატარონ მშობელთა საერთო კრებები, განიხილონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საკითხი და დასახონ საჭირო ღონისძიებანი. ხოლო შემდგომში სისტემატურად აწარმოონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მნიშვნელობაზე.

3. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებ-ს დარგში არადამაკმაყოფილებლი მუშაობისათვის გამოეცხადოს საყვედური:

ა) ხაშურის რაიონის სურამის პირველ საშუალო სკოლის დირექტორ აკაკი ტაბიძეს, სურამის მეორე საშუალო სკოლის დირექტორს ივანე ჩახუნაშვილს, ლუდის რვაწლიანი სკოლის დირექტორ ნიკოლოზ ტაბატაძეს და მცხეთის რაიონის ძეგვის საშუალო სკოლის დირექტორს ნ. ჯირვალაძეს.

4. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს გორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ალექსანდრე ნოზაძეს.

5. დაევალოს ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს ერთი დეკადის ვადაში ეს ბრძანება განიხილონ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების (გამგეების) თათბირზე და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის ზუსტად გატარებისათვის დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი.

**საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე.**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1646 წ. 10 ოქტომბერი

საქართველოს სსრ სკოლებში სასწავლო მასალის სისტემატური განმეორების მიმდინარეობის შესახებ

გავეცანი რა საქართველოს სსრ რეაწლიან და საშუალო სკოლებში განმეორების მიმდინარეობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ სკოლების უმეტეს ნაწილში სწორად არის გაგებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული მითითებები და ახლად შესწავლილი პროგრამული საკითხების გადაცემასთან ერთად, წინათ შესწავლილი მასალის განმეორებაც თავიდანვე გეგმიანად და შინაარსიანად მიმდინარეობს.

ასე, მაგალითად, თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში მათემატიკური საგნების მასწავლებლებს კარგად აქვთ შედგენილი განმეორების კალენდარული გეგმა, წინასწარ აქვთ მოფიქრებული, თუ არითმეტიკიდან რა საკითხები და როგორ უნდა იქნას განმეორებული მე-7-8 კლასებში აღგებრის სწავლებასთან დაკავშირებით: კერძოდ, ამ სკოლის მე-9, 10, 11 კლასების მასწავლებელი ნ. ძიგავა გავლილი მასალის განმეორებას სწარმოებს ამოცანების ამოხსნასთან დაკავშირებითაც, რაც განმეორებას საინტერესოდ ხდის.

თბილისის ვაჟთა 37-ე და ვაჟთა 32-ე სკოლის ქიმიის მასწავლებლებს ჭანტურიშვილს, ადამოვსა და ზურაბიშვილს შედგენილი აქვთ განმეორების კალენდარული გეგმები, ისინი სისტემატურად ატარებენ ცდებს, ქიმიაში შესწავლილი ძირითადი თემების გარშემო, ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაში და საფუძვლიანად აღრმავენ მოსწავლეთა ცოდნას.

თბილისის ქალთა მე-19, ვაჟთა 32-ე, თელავის ვაჟთა I საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლები ნ. დადიანიძე, გ. ადამოვი და ელ. ნანობაშვილი წინა წლებში შესწავლილ საკითხებს წელს უფრო ფართოდ და ღრმად აშუშავენ, მეტ ყურადღებას აქცევენ ფიზიკის კანონების დაკავშირებას ტექნიკასა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაქსიმალურად იყენებენ სკოლის განკარგულებაში არსებულ ფიზიკურ ხელსაწყოებს ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩასატარებლად და სისტემატურად ავარჯიშებენ მოსწავ-



ლებს ამოცანების ამოხსნაში. სოხუმის ვაჟთა მე-2 სკოლის ისტორიის მასწავლებელი წიქორია განმეორების კარგი ორგანიზატორი შედეგად მოსწავლეებში არამარტო აღრმავებს შესწავლილი საკითხების ცოდნას, არამედ განმეორებისას აძლევს მათ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების, მათ შორის არსებულ მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირის გააზრებულ ცოდნას.

ასევე კარგად მუშაობენ თელავის ვაჟთა I-ლი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ზურაბიშვილი და ქალთა I-ლი საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ნ. საყვარელიძე, თბილისის ქალთა მე-13 სკოლის მათემატიკის მასწავლებელი კურდღელაშვილი და სხვ.

მაგრამ ამასთან ერთად ირკვევა, რომ მთელი რიგი სკოლების მუშაკებს: დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს, მასწავლებლებს საჭირო სიღრმით არ შეუსწავლიათ განათლების სამინისტროს მიერ მიღებული მითითებები სასწავლო მასალის განმეორების შესახებ, ისინი სათანადოდ ვერ ათვისებენ განმეორების დიდ პედაგოგიურ მნიშვნელობას, წინასწარ არ აღგენენ გეგმებს და არ ემზადებიან იმ მიმართულებით, რომ გაკვეთილებზე განმეორება შინაარსიანი და საინტერესო იყოს.

ქალ. სოხუმის სკოლების მე-11 კლასების უმეტესობას 18 სექტემბრისათვის ისტორიაში სრულიად არ ჰქონდათ განმეორების გეგმა და მუშაობა გეგმის გარეშე მიმდინარეობდა, უგეგმოდ მუშაობს ქალ. ხაშურის ვაჟთა საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ტაბუციძე, რომელსაც მე-8 კლასისათვის შედგენილ სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული სრულიად არ ჰქონდა გასამეორებელი საკითხები და ამის გამო ამ კლასში განმეორება ატარებს შემთხვევით ხასიათს. სურამის I-ლი საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს დვალიშვილს 14 სექტემბრისათვის არ ჰქონდა დაზუსტებული წლიური კალენდარული გეგმა: იგი არ ემზადება გაკვეთილისათვის, არა აქვს წინასწარ გათვალისწინებული რა საკვანძო საკითხებზე უნდა იქნეს ყურადღება გამახვილებული ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების განმეორების დროს; ამის შედეგია რომ მასწავლებელმა დვალიშვილმა 14 სექტემბერს სრულიად უგეგმოდ და უშინაარსოდ ჩაატარა გაკვეთილი მე-8-9 კლასებში.

ასევე უშინაარსოდ ატარებს გაკვეთილებს ქარელის საშუალო სკოლის მე-10 კლასის ქართული ენის მასწავლებელი თ. ქაჯაია, მის გაკ-



ვეთილზე განმეორებას შემთხვევითი ხასიათი აქვს: არ ხდება კითხვების გაღრმავება, მუშაობაში დაცული არ არის თანმიმდევრობა. 17 სექტემბერს მე-10 კლასში ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ზერცოდ განმეორების შემდეგ მასწავლებელმა სრულიად აუარა გვერდი გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების განმეორებას და მოსწავლეს სახელმძღვანელოდან წააკითხა ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია. მასწ. ჭავჭავაძე თავისი მოქმედება იმით ახსნა, რომ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების განმეორება ბავშვებისათვის მოსაწყენია, ნიკ. ბარათაშვილის უფრო სახალისო იქნებაო. ფორმალურად ატარებს განმეორებას ქ. თბილისის 32-ე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი კიკაჩიშვილი. მე-7 კლასში, გეომეტრიის გაკვეთილზე, სადაც ხდებოდა მე-6 კლასში შესწავლილი მასალის განმეორება გამოირკვა, რომ მოსწავლეებმა არ იციან რა არის პერპენდიკულარი. მიუხედავად ამისა მასწავლებელმა კიკაჩიშვილმა შემდეგი გაკვეთილისათვის მოსწავლეებს დაავალა გაემეორებინათ თეორემები პერპენდიკულარის ამართვისა და დაშვების შესახებ.

წინანდლის (თელავის რ-ნი), ქსოვრისისა და ძეგვის (მცხეთის რ-ნი), სკოლების ქიმიის მასწავლებლები ცეცხლაშვილი, გოგია და კაპარაეა უგეგმოდ მუშაობენ. განმეორებას არ აწარმოებენ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული მითითებების საფუძველზე, არ ატარებენ ცდებს, არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაში.

თბილისის ვაჟთა 32-ე სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა კიტოვანმა ყოველგვარი განმატებისა და მითითებების გარეშე მისცა მოსწავლეებს გასამეორებლად „ნიუტონის მე-3 კანონი“ და „თავისუფალი ვარდნის კანონი“.

არის აგრეთვე შემთხვევა, როცა ზოგიერთი მასწავლებლები ანგარიშს არ უწევს იმას, რომ მასალა მოსწავლეებს წინა წლებში აქვთ შესწავლილი, არ ცდილობს წინასწარ ძირითადი საკითხების დასმით გამოარკვიოს რა ახსოვთ შესწავლილიდან, რა საკითხების გაღრმავება და გაფართოება იქნება საჭირო და გასამეორებელ მასალას ისე ხსნის, თითქოს ის სრულიად ახალი და უცნობი იყოს მოსწავლეებისათვის (თელავის რაიონის სოფ. ვანთის საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ცინცაძე, თბილისის 32-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი აბაშიძე და სხვ.) ამის შედეგად მოსწავლეთა ინტერესი გაკვეთილისადმი სუსტდება და განმეორება მოსაწყენ მექანიკურ პროცესად იქცევა.



ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს სსრ რეაწლიანი და საშუალო სკოლების კვლევაში და საგნის მასწავლებელმა კალენდარულ, თემატიკურ და გაკვეთილის გეგმაში ზუსტად გაითვალისწინონ განმეორების საკითხები და გაკვეთილისათვის სერიოზული მზადებით უზრუნველყოფონ, რომ განმეორება წარმოადგენდეს საკითხის გაღრმავებასა და განზოგადებას და არა მექანიკურ აღდგენას იმისა, რაც უკვე შესწავლილი აქვთ მოსწავლეებს.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ შესწავლილი პროგრამული საკითხების განმეორების საქმეს. სისტემატურად განიხილონ მასწავლებელთა თემატიკური და გაკვეთილის გეგმები ამ თვალსაზრისით, სასწავლო წლის პირველი მეოთხედის ბოლომდე შეამოწმონ განმეორების მიმდინარეობა სკოლაში და საკითხი განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

3. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა შეამოწმონ რაიონის სკოლებში განმეორების მიმდინარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მე-4, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასებს და უზრუნველყოფონ მასწავლებლებისადმი სათანადო დახმარების გაწევა განმეორების მეთოდის საკითხების გარკვევაში!

საფუძველი: საქ. რთველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1946 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება.

**საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჯულაძე.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2522

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1946 წლის „25“ ნოემბერი

ბაშკირეთის რაიონის სახ. განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შესახებ.

გავეცანი რა ბაშკირეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ რაიონის სკოლების თვალსაზრისით ნაწილს თავის მუშაობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი დეფექტები გააჩნია.



ა) სკოლებში საყოველთაო—სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელება არაღამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს; მაგალითად, კალამშის საშუალო სკოლიდან განთესილია 10 მოსწავლე, ახის რვაწლიან სკოლიდან—8, კხეივან ბულასანის რვაწლიან სკოლიდან—10, მიჯის რვაწლიან სკოლიდან 12, ბოსლევის რვაწლიან სკოლიდან 12, ბაშკიჩეთის საშუალო სკოლიდან 15 მოსწავლე და სხვ. ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის ხშირ შემთხვევებს; ახის რვაწლიან სკოლაში 15 ოქტომბერს მეცადინეობას დაესწრო მე-8 კლასში 16 მოსწავლიდან 9, მე-7 კლასში—8 მოსწავლიდან 4 მოსწავლე; კხეივან ბულასანისა და ამბრალოს რვაწლიან სკოლებში მეცადინეობას მოსწავლეთა 70—30% ესწრება;

ბ) არ ექცევა სათანადო ყურადღება სკოლების კეთილმოწყობის საქმეს; უმრავლეს სკოლებში არ ჩატარებულა შენობებისა და დგამ—ავეჯის საფუძვლიანი შეკეთება. სკოლების საკმაო ნაწილს აკლია დგამ—ავეჯი; გომარეთის საშუალო სკოლაში მერხებისა და სკამების სიმცირის გამო მოსწავლეებისა და მასწავლებლების ნაწილი ფეხზე დგას. მსგავსი მდგომარეობაა დმანისის, ამბრალოს, კხეივან ბულასანისა და ზემო—კარაბულაღის სკოლებშიც;

გ) სკოლებში ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყოები მოუფლელია; ზოგან ხელსაწყოების ნაწილი დამტვერიანებული და სრულიად გამოუყენებელია. არცერთ სკოლას არა აქვს შედგენილი ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტების ხელსაწყო-იარაღების კატალოგი. სკოლის საინვენტარო წიგნში, როგორც წესი, არსად არ არის შეტანილი აღნიშნული კაბინეტების მოწყობილობანი. სკოლის ხელმძღვანელის მუშაკები და საგნის მასწავლებლები უსულგულო დამოკიდებულებას იჩენენ კაბინეტების მოწყობისა და მათი გამოყენების საქმეში;

დ) სკოლები მოკლებულია განათლების განყოფილების სისტემატურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს; განათლების განყოფილებას დღემდის არცერთი სკოლა არ შეუთმომებია, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაკზავნილი პროგრამები და მითითებები სკოლებამდე არ დაუყვანია, რის გამო ზოგ საგნებში მასწავლებელთა სამუშაო გეგმები არასწორად არის შედგენილი (გომარეთის, ახის, დმანისის, მიჯის);

ე) დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევენ მასწავლებელთა

მუშაობას; ომშიათად ამოწმებენ მათ გეგმებსა და გაკვეთილებს. გაკვეთილებზე დასწრების შედეგებს არ იხილავენ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, ზოგჯერ კმაყოფილდებიან ზერელე და ფორმალური ხასიათის მითითებებით; გომარეთის საშუალო სკოლის დირექტორს და ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს დღემდის არცერთი გაკვეთილი არ მოუსმენია. დმანისისა და ახის სკოლის დირექტორების მიერ გაკვეთილებზე დასწრების ფიქსაცია ნაგლეჯ ფურცლებზე არის წარმოებული, მიჯის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ასეთ ტრაფარეტულ მითითებებს აძლევს მასწავლებლებს: „მიეთითოს მასწავლებელს გარდაქმნას თავისი მუშაობა“. ჩანაწერები 2—3 სტრიქონისაგან შესდგება და ისინი თითქმის ერთმანეთის ასლს წარმოადგენენ;

ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ არ არის შედგენილი სკოლის წლიური სასწავლო-საამბობრდებლო და კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები და არცერთ სკოლაში მეთოდური მუშაობა არ წარმოებს. ზოგ სკოლაში გაკვეთილების სამეცადინო ცხრილი არაა წესიერად შედგენილი, მაგალითად, გომარეთის საშუალო სკოლის სამეცადინო ცხრილში მე-9 კლასში შეტანილია ტრიგონომეტრია, მაშინ, როცა ამ კლასში წელს ეს საგანი არ ისწავლება, ასევე ბაშკინეთის საშუალო სკოლის მე-7 კლასში ისწავლება გეომეტრია კვირაში სამჯერ, ხოლო ალგებრა ორჯერ, უნდა იყოს კი პირიქით;

ვ) სკოლებში სუსტად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება; მოსწავლეთა დიდი ნაწილის ცოდნის დონე დაბალია, არ იცნობენ ნაწარმოებთა ტექსტს, ვერ ახერხებენ მოკმედ პირთა დახასიათებას და სხვ. გომარეთის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა არ იციან შესწავლილი მასალა, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის ნაწარმოებებზე, მცდარი შეხედულება აქვთ 1832 წლის შეთქმულებაზე და სხვა. ქართული ენის გაკვეთილებზე მასწავლებლები არ მიმართავენ ლიტერატურულ ტექსტებზე ვარჯიშს, რის შედეგად გრამატიკის სწავლება განაყენებულ ხასიათს ატარებს; ახის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქსენია ქარაზანაშვილი ზემო კარაბულაღის რვაწლიანი სკოლის ქართული ენის მასწავლებელი თინა თეთრაძე და კბეივან ბუღალისანის ქართული ენის მასწავლებელი ვასილ ბაქრაძე სუსტად მუშაობენ, არ იცნობენ ქართული ენის სწავლების მეთოდებს, გრამატიკის გაკვეთილებზე დაფასა და ცარცს არ იყენებენ და მაგალი-

თებზე ვარჯიშს არ მიმართავენ, რის გამო მოსწავლეთა ცოდნის დონე ძალზე დაბალია.



მოსწავლეთა წერითი ნაშუქვერებში ბლომად მოიპოვება სტილისტური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ხასიათი შეცდომები. ხოვ სკოლაში წერის თებები შერჩეულია უხეიროდ. არ ხდება წერითი ნაშუქვერების თავის დროზე და გულდასმით გაწორება. ადგილი აქვს შეფასების ნიშნების აწვეის შემთხვევებს და სხვ. ახის რვაწლიან სკოლის VII-VIII კლასებში დღემდის წერა მხოლოდ ერთჯერ არის ჩატარებული, V-VI კლასებში კი არცერთხელ. VIII კლასში წერა ჩატარებულია ასეთი თებზე: „საბა სულხან ორაელიანის ნაწარმოები, როგორც აღმზრდელობითი ხასიათის, მისი იგავ-არაკი „სიტყვით დაკოდლის“ მიხედვით.

კალაპბრის საშუალო სკოლის VIII კლასში 25 სექტემბერს ჩატარებული საკლასო წერა 19 ოქტომბერსაც არ იყო გაწორებული. ბაშვიჩეთი საშუალო სკოლის V-X კლასებში და ამბრალოს, კხეივან ბუღასანისა და ზემო კარაბულაღის რვაწლიან სკოლებში არცერთი საკლასო წერა არაა ჩატარებული;

ბ) არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს ისტორიის სწავლება. სამუშაო გეგმები არც ერთ სკოლაში სწორად არ არის შედგენილი. ამბრალოს რვაწლიან სკოლის მე-4 კლასში ისტორია სწავლება პეტრე პირველიდან, ძეჯის რვაწლიან სკოლაში მე-6 კლასის ისტორიის სამუშაო გეგმაში შეტანილია შუა საუკუნეების ისტორიის მეორე განყოფილება, „ევროპა XI-XV ს. ს.“ აღნიშნული მასალა ბაშვიჩეთის საშუალო სკოლაში შეტანილია VII კლასის სამუშაო გეგმაში. რუსულ სკოლებში მომუშავე ისტორიის მასწავლებლები სუსტად არიან დაუფლებულნი რუსულ ენას, რის გამო მკრთალად და ხოგჯერ არაზუსტად გადასცემენ ისტორიულ მასალას (კხეივან ბუღასანის რვაწლიანი სკოლა). ამბრალოს რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ჩახაროვი მოსწავლეებს ასწავლიდა, რომ „ვლ დი-მერმა აიღო ძალაქი ხვანსეო“, ნაცვლად ზერსონესისა. ისტორიის მასწავლებლები არ ეიზადებიან გაკვეთილებისათვის, წინასწარ არ ადგენენ გაკვეთილის გეკმას; ძეჯის რვაწლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებელ ანდიაშვილის მიერ გადაცემული მასალა ისტორიაში სავსებით უსისტეო და მცდარი იყო, მასწავლებელმა აღნიშნა, რომ „ივვიპტე მდებარეობს სპარაეთის ყურის ნაპირას, ძალიან ახლო საბერძნეთთანო“, რომ „პიქს-სების მეფე იყო თუთმოსე III“, ფარაონ რამხეს ნაცვლად ამბობდა— „ფარონი რაზინ“. ისტორიის სწავლეთისას თვალსაჩინოებას არ იკენებენ;



თ) არადამაკმაყოფილებელია ფიზიკა-მათემატიკის სწავლება; მასწავლებლები გაკვეთილებს ატარებენ თვალსაჩინოების გარეშე და უხარისხოდ. ბაშკიჩევის საშუალო სკოლის მასწავლებელი ქრისტაფორე კანიდი არ არის საგანს დაუფლებული, ის X კლასში გეომეტრიული პროგრესიის წევრთა ჯამის ფორმულას გამოყვანის დროს უშვებს შეცდომებს, ძირითად განპარტებებს და წესებს აწერიან შეცდომით. გომარეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი მაყვალა მსუქნიშვილი შერეული რიცხვების ნაცვლად ხმარობს გამოთქმას; „შერეული წილად ბი“. მე-9 კლასში ალგებრის ნაცვლად ასწავლის წილადების შეკრებასა და გამოკლებას არითმეტიკაში. ასევე ცუდად მუშაობს ახრს რვაწლიანი სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ვალენტინა არობელიძე;

კ) ქიძიის სწავლება თვალსაჩინოების გარეშე მიმდინარეობს. არცერთი სკოლა არაა მომარაგებული ცდებისათვის საჭირო ხელსაწყოებით და რეაქტივებით; ნაკლები ყურადღება ექცევა ტიპიურ ამოცანების ამოხსნას და საერთო ამოცანებზე ვარჯიშს, რის გამოც მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია.

მ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოს ბაშკიჩევის რაიონის დაწყებით, რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებს (გამგებებს) და სასწავლო ნაწილის გამგებებს:

ა) 1946 წლის 15 ნოემბრამდე შეამოწმონ სკოლისგარეთ დარჩენილი ბავშვების მდგოძარეობა, შეისწავლოს მათი შესაბამ კლასებში დაბრუნების საკითხი და უზრუნველყონ სკოლისგარეთ დარჩენილ ბავშვთა ასი პროცენტით ჩაბმა სკოლებში. განუმარტონ მშობლებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საქმეში მათი მოვალეობა და იმ მზობრების მიმართ, რომლებიც არიდებენ ბავშვებს სკოლებს მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები;

ბ) საფუძვლიანად შეისწავლონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული პროგრამები და მითითებები და ა/წლის 20 ნოემბრამდე უზრუნველყონ ყველა სასწავლო დისციპლინაში წლიური და კალენდარული სასუშაო გეგმების შედგენა;

გ) 5 დღის ვადაში უზრუნველყონ მასწავლებელთა მიერ საგნის წლიური კალენდარული გეგმების საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პროგრამებისა და მითითების შესაბამისად გადამუშავება და საგნის კალენდარულ გეგმებში გასამეორობელი მასალის შეტანა;



დ) მოიყვანონ სრულ წესრიგში სასკოლო კაბინეტები, შეივსონ ისინი საჭირო ხელსაწყო-იარაღებით და სისტემატურად გამოიყენონ ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისაუცყველების სწავლებაში;

ე) აღკვეთონ მოსწავლეთა გაკვეთილებზე დაგვიანებით გამოცხადება და გაკვეთილების უპიზეზოდ გაცდენის შემთხვევები;

ვ) მიიღონ გადამკრელი ზომები სასკოლო შენობებისა და დგამ-ავეჯის შესაკეთებლად, ამ საქმეში ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი, ამოქმედონ მშობელთა კომიტეტები და ადგილობრივი ხელმძღვანელი და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით უზრუნველჰყონ მეცადინეობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;

ზ) გადაჭრით გააუმჯობესონ მეთოდური მუშაობა, გამოცდილების გაზიარების მიზნით მოაწყონ ცალკე მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთ დასწრება, პერიოდულად ჩაატარონ მეთოდური ხასიათის მოხსენებები, თათბირები და კონსულტაციები;

თ) სისტემატურად დაესწრონ მასწავლებელთა გაკვეთილებზე, შეამოწმონ ცალკეული საპროგრამო მასალის გავლა, მოსწავლეთა ცოდნა, მათი წერიითი ნამუშევრები, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა და შედეგები განიხილონ პედაგოგიურ საბჭოების სხდომებზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი არსებული დეფექტების გამოსწორებისათვის.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა წერიითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ახალღების საქმეს, გულდასმით გაასწორონ წერიითი ნამუშევრები, სისტემატურად აწარმოონ საშინაო დავალებათა შემოწმება; ზუსტად და ობიექტურად შეამოწმონ მოსწავლეთა ცოდნა და დახმარება გაუწიონ სწავლებაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს.

3. ისტორიის მასწავლებლებმა სასწრაფოდ შეასწორონ თავიანთი სამუშაო გეგმები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითების საფუძველზე. ფართოდ გამოიყენონ სწავლებისას თვალსაჩინოება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ მასალის თანამიმდევრულ თხრობას, ისტორიული ამბებისა და მოვლენების, თარიღებისა და სახელების დაუმახინჯებლად გადმოცემას და ისტორიულ მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის შეგნებას.

4. ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლებმა მოსწავლეთა მიერ მასალის შეგნებულად შეთვისების მიზნით სისტემატური ხასიათი



მისცენ განკვეთილებებზე ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებას, შემოიღონ ქიმიისა და ფიზიკის მასალის ჩასაწერი და ჩასახატო რეგულაციები და სისტემატურად ავარჯიშონ ქიმიურ და ფიზიკურ ამოცანებზე ვარჯიში;

5. გომარეთისა და ბაშკირეთის საშუალო სკოლების სამეცადინო ცხოვრილი, როგორ შეუსაბამო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაპტიციებულ სასწავლო გეგმასთან—გაუქმდეს.

6. გამოეცხადოს საყვედური ახის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ქსენია ქარაზანიშვილს, ამბრალოს რვაწლიანი სკოლის ქართული ენის მასწავლებელს თინა თეთრაძეს და ზემო კარაბულაღის რვაწლიანი სკოლის ქართული ენის მასწავლებელს ვასილ ბაქრაძეს—ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ცუდად დაყენებისათვის.

7. მიეთითოს გომარეთის საშუალო სკოლის დირექტორს ლავრენტი თევზაძეს და მიჯის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ალექსანდრე ანდიაშვილს სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის.

8. ბაშკირეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ბაგირ აბასოლი არდაგანლის, რომელმაც ვერ უზრუნველყო ხელმძღვანელობა და კონტროლი რაიონის სკოლების მუშაობაზე გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

9. ეს ბრძანება განვიღო იქნეს ბაშკირეთის რაიონის ყველა დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ა/წლის 10 ნოემბრამდე და დასახული იქნას სათანადო ღონისძიებანი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1946 წლის 5 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი მ. კუპრაძე.

ფორმალთა დავუბათების წაღებვის რეგულაციის აღმასრულებელი კომიტეტის განათლების განყოფილების განცხადება

1946 წლის 14/X—20/X-ს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექტორების ბ. ბათიაშვილის, სილ. ცხაკაიას და ვ. გოცირიძის მიერ წყალტუბოს რაიონის სკოლების მუშაობის გამოკვლევის შედეგად წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ წყალტუბოს და მუხიანის საშუალო, ფარცხანაყანევის I და წყალტუბოს რუსულ რვაწლიან სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა ძირითადად სწორად წარმართავს მუშაობას და სწავლა-აღზრდის საქმეში აღწევს გარკვეულ წარმატებებს, მაგრამ აღნიშნულ სკოლების მუშაობაში მაინც აქვს ადგილი მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომელთაგან მთავარია შემდეგი:

1. ჯერ კიდევ არ არის მილიანად გატარებული საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი. არის სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევები, მაგრამ არ არის მიღებული ორგანიზაციული ზომები მათი სკოლაში დაბრუნებისათვის. სკოლის დირექტორთა მიერ მოსწავლეთა განთესვაზე განათლების განყოფილებაში წარმოდგენილი ცნობები ყოველთვის არ იძლევა რეალურ სურათს. მაგალითად, წყალტუბოს საშუალო სკოლის მიერ განათლების განყოფილებაში წარმოდგენილი ცნობებით სკოლიდან განთესილია 2 მოსწავლე, სინამდვილეში 1945—46 სასწ. წელს IV-V-VII კლასებიდან განთესა 7 მოსწავლე.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში რაიონის სკოლების საერთო ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ V-VI-VII-VIII კლასების მასწავლებლებს წლიური სამუშაო გეგმები შედგენილი აქვთ არა ახალი ქრესტომათიების შესაბამისად, როგორც ეს პროგრამის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, არამედ პროგრამის შესაბამისად; გარდა ამისა XI კლასების სამუშაო გეგმებში გათვალისწინებული არ არის IX-X კლასის მასალა ლიტერატურის თეორიიდან.

მუხიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. ბაბუნაშვილი V-VI-VII კლასების პროგრამით გათვალისწინებულ დამატებით მა-

სკლას გაკვეთილების საათებში ამუშავებს (14/X-VII კლასი, სიმღერა ბელადზე*). ეს ქმნის საფრთხეს, რომ ძირითადი მასალის გავლისას ჩამორჩენას ექნება ადგილი, დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების დონე, V კლასის 33 მოსწავლიდან 15 მოსწავლე სისტემატურად იღებს წერით მუშაობაში შეფასებას „2“-ს და მასწავლებელს არა აქვს მიღებული ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. ასევე ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარების საქმეს წყალტუბოს საშუალო სკოლაში (მასწ. თ. კვირიკაშვილი). ამ სკოლის VIII კლასში მხოლოდ ერთი წერა, ხოლო VI კლასში ორი წერაა ჩატარებული და უკანასკნელი გაუსწორებელია. V კლასის მოსწავლეებს (მასწ. დ. ავალიანი) შესატერისად არ ავარჯიშებს შეცდომების გასწორებაზე, მოსწავლე ი. ა.—მ უკანასკნელ ნამუშევრის შეცდომების გასწორებაში კვლავ 19 შეცდომა დაუშვა. ხშირად შეცდომები შეუნიშნავი რჩება თვით მასწავლებელსაც (მოსწ. ჯ.-ს 7/XI-ს ნამუშევარში 9 შეცდომაა გამორჩენილი). მუხიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი კ. ჯავახაძე VIII კლასში ენის სწავლებას არა-საკმაოდ უკავშირებს მართლწერის საკითხებს და მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების შეფასებაში ზოგჯერ იჩენს ლიბერალიზმს. მაგ. XI კლასის მოსწავლე კ.-ნ-სა და კ.-ბ.-ს მიერ შესრულებული თემა „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი მოტივები“ არ არის სრულყოფილი. დაუშვებელია ორთოგრაფიული და სტილისტური ხასიათის შეცდომები. არ არის გამოყენებული ციტატებად აფორიზმები, მიუხედავად ამისა ნაწერი შეფასებულია ნიშანზე „4“.

ფარცხანაყანეის I რვაწლიან სკოლის V-VIII კლასებში წერაში არცერთ მოსწავლეს არა აქვს ნიშანი „5“ (მასწავლებელი გ. ტორაძე).

მასწავლებლები არ უშევენ კონტროლს წერაში საშინაო დავალებათა შესრულების ხარისხს. მბალონურად იყენებენ წერითი სამუშაოს გასწორების ერთდანიმავე ხერხს V და XI კლასის მოსწავლეთათვის. V კლასის მოსწავლენი თავს ვერ ართმევენ იმ ნიშნებს, რომლითაც აღნიშნავს ამა თუ იმ შეცდომას მასწავლებელი და უჭირთ დამოუკიდებლად შეცდომების გასწორება, რის გამო შეცდომათა გასწორებისას კვლავ აუარებელ შეცდომებს უშვებენ. წერითი კულტურის დაბალი დონე იმიტაც აიხსნება, რომ ის წერითი სამუშაოს რაოდენობა, რომელიც განათლების განყოფილებას V-VI-VII-VIII კლასებისათვის დაუწესებია სახელმძღვანელოდ, არ არის საკმარისი.

წყალტუბოს რუსულ რვაწლიან სკოლაში რუსული ენის
ლიტერატურის სამუშაო გეგმა არ არის შედგენილი ოფიციალური
პროგრამისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითი-
თებათა საფუძველზე. VII კლასში მასწ. კრასნოვსკაიას 2/IX-დან
16/IX-დე სასწავლო გეგმის 12 საათიდან მხოლოდ 1 საათი აქვს
გამოყენებული ლიტერატურისათვის, დანარჩენი 11 საათი ენი-
სათვის.

3. მათემატიკაში არადამაკმაყოფილებელია ფარცხანაყანევის I
რვაწლიანი სკოლის მოსწავლეთა მომზადების დონე (მასწ. ვ. შონვაძე).
VI კლასის მოსწავლეებმა რიცხვთა გაყოფადობის ნიშნები მხოლოდ
ზეპირად იციან, არცერთ მათგანს არ შესწევს უნარი პრაქტიკულად
გამოიყენოს ეს ცოდნა. მოსწავლენი არ არიან დაუფლებულნი ჩვეუ-
ლებრივი წილადების თეორიას, წილადს ბავშვები განსაზღვრავენ
შემდეგნაირად: „წილადი ეწოდება მთელის რამდენიმე ნაწილს“,
ასევე არაზუსტ განსაზღვრას იძლევიან მოსწავლეები გაყოფადობი-
დან, მაგ. „უდიდესი საერთო გამყოფი ეწოდება იმ რიცხვს, რო-
მელზედაც იყოფა ყველა მოცემული რიცხვი“ და სხვა.

მუხიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი თედორაძე სუსტად
მუშაობს საგნის დაუფლებისათვის. მას შეუმჩნეველი რჩება მოსწავ-
ლეთა მიერ დაშვებული შეცდომები. მაგ. „დავამტკიცოთ რომ
 $(x-1)x = x^2 - x$ არის ტოლობა“ ან „ტოლობა ეწოდება ისეთ გან-
ტოლებას“ და სხვა.

ზოგიერთი მასწავლებელი არადამაკმაყოფილებლად ემზადება
გაკვეთილისათვის. ამის შედეგად მისი პედაგოგიური დახელოვნების
დონე დაბალია. გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტიური მეთოდების გა-
მოყენების ნაცვლად ისინი მიმართავენ მხოლოდ თხრობას, მის შე-
დეგად ბავშვებს შესასწავლი საკითხის შესახებ არამტკიცე, არასრუ-
ლი წარმოდგენა ეძლევათ (კულიჯანოვა, წყალტუბოს რუსული რვა-
წლიანი სკოლა, ქართული საშუალო სკოლა, დ. კინწურაშვილი,
გრ. ფანცხავა).

4. დასახელებული სკოლების ქიმიისა და ბუნებისმეტყველების
კაბინეტები მოუწესრიგებელია, რის გამო აღნიშნულ საგნებში სა-
პროგრამო მასალის შესწავლა სწარმოებს სადემონსტრაციო ექსპე-
რიმენტისა და სხვა სახის თვალსაჩინოებათა გამოყენების გარეშე.
ქიმიისა და ბუნებისმეტყველების საგნების შესწავლა-გამეორების დროს
ნაკლები ყურადღება ექცევა საკითხების გაღრმავებას, ამოცანებზე
ვარჯიშს, ცალკეულ საკითხებთან დავშირებით საჭირო ცდების ჩა-

ტარებას (ფარცხანაყანევის I რეაწლიან სკოლა, მასწ.—ჯანგაფაძე, მუხიანის საშუალო სკოლა, მასწ.—მ. ბაკურაძე).

საქართველოს
შრომის
და სწავლის
მინისტროს
გამოცემის
N 10000

მოსწავლეთა ცოდნა ქიმიასა და ბიოლოგიაში დაბალია, სტარბობს მექანიკური თხრობა. ფარცხანაყანევის რეაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა არ იციან რას წარმოადგენს სპირტანათურა, ფილტრი, რეტორტა და როგორ გამოიყენებიან ისინი.

ქიმიასი საპროგრამო მასალის შესწავლაში ჩამორჩენას აქვს ადგილი წყალტუბოს საშუალო სკოლის X კლასში—10 საათით (მასწ. თ. იოსელიანი), რაც იმით აიხსნება, რომ მოსწავლელთა უმეტესობა მუშაობს, სასწავლო საათებს ცალკე თემების მიხედვით სწორად ვერ ანაწილებს, მაგ. ნახშირორქანის მიღებისა და მისი თვისებების შესწავლისათვის საკმარისი იყო 1—2 საათი, მოსწავლელს ამ თემისათვის 6 საათი დაუთმია.

5. სუსტად ანხორციელებს სათანადო კონტროლს მოსწავლელების მუშაობაზე ფარცხანაყანევის I რეაწლიანი სკოლის დირექტორი ამხ. ვ. შონვაძე, მას ორი თვის განმავლობაში მოსმენილი აქვს მხოლოდ 6 გაკვეთილი, ამის შედეგია, რომ სკოლაში ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობის შესახებ მას არა აქვს სრული წარმოდგენა.

6. მუხიანის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ამხ. დ. ბერძენაძე მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შეფასების აღრიცხვის საქმეს ჯეროვანი ყურადღებით ვერ ეკიდება, აღნიშნულ სკოლაში მოსწავლეები საკლასო ყურნალში არასისტემატურად წერენ მოსწავლეთა შეფასების ნიშნებს, მაგ. X კლასში ქართულ ლიტერატურაში მასწ. ჯავახიძეს სულ ოთხი ნიშანი აქვს დაწერილი. 18/IX-ს ორი მოსწავლეა შეფასებული და 16/X—კიდევ ორი მოსწავლე.

მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი აკადემიურ წარმატების შეფასებათა გაფორმების მხრივ ზოგიერთ სხვა კლასებსა და საგნებში.

7. არადამაკმაყოფილებელია ფარცხანაყანევის რეაწლიანი სკოლის პედსაბჭოს მუშაობა, ცალკე სასწავლო დისციპლინის სწავლების მდგომარეობის შესახებ პედსაბჭოზე არ არის განხილული არც ერთი საკითხი, არა ზუსტია ღონისძიებათა ზოგიერთი მუხლი. მაგ. მოსწავლეთა ქცევის წესების შესრულების შესახებ საკითხის განხილვისას ღონისძიების ერთერთი მუხლი შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული: „გამოყოფილ იქნას მორიგე მოსწავლელთა კლუბში კინო-სენსების გაშვების დროს მოსწავლე ვალდებულია გაიგოს

მასწავლებლის მიერ კლასისათვის მიცემული სასწავლო დავალები და შეასრულოს იგი“. ოქმის წიგნი არ არის გაფორმებული, შედგენილი საბუკონების შესახებ არსებული დებულების თანახმად.

დასახელებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო საჭიროდ სცნობს წყალტუბოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილებაში სკოლების დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა და მასწავლებლებმა გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

1. პედსაბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ა/წლის 3/X-ს დადგენილება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების შესახებ და გაატარონ ღონისძიებანი სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის აღსაკვეთად და განთესილთა შესაბამის კლასებში დასაბრუნებლად.

2. პედსაბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ა/წლის 9/X-ს დადგენილება „სკოლაში სასწავლო მასალის სისტემატური განმეორების შესახებ“ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი წინაწლებში ცალკე სასწავლო დისციპლინებში შესასწავლი მასალის თანმიმდევრულ და შინაარსიან გამეორებისათვის.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასწავლო დისციპლინებში პროგრამით გათვალისწინებულ მასალის გავლას მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების და აკადემიური წარმატების მიმდინარე აღრიცხვის საქმეს.

4. ფარცხანაჯანევის I და წყალტუბოს რეაწლიან სკოლის დირექტორებმა ა.მ. ა.მ. ვ. შონვაძემ და ვ. არდიზვილმა პედსაბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილონ საკითხი სკოლაში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ და დასახონ საჭირო ღონისძიებანი აღნიშნულ საგნის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

5. წყალტუბოს და მუხიანის საშუალო სკოლის დირექტორებმა ა.მ. ა.მ. ს. მზეციმ და ა. ლანჩავამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეს. მიიღონ გადამკრედი ზომები მოსწავლეთა წერითი

მეტყველების დონის ამაღლებისათვის. აღმოუჩინონ საპირო დახმარება და გაუწიონ ყოველდღიური კონტროლი მუშაობაში მასწავლებელ დ. ავალიანს და დ. ბაბუნაშვილს.

6. ფარცხანაყანევის I რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ან. ვ. შონვაძემ პედსაბჭოს მუშაობა ზუსტად აწარმოოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით და მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდოს ხელი მასწავლებელთა მუშაობაზე სათანადო კონტროლის განხორციელებისა და დამწყებ მასწავლებელთა მეთოდური დახმარების გაწევის საქმეს.

ბ) ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებმა:

1. დასახელებული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის V-VI-VII-VIII კლასის მასწავლებლებმა უახლოეს დროში გადაამუშაონ საგნის წლიური სამუშაო გეგმები ოფიციალური პროგრამის განმარტებითი ბარათის შესაბამისად (ნაწარმოებთა შესწავლა იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს მოცემულია ახალ ქრესტომათიებში), XI კლასის მასწავლებლებმა ლიტერატურის თეორიის საკითხების შესწავლისას გაიმეორონ IX-X კლასების საპროგრამო მასალაც (როგორც ეს მითითებებშია აღნიშნული).

2. წყალტუბოს და მუხიანის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა თ. კვირიკაშვილმა, დ. ავალიანმა, დ. ბაბუნაშვილმა და კ. ჯავახიძემ გააუმჯობესონ მუშაობა მოსწავლეთა წერიითი მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის, გულდასმით გაასწორონ საკონტროლო და საშინაო წერიითი ნამუშევრები და ზუსტად დაიცვან შეფასების ნორმები. მასწ. დ. ბაბუნაშვილი საფუძვლიანად ემზადოს გაკვეთილებისათვის და უზრუნველყოს ჩამორჩენის აღმოფხვრა.

3. წყალტუბოს რუსულ რვაწლიანი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა კრასოვსკაიამ უახლოეს დროში წარუდგინოს სკოლის დირექციას ოფიციალური პროგრამისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა საფუძველზე გადამუშავებული სამუშაო გეგმა.

4. ფარცხანაყანევის I რვაწლიან და მუხიანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლებმა ვ. შონვაძემ, ე. ფიჩხაიამ და თევდორაძემ გააძლიერონ მუშაობა საგნის შეგნებულად სწავლებისათვის და გაკვეთილის ხარისხის გაუმჯობესებით მიიღწიონ მოსწავლეთა მომზადების დონის ამაღლებას.

5. ფარცხანაყანევის I რვაწლიან, მუხიანის საშუალო სკოლის ქიმიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა მ. ჯანგავაძემ და

მ. ბაკურაძემ საგნის სწავლებისას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისა და სხვა სახის თვალსაჩინოებათა გამოყენებას, წინა წლებში გავლილ მასალის გაღრმავებას, განსაკუთრებით კანებზე ვარჯიშს, მასალის შეგნებული ცოდნის განმტკიცებას.

6. წყალტუბოს საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა თ. იოსელიანმა მეტი ზრუნვა გამოიჩინოს თვალსაჩინოების გამოყენების საქმეში, საფუძვლიანად ემზადოს გაკვეთილისათვის და აღმოფხვრას ის ჩამორჩენა, რასაც X კლასებში აქვს ადგილი.

გ) წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებაში:

1. გააძლიეროს ხელმძღვანელობა სკოლებზე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის უკეთ დაყენებისათვის. უახლოეს დროში უზრუნველყოს სკოლები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ა/წლის 3/X—9/X დადგენილებით და სხვა საჭირო დოკუმენტებით. უზრუნველყოს წყალტუბოს რუსული რვაწლიანი სკოლა ცალკე სასწავლო დისციპლინებში ოფიციალური პროგრამებით.

2. უხელმძღვანელოს ქართული ენისა და ლიტერატურის V-VI VII-VIII კლასების მასწავლებლებს წლიურ სამუშაო გეგმების მართებულად გადამუშავებაში (ნაწარმოებთა შესწავლა იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ნაჩვენებია ახალ ქრესთომატიკებში). გააუქმოს სკოლებში არსებული წერითი მუშაობის რაოდენობათა ნორმები, IX-X-XI კლასებში წერითი მუშაობის რაოდენობათა განსაზღვრისათვის იხელმძღვანელოს განათლების სამინისტროს მითითებებით, ხოლო დანარჩენ კლასებში სპეციალურ ინსტრუქციის მიღებამდე, საქართველოს სსრ მასწავლებელთა რესპუბლიკური კონფერენციის ღონისძიებებით, რომელშიც აღნიშნულია: „ყველა კლასში წერითი ვარჯიში ტარდებოდეს ისეთი რაოდენობით, რომელიც ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლის წერითი მეტყველების კულტურის ზრდას და მტკიცე ცოდნის ჩვევის გამომუშავებას.“

3. აღნიშნული წერილი განიხილოს წყალტუბოს რაიონის ყველა სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე და დასახოს სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს
უფროსი **უ. მ. მ. მ. მ. მ.**

საინსტრუქტორო სექტორის უფროსი **მ. იაშვილი.**
25 ნოემბერი 1946 წ.

**ფოტომეტა დეკუბატების ფოტის საქალაქო საბჭოს აღმას-
რულებელი კომიტეტის სახალხო განათლების
განყოფილების გამგეს**

ქ. ფოტის ქალთა I, ვაჟთა I, ქალთა III საშუალო და
ნინოშვილის უბნის დაწყებითი სკოლების სასწავლო-
სააღმწერდელი მუშაობის გამოკვლევის შესახებ.

1946 წლის 13/X—21/X საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექტორების ეგნატე ინგოროყვას. მ. დათიაშვილისა და პ. ბულიას მიერ ქ. ფოტის სკოლების მუშაობის გამოკვლევის შედეგებზე წარმოდგენილი მასალებით დადასტურებულია, რომ ქალაქ ფოტის ქალთა I, ვაჟთა I, ქალთა III საშუალო და ნინოშვილის უბნის დაწყებით სკოლებში სასწავლო-სააღმწერდელი მუშაობა ძირითადად კარგად არის მოწესრიგებული.

ქ. ფოტის სახალხო განათლების განყოფილება და აღნიშნული სკოლების დირექტორები (გამგეები) თ. სარიშვილი, პ. ნაცვლიშვილი, ა. აბდუშელაშვილი, პ. ტიკარაძე კარგად ხელმძღვანელობენ მასწავლებელთა სასწავლო-სააღმწერდელი მუშაობას და ლეზულობენ საჭირო ზომებს სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა, ბრძანებათა და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის.

ქალთა I საშუალო სკოლის მასწავლებლები: ქართული ენისა და ლიტერატურის—ვ. გაგუა, რუსული ენისა და ლიტერატურის—ა. ყარამურზა, გეოგრაფიის—ვ. ჯაველიძე, სამოქალაქო ისტორიის—თ. სარიშვილი და მ. მექვაბიშვილი; ვაჟთა I საშუალო სკოლის მასწავლებლები: ქართული ენისა და ლიტერატურის—პ. ნაცვლიშვილი, ე. დგებუაძე, ქიმიის—ნ. ცოტაძე; ქალთა III საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. კვარაცხელია; ნინოშვილის უბნის დაწყებითი სკოლის მასწავლებლები: I კლასის—ტიკარაძე, არითმეტიკის—წურწუშია და სხვები კარგად ფლობენ საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, გაკვეთილისათვის ემზადებიან საფუძვლიანად, გაკვეთილს ატარებენ შინაარსიანად და მიმზიდველად. სწავლებაში მოხდენილად იყენებენ თვალსაჩინოებას,

მოსწავლეთა მთელ კოლექტივს აბამენ მუშაობაში, სწორად წარ-
მართავენ განვლილი მასალის განმეორებას, სასწავლო მასალის
მიზანშეწონილად იყენებენ აღმზრდელობითი მიზნებისათვის და
აიარაღებენ მოსწავლეებს საჭირო ცოდნა-ჩვევებით. ქ. ფოთის
ქალთა I და ვაჟთა I საშუალო სკოლებში კარგად არის მოწესრი-
გებული სასწავლო-მატერიალური ბაზა, ფიზიკის, ქიმიისა და ბიო-
ლოგიის კაბინეტები შევსებულია საჭირო ხელსაწყო-იარაღებით,
მოვლილია კარგად და სათანადო საგნის მასწავლებლები ხელსაწყო-
იარაღებს და სხვა დიდაქტიკურ მასალას სისტემატურად და მიზან-
შეწონილად იყენებენ სწავლებაში. აღნიშნულ სკოლებში დამაკმაყო-
ფილებლად არის მოწესრიგებული მეთოდური მუშაობა. განათლე-
ბის განყოფილება და სკოლების ხელმძღვანელები გეგმაზომიერად
წარმართავენ მასწავლებელთა იდეურპოლიტიკური მომზადების დო-
ნის ამალღებისა და პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისათვის
საჭირო მუშაობას.

მიუხედავად ამისა ქ. ფოთის შესწავლილ სკოლების მუშაობაში
ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს:

1. ქალთა I, ვაჟთა I და ქალთა III საშუალო სკოლების შენო-
ბებს აკლია ფანჯრის მინები. ქალთა III საშუალო სკოლის შენობის
სახურავი დაზიანებულია, რის გამოც შესასვლელსა და დერეფნებში
წყალი ჩამოდის.

2. ქალთა III საშუალო სკოლას არა აქვს სასწავლო კაბინეტე-
ბი, სკოლის ბიბლიოთეკა მეტად ღარიბია. ეს გარემოება აფერხებს
სწავლებაში თვალსაჩინოებისა და მოსწავლეთა-კლსგარეშე კითხვის
საქმეს.

3. ქალთა მე-3 საშუალო სკოლის ზოგიერთი კლასის ხელმძღვა-
ნელი (ყურაშვილი, რესკუტოვა, გოგინავა და სხვები) არ იცნობენ
სკოლის შესახებ არსებულ დადგენილებებსა და სახელმძღვანელო
დოკუმენტებს, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სასწავლო-სააღმზრ-
დელო მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვას, მათი სასწავლო-სააღმზრდელო
მუშაობის გეგმა არ ასახავს სკოლის წინაშე მდგომ მიზან-ამოცანებს,
არ არის გათვალისწინებული სააღმზრდელო კლასში სასწავლო-სააღ-
მზრდელო მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებანი
და სხვ.

4. ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთი მასწავლებე-
ლი არა დამაკმაყოფილებლად მუშაობს:

ვაჟთა I საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი თ. ჩხარტიშვილი გაკვეთილისათვის არ ემზადება



საფუძვლიანად, გაკვეთილს ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ვერ ატარებს სწორად. ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა მიერ გრამატიკისა და ლიტერატურული მასალის შეგნებულად შეთვისებას, რის გამოც VIII კლასის მოსწავლეებმა არამტკიცედ იციან განვლილი მასალა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამ კლასის მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი მეტყველების დონე დაბალია, ისინი ვერ ერკვევიან ზოგიერთ ცნებებსა და გამოთქმებში. მაგ. მათ ვერ განმარტეს, თუ რას ნიშნავს: „ქორ-შეგარდნო მთისაო“, „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან შემოესმა რეკა, იალბუზზე ფეხი შესდგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“. ასევე ვერ განმარტეს, თუ როგორ აღამიანს ეწოდება ბრძენი და სხვა.

საკლასო და საკონტროლო წერიტი სამუშაოები VIII და IX კლასებში ჩატარებულია მხოლოდ ორ-ორჯერ. მოსწავლეთა წერიტი ნამუშევრები არ არის გასწორებული გულდასმით. გასწორებულ წერიტი ნამუშევრებში ბევრია გაუსწორებლად დარჩენილი შეცდომები. ამავე სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ქ. თავაძე არასაკმაო ყურადღებას აქცევს V კლასში მოსწავლეთა ვარჯიშს გრამატიკულ მასალაზე. მოსწავლეებმა განვლილი მასალა არამტკიცედ იციან.

I კლასის მასწავლებელი ელ. შეროზია ქართული წერა-კითხვის სწავლებისას ვერ იყენებს ანალიზურ-სინთეზურ მეთოდსა და თვალსაჩინოებას.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება III რუსულ საშუალო სკოლაში (მასწავლებლები ორაგველიძე და ბ. ხუბუა.) მასწავლებელი ხუბუა არასაფუძვლიანად ერკვევა არაქართულ სკოლაში ქართული ენის სწავლების მეთოდებს; ლიტერატურული მასალის დამუშავებისას მიმართავს მხოლოდ თარგმნით მეთოდს, ყოველ ცნებასა და გამოთქმას თარგმნის რუსულ ენაზე, არ ამოწმებს იმას, ესმით თუ არა მოსწავლეებს ტექსტის სიტყვები და ცნებები; ახალი სიტყვებისა და ცნებების განმარტებისათვის არ იყენებს სინონიმებს. მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია.

5. ვ. ე. თა I საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან განვლილი მასალა რუსულ ენაში (მასწ. ნ. ქავთარაძე), მოსწავლეთა უმრავლესობას არ ეხერხება მეტყველების დროს მხოლოდობითისა და მრავლობითის შეთანხმება. სქესის მაჩვენებელი დაბოლოებანი. მახვილისა და რბილი ნიშნების მართებულად ხმარება და სხვა.

მ. ი. ლერმონტოვის პოემა „მწირის“ შინაარსის გადმოცემისას მოსწავლეებმა დაუშვეს ასეთი უმართებულო გამოთქმები: „Свою край“, „Две кусты“, „Поступил этого школу“, „При царствование Николаю первому“, „Дейсвовать Лермонтова“ და სხვა მრავალი.

პოემის ცალკე ადგილები მოსწავლეებმა იციან ზეპირად, მაგრამ არ ეხერხებათ მხატვრული კითხვა. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ დაასახელა თუ რომელი გზით მოდიოდა რუსეთის არმიის გენერალი თბილისში, სად არის ის მონასტერი, რომელშიაც მოათავსა მან ტყვე ბავშვი და სხვა.

ნიწოშვილის უბნის დაწყებითი სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ტ. ვეკუა არასაკმაოდ არის გარკვეული დაწყებით კლასებში რუსული ენის სწავლების მეთოდებში. ის არასაკმაო ყურადღებით ეპყრობა მოსწავლეთა მიერ რუსული ცნებებისა და სიტყვების შეგნებულად შეთვისებისა და გამოთქმის სისწორის საქმეს.

6. ცუდად მუშაობს ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი მიქაბერიძე; ის არ ემზადება გაკვეთილებისათვის, თვალსაჩინოებას იყენებს არასწორად და გაკვეთილებს ვერ ატარებს მიმზიდველად და შინაარსიანად, ყოველივე ამის გამო მოსწავლეთა ცოდნის დონე მეტად დაბალია: IX კლასის მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებითაც კი ვერ შესძლეს ისტორიული მასალის დალაგებით გადმოცემა, ისინი უხეშ შეცდომებს უშვებენ ქრონოლოგიაში, მათ არ ეხერხებათ რუკაზე ორიენტირება და ისტორიული ადგილების ჩვენება, სუსტი წარმოდგენა აქვთ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის კულტურაზე, არ იციან ვინ იყო მ. ვ. ლომონოსოვი, ვერ ერკვევიან პეტრე პირველის მემკვიდრეების კოლონიურ და ეკატერინე მეორის საგარეო პოლიტიკაში; ვერ შესძლეს გადმოცემა იმისა, თუ როგორ და როდის მოხდა პოლონეთის პირველი განაწილება და სხვ.

არადამაკმაყოფილებელია V, VI კლასების მოსწავლეთა ცოდნა ისტორიაში (მასწავლებელი ზ. დარჯანია), V კლასის მოსწავლეებს არა აქვთ მასალის დალაგებულ ტხრობით გადმოცემისა და ისტორიული რუკის კითხვის ჩვევები. ისინი ვერ ერკვევიან ისტორიულ ტერმინებში: „ფარაონი“, „იეროგლიფი“ და სხვ. მოსწავლეთა უმ-

რავლესობამ ვერ აღწერა ძველი ეგვიპტის ბუნება, ვერ გადმოცეს
თუ როდის მოხდა ნომების გაერთიანება; მოსწავლეებს არა აქვთ
საფუძვლიანი წარმოდგენა ძველი ეგვიპტის კულტურაზე, რამაშ
II მმართველობაზე და სხვ.

VI კლასის მოსწავლეებს არ ეხერხებათ მასალის დალაგებით,
თანმიმდევრობით გადმოცემა, ტერმინების „დიქტატორი“, „კონსუ-
ლი“, „ტრიბუნი“, „გლადიატორი“ და სხვათა განმარტება. გამოძა-
ხებულმა მოსწავლეებმა ვერ აღწერეს ძველი იტალიის ბუნება, მათ
არ ესმით სერვიუს ტულიუსის რეფორმების მნიშვნელობა, არ იციან
თუ როგორი სახელმწიფო წყობილება იყო კართაგენში, არასაფუძვ-
ლიანად იციან პუნიკური ომის გამომწვევი მიზეზები, ამ ომის მსვლ-
ლობა და სხვ.

ქ. ფოთის ქალთა III საშუალო სკოლაშიც არადამაკმაყოფი-
ლებლად მიმდინარეობს ისტორიის სწავლება (მასწავლებლები ნიკო-
ნენკოვა და სტატივკო).

ამ სკოლის VI კლასის მოსწავლეები ვევ ერკვევიან ძირითად
საკვანძო საკითხებში, როგორიცაა: ძველი იტალიელი ტომების ყო-
ფაცხოვრება, პუნიკური ომის მიზეზები, კართაგენის დაცემა, პატ-
რიციებისა და პლებების ბრძოლა, იტალიისა დაპყრობა და სხვ.
მოსწავლეთა ნაწილს არასხკმაო სიზუსტით ესმის ისტორიული ტერ-
მინები.

VIII კლასის მოსწავლეებს (მასწავლებელი სტატივკო) არ შეუძ-
ლიათ მასწავლებლის დაუხმარებლად მასალის თხრობა, მათ არ
ეხერხებათ რუკაზე ორიენტირება; ისტორიული მასალის გადმოცემი-
სას ვერ იცავენ ქრონოლოგიას; არ იციან თუ სად ცხოვრობდნენ
სლავთა ტომები, წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ როგორ მოხდა
აღმოსავლეთ სლავიანთა გაერთიანება კიევის ხელისუფლების ქვეშ;
მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ვერ ერკვევა კიევის სამთავროს
დაცემის მიზეზებში, ქრისტიანობის პროგრესიულ როლში და სხვ.

7. ვაჟთა I საშუალო და ქალთა I საშუალო სკოლების ბიო-
ლოგიის მასწავლებლები ა. ხომერიკი და შ. ჩხენკელი ბოტანიკის,
ზოოლოგიისა, ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის სწავლებისას
არასაკმაოდ იყენებენ თვალსაჩინოებას, არ ატარებენ ექსკურსიებს
ბუნებაში, კოლმეურნეობის ბაღ ბოსტანში, მეცხოველეობისა და მეფ-
რინველეობის მერმებში, რის გამოც მოსწავლეთა ცოდნა ბოტანიკასა
და ზოოლოგიაში ფორმალურ ხასიათს ატარებს და მოწყვეტილია
სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას.

ქალთა I საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი შ. ჩხენკელი) გავლილი მასალიდან ვერ განმარტეს თესლის ცნება. ისინი ერთმანეთში ურევვენ ცნებებს „თესლი და ნაყოფი“, თესლის აღმოცენებისათვის საჭირო პირობები: სითბო, ტენიანობა და სხვა მოსწავლეთა ნაწილს ბუნდოვანად აქვს წარმოდგენილი; გამოძახებულმა მოსწავლეებმა ვერ განმარტეს თუ რას ეწოდება ტემპერატურის მინიმუმი, მაქსიმუმი და ოპტიმუმი, თესლის აგებულება და შედგენილობა არა აქვთ ნათლად წარმოდგენილი, ლობიოს თესლის ცალკე ნაწილების ფუნქციები არამტკიცედ იციან. მოსწავლეთა ნაწილმა ვერ განმარტა, თუ როგორ მიმდინარეობა თესლის სუნთქვა გაღვივება-აღმოცენების პროცესში. ცდები თესლის შედგენილობის გამოკვლევაზე არ არის ჩატარებული.

ახალი მასალა: სათესლე მასალის შერჩევა მასწავლებელმა კარგად დაამუშავა.

ბოტანიკის კურსის არამტკიცე ცოდნა გამოამჟღავნეს ამავე სკოლის VI კლასის მოსწავლეებმაც. მოსწავლეთა უმრავლესობას არა აქვს ნათელი წარმოდგენა მცენარეთა სისტემატიკური ჯგუფების მორფოლოგიურ ანატომიურსა და ბიოლოგიურ თავისებურებაზე, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს კ. ლინეის სისტემატიკის მნიშვნელობაზე, ხელოვნურსა და ბუნებრივ სისტემატიკაზე და სხვ. ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ სწავლებაში არ არის გამოყენებული თვალსაჩინოება, რომ არ წარმოებს შესწავლილი მასალის ისტორიულ ასპექტში გაშუქება.

ვაეთა I საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწავლებელი ა. ხომერიკი) მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არამტკიცედ იცის ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიაში გავლილი მასალა; ვერცერთმა გამოძახებულმა მოსწავლემ ვერ განმარტა უჯრედის ცნება (უჯრედის ფორმა, მისი მთავარი ნაწილები და უჯრედის შედგენილობა; მოსწავლეები განმარტავენ, რომ გარსი არ არის უჯრედის ძთავარი ნაწილი, მაგრამ ვერ ახერხებენ ამ დებულების დასაბუთებას, მათ ვერ აღწერეს უჯრედის არა პირდაპირი გაყოფის პროცესი და მისი სტადიები; ბევრმა მოსწავლემ არ იცის, რომ უჯრედში არის ცენტროზომა და ქრომოზომები, არ იცის ქრომოზომათა რაოდენობის მუდმივობის კანონი და ქრომოზომათა რედუქციის მნიშვნელობა. მოსწავლეებმა ასევე არასაფუძვლიანად იციან თუ რას ეწოდება ცხოველური ქსოვილი, მათი სახეები და თითოეული ქსოვილის ფუნქცია და მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობისათვის.

ახალი მასალა: რიტმისა და დატვირთვის მნიშვნელობა კუნთების მუშაობისა და დაღლილობისათვის მასწავლებელმა ახსნა ისე, რა არ განუმარტავს, თუ რას ეწოდება რიტმი, რა იგულისხმება დატვირთვაში და სხვა.

საშინაო დავალება მოსწავლეებს არ მისცა საჭირო განმარტებით, არ დაუსახელა თუ რისთვის მიეცემა მთავარი ყურადღება, რა დაეხატათ ან დაეხაზათ, მან მხოლოდ უთხრა კლასს: "სახემძღვანელოში დაისწავლეთ § 36—37 პარაგრაფამდე".

8. თვალსაზრისით ხარვეზები ახასიათებს ქალთა III რუსულ საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელ ლ. სიდორენკოს მუშაობას, ის ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა ვარჯიშს რუკაზე და გეოგრაფიული ცნებებისა და სახელების მოსწავლეთა მიერ შეგნებულად შეთვისებას.

VI კლასის მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცის, რომ ინგლისს ამავე დროს დიდი ბრიტანეთი ეწოდება, ვერ სთქვა, რომ ქ. ლონდონი მდინარე ტემზაზე მდებარეობს. ვერ დაასახელა ინგლისის მთავარი ქალაქები, მოსახლეობის რაოდენობა და სხვა; ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ მოიყვანა იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ინგლისის კუნძულები წარსულში შეერთებული იყვნენ ევროპის მატერიკთან და სხვ. გაკვეთილი ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური თვისებათა არასწორად ჩატარდა. საშინაო დავალების შესრულების შემოწმებისას მასწავლებელმა არ მოითხოვა მოსწავლეებისაგან გაკვეთილის მასალის დაკავშირება წინადავლილ შესაბამის მასალასთან, ახალი გაკვეთილის ახსნისას არ მოახდინა მოსწავლეთა მიერ მასალის შეთვისების შემოწმება. არ ჩაატარა ცოდნის დამამტკიცებელი მუშაობა, ისე გადავიდა წინადავლილის განმეორებაზე, ხოლო შემდეგ ისევ დაუბრუნდა ახლად ახსნილი მასალის შეთვისების შემოწმებას. დავალება მისცა კლასს შუა გაკვეთილზე და ისიც ზერეღედ.

ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაყვებითი და საშუალო სკოლის სამმართველო საჭიროდ სთვლის ფოთის საქალაქო განათლების განყოფილებაში, სკოლის დირექტორმა (გამგეგმა) და მასწავლებლებმა გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

I. სკოლის დირექტორებმა:

1. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების უზრუნველსაყოფად 10 დღის ვადაში ჩაატარონ სკოლის ასა-

კის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა, გამოავლინონ სკოლის გარედ დარჩენილები და ჩააბან ისინი შესაბამის კლასებში; განუხრებელი კონტროლი დააწესონ კომუნალურ სახლების მართველზე, საუწყებო სახლების კომენდატებისა და კერძო სახლმფლობელთა მიერ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით № 1756 დამტკიცებული ინსტრუქციის შესრულების მიმდინარეობაზე; საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საკითხი განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს უახლოეს სხდომაზე და დასახონ ისეთი ღონისძიებანი, რაც ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ ვაცდენისა და გაკვეთილებზე დაგვიანების შემთხვევების აღმოფხვრისა და მოსწავლეთა მთელი კონტინგენტის შენარჩუნებას სკოლაში.

2. მიიღონ საჭირო ზომები და უმოკლეს დროში უზრუნველყოფონ სკოლების შენობების ფანჯრებში მინების ჩასმა, ქალთა მე-3 რუსული საშუალო სკოლის შენობის სახურავის შეკეთება.

3. მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისა და პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური დახელოვნების საქმისათვის ხელის შეწყობის მიზნით სასკოლო ბიბლიოთეკები შეავსონ მარქსიზმის კლასიკოსების შრომებით, პედაგოგიკური, მეთოდოლოგიური და ფსიქოლოგიური ლიტერატურით, პერიოდულად მოაწიონ მასწავლებელთათვის ლექციები, მოხსენებები, სემინარული მუშაობა.

4. სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მეტი ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ კლასის ხელმძღვანელთა მუშაობაზე, გულდასმით შეამოწმონ კლასის ხელმძღვანელთა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმების შინაარსი და დასახულ ღონისძიებათა სკოლის წინაშე მდგარ ამოცანებისადმი შესაბამისობა, პერიოდულად მოიწვიონ კლასის ხელმძღვანელთა თათბირები, ყოველმეოთხედში მოისმინონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მათ მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში და დასახონ ისეთი ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდას.

5. სისტემატური კონტროლი დააწესონ მასწავლებელთა მიერ ცალკე კლასებსა და საგნებში სასწავლო მასალის გეგმით გათვალისწინებული თანამიმდევრობით გავლაზე და წინაწლებში გავლილის განმეორებაზე. სასწავლო მასალის გავლილისა და წინად გავლილის განმეორების საქმეში განუხრებლად იხელმძღვანელონ საქართველოს

სსრ განათლების სამინისტროს პროგრამებით 1946/47 სასწავლო წელს საშუალო სკოლის პროგრამებით მუშაობის შესახებ გამოქვეყნებულ მითითებათა და ბრძანებით.

6. გააუმჯობესონ მეთოდოლოგიური მუშაობა, დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდოლოგიური გაერთიანებისა და V—XI კლასების მასწავლებელთა საგნობრივი კომისიების მუშაობას გაუწიონ სისტემატური და ქმედითი დახმარება-ხელმძღვანელობა, მათი მუშაობის საკითხი პერიოდულად მოისმინონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და გახადონ ისინი სკოლაში მეთოდოლოგიური მუშაობის ხარისხის ნამდვილად გაუმჯობესებისათვის მომქმედ რგოლებად.

სისტემატურად და გეგმიანად ჩაატარონ ღია გაკვეთილები, გულდასმით შეისწავლონ და დამტკიცონ ჩასატარებელი ღია გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი და მასწავლებელთა ფართო მასალების მონაწილეობით მოაწყონ ჩატარებული ღია გაკვეთილის გარჩევა.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ახალი დებულების საფუძველზე გარდაქმნან პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მოისმინონ მხოლოდ სასწავლო-სააღმზრდელო ხასიათის საკითხები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი და ყოველდღიური კონტროლი დააწესონ მათს შესრულებაზე.

8. მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. სასწავლო კაბინეტები შეავსონ საჭირო ხელსაწყო-იარაღებით და სხვა დიდაქტიკური მასალით, სისტემატური კონტროლი დააწესონ მასწავლებელთა მიერ სწავლებაში თვალსაჩინოების მიზანშეწონილად გამოყენებაზე, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის სწავლებისას ცუდებისა და დაკვირვებებისა, ლაბორატორიულ პრაქტიკული მუშაობის დანერგვაზე და მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობისათვის რამდენადმე მოზადების მიზნით ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების ორგანულად დაკავშირებაზე სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებთან.

9. მოსწავლეთა ზეპირი და წერიითი კულტურის ღონის ამაღლების მიზნით სისტემატური ხასიათი მისცენ მოსწავლეთა წიგნზე მუშაობას, კლასგარეშე კითხვას, წერიითი სამუშაოების სახეებისა და ნორმების მტკიცედ დაცვას, საწერი თემების სწორად შერჩევასა და მოსწავლეთა წერიითი ნაშრომების გულდასმით გასწორებასა და შეფასებას. პირადად შეამოწმონ მოსწავლეთა მუშაობა ამ მიმართულებით, გაეცნონ და შეისწავლონ მოსწავლეთა წერიითი ნაშრომები, საკითხი პერიოდულად განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი.

10. გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიმდინარეობაზე. ვაჟთა I საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეთა მიერ რუსული ენის სწავლა რამდენიმე ვაჟთა სწავლებელ მასალის საფუძვლიანად შეთვისების საკითხი განხილული იქნას პედაგოგიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე და დაისახოს ისეთი ღონისძიებანი, რაც ნამდვილად უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ცოდნის დონის გადაჭრით ამაღლებას. ნინოშვილის უბნის დაწყებითი სკოლის გამგემ—ტ. კარაქემ ყოველდღიური ხელმძღვანელობა გაუწიოს რუსული ენის მასწავლებელ ტ. ვეკუას და დასახოს მისი პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური დახელოვნებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

10. ქალთა მე-3 რუსული საშუალო სკოლის დირექტორმა ა. აბდუშელიშვილმა სისტემატური კონტროლი გაუწიოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ე. ორაგველიძისა და ხუბუას მუშაობას, გაკვეთილების მოსმენით პირადად შეამოწმოს მოსწავლეთა ცოდნის დონე, ათი დღის ვადაში მოისმინოს პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა და დასახოს საგნის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

11. ვაჟთა I საშუალო სკოლის დირექტორმა ა. ნაცვლიშვილმა პირადად შეამოწმოს სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელ მიქაბერიძის მუშაობა, საკითხი-განიხილოს პედაგოგიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე და დასახოს სამოქალაქო ისტორიის სწავლების ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

12. ყველა სკოლის დირექტორმა გააძლიეროს ხელმძღვანელობა მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციებზე; საჭირო ღონისძიების გატარებით უზრუნველყოს პიონერთა რაზმის შეკრებაზე კლასის ხელმძღვანელთა დასწრება.

13. ხუთი დღის ვადაში განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე სასკოლო დოკუმენტების წარმოებისა და მოვლა-პატრონობის საკითხი. პირადად შეამოწმონ საკლასო ჟურნალების წარმოების მდგომარეობა და უზრუნველყონ მასწავლებელთა მიერ საკლასო ჟურნალში მოსწავლეთა სახელისა და გვარის, გაკვეთილების ცხრილის ცოდნის შეფასების ნიშნებისა და საშინაო დავალების ფაქიზად და ზუსტად ჩაწერა.

14. დაწესებული რაოდენობით მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები, გულდასმით შეამოწმონ გაკვეთილების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური მხარე, საფუძვლიანად შეისწავლონ მასწავლებელთა მიერ სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენება, სასწავლო მასალის ორგანიზულად დაკავშირება და გამოყენება მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდისათვის, თეორიისა და პრაქტიკის იმგვარად დაკავში-

რება ერთმანეთთან, რომ ეს უზრუნველყოფდეს მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების შეგნებულად შეთვისებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენებისათვის საჭირო ჩვევების გამომუშავებას; გამოავლინონ მოწინავე მოსწავლელები და პედაგოგიურ საბჭოს ხსდომაზე მოსმენილი გაკვეთილების ანალიზის ჩატარებისას განაზოგადონ მათი პედაგოგიური მუშაობა.

II. ცალკე სასწავლო დისციპლინების მოსწავლეობა:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პროგრამებისა 1946/47 სასწავლო წელს საშუალო სკოლის პროგრამებით მუშაობის შესახებ შემუშავებულ მითითებათა და წინად გავლილი მასალის განმეორების შესახებ განათლების მინისტრის ბრძანების № 2167 განუხრელად გატარებით უზრუნველჰყონ:

I. სასწავლო მასალის სწავლების თანამიმდევრულობა, სრულად გავლა და მისი მაქსიმალურად გამოყენება მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდისათვის;

II. მოსწავლეთა მიერ პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო მასალის საფუძვლიანად შესწავლა, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებისათვის საჭირო ჩვევების გამომუშავება მოსწავლეებში და ზეპირი და წერილი მეტყველების კულტურის დონის მაქსიმალურად ამაღლება, აზისათვის:

ა) საფუძვლიანად მოემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის, წინასწარ შეარჩიონ გაკვეთილისათვის განკუთვნილი მასალის დამუშავებისათვის საჭირო მეთოდები, ხერხები, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალა და შეადგინონ გაკვეთილის ჩატარების გეგმა;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ გაკვეთილის, როგორც სწავლების ძირითადი ფორმის, ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სწორად ჩატარებას; გულდასმით შეამოწმონ მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალების შესრულება, საფუძვლიანად შეაფასონ მოსწავლეთა ცოდნა და ცოდნის შეფასების ნიშნები აუცილებლად ჩასწერონ საკლასო ჟურნალში, ახალი მასალის გავლისას სისტემატური ხასიათი მისცენ წინად გავლილის განმეორება-განმტკიცებას; გაკვეთილის პროცესში მუშაობაში ჩააბან მოსწავლეთა მთელი შემაღგენლობა, პირადი მაგალითით აღზარდონ მოსწავლეებში შრომის ჩვევები, მტკიცეებისყოფა, ბოლშევიკური ხასიათი და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი მაღალი პასუხისმგებლობა.

სწავლებაში მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინოება, ჩაატარონ ცდები, დაკვირვებები, პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობები და სასწავლო ხასიათის ექსკურსიები;

გ) დადგენილი რაოდენობით ჩაატარონ წერიითი სამუშაოები, მზარდი თანამიმდევრობით შეასრულებინონ მოსწავლეებს წერიითი სამუშაოს სხვადასხვა სახეები. საფუძვლიანად შეამოწმონ, გაასწორონ და შეაფასონ მოსწავლეთა წერიითი ნამუშევრები;

დ) დააწესონ ყოველდღიური ხელმძღვანელობა და კონტროლი მოსწავლეთა წიგნზე მუშაობაზე, სისტემატურად ამუშაონ ისინი ლიტერატურულ ტექსტზე, პრაქტიკული ხასიათის სავარჯიშოებზე, ცალკე სასწავლო დისციპლინების მიხედვით შეურჩიონ მოსწავლეებს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა და მისცენ მოსწავლეებს მასზე ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო რჩევა-დარიგებანი;

ე) ვაჟთა I საშუალო სკოლის მასწავლებლებმა მ. ჩხარტიშვილმა და ქ. თავაძემ სისტემატურად იმუშაონ საკუთარი მეთოდოლოგიური კვალიფიკაციის ამოღებაზე, დაეუფლონ გაკვეთილის ჩატარების მეთოდოლოგიას და უზრუნველყოფნ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლეთა ცოდნის გადაჭრით ამოღება;

ქალთა III რუსული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ე. ორაგველიძემ და ბ. ხუბუამ გადაჭრით გააუმჯობესონ საგნის სწავლების ხარისხი, ქართული ცნებები, ცალკე სიტყვები და წინადადებების ახსნა-განმარტება აწარმოონ თვით ქართულ ენაზე, მაქსიმალურად გამოიყენონ სინონიმები, ქართული გამოთქმების რუსულად თარგმნას მიმართონ მხოლოდ მაშინ, როცა გამოთქმების თავისებურების გამო ძნელი გახდება შესატყვისი ქართული სიტყვის მოშველება; სისტემატური ხასიათი მისცენ სალექსიკონო მუშაობას, ავარჯიშონ მოსწავლეები ტექსტზე; გრამატიკული წასალა დაამუშაონ ლიტერატურულ მასალასთან კავშირში, წერიითი სამუშაოები ჩაატარონ სისტემატურად.

ვ) ვაჟთა I საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ქავთარაძემ, სკოლის დირექტორთან შეთანხმებით, დასახოს ისეთი ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს XI კლასის მოსწავლეების მიერ რუსული ენის პროგრამებით გათვალისწინებულ მასალის საფუძვლიანად შეთვისებას;

ი) ამავე სკოლის სამოქალაქო და ქალთა მესამე რუსული საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა მიქაბერიძემ, დარჯანიამ, ნიკონენკოვამ და სტატივკომ გადაჭრით გააუმჯობესონ საგნის სწავლების ხარისხი და უზრუნველყოფნ მოსწავლეთა მიერ ისტორიული

მოვლენების სწორად და შეგნებულად დასწავლა, ქრონოლოგიის ცოდნა და რუკის კითხვის ჩვევების გამომუშავება. სამოქალაქო ისტორიის სწავლებისას განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 16 მაისის დადგენილებით „სსრ კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შეიახებ“;

თ) ქალთა I საშუალო და ვაჟთა I საშუალო სკოლების ბიოლოგიის მასწავლებლებმა შ. ჩხენკელმა და ა. ხომერიკმა საგნების სწავლებაში მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინოება, ცდები, დაკვირვებები, პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობანი, ჩაატარონ ექსკურსიები კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში და გააცნონ მოსწავლეებს კოლექტიური მეურნეობის ცალკე დარგების პრაქტიკული საკითხები და მიადწიონ მოსწავლეთა მიერ ბოტანიკის, ზოოლოგიის, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის და დარვინიზმის საფუძვლების კურსის ისე საფუძვლიანად შესწავლა, რომ მოსწავლეებში მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს ბუნების შესახებ დიალექტიკურ-მატერიალისტურ სოფლმხედველობისა და საბუნებისმეტყველო მასალის ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების ჩვევების გამომუშავებას.

III. კლასის ხელმძღვანელებმა:

1. გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საქმე, გეგმებში გაითვალისწინონ სააღმზრდელო კლასის თავისებურების შესატყვისი კონკრეტი ღონისძიებანი და აღმზრდელობითი მუშაობას მისცენ თანმიმდევრულად მზარდი ხასიათი.

2. გადაჭრით გააუმჯობესონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა; სისტემატური კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა ქცევაზე სკოლაში და სკოლისგარედ, ხელმძღვანელობა გაუწიონ მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვას, პერაოდულად შეამოწმონ მოსწავლეთა მიერ წაკითხული წიგნის შინაარსის სწორად გაგება-შეთვისება, გეგმაზომიერად მოაწყონ მოსწავლეთა ექსკურსიები, კოლექტიური დასწრება მოსწავლეთა ასაკისა და მომზადების დონის შესაფერ კინოფილმებზე და წარმოდგინებზე, მოაწყონ გასაუბრება კინოფილმისა და პიესის შინაარსის შესახებ.

3. სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ მოსწავლეთა მუშაობას საგნობრივსა და თვითშემოქმედების წრეებში; გამოავლინონ და წაახალისონ ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები.

და სკოლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით დასახონ მათი შემდგომი მუშაობის გაუქმობისა და უნარის განვითარებისათვის საბამისი ღონისძიებანი.

4. გეგმაზომიერად წარმართონ მშობელთა შორის მუშაობა, მოაწყონ მშობელთათვის ლექციები, მოხსენებები და გასაუბრებანი ბავშვთა სწავლა-იღვრის საკითხებზე.

განათლების განყოფილებაში:

1. ათი დღის განმავლობაში შეადგინოს მასწავლებელთა იდეო-პოლიტიკური მომზადების დონის ამოღებისა და პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური დახელოვნების კალენდარული გეგმა და მოაწყონ მასწავლებელთათვის მეცნიერული ხასიათის ლექცია-მოხსენებები, თეორიული გასაუბრებანი და სემინარული მუშაობა;

2- მიიღოს ზომები სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის; ხელმძღვანელ ორგანოების დახმარებით უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყოს სასკოლო შენობების ზამთრის სეზონისათვის მომზადება, — ფანჯრის მინების ჩასმა, ღუმელების წესრიგში მოყვანა, სათბობი მასალის მომზადება და მის მოვლა-პატრონობა და მიზნობრივი გამოყენება; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქალთა III რუსული საშუალო სკოლის შენობის სახურავის შეკეთებას, შეავსოს სკოლების სასწავლო კაბინეტები ხელსაწყო-იარაღებით და სასკოლო ბიბლიოთეკებს საჭირო ლიტერატურით.

3. კიდევ უკრო გააძლიეროს პედაგოგიური კაბინეტისა და ლაბორატორიის მუშაობა, სისტემატური კონტროლი დააწესოს სკოლების სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობის მიმდინარეობაზე, დროულად დაიყვანოს სკოლებამდე სადირექტივო ორგანოების დადგენილებები, ბრძანებები. ცირკულარები და უზრუნველჰყოს მათი განუხრებლად შესრულება.

4. პედაგოგიური კაბინეტისა და ლაბორატორიის მუშაკების მეშვეობით პოზიციური დისციპლინების მასწავლებელთათვის პერიოდულად მოაწყოს პრაქტიკული მეცადინეობა სასკოლო ექსპერიმენტის ჩატარების საკითხებზე.

5. აღნიშნული მითითებები დაუზგავნოს სკოლის დირექტორებს (გამგებებს), უზრუნველჰყოს მათი განხილვა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და ცხოვრებაში გატარება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველო

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების,
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, სტალინოპოლ და
საკაიროს განათლების განყოფილებათა გამგეობას,
რვაწლიან და სავსალო სკოლების დირექტორებს.



სკოლებში ჩატარებული შემოწმებით და ადგილებიდან მიღებული ცნობებით დასტურდება, რომ საშუალო სკოლის VIII, IX, X და XI კლასებში ადგილი აქვს მოსწავლეთა სკოლებიდან ჩამოშორების, გაცდენა-დაგვიანებისა და გაკვეთილებიდან უნებართვოდ წასვლის ხშირ შემთხვევებს, ასე, მაგალითად. ქ. თბილისის ვაჟთა მეცხრამეტე საშუალო სკოლის VIII, IX, X, XI კლასებიდან მიმდინარე წელს გავიდა 11 მოსწავლე, ქალთა მე-20 სკოლიდან—25 მოსწავლე.

ქალთა მე-15 საშუალო სკოლის უფროს კლასებში სისტემატურად აცდენს გაკვეთილებს 7-8 მოსწავლე. ამავე სკოლის მე-10 კლასის 20 მოსწავლიდან 10, 11 და 12 ოქტომბერს გაკვეთილებს არ ესწრებოდა 10-12 მოსწავლე. ვაჟთა 32-ე საშუალო სკოლის XI კლასის 17 მოსწავლიდან 31/X-ს გაკვეთილებს ესწრებოდა მხოლოდ 9 მოსწავლე. ვაჟთა I, II და მე-15 საშუალო სკოლების IX, X და XI კლასებში ადგილი აქვს გაკვეთილების მასობრივად გაცდენას, გაკვეთილებიდან უნებართვოდ წასვლას და სხვ.

საშუალო სკოლების უფროს კლასებიდან მოსწავლეთა წასვლისა და გაკვეთილების გაცდენების ეს ყოვლად დაუშვებელი შემთხვევები უმთავრესად იმით აიხსნება, რომ სკოლის დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები და მასწავლებლები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ უფროს კლასებში სასწავლო აღაზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმართლეს და იყენებენ. ამ კლასებში ზოგი მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილები არ არის მიმზიდველი და საინტერესო. ხშირ შემთხვევაში ცალკე სასწავლო საგნებში გავლილი მასალის გამოვლენას აწარმოებენ შაბლონურად, ზერეულად, რაც მოსწავლეებში იწვევს სწავლისადმი ინტერესის მოღუწებას და და გულის აცულებას. სკოლებში არ ექცევა სათანადო ყურადღება მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების ზუსტად აღრიცხვის საქმეს. კლასის ხელმძღვანელები საფუძვლიანად არ სწავლობენ მოსწავლეების სკოლაში გამოუცხადებლობისა, გაკვეთილებზე დაგვიანებისა და გაკვეთილებიდან უნებართვოდ წასვლის მიზეზებს და არ იყენებენ იმ ზომებს მოსწავლეთა მიმართ, რაც მოსწავლეთა დასჯისა და წახალისების „შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დირექტივით არის გათვალისწინებული.

რვაწლიან და საშუალო სკოლის VIII, IX, X, და XI კლასებიდან მოსწავლეთა ჩამოშორების შემთხვევების აღიიფხვრისა და ამ კლასების კონტინგენტის მთლიანად შენარჩუნების უზრუნველსაყოფად—გავალბებ, გაატარებ შემდეგი ღონისძიებანი:

1. სკოლის დირექტორებთან ერთად, ერთი დეკადის ვადაში შემოწმებთ VIII, IX, X, და XI კლასებში მოსწავლეთა დასწრების მდგომარეობა, დაახუსტებთ მოსწავლეთა სკოლიდან ჩამოშორებისა და გაკვეთილებზე გამოუცხადებლობის მიზეზები, საკითხი მოისმინებთ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დასახებთ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დარგში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

2. საფუძვლიანად შეისწავლეთ ამ კლასებში ცალკე საგნების სწავლებისა და, კერძოდ, გავლილი მასალის გამეორების მდგომარეობა, შემოწმების შედეგები მოისმინებთ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, მასწავლებელთა მეთოდურ თათბირებზე და განათლების სამინისტროს მითითებათა საფუძველზე შეიმუშავეთ ისეთი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც მასწავლებლებს გაუწევს დახმარებას საგნების სწავლებაში არსებულ დეფექტების უახლოეს დროში გამოსწორების საქმეში.

XI კლასების იმ მოსწავლეთა საკითხი, რომლებიც სამჯერ უმიზეზოდ გააცდენენ სკოლას, განიხილეთ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და ისეთები, რომლებიც სუსტად მეცადინეობენ გარიცხვით სკოლებიდან 3 წლის განმავლობაში სიმწიფის ატესტატზე ექსტერნად გამოცდების ჩაბარების უფლების წართმევით, დანაარჩენი კლასების იმ მოსწავლეთა მიმართ, რომლებიც სკოლის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, სისტემატურად არღვევენ სასკოლო რეჟიმს, არ იცავენ „მოსწავლეთა წესებს“ და ხელს უშლიან მასწავლებლებს მუშაობაში. მიიღეთ მკაცრი ზომები, სკოლიდან გარიცხვამდეც-კი.

4. განათლების სამინისტროს ეს დირექტივა ა/წ 1 დეკემბრამდე დაწვრილებით გააცანით უფროსი კლასების მოსწავლეებსა და შათ მშობლებს.

თქვენს მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ აცნობებ განათლების სამინისტროს არაუგვიანეს ა/წ 15 დეკემბრისა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

1946 წ. 27 ნოემბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება

გოსწავლეთა მე-3 რესპუბლიკური სამეცნიერო დაუსწრებელი კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

ვაძლევთ რა დიდ მნიშვნელობას მოსწავლეთა სამეცნიერო დაუსწრებელი კონფერენციის ჩატარებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვას, ბუნების მოვლენებზე დაკვირვებას, საკვლეო ხასიათის ექსპერიმენტების მოწყობაში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმას და ნიჭიერი ბავშვების გამოვლინებას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ბიურო ადგენენ:

1. ნება დაერთოს ქ. თბილისის ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეს 1946 წლის 20 დეკემბრიდან 1947 წლის ოქტომბრამდე ჩატაროს რვაწლიან და საშუალო სკოლებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების მონაწილეობით მოსწავლეთა მე-3 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია.

2. პიონერთა სასახლის მიერ წარმოდგენილი დებულება მოსწავლეთა მე-3 რესპუბლიკური დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ დამტკიცდეს.

3. კონფერენციაში მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ განცხადების მიღების უკანასკნელ ვადად დაწესდეს 1947 წლის 1-ლი მარტი, ხოლო მოსწავლეთა ნაშრომების წარმოდგენისა-კი—15 მაისი, ბუნებისმეტყველებაში უკანასკნელ ვადად დაწესდეს 1-ლი სექტემბერი.

4. დაევალოს აქარის და აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის საოლქო განათლების განყოფილებას, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებს და საქართველოს ალკვ საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს:

ა) ფართოდ გააცნონ მოსწავლეთა მე-3 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების პირობები, კონფერენციის დებუ-

ლება და ეს დადგენილება საშუალო სკოლების ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებს, სასკოლო კომპაგნიურულ და პიონერულ ორგანიზაციებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმა სამეცნიერო კონფერენციაში;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები, რათა ყოელა საშუალო სკოლასთან, სადაც დღემდე არ არის ჩამოყალიბებული აკადემიური წრეები, უზრუნველყოფილი იქნეს ასეთი წრეების ჩამოყალიბება და მათში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმა;

გ) დებულების მიხედვით გამოიყონ განათლების განყოფილება-სთან კონფერენციის ჩამტარებელი რაიონული კომისია;

დ) მასწავლებელთა თათბირებზე განიხილონ საკითხი კონფერენციის ჩატარების შესახებ და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი.

5. დაევალოს ნორჩტექნიკოსთა ცენტრალური სადგურისა, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებისა და ნორჩ-ტექნიკოსთა სარაიონო სადგურის დირექტორებს, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების წრეების მუშაობა დაუკავშირონ კონფერენციის ამოცანებს.

6. დაევალოს ლ. ჰ. ბერიას სახელობის ოქტომბრელთა და პიონერთა სასახლეს ა. წ. 20 დეკემბრამდე დაიყვანოს ადგილებამდე მოსწავლეთა დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება, მიაღწიოს სპეციალისტები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ამ დარგში სკოლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

7. დაევალოს განათლების სამინისტროს საფინანსო—სავაგეო სამმართველოს 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მოსწავლეთა დაუსწრებელი კონფერენციის ხარჯებისათვის გაითვალისწინოს საჭირო თანხა, 100.000 მანეთის რაოდენობით.

8. დაევალოს განათლების სამინისტროს მომარაგების სამმართველოს მოსწავლეთა დაუსწრებელ სამეცნიერო კონფერენციის საჭიროებისათვის გამოიყოს პიონერთა სასახლეს 100 კილოგრამი ქალაღი.

9. დაევალოს „სახალხო განათლების“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ დაუსწრებელი კონფერენციის შიშდინარეობა.

10. დაევალოს განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს სისტემატურად უხელმძღვანელოს დაუსწრებელი კონფერენციისათვის მზადებისა და ჩატარების საქმეს.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე მ. ბურჯულაძე.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
მდივანი ზოდუშვილი.

1946 წ. 10 დეკემბერი № 1653

ბრძანება № 2610

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1946 წლის „10“ დეკემბერი

საქართველოს სსრ რვაწლიან და საშუალო სკოლებსა და სკოლისბარათში საბავშვო დაწესებულებებში ნორჩი-ჭიკოსთა და ნორჩქიმიკოსთა მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შედეგებისა და 1946—47 სასწავლო წელში ნორჩქიმიკოსთა და ნორჩიჭიკოსთა მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ.

აღნიშნავ, რომ 1945—46 სასწავლო წელს ნორჩტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მიერ ჩატარებული ნორჩფიზიკოსთა და ნორჩქიმიკოსთა მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადის მნიშვნელოვანი მასობრივი ღონისძიება იყო, რომელმაც ხელი შეუწყო მოსწავლეებში ქიმიისა და ფიზიკის შესწავლისადმი ინტერესის გაძლიერებას და საუკეთესო ნორჩქიმიკოსთა და ნორჩფიზიკოსთა გამოვლინების საშუალებად გახდა.

ოლიმპიადისაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 293 საშუალო სკოლის 12.343 მოსწავლემ. პირველ ტურში, — ქიმიისაში მონაწილეობა მიიღო 5912 ნორჩმა ქიმიკოსმა და 6441 ნორჩმა ფიზიკოსმა. მეორე ტურში — 3899 ნორჩმა ქიმიკოსმა და 3951 ნორჩმა ფიზიკოსმა, მესამე დასწრებულ ტურში მონაწილეობდა 1672 ნორჩი ქიმიკოსი და 1311 ნორჩი ფიზიკოსი, ამათგან გამარჯვებული გამოვიდა 488 ნორჩი ქიმიკოსი და 292 ნორჩი ფიზიკოსი.

ოლიმპიადისაში ბავშვთა მნიშვნელოვანი რაოდენობის ჩაბმითა და მუშაობის წარმატებით ჩატარებით განსაკუთრებით აღინიშნებიან:

აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს (ჩაბმული იყო ოლიმპიადისაში 392 მოსწავლე), ქალაქების: ქუთაისის (562 მოსწ.)

და ფოთის (165 მოსწ.), ქ. თბილისის 5322. ამათგან სტალინის რაიონის (657 მოსწ.), ორჯონიკიძის—(779), ბერიას სახელობის რაიონის (711 მოსწ.), რაიონების: ხაშურის (769 მოსწ.), ჩხარის (482 მოსწ.), წულუკიძის (368 მოსწ.), ზესტაფონის (319 მოსწ.), ვანის (311 მოსწ.), ლავოდების (295 მოსწ.), მახარაძის (295 მოსწ.), სამტრედიის (252 მოსწ.) და სიღნაღის (120 მოსწ.) რაიონების განათლების განყოფილებები.

სუსტი იყო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა, აბაშისა და ზუგდიდის რაიონების განათლების განყოფილებებისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს მონაწილეობა ოლიმპიადაში.

სრულებით არ მიუღიათ მონაწილეობა: ახლქალაქის, ახალციხის ბორჩალოს, ყვარელის, ჩოხატაურის, ხობის, კასპის, ზემოსვანეთის, ზოგდანოვკის, თბილისის და სხვა რაიონების საშუალო სკოლებს.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ნორჩქიმიკოსთა და ნორჩფიზიკოსთა მეორე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეთა სიგელებით დაჯილდოების შესახებ წარმოდგეხილი სია 780 მოსწავლის რაოდენობით, დამტკიცდეს.

2. ოლიმპიადაში მოსწავლეთა მასიურად ჩაბმისა და სამივე ტურის წარმატებით ჩატარებისათვის სიგელებით დაჯილდოვდნენ: ებიტაშვილი გიორგი (ნორჩტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურის დირექტორი), ჭიპაშვილი ქრისტინე (ქ. თბილისის ქალთა მე-12 საშუალო სკოლა), რატიანი დავითი (თბილისის პედკაბინეტი), კოსტავა იაკობი (ქ. თბილისის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლა), თოთბაძე კონსტანტინე (ქ. თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლა), ბურჯანაძე ვალია (ქ. თბილისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლა), კახარიანი გარეგინ (ქ. თბილისის ქალთა მე-3 საშუალო სკოლა), ტუსკია ქეთევანი (ქ. თბილისის ქალთა I საშუალო სკოლა), ჩიქოვანი დავითი (ხაშურის ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურის დირექტორი), კალანდარიშვილი გრიგოლი (ქ. მახარაძის ვაჟთა საშუალო სკოლა), შარაშენიძე ალექსანდრე (ქ. თბილისის I-ქალთა საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი) რომიტაშვილი თამარი (ქ. თბილისის 12 ქალთა საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი), ზუბიაშვილი ნინო (ქარელის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი).

3. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა სარაიონო (საქალაქო) განათლების განყოფილებათა გამგეებს პედაგოგიურ კაბინეტებთან არსებული ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელთა სექციებზე განიხილონ ნორჩფიზიკოსთა და ნორჩქიმიკოსთა მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები და დასახონ ღონისძიებანი

ფიზიკასა და ქიმიაში მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაჭრით გასაუმჯობესებლად და ფართოდ მიაღებინონ მონაწილეობა მიმდინარე სასწავლო წელში ნორჩქიმიკოსთა და ნორჩფიზიკოსთა მესამე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში.

4. დაევალოს ნორჩ-ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს ა/წ 15 ნოემბრიდან 1947 წლის 15 აპრილამდე ჩაატაროს ნორჩქიმიკოსთა და ნორჩფიზიკოსთა მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადა.

5. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო რესპუბლიკური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ბურჟულაძე მარიამი (განათლების მინისტრის მოადგილე, კომიტეტის თავმჯდომარე),
2. ქვანია ნინო (საქ. ალკკ ცეკას მდივანი),
3. დიდებულიძე ნიკოლოზ (აკადემიკოსი),
4. ნიკოლაძე რუსუდანი (პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორი),
5. დარსალია ქეთევან (განათლების სამინისტროს სკოლისგარეშე მუშაობის სექტორის უფროსი),
6. ეპიტაშვილი გიორგი (ნ/ტ ცენტრალური სადგურის დირექტორი—ორგკომიტეტის მდივანი),
7. რატიანი დავით (ქალ. თბილისის პედაგინეტი),
8. მამულაშვილი ოლია (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი),
9. კოსტავა იაკობი (თბილისის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლა),
10. აბზიანიძე ტარასი (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი),
11. კობახიძე გრიგოლ (თბილისის ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლა),
12. კობახიძე ვალერიან (თბილისის პიონერთა სასახლე),
13. ქარუმიძე იოსები (ქ. თბილისის პედაგინეტი),
14. თოთიბაძე კონსტანტინე (ქალთა მე-5 საშუალო სკოლა),
15. ბურჯანაძე გალინა (ქალთა მე-2 საშუალო სკოლა),
16. ჯაფარიძე ნიკოლოზ (თბილისის პიონერთა სასახლე),
17. ჭიპაშვილი ქრისტიანე (ქალთა მე-12 საშუალო სკოლა),
18. კახარიანი ვარგინ (ქალთა მე-2 საშუალო სკოლა),
19. კონსტანტინოვა ნინო (ვაჟთა მე-13 საშუალო სკოლა).

6. დაევალოს ნორჩქიმიკოსთა და ნორჩფიზიკოსთა ოლიმპიადის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტს დაამტკიცოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩატარებას და პერიოდულად წარმოადგინოს მასალები ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ ცალკე ტურის მიხედვით.

7. დამტკიცდეს ნორჩქიმიკოსთა და ნორჩფიზიკოსთა ოლიმპიადის ჩატარების დებულება.

8. დაივალოს რვაწლიან და საშუალო სკოლის დირექტორების გამოიყენონ საქართველოს ნორჩქიმიკოსთა და ნორჩფიზიკოსთა მეორე ოლიმპიადის გამოცდილება და მე 8,9,10 და 11 კლასებში ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმ მიმართულებით, რომ ოლიმპიადაში დიდი რაოდენობით ჩააბან ქიმიით და ფიზიკით დაინტერესებული ბავშვები, ჩამოაყალიბონ ნორჩქიმიკოსთა წრეები, სადაც ხელმძღვანელებად გამოიყენებული იქნან ამავე საგნის მასწავლებლები.

9. დაევალოს ნორჩქიმიკოსთა ცენტრალურ სადგურს გაუწიოს სისტემატური კონსულტაცია სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებსა და ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებს, ოლიმპიადაში მათი მონაწილეობის შესახებ, დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა და რაიონები უზრუნველჰყოს საჭირო ინსტრუქციებით.

10. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების სამმართველოს უფროსს ა.ხ. დ. მელიქაძეს, ოლიმპიადის საჭიროებისათვის გამოუყოს ნორჩქიმიკოსთა ცენტრალურ სადგურს 150 კგ. საწერი ქაღალდი.

11. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს 1947 წლისათვის გაითვალისწინოს ნორჩქიმიკოსთა ცენტრალურ სადგურის ბიუჯეტში ოლიმპიადის ხარჯებისათვის საჭირო თანხა 60.000 მანეთის რაოდენობით.

12. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფილებათა გამგეებს 15 დეკემბრამდე გააცნონ ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებს ნორჩქიმიკოსთა და ნორჩფიზიკოსთა საქართველოს მესამე ოლიმპიადის ჩატარების დებულება და დასახონ ღონისძიებანი საჭირო მუშაობის ჩასატარებლად.

13. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას სისტემატურად გააშუქოს ოლიმპიადის მიმდინარეობა.

14. დაევალოს ლ. ჰ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის, ნორჩქიმიკოსთა სადგურებისა და პიონერთა სახლის დირექტორებს ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა, ჩამოაყალიბონ ნორჩქიმიკოსთა და ნორჩფიზიკოსთა წრეები და ჩააბან ოლიმპიადაში ამ საქმით დაინტერესებული ბავშვები.

15. დაწყებით და საშუალო სკოლის სამმართველომ პერიოდულად შეამოწმოს ადგილებზე ოლიმპიადის მიმდინარეობა და შედეგების შესახებ მოახსენოს კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე.

გამტკიცებ

საქ. სსრ განათლების მინისტრის მოად-
გილე მ. ბურჭულაძე. 29-V-46 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სკოლაში მეთოდური მუშაობის შესახებ

1. სკოლაში მეთოდური მუშაობის ამოცანები

1. სკოლა წარმოადგენს ძირითად რგოლს მასწავლებელთან მეთოდური მუშაობის სისტემაში.

მეთოდური მუშაობა სკოლაში ხორციელდება სკოლის შესახებ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებათა შესაბამისად და მიზნად ისახავს: სკოლის მთელი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ხარისხის ამაღლებას, მასწავლებლის აქტიურობისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, მისი პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფას.

2. მეთოდური მუშაობის ამოცანაა: უზრუნველყოს გაკვეთილის, როგორც სკოლაში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის, გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარება, საუკეთესო მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა გამოცდილების შესწავლა და მისი გავრცელება მასწავლებლობაში, აკრეფე მეთოდური და პედაგოგიური ლიტერატურის შესწავლა.

II. სკოლაში მეთოდური მუშაობის ორგანიზაციის ფორმები და შინაარსი

3. სკოლაში წესდება მეთოდური მუშაობის შემდეგი ორგანიზაციული ფორმები:

ა) მკირ კომპლექტიანი დაწყებითი სკოლის ყველა კლასისა და რვაწლიანი და საშუალო სკოლების I, II და III კლასების მასწავლებელთათვის-თუ ცალკე კლასების მასწავლებელთა რიცხვი სამზე ნაკლებია — მეთოდური თათბირი.

ბ) დაწყებითი სკოლის ყველა კლასისა და რვაწლიანი და საშუალო სკოლების I—III კლასების მასწავლებელთათვის — თუ კლასის მასწავლებელი კლ სების მიხედვით სასწავლებელთა რიცხვი სამი ან სამზე მეტი საკლასო მეთოდური კომისიები.

ბ) რვაწლიან და საშუალო სკოლებში, თუ ცალკე საგნის სამი ან სამზე მეტი მასწავლებელია, მეოთხე კლასის მასწავლებლის ჩათვლით, — საგნობრივი მეთოდური კომისიები.

შენიშვნა: სკოლებში, სადაც მოცემული საგნის 1-2 მასწავლებელია, საგნობრივი კომისიები არ იქმნება. ასეთ სკოლებში სკოლის დირექტორი და მისი თანაშემწე სასწავლო ნაწილში პერიოდულად უყრიან თავს მასწავლებლებს (ინდივიდუალურად, ან საჭიროების მიხედვით, რამდენიმე მასწავლებელს ერთად) სპეციალური მეთოდური საკითხის განსახილველად.

4. საგნობრივი და საკლასო მეთოდური კომისიების მუშაობის შინაარსში შედის:

- ა) პროგრამების შესწავლა;
- ბ) გაცვეთილის დაგეგმა-დამუშავება;
- გ) აღმზრდელობითი მუშაობის საკითხების განხილვა;
- დ) თვალსაჩინო ხელსაყობების შესწავლა და გაცვეთილზე მათი გამოყენების ორგანიზაცია;
- ე) გაძვორების საკითხების განხილვა;
- ვ) საშინაო დავალებათა მეთოდური საკითხების განხილვა;
- ზ) მოსწავლეთა ცოდნის აღრიცხვა;
- თ) მოსწავლეთა შორის დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევათა გამო-მუშავების ღონისძიებათა დასახვა;
- ი) მოსწავლეთა შესწავლის საკითხები;
- კ) კლასგარეშე მუშაობის ჩატარების მეთოდოლოგია;
- ლ) განხილვა და დამუშავება ღონისძიებებისა, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა წარმატების ზრდას;
- მ) მეთოდური პედაგოგიური და სპეციალური ლიტერატურის შესწავლა;
- ნ) გამოცდილების გაზიარება და საუკეთესო მასწავლებლების მუშაობის განხილვა.

5. საქართველოს სსრ განათლების მინისტრისა და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების მინისტრების ნებართვით შეიძლება დიდ სკოლებში შეიქმნას პედაგოგიური კაბინეტები. სკოლის პედაგოგიური კაბინეტის მუშაობის ძირითადი ამოცანებია:

ა) სკოლის მუშაობის საუკეთესო გამოცდილების შეკრება-დამუშავება და მისი დაყვანა მასწავლებლებამდე;

ბ) მასწავლებელთათვის დახმარების გაწევა სასწავლო მოწყობილობისა და ლიტერატურის შერჩევაში;

გ) სკოლის სასწავლო-მეთოდური მუშაობის გამოფენის ორგანიზაცია;



დ) მეთოდური მუშაობის შედეგების გაფორმება (ოქმები, მოხსენებები, რეფერატები და სხვ.) და მათი დაყვანა მასწავლებლებზე ბამდე.

პედაგოგიურ კაბინეტს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში.

III. სკოლაში მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელობა

6. მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელობას ახორციელებს სკოლის დირექტორი (გამგე) და დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში.

7. სკოლის დირექტორი (გამგე) და დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში მეთოდურ ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის აწარმოებენ გაკვეთილებზე დასწრებას, თითოეული მასწავლებლის გაკვეთილის გეგმის ანალიზს, ატარებენ საუბრებს მასწავლებლებთან გაკვეთილის ორგანიზაციის შესახებ და იხილავენ ცალკეული გაკვეთილების ნოსმენის შედეგს პედსაბჭოზე, საგნობრივ და საკლასო მეთოდურ კომისიების სხდომებზე.

8. ზემოთჩამოთვლილ მუშაობასთან ერთად, სკოლის დირექტორი (გამგე) და მისი მოადგილე სასწავლო ნაწილში:

ა) აწყობენ გამოცდილების გაზიარებასა და სკოლის საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობის განზოგადებას;

ბ) ინდივიდუალურ დახმარებას უწევენ დამწყებ მასწავლებლებს;

გ) ხელს უწყობენ მასწავლებელთა შემოქმედებითი მეთოდურ მუშაობას;

დ) თავისი სკოლის მასწავლებლებს ამზადებენ საუბნო-ჯგუფურ მეთოდურ თათბირებზე გამოსასვლელად მოხსენებითა და ცნობებით მათი გამოცდილების შესახებ;

ე) ხელს უწყობენ თავისი სკოლის მასწავლებლების მუშაობის გამოცდილების გაშუქებას პრესაში;

ვ) განაზოგადებენ თავისი სკოლის მასწავლებელთა სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას და აწყობენ მის ჩვენებას გამოფენების, სარაიონო პედაგოგიური კაბინეტისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საშუალებით;

ზ) ფართოდ აშუქებენ თავისი სკოლის იმ საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობას, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში.

9. სკოლებში, სადაც ყალიბდება საგნობრივი და საკლასო მეთოდური კომისიები, სკოლის დირექტორი (გამგე) კომისიების ხელმძღვანელებად სათანადო ბრძანებით ნიშნავს გამოცდილ მასწავლებლებს.

10. საგნობრივი და საკლასო მეთოდური კომისიების ხელმძღვანელები სკოლის დირექტორის (გამგის) და სასწავლო ნაწილის გამგის წინაშე პასუხისმგებელი არიან მეთოდური მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციისათვის და ასრულებენ შემდეგ სამუშაოს;

ა) აღკენენ წლიური მუშაობის გეგმას მეოთხედების მიხედვით, რომელსაც უდგენენ დირექტორს (გამგეს) დასამტკიცებლად;

ბ) ხელმძღვანელობენ საკითხების განხილვას;

გ) აღრიცხავენ საგნობრივი და საკლასო მეთოდური კომისიების მუშაობას და სკოლის დირექტორს (გამგეს) უდგენენ თავისი მუშაობის ანგარიშს ყოველი მეოთხედისა და წლის ბოლოს;

დ) აწყობენ მასწავლებელთა გამოსვლებს მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ე) აშუქებენ პრესაში საგნობრივი და საკლასო მეთოდური კომისიების მუშაობის გამოცდილებას.

11. მეთოდური მუშაობის დაგეგმვა სკოლაში ხდება საგნობრივი და საკლასო მეთოდური კომისიების მიერ თვით მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობითა და სკოლის დირექტორის (გამგის) და სასწავლო ნაწილის გამგის საერთო ხელმძღვანელობით.

პ რ ო ბ რ ა მ ე ბ ი

ი ს ტ ო რ ი ა

IV კ ლ ა ს ი

ბ ა ნ ე მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

1946—47 სასწავლო წელი

სსრ კავშირის ისტორიის დაწყებითი კურსის შესწავლამ მოსწავლეებს უნდა მისცეს პირველი წარმოდგენა მშობლიურ წარსულზე, გაუღვიძოს მისი ისტორიისადმი ინტერესი, აღზარდოს მათში სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა და მისწრაფება, იყოს მისთვის სასარგებლო.

II და III კლასის მოსწავლეები ისტორიულ მოვლენებზე პირველ წარმოდგენას მიიღებენ საკითხავ წიგნებში მოთავსებულ ეპიზოდური, მარტივი და მკაფიო მოთხრობების ახსნითი კითხვის გზით. ამ მოთხრობებიდან და მასწავლებლის თხრობიდან ბავშვებმა უნდა გაიგონ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ძველად ადამიანები, რომ შრომა ადამიანის ცხოვრების საფუძველია; გაიგონ აგრეთვე, თუ როგორ ცხოვრობდნენ დიდი რუსი ხალხის წინაპრები—სლავები, ჩვენი წინაპრები, თუ როგორ წარმოიშვა ჩვენი სახელმწიფო. იმავე მოთხრობებიდან ბავშვები ეცნობიან წარსულის სახელგანთქმულ მხედართმთავრებს, რომელთა ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი იცავდა თავის ქვეყანას უცხოელ დამპყრობთაგან: ალექსანდრე ნეველს, დიმიტრი დონელს, მინინს და პოჟარსკის, სუვოროვს და კუტუზოვს, დავით აღმაშენებელსა, გიორგი სააკაძეს, ერეკლე II-ს.

ბავშვები ეცნობიან აგრეთვე მშრომელთა ბრძოლას უკეთესი ცხოვრებისათვის, ჩვენი ხალხების დიდ ბელადებსა და მასწავლებლებს ლენინსა და სტალინს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, წითელი არმიის გამარჯვებას დიდ სამამულო ომში.

IV კლასის ისტორიის პროგრამაში ცოდნის სისტემას იძლევა უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენები და ფაქტები, რომელიც გადმოცემულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, ამ მოვლენების და ფაქტების შესწავლის პროცესში მოსწავლეებს

ჩამოყალიბდებათ ცნებები: საზოგადოებრივი წყობილების განვითარებისა და კლასობრივ ურთიერთობათა (სმერდები და ბოიარინები, გლეხები და მემამულეები, მუშები და კაპიტალისტები). სახელმწიფოს განვითარების (კიევის სახელმწიფო, მოსკოვის სახელმწიფო, რუსეთის იმპერია, სსრ კავშირი), რევოლუციური მოძრაობის ისტორიის (გლეხთა აჯანყებები, მუშათა მოძრაობა, სამი რევოლუცია და სხვა), ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ პიროვნებათა და კულტურის ისტორიის შესახებ (განათლება პეტრე I-ის დროს, დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს, შ. რუსთაველი, მ. ვ. ლომონოსოვი, სსრ კავშირის ხალხთა კულტურა და სხვა).

კურსის გადმოცემა კონკრეტული და ხატოვანი, ცოცხალი და საინტერესო უნდა იყოს. უნდა ვეცადოთ, რომ მასალა მკაფიო და ტიპიური სურათების სახით მივაწოდოთ.

ისტორიული მასალა ისე უნდა იყოს შერჩეული და გადმოცემული, რომ მან მოსწავლეებზე ემოციონალურად იმოქმედოს.

კონკრეტულ ისტორიულ წარმოდგენათა შესაქმნელად მასწავლებელი ვალდებულია გამოიყენოს ცოცხალი სიტყვა, ლიტერატურულ-მხატვრული მასალა, სურათები, რუკები, სახელმძღვანელოს ილუსტრაციები, ექსკურსიები, კინო და სხვა,

საგებობთ აუკლებელია ადგილობრივი ისტორიული მასალის შესწავლა, რომლის გაცნობა ისტორიის შესწავლას უფრო შინაარსიანს, საინტერესოს და გასაგებს გახდის. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ისტორიის მოვლენებს და ფაქტებს: ქართველი ხალხის ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ (არაბებთან, მონღოლებთან, თურქებთან, სპარსელებთან), გამოჩენილ მხედართმთავრებს (ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე, ერეკლე II). განათლებას დავით აღმაშენებელისა და თამარის ხანაში და ა. შ.

უნდა ვეცადოთ, რომ მოსწავლეები არა მარტო იმახსოვრებდნენ ცალკეულ ისტორიულ ფაქტებს, არამედ უნდა სწავლობდნენ აგრეთვე მათი მნიშვნელობის გაგებასა და შეფასებას და ამ ფაქტებიდან შეძლებისდაგვარად დასკვნების გაკეთებას (გლეხთა მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია გლეხთა აჯანყებები. ბატონყმობის გაუქმებამ გამოიწვია ბრეწველობის ზრდა, ბალტიის ზღვის სანაპიროების დაპყრობამ უზრუნველყო რუსეთის კავშირი სახლვარგარეთთან და ა. შ.).

ასეთი მუშაობის პროცესში იწყება ისტორიული აზროვნების ჩამოყალიბება, ღრმავდება ინტერესი თავისი სამშობლოს ისტორი-

სადმი, ვითარდება და უფრო შეგნებული ხდება თავისი სიყვარული ქვეყნის მიმართ.

პ რ ო ზ რ ა მ ა

მეოთხე კლასი

შესავალი

სსრ კავშირი ჩვენი სამშობლო

1. ჩვენი სამშობლო შორეულ წარსულში

ჩვენი ქვეყნის ბუნება. უძველესი მონადირენი, ქვის იარაღიდან ლითონის იარაღამდე.

2. კიევის სახელმწიფო

სლავები დნებრის ნაპირებზე; მათი საქმიანობა, ყოფაცხოვრება და რწმენა. კიევის სახელმწიფოს წარმოშობა. მთავარი იგორი და სულადობა („პოლიუდიე“). მთავარი სვიატოსლავი და მისი რაზმი. სვიატოსლავის ლაშქრობანი. მთავარი ვლადიმერი და ქრისტიანობის შემოღება. მთავარი იაროსლავ ბრძენი. ბოიარინები და სმერდები. რუსეთის დაქუცმაცება. შინა ომი მთავრებს შორის. ბრძოლა სამხრეთის სტეპების მომთაბარეებთან.

საქართველო X—XII საუკუნეებში. დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე. საქართველოს კულტურული ვითარება X—XII ს. ს.

3. თათართა შემოსევა

თათრები. ბათო ყანი და რუსთა მიწა-წყლის დაპყრობა. თათართა უღელი. თათართა ბატონობა საქართველოში.

4. ბრძოლა შვედებთან და გერმანელ რაინდებთან

შვედებისა და გერმანელ რაინდების თავდასხმა რუსთა მიწა-წყალზე. ალექსანდრე ზეველი, ბრძოლა ნევის ნაპირას. ხოცვა-ჟლეტა ყინულზე.

5. მოსკოვის სახელმწიფო

მოსკოვის დასაწყისი. ივანე კალიტა და მოსკოვის სახელმწიფოს გაძლიერება. დიმიტრი დონელი. კულიკოვოს ბრძოლა.

რუსთა მინა-წყლის საბოლოო გაერთიანება. თათართა უღლი-საგან განთავისუფლება. ივანე III „სრულიად რუსეთის ხელმწიფე“.

ივანე IV — პირველი მეფე. ყაზანის დაპყრობა. ერმაკის ლაშქრობა და ციმბირის დაპყრობა. ივანე IV ბრძოლა ბოიარინებთან ოპრიჩინა. მემამულეები და გლეხები. იურის დღე.

პორველმბეჭდავი ივანე ფედოროვი.

პოლონელი დამპყრობლები მოსკოვში. სახალხო ლაშქარი და მისი ბელადები მინინი და პოჟარსკი. სუსანინი. პოლონელ დამპყრობთა განდევნა:

მოგდან ხელნიცკი. უკრანის შეერთება მოსკოვის სახელმწიფოსთან. გლეხთა საბოლოოდ მიმაგრება მიწაზე. რაზინის ბრძოლა ბოიარინებთან და მემამულეებთან. მეფე და ბოიარინთა სათათბირო. კულტურა.

6. რუსეთის იმპერია XVIII საუკუნეში

პეტრე I ბავშვობა. პეტრე I გამგზავრება საზღვარგარეთ. ბრძოლა ტარკასთან. არმის გარდაქმნა. პეტერბურგის დაარსება. ბრძოლა პოლტავასთან. ზავი შვედეთთან.

ვაქრობა და მრეწველობა. განათლება პეტრე I დროს. ახალი ხეჩვეულებანი. პირველი რუსი მეცნიერი მ. ვ. ლომონოსოვი. ეკატერინე II. ბატონყობა.

გლეხთა და ჩაგრულ ხალხთა აჯანყება პუგაჩოვის ხელმძღვანელობით. საღავათ იულაევი.

სახელმწიფოს გაფართოება ეკატერინე II დროს. სუვოროვი. იზმაილის იერიში. სუვოროვის ლაშქრობა ალპებზე.

საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVII—XVIII ს. გიორგი სააკაძე; ერეკლე II.

7. მეფის რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში

ნაპოლეონის შემოსევა რუსეთში. კუტუზოვი. ბოროდინოს ბრძოლა. ფრანგები მოსკოვში. სახალხო ომი ფრანგების წინააღმდეგ. ფრანგების განდევნა რუსეთიდან. დეკაბრისტები. რუსეთი ნიკოლოზ I დროს. კავკასიის დაპყრობა.

ყირიპის ომი, სევასტოპოლის დაცვა და მისი გმირები — ნახიმოვი, კორნილოვი.

8. მეფის რუსეთი XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ბატონყობის გაუქმება.

მრეწველობის ზრდა. კაპიტალისტები და მუშები.

ხალხოსნები. გაფიცვა მორაზოვის ფაბრიკაში.



შუა აზიის დაპყრობა.

ვ. ი. ლენინის ბავშვობის და ყრმობის წლები. ლენინი მუშაობდა წრეში. ლენინის გადასახლება.

ი. ბ. სტალინის ბავშვობისა და ყრმობის წლები. სტალინი ამიერკავკასიის მუშათა წრეებში.

9. პირველი რევოლუცია რუსეთში

მუშათა პარტიის ჩამოყალიბება. ვ. ი. ლენინი. ბოლშევიკები. რუსეთის ომი იაპონიასთან. „სისხლანი კვირა“—1905 წლის 9 იანვარი. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში და მისი დამარცხება. ბოლშევიკების დევნა მეფის მთავრობის მიერ.

10. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია

რუსეთის მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში. მეფის ხელისუფლების დამხობა. ლენინის ჩამოსვლა რუსეთში. ლენინი სადგურ რაზლივზე. შეიარაღებული აჯანყების მომზადება.

ლენინი და სტალინი აჯანყების დღეებში. ზამთრის სასახლის იერიში, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა. რევოლუციის გამარჯვება შთელს რუსეთში.

წითელი არმიის ჩამოყალიბება და მისი პირველი წარმატებები.

11. სამოქალაქო ომი

უკრაინის მიტაცება გერმანელების მიერ. უკრაინელი ხალხის ბრძოლა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ვოროშილოვი. შჩორსი.

ცარიცინის და ვა სტალინის ხელმძღვანელობით.

კოლჩაკის და დენიკინის განადგურება. ჩაპაევი. სტალინი სამხრეთის ფრონტზე.

12. სსრ კავშირი—სოციალიზმის ქვეყანა

სახალხო მეურნეობის აღდგენა. სსრ კავშირის ჩამოყალიბება.

ლენინის გარდაცვალება. სტალინი—ლენინის საქმის გამგრძელებელი. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა სსრ კავშირში.

სსრ კავშირის ხალხთა კულტურა. ჩვენი ქვეყნის მეცნიერები, მწერლები და მხატვრები. სტალინური კონსტიტუცია. ხალხთა მეგობრობა. სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებანი და მოვალეობანი.

18. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ



სსრ კავშირის ბრძოლა მშვიდობიანობისათვის. ახალი მოკავშირე რესპუბლიკები. ფაშისტური გერმანიის თავდასხმა სსრ კავშირზე. მტრის ბოროტმოქმედებანი. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი დამპყრობთა წინააღმდეგ: ჩვენი მოკავშირეები. ფაშისტების განადგურება.

ი. ბ. სტალინი — დიდი მხედართმთავარი და ხალხთა ბელადი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსი უშ. ობოლაძე.

ისტორიის მეთოდისტი მ. მამუკრია.

Зав. РОНО

При сем препровождается программа по географии для четырех классов русских школ Грузинской ССР.

В 1946-47 учебн. году в четвертых классах география должна преподаваться по приложенной программе.

Но ввиду того, что составленного по этой программе учебника на русском языке пока не имеется, в текущем учебном году при прохождении программного материала должен быть использован учебник Д. Дондуа, изданный на русском языке в 1942 г.

Предлагается об этом довести до сведения директоров (заведующих) начальных школ и преподавателей географии.

Начальник Управления начальной и средней школы Министерства Просвещения ССР т. Оболадзе.

ПРОГРАММА

Образец распределения программного материала по четвертям.

I ЧЕТВЕРТЬ.

Первоначальные знания по географии.

Основные формы земной поверхности	3 ч.
Вода на земле	4 ч.
Подземные воды	1 ч.
Море и его береговая линия	1 ч.
Погода и климат	4 ч.
Почвы, растения и животные	1 ч.
Население. Государственный строй	1 ч.

Первое знакомство с картой.

Ориентировка на местности	2 ч.
-------------------------------------	------

Указание направления на чертеже 1 ч.



II ЧЕТВЕРТЬ

Первое знакомство с картой (окончание):

Изображение расстояния на чертеже	3 ч.
План и его использование	3 ч.
Географическая карта	1 ч.

География Грузинской ССР:

Карта Восточной Грузии	3 ч.
Карта Западной Грузии	4 ч.

III ЧЕТВЕРТЬ

География Грузинской ССР (окончание):

1. Карта Южной и Северной Грузии	2 ч.
Территория Грузинской ССР	1 ч.
Общий физико-географический обзор Грузинской ССР,	4 ч.
Природа и жизнь в горных областях Грузинской ССР	6 ч.
Природа и жизнь на равнинах Грузинской ССР-5 ч.	
Природа и жизнь в автономных частях Грузинской ССР	2 ч.

IV ЧЕТВЕРТЬ

География СССР:

Территория и население СССР	4 ч.
Природа СССР	4 ч.
Хозяйство СССР	1 ч.

СССР и крупнейшие страны мира.

Обзор политической карты мира	1 ч.
Повторение (годовое)	4 ч.

Всего 66 часов.

1. Первоначальные сведения по географии.



1. Основные формы земной поверхности . . . (3 ч.)

Непосредственное ознакомление с формами поверхности своей местности

Основные формы земной поверхности.

Возвышенность и ее части: подошва, склоны и вершина.

Крутой и пологий склон. Виды возвышенности—гора и холм.

Хребет. Различные формы горных вершин. Перевалы. Высочайшая вершина. Изменение поверхности земли. Ископаемые богатства. Равнины-низменности и плоскогорье.

2. Вода на земле—(4 часа)

Непосредственное ознакомление с поверхностными водами-(реки, озера и болота). Текучие воды-ручей, река. Правый и левый берега, притоки реки-правые и левые. Части реки, исток и устье, среднее течение реки, русло реки. Горные и равнинные реки, характер их течения.

Водопады и пороги. Наводнения. Изменение поверхности суши в результате деятельности воды: размывание поверхности земли, отложение наносов, намывание. Острова в реке. Овраг, ущелье, речная долина, старица-их образование под действием воды. Борьба с оврагами. Использование рек для судоходства, для строительства электростанций и орошения.

Болота и их образование. Озера-сточные и бессточные, соленые и пресные. Использование озер. Пруд, его устройство и значение его для человека.

3. Подземные воды (1 час).

Водопроницаемые и водоупорные слои земли. Водоносный слой.

Условия образования подземных вод. Колодцы, родники, минеральные воды, горячие источники, условия их образования. Оползни и их образование.

4. Моря и их береговая линия (1 час).



Знакомство с морем на примере Черного моря. Типичные формы морской береговой линии: острова, полуострова, перешеек, мыс, пролив. Значение морей для человека

5. Погода и климат (4 часа).

Нагревание воздуха. Давление воздуха и ветер. Господствующий ветер. Слабый и сильный ветер. Туман, роса, иней. Облака, дожди, град, снег. Погода и ее изменчивость. Климат. Нагревание воздуха и осадки в разное время года в данной местности. Морской климат. Континентальный климат. Влияние горы на климат. Вечные снега. Снеговая линия. Снежные обвалы. Ледники и их образование. Движение ледников. Работа ледников. Начало рек в ледниках.

6. Почвы, растения и животные (1 ч.)

Почва и ее виды: песчаная, глинистая и подзолистая. Черноземные почвы. Плодородные и тощие почвы. Растение и условия для его произрастания. Растения теплых и холодных стран. Благолюбивые и засухоустойчивые растения. Лиственные и хвойные деревья, смешанный лес, субтропики и травянистые луга.

Животные лесов, степей, болот, озер и высоких гор.

Почвы, растения и животные, характерные для окружающей местности.

7. Население и государственный строй (1 час).

Использование человеком природы. Борьба человека с неблагоприятными природными условиями и успехи человека в хозяйственной деятельности при социалистическом строе.

Население местного края: количество населения, занятия и уровень благосостояния.

Государственный строй—сольсовет, горсовет, райсовет, Союз Советских Социалистических Республик, автономная



II. План и карта.

1. Ориентировка на местности (2 ч.)

Элементарный способ ориентировки в окружающей среде.

Ориентировка по солнцу.

Главные и промежуточные стороны горизонта.

Ориентирование по полуденной тени.

Устройство компаса. Правила пользования компасом.

2. Образование направлений на чертеже (1 ч.).

Обозначение направлений на чертеже. Изображение местоположения предмета на чертеже. Определение сторон горизонта на чертеже, показывающем направление.

3. Изображение расстояний на чертеже (3 ч.).

Измерение расстояний на месте. Изображение расстояния на чертежах с помощью масштаба. Линейный масштаб. Определение расстояния на чертеже по приложенному масштабу.

4. План и его использование (3 часа).

Картина предмета и его план. Картина классной комнаты и ее план. Измерение линий на плане классной комнаты по масштабу. Использование измерительной линейки и циркуля. План местности. Условные знаки плана. Пользование планом.

5. Географическая карта (1 ч.)

Простейшее понятие о карте. Некоторые особенности карты в сравнении с планом. Главные условные знаки карты. Главные виды карт—физическая и политическая.



1. Карта Грузинской ССР (10 ч.)

Карты: Картли; Кахети, Восточной Грузии, Имеретии, Гурии, Сванетии, Рачи, Лечхуми, Абхазии, Мингрелии, Западной Грузии, Аджарии, Месхетии, Джавахетии, Квемо-Картли, Южной Грузии, Северной Грузии.

Схематическая карта Грузии и сравнение ее с учебной физической картой Грузинской ССР. Территория Грузии. Кавказ и его две главные части: Северный Кавказ и Закавказье. Положение Грузинской ССР в западной части Закавказья. Границы Грузинской ССР и пограничные государства. Площадь территории Грузинской ССР. Общее количество населения Грузинской ССР и его национальный состав.

2. Природа Грузии (4 часа).

Поверхность. Три основные части поверхности—Сакартвелос Кавказиони, Южное нагорье и равнина. Их краткое описание и характеристика.

Климат. Разнообразие климата в разных частях Грузии. Своеобразие лета и зимы Западной, Восточной, Южной и Северной Грузии.

Реки. Обилие рек в Грузии. Главные реки и их притоки в Восточной, Западной и Южной Грузии. Описание и характеристика главнейших рек.

Озера. Крупнейшие озера Грузии, их краткое описание и характеристика. Заболоченные местности в Грузии—Колхидская низменность и Алазанская долина. Борьба с болотами при Советской власти и достижения в этом деле.

3. Природа и жизнь в горных областях Грузии. (6 часов).

Поверхность горной области Грузии, реки, почвы, климат, растительность, ископаемые богатства.

Население. Грузины, горцы, абхазы, осетины и географическое размещение. Горные аулы, пути сообщения, картины жизни горцев. Перестройка жизни при Советской власти.

Хозяйство. Главные отрасли народного хозяйства: животноводство, охота, хлебопашество, промышленность, кустарная промышленность, электрификация. Дачные места и курорты.

Социально-культурное и хозяйственное строительство в горных областях Грузии, предусмотренные четвертым Сталинским пятилетним планом.

4. Природа и жизнь в низменностях Грузии (5 часов).

Поверхность низменности Грузии, реки, почвы, климат, растительность, животные. Население. Плотность населения и национальный состав.

Народное образование и охрана здоровья в Грузинской ССР.

Хозяйство. Главные виды сельского хозяйства: хлебопашество, садоводство, виноградарство, огородничество, бахчеводство, шелководство, пчеловодство, животноводство, птицеводство; специальные и технические культуры—чайный куст, сахарная свекла, табак, хлопок, рами, конопля, соя, эвкалипт; тунга, цитрусы: мандарины, лимоны, апельсины, лечебные растения, кормовые травы на пастбищах и на лугах; Благоприятные условия для их распространения в разных частях Грузии. Перестройка и улучшение народного хозяйства в разных частях Грузии при Советской власти. Промышленность и главные фабрики и заводы, промышленные центры. Развитие промышленности при советской власти.

Пути сообщения. Телеграфное и телефонное сообщение.

Успехи Советской Грузии в хозяйственно-культурном строительстве и перспективы дальнейшего развития по Сталинскому четвертому пятилетнему плану.

Б. Природа и жизнь в Автономных республиках и в автономной области, входящих в ГССР (2 часа).

Показать на карте Абхазскую АССР, Аджарскую АССР и Южно-Осетинскую Автономную область.

Природа и хозяйство Абхазской АССР.

Успехи в хозяйственной и культурной жизни Абхазской АССР.

Природа и хозяйство Юго-Осетинской Автономной Области. Успехи в хозяйственной и культурной жизни Юго-Осетинской Автономной Области.

IV. ГЕОГРАФИЯ СССР.

1. Территория и население СССР (4 ч.)

СССР на карте. Предварительные сведения для ориентировки на карте мира: глобус и его назначение; земная ось, полюсы и экватор на глобусе; распределение воды и суши на земле. Океаны и континенты: части света; карта восточного и западного полушария.

Положение СССР. Европейская и Азиатская части СССР. Величина СССР.

Морские границы СССР. Океаны, омывающие берега СССР—Северный ледовитый и Великий океан.

Моря СССР—Балтийское, Черное, Азовское, Каспийское, Белое, Баренцево, Карское, Лаптевых, Восточно-Сибирское, Берингово, Охотское и Японское. Береговая линия морей СССР.

Берингов пролив, Рижский и Финский заливы. Острова. Новая Земля, Сахалин, Курильские.

Полуострова: Камчатка и Крымский полуостров.

Показать их на карте.

Пограничные государства СССР: Финляндия, Польша, Чехословакия, Венгрия, Турция, Иран, Китай. Показать их на карте.

Население СССР. Численность населения и национальный состав. Состав СССР. 16 союзных республик и их столицы. Показать их на политической карте СССР.

2. Природа СССР. (4 часа).

Поверхность СССР. Восточно-Европейская, Западно-Сибирская и Туранская низменности. Средне-Русская и приволжская возвышенности. Средне-Сибирское плоскогорье.

Карпатские горы, Крымские горы, Уральские горы, Кавкасиони. Тянь-шанский хребет, Алтайский хребет. Показать мир с вершиной Пик Сталина и Пик Ленина. Показать их на карте.

Главные реки СССР: Северная Двина, Печора, Обь, Енисей, Лена, Амур, Днепр, Днестр, Дунай, Прут, Дон; Волга, Ока, Кама, Урал, Кура, Нева, Западная Двина. Их краткая характеристика.

Показать их на карте.

Главные озера СССР: Аральское озеро-море, Байкальское, Ладожское, Онежское, их краткая характеристика. Показать на карте. Климат СССР. Тепловые пояса на земле. Тропики и полярные круги. Положение СССР в умеренном и холодном поясе.

Близость южных частей СССР к жаркому поясу. Разнообразии климата СССР. Господствующие ветры и их влияние на климат СССР.

3. Природные зоны СССР.

Разнообразие почв, растительности и животного мира.

Тундра, тайга, степи, пустыни, характерные черты их природы и их зональное распространение.

4. Хозяйство СССР (1 час).

Природные богатства СССР. Их разнообразие, их в условиях социалистического хозяйства. Высокий уровень развития промышленности и сельского хозяйства.

Успехи социалистического строительства в СССР и перспективы его дальнейшего развития в четвертой Сталинской пятилетке.

5. СССР. Крупнейшие страны мира.

Политическая карта мира. Показать на политической карте мира: Соединенные Штаты Америки, Англию, Францию, Германию, Италию, Китай, Японию, Турцию и Иран.

Отношение СССР с великими государствами мира.

27307

№ 2761



Вторая мировая война. Великая Отечественная война советского народа и победы СССР в этой войне. Сталинский четвертый пятилетний план восстановления и развития народного хозяйства и перспективы дальнейшего роста под'ема СССР.

Повторение—4 часа.

პასუხისმგებელი რედაქტორი

მ. გურჯულაძე.

შეკვეთა № 130.

ტირაჟი 2000.

შე 00898

საქართველოს საბჭოთაო კომუნისტური პარტია, კომუნისტური ცენტრის მდივანი, თბილისი, ლავროვის ქ. 28